

ხერბი ჭილია

ოცწლეული

(1921—1940)

წლები და პრობლემები



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1986

ნაშრომი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში განხილულია ოციანი წლების ქართული მწერლობა, საბჭოთა მწერლობის ჩამოყალიბების რთული პროცესი, ამ წლების ლიტერატურული ჯგუფები და ლიტერატურული გაერთიანებანი: ცისფერყანწელთა კორპორაცია, აკადემიური ასოციაცია, ფუტურისტ-ლეველთა ჯგუფი, პროლეტარულ მწერალთა კავშირი, „გალაქტიონ ტაბიძის ჟურნალი“, „არიფიონი“...

მეორე ნაწილში დახასიათებულია ოცდაათიანი წლების ლიტერატურული პროცესი, ხაზგასმით გამოყოფილია სსრკ მწერალთა პირველი ყრილობა (1934 წ.) და ქართველი საბჭოთა მწერლების შოკლე შემოქმედებითი პორტრეტები.

რედაქტორი პროფ. ვ. ც ი ს კ ა რ ი ძ ე

რეცენზენტები: პროფ. რ. მ ი შ ვ ე ლ ა ძ ე
დოც. ლ. შ ა ტ ბ ე რ ა შ ვ ი ლ ი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1986

წინასიტყვაობის მამიერ

ოციანი და ოცდაათიანი წლების ქართული მწერლობის გენეზისი უშუალოდ ეხმაურება დღევანდელი ლიტერატურის უაღრესად აქტუალურ პრობლემებს: მაშინაც ისევე მწკავედ იდგა ლიტერატურული ფორმების, გამომსახველობითი საშუალებების ძიებათა პრობლემა, როგორც დღეს დგას ჩვენი მწერლობის წინაშე, რადგან მაღალიდებურ ლიტერატურას უთუოდ უნდა ჰქონდეს შესაბამისი ფორმა. ფორმისთვის ბრძოლა უნდა განვასხვავოთ ფორმალისმისაგან. თვით ოციან წლებშიც ასე იდგა ეს საკითხი; ამიტომაც იმ პერიოდის გამოცდილება უნდა შევისწავლოთ და გამოვიყენოთ დღეს ჩვენს მწერლობაში გაჩაღებული მაღალიდებური და მაღალმხატვრული ნაწარმოებებისათვის ბრძოლაში.

ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების მაგისტრალური გზა მუდამ ეროვნულ, რეალისტურ მწერლობას ეფუძნებოდა. ტრადიციების განვითარება და გაღრმავება თავიდანვე წარიმართა, ერთი მხრივ, პრიმიტივიზმის, ენობრივი ნატურალიზმის, რიტორიკის, შინაგანად გაღარიბებული და გაცვეთილი მხატვრული ფორმების დაძლევის გზით, ხოლო მეორე მხრივ, ქართულმა საბჭოთა მწერლობამ უკუაგდო თავისთვის უცხო და მიუღებელი, დეკადენტური, ხელოვნური გაბუნდოვანება გამომსახველობის მხატვრული ფორმებისა, უარყო ამორფული, ღვლარქნილი, ოჩოფხებზე შეყენებული თეორია — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

სწორედ რეალიზმის საზღვრების განვითარებით, გამომსახველობის ინდივიდუალური საშუალებებითა და ორიგინალური პოეტური ხერხებით, ახალი ფორმების, ფერების, ინტონაციების აღმოჩენით, ადამიანის სულის საიდუმლოებათა წვდომის ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზით იმ წლების საუკეთესო მწერლებმა ახალ ხმაზე ააწყვეს ქართული მწერლობის ინსტრუმენტი და ნიადაგი გაუნაყოფიერეს სოციალისტურ რეალიზმს.

მწერლობა ოდითგანვე იყო მოტრფიალე მშვენიერებისა, ამაღლებულისა და კეთილშობილისა ან უკეთ, როგორც ბარნოვი იტყოდა,

„ვარდუვალა ჭეშმარიტებისა, შეურყეველი კეთილისა, დაუნრდილავი სიმშვენიერისა“. მწერლობიდან ხალხის სულში გადასული ეს ცნებება ცოცხლობს, როგორც სიმბოლო ხალხისა და მწერლობის განუყოფელი კავშირისა. ამავე დროს მხატვრული ფორმა აზრის გაგებინების საშუალებაა: ჭეშმარიტი მწერლობა არა მარტო გამომხატველია მოწინავე აზრისა, არამედ ამ მოწინავე აზრისათვის მხატვრული ფენომენის, ესთეტიკური მნიშვნელობის მიმნიჭებელიც არის.

მწერლობის იდეურ-აღმზრდელობითი მხარე იმდენად მაღალია, რამდენადაც მაღალია და მრავალფეროვანი ამ აზრის გამოსახატავად გამოყენებული მხატვრულ-ემოციური სამყარო. რამდენადაც სუსტია ნაწარმოები მხატვრულად, იმდენად სუსტია მისი აღმზრდელობითი ძალა და გავლენა მკითხველზე. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა; ოციანი წლების მთელ ლიტერატურულ ბრძოლებს მხოლოდ ის აზრი ჰქონდა, რომ მოძებნილიყო ახალი სამყაროს გამომხატვის ადეკვატური მხატვრული ფორმები, რომლებიც ცხოველმყოფელ გავლენას მოახდენდნენ ადამიანების ესთეტიკურ აღზრდაზე. ჭეშმარიტი მწერლობა, მშვენიერი პოეზია მუდამ ხალხის ჭერქვეშ ცხოვრობდა, ხალხისაგან განუყოფელი იყო.

რევოლუციურმა საქართველომ ახალი შინაარსით გაამდიდრა და გამომსახველობათა მრავალფეროვნებით გაალამაზა მწერლობისა და ხალხის ეს განუყოფელი კავშირი. ამ ნიადაგზე შეიქმნა ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები.

ყოველი ერის სულიერი ცხოვრების ისტორიაში მწერლობას დიდი ადგილი უჭირავს. უფრო მეტიც: ერების, ხალხების, ეპოქების ისტორიას ყველაზე დასამახსოვრებლად და საინტერესოდ მხატვრული სიტყვის ოსტატები წერენ. ქართულმა მწერლობამ არა მარტო გამოსახა, მემატიანის სიზუსტით აღწერა ქართველი ერის გმირული ტრაგიკული ისტორია, არამედ გამოაწრთო, წარმართა და წინ წარუძღვა ქართველ ხალხს გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჭირსა თუ ღზინში ქართული მწერლობა გვერდში ედგა ხალხს, ჩააგონებდა, ამხნეევებდა, აქეზებდა და ასე გამოატარა მძაფრ ისტორიულ ქარცეცხლში ქართველი კაცის ეროვნული მეობა და თვითმყოფობა.

რუსთაველი საქართველომ დაბადა, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა საქართველოს უკვდავება მიანიჭა. ქართულმა მწერლობამ შეაკავშირა ქართველი ხალხი ერთ ეროვნულ ორგანიზმად. ქართული მწერლობა ქართველი ხალხის ცხოვრებით ცხოვრობდა, იბრძოდა, იღვწოდა. არ შეიძლება დავიწყება იმ ამაგისა, რომელიც XIX საუკუნის მწერლობამ დასდო ქართველ ხალხს.

მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე ცარიზმის ეროვნული და სოციალური ჩაგვრის უღელქვეშ გზინავდა და ოხრავდა ქართველი ხალხი. სწორედ ამ დროს ქართულმა მწერლობამ ყველაზე დიდი ცხო-

ველმყოფელობა გამოიჩინა, იგი სათავეში ჩაუდგა ქართველ ხალხს, უმეტაურა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მწერლებმა თვითონაც ირწმუნეს და ხალხიც ამ რწმენით აღზარდეს: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს, და ისევე გაიღვიძებს“, „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი... ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“. და ქართველმა ერმა, XIX საუკუნეშივე, ილიასა და აკაკის უგვირგვინო მეფეების ტიტული უბოძა. სწორედ ამ ხანებში კვლავ აღორძინდა საქართველოს ერთიანობის იდეა: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო... ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მამინევე უნდა შევლო“, — წერდა პოეტი და ამ სიტყვებს ფიცივით იმეორებდა მთელი საქართველო, ხალხი იბრძოდა ამ ანდერძის შესასრულებლად.

დიდია ქართული კლასიკური მწერლობის როლი და მნიშვნელობა ქართველი ერის ისტორიაში. ამიტომაც ქართველ კაცს განუზომლად უყვარს, თავი მოაქვს, ამაყობს თავისი კლასიკური ხელოვნებითა და მწერლობით. უბრალო ჭეშმარიტებაა: იმ ერის საქმე, რომელიც მხოლოდ წარსულით ცხოვრობს, მხოლოდ წარსულით იკვებნის, ხელიდან წასულია. ჩვენ, ქართველები ამ მხრივ ბედნიერი ერი ვართ; ჩვენ წარსულიც დიდებული გვაქვს, და თანამედროვე ჩვენი საბჭოთა მწერლობა და ხელოვნებაც ყველა დიდ ერს დაამშვენებდა. ქართულმა საბჭოთა მწერლობამ მემკვიდრეობით მიიღო კლასიკური მწერლობის დიდი საგანძური. მან განავითარა, წინ წასწია მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა. ჩვენს დროში უფრო განმტკიცდა ხალხისა და მწერლობის განუყოფელი კავშირი.

განვლილი წლების მანძილზე ქართული საბჭოთა მწერლობა გვერდში ედგა ქართველ ხალხს და მისი მაღალი სულიერი ინტერესებით ცხოვრობდა. საბჭოთა ეპოქაში დაიბადა, გაიზარდა და დიდ იდეურ-ესთეტიკურ ძალად იქცა ქართული საბჭოთა მწერლობა. ეს მწერლობა საბჭოთა ცხოვრებამ წარმოშვა. ქართულმა საბჭოთა მწერლობამ უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა სახელმწიფოს, საბჭოთა წყობილების განმტკიცებაში.

ამ ხნის მანძილზე არ ყოფილა არცერთი ისეთი დიდი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი აქტი, მოვლენა თუ ფაქტი, რომელიც არ გამოეხატოს საბჭოთა მწერლობას. გაივლის წლები, მოვა სხვა, ახალი თაობა და მას ზუსტად შეუძლია აღადგინოს ჩვენი ეპოქის ხასიათი და სახე, გაიგოს რა ინტერესებით, ფიქრებითა და განწყობილებით ცხოვრობდა ჩვენი ხალხი. საბჭოთა მწერლების წიგნების მიხედვით მას ისევე შეეძლება გაიგოს ჩვენი ეპოქის რთული ხასიათი და ყოფაცხოვრება, როგორც დღეს ჩვენი თაობა ეცნობა გაზრდასულ დღეებს და თავის წარმოდგენაში აღადგენს ჩვენი დიდებული კლასიკური მწერლობის უკვდავი ნიმუშების წყალობით. ქართულმა საბჭო-

თა მწერლობამ საყოველთაო აღიარება პოვა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

რუსთაველი მთელი შვიდი საუკუნის განმავლობაში გვერდით გვედვა, გვაფხიზლებდა, გვაქეზებდა, გვზრდიდა ეროვნული ქედუხრელობის შეგნებით. ის მუდამყამს ჩავეძახოდა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. ისე უკულმართად მოეწყო ჩვენი ისტორია, რომ წინაპრებმა ვერ მოახერხეს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაეტანათ სახელი რუსთაველისა — მსოფლიოს ამ უდიდესი პოეტისა. საბჭოთა საქართველომ კი რუსთაველს ორჯერ გადაუხადა იუბილე და მთელ მსოფლიოს გააცნო მისი გენიალური შემოქმედება. მხოლოდ ჩვენს დროში გახდა ცნობილი ჩვენი სულიერი კულტურის სხვა ქმნილებებიც.

ჩვენს დროში ითარგმნა რუსულ ენაზე, საზღვარგარეთის სხვადასხვა ხალხთა ენებზე და ამ გზით მთელი მსოფლიოსათვის ხელმისაწვდომი გახდა ქართული კლასიკური და თანამედროვე მწერლობის საუკეთესო ნიმუშები: რუსთაველისა და ბარათაშვილის, ილიასა და აკაკის, ვაჟასი და გალაკტიონის, მ. ჯავახიშვილისა და კ. გამსახურდიას, გ. ლეონიძისა და ლ. ქიაჩელის შემოქმედება...

1958 წელს, მოსკოვში, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე, ქართული საბჭოთა მწერლობის შესახებ ითქვა, რომ თანამედროვე ქართული მწერლობა დედამიწის ყოველი კუთხიდან ისე მოიხანს, როგორც იალბუზის მაღალი მწვერვალიო.

დიახ, ასეთ უფართოეს ასპარეზზე გამოიყვანა და დიდი სიმალლე მიანიჭა საბჭოთა საქართველომ თავის პირმშოს — ქართულ საბჭოთა მწერლობას, მაგრამ ვიდრე ასეთ დიდებას და საერთაშორისო აღიარებას მიაღწევდა, მან საკმაოდ რთული და წინააღმდეგობის შემცველი გზა გაიარა.

1921 წლის 25 თებერვალი... ეს თარიღი საქართველოს ახალი ისტორიის დასაწყისია. ამ დღიდან ჩაეყარა საფუძველი საბჭოთა ხელისუფლებას — ქართველი ხალხის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ერა; სოციალიზმის ერა.

1921 წლის 25 თებერვალს სერგო ორჯონიკიძემ ლენინს და სტალინს დეპეშით ამცნო: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“.

ამიერიდან გზა გაეხსნა ქართველი ხალხის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებას.

საბჭოთა ქვეყანა, რომელმაც ბოლო მოუღო იმპერიალისტურ ინტერვენციას და სამოქალაქო ომს, შეუდგა სახალხო მეურნეობის აღდგენასა და მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობას. საჭირო იყო ომის კრილობების მოშუშება, დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა, მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის აღორძინება. პარტიის წინაშე დადგა საკითხი — გამოემუშავენინა პარტიის ახალი გეზი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგში. სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკა, რომელიც აუცილებელი იყო სამოქალაქო ომის მძიმე წლებში, ახლა უნდა შეცვლილიყო ახალი ეკონომიკური პოლიტიკით, ახალ ვითარებასთან, მშვიდობიანი მშენებლობის ამოცანებთან შეფარდებული პოლიტიკით. და პარტია შეუდგა სამეურნეო მშენებლობის საკითხებზე ახალი გეზის შემუშავებას. ეს ურთულესი ამოცანა იყო. ამ მძიმე ამოცანის გადაჭრა დაძაბულ მუშაობას მოითხოვდა სამეურნეო მშენებლობის ყველა ფრონტზე. კლასობრივი მტრების, კონტრრევოლუციური ელემენტების — მენშევიკების, ესერების, ანარქისტების, თეთრ-გვარდიელების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების მთელი საქმიანობა იმ ხანებში მიმართული იყო იქით, რომ გამოეყენებინათ ჩვენი ქვეყნის რთული სამეურნეო მდგომარეობა, დაეთესათ უკმაყოფილება მუშათა კლასსა და გლეხობაში. მაგრამ ლენინის პარტიის სწორმა პოლიტიკამ უზრუნველყო სოციალისტური მშენებლობის წარმატება და ჩაფუშა მტრის ზრახვები.

სოციალისტური მშენებლობის წარმატებასთან ერთად ძირფესვიანად გარდაიქმნა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება, შეიცვალა ხალხის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, შესაფერისად

გარდაიქმნა ადამიანიც. მისი სულიერი სამყარო, სოციალისტური საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციურ გარდაქმნას ცვლილებები მოჰყვა ადამიანთა შეგნებაშიც. მაგრამ, როგორც მარქსიზმი გვასწავლის, „ადამიანთა შეგნება თავის განვითარებაში ჩამორჩება მათს ეკონომიკურ მდგომარეობას“. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ქართველი ინტელიგენციის ძველი თაობის ერთი ნაწილი ადვილად და ერთბაშად როდი შეურიგდა საბჭოთა ხელისუფლებას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლები — ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის მშვიდობიან მუშაობაზე გადასვლის პერიოდი (1921—1925 წწ.) ქართულ ლიტერატურაში მეტად მწვავე სიტუაციით აღინიშნება. ისე, როგორც საერთოდ არ წყდებოდა ჩვენში იდეოლოგიური ბრძოლა, სწორედ ასევე არ წყდებოდა ის ლიტერატურულ ფრონტზეც. ამიტომ იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ჩვენში კვლავ განაგრძობდა არსებობას ან ახლად იქმნებოდა ანტირეალისტური, დეკადენტური იდეების გამომხატველი ლიტერატურული ჯგუფები. მაგრამ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების საქე მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ხელში იყო, ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურა არსებობდა და ეს ძირითადი საზოგადოებრივი ფაქტორი განსაზღვრავდა ამ პერიოდის ქართული კულტურის განვითარების გზას. ეს ისტორიული ფაქტორი უზრუნველყოფდა საბჭოთა ლიტერატურის წარმატებით განვითარებას.

მეორე მხრივ, პროლეტარულ მწერლობას ამ დროს საბჭოთა ლიტერატურისათვის ბრძოლაში ზურგს უმაგრებდა ის მნიშვნელოვანი ტრადიცია, რომელიც უკვე მოპოვებული ჰქონდა მას ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში. ცნობილია, რომ ქართული მწერლობის მაგისტრალური ხაზი, რეალისტური კლასიკური მწერლობის მოწინავე ნაკადი განაგრძობდა განვითარებას ყველა ჯურის ანტირეალისტური სკოლების წინააღმდეგ ბრძოლაში. XIX საუკუნის კლასიკური მწერლობის მოწინავე ტრადიცია, მასში გამოხატული პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის, დემოკრატიზმის მოტივები ახალ საფეხურზე აიყვანა 90—900-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის ახალმა თაობამ (ე. ნინოშვილი, ირ. ევდოშვილი, ჯ. ლომთათიძე, შ. არაგვისპირელი, ნ. ჩხიკვაძე, გ. ქუჩიშვილი და სხვ.). ამ პერიოდის მწერლობის მთავარ თემად იქცა რევოლუციური მუშათა კლასის ცხოვრება და რევოლუციური მოძრაობა. სოციალ-დემოკრატიული პრესის ფურცლებზე დიდი ადგილი ეთმობოდა რევოლუციურ პოეზიას. მწერლობა ამ დროიდან უშუალოდ უკავშირდება რევოლუციური მუშათა კლასის ისტორიას. განსაკუთრებით ძლიერდება მისი ხვედრითი წონა 1905 წლის რევო-

ლუციის ქარიშხლიან დღეებში; შემდეგ ეს ტრადიცია, მიუხედავად რეაქციის წლების მწვავე შემოტევისა, ერთგვარად შენარჩუნებულ იქნა დეკადენტური ლიტერატურული სკოლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა ეპოქაში რევოლუციურ მწერლობას, მუშათა კლასის მხატვრულ სიტყვას თვალსაჩინო ხვედრითი წონა ჰქონდა.

ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაზე, მის რევოლუციურ ხასიათზე უდიდესი წარმმართველი გავლენა მოახდინა სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელმა მაქსიმ გორკიმ. მისმა რევოლუციურმა იდეებმა ფართო გამოძახილი პოვა ქართულ ლიტერატურაში. ირ. ევდოშვილის სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი ასე იგონებს მაქსიმ გორკის როლს ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის განვითარებაში: „მ. გორკის სახელი ყველას პირზე ეკერა, მაგრამ განსაკუთრებით კი აღტაცებას ახალგაზრდობაში იწვევდა. პირველი კითხვა, როცა შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ეს იყო: წაიკითხეთ გორკი?“¹

90—900-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში მძაფრად გაისმა მაქსიმ გორკის მეგრძოლი ხმა. მის საბრძოლო მოწოდებას — „დეე, უფრო მძაფრად დაიგრიალოს ქარიშხალმა“ — ფართოდ გამოეხმაურა ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდის ქართული მწერლობა. და რაც უფრო ახლოვდებოდა 1905 წლის რევოლუციის დღეები, მით უფრო ძლიერდებოდა ეს მეგრძოლი ხმა. ეს ხმა ვერც რეაქციის დრომ ჩაახშო და ვერც მსოფლიო ომის შავბნელმა პერიოდმა. ასე მოიტანა ამ სკოლამ თავისი რეალისტური რევოლუციური ტრადიცია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, რომელსაც შემდეგ ფართო გასაქანი და შესაძლებლობა მიეცა, რაც ეხმარებოდა ამ პერიოდის ქართულ მწერლობას დიდი საბჭოთა ლიტერატურისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ხელისუფლებამ სრულიად ახალი ამოცანები დაუსახა ქართულ მწერლობას. მწერლობა გვერდში უნდა ამოდგომოდა საბჭოთა ხელისუფლებას, უნდა დაეცვა ახალი საქართველოს სახელმწიფოებრივი პრინციპები, ხელი შეეწყო საბჭოთა წყობილების განმტკიცებისათვის, აესახა სოციალისტური სინამდვილის პირველი დღეები, მხარდამხარ მიჰყოლოდა სოციალისტურ მშენებლობას და ამის ფონზე გამოეხატა ახალი სამყაროს მშენებელი საბჭოთა ადამიანის სახე.

1921 წლის 2 მარტს საქართველოს ხელოვნების მუშაკთა საერთო კრებას, საქართველოს რეკომისის სახელით, სიტყვით მიმართა შალვა ელიაშვილი. მან თქვა: „ჩვენ მწერლებს, კულტურის და ხელოვნების მოღვაწეებს დიდ დახმარებას გავუწევთ, რადგან ჩვენ თქვენს საქმიანობას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით ვუდგებით“. დიახ, საბჭოთა სახელ-

¹ „ქართული მწერლობა“, № 5, 1926.

მწიფო მწერლებს; ისე როგორც მთელი იდეოლოგიის ფრონტის მოღვაწეების მუშაობას პარტიული კრიტერიუმით აფასებდა. ლენინის მიერ წამოყენებული და დასაბუთებული ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი, მწერლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპი განსაზღვრავდა მწერლობისა და სალიტერატურო ორგანიზაციების მთელ მუშაობას.

საბჭოთა ხელისუფლებამ ფართო გზა გაუხსნა საბჭოური მწერლობის განვითარებას. ქართველი ხალხის ნიჭიერ სამწერლო ინტელიგენციას შეექმნა ფართო ასპარეზი, მაგრამ მიუხედავად ამისა, საბჭოთა ლიტერატურისათვის ბრძოლა საკმაოდ რთულ პირობებში მიმდინარეობდა, განსაკუთრებით პირველ წლებში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ პერიოდის საბჭოთა მწერლობის მაგისტრალური ხაზის დამკველებს ბრძოლა უხდებოდათ ძველი თაობის იმ მწერლებთან, რომლებიც ახალს ეჭვით უცქერდნენ. ის ფაქტი, რომ ჩვენ გვიხდებოდა, როგორც ლენინი ამბობდა, „კომუნისმის მშენებლობა მონობის, ბატონყმობის, კაპიტალიზმის გამო საუკუნეებითა და ათასწლობით გაფუჭებული მასობრივი ადამიანური მასალისაგან“, აკრთევს ის ფაქტი, რომ ჩვენ სოციალისტურ საზოგადოებას ვაგებდით მტრული, კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, ბუნებრივია, ართულებდა საბჭოთა მწერლობისათვის ბრძოლის ამოცანას.

ამგვარად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში გააფთრებული ბრძოლა წარმოებდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის მაგისტრალური ხაზის დასაცავად. ამ პერიოდის მწერლობის ძირითად ბირთვის, რომელიც იცავდა რევოლუციური მწერლობის მოწინავე ტრადიციას, საბჭოთა ლიტერატურის ინტერესებს, შეუწეული ბრძოლა ჰქონდა დეკადენტურ-ლიტერატურულ დაჯგუფებებთან. ეს დაჯგუფებები ამ წლებში სხვადასხვა ფორმით გვევლინებოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლების (1921—1925 წწ.) ანტირეალისტური ლიტერატურული სკოლების დახასიათებას გვერდს ვერ ავუვლით ქართული ლიტერატურის ხსენებული პერიოდის შეფასებისას.

ცისფერყანწელთა ლიტერატურული კორპორაცია შეიქმნა 1915 წელს, ქ. ქუთაისში. გაზ. „მეგობარი“ (№ 100, 2 თებერვალი 1916 წ.) წერდა: „ცისფერი ყანწების“ ბეჭდვა უკვე დაიწყო. აღმანახი გამოვა შემდეგ პირთა მონაწილეობით: ი. გრიშაშვილი, ა. ჭუმბაძე, ნიკოლორთქიფანიძე, ს. აბაშელი, გ. ტაბიძე, ე. დარჩანი, ა. ფალავა, ალ. ცირეკიძე, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი და პაოლო იაშვილი. ჟურნალის ყდა იქნება დახატული ლაღო ჯაფარიძის მიერ. ესთეტური მანიფესტის ავტორი არის პაოლო იაშვილი“. მათი პირველი ჟურნალი, „ცისფერი ყანწები“ გამოვიდა 1916 წლის 28 თებერვალს. ეს ჯგუფი

ფრიად ნიჭიერ ახალგაზრდობას აერთიანებდა. ამ ახალგაზრდობის უმრავლესობას განათლება ევროპასა და რუსეთში ჰქონდათ მიღებული. ბევრი მათგანი პირადად იცნობდა ათიანი წლების ევროპელ და რუს მოდერნისტებს. ცისფერყანწელები გატაცებული იყვნენ ფორმალისტური ძიებით და მათ პირველად სცადეს ქართულ მწერლობაში ფართოდ გადმოენერგათ მოდერნისტების თეორია და პრაქტიკა.

აღნიშნული ჯგუფი ქართული მწერლობის არსებული მდგომარეობის მძაფრი კრიტიკით გამოვიდა, ბრძოლა გამოუცხადა ქართულ კლასიკურ და თანამედროვე რეალიზმსა და უტილიტარიზმს, განსაკუთრებით ნიშანში ამოიღო რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობა. „ქართული მწერლობის ლიტერატურული ბანალობიდან“ გამოყვანის გზა ცისფერყანწელებმა დაინახეს მოდერნიზმში.

თხუთმეტი წელი უტევდა ეს ჯგუფი რეალიზმსა და ენობრივ ნატურალიზმს, იზიარებდა დეკადენტიზმის იდეალისტურ-სუბიექტივისტურ ფილოსოფიას, მაგრამ თავგამოდებით იბრძოდა ქართული ლექსის განახლებისათვის. ამ მხრივ ცისფერყანწელების ჯგუფი ფრიად მონოლითური და მეგრძოლი იყო ქართულ მწერლობაში. ამ ერთიანობაზე სამართლიანად წერდა 1924 წელს გაზეთ „ბარიკადში“ პ. იაშვილი: „ცისფერყანწელები ერთი პოეტია, ამაშია მისი ძალა. შვიდი წელიწადი გაძვლით ჩვენ გაუძლებელ საქართველოში, რადგან სიყვარულის გარდა ვიცოდით ერთმანეთის პატივისცემა. ნურავითარი სკოლა მწერლობაში ნუ დარწმუნდება, რომ გასტანს, თუ არ იქნება შინაგანი გამტანობა. მხოლოდ ადამიანური ერთობა პოეტებისა ქმნის მათი სკოლის შინაარსს“. ყანწელების მეორე ლიდერი ტ. ტაბიძე იქვე წერდა: „ყოველ ქართველში ცხოვრობს მემამბოხე ლიპარიტ ორბელიანი, მით უმეტეს ეს უნდა იყოს პოეტებში, მაგრამ მემამბოხე პოეტები შვიდი წელია ცხოვრობენ ერთად და მათ გვერდით ათასჯერ გატეხილა სხვა ფრონტი, ჩვენი ფრონტი კი დგას ურყევად... შესაძლებელია თვით პოეზიის კრიზისმა იმდენი ჰქმნას, რომ შთამომავლობას არ დარჩეს (თუმცა ჩვენ ამაზე ყველაზე ნაკლებ ვფიქრობთ) რაიმე დიდი პოეზიის მიღწევები... მაგრამ დარჩება ხსენება იმ ორდენისა, რომელსაც ჰქვია ცისფერყანწელების ძმობა, მეგობრობა, რომელსაც შეადგენს 13 კაცი და ისტორიული ანალოგიით, როგორც 13 ასირელმა მამებმა საქართველოში დასთესეს ორტოდოქსის ქრისტიანობა, ისე ცისფერყანწელებმა ნამდვილი პოეზია... ასე იწყება ცისფერყანწელების მერვე წელი“.

ამ ჯგუფის შემქმნელი, თვით ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ რედაქტორი პაოლო იაშვილი იყო და იგი ბოლომდე დარჩა ჯგუფის ლიდერად. სანდრო ცირეკიძე სამართლიანად შენიშნავდა: „ღირიჟორი ყველგან — პაოლო იაშვილი არის გაბედული არქიტექტორი ორდენის. ატლანტიკით ორივე ხელით უჭირავს ცისფერყანწელების სიმძიმე“.

ამრიგად, იდეოლოგიურადაც და ორგანიზაციულადაც ყანწელები ერთი პრინციპითა და ერთი აზრით გაერთიანებული კორპორაცია იყო. ყოველ კრებაზე, ყოველ დისპუტზე, ყოველ საჯარო გამოსვლაში ისინი ერთად იცავდნენ მოდერნიზმის მრწამსს და ასევე ერთად უტევდნენ მოწინააღმდეგეთა ბანაკს.

„მარცხნივ ფრონტზე დგომა შეგნებული და ჭკვიანი ხალხისათვის ყოველთვის ნიშნავს ახლის ძიებას“, — აცხადებდა პ. იაშვილი. „მარცხნივ ფრონტზე დგომად“ იგი გულისხმობდა ოპოზიციას არსებულის მიმართ, ძველის წინააღმდეგ ბრძოლას. ცისფერყანწელები ქართულ მწერლობაში ახალი პოეზიის შექმნის პრეტენზიით გამოვიდნენ და ეს ახალი გზა ევროპულ და რუსულ სიმბოლიზმს, საზოგადოდ, მოდერნიზმის გზას დაუკავშირეს. ამის გამო იბადება კითხვა: იყო თუ არა ნიადაგი საქართველოში სიმბოლიზმისათვის? — იყო:

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლიტერატურაში დეკადენტიზმი, ყოველი ჭურის მოდერნიზმი იმპერიალიზმის ეპოქამ დაბადა. საქართველოში კაპიტალიზმს, საკუთრივ ეროვნულ ნიადაგზე, იმპერიალიზმის სტადიამდე არასოდეს მიუღწევია, მაგრამ რაკი 90-იანი წლებიდან საქართველო სამრეწველო კაპიტალიზმის საერთო ფერხულში ჩაება, რაკი საქართველო მსოფლიო კაპიტალიზმის ერთიანი ჯაჭვის ერთი რგოლი გახდა, ბუნებრივია, რომ კაპიტალიზმის ცხოვრების წესები გამოხატულებას პოეებდა საქართველოშიც. პარიზული მოდა თბილისის ქუჩებში რომ გეხილათ, ერთი ან ორი თვე იყო საკმარისი. ფეხდაფეხ მისდევდა საქართველო, კერძოდ, თბილისი პეტერბურგისა და პარიზის მოდებს ყოფაშიაც და კულტურულ ურთიერთობაშიც. საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობას ქვეყნის გადარჩენის გზად ევროპეიზმის ეს ახალი კურსი მიაჩნდა.

ევროპული მწერლობის მოდელების მიხედვით ქართული მწერლობის ახალი გზის ძიება ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულში დაიწყო. გაზეთ „კვალსა“ და ჟურნალ „მომამბეში“ გამოჩნდა თარგმანები ედგარ პოსის, ჰაუპტმანის, მეტერლინკისა და სხვათა ნაწერებისა. საქართველოში გატაცებით კითხულობდნენ რუს და უცხოელ სიმბოლისტებს, მათი სახელებითა და ავტორიტეტით ზომავდნენ და აფასებდნენ ქართველი მწერლების ნაწარმოებებს.

თვით რეალისტი მწერლების შემოქმედებაშიაც თავი იჩინა მოდერნისტული სკოლის პრინციპებმა და ფორმებმა: — „სუ! სუ! — მინდოდა მეტქვა მე, მაგრამ ვერ ვთქვი, მხოლოდ კოცნა და ვუწყე, იმიტომ, რომ სიჩუმე იყო საჭირო, იმიტომ, რომ სიტყვებით ვერაფერს გამოვთქვამთ, იმიტომ, რომ უაღრესი სისულელეა, როცა ამბობენ, თითქოს სიტყვებით შეიძლებოდეს თავისი გულის ნადების გამოხატვა... სიტყვებო, საცოდაო ჩემო სიტყვებო, არა, თქვენ არა ხართ ჩემთა ფიქრთა

გამომეტყველო, თქვენ პყრობილი ხართ მძლავრ ბორკილით ჩემსა ტუჩებში“. ამაზე აშკარად მოდერნისტული თვალსაზრისი სიტყვის, როგორც გაგებინების არასრულყოფილი საშუალების შესახებ, არავის გამოუთქვამს ქართულ მწერლობაში. ეს სიტყვები კი ქართული რევოლუციური მწერლობის მებაირახტრეს — ჭოლა ლომთათიძეს ეკუთვნის. ადამიანის მაღალ და საიდუმლო გრძნობათა გამოხატვა არა სიტყვით, არამედ დუმილით და მხოლოდ დუმილით რომ არის შესაძლებელი, ამ აზრის მხატვრულ ხორცშესხმას მიუძღვნა ჭოლამ თავისი მოთხრობა „დუმილი“. აქ აშკარაა მეტერლინკის გავლენის კვალი. რაკილა ქართული რევოლუციური პროზის ბრწყინვალე ოსტატს — ჭოლას შეეძლო დასესხებოდა მოდერნიზმის ფორმალურ საშუალებებს, ეს იმას ხომ არ ნიშნავდა, რომ ქართულ მწერლობაში დადგა საკითხი თვით რეალიზმის საზღვრების გაფართოებისა? ვინც გონების თვლით შეხედავს ამ პრობლემას, ადვილად შეატყობს, რომ XX საუკუნის ათიანი წლების ქართულ მწერლობაზე მოდერნისტული მწერლობის საერთო გავლენა აშკარა იყო. ეს გავლენა ჩანს ლ. ქიჩელის, ნ. ლორთქიფანიძის იმდროინდელ ნოველებში, ალ. აბაშელის, განსაკუთრებით კი, გ.ტაბიძის პოეზიაში. მაშინ არა მარტო დიდი გატაცებით თარგმნიდნენ ედგარ პოს, მეტერლინკის, ბოდლერის, მალარმეს და სხვათა ნაწარმოებებს, არამედ თავადაც ბაძავდნენ მათს ძიებებს აზრისა და ფორმის სფეროში.

ევროპული მწერლობის მხატვრულ მიღწევათა ფონზე უფრო თვალში საცემი გახდა ქართულ მწერლობაში მოძალბებული ენობრივი ნატურალიზმი. XX საუკუნის ათიანი წლებში, მუშებისა და გლეხების წრიდან მწერლობაში მოსული არაპროფესიონალი პოეტები უხვად ბეჭდავდნენ რევოლუციურ-სამოქალაქო ლირიკის ნიმუშებს, რეაქციის წლებში მას მხარს უჭერდა ქართული რევოლუციური პრესა. ამ ლექსებით უფრო აშკარა გახდა ქართული ლექსის გამომსახველობითი საშუალებების ერთგვარი გაღარიბება. ფორმალისტებმა უმაღლეს გამოიყენეს ეს სუსტი მხარე მოქალაქეობრივი პოეზიისა და დაიწყეს თავდასხმა საერთოდ რეალისტური კლასიკური მწერლობის წინააღმდეგ, დაიწყეს ლაშქრობა ილია ჭავჭავაძის რეალისტური კონცეფციის წინააღმდეგ; ისინი საქმეს ისე წარმოსახავდნენ, თითქოს სამოქალაქო, სოციალური და ეროვნული მოტივები ყოფილიყოს მიზეზი ქართული ლექსის გამომსახველობით საშუალებათა გაღარიბებისა.

სინამდვილეში რეალიზმის უძღურება კი არ იყო მიზეზი ქართულ მწერლობაში მოძალბებული ენობრივი ნატურალიზმისა, არამედ ის გარემოება, რომ ქართულ მწერლობაში დემოკრატიზმის იარაღით მასობრივად შემოვიდნენ ნაკლებად პროფესიული, ნაკლებად ნიჭიერი ადამიანები. ასე იყო თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ XX საუკუნის დასა-

დადგა: რა გზებით უნდა მომხდარიყო მწერლობის აღორძინება, ამალ-
ლება მას შემდეგ, რაც მისი არენიდან გავიდნენ ილია, აკაკი, ვაჟა?
რეალიზმის საზღვრების გაფართოებისა, თუ მოდერნიზმის გზით? მო-
დერნისტებმა ქართული მწერლობის განახლების გზა, ენობრივი ნატუ-
რალიზმის დაძლევის გზა დეკადენტური სკოლების პროპაგანდასა და
მათი ფორმალისტური ძიებების გადმონერგვას დაუკავშირეს. „ლექსის
კლასიკური ტრადიციული ფორმები უნდა დაირღვეს, რომ დამკვიდრდეს
ლექსის ახალი მოდერნისტული სტრუქტურა, ახალი ფორმა უნდა
შეიქმნას ძველის უფორმოებისაგან“, — აცხადებდნენ ყანწულები. სა-
ქართველოში ფართოდ გაეხსნა გზა რუსი და ევროპელი მოდერნისტე-
ბის გამოცდილებას და მხატვრულ მონაპოვარს.

მოდერნიზმის ყველაზე ერთგული სკოლა საქართველოში ცისფერ-
ყანწულების სკოლა იყო. ამიტომ სწორედ მათ დაისახეს მიზნად, რუ-
სული და ევროპული მოდერნიზმის კვალობაზე ქართული მწერლობა
ჩამოეცილებინათ რეალიზმისათვის, მოწინავე რევოლუციური ბრძო-
ლისათვის, უარეყოთ ხალხის, საზოგადოების სამსახური. მსგავსად
თავიანთი ევროპელი ძმებისა, ისინი ამტკიცებდნენ: მწერლობას ამცი-
რებს თეორია — ხელოვნება ხალხისათვის. მწერლობა არავის არ ემსა-
ხურება, ის მხოლოდ მწერლობას ემსახურება. იზოლაცია მწერლობისა
საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებისაგან, — აი ამოცანა
მწერლობისა.

დაისახეს რა ამოცანად „მაღალი და წმინდა პოეზიისათვის“ ბრძო-
ლა, ყანწულებმა თავიანთ პირველსავე ჟურნალში სასტიკად შეუტიეს
დიდ ქართველ სამოციანელებს, რომელთაც ქართული მწერლობის
მთავარ ამოცანად ხალხის სამსახური გამოაცხადეს.

„სრულიად შემთხვევითი არ იყო ის, რომ სამოციანი წლების თაო-
ბათა ომი პოეზიის გარშემო ატყდა, — წერდა ტიცინ ტაბიძე, — აქ
არა მარტო თაობათა ბრძოლა, აქ უფრო კულტურათა ბრძოლაა ძველი
ქართულის და ახალი რუსეთის იდეოლოგიების. ქართული პოეზიის ყვა-
ვილს დაუწყვეს შეცვლა რუსულ ხორბლად... ილია ჭავჭავაძე, შეიარა-
ღებული რუსეთის „ესთეტიკის დამრღვეველთა“ არგუმენტებით („ეს-
თეტიკის დამრღვეველთა“ ვამბობ, რადგან ბელინსკი უკვე ცნობილია,
როგორც კანონიერი მამა „უზრდელი ბიჭის“ პისარევის, რამდენად და-
მახასიათებელია ამისათვის ის ციტატი ბელინსკიდან, ილია ჭავჭავაძემ
რომ თავის ისტორიულ წერილს წინ უძღვნა, სადაც ხელთათმანიანი
კავალრები ცეკვავენ) გამოდის ბრძოლის დამწყებად. ერთი ხმა არ ყო-
ფილა შემდეგ მოდგმაში დამარცხებულთა დასაცავად. სამუდამოდ
გადაწყვეტილად იცნეს საკითხი. გრ. ორბელიანის აღელვება აქ ყველაზე
უფრო გასაგებია. იმაში აიმღერა კონსერვატორი ქართველი და ქართ-
ველი პოეტი. ილია ჭავჭავაძის მოკამათე ქალი კნ. ბარბარე ჯორჯაძისა

ვერ იდგა იმ სიმადლეზე, რომ დაეცვა თავისი პოზიცია. მის პოეტურ ფასს ისიც ამტკიცებს, რომ მისი ლექსები უკვე დიდი ხანია დავიწყებას მიეცნენ და დარჩა იმისაგან მარტო „ოჯახის სამზარეულო“, მაგრამ რამდენი სიმართლე იყო ამ შინ გაზრდილ კულისარ ქალის „ანბანთ თეორეტიკაში“, ასე სასაცილოდ რომ აიგდო ილიამ. იყო გამარჯვება სრული: „თერგდალეულთა“, მაგრამ ეს იყო დამარცხება მთელი შემდგომი ხელოვნებისა. ამ დღიდან ამოიშალა ქართულ პოეზიაში ძველი სული. ამ „ცრუ რუსთაველებმა და ლიბერალებმა“ მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ზალად და პოეზია გაზეთად“ (ყურნ. „ცისფერი ყანწები“, № 2).

ტ. ტაბიძე იქვე უმატებს: „აკაკის და ილიას ის უბირატესობა ჰქონდათ, რომ მოქალაქეობრივ მოტივებში ხანდისხან ნახულობდნენ ნამდვილ პოეზიას, შემდეგ მათმა სკოლამ მიიღო კარიკატურული სახე და დღეს უიმედოდ გაჰკივის მოქალაქეობრივი არღანი კაკაფონიას. ყველანი უნიჭო, უსახო, ენაბლუ, ვისაც ხელი არ ელლება, სტანჯავს დღეს ქართულ პოეზიას“. ყანწელები ამგვარ ნიჰილისტურ თვალსაზრისს და დამოკიდებულებას დიდი ილიასა და აკაკისადმი, მოქალაქეობრივი პოეზიისადმი იმ ხანებში თავგამოდებით იცავდნენ.

1922 წელს „ბარიკადში“ ს. ცირეკიძე წერდა: „აკაკი თავის თავს ეძახდა გარემოების საყვირს. ამ დღიდან კაცმა თავისი გრძელი სიცოცხლე პოლიტიკურ მესაზანდრედ იარა და იშვიათად მოიცალა ინტიმური განცდებისათვის. ბევრი უმცროსი დაღუბა მისმა მაგალითმა“. ასე უტევდნენ ცისფერყანწელები საზოგადოებრივ-სამოქალაქო ღირიკას და ამის კვალობაზე XIX საუკუნის მწერლობას.

„მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობა უთუოდ არის ყველაზე დიდი ლიტერატურა ამავე ეპოქის ახლო აღმოსავლეთის მასშტაბით... მაგრამ ეს ლიტერატურა მაინც ვერ იდგა თანამედროვე ევროპული ხელოვნების მთელ სიმადლეზე და ვერ შეეფერება საქართველოს ბრწყინვალე ტრადიციებს. ჩვენ ვიცით ეპოქები, როცა ქართული მწერლობა წარმოადგენდა უადრესად მნიშვნელოვან მოვლენას მსოფლიო ხელოვნების საზომით. ხოლო მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობა მსოფლიო, ამ შემთხვევაში ევროპული ხელოვნების რადიუსით არის პროვინციული ლიტერატურა: თავისი ვიწრო შემოფარგვლით, პროვინციული ინტერესებით და ესთეტიკური გაუმართაობით“, ვკითხულობთ „რუბიკონის“ 1923 წლის პირველ ნომერში.

და, აი, ცისფერყანწელები გამოდიან პრეტენზიით, რომ მათ უნდა იხსნან ქართული პოეზია ამ „პროვინციულობისაგან“. „რუბიკონელები“ იქვე შენიშნავენ: „მეოცე საუკუნის უკანასკნელი ათეული წლები უთუოდ არის ერთნაირი უღელტეხილი ქართული მწერლობისა. ქართულს მწერლობაში შემოდის ახალი ესთეტიკური კულტურა. ქართული მწერლობა თავს აღწევს გაუვალ პროვინციულობას და ექცევა

მსოფლიო ლიტერატურის საერთო რკალში“ („რუბიკონი“, № 1, კვირა, 21 იანვარი, 1923 წ.).

იმავე „რუბიკონში“ ვკითხულობთ: „რითმა სტრიქონის ბრწყინვალე მსაჯულია... რითმის გამართვაში „ყანწულებმა“ გადამწყვეტი როლი ითამაშეს და შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე რითმა მათი შექმნილია“ (ვ. გაფრინდაშვილი, „რუბიკონი“, № 2, 1923 წ.).

„პოეტური გვირგვინები დაადგეს ისეთ მგოსნებს, რომელთაც არავითარი კავშირი პოეზიასთან არ ჰქონიათ იმის გარდა, რომ ბეჭდავდნენ თავის ლექსებს. ქართული პოეზიის გმირული ხანა იწყება ცისფერყანწულებით. მე ვიზიარებ პაოლო იაშვილის აზრს, რომ ყანწულებამდე ლიტერატურული სკოლა ამ სიტყვის სწორი მნიშვნელობით საქართველოში არ არსებობდა, თუმცა კიტა აბაშიძემ დაჰყო მწერლები სკოლებად“ (ვ. გაფრინდაშვილი, „რუბიკონი“, № 8, 1923 წ.).

ქართველმა სიმბოლისტებმა, ევროპელი და რუსი სიმბოლისტების მსგავსად ქადაგება დაიწყეს ორი სამყაროს — რეალური და ირეალური — სამყაროს არსებობისა. ყანწულების ესთეტიკას საფუძვლად დაედო სუბიექტური იდეალიზმი. მათი აზრით, ეს რეალური სინამდვილე ყალბია, მიღმა ქვეყნის, მეორე სინამდვილის მოჩვენებითი ფორმა. მწერლობის ამოცანაა „აბსოლუტური“, „მუდმივი სინამდვილის“ ამოცნობა, მაგრამ რეალიზმის მიერ გამოყენებული ხერხები გამოუსადეგარია საიქროს შესაცნობად. ამიტომ არა აღწერა სიტყვების საშუალებით მოვლენებისა და ფაქტებისა, არამედ ინტუიციით განჭვრეტა, სიმბოლოებით მინიშნება — ერთადერთი გზაა აბსოლუტის შემეცნებისა.

ცისფერყანწულებმა ქვეყნიერების ასახვის რეალისტურ მეთოდს დაუპირისპირეს სიმბოლიზმის მეთოდი — მიღმა ქვეყნის განჭვრეტა სიმბოლოების საშუალებით.

„მოვლენათა სწორი ასახვა საქმეა ფოტოგრაფის და მეცნიერების... მოვლენების იქით საგნები იზმორებიან უცხონი. სოფელს დიდი ხანია გაუჩნდა ორეული და მოჩვენებებით დასახლდა ქვეყანა. გაიცრია ფირუზის ცა, აინგრა ზურმუხტის ხმელეთი და მოისმა სუნთქვა ქაოსის. აქ აღარ გამოდგება კოდაკის აპარატი. ორი თვალი ადამიანის დაძველდა. პოეზია და რელიგია იხედებიან მოვლენათა გადაღმა და მათათვის საჭირო შექმნა ათვისების და გამოთქმის ახალი ფორმები... მოვლენა პოეტის რეკომენდაციით — დადალული ღირებულებაა: „ვაძლევ ქიმერებს მე — პოეტი აზნაურობას“, ამბობს ვალერიან გაფრინდაშვილი... ნივთები ათვისებიან — როგორც ნიშნები გამოუთქმელის და სახეები ზღებიან ღირებულებად... პოეტი არ შეიძლება იყო ნატურალისტი, ის ვინც ენდობა ორ თვალს, ვერ იგარძნობს უფსკრულებს ნივთიერების შუა... ვალერიან გაფრინდაშვილის თქმით — პოეტი აშორდიაა და მისი სახეები

— ყალბი აზნაურები. პოეზია ქვეყნის ბუტაფორული გამართლებაა“, — წერდა სანდრო ცირეკიძე („მეოცნებე ნიაშორები“, იანვარი, წიგნი V, გვ. 11—12, 1921 წ.).

აქ გაზიარებულია სიმბოლიზმის მოძღვრება მიღმა ქვეყნის შესახებ ან, უფრო სწორად, ორი სამყაროს შესახებ: პოეზიის სამყაროა მეორე სამყარო, საიქიო. ამის მიხედვით სიმბოლო უნდა გახდეს კავშირი, ხიდი ამ ორ ქვეყანას შორის.

„თავის უკვდავ სონეტში „შესაბამება“, რომელიც სიმბოლიზმის მთელ თეორიას შეიცავს, ბოდლერი ამბობს: „არსებობს კავშირი შორეულ საგანთა შორის. როდესაც პოეტი ამ საიდუმლო კავშირს (მალარმეს სიტყვით — ანალოგიას) ნახულობს, ჩვენ განვიცდით მარადისობის გრძნობას. ხელოვნებაში ხვდება ერთმანეთს ორი წინააღმდეგი მოვლენა — მახინჯი და ლამაზი და ამ მისტიური შეხვედრიდან იზადება ახალი ესთეტიკა. მახინჯი არის ვაჟური დასაწყისი, ლამაზი — ქალური. პირველში სჭარბობს იდეა, მეორეში კი ფორმა“, — წერს ვ. გაფრინდაშვილი („მეოცნებე ნიაშორები“, წიგნი V, გვ. 15, იანვარი, 1921 წ.).

ასეთია სიმბოლისტების თეორიული მრწამსი, ასეთივეა მათი მხატვრული პრაქტიკაც:

რად სხვანაირობს შენი ცქერა და რად მაწვალებს,
გული პირბაღით დაბინდული, რად მენავსება?
იღუმალ თრთოლვით შე ვუცქერი შენს ცისფერ თვალებს,
მაშინებს მუდამ საკვირველი მათი მსგავსება.
და ამ ორ თვალში რომელია ყალბი, მართალი,
ჩემმა ოცნებამ ვერასოდეს ვერ გაარჩია...
ო, რა უცხოა შენი თვალი, მხიბლავი ყალბად —
ნეტავი იმას, ვინც ამ თვალში ნაზად გაკოცებს!
თვალის მაგიერ შენ ძვირფას ქვას მუდამ ატარებ,
რომ მე ყოველთვის ვიოცნებო ხელოვნურ თვალზე.

ეს სტრიქონები ვ. გაფრინდაშვილს ეკუთვნის.

მისტიციზმის, რელიგიის, ბოჰემის, სიმახინჯის აპოლოგია ცისფერ-ყანწულების პოეზიის კუთვნილებად იქცა. დეკადენტური მწერლობის ეს მოტივები ყანწულების შემოქმედებაში ფართო გამოხატულებას პოულობდა.

„დღეს პოეზიას ქმნის ბოჰემა. ამ პოეზიას მედუზის სახე აქვს. ბოჰემამ გარდაქმნა თავისი სიღარიბე და კეთილშობილ აჩრდილად აქცია სიგიჟე და, თვითმკვლელობა“, — წერდა ვ. გაფრინდაშვილი („მეოცნებე ნიაშორები“, იანვარი, გვ. 15, 1921 წ.).

ყანწულები მარტო მანიფესტებსა და დეკლარაციებში კი არა, კრატულ წერილებსა და ლექსებშიაც თანამიმდევრულად იცავდნენ სიმბოლიზმის ძირითად მოტივებს. ბოჰემის, სიგიჟის, სიკვდილის

აპოლოგიაა გამოხატული ვ. გაფრინდაშვილის ლექსში „ბოკემის მონოლოგი“:

სამარცხენოა პოეტისათვის სხვა კარიერა,
გარდა თვითმკვლევობის.
არ მსურს ვიყო ვიქტორ ჰიუგო ან აკაკი,
მე მირჩენია დავიღუპო, როგორც ბოკემა.
სამარცხენოა პოეტისათვის სხვა კარიერა,
გარდა სიგიჟის!
პოეტისათვის მე ვიწამე ეს კარიერა:
სიგიჟე, ქლეჭი და თვითმკვლევობა.

ეს ორთოდოქსული, სიმბოლისტური ლექსია, პოეტური მრწამსითა და განწყობილებით.

„ლამაზი უშუალოა და პრიმიტიული, — წერდა ვ. გაფრინდაშვილი, — მახინჯი რთულია და სიმბოლური. მახინჯი დინამიურია, ლამაზი სტატიურია. მახინჯი, როგორც უცნაურობის წყურვილი, არის ხიდი სინამდვილესა და საიქიოს შორის“ („მეოცნებე ნიამორები“, № 5, 1921 წ.):

არ მაშინებდა ბრწყინვალე სარკე,
დალაქის თეთრი სამართებელი,
შენ ანგელოზი უკვე დაკარგე,
ორეულია შენი მხლებელი.
ნორჩი ქალწულის გიყვარდა ბინა,
ახლა კი ქალი ჩაჭენილ თვალთ,
ვით სილამაზე, შენ მოგველინა
და იმას უცქერ ავი კანკალით.

(ვ. გაფრინდაშვილი — „იავ-ნანა სამგლოვიარო“, „დაისები“, გვ. 70).

მახინჯი თითქოს რაღაცნაირად ირაციონალურთან აახლოებდა პოეტებს. „ბოლოს და ბოლოს, ხელოვნება იმდენად არის მისაღები, რამდენადაც იძლევა ის საიქიოს წინათგარძნობას: მახინჯი ირაციონალურია და ის აკმაყოფილებს ჩემს პოეტურ მოთხოვნილებას და ღტოლვას საიქიოსადმი“, — აცხადებს ვ. გაფრინდაშვილი.

— „ცისფერი ყანწელების“ გამოსვლა იყო ახალი პოეტური შეგრძნება სამყაროსი, — ჩვენში დღემდის მისტიკურ ლექსად ცხადდებოდა უძველო სიტყვების კორიანტელი და ისტერიული ტირილი. ამ გზით მისტიკური თრთოლვა არ გამოითქმება. ეს პროვინციალური შემოქმედებაა. მისტიკის ნამდვილი შინაგანი განცდა ყანწელებმა მოგვეცა“, — წერს შ. აფხაიძე და იქვე უმატებს, — „შინაგანი რელიგიით მოდის პაოლო იაშვილი ლექსების უკანასკნელი ციკლით, ვალერიან გაფრინდაშვილი ქრისტიანული სიღრმით და ტიცციან ტაბიძე, რომლის პოეზიაში ხშირად ვგრძნობთ კათოლიკურ რიტუალს და გესმის ორღანის დაწ-

მენდილი ხმები“... („მეოცნებე ნიამორები“, № 1, 1919 წ.). ყანწელები მისტიციზმით გაემიჯნენ სამოქალაქო ლირიკის მოტივებს და ამ ნიადაგზე ახალი ლექსის მეთაურებად გამოაცხადეს თავიანთი თავი.

არა რეალური ცხოვრება, არამედ ლანდის ცხოვრება: „სარკეში დანახული ორეული არის სიმბოლო და ხმა შორეული“:

გაბედე მხოლოდ, უარყავი
ეს ყოფნა ძნელი,
სინათლე მზისა და დღეების
გამეორება,
და შენ მიხვდები, თუ რა არის
მთვარის სურნელი
და შენ გაიგებ, თუ რა არის
ლანდით ცხოვრება.
აეახელ თვალებს და გაქრება
ლანდთა ღრუბელი,
ჩემ წინ ბოდღური, გადამლილი
ვით სახარება
გიყურ თვალებით შემომხედავს
ჩემი ვრუბელი
სინამდვილეში დაბრუნება დამეზარება.

ვ. გაფრინდაშვილი.

ყანწელების ლექსები, კრიტიკული და თეორიული წერილები წმინდა წყლის მოდერნისტული მიმართულების მოდელეებზე არის გამოჭრილი, ამავე დროს ნიჭიერად და ორიგინალურად გააზრებული გაქართულებულია.

რაკი ქართველმა სიმბოლისტებმა, ფრანგი და რუსი სიმბოლისტების მსგავსად, მწერლობის ამოცანად დასახეს ჩვეულებრივი მხედველობითა და სმენით მიუწვდომელი სამყაროს — საიქიოს გამოხატვა, ბუნებრივია, ჩვეულებრივი თვალისათვის შეუცნობელის შეცნობა უჩვეულო, მწერლობისათვის მანამდე უცნობი საშუალებებით უნდა მომხდარიყო. ეს ხან სიმბოლოები იყო, ხან განგებ დანისლული და გაუგებარი ქიმერები, ხან ექსტრაორიგინალობის მანიით, მისტიკური ცნებების გამოყენებით გართულებული ლექსი. ამ გზით მათ მწერლობა სახალხო დანიშნულებას მოწყვიტეს და იგი გამოაცხადეს რჩეულთა კუთვნილებად, ვიწრო წრის საკუთრებად, მწერლობა გამიჯნეს ხალხისაგან, პოლიტიკისაგან და რეალიზმის წინააღმდეგ დაიწყეს ლაშქრობა.

„ბესიკისაგან პოლიტიკისა და პოეზიის სფეროთა გაყოფა, მით უფრო დასაფასებელია, რომ ის იყო კანცლერი იმერეთის მეფის სოლომონის... აკაკი წერეთელმა „გარემოების საყვირით“ ძალიან ბევრი იყვირა. ყველა ეს ლექსები ბანკის ოპოზიციაზე, ადვოკატობაზე დარჩება, როგორც პოლიტიკური სატირის არანიჭიერი ნიმუშები“ (ტ. ტაბიძე, „ცისფერი ყანწები“, № 2).

„მალარმემ უარყო პოეზიაში აღწერილობა და მოთხრობა. მაგრამ არც ერთ მათგანს არ უმუშავებია ეპითეტზე ისე, როგორც მალარმეს... სიმბოლური ეპითეტი არ გავს რეალისტურ ეპითეტს, რომელიც ყოველთვის განსაზღვრულია და მცირე მისიით გამოდის პოეზიის საჭიროთაზე. რეალიზმი არის უხეში ანარეკლი სინამდვილის, სიმბოლიზმი კი არის ქმედითი ფერიცვალება ქვეყნიერებისა, როგორც ესთეტიკური ფენომენის, როგორც სიმბოლოსი, რომელიც მოითხოვს შთაგონებულ გამოცნობას. მალარმე აზროვნებს სიმბოლოებით, რომელიც როგორც გრძნეული სარკეები იძლევიან სინამდვილის უამრავ სახეებს. სახე ყოველთვის ერთია, სიმბოლო კი მრავალსახიანი. მისი შინაარსი უძიროა და ამოუწურავი, რაც სიმბოლოს აძლევს ცხად უპირატესობას, როგორც პოეტურ შემოქმედებითს მეთოდს“, — წერდა ვ. გაფრინდაშვილი („მეოცნებე ნიამორები“, № 2, გვ. 14, 1919 წ.).

ამ წერილში ვ. გაფრინდაშვილი თანამიმდევრულად იცავს და ასაბუთებს რეალიზმის წინაშე სიმბოლიზმის მეთოდის უპირატესობას, ის ბოლომდე ერთგულია ფრანგი სიმბოლისტების თეორიისა და პრაქტიკისა, კერძოდ, მალარმეს შეხედულებათა მალმერთებელია და მიმდევარი. ვ. გაფრინდაშვილი წერს: „მალარმე ანთავისუფლებდა სიტყვას ყოველდღიური ცხოვრების სამარცხვინო გავლენისაგან... მალარმეს ყურადღებას არ იპყრობდა პოლიტიკა. მალარმემ შექმნა ოთახის ესთეტიკა. რასაკვირველია ოთახის თვალსაჩინო კატეგორია არის სარკე. შეიძლება მალარმე არის პირველი პოეტი, რომელმაც მიაქცია ყურადღება სარკეს, როგორც შემოქმედების საგანს. მალარმემ მოგვცა სარკის პოეზია, სარკე ხომ უდიდესი სიმბოლოა ჩვენი ყოფნის, არაფერი ისე მისტიკურად არ გამოხატავს ჩვენი ყოფნის ლანდურობას, ჩვენს ორობას, ჩვენს კავშირს წარსულთან და მომავალთან, როგორც სარკე“ (იქვე, გვ. 10).

ჟურნალ „ხელოვნების“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიის (იხ. ჟურნალი „ხელოვნება“, 1921 წ., № 3. „თეატრი — ტიტანიკი“) ვ. გაფრინდაშვილი თეორიულად ასაბუთებს სიმბოლიზმის დებულებას სარკის ორეულის თაობაზე: „თეატრი არის ცხოვრების სარკე და ექვივალენტი. მაგრამ სხვა პარალელიც შეიძლება: თეატრი არის ცხოვრების გარდაქმნა და ფერისცვალება. ბოლოს და ბოლოს, ყოველი შემოქმედება არის ნილაბი. თეატრი ცხოვრების ნილაბია. ყოველივე ის, რაც ხელოვნება არის, სინამდვილის გარეშე დგას და სინამდვილეს არ ემორჩილება. ხელოვნება იმეორებს ცხოვრებას, მაგრამ ის, რაც ხელოვნების სარკეში ჩნდება სასტიკი ირონიით უცქერის თავის ორიგინალს... რაც სარკეში ჩნდება, ის ყოველთვის უფრო იდეალურია, ვიდრე ის რაც სარკის წინ დგას“. ორეულების, მოჩვენებისა და ლანდების გვერდით ქართულმა სიმბოლისტებმა პოეზიაში დაასახლეს მითი. 1922 წელს ვ. გაფრინდაშვილმა გამოაქვეყნა ყანწელების დეკ-

ლარაცია (იხ. „შეოცნებე ნიამორები“, № 7). მის წერილში ვკითხულობთ: „პანი მოკვდა, გაიმარჯვა ქრისტიანობამ... ყველაზე უფრო დიდი მითი ახალი დროისა იყო ქრისტი... წარმართულმა და ქრისტიანულმა მითოლოგიამ, დაკარგა თავისი კავშირი ჩვენს შეგნებასთან და პოეტიც სხვა ობიექტებს ეძებს თავისი შემოქმედებისათვის. ძველი მითები არავის არ წამს. იმავე დროს ჩვენ გვინდა მითი, ჩვენ გვწყურია მითი... ღმერთების ადგილს იჭერენ პოეტები და ძველი ანტიკური გმირების ადგილს იკავებენ ახალი გმირები (ოფელია და ჰამლეტი)“.

ამნაირად, იქმნება ახალი მითოლოგია, რომლის გმირები არიან არა მარტო ღმერთები, არამედ პოეტები და მათგან შექმნილი მანეკნები... ყოველივე ეს იყო ცდები ქართული მწერლობა ჩამოეცილებინათ ყოველდღიური საზოგადოებრივი კითხვებისაგან. მწერლობა გაეთავისუფლებინათ ხალხის, საზოგადოების სამსახურისაგან; სინამდვილის უარყოფა, საზოგადოებისაგან ხელოვნების ჩამოცილების ცდა, მისტიციზმში ძიება ხსნისა იყო ანასხლეტი იმ პოლიტიკური და სოციალური განწყობილებისა, რომელიც რეაქციისა და პირველი მსოფლიო ომის წლებში მძიმე ბურჟუაზი ჩამოაწვა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ცას. ქართველ სიმბოლისტებს, ამ ნიჭიერ ახალგაზრდებს, არ აღმოაჩნდათ რთულ სინამდვილეში გარკვევის სურვილი, მისწრაფება, რევოლუციის ძალების რწმენა.

„მათი სახარება“ იყო ვერლენის, ბოდლერის, მალარმეს პოეზია, ასევე იწამეს მათ რუსი სიმბოლისტების — ა. ბლოკის, ა. ბელის, ვ. ბრიუსოვის, კ. ბალმონტის მოძღვრება. ისინი მათი სულიერი მონათესავენიც იყვნენ და „ახლობელი ძმებიც“. და მაინც, ქართული სიმბოლიზმი არ იყო ევროპული და რუსული სიმბოლიზმის უბრალო გადამღერება. მას უთუოდ ჰქონდა საკუთარი ეროვნული ტკეცილები და ნიადაგი.

ცისფერყანწელებმა ქართული მწერლობის ტრადიციებთან დამოკიდებულების საკითხი მას შემდეგ დააყენეს, რაც ისინი ეურნალ „ცისფერი ყანწების“ გამოსვლისთანავე კოსმოპოლიტებად და ნიჰილისტებად გამოაცხადეს. ამასთან დაკავშირებით, ტიციან ტაბიძე „ცისფერი ყანწების“ მეორე ნომერში წერდა: „ცისფერი ყანწებით“ იწყება ახალი პერიოდი ქართულ მწერლობაში“. ამ კატეგორიულ განცხადებას მოსდევდა ქართული მწერლობის ისტორიის განხილვა: „ძველი ქართული მწერლობა იწყება რუსთაველით და თავდება ბესიკით. ამ ორ პოეტში საქართველომ შეკრიბა მთელი თავისი მხატვრული ენერგია... რუსთაველისათვის სასმენლად მარგებლობა მოკლებულია იმ ვერაგულ ვაგებას, რომელიც მისცეს მას უტილიტარისტებმა. ესთეტიკაში უფრო საგულისხმოა, რომ რუსთაველი იცავს პრიმატს მუსიკისას ლექსში, რაშიაც ის ხედება ედგარ პოს და პოლ ვერლენს... რუსთავე-

ლის შემდეგ უდიდესი პოეტი იყო ბესიკი. ბესიკი აგრძელებს რუსთაველის პოეტიკას... ენის მუსიკალური ენერჯის ჯაღოქრობა იმას აიყვანს ქართული სიმბოლიზმის მამამთავრად, როგორც ფრანგმა სიმბოლისტებმა აიყვანეს რონსარი და რუსებმა თ. ტიუტჩევი. ბესიკისაგან პოლიტიკისა და პოეზიის სფეროთა გაყოფა დასაფასებელია“...

ამის შემდეგ ტ. ტაბიძე განიხილავს ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებას და ასკვნის: „აქამდე ქართული პოეზია კიდევ გრძნობს კავშირს ძველ პოეზიასთან, მათი შემაერთებელი სწორი ხაზი ილუნება, მრუდდება, მაგრამ გამოსავალი მაინც ძველში აქვს. ასე ვუახლოვდებით მესამოცე წლებს, სადაც ეს კავშირი სამუდამოდ წყდება და იქმნება ახალი იდეოლოგია“.

ტ. ტაბიძე აქედან იწყებს სამოციანელების დალაშქვრას, მათი რეალიზმის, უტილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას: „თავიანთი გაადვილებული ორთოგრაფიით იმათ დამარხეს ქართული ლექსი... ერის სული ფეთქავს კულტურულ ატავიზმით ვაჟა-ფშაველაში“.

ამგვარად, ტ. ტაბიძე ამ წერილში ცისფერყანწელების წინამორბედებად აცხადებს რუსთაველს, ბესიკს, ვაჟა-ფშაველას და ბრძოლას უმართავს სამოციანელებისა და რევოლუციონერ-დემოკრატების რეალიზმსა და უტილიტარიზმს.

„პროვოკატორები აქ იტყვიან, — წერდა პაოლო იაშვილი, — თითქოს ჩვენ ერის წინაშე მოვალეობას მეორეხარისხოვან საკითხად ვთვლიდეთ, ესე იგი, თითქოს ჩვენთვის არ არის მთავარი მიზანი ის, რომ ვიყოთ პოეტები მხოლოდ ჩვენი ერისა და ჩვენი ერისთვის... პოეტი, რომელსაც შემოქმედების მთავარ იარაღად აღებული აქვს სწოვლიური სიტყვა, რჩება თავისი ხალხის პოეტად, თუნდაც მთელი ერი მისი წინააღმდეგი იყოს... ჩვენი ფიქრი ყოველთვის მიმართული იყო პოეზიის მსოფლიო არესაკენ... სინდისიერად ვცდილობთ და ვამუშავებთ ყველა იმ პრობლემას, რომელიც დღეს არსებობს მსოფლიო პოეზიაში“ (პ. იაშვილი, „ბარიკადი“, № 1, 1924 წ.).

ყანწელებმა მიზნად დაისახეს ქართული ლექსის განახლება „მსოფლიო პოეზიის რადიუსით“, ამ პრინციპით დაუკავშირდნენ ისინი მაშინდელ მოდერნისტულ „მსოფლიო პოეზიას“. „ვაჟა-ფშაველა იყო უკანასკნელი ქართველი პოეტი, რომელმაც ამოწურა საქართველოს საშოს ნიადაგი. შემდეგში, როგორც არ დაიბადება მეორე კახაბერი, ისე არ იქნება მეორე ვაჟა-ფშაველა... ყანწების მისია იყო და რჩება გამართოს ქართული პოეზია მსოფლიო რადიუსით“, — წერდა ტ. ტაბიძე („მეოცნებე ნიამორები“, № 10, გვ. 16, დეკემბერი, 1923 წ.). ქართველმა სიმბოლისტებმა, კერძოდ, ყანწელებმა გეზი ევროპისაკენ აიღეს: „საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი. ადიდე, ხალხო, ეს ჩვენი მრისხანე ქალაქი, სადაც გიჟური გატაცებით ჯამბაზობდ-

ნენ ჩვენი ლოთი ძმები — ვერლენი და ბოდლერი, მალარმე სიტყვების მესაიდუმლე და არტურ რემბო, სიამაყით მთვრალი, დაწყვეტილი ჭაბუკი“ (პაოლო იაშვილი; „ცისფერი ყანწები“, № 1, „პირველთქმა“). ასე გამოუცხადეს ძმობა ფრანგ სიმბოლისტებს ყანწელებმა: ასე გაემიჯნენ ისინი ქართულ რეალიზმს და მაინც საქართველო იყო მათი სალოცავი ხატი. აკი ამბობდნენ კიდევ: „საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი“.

ყანწელებისა და ქართული მოდერნისტების უმრავლესობას განათლება ევროპაში ჰქონდათ მიღებული, იქ ყოფნის დროს ისინი ეზიარნენ ბურჟუაზიული ევროპის „ყველა მხარეს“. თვით ესაუბრნენ მოდერნისტების ცნობილ წარმომადგენლებს და მათგან მიიღეს პირველი დალოცვა. პარიზის „ლათინურ უბანში“ და ყავახანებში, კაფე „როტონდაში“ უსაუბრიათ და უკამათიათ მათ იმპრესიონისტებთან და ექსპრესიონისტებთან, დეკადენტ მხატვრებთან და მწერლებთან.

„ქართველ ევროპელებში“ უნდა მოვიხსენიოთ: პ. იაშვილი, ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე, კ. გამსახურდია, ნ. ლორთქიფანიძე, არ. ჭუმბაძე, გ. ქიქოძე, მიხ. ჯავახიშვილი, ლ. ქაჩელი, ე. ახვლედიანი, ქ. მაღალაშვილი და სხვანი და სხვანი... მერე საქართველოში დაბრუნებულებს ყველას თავისებურად გამოუყენებია პარიზის, ბერლინისა თუ შვეიცარიის სკოლა.

პირველი კითხვა, რომელზედაც პასუხის გაცემა სცადეს ყანწელებმა, იყო — რა არის სიმბოლიზმი? ამ კითხვას, ჩვენი აზრით, ნიჭიერად გაართვა თავი ტიციან ტაბიძემ თეორიულ წერილში „ცისფერყანწებით“.

„ქალაქმა შექმნა ახალი სახეები, აქ ჩაეყარა საფუძველი ლიტერატურულ სკოლას, რომელიც ცნობილია სიმბოლიზმად. სიმბოლიზმი, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მომწიფდა, კლასიკურ სკოლად იქცა და ერთი თვალთ უყურებს კიდევ თავის საფლავს, დღემდის არ არის ჭეროვნად განმარტებული... რა არის სიმბოლიზმი? კითხულობს რემი-დუ გურმონი (იხ. შესავალი წიგნის „წიგნი ნიღბთა“). თუ დავეყრდნობით სწორ გრამატიკულ მნიშვნელობას სიტყვისას თითქმის არაფერი. თუ კითხვას გავეწევთ განზე, მაშინ იმას შეუძლია აღნიშვნა იდეათა მთელი რიგის: ინდივიდუალიზმი ლიტერატურაში, შემოქმედების თავისუფლება, დასწავლილი ფორმულების უარისყოფა, ლტოლვა ყოველივე არაჩვეულებრივისადმი, უცნაურისადმი კი. ის ნიშნავს კიდევ იდეალიზმს, სოციალური რიგის ფაქტების უგულებელყოფას, ანტინატურალიზმს, ტენდენციას, მიმართულს იქით, რაც არის ცხოვრებაში დამახასიათებელი, ტენდენციას მხოლოდ იმ ხაზების გადმოცემისას, რომელიც ერთ ადამიანს მეორისაგან ანსხვავებს. სურ-

ვილს, დაიჭირო ის, რაც არსებითია“... ჩვენ ვიღებთ ამ ფორმულას და გვინდა ვცადოთ გარკვევა, როგორ გამოიხატა ის ქართულ მწერლობაში. პირველად უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ კრიტიკაში ირევა ორი მცნება. სიმბოლიზმი, როგორც მეთოდი და სიმბოლიზმი როგორც სკოლა. ეს, რასაკვირველია შეცდომაა, მაგრამ უფრო უარესია როცა ირევა ერთმანეთში სიმბოლიზმი და ალეგორია... ამას ჩვენში ბევრჯერ ჰქონია ადგილი. სწორედ აქედან დაიბადა ლეგენდა ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტობის... არის ანალოგია ამ შემთხვევაში სიმბოლიზმისა რომანტიზმთან: ინდივიდუალიზმი, ლირიზმი, მეტაფიზიკური შეცნობა, ძიება ლექსის და რიტმის სფეროში... რამდენად არის ჩვენი მწერლობა სიმბოლიზმისგან კვლადამჩნეული? ...გალაკტიონ ტაბიძის პოეზია ამტკიცებს რომ ის გაზრდის შხამიან ყვაველს სიმბოლიზმისა... სიმბოლიზმი ჩვენში რომ უცხოეთიდან მოდის ამაში არაფერი საფრთხე არ არის... ცისფერყანწულებს კი მოაქვთ ჩვენში ნამდვილი მოდერნიზმი, ჩვენში მზად არის ნიადაგი მოდერნიზმისთვის... ამნაირად ყველა არგუმენტი იქითკენ არის, რომ სიმბოლიზმი აუცილებელია“.

(ეურნალი „ცისფერი ყანწები“, № 1,2).

ამბობენ, ქართული სიმბოლიზმი — ცისფერყანწულების სკოლა ეკლექტიკური მიმართულება იყო. ეს მართალია, მაგრამ იგივე ნიშანთვისება არ ახასიათებს ფრანგულსა და უფრო მეტად რუსულ სიმბოლიზმს? და მაინც ამბობენ: ფრანგული სიმბოლიზმი. რუსულში უფრო რთულია ეს ზიგზაგები, არა მარტო პეტერბურგელ და მოსკოველ ჯგუფებად იყოფიან რუსი სიმბოლისტები, არამედ სხვა ნიშანთვისებებითაც.

ქართულ სიმბოლიზმსაც მრავალი შენაკადი აქვს. აქ გვხვდება იმპრესიონისტულ, დადაისტურ, ექსპრესიონისტულ და თვით ფუტურისტულ სკოლათა შენაკადები და ყველა ამ სახეობას სრულად და ტიპურად „ცისფერყანწულთა სკოლა აერთიანებდა“. ეს სკოლა ამის პრეტენზიით გამოვიდა და თამამად განაცხადა, ჩვენამდე ლიტერატურული სკოლა არ არსებულაო, და ეს მთლად უნიადაგო განცხადება არ იყო. დიახ, ქართულ სიმბოლიზმს ჰქონდა ქართული ნიადაგი.

სიმბოლიზმი ყველა ქვეყანაში იყო რეაქცია ნატურალიზმის წინააღმდეგ.

ანალოგიური ვითარება იყო ჩვენში. ქართულ მწერლობაში ილიას, აკაკის, ვაჟას შემდეგ მოძალებულმა ენობრივმა ნატურალიზმმა, უნიჭო ეპიგონებმა, რომლებიც ხშირად მოქალაქეობრივ იდეას ტრაფარეტსა და უსიცოცხლო სქემებში აქცევდნენ, შეაფერხეს ქართული მწერლობის აღმავლობა.

პოლიტიკური და საზოგადოებრივი ბურჟუაზია, რომელიც მძიმე ნისლად

ჩამოაწვა. საქართველოს პოეზიის ცას, იყო პოხიერი ნიადაგი სიმბო-
ლიზმისა, დაბოლოს, გაელენა ევროპული მოდერნისტული სკოლები-
სა. ამ ნიადაგზე ფორმალიზმში ძიება ქართული ლექსის განახლებისა
იყო ძირითადი ნიშან-თვისება და ნიადაგი ქართული სიმბოლისტური
სკოლისა. ცისფერყანწელები ცდილობდნენ ევროპული მოდერნისტუ-
ლი სკოლისათვის ქართული, ეროვნული ლიტერატურული ნიადაგი
მოექებნათ. ამიტომ იტყვის ტიციან ტაბიძე — „ბესიკის ბაღში ვრგავ
ბოდღერის ბორბტ ყვავილებს“; ამ დებულების დაცვას რამდენიმე წე-
რილი მიუძღვნა ტიციან ტაბიძემ, რომლებშიც მან ქართველი სიმბო-
ლისტების წინამორბედად რუსთაველი, ბესიკი და ვაჟა გამოაცხადა.
აქედან მომდინარეობდა ქართული მითოლოგიის მორგებაც სიმბოლიზ-
მის მოდელებთან.

არჩილ ჯორჯაძესთან უთუოდ ჰქონდათ სულიერი ნათესაობა ყანწე-
ლებს, ისევე როგორც კიტა აბაშიძესთან. ამას ამტკიცებს პაოლო ია-
შვილის მიერ არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების გამო გაზეთ „კოლხი-
დაში“, 1913 წელს, დაბეჭდილი გულის ამონაყენესი — „ცრემლი“ და
ტ. ტაბიძის მიერ ცისფერყანწელების საპროგრამო სტატიაში — „ცის-
ფერყანწებით“ — მოცემული ა. ჯორჯაძის დახასიათება. ოღონდ ეს
კავშირი უფრო ლიტერატურულ პრინციპებზე იყო აშენებული, ვიდრე
პოლიტიკურ შეხედულებებზე. არჩ. ჯორჯაძის „მშვენიერი ტყუილის“,
თუ „მშვენიერი სიცრუის“ თეორია ეხმიანებოდა ყანწელების მრწამსს,
საკუთარი მწყობრი პოლიტიკური კონცეფცია „ყანწელებს“ არასოდეს
ჰქონიათ, ისინი ხან ერთ პოლიტიკურ ჯგუფს მიეკედლებოდნენ ხოლმე,
ხან მეორეს. გამოსვლისთანავე ერთბაშად შეუტეეს ილიასა და მის
თაობას, რომელთა პოეტურ და ეროვნულ დამსახურებასაც ირონიულად
იხსენიებდნენ, ხოლო როცა მათი კოსმოპოლიტური თეორია გაეცხეს
(დ. კასრაძე, ალ. წერეთელი, თ. ხუსკივაძე), ერთგვარად უკან დაიხიეს და
„ცისფერი ყანწების“ მეორე ნომერშივე გამოაცხადეს: „ცისფერყანწე-
ლები“, როგორც სკოლა თავის თავს ამტკიცებს ეროვნულად“. ტ. ტა-
ბიძე წერდა: „რამდენადაც გაიზრდება ეროვნული შეგნება, იმდენად
ჩვენ ვუახლოვდებით წარსულს და ინაკვთება ქართული იდეა. საქარ-
თველოს ეროვნული აღდგომა უნდა იქნეს აღდგომა ლომის ძველი ქარ-
თული იდეით. მაშინ არ იქნება საჭირო „მშვენიერი ტყუილი“, რადგან
ეროვნული აღდგომა იქნება დიდი სინამდვილე, ქართველი მხატვარიც
ნახავს მაშინ თავის ამდენხანს დაკარგულ სულს, ნახავს და გაიხარებს.
ეს იქნება უდიდესი სასწაული და ეს სასწაული იქნება“.

1917 წელს ყანწელები თებერვლის რევოლუციას მიესალმნენ. ამ
შემთხვევაში ისინი ცდილობდნენ თავიანთი თვალსაზრისი რევოლუ-

ციასთან შეეფარდებინათ. 1923 წელს გაზეთ „ბარიკადში“ იგივე ტიციან ტაბიძე წერდა: „აშკარად ვამბობთ: ვიყავით და ვიქნებით რევოლუციის მხარეზე. ჩვენ არ ვიცით რა ფორმას მიიღებს რევოლუცია, ჩვენ არ ვიცით რა კომპრომისზე წავა ის — მაგრამ ჩვენთვის ფაქტია, რომ ხერხემაღლმაგარი პროლეტარიატი ბრძოლას არ წააგებს, და პოეზია ის ჰაერია, რომლითაც ის უნდა სუნთქავდეს. შესაძლებელია პირველი ბრძოლის დროს იყოს გამრუდებული პრეტენზიები — თუნდაც პროლეტარული პოეზიის შექმნისა, მაგრამ პოეზიასაც აქვს შინაგანი დიალექტიკა და ის თვითონაც მონახავს თავის ბუნებრივ სახეს“.

ყანწელებმა რევოლუციას დაუეკავშირეს თავიანთი სკოლის პირველობის საკითხი. პოეზიაში პირველობის კითხვა მათ მუდამ აწუხებდათ: „არავის ამდენი არ უბრძოლია პოეზიის ემანსიპაციისათვის, არავის იმდენი არ უბრძოლია მაღალი პატრიოტიზმისათვის, რამდენიც „ყანწელებს“ (ტ. ტაბიძე, „ბარიკადი“, № 1, 1923 წ.). ისევ ტ. ტაბიძის სიტყვები გავიხსენოთ: „ცისფერყანწელები“ პირველი მემარცხენე სკოლა იყო და არის ქართულ მწერლობაში. რვა წელიწადია ეს სკოლა აწარმოებს თავის სასტიკ ბრძოლას ახალი გზების დაპყრობისათვის. ჩვენ დღესაც ვერავის დავუთმობთ პოეზიის პოზიციებს, რადგან მწერლობაში ყველგან კარგად ვგრძნობთ ცხოვრების შეცვლას, ქვეყნიერების ახალ რიტმს დ რევოლუციას. ჩვენი მთავარი მიზანი იყო ქართული კულტურის განმტკიცება და მისი გამოყვანა ეთნოგრაფიული საზღვრებიდან მსოფლიო კულტურისა და შემოქმედების ასპარეზზე. ქართული ხელოვნების ძველი არმია დღესაც განაგრძობს დამშვიდებულ ცხოვრებას, თითქოს ქვეყანაზე არაფერი შეცვლილა. ჩვენ კიდევ ერთხელ ვუცხადებთ ბრძოლას ყოველივე მოძველებულს, დაობებულს, ჩამორჩენილს“ (ტ. ტაბიძე, „ბარიკადი“, № 7, 1924 წ.).

მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ რევოლუციის მიერ ძველის უარყოფა გარეგნულად აითვისეს ყანწელებმა. პოლიტიკაში ძველის უარყოფის პათოსი მათ გარეგნული ნიშნებით მიუსადაგეს „მოძველებული“ მწერლობის წინააღმდეგ ბრძოლას, და როცა მიხვდნენ, რომ ოქტომბრის რევოლუციის პრინციპები ყანწელების მიერ ძველის უარყოფის პრინციპებისაგან განსხვავდებოდა, მაშინვე უკუდგნენ და დაიწყეს მტკიცება: „ერთი მხრივ, იმან, რომ ყანწელებს უხდებოდათ არა თავის საქმის კეთება, მეორე მხრივ, სამოქალაქო ომის ცეცხლმა და რევოლუციამ, რომელმაც მოუსწრო საქართველოში ამ პოეტების შემოქმედების დაწყებისას და ამასთან ეს რევოლუცია ორგანიულად არ იყო გამოტანჯული ქართული ხალხისაგან, არამედ „მოვიდა ფოსტით პეტროგრადიდან (რაც ამჩნევია პროლეტარულ-დემოკრატიულ პოეტებსაც) და აგრეთვე ქართულმა სამხრეთის ბუნებამ, რომელიც აკანონებს ზარმაცობას და უფრო მწვავედ აყენებს სიცოცხლის პრობლემას —

გამოიწვია ის, რომ ყანწელებს არ უთქვამთ საჯაროდ თავისი სიტყვა, როგორც ამისთვის იყვნენ მოწოდებულნი. მთავარი მინც რჩება ლიტერატურული ფონის უქონლობა და ასპარეზის სიეწროვე“ (ტ. ტაბიძე, „მეოცნებე ნიამორები“, № 10, გვ. 14, 1923 წ.). რევოლუციისა და ეროვნული საკითხების გადაწყვეტაში ისინი მუდამ მერყეობდნენ, „მსოფლიო არენაზე ჩამოაგდებდნენ ხოლმე სიტყვას“. და აქაც ყველა ყანწელს ერთ ტაფაში ვერ მოვათავსებთ. რამდენადაც მონოლითურნი იყვნენ ყანწელები ორგანიზაციულად, იმდენად განსხვავებული იყვნენ პოეტური ხმებით, ეროვნული მრწამსით: გ. ლეონიძე და ვ. გაფრინდაშვილი, ტ. ტაბიძე და შ. აფხაიძე, პ. იაშვილი და რ. გვეტაძე. „თვით „ცისფერყანწელების“ ჭკუფში, რომლებიც შვიდი წელია ერთად თანამშრომლობენ, არ არის სრული ერთიანობა აზრისა“, — წერდა ტ. ტაბიძე („ბარიკადი“, № 1, 1924 წ.).

როდესაც ვამბობთ, რომ ქართველმა სიმბოლისტებმა ირწმუნეს თეორია „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და ამ მიზანს დაუმორჩილეს თავიანთი ორგანიზაციული საქმიანობა და მხატვრული შემოქმედება ან როცა ვამბობთ ისინი ახალი პოეზიის შექმნის პრეტენზიით უარყოფდნენ წარსულის რეალისტურ მემკვიდრეობას, მისტიკური, ბოჰემური მოტივებითა და თემებით უპირისპირდებოდნენ საზოგადოებრივ, მოქალაქეობრივ მოტივებს მწერლობაშიო — ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს მათი შემოქმედებიდან სრულებით გამოთიშული იყოს პატრიოტიზმის, საზოგადოებრივი ლირიკის, თუნდაც რევოლუციის მოტივები და თემები. არა, ყველა ქვეყნის მოდერნისტებისათვის დამახასიათებელი იყო სწრაფვა სიახლისაკენ, დაუოკებელი ძიება ფორმებისა, გამომსახველობის საშუალებებისა. ამ გზაზე ისინი ხელს უწყვიდნენ ქვეყნის სოციალურ გარდაქმნათა მეთაურებს, რევოლუციონერებს. განა ფრანგმა სიმბოლისტებმა ხელი არ გაუწოდეს საფრანგეთის რევოლუციას, განა რუსი სიმბოლისტები არ მიესალმნენ და არ ასახეს 1905 წლისა და 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციები? მოვიგონოთ ბლოკის, ბრიუსოვის, ბელის ნაწარმოებები რევოლუციის თემებზე. მაგრამ ეს არ ცვლის იმ ძირითად დებულებებს, რომ ისინი სიმბოლისტები იყვნენ და ქვეყნის გამოსახვის რეალისტურ პრინციპებს სიმბოლიზმის მოდელებით ცვლიდნენ. ასეთივე გზა გაიარეს ქართველმა სიმბოლისტებმაც.

ქართველმა სიმბოლისტებმა იმდენი „ხვრელი დაუტოვეს“ სამშობლოს სიყვარულისა და მოქალაქეობრივი პოეზიის ტრადიციებს, რომ ხშირად მართლაც ეჩვენება ზოგიერთს, თითქოს ისინი ტიპური სიმბოლისტები არასოდეს ყოფილან, თითქოს გ. ქიქოძის სიტყვები პ. იაშვილზე ნათქვამი, შეიძლება ქართველ სიმბოლისტებზე გავრ-

ცელდეს: „არც მათს გარეგნობაში, არც მათს სულში არაფერი იყო დეკადენტური, გეგონებოდათ ისინი სიმბოლისტურ და დეკადენტურ სკოლას უფრო თვალთ მიემხრნენ, ვიდრე გულით“. მაგრამ მართლაც რომ ეს ერთი შეხედვით „გეგონებათ“. მათს შემოქმედებას ღრმად თუ დავაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ისინი მთელი 15 წელი თანამიმდევრულად იცავდნენ სიმბოლიზმს და ებრძოდნენ რეალიზმს და უტილიტარიზმს ხელოვნებასა და მწერლობაში. ეს პრინციპული პოზიცია ნათლად არის გამოხატული მათს მანიფესტებსა, კრიტიკულ წერილებსა და ლექსებში.

1925 წლიდან ამ კორპორაციის წევრთა შემოქმედებაში დაიწყო ერთგვარი გარდატეხა; ამ წელს მათს რიგებში დაიბადება „მიწასთან დაბრუნების“ ლოზუნგი. და მაინც, ვიდრე საქართველოში ლიტერატურული ჯგუფები და სკოლები არსებობდა, ისინი ყანწელების პოზიციებზე რჩებოდნენ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მათი საუკეთესო ლექსები დაიწერა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, მომდევნო წლების მანძილზე საბჭოთა პატრიოტულ ლირიკას მათ ბრწყინვალე შედეგები შესძინეს.

1925 წელი ერთგვარი გარდატეხის წელია საერთოდ ქართულ მწერლობაში. ამ წელს მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ცნობილი რეზოლუცია „მხატვრულ ლიტერატურაში პარტიის პოლიტიკის შესახებ“. ამას მოჰყვა საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა 1926 წელს, დაიწყო ცალკეული ლიტერატურული ჯგუფებისა და სკოლების კონსოლიდაცია, საბჭოთა სინამდვილესთან მათი კონტაქტის გაძლიერების წლები. ყანწელებმა ყველაზე უფრო ადრე აუღეს ალღო ახალ ვითარებას. ვ. გაფრინდაშვილი 1937 წელს თავისი ლექსების წიგნის წინასიტყვაობაში წერდა: „ახლანდელი ჩემი გზა არის სოციალისტური რეალიზმის გზა. მე მეკუთვნის ლოზუნგი „დაბრუნება მიწასთან“, რომლითაც მე მოვუწოდებდი ჩემს ლიტერატურულ თანამოღვაწეებს რეალისტური შემოქმედების პოზიციებისაკენ (1925 წელს). ჩემთვის, როგორც პოეტისათვის, უდიდესი როლი ითამაშა ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც გააჩანსალა ჩემი შეხედულება და ჩემი მუშაობა... მე შეძლებისდაგვარად გამოვეხმაურე ჩვენი დღეების თემატიკას. სიმბოლიზმი უკვე განვლილი ეტაპია ჩემთვის და მე ვცდილობ ახლანდელ ჩემს ლექსებში სრულიად თავისუფალი ვიყო ჩემი წარსული მეთოდებისაგან“.

მაგრამ ეს „წარსული მეთოდებისაგან განთავისუფლება“ საკმაოდ საინტერესო და გრძელი პროცესი იყო როგორც ვ. გაფრინდაშვილისათვის, ისე საერთოდ ყანწელებისათვისაც.

ახალი მოვლენებისადმი ყურადღების გამახვილება, ყანწელების პოეზიაში ცალკეული რევოლუციური მოტივების გამოჩენა არ ნიშნავდა

მათი ესთეტიკური შეხედულებების ერთბაშად, ერთი ხელის დაკვირვით უარყოფას. მაგრამ მაინც ფაქტია, რომ მათს შემოქმედებაში გამოჩნდა რევოლუციის მოტივები. პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, ვ. გაფრინდაშვილის, გ. ლეონიძის, რ. გვეტაძის, ს. კლდიაშვილის შემოქმედებაში შემოიჭრა რევოლუციის ხმები. პ. იაშვილი 1921 წელსვე მიესალმა „ახალ საქართველოს“:

მზად არის თოფი! მზად არის ხმალი!
მტრებს ჩვენ ვეყოფით მარტო კბილებით,
დავაგვირგვინოთ ჩვენ მომავალი
წითელ რუსეთის დამშობილებით.
აზიის კარის ელავს ფერებით,
შენი გვირგვინი და სამკაული!
მაშ, გადიხადე ბედნიერებით
პირველ მაისის დღესასწაული!

ან ავიღოთ მისი საყოველთაოდ გახმაურებული ლექსი „ლენინ“.

დგას პოეზია საპატიო ერთგულ დარაჯად
მეექვსე ღამე! ჩანს თბილისი ვით სასაფლაო.
უნდა სიჩუმე გამოცხადდეს ერთი საათით
მთელ ქვეყანაზე, — მაშინ, როცა კლარა ცეტკინი
მოსკოვის წითელ მოედანზე, სტალინთან ერთად,
მაკობლეუმში დასვენებს ლენინის ცხედარს.
... ლენინი იყო არჩევანი ქვეყნიერების,
ვიცი ჩინეთში მებადური ჩამოხეული,
რომლის ცოლ-შვილი დამშეული ქუჩაში ჰყრია,
ახლა აკერებს თავის ბაღს და სტირის ლენინს!
ესპანეთშიც კი, მჭერა, ამ წუთს აღარ მღერიან,
და აჩერებენ თავის გემებს მეზღვაურები.
აშხანაგებო, ჩადგა წუთით ოქტომბრის ქარი...

ეს ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი იყო რაც კი იმ გლოვის დღეებში შეიქმნა მრავალეროვან საბჭოთა პოეზიაში. აქედან ნათელია, რომ ისეთი ესთეტი პოეტის შემოქმედებაში, როგორც იყო ყანწელების ლიდერი პაოლო იაშვილი, ხდებოდა გულწრფელი გარდატეხა და მიახლოება რევოლუციასთან.

ასეთივე გარდატეხა იგრძნობოდა ტ. ტაბიძის პოეზიაში. 1927 წელს იგი წერდა:

ჯერ კიდევ ვზივარ ძველებურ ტივზე
ვტირი შეკრული ფიქვის გედებით.
არ შეეჩერდები მე ამ მოტივზე
მე თვითონ ვცხოვრობ ამ იმედებით.

(„თბილისის ღამე“)

1928 წელს ტიცუან ტაბიძე უფრო აშკარად ემიჯნება „დადას“, ყანწელების ძველებულ მოტივებს და გადადის ალავერდის ახალ ცხოვრებასთან:

ნუ გაიკვირვებ, როცა გეტყვიან,
 რომ ჩემად არის ახლა ტიციაან, —
 პოეტი დღეს სხვა ოცნების ტყვეა,
 ამის შესახებ მათ არ იციან.
 რა საჭიროა აქ პირფერობა.
 მართლა მხიბლავდა მე ერთ დროს „დადა“,
 მტანჯავი იყო ეს გაორება,
 მონანიება კი არის სადა.
 ეშაფორტივით იდგა ქალღეა,
 ეს ცა აქამდე თავზე დამტირის,
 გული ყოველთვის პიტალო კლდეა? —
 და გავხლი ერთხელ მეც ღეზერტირი.
 მაგრამ მომადგა გრიგალის სვეტი,
 ახალ ბრძოლაში თავით დავეშვი,
 სიტყვა არ არის ცეცხლის დამწრეტი,
 ისე, როგორც ზღვას, ვერ დაცლის პეშვი.
 დაფასთან ვდგევარ და ვშლი ძველ ლექსებს,
 ცარკით კი არა, — სისხლით რომ ვწერდი.
 საბჭოთა მიწავ! გიკოენი ფესვებს,
 ახალ ცხოვრების ვარ ალავერდი!

მოდერნიზმის პოზიციებიდან საბჭოთა მწერლობის პოზიციებს მიაშუ-
 რეს ამ წლებში სიმბოლისტური წიგნის „ბალდახინის“ ნიჭიერმა ავტორ-
 მა კ. ნალირაძემ, აგრეთვე შ. აფხაიძემ, ნ. მიწიშვილმა და სხვებმა.



„ბახტრიონი“ — ყოველკვირეული სალიტერატურო და ინფორმა-
 ციის გაზეთი საბჭოთა მწერლობის ფორმირების რთულ ვითარებაში
 (1922—1923) გამოდიოდა. ამ სირთულეს განაპირობებდა დაპირისპი-
 რებული ლიტერატურული ჯგუფების არსებობა და მათ შორის დაუცხ-
 რომელი იდეური და ესთეტიკური ბრძოლა. ეს გაზეთი არსებითად ცის-
 ფერყანწელების ორგანო იყო.

ცისფერყანწელები საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე
 რევოლუციას მიემხრნენ და ეროვნულ ნიადაგზე იცავდნენ სიმბოლიზ-
 მის თეორიას და პრაქტიკას. უფრო სწორად, სიმბოლიზმს ქართულ ხა-
 სიათს და ელფერს აძლევდნენ და მაღალი პოეზიის დროშით ებრძოდ-
 ნენ „ენობრივ ნატურალიზმს და უტილიტარიზმს“ მწერლობაში. ამ
 პრინციპით თავიანთ წინამორბედებად კვლავ აღიარებდნენ ფრანგ
 სიმბოლისტებს: ბოდლერს, ვერლენს, მალარმესა და რემბოს. ამავე
 დროს ქართულ მწერლობაში რუსთაველი, ბესიკი და ვაჟა მიაჩნდათ
 უშუალო წინაპრებად. „მაღალი პოეზიის“ პოზიციებიდან ისევ ედავე-
 ბოდნენ გლიასა და აკაკის და ამტკიცებდნენ, რომ „სიმბოლიზმი რეა-
 ლიზმის უმაღლესი ფორმაა“ („ბახტრიონი“ № 3). „მე ვიზიარებ პაოლო

იაშვილის აზრს — წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი, რომ ყანწელე-ბამდე ლიტერატურული სკოლა ამ სიტყვის სწორი მნიშვნელობით საქართველოში არ არსებობდა, თუმცა კიტა აბაშიძემ დაყო მწერლები სკოლებად“. („რუბიკონი“, № 8, 1923 წ.). „დღეს ერთადერთი სკოლა, რომელსაც უფლება აქვს ლიტერატურის სახელით ილაპარაკოს, ყანწელების სკოლაა. ყველა ნიჭიერი კაცი ახლა ჩვენს მხარეზე უნდა იყოს“. ამ მიზნით მათ თანდათან გააფართოვეს „ცამეტ ძმათა კორპორაცია“. ჯერ კიდევ 1919 წელს გამოსცეს „ახალი პოეზიის ანთოლოგია“, სადაც შეიყვანეს ყველა ნიჭიერი მწერალი“, ვინც კი მოქმედი იყო მაშინ. ამ პრინციპის თანმიმდევრულად დაცვა ეროვნულ ნიადაგზე დაისახა მიზნად გიორგი ლეონიძის გაზეთმა „ბახტრიონმა“. გაზეთი თავის მოწინავე წერილში აცხადებდა: „გაზეთი „ბახტრიონი“ არ ეკუთვნის არცერთ მიმართულებას მწერლობაში. გაზეთის მიზანია ობიექტურად ანგარიში გაუწიოს მხატვრულ ცხოვრებას საქართველოში და გამოაჩინოს ის ნამდვილი სახე, რომელიც უნდა ამართლებდეს ხელოვნებას. შესაძლებელია ყოველკვირეული გაზეთი ვერ აუვიდეს ამ მასალებს, რომელსაც დღეს იძლევა მწერლობა, მაგრამ დღევანდელ ტექნიკურ პირობებში შეუძლებელია უფრო დიდი გამომცემლობის მოწყობა. ეს დაწყებაც თუ შესრულება და ეს საქმეც თუ გაიმარჯვებს მხოლოდ მაშინ, თუ საზოგადოება გულწრფელად მოეპყრობა და თავის საქმედ მიიჩნევს. ქართული წიგნის მდგომარეობა ყოველთვის ასე იყო, რომ თუ სხვაგან მწერლობა უზრუნველყოფდა ავტორს საქართველოში მხოლოდ ჰონორარის სუროგატი თუ იქმნებოდა იმ თავითვე. ამიტომ მწერლობა გვირობად იყო მიჩნეული. გარშემო მომხდარმა კატასტროფულმა მოვლენათა სვლამ მწერლობას თითქო დაუკარგა პირველი ინტერესი, უკვე დარღვეულია ის ინტიმი, რომელიც უნდა არსებობდეს ნამდვილი შემოქმედისათვის. მაგრამ ხელოვნება თანდათან ათვინიერებს გააფთრებულ ხალხებს, და აღადგენს თავის წინანდელ ავტორიტეტს. ყველაფერი ერის ცხოვრებაში რაც არ იქნება გამართლებული ხელოვნებით, არის ბალასტი, რომელსაც შემდეგი თაობა დაივიწყებს. ომისა და რევოლუციების პერიოდში ხელოვნება მხოლოდ რამდენიმე ხნით დაიჩრდილა. ესლა იწყება გაცხოველებული მუშაობა დაკარგული დროს ასანაზღაურებლად. რუსეთი, რომელმაც უფრო მწვევედ განიცადა სამოქალაქო ომი შიგნით და გარეთ ემიგრანტებში გაასკეცებული იბრძვის მწერლობის აღდგენისათვის, უფრო მეტი შრომაა საჭირო და უფრო მეტი თავგანწირვა, რომ საქართველოშიც აღსდგეს მწერლობა, რადგან მას არ ჰქონდა დიდი ტრადიციები და მომაგრებული საფუძველი, რომ ენერგიით შეეძლოს არსებობა, აქ საჭიროა სისტემა და დიდი ბრძოლა რომ არ შეწყდეს ეროვნული მწერლობის ძარღვი.

ამიტომ ყოველი წიგნი, რომელიც გამოდის საქართველოში მისასაღმებელია, მხოლოდ ამან არ უნდა დაგვიშალოს, რომ წიგნს მივუდგეთ ნამდვილი ესთეტიკური საზომით. ხანდისხან ეს კრიტიკა მწვავე იქნება, რადგან მხოლოდ ამას შეუძლია ქვემარტი მწერლობის დისციპლინა შექმნას. ჩვენ აშკარად გავიცხავთ იმ ხორციელებს, რომელნიც ეროვნულ შემოქმედებას დააჩნდებ, მაგრამ თქმა არ უნდა, ეს იქნება მხოლოდ მწერლობის სიყვარულისთვის ჩადენილი. ყოველი თავის დამტკიცება უანალიზოდ, თავის დაიმედება უსაფუძვლოდ და მეშხანობაზე დაყრდნობა რყენის მწერლობას, ამიტომ ჩვენ ამას ვამხილებთ პირდაპირ. ამ შემთხვევაში, როგორც ციტადელი ეროვნული შემოქმედების — აღებულია ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“. ეს არის პოზიცია ეროვნული კულტურის და შემოქმედების. რასაკვირველია ჩვენ არ ვიქნებით ამ ციხეში ჩამწყვდეული, ცა გაშლილია „ბახტრიონზე“-ც, საიდანაც იხატება ყოველი საკაცობრიო მიღწევა, მაგრამ პირველად მაინც საჭიროა ეროვნული პოზიციის გამაგრება“ („ბახტრიონი“ № 1, 1922 წ. 3 ივლისი).

ჩვენ არ გვეგულება მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში მეორე საბჭოთა პოეტი, რომელიც ასე განუყოფელად იყოს დაკავშირებული ქართული ეროვნული მწერლობის ძირებთან, როგორც გიორგი ლეონიძე, ამავე დროს მან ხელი გაუწოდა მოდერნიზმს და ცისფერყანწელების ერთ-ერთი ფალავანი გახდა. გიორგი ლეონიძემ ამით თავისებური ხიდი გადო ეროვნულ მწერლობასა და სიმბოლიზმს შორის. ის ჯერ კიდევ 1919 წელს აცხადებდა: „არტურ რემბოსთან ბოროტ ტყუპად ჩახუტებული მადგამენ გვირგვინს თეიმურაზი და ჭაქვაყაძე“. ხოლო გაზეთ „ბახტრიონში“ წერდა:

„მე მინდა ვიყო იზრაელი, ლექსს დაეპილო,
მოვდრიკო მისი ძუძუები მოულრკეველი
შენი სიმსუქნე დაწველილი რიტმი დაეპელო,
დამლოცავს პოეტი მიქელ მოდრეკილი“.

ყანწელების თეორია, ქართული მისტიციზმის სიმბოლიზმთან შერწყმისა, იყო ქართული სიმბოლიზმის ეროვნული საფენელი. ამ პრინციპით ყანწელებმა სცადეს მოდერნიზაცია ქართული ლექსისა და სიმბოლიზმს ქართული ხასიათი მიანიჭეს. ყანწელების ეს კრედო თანმიმდევრულად დაიცვა გიორგი ლეონიძემ გაზეთ „ბახტრიონში“. ყველაზე დიდი დამსახურება, რომელმაც უაღრესად ეროვნული ხასიათი მისცა „ბახტრიონს“ იყო ვაჟასა და ფიროსმანის კულტი. „ბახტრიონის“ არც ერთი ნომერი არ გამოსულა სადაც ვაჟა და ფიროსმანი არ იყოს წარმოდგენილი.

პაოლო იაშვილი ასე ახასიათებდა „ბახტრიონს“:

„გაზეთი „ბახტრიონი“ მეორე წელიწადს იწყებს. გაზეთი პერიოდული

ხდება, სხვა დამსახურებათა შორის, რომელზედაც ქვევით ითქმება, „ბახტრიონის“ გამარჯვება იმაშია, რომ ის პირველი პერიოდული ლიტერატურის გაზეთია ჩვენში. ის რამოდენიმე მემკვიდრეა „ბარბიკადის“, უკანასკნელ განახლებას იწყებს აღმანახურ სისტემით.

„ბახტრიონი“ ახალ ლიტ. ფონზე იდგა. მართალია თანამშრომლებად ირიცხებოდნენ გამოჩენილი მწერლებიც, მაგრამ მათი თანამშრომლობა აიხსნებოდა ორმხრივ სიმპათიებით. დიდ დამსახურებად უნდა ჩათვალოს, მასალების ღირსეული დარჩევა წმინდა ლიტერატურული გემოვნებით. გაზეთმა აიღო დამწვინებული ტონი და მწერლობის გარდა იყო ხელოვნების ყველა დარგის დარაჯი.

მართალია, გაზეთი არ იყო დეკლარატიული პოზიცია რომელიმე რევოლუციური ჯგუფის ან შკოლის. აქ ცისფერყანწელებიც ცდილობდნენ ნეიტრალური ტონით ლაპარაკს, თუმცა იყო შემთხვევები მძაფრი პოლიტიკის, რომელსაც პასუხის ხასიათი ჰქონდა.

„ბახტრიონმა“ ბევრი საინტერესო პრობლემა დააყენა. მან დაგვანახვა ქართული ლიტერატურის სახე. ილია ჭავჭავაძის ნომერი ბევრი ახლის მოქმედი იყო. მე-19 ს. „დიქტატორის“ შესახებ ვაყას დიდების „კომპანია“ პირველად „ბახტრიონმა“ დაიწყო, შემდეგ მას მოჰყვა ვაყას საღამო ახალ მწერალთა კავშირში გამართული, რომელსაც დიდი რეზონანსი ჰქონდა და გაამძაფრა ვაყასადმი სიყვარული.

„ბახტრიონმა“ თითქოს მეორედ აღმოაჩინა „საწყალი ნიკო ფიროსმანი“. დაიბეჭდა უამრავი მასალები მისი ცხოვრების შესახებ, რაც დიდ დახმარებას გაუწევს მომავალ მონოგრაფიას, რომელიც უკვე მზადდება.

ლექსების ნაწილი გაზეთში იყო მეტად მდიდარი. აქ იბეჭდებოდა უმთავრესად „ყანწელები“, მათ არ შეეხებოდა, მაგრამ ვიტყვი, რომ ერთი საუკეთესო ლექსი წარსული სეზონისა, „მოგზაურობა ანთებით“ კ. ჭიჭინაძისა, დაიბეჭდა „ბახტრიონში“. სასიხარულო იყო ს. შანშიაშვილის მუდმივი თანამშრომლობა თავისი ლექსებით.

გაზეთმა „ბახტრიონმა“ და მისმა რედაქტორმა გ. ლეონიძემ, დაავალეს ქართული მწერლობა და ძვირად იქნება ქართველი, რომელიც არ უსურვებდეს ამ გაზეთს სიცოცხლესა და გაძლიერებას.

ასეთი გრძნობით და სიხარულით ვხვდები მეც „ბახტრიონის“ ახალ წელიწადს“ („ბახტრიონი“ № 1, 1923 წ. პაოლო იაშვილი).

...ჩვენი გაზეთის გამოცემა გადადის მეორე წელში. სხვა დროს შესაძლებელია ეს არც კი ყოფილიყო აღნიშვნის ღირსი, მაგრამ დღეს ასეთი ტექნიკური დაბრკოლებები არსებობენ ბეჭდვის საქმეში, რომ ამას სჭირდება აღნიშვნა. ჩვენი გაზეთის პირველ მეთაურში ვამბობდით, რომ ჩვენი ორგანო იქმნებოდა, ორგანო ეროვნული კულტურის, რომ „ბახტრიონის“ ციხესიმაგრე ამ შემთხვევაში სიმბოლურად ნიშ-

ნავდა ეროვნული ციტადელის დაცვას და პირველ ყოვლისა ეს უნდა ყოფილიყო ქართული მწერლობის პრესტიჟის აღდგენაში. ჩვენ ვამბობდით, რომ მოურიდებლად გავამხელდით ეროვნულ ხორცმეტს, არც იმის გაჭრას მოვერიდებოდით, იმავე ქართული კულტურის დაცვისათვის. ჩვენთვის სულერთი იქნებოდა ახალი და ძველი — თუ მას ემხნეოდა დალი და შტამპი დიდი კულტურის და მხატვრული მიღწევების. პირველი, სადაც მიგვიყვანა „ბახტრიონმა“, ეს იყო ვაჟა-ფშაველა. ჩვენ გამოუშვით განსაკუთრებული ნომერი მისი შემოქმედების და შემდეგ ეს გახდა ნიშანი შარშანდელი სეზონის დათავების. ვაჟა-ფშაველას სახელი გაისმოდა უკიდურესს მემარცხენე პოეზიის ფრონტზე და სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს შეუკვეთა ვაჟას მონუმენტური ძეგლი. ილიას სიკვდილის 15 წლის თავი ჩვენმა გაზეთმა აღნიშნა აგრეთვე განსაკუთრებული ნომრით.

ჩვენმა გაზეთმა, შეიძლება ითქვას, აღმოაჩინა ქართული საზოგადოებისათვის ნიკო ფიროსმანი, უკანასკნელი ქართული გენია და შეკრიბა მასალები მისი ბიოგრაფიის. ამის შემდეგ ფიროსმანი გამოვიდა გამორჩენილ და დავიწყებულთა სიიდან.

ჩვენი გაზეთის ინიციატივით მოეწყო არტურ ლეისტის იუბილე, რაც აღნიშნული იყო მილოცვაში. ამ იუბილეს ჰქონდა საერთაშორისო ხასიათი და ექნება ალბათ რეზონანსიც. პირველად „ბახტრიონში“ დაიბეჭდა ტიციან ტაბიძის წერილი იაკობ ნიკოლაძეზე, რომელსაც მოჰყვა აგრეთვე იუბილე, რომელიც ბრწყინვალედ იქნა გადახდილი.

რედაქციას გადაწყვეტილი აქვს, წელსაც გამოვიდეს განსაკუთრებული ნომრები: ივანე მაჩაბლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი სააკაძის, გრიგოლ ორბელიანის, პლატონ იოსელიანის, საბა ორბელიანის და სხვ.

ღიძი ხანია ყოველ წელს ქართულ ეროვნულ გამოცემათა მეპრესეები აღელვებული ხედებიან ახალ წელს. ყოველთვის ჰგონიათ, რომ მათ რიგებს მიემატებიან ახალი ძალები, რომ ღირსეული სამსახური გაუწიონ ერს.

საქართველო და მისი ციტადელი „ბახტრიონი“ აულებელი სიმბერა და ჩვენც ვიყოთ გარნიზონის სიმალემდე“ („ბახტრიონი“ № 1, 1923 წ.).

გაზეთის პოზიციას და ლიტერატურულ კრედოს საფუძვლად დაედო ყანწელების თეორია და პრაქტიკა. მის ლიტერატურულ სახეს ყანწელები განსაზღვრავდნენ. ეს პოზიცია ნათლად გამოჩნდა აქ დაბეჭდილ წერილებსა და ლექსებში. მიუხედავად იმისა, რომ „ბახტრიონმა“ სპეციალური ნომერი მიუძღვნა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის 15 წლისთავს და გამოაქვეყნა რამდენიმე საყურადღებო დოკუმენტი და მოგონება ილიას შესახებ, ილიას შეფასებას მაინც ცისფერყანწელების პო-

ზიცია დაედო საფუძვლად. თვით რედაქტორი გიორგი ლეონიძე, რომლისათვის ხატი იყო ილია ჭავჭავაძე, წერდა: „ილია ჭავჭავაძე არის ბარაქა და ჯიში ქართული მწერლობის, და აი ბედმა არგუნა ილია ჭავჭავაძეს, თავისი განიერი მხარბეჭით კოლოსივით ჩამდგარიყო ქართულ სინამდვილეში და გამხდარიყო მორგევი ქართული მწერლობისა და საქართველოს ცხოვრების... ილია ჭავჭავაძემ ამოავსო XIX საუკუნის ცარიელი საქართველო და თავისი გახეთქილი შუბლით აზრი მისცა ქართულ მწერლობას და საქართველოს სვინდისს“ — ილიას ეგზომ მოთაყვანე გიორგი ლეონიძე ხარკს უხდის ჟურნალ „ცისფერყანწელების“ პოზიციას ილიასა და აკაკის მიმართ და იქვე, ამავე წერილში („ილია ჭავჭავაძე“, „ბახტრიონი“ № 10) წერს: „მიუხედავად ილიას დიდი ქართული სახელისა, თანამედროვე პოეზია ვერ მიიღებს ილიას ლექსებს, სადაც პოეტი ყოველ წუთას უხერხულა, ყოველ სტრიქონზე წამოიჩოქებს და მღლის მისი მომბეზრებელი ნაჯახი, რომელიც ტლანქად ჩორკნის მძიმე ლექსებს, მაგრამ ილიას პოეზიას მაინც აქვს კულტურა ბაირონის, გიორტეს, პუშკინის, როცა აკაკი წერეთელი მოკლებულია ლიტერატურასაც კი თითქოს ის ყოფილიყოს თანამედროვე ბარდი ან „გოგია მეჩონგურე“ („ბახტრიონი“ № 10).

ახლა მოვუსმინოთ ტიციან ტაბიძეს:

„გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნე საქართველოში ილიამ კიდევ მოიგონა, კიდევ შექმნა და კიდევ თავის სისხლით დაჰკვება.

ჩვენ შეიძლება ამ საუკუნის შესწავლის დროს ბევრი დეფექტებიც აღმოვაჩინოთ, განსაკუთრებით პოეზიაში, მაგრამ ერთი კი მაინც უცილობელია ამ დიდი ეპოპეის მთავარი მბრძანებელი იყო მხოლოდ ილია ჭავჭავაძე.

ჩვენ ექვსი წლის წინათ განვაცხადეთ, რომ ილია, როგორც პოეტი, მიუხედავად იმისა, რომ ემორჩილებოდა თავის საუკუნეს, აცდა ნამდვილი პოეზიის რკალს, შეუძლებელიც იქნებოდა ილია ყოფილიყო მართო პოეტი მაშინ, როცა ერს არ ჰქონდა არც ერთი ატრიბუტი მწერლობის და კულტურის, რომელიც მის დროს განწყვეტილი იყო (ჩვენ არ ვეხებით წარსულს).

ილიას პოეზიიდან მართო წიწამური რომ დარჩეს, მაინც სამუდამოდ აატირებს საქართველოს და სამუდამოდაც იქნება თემა პოეზიისათვის. ამით ილიამ დაამტკიცა, რომ მწერლობა არის წამება, რომ საქართველოში თვითმკვლელობა და მკვლელობა, ორივე ბუნებრივი ხვედრია პოეტებისათვის“.

ასევე „მაღალი პოეზიის მიღმა“ აყენებდა ილიას, აკაკის და თვით ბარათაშვილის ლექსებს ცისფერყანწელების ლიდერი პ. იაშვილი.

„ქართული ლექსი ან პოეტი მიიღწევეს მეოცე საუკუნის ნახევრამდის? ბარათაშვილის მერანი უკვე დაიღალა ორმოცდაათი წლის ჭენებით, ახლა ის ბებერია, ტყავ გამხმარი... „ქართლის დედის“ ძუძუები დაშრა... „საიდუმლო ბარათს“ ჩვენი საუკუნე აღარ უპასუხებს“... (პ. იაშვილი — „პოეტი საქართველოში“. „ბახტრიონი“ № 1—1922 წ.). ილიას, აკაკის, ბარათაშვილის პოეზიის შეფასებაში შეცდნენ „ყანწელეები“. ამ შეცდომების გამო მაშინათვე თავს დაესხა კ. გამსახურდია („ილიონი“ № 1, 1922 წ.) ბახტრიონელებს. „ყანწელეებმა“ უკან არ დაიხიეს.

გაზეთი „ბახტრიონი“ ილიასა და აკაკის თუ უწუწუბდა პოეზიას, სამაგიეროდ განადიდებდა რუსთაველსა და ვაჟას:

„ქართველი პოეტებისათვის საამაყოდ დარჩება ის ფაქტი, რომ საუკუნეების განმავლობაში ჩვენში არსებობდა რუსთაველის კულტი. თუნდაც ის უღამაზესი ლეგენდა, რომ საუკეთესო მზითვი საქართველოში ვეფხისტყაოსანი იყო. მაგრამ ეს კულტი სამწუხაროდ მაშინ გადავარდა, როდესაც პოეზიას ყველაზე მეტად უჭირდა პრესტიჟი და სიმაღლე... ჩვენს საუკუნეს შერჩა ბახტრიონის დევი, გველის მჭამელი, ვაჟა ფშაველა, დაუბერებელი მოახლე ლაშარის გიორგი და დიდხანს აფეთებს თავისი ველური აბჯარის ხმაურობით, პოეზიის მსხვილფეხა წუთკალებს... ვაჟა-ფშაველაზე ძლიერი პოეტური სტიქია არ ახსოვს საქართველოს. ვაჟამ პირველმა მისცა იმედი ქართულ სიტყვას. მას ჰქონდა ღმერთების ენა და ჰომიროსის ნოყიერება, მაგრამ არწივად წოდებული საქართველოში დადიოდა, როგორც „ჩხიკვი ზაქარა“ თვალჩამოხეული, ყველის სუნით გაქლენთილი, დაკონკილი ჩოხით. ფრჩხილებში მიწა გამოგლესილი, დასული სოფლის მეწვრილმანის ვაჭრობამდის, მიუღებელი უგვირგვინო და ჭლექიანი დააკვდა საავადმყოფოს ლოჯინს, ისე ვით უბინაო და ქუჩის მათხოვარი“. (პ. იაშვილი, „ბახტრიონი“, № 1, 1922 წ.).

ყანწელეების სტატიებსა და წერილებში („ბახტრიონში“) რეალისტების წინააღმდეგ ლაშქრობას მოსდევს ქართველი სიმბოლისტების — ცისფერყანწელეების ქება. „ტ. ტაბიძის „ქალდეას ქალაქიდან“ იწყება ახალი მუსიკის ხმები... „და მე ხანდახან მეჩვენება ვითომ სამყარო ბალია დიდი, დაწყვეტილი და შხამიანი“... „ახალი გაგება სამყაროსი, უკანასკნელი დაფარულია ბოროტ ყვავილებით“.

შალვა აფხაიძეს მიაჩნია, რომ ოციან წლებში მოხდა ქართული სიმბოლიზმის აღორძინება: „ანდრეი ბელიმ კრიზისი სინთეტიურ სიმბოლიზმით მოღუწა. ექსტატიურ მზერაში დაინახა მისტიური სახე სამყაროსი. პოეზია მისი გადადის ქადაგებაში.“

ვიჩინესლავ ივანოვის სიმბოლური მეტყველება გამახვილებული

მისტიკით გადადის თეურგიაში. აქიდან მოდის მისი სწავლა კათოლიკურ ქმედობაზე. „პირველი სიმბოლო“ მითოსში იხილა.

ალექსანდრე ბლოკი პეტერბურგის ნისლში და ქაობის ხველაში ეძიებდა მარად ქალურს, ღვთიურს „უცნობის“ — სახით. ედგარ პო პირველი სიმბოლისტი იყო მისტიკი და მეტაფიზიკოსი.

შარლ ბოდლერი, რომელმაც ბოროტების ყვაველებით მოშხამა ატმოსფერო და „სული გაუყო კეთილს და ბოროტებას“, დამწვარი იყო კათოლიკური ტემპერამენტით. მისი პოეზია მისტიური თავდადება დასული ტრაგიკულ წვეთამდე.

პიუ სმანსი ამავე კათოლიკური ესენციით და ძმრით არის დაწურული. იგი საშუალო საუკუნეთა ასკეტიზმით იყო ამღერებული. წმინდა მარიაამის მისტიკით არის ატირებული პოლ ვერლენის ლირიკა, მისი ყოველი ლექსი ლოცვაა მხურვალე მარტვილი ბერის. სახე უზენაესი და სიმბოლო მისი პოეტური შემოქმედების არის მადონა.

ვერპარნი, რომელიც ბაბილონის მეძავს თანადროულ ქალაქში მზერდა, საესეა კატასტროფული მოლოდინით.

მისტიური ხილვით და გზნებით არის სურნელოვანი პოეზია დანტესი და გიოტესი. საქართველოში სიმბოლიზმმა უკანასკნელად მოგვცა დასრულებული, პოეტური ქმნილებანი, „ტფილისის ხერხემალი“ და „ცხენი ანგელოსით“, ამიტომ მის კრიზისზე ლაპარაკი ნაადრევია. წინ იგივე პროცესია გასავლელი, რაც ევროპაში ესთეტიურ დოგმატიზმიდან სინთეტიურ წინხედვისაკენ. ამას ხელს უწყობს საერთო მიზეზები, ტეზისი იწვევს ანტიტეზს. მატერიალისტურ მსოფლმხედველობას, მოწყვება გაძლიერება მისტიციზმის, ოკულტიზმის და მეტაფიზიკის უფრორე.

მისტერია — სწრაფვა სულის პირველ სუბსტრატისაკენ. ჰერეტა მსოფლშეგრძნების იდუმალების. განწყობილება სულის, როდესაც იბმება კავშირი უშუალო, დაკარგულ ღმერთთან. მყარდება სულში ტაძარი უხილავი და შეხება აბსოლუტისა აქ იწყება თვით უარყოფა და სიმვოლიკა თავდადების, ახალი პიროვნება და მოციქული რელიგიის“. (იხ. შალვა აფხაიძე, „ბახტრიონი“ № 3).

კოლაუ ნადირაძის „ბალდახანის“ გამო გამოქვეყნდა შალვა კარმელის რეცენზია („ბახტრიონი“ № 17, 1922 წ.); სადაც იგი აცხადებს, „მან როგორც სიმბოლისტმა პოეტმა უარყო ყოველივე რეალური, გააბატონა სიმბოლო, საგნის პირობითობა და იწამა „ყოფნა ლანდური“ შორს მომავალში და შორს წარსულში“.

წერის მაღალი კულტურით ხასიათდება გ. ლეონიძის სიმბოლისტური სტატია, „ქართველი მესიანიზმი“ („ბახტრიონი“, № 2).

„ბახტრიონში“ გამოქვეყნებული ლექსების უმრავლესობაც სიმბოლისტურია, ხელწერის მაღალი კულტურით შესრულებული. პირველ

ყოველისა თვით რედაქტორი მოვიხმობთ ამის დასტურად. აი გიორგი ლეონიძის ლექსი „ეკლოგა“:

„სულ იწვიმებენ შენი ცურები,
დაგვეცა წარღვნად შენი ჭიქანი.
მაგრამ შენ ჭერაც არ იწურები
არ შაწყვეტილა შენი კექანი.
სდგანან ქაფებად სარძეულები,
მაღალ ტაგანებს სწყდებთ ძირები
ვართ შენს რძეებში დარწეულები
შენი ბარაქით დაზედილები.“

გაქვთ გრიალი კურატებს, ვერძებს
დაგბრუნავს თავზე ერბოს მორვეი
სასუქს, სიმსუქნეს მოხეთქილ რძეებს
სიმსხო ბარძაყებს მოჭრილ მორივით.

ხორციტ და ქონით გადაქედილი
მოაშრიალებ დაძარგულ ჭაგარს,
მე მინდა ვიყო ჭალალ-ედ-დინი
შენი ფაშვები დაეგო ჩარგალს!“

გიორგი ლეონიძე
2 სექტემბერი ტფილისი

ეს რთულბლანდანი ბუკოლიკური ლექსი სიმბოლიზმით არის ნაფე-
რი. ასეთივე განწყობილებისაა ლექსი, „ლიტანია“.

„შენი მუცელი გენით გატენილი
თითონ გენა და გიენა პოეტებისთვის
ხან ნატახტარი, ტახტამდე ხარ ატანილი
არწივის ჭიშო! გატეხილო მომენტებისთვის.
მე მინდა ვიყო იზრალი, ლექსს დაევიდო,
პოედროკო მისი ძუძუები მოუდრეკელი,
შენი სიმსუქნე დაწველილი რიტმით დავექედო,
დამლოცავს პოეტი მიქელ მოდრეკილი
შენ დარწეულო ჩემი გვარის ქაფიან სისხლში

შენი ძეალები ზედ გაყრია, როგორც მარლი
ღვთიშობლის კალთებს შენს ფაშვებზე
ვხედავ მოტანილს...

სისქე ჭიქანი და ბარკალი გადამორილი
ყველა გათავდას ნაწლავები დაყრილი დანით,
მონგოლის კნუტი კაპასია... ჭალალ-ედ-დინი
ლიტრიან რახტით ტამერლანმა დაგვხვრიტა ტანი
მოცურავს ეხლა, როგორც კუბო გადაქედილი
შენი თირკმელი ურაგანმა კვიშას გარია
ცა დასისხლული სოღანლუხზე გადმომდგარია“.

ეს ჯადოქრული ლექსიც მოდერნისტულ მოდელზეა გამოჭრილი,
ამავე დროს ეროვნული ძირფესვით ნაძერწი.

ყანწელების კრედოა გამოხატული ტიციან ტაბიძის საგანულის თვით-
მკვლელობისადმი მიძღვნილ ლექსშიც:

„ვარ უსათუოდ ამის მოვალე
ლექსში ვახსენო გიონ საგანელი.
ყველას გადაგვიტანს სიკვდილი მალე
ასე დატრიალდა ბოროტი საქანელა.
მას კიდევ სწამდა მართლა პოეზია.
სიკვდილის წინათაც ის ლექსებს ამბობდა
ჩვენ უფრო უარესი დრო მოგვეწია
რადგან ჩვენ თვალწინ ლექსიც კი დაობდა
ვინ იტყვის საგანელით ქვეყანა დაობლდა?
ვინ იტყვის ლექსებზე ის როგორ დაობლდა?
უნდა ყოფილიყო ყველაზე მეტი
უთუოდ, ეს ჰინკას იყო მანიფესტი,
უთუოდ დაფასდება განწირვის ექსტი,
საწყალი საგანელი, ჰინკა და ელვა
პატარა კუბო... რამხელა დამწყველა“.

24 სექტემბერი, ტფილისი („ბახტრიონი“
№ 14 — 1922 წ.)

ქართველი სიმბოლისტების თეორიასა და პრაქტიკას ყველაზე ტი-
პურად გამოხატავს ვალერიან გაფრინდაშვილის ფრიალ საინტერესო
ლექსები. მაგალითად, „ოფელიას დღესასწაული“.

„მხოლოდ ერთი დღე წელიწადში ვიუქმო მინდა,
ოფელიის დღე—საოცნებო, როგორც მირაჟი,
შემოდგომაზე გაფრინდება პაერი წმინდა,
მზეთუნახავი გამოჩნდება ცის დიარაში
წვიმის ასული—სევდიანი და უწყინარი.
ავდრის წვეთებს ჩამოყვება ვით ანგელოსი,
იმას მიიღებს ალტაცებით ლურჯი მდინარე
დაიცრემლება უანგიანი სახე მდელსი.
ეს დღე იუქმეთ ჩემთან ერთად—თქვენ პოეტებო
პრინციის საცოლეს გაგიყვებულს ვეით თაყვანი,
განმეორებულ ორდენს ბრბო მოედება
იქნება ქალი ტალღებიდან ამოსაყვანი“.

ან ავიღოთ ამავე ავტორის „პარასკევი“.

„იზრდება როგორც ქალწულის ხალი
სამარადისო მელანქოლია
ყველა დღეებზე უფრო მაღალი —
ეს პარასკევი ჩემი ტოლია...
დღე ნაღელიანი და მეწამული
რომელსაც ახლა შიშით, გოდებით
მე და საწყალი ჩემი მამული
ვით სახრჩობელას მოველოდებით“.

(„ბახტრიონი“ № 18, 1922 წ.)

აქვე უნდა დავასახელოთ შალვა აფხაიძის „ღვთისშობლის დუეტი“ სიონში“.

„იხილავს სიონს ქალბატონი დაჩეხილ სახით,
სიონს, რომელსაც დააფრენდა სანთელი ერთა,
და გადაკრული წმინდანებზე ძველი ტალახი
ამოითხრება მის თვალეში სოფელ სამარედ“.

ოციან წლებში დაწერილი ქართველი სიმბოლისტიკების ლექსები და წერილები მათი ავტორების მაღალ პოეტურ და ლიტერატურულ კულტურასა და გემოვნებას ამჟღავნებენ. ამიტომ ცისფერყანწელების ადრინდელი ლექსების და წერილების მწერლობიდან მოკვეთა შეცდომაა. საჭიროა სრულის სახით გამოიცეს ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, გიორგი ლეონიძის, კოლაუ ნადირაძის, შალვა აფხაიძის, სანდრო ცირეკიძის, სერგო კლდიაშვილისა და სხვა ცისფერყანწელთა ნაწარმოებები, ისე როგორც პაოლო იაშვილი გამოსცა „ნაკადულმა“, და ერთბაშად ნათელი გახდება, რომ ჩვენში სიმბოლიზმს ჰქონდა ქართული ნიადაგი და დიდი როლი შეასრულა ამ ლიტერატურულმა მიმდინარეობამ ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამას მეორე მხარეც აქვს. იგი ნათელს გახდის ქართული ლექსის ზოგიერთი დღევანდელი „ნოვატორები“ მხოლოდ მიმბაძველები რომ არიან ადრინდელი ამ ქართველი მოდერნისტებისა.

ამით იმავე დროს ათიანი და ოციანი წლების ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლას მყარ მეცნიერულ ნიადაგზე დავამკვიდრებთ. ისტორია არც შელამაზებას ითმენს და არც დამახინჯებას. ამ თვალსაზრისითაც უაღრესად საინტერესოა გიორგი ლეონიძის „ბახტრიონი“. მის ფურცლებზე მძაფრად აისახა ოციანი წლების ლიტერატურული ჯგუფების ესთეტიკური ბრძოლის ისტორია. მოვიტანთ ორ მაგალითს. ერთი შეეხება კ. გამსახურდიას „ილიონს“ და მეორე „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალს“.

„ჟურნალი „ილიონი“, არავინ იცის რა ხალხის ორგანოა, წერს „ბახტრიონი“, აქ შეიძლება ითქვას შეგროვილია ხალხი „ცისფერყანწელების“ წინააღმდეგ შეერთებული“. განსაკუთრებით ნიშანშია ამოღებული კ. გამსახურდია და ი. გრიშაშვილი, მძაფრი ეპითეტებით მათი „შემკობა“ ასე მთავრდება: „ჩვენ ვეცდებით ეს წერილი იყოს უკანასკნელი და ეს გვარებიც უკანასკნელად ნახსენები ჩვენს გაზეთში, რადგან მათზე წერა შეურაცხყოფაა მწერლების“ („ბახტრიონი“ № 7, 1922 წ.). ეს იყო პასუხი კ. გამსახურდიას და ი. გრიშაშვილის რეცენზიებზე, გაზეთ „ბახტრიონის“ გამო. „ბახტრიონი“ თავს ესხმის „გ. ტაბიძის ჟურნალსაც“. „ეს ჟურნალი იყო სუროგატი „თეატრისა და ცხოვრების“, სადაც ასე კადნიერად იმხელს თავს „ქართული ხალტურა“ — ვკითხულობთ „ბახტრიონში“. გ. ტაბიძეს აქვს თავისი წარ-

სული, ამიტომაც მას „ხარის“ ანდაზის უნდა ეწინოდეს. წრეულს მან დაბეჭდა „ეფემერა“ და სხვა ლექსები, სადაც გადამღერებია, როგორც სპეის ისე თავის თემების“ („ბახტრიონი“ № 2, 1923 წ.).

„ბახტრიონის“ აზრით, „რევოლუციის თვისება განმეორდა ლიტერატურაში. უკან დახევას მოჰყვა ჯგუფებად, ნაწილებად დაყოფა, უკვე სამუდამოდ მოხდა გამიჯვნა და ვხედავთ განცალკევებულ ერთეულებს, ეს ახასიათებს 1922 წელს“. განიხილავს რა ამ განცალკევებულ „ჯგუფების ჟურნალ-გაზეთებს და გამოცემულ წიგნებს“, ლიტერატურულ ბანალობის ნიმუშად ასახელებს „ლომისს“, „ილიონს“, „კანდელს“, „უქიმერიონს“, ბათუმსა, ქუთაისსა და თბილისში „ძველი კავშირის“ მიერ გამოცემულ „პოეზიის დღეს“, ქება-დიდებას უძღვნის ყანწელების „მეოცნებე ნიაშორებს“, „ბარიკადს“, კერძოდ „ბარიკადის“ გამო წერს „ბარიკადი“, ამ გაზეთს რედაქტორობდა ტიციან ტაბიძე. ამ ორგანოს როლი ეპოქალურია, ბარიკადი იყო გილიოტინა „მეშჩანობის“... ბარიკადის № 1-შივე (სულ გამოვიდა ოთხი ნომერი 1922 წ.) იყო დაბეჭდილი „დეკლარაცია“, „ცისფერყანწელების, — სადაც წამოყენებულია ტეზისი: პოეზია აყვანილი ეტნოგრაფიიდან და ეროვნულ პროვინციალიზმიდან უნივერსალურ ფორმამდე უფრო ამაგრებს ეროვნულ ხერხემალს და ამართლებს ერსაც“. ყანწელები თანმიმდევრობით იბრძოდნენ პოეზიის უნივერსალური ფორმისათვის. ამ გზაზე ხაზგასმულია „ბახტრიონის“ როლი. „გასულ წელს „ბახტრიონმა“ თავის მხარეზე გადაიტანა მთელი სიმძიმე ქართული ლიტერატურის იმედით მუშაობის. თავის არსებობაში (ივლისიდან) იგი ატარებდა გარკვეულ ხაზს ახალი მწერლობისა. გაზეთში იბეჭდებოდნენ ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, შალვა აფხაიძე, კოლაუ ნადირაძე, ალი არსენიშვილი, გიორგი ლეონიძე, სანდრო ცირეკიძე, სერგო კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, სანდრო შანშიაშვილი, რაყდენ გვეტაძე, შალვა კარმელი, გრ. ცეცხლაძე, ვახ. კოტეტიშვილი, ვასილ ბარნოვი, შიო არაგვისპირელი, იაკობ ნიკოლაძე, კ. ჭიჭინაძე, სანდრო ყანჩელი, არტურ ლეისტი, შალვა და შოთა დადიანები, იროდიონ სონღელი, კ. ზდანევიჩი, ახალგაზრდა ქართველი პოეტები ლ. ასათიანი, პოეტესა ნინო თარიშვილი, ვიქტორ გაბესკირია, ესტ. კასრაძე... დაიბეჭდა სპეციალური ნომრები ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ ნიკოლაძის, ნიკო ფიროსმანის, არტურ ლეისტის, აქვეა მოთავსებული პავლე ინგოროყვას ეპოქალურ მოხსენებათა „რუსთველიანას“ ციკლის რეცენზიები. საგანგებო ნომრებში თანამშრომლობდნენ ვ. ბარნოვი, სოფ. მგალობლიშვილი, ვ. გუნია, თ. სახოკია.

გაზეთი მეტად უხვი იყო ბიოგრაფიული მასალებით ნიკო ფიროსმანზე, აღსანიშნავია განყოფილება „მოგონებები და დოკუმენტები“, სადაც გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის კერძო წერილები, სოლომონ

ლიონიძის ახლად აღმოჩენილი ორატორული სიტყვები, ბესიკის აღმოჩენილი (გიორგი ლეონიძისაგან) ავტობიოგრაფიული ცნობები. გრ. ორბელიანის წერილები და სხვა“ („ბახტრიონი“ № 1, 1923 წ.).

„ბახტრიონმა“ და საერთოდ ყანწელებმა დროშად წარიმძღვარეს ვაჟა-ფშაველა და ნიკო ფიროსმანიშვილი. გაზეთ „ბახტრიონის“ № 14-ის ინფორმაციაში ვკითხულობთ: „ნოემბერს ახალი მწერლობის კავშირმა წლევანდელი სეზონი გახსნა ვაჟა-ფშაველას საღამოთი. საღამოზე ილაპარაკა პაოლო იაშვილმა და ტიციან ტაბიძემ. ხალხი აუარებელი დაესწრო“, ხოლო ტიციან ტაბიძე წერდა: „ყველა ქართველებში გამონაკლისს შეადგენს ნიკო ფიროსმანი. მისი კონვენიალური ორეულია ვაჟა-ფშაველა, რომელთანაც აქვს სრული ანალოგია. ფიროსმანის გენიამ პირველშობილი ენტუზიაზმის არ იცის მწუხრი. ის მარად იქნება ქართულ დღეობაში (რომელიც ასე უყვარდა და რომლისათასი ვარიანტი აქვს), ის მუდამ იქნება სააღდგომო, კრავივით (რომ მიულოცოს ერს აღორძინება). და მაშინ, როდესაც გადაშენდებიან სარდაფის პატრონები, რომლებიც იცნობდნენ მას პირადად, მათ მაგიერ ტფილისში, ახალ პარიზში, სადაც ათასზე მეტი იქნებიან ქართველი მხატვრები, გაიგონებენ ამ შუადღის ლეგენდას, ლოთ ნიკოლაის ჭადოქარ ოსტატს, და საქართველოს მზეს“ („ბახტრიონი“ № 8, 1922 წ.).

ამ წერილს ასეთი მინაწერი აქვს: „ნიკო ფიროსმანიშვილი დაიბადა 1860—1868 წლებში კახეთში. 8 წლიდან თბილისში ცხოვრობდა. გარდაიცვალა 1918 წელს, აღდგომის დამეს. დასაფლავებული უნდა იყოს კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე“. „ბახტრიონში“ ფიროსმანზე დაიბეჭდა წერილები: ტიციან ტაბიძის, გ. ლეონიძის, კ. ზდანოვიჩის, შ. დადიანის, დიმიტრი შევარდნაძის, ლადო გუდიაშვილის, ვასილ არჩვაძის, ეგნატე მენთეშაშვილის, არტურ ლაისტის, ნინო თარაშვილისა და სხვათა.

გაზეთში ფართოდ იყო წარმოდგენილი ლიტერატურული ინფორმაციები, ქრონიკები, მწერლობასა და ხელოვნებაზე, რამდენიმე სპეციალური წერილი მიეძღვნა თეატრს, მათ შორის კოტე მარჯანიშვილის. ვახტანგ გარბიკი წერდა: „მარჯანიშვილი ევროპულად მოაზროვნე კაცია და მისი შრომა ევროპულ მასშტაბით დაფასდება“ („ბახტრიონი“ № 23, 1922 წ.). „ცხვრის წყაროს“ დადგმის გამო „ბახტრიონში“ ვკითხულობთ: „აღბათ არც ერთ დადგმაზე არ დაიწერება ამ სეზონში იმდენი, რამდენიც დაიწერება „ცხვრის წყაროზე“, კოტე მარჯანიშვილმა უთუოდ შექმნა თავისი ეპოქა ქართული თეატრის ისტორიაში... ჩვენ არასოდეს არ გვინახავს ასე გახარებული ქართველი საზოგადოება, როგორც იმ დამეს... მთელი ეჭვოტიურობა და ტემპერამენტი ამ წარმოდგენის თავზე გადაიტანა თამარა ჭავჭავაძემ (ლაურენსია). კ. მარჯა-

ნიშვილმა ქართულ თეატრს აღმოუჩინა თ. ჭავჭავაძე... „ცხვის წყაროს“ ამ დამეს გაამარჯვებინა თამარ ჭავჭავაძემ“.

ოციანი წლების დასაწყისში ფრიად სოლიდური და ფართო ეროვნული დიაპაზონის ლიტერატურული გაზეთი იყო „ბახტრიონი“. იგი ამავე დროს ქართველი სიმბოლისტების ეროვნულ ბუნებასა და ხასიათს ყველაზე ტიპურად გამოხატავდა. მართალი იყო პაოლო იაშვილი, როცა წერდა: „ჩვენს მწერლობას თითქოს ჭია შეეპარა, დასნეულდა და გაყვითლდა. საჭიროა თერგის ღრიალი და არა წყაროს რაკრაკი. საჭიროა გრიგალი და არა სიოს სიამოვნება, საჭიროა სიცოცხლე და არა საფლავეზე ტირილი... ეს არის მოწოდება მათი, ვისაც თავის საყვარელ ფალავნად ვაჟა-ფშაველა გამოყავს. ეს არის ახალი მწერლობის კავშირის ამოცანა“ („ბახტრიონი“ № 19, 1922 წ.).

ამგვარად ქართველი სიმბოლისტების შემოქმედებაზე ახალი საქართველოს გავლენა თანდათანობით თვალსაჩინო ხდება. ამის კვალობაზე მნიშვნელოვანი გახდა მათ მიერ შეტანილი წვლილიც ქართულ საბჭოთა მწერლობაში.

ცისფერყანწელებმა გამოსცეს შემდეგი ჟურნალები: 1. „ცისფერი ყანწები“, რედაქტორი პაოლო იაშვილი (ქ. ქუთაისი, 1916 წ. ამ ჟურნალის ორი ნომერი გამოვიდა. ჟურნალის გარეყდაზე ყანწები იყო გამოსახული ემბლემად. მხატვრობა ეკუთვნოდა ლადო ჯაფარიძეს). 2. „მეოცნებე ნიამორები“ (№ 1 გამოვიდა 1919 წლის თებერვალში, რედაქტორები: ვ. გაფრინდაშვილი, ს. ცირეკიძე, ხოლო მეორე ნომრიდან რედაქტორია ვ. გაფრინდაშვილი. ამ აღმანახის თერთმეტი ნომერი გამოვიდა 1919—1924 წლებში. 1922 წლის დეკემბრის მე-8 ნომერს აწერია: „თბილისი“. მანამდე ეს აღმანახი გამოდიოდა ქუთაისში. „მეოცნებე ნიამორების“ მეორე ნომრის გარეყდაზე დახატულია ყელმოდერებული ნიამორი — გარეული თხა. მხატვრობა ეკუთვნის ლადო გუდიაშვილს). 3. „შვილდოსანი“ (რედაქტორი ს. ცირეკიძე, 1920 წ., ქ. ქუთაისი, ამ ჟურნალის ორი ნომერი გამოვიდა — № 1 და № 2—3). გაზეთები: 1. „ბარიკადი“ (1920—1922—1924 წწ. პოეზია, ესთეტიკა, პოლიტიკა). „ცისფერი ყანწების“ კვირეული (სალიტერატურო) გაზეთი, თბილისი (რედაქტორი ტ. ტაბიძე). 2. „რუბიკონი“, 1923 წ. სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის კვირეული ორგანო, თბილისი. 3. „ბახტრიონი“ (რედაქტორი გიორგი ლეონიძე, 1922—1923 წწ., ქ. თბილისი). 4. „ლაშარი“, 1923, სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის კვირეული ორგანო, თბილისი (ამ გაზეთის მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა).

ცისფერყანწელთა კორპორაციაში შედიოდნენ: პ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ტ. ტაბიძე, ს. ცირეკიძე, ს. კლდიაშვილი, კ. ნადირაძე, შ. აფხაიძე, ნ. მიწიშვილი, რ. გვეტაძე, გ. ლეონიძე, ი. ყიფიანი, ლილი

მეუწარგია, ალი არსენიშვილი, შ. კარმელი, ნინო თარიშვილი... ზემოთ დასახელებულ ჟურნალ-გაზეთებში, ამ კორპორაციის წევრების გარდა, მონაწილეობდნენ: გ. ტაბიძე (მისი ორი ლექსი „მთაწმინდის მთვარე“ და „ლურჯა ცხენები“ დაიბეჭდა ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“, № 1), ი. გრიშაშვილი („სმინავს დედოფალს“, ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, № 1 და „შეშლილი ოთახი“, „ცისფერი ყანწები“, № 2), ნ. ლორთქიფანიძე, ლელი ჭაფარიძე, არისტო ჭუმბაძე, დია ჩიანელი, აკაკი ფალავა, გრ. ჭაფარი, პ. ინგოროყვა, ტერენტი გრანელი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, გრ. ცეცხლაძე, ლადო მაჭავარიანი.

1919 წელს სანდრო ცირეკიძის მიერ ქუთაისში დაარსებული გამომცემლობის „კირჩხიბის“ მეთაურობით მომზადდა და გამოიცა ქართული მოდერნისტული მწერლობის ფუძემდებლური წიგნები: ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისები“, კოლაუ ნადირაძის „ბაღდახინი“, ამავე 1919 წელს „კირჩხიბმა“ გამოსცა სტეფანე მალარმეს ლექსები და პროზა ქართულად, თარგმნილი ქართველი სიმბოლისტების მიერ: „სტეფანე მალარმე. ლექსები და პროზა. ქუთაისი, 1919 წელი“ — ასე აწერია ამ წიგნს ყდაზე, ხოლო მეორე გვერდზე ლადო გუდიაშვილის მიერ დახატული ყანწელების ემბლემა: ყელმოდერნებელი მეოცნებე ნიამორები, მესამე გვერდზე — ფრანგულად: „სტეფანე მალარმე — ლექსები და პროზა“. მეექვსე გვერდზე დაბეჭდილია მალარმეს პორტრეტი, სანდრო ცირეკიძის „მთვარეულები“.

ქართველი სიმბოლისტები — ცისფერყანწელები შეეცადნენ გაეფართოებინათ ლიტერატურული მოქმედების არე და ამ კორპორაციის გავლენა უფრო მეტად გაეკრცელებინათ. ამ მიზნით ყანწელებმა გამომცემლობა „კირჩხიბის“ მეოხებით, 1919 წელს გამოსცეს „ახალი პოეზიის ანთოლოგია“, რომელშიც ცისფერყანწელებთან ერთად, წარმოდგენილი იყვნენ რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების მწერლებიც.

„სიმბოლიზმის მოტივებით გაიყვინთა ქართული მწერლობის ჰაერი. თვით უაღრესად რეალისტ-დემოკრატ მწერლების ჰანგში გაისმა მისტიკის ხმა ორეული“. „ახალი პოეზიის ანთოლოგია“ — ეს პირველი სიმბოლისტური ანთოლოგიაა ქართულ მწერლობაში. საკუთრივ სიმბოლისტების ტ. ტაბიძის, ვ. გაფრინდაშვილის, კ. ნადირაძის, გ. ლეონიძის, ს. ცირეკიძის რ. გვეტაძის, შ. კარმელის, შ. აფხაიძის, პ. იაშვილის, გ. ტაბიძის, ს. კლდიაშვილის, დ. ჩიანელის გარდა, აქ წარმოდგენილია რეალისტი მწერლები: ნ. ჩხიკვაძის, გ. ქუჩიშვილის, ს. შანშიაშვილის, ალ. აბაშელის, ლ. ქიაჩელის, ხ. ვარდოშვილის, გ. ცეცხლაძის და სხვათა ლექსები და მინიატურები შერჩეული სიმბოლიზმის მოდელთა მისადაგებით. მაგალითად, ა. აბაშელის „სიკვდილი დაძრწის, სიცოცხლეს სცელავს, არსით იმედი, არსაით შეველა... შეშლილი ქვეყანა

სივრცეში ქანაობს, და პირველყოფილი იდვიძებს ქაოსი“. ასევე ქუჩის ბოჭემითაა წარმოდგენილი გ. ქუჩიშვილის ლექსი „ქუჩის მელოდია“, გ. ცეცხლაძის „ლოთის სონეტი“. ხოლო თვით უაღრესად რეალისტურ-რევოლუციურ ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუადან“ ამოღებულია ეპაზოდი — „სიმიინდის თოხნა ყანაში“. საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური, მებრძოლი პათოსისაგან განთავისუფლებული ეს სევდიანი თუ „სევდანარევი ღიმილი ყანისა“ მისადაგებულია მისტიციზმს. ამავე ანთოლოგიაში შეტანილია კ. გამსახურდიას ექსპრესიონისტული ლექსი „ბერლინი“, „ღამის სიგიჟე, ბერლინის უცნაური ღამე, სადაც ყვითელ ლითონს შეუცვლია იესოს ხატი, სადაც ღიღია გარყვნილება და ცდუნება — აქ ისარია მბრძანებელი და ციფერბლატი“, ამ ღიღი ქალაქის შიშით შეპყრობილი პოეტი პირველყოფილობაში, მითში ეძიებს შვებას.

„ახალი პოეზიის ანთოლოგია“ ს. ცირეკიძის მიერ დაარსებულმა გამომცემლობამ — „კირჩხიბმა“ გამოსცა 1919 წელს, 1922 წელს ს. ცირეკიძის „მთვარეულები“. ეს ის გამომცემლობა იყო, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ცისფერყანწელებს და საზოგადოდ, ქართველ მოდერნისტებს რომ ბეჭდავდა. ეს გამომცემლობა დაკავშირებულია „ეგრეთ წოდებულ ქართულ მოდერნიზმთან და იმ ახალგაზრდა მგოსნების პლეადასთან, რომელიც 1915 წელს პაოლო იაშვილითურთ მოევივნა ქ. ქუთაისს და რომლის რედაქტორობითაც საზოგადოებამ 1916 წელს იხილა შედეგი მათი შემოქმედებისა — ცისფერყანწელები. მათი სიტყვა იყო ახალი სიტყვა, ახალი მიმართულება ჩვენს მწერლობაში, სახელდობრ ქართული მოდერნიზმი“ (ყ. „ხელოვნება“, 1921 წ., № 3).

ოციან წლებში ქართველმა სიმბოლისტებმა, ქუთაისიდან თბილისში გადმონაცვლეს; მათ აქ უფრო ფართოდ გაშალეს ფრთები; გაზეთ „კომუნისტის“ 1921 წლის 4 მაისის ნომერში ვკითხულობთ: „ხელოვნების სასახლეში ქართველ პოეტთა კრებაზე 26 აპრილს პოეტმა ტიციან ტაბიძემ გააკეთა მოხსენება ლაფორგის შემოქმედებაზე. მოხსენებელმა დახატა საფრანგეთის სიმბოლისტების სახე და მისი შემოქმედების შინაარსი. მოხსენების შემდეგ წაიკითხეს ლაფორგის ლექსები.

პოეტმა პაოლო იაშვილმა წაიკითხა ლაფორგის საუკეთესო ლექსი „სამგლოვიარო მარში დედამიწის სიკვდილზე“, რომელშიაც განსაკუთრებული სიძლიერით გამოიხატა ლაფორგის მთელი ტრაგიკული პათოსი. ტ. ტაბიძის მოხსენებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია. პარასკევს, 29 აპრილს, არტურ რემბოზე მოხსენება უნდა წაიკითხოს პაოლო იაშვილმა“.

ჩვენს პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა ამგვარი ქრონიკა, რომელიც გვაუწყებდა ცისფერყანწელების აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირ-

ველ წლებში ქართულ მწერლობაში ცისფერყანწელების კორპორაცია მოქმედი, აქტიური სიმბოლისტური ლიტერატურული გაერთიანება იყო.

ქართული ლექსის პოეტური ფორმების ამალღებისათვის ყანწელების ბრძოლას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მათ გააფართოეს ქართული ლექსის საზღვრები, ახალი სალექსო ზომების, ახალი გამომსახველობითი ფორმებისა და საშუალებების ძიებით ქართული ლექსის ტექნიკა წინ წაწიეს. მართალია, ყანწელებმა თავის დროზე სიმბოლიზმის, მისტიური ინდივიდუალიზმის, იდეალიზმის თეორიული საფუძვლები პირწმინდად გაიზიარეს, მაგრამ ქართული ლექსისათვის ზრუნვა არასოდეს დავიწყებიათ. ამ მხრივ ისინი მართლაც თანამიმდევარი და პრინციპული იყვნენ. უნდა დავეთანხმოთ ტ. ტაბიძის აზრს: „მიუხედავად იმისა, რომ მოწყვეტილი ვიყავით რეალურ სინამდვილეს და უუნარო აღმოვჩნდით სწორად გავრკვეულიყავით სოციალ-პოლიტიკურ ამბებში, მაშინდელი გაღარიბებული ქართული ლექსის ფონზე პოეტების ახალმა სკოლამ მაინც დიდი როლი ითამაშა. პირველად ჩვენ შემოვიტანეთ ქართულ ლექსში სიტყვები, რომლებიც განდევნილი იყო ან სულ არ იხმარებოდა. პირველად დაიწერა ნამდვილი სონეტები, ტერცინები, ტრიოლეტები. რითმას ახალი გასაქანი მიეცა, ახლებურად ვიყენებდით ალიტერაციებსა და ასონანსებს: ბოდლერის, ვერლენის, რემბოს, ლაფორგის და სხვა ფრანგი და რუსი პოეტების თარგმანებმა გააფართოვეს პოეტური თემისა და სახეების არე — ქართულმა ლექსმა ახლებური ყღერა შეიძინა“.

ყანწელების შინაგანი გაორების მიზეზი ის იყო, რომ, მათ ეშინოდათ არ მოწყვეტილიყვნენ საკუთარ მიწას, ეროვნულ ნიადაგს, ერთგვარად მთლიანობაში აეთვისებინათ მისტიციზმიც და ეროვნულა სეღაც. ყველაფერი ეს იყო ძიება ახალი გზებისა, ქართული ლექსის განახლების გზებისა. შემდგომში, მათს პოეზიაში მისტიციზმის ექსტაზი თანდათანობით განელდა, დაბოლოს, ყველაფერი „მიწასთან დაბრუნებით“, ქართული პატრიოტული მწერლობის ძირებთან დაბრუნებით დამთავრდა. ასე დაიწყო მათი პოეზიის დიდი ამალღებაც. შეადარეთ თქვენ ამ პოეტების თვითმყოფადი და ამალღებული ლირიკა მათსავე 10-იანი წლების დასასრულის, მოდერნიზმის სქემებით შეზღუდულ ლექსებს და განსხვავება ერთბაშად თვალსაჩინო გახდება. ამ უაღრესად ნიჭიერი ახალგაზრდობის პოეტური ფანტაზია მთელი სიძლიერით მას შემდეგ უფრო გაიშალა, რაც მათ უკუაგდეს ხელოვნური, ლექსის გართულებული სტრუქტურა და მსოფლიო მისტიციზმის ქიმერები თავიდან მოიცილეს.



პირველი საბჭოთა ანთოლოგია—„რევოლუციის პოეტები“ 1921 წელს გამოვიდა. ამ ანთოლოგიის შემდგენლები და რედაქტორები იყვნენ იმ

დროს დიდად გახმაურებული და მებრძოლი პოეტური კორპორაციის — „ცისფერი ყანწების“ გამოჩენილი წარმომადგენლები — ტიცთან ტაბიძე და გიორგი ლეონიძე. ეს ფრიალ საინტერესო, ისტორიული ფაქტი იყო რევოლუციური საქართველოს ცხოვრებაში. დიდი გემოვნებით შერჩეული და ერთ წიგნად აკინძული ეს ანთოლოგია რევოლუციური საქართველოს პირმშო იყო, ახალი საქართველოს პოეტური თავფურცელი გახლდათ. ამ გამოცემით მისმა რედაქტორებმა გულწრფელი მოქალაქობრივი ვალი მოიხადეს რევოლუციური საქართველოს წინაშე. ანთოლოგიის რედაქტორებს ფრიალ კეთილშობილური მისწრაფება ამოძრავებდათ — სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ მიეწოდებინათ რევოლუციური საქართველოს მშენებელი ადამიანებისათვის იდეური საზრდო, ქეშმარიტი პოეტების გულით გამთბარი და რევოლუციის რწმენით შთაგონებული ლექსები.

ეს ისტორიული ფაქტი იმასაც ადასტურებს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე ქართული მწერლობის მოწინავე რაზმი გვერდში ამოუდგა რევოლუციურ საქართველოს. საბჭოთა საქართველოს რევოლუციური მონაპოვრის განმტკიცებას ქართულმა მწერლობამ დიდი ღვაწლი და ამაგი დასდო. ამავე დროს, სოციალისტურმა რევოლუციამ ქართული მწერლობის ბედზე, მის მომავალზე უდიდესი, შთამბავონებელი ზეგავლენა მოახდინა. ამ საყოველთაო ფაქტის პირველი გამოვლინება იყო ანთოლოგია — „რევოლუციის პოეტები.“

ანთოლოგია იხსნება ტიცთან ტაბიძის ორგვერდიანი წინასიტყვაობით, რომელშიაც რევოლუციის მიერ პოეზიის წინაშე დაყენებულ მეტად აქტუალურ საკითხებზეა პასუხი გაცემული: „ამ წერილის საგანია, — ვკითხულობთ წინასიტყვაობაში, — აღინიშნოს, როგორ დამოკიდებულებაში იყვნენ საზოგადოდ პოეტები რევოლუციასთან. შეიძლება ამ საგნისთვის ჭერ განსაკუთრებით არავის მიექციოს ყურადღება, ყოველ შემთხვევაში, ის წიგნები, რომლებიც მე აქამდე წამიკითხავს, არ აღნიშნავენ ამას. არ იქნება პარადოქსი იმის მტკიცება, რომ ყოველი დროისა და ყველა ქვეყნის პოეტები ყოველთვის იდგნენ რევოლუციის მხარეზე. და ბევრი პოეტიც სამუდამოდ ყოფილა შთაგონებული რევოლუციის ცეცხლით, და რომ რევოლუციის ქარიშხალი მათი პოეტური სტიქიისათვის დიდი სტიმული ყოფილა“.

„ყოველი დროისა და ყოველი ქვეყნის პოეტები ყოველთვის იდგნენ რევოლუციის მხარეზე“, — ესაა ამ წერილის ძირითადი პათოსი, ამ დებულების საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს დიდი პოეტების — დანტეს, ბაირონის, შილერის, გოეთეს, შექსპირის მაგალითები. „და როგორც გვირგვინი ამ რევოლუციის პოეზიას, როგორც უზარმაზარი გოტიური ტაძრის ზარი, რევოლუციის დაფდაფს სცემს ვიქტორ ჰიუგო,

ეს ყველაზე დიდი და ყველაზე ნაციონალური პოეტი საფრანგეთისა... ბარიკადებზე იბრძოდა შარლ ბოდლერი, უდიდესი ინდივიდუალისტი და დამწყები სიმბოლიზმის სკოლისა, ბოდლერივე სცემდა გაზეთ „ბარიკადას“, რევოლუციის ყველაზე უფრო საგმირო დროს, პარიზის კომუნის დროს, კომუნარებთან ერთად იბრძოდნენ რემბო და ვერლენი. რემბოს „დასახლებული პარიზი“ შედევრია რევოლუციის პათოსის, და რემბოს იქით, ხომ ჯერ არ წასულა პოეზია... საფრანგეთის რევოლუციის პოეტმა და კომუნარმა ეჟენ პოტიემ შექმნა „ინტერნაციონალი“... რუსეთის მწერლობა ყველაზე უფრო დამამტკიცებელი საბუთია ამ თეზისისა“...

და წერილის ავტორი აქ ასახელებს რადიშჩევის, პუშკინის, რილევის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, პოლონსკის, ბლოკისა და ზრიუსოვის მაგალითებს: „თორმეტნი“ და „სკვითები“, რუსეთის რევოლუციის აპოლოგიაა. ხოლო მაიაკოვსკი თითქმის სულ შეეწირა რევოლუციას“. ავტორი თავის ძირითადი თეზისის დასამტკიცებლად უფრო ვრცლად მიმართავს საქართველოს მაგალითებს და აქ ასახელებს რუსთაველს და მის მომდევნო პოეტებს, ხოლო „XIX საუკუნეში აკაკიმ და ილიამ პოეზია ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის იარაღად აქციეს. თითქმის საყოველთაოდ მიღებულია ისეთი აზრი, რომ მათ პოეზია მსხვერპლად მიუტანეს ამ მიზანს“. წერილი თავდება თანამედროვე პოეზიის დახასიათებით. „ქართული პოეზია რომ აგრძელებს ბრძოლის ტრადიციებს, ეს აშკარაა. ქართველი პოეტები ასე ფიქრობენ: ეროვნული თავისუფლება დამოკიდებულია სოციალურ განთავისუფლებაზე, და რევოლუციის დაცვა ერის, ეროვნების იდვის დაცვაა, რადგან შრომის განთავისუფლებასთან ერთად განთავისუფლება ერიც“. როგორც იტყვიან, ამ ადგილს კომენტარი არ სჭირდება.

რევოლუციური პოეზიის პირველი ანთოლოგია მისმა რედაქტორებმა სულ მოკლე დროში შეადგინეს. ამიტომ კრებულს ერთგვარი ნაჩქარეობა ეტყობა; მაგალითად, მასში არ არის შეტანილი გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „დროშები ჩქარა“, „გემი დალანდი“, თვით პაოლო იაშვილის „ახალ საქართველოს“; მაგრამ ეს ცალკეული ნაკლია, უმთავრესი კი ის არის, რომ როგორც უნდა იყოს ამ პერიოდის ლიტერატურული დაჯგუფებების („ცისფერყანწელების“, „აკადემიური ასოციაციის“, „ფუტურისტების“) დეკადენტური ანტირეალისტური ხასიათი, რევოლუციის პირველსავე დღეებში ქართული პოეზიის ყველა მოქმედი ძალა, მეტ-ნაკლებად, საბჭოთა საქართველოს მხარეზე დადგა და მათს „ლიტერატურულ ოპოზიციას“ ლიტერატურული მრწამსი უფრო ედო საფუძვლად, ვიდრე რევოლუციასთან მოქალაქეობრივი დამოკიდებულება. ქართველმა მწერლებმა რევოლუციური საქართველოს მოქალაქეებად გამოაცხადეს თავი. ამის უპირველესი გამოხატულება იყო ეს

პირველი ანთოლოგია. აქ უკვე აღარ იდგა რევოლუციის მიღება-არმიღების საკითხი. ანთოლოგიის შესავალ წერილში ტიცინ ტაბიძე წერდა: „ამ წერილის საგანი არ არის გამოარკვეოს, თუ რა დამოკიდებულება არსებობს ხელოვნებასა და რევოლუციას შორის, არც ის თუ როგორ მოქმედებს ხელოვნებაზე რევოლუციის პროცესი, არც მისი შედეგების აღნიშვნა“. უფრო ადრე ამის თაობაზე პოეტი გარკვევით წერდა: „პირველი აფეთქება ქართულ პოეზიაში ყველა ყუმბარების აფეთქება იყო და „ცისფერი ყანწები“ დანამიტით გატენილი სარდაფაა დღევანდლამდე... არის უცნაური ანალოგია: რევოლუცია ქართულ პოეზიაში უფრო ადრე დაიწყო პოლიტიკურ რევოლუციაზე, მას არ ჰქონია ეტაპები: თებერვლის და ოქტომბრის და აქამდის გრძელდება ამოვარდნილი გრიგალი... ლაფორგისა და ლოტრეამონის შემდეგ დღეს ისე არ ღამდება, როგორც წინათ და ამ კომმარულ ღამეებს უნდა სხვანაირი გათენება. პოეზია როგორც მორიელი დაუბრუნდა თავის საკუთარ თავს შხამით — ეს ყველაზე უფრო საშინელი ტერორია. მსოფლიო ომი, სოციალური რევოლუცია და კომუნისტების გამარჯვება ამტკიცებს, რომ ძველი ქვეყანა მოკვდება... ყველა პოლიტიკურ რევოლუციებს წინ უსწრებდა რევოლუციები პოეზიაში. ძველი კულტურის ბედიც პოეზიის ხერხემალზე უნდა გადატყდეს“ (ეურნ. „შვილდოსანი“, № 1, 1920 წ.).

ქართველი მოდერნისტები სწორედ ამ ნიშნით თვლიდნენ თავიანთ თავს პოეზიაში რევოლუციონერებად, ისე როგორც ფრანგი და რუსი სიმბოლისტები. და თუ ფრანგი პოეტები პარიზის კომუნის ბარიკადებზე დგომას უთავსებდნენ თავიანთ სიმბოლისტურ მრწამსს, რატომ არ შეიძლებოდა ასევე მოქცეულიყვნენ ქართველი პოეტები, ცისფერყანწელები? ანთოლოგიაში სწორედ ამ თვალსაზრისით არის შეტანილი ფრანგი სიმბოლისტების რევოლუციური ლექსები. არც ის იყო შემთხვევითი, რომ თითქმის ყველა ცისფერყანწელი მონაწილეობდა ამ ანთოლოგიაში. ცარიზმის მიერ ფეხქვეშ გათელილი საქართველოს შეილები, ქართველი სიმბოლისტები, ეროვნული განთავისუფლების რეალურ ძალას რევოლუციაში ხედავდნენ. ამიტომ არ იყვნენ ისინი ქართულ ეროვნულ და რევოლუციურ ნიადაგს მოწყვეტილი: „ვინ დახრის დროშას მაღალტარიანს, როცა ის მოაქვს პროლეტარიატს“. — აცხადებდა ტიცინ ტაბიძე; ყანწელების მიერ რევოლუციის მიღება არ ნიშნავდა მათ მიერ პოეზიაში მოქალაქეობრივი იდეალის უპირატესობის აღიარებას. ცისფერყანწელებმა რევოლუცია ისე მიიღეს, რომ მოდერნისტულ მხატვრულ-ესთეტიკურ მრწამსზე ხელი არ აუღიათ. ჩვენ ამ მომენტებს იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ქართულ სიმბოლიზმზე დღემდე სულ სხვადასხვაგვარი, ხშირად

დიამეტრულად საწინააღმდეგო ასრები ვრცელდებოდა. მაგრამ აქ ჩვენ უკვე ქართული სიმბოლოზმის დახასიათების საკითხს მივადექით, ზემოთ ეს საკითხი უკვე გარკვეული გეჭონდა, აქ კი მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე მაშინ მიესალმნენ სოციალისტურ რევოლუციას, ახალ საბჭოთა საქართველოს, როცა პოეზიაში სიმბოლოზმის პოზიციებს თავგამოდებით იცავდნენ.



როგორც აღინიშნა, „რევოლუციის პოეტები“ — ასე ეწოდება პოეზიის პირველ საბჭოთა ანთოლოგიას, რომელიც შეადგინეს ტიციან ტაბიძემ და გიორგი ლეონიძემ. ანთოლოგიაში შეტანილ ერთ ლექსს — „ძველი სიმღერა“, ასეთი შენიშვნა აქვს დართული: „ეს ძველი ქართული მუშური სიმღერაა. 70-იან წლებში მღეროდნენ, საკრავებზედაც ყოფილა პოპულარული. გადმოგვცა ზაქარია ჭიჭინაძემ.“

ჩვენ აქვე გვინდოდა ჩაგვეერთო ცნობილი ლექსი 906 წლისა არსენ ჯორჯიაშვილზე, მაგრამ მისი სწორი ვარიანტი ვერ ვიშოვეთ და წიგნის დაჩქარების გამო გადავდეთ“.

„რევოლუციის პოეტები“ გამოვიდა 1921 წლის ოქტომბერში და არა 1922 წელს როგორც ეს აღნიშნული აქვს გ. ცურუიკოვას (იხ. „ტიციან ტაბიძის ცხოვრება და პოეზია“, გვ. 111). წიგნის „დაჩქარებით გამოცემა“ კი დროის, რევოლუციური საქართველოს ისტორიული მოთხოვნილებებით იყო ნაკარნახევი.

ანთოლოგია იხსნება ეყენ პოტიეს „ინტერნაციონალით“. იგი ანთოლოგიაში წარმოდგენილია სამი ვარიანტით: პირველი — დედნის ენაზე, ფრანგულად, მეორე — ქართულად, რომელსაც ასეთი შენიშვნა აქვს: „ეს თარგმანი მოწონებულია გაზეთ „კომუნისტისაგან“ და არჩეულია ხუთ თარგმანში. ეს ვარიანტი დაკანონდა ქართულში“. მესამე ვარიანტი იროდიონ ევდოშვილის თარგმანითაა წარმოდგენილი. ამას მოჰყვება რუჟე დე ლილის „მარსელიოზა“ (თარგმანი ტრისტან მაჩაბლისა. ტრისტან მაჩაბელი ვალერიან გაფრინდაშვილის ფსევდონიმი იყო).

ანთოლოგიაში მესამეა აკაკის ლექსი „ძირს მთავრობავ, უსამართლოვ, ველარ ვიტანთ გასაჭირსო“, დაწერილი 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში; მეოთხეა ილია ჭავჭავაძის „ოდა თავისუფლებას“. ეს ლექსი ამოღებულია ილია ჭავჭავაძის პოემიდან „ქართველის დედა“ (სცენა მომავალ ცხოვრებიდან). ამ პოემის ავტორისეული მეორე ვარიანტის მიხედვით სათაური „ოდა თავისუფლებას“ თვით რედაქტორებს მიუყიათ ლექსისათვის. ამას მოსდევს ტიციან ტაბიძის „პეტერბურგი“:

კუნძულებიდან მოპქრის ქარი დაუდევარი,
აწვება ქუჩებს ყუმბარების ცეცხლით გადახრულს,
თუ სცივა ვისმეს?.. მხოლოდ კახპებს მუდამ გადაკრულს:
ჩრდილების ლანდში მიდის ლანდი თეთრი ედგარის,
ჯერ არ ყოფილა შებრძოლება ასე მედგარი,
ასდის სიმყარე სალდათების გადამთვრალ მაყრულს,
რეცხავს მოიკა მატროსების გვაშებს ჩაყურულს,
თუჯის მხედარსაც უბნელდება გული ბედქარი.
ვინ გამოუშვა, ვინ დაიჭერს, ვინ დააკავენს?
ქაობის ნისლში სისხლის ოფლი გამოდის მკლავებს,
მოიგონებენ და იტყვიან მხოლოდ ერთ სახელს...
გასიებელი ძირს ეშვება პოლანდიელი,
სნეული ჰინკა დაბლა უყევს ანდრეი ბელის
და უერთდება პეტერბურგის ქაოსის ნახველს.

29 ოქტომბერი, 1917 წ.

პეტროგრადი... აქ თებერვლის რევოლუციის მზადებისა და ოქტომბრის მღელვარე დღეების მოწმენი და მონაწილენი იყვნენ გალაკტიონ ტაბიძე, კოტე მარჯანიშვილი... საკუთარი თვალთ იხილეს მათ „ქართველები ცეცხლთა ფენისა და მოიტანეს საქართველოში სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა“ (გ. ტაბიძე). თებერვლის რევოლუციას მიუძღვნა გალაკტიონ ტაბიძემ 1917 წლის პირველ მარტს გამოქვეყნებული ლექსი „დროშები ჩქარა“. „გათენდა, ცეცხლის მზე აენთო, აცურდა, დროშები ჩქარა! თავისუფლება სულს ესე მოსწყურდა ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო ანკარა... დროშები ჩქარა!“ ამ სტრიქონებს მოსდევს: „დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით, ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას“. დააკვირდით: ამ ბოლო ორ სტრიქონში თებერვლის რევოლუციის მომდევნო ისტორიაა ნაგრძნობი და ამღერებული.

ტ. ტაბიძის ზემომოყვანილი ლექსი პირველად დაიბეჭდა 1919 წელს, ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებში“ (№ 1). იქ მას თარიღი არ უზის. ამ ლექსში სტრიქონს — „მოიგონებენ და იტყვიან მხოლოდ ერთ სახელს“ — პირველ ბეჭდურსაც და ანთოლოგიაში დაბეჭდილსაც ბოლოში მრავალწერტილი უზის. ტ. ტაბიძის თხზულებათა პირველ ტომში მრავალი წერტილის ნაცვლად შეტანილია სიტყვა — ლენინი. და ასე იკითხება ეს სტრიქონი: მოიგონებენ მხოლოდ მარტო ლენინის სახელს. თარიღად უზის 29 ოქტომბრის ღამე, ქუთაისი, 1917. არ ვიცი რამდენად შეეფერება ეს დედანს, თვით ანთოლოგიის შემდგენელს ტ. ტაბიძეს არ შეუტანია საკუთარ ლექსში კორექტივი: არც 1919 და არც 1921 წ. მრავალი წერტილის ნაცვლად არ ჩაუწერია სიტყვა — ლენინი, ოღონდ ამ ლექსის მთელი ფაქტურა რომ სუნთქავს ძველი სამყაროს ნგრევით გამოწვეული ალტაეების პათოსით, ეს უდავოა.

1933 წელს კოტე მარჯანიშვილზე დაწერილ სტატიაში ტიციან ტა-

ბიძე წერდა: „კოტე მარჯანიშვილი სათავეში ედგა მოსკოვის „თავისუფალ თეატრს“, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, როცა „თავისუფალი თეატრი“ დაიხურა და ა. ტაიროვმა გახსნა კამერული თეატრი, ა. ანენსკის „ტანშირა კოფარედის“ პრემიერაზე, დირექტორის კაბინეტში, კ. მარჯანიშვილზე ჰქონდა საუბარი კ. ბალმონტს, თ. სოლოგუბს, ალისა კონენსა და ტაიროვს. მე კიდევ პირტიტველა ენთუზიასტი ვიყავი და სულგანაბული ვუსმენდი როგორ უკვირდით ამ დიდ ოსტატებს ასეთი დიდი რეჟისორის უკვალოდ გაქრობა. ტაიროვი ამბობდა, კოტე ამჟამად გერმანიის ფრონტზე არის და ახალს არაფერს მწერს, ვერავითარი კავშირი მასთან ვერ გავაბიო.

რამდენიმე ხნის შემდეგ, — განაგრძობს ტიციანი, — ფრონტი დაიშალა და შინელიანმა ჯარისკაცებმა, რომლებიც განწირული იყვნენ ზარბაზნის ხორცად, პეტროგრადის მუშებთან ერთად ოქტომბერი მოახდინეს. კოტე მარჯანიშვილმა „მარსოვო პოლეზე“ მოაწყო რთული, უჩვეულო მანიფესტაციის გაფორმება, რომელიც მართლა მთელი ათი გაფრენით ძლიერი და მომხიბლავი იყო, ვიდრე რომელიმე თეატრალური დადგმა. აქ უკვე თეატრის მაკეტები კი არ ლავდებოდა, ხდებოდა ლენინის მეთაურობით კლასების გადალაგება და თვით ისტორია აკეთებდა მეწყერისა და მიწისძვრის ჩაშვავებას.

ინტელიგენციის თმაგაწეწილი ქადაგება ნევის ნაპირზე, ისევე, როგორც ოდესღაც ბაბილონის მდინარეთა ნაპირებზე, ისინი თავზე ნაცარგადაყრილნი მოთქვამდნენ სამშობლოს დანგრევას და დალუპვას. მხოლოდ რჩეულებმა იცოდნენ, როცა კვერცხიდან წიწილა ჩნდება, კვერცხის ნაკუჭი ტყდება, მაგრამ მხოლოდ წიწილას ჰგონია კვერცხის გატეხა ცის ჩამოვარდნა, და არ იცის, რომ იბადება ახალი ცხოვრებისათვის.

მაშინ გმირობად იყო მიჩნეული ხელოვნებაში ოქტომბრის თაობის მიდგომა, — დაასკვნის ტიციანი, — გონებით მივიდნენ ოქტომბერთან ვსევოლდ მიეერხოლდი და ვალერი ბრიუსოვი, გულით მივიდა კოტე მარჯანიშვილი, როგორც ალექსანდრე ბლოკი“ (ტ. ტაბიძე, თხზ. ტ. II, გვ. 113).

ანთოლოგიაში შეტანილია ადამ მიცკევიჩის „რუს მეგობრებს“ (თარგმანი ეკუთვნის გიორგი ლეონიძეს), პაოლო იაშვილის „ფარშევანგები ქალაქში“ (ეს ლექსი პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისფერ ყანაში“ 1916 წელს). ამას მოსდევს ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსი „კომუნარებს“.

ამას გარდა, ანთოლოგიაში დაბეჭდილია: გრ. ორბელიანის „მუშა ბოქულაძე“, ილია ქავჭავაძის „პარიზის კომუნის დამარცხება“, აკაკი წერეთლის „გაზაფხული“ და „ხანჯალი“, ტომას გუდის „სიმღერა მკერვალი ქალისა“ (თარგმანი ირ. ევლოშვილისა), ვალერი ბრიუსოვის „ხან-

ჯალი“ (თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილისა), ი. პოლონსკის „სოფია პეროვსკაია“ (თარგმანი ტიციან ტაბიძისა), ვიქტორ ჰიუგოს „განთიადის წინ“ (თარგმანი ირ. ევდოშვილისა), მამია გურიელის „ადამიანი“, იროდიონ ევდოშვილის „მეგობრებს“, „სალამო ქალაქში“, დობროლიუბოვის „უსათაურო“ (თარგმანი კირილე ლორთქიფანიძისა); ემილ ვერჰანის „აჯანყება“ (თარგმანი შალვა კარმელისა), ბერანეეს „საფრანგეთის მომავალი“ (თარგმანი ირ. ევდოშვილისა), ს. აბაშელის „ცეცხლის გალობა“, „წითელი ფრინველი“, სანდრო ეულის „ბარიკადებიდან“, დუტუ მეგრელის „ჩემი სურვილი“, შიო მღვიმელის „განთიადის შუქმა დაკრა“, ობოლი მუშის „ახალი აღთქმა“, კ. ჭიჭინაძის „სამშობლოსადმი“, გალაკტიონ ტაბიძის „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, ვარლამ რუხაძის „სოციალიზმი“, იონა ვაკელის „კომუნიზმი“, გრ. აბაშიძის „ტუსალის სიმღერა“, აქვეა ნ. ნეკრასოვის „ბავშვთა ტირილი“, ა. ბლოკის „სკვითები...“ (თარგმანი შ. აფხაიძისა), კ. ბალმონტის „მგოსანი მუშას“ (თარგმანი იასამანისა), ნოე ჩხიკვაძის „სიმღერა“, „მჭედელი“, მ. გორკის „უსათაურო“ (თარგმანი იასამანისა), უოლტ უიტმენის ლექსები (თარგმანი ვ. კოტეტიშვილისა), არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდი“ (თარგმანი პ. იაშვილისა), ა. პუშკინის, ვაჟა-ფშაველას, ა. ყაზბეგის, გ. ქუჩიშვილის, აგრეთვე გრ. ცეცხლაძის, ნ. ზომლეთელის, დ. თომაშვილის, ტ. გრანელის, ს. ერთაწმინდელისა და სხვათა ლექსები.

მართალია, ცისფერყანწელები გადაჰარბებით აფასებდნენ თავიანთ „დიდ დამსახურებას“ „ქართული ლექსის განახლებისა და რევოლუციის წინაშე ყველაზე საგმირო დროს“, მაგრამ მათ ამ საქმეში გარკვეულად წვლილი რომ ჰქონდათ შეტანილი, ესეც ფაქტია. თვით ამ ანთოლოგიის რედაქტორები თავისდაუზოგავად ჩქარობდნენ, ისწრაფოდნენ, რევოლუციის პირველსავე დღეებში მიეწოდებინათ ზემოხსენებული კრებული საჩუქრად ახალი საქართველოსათვის.

ანთოლოგიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რუსი და ქართველი პოეტების ლექსები, მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციისადმი, ახალი ქვეყნისადმი:

წყებად დაღწილ ზარების დარდი,
დაღლილ ცხენების სუნთქვა და შური,
მე, ნოემბერი და პეტროგრადი,
ასეთი კარგი და უდაბური...

და მარტობამ სხვა ქადაგებით
გაიგო ჩემი: ვარ გაძარცვული
ამ უცხო ნისლის ბარიკადები
მე მიუვარს როგორც ჩემი წარსული.
(გ. ტ ა ბ ი ძ ე)

... ვით ნაპერწკალი კვამლის შავ გუნდში,
შეილნი ვართ ჟამის, წარმომავლისა,
თან მარცვალნი ვართ ტკბილი მერმისის,
მხურვალე ცეცხლი მომავალისა.

თავისუფლებას მიტომ ვსწირავთ თავს,
ეკლის გზაზე ვართ მიტომ ნადგომნი,
რომ არწივებით გამოიზარდნენ
ყველა თხუნელნი, უსინათლონი.

(მ. გო რ კ ი)

მხარევე მშობელო! მოგილოცავ დღესასწაულსა
თავისუფლების შენც მოგაწყდა ტალღათ გორებში
შენს წითელ დროშებს, საღღესო შენს
სამკაულსა,

მუხლ-მოდრეკილი სასოებით ვეამბორებით!

(ყ. კ ი ჭ ი ნ ა ძ ე)

აწვის და ინგრევა ბებერი ხმელეთი,
ვერ უძლებს მრისხანე გუგუნს და ძვრას!
პკივის და ღრიალებს შეშლილი ბნელეთი:
მხეცებო! ბეცებო! რას სჩადით, რას!

(გ. ქ უ ჩ ი შ ვ ი ლ ი)

ანთოლოგიაში, რევოლუციურ ლექსებთან ერთად, დაბეჭდილი იყო
ოქტომბრის რევოლუციის საგალობელი პროზაული მინიატურები. ასე-
თია, მაგალითად, ა. გასტევის „ქარხნის ბჭესთან“; მოვიყვანთ ცალკე
ადგილებს ამ თარგმანიდან:

„წელიწადი გადის, არ მინახვიხართ, ვერთი და მოვრბივარ თქვენს-
კენ შავო მილებო, კორპუსებო, გოდლებო!

მზათა ვარ გესაუბროთ, აღვაპყრო ხელნი და გადილოთ თქვენ, ჩემო
რკინის მეგობრებო!

მე სავსე ვარ დილის მზის სხივებით, მე ოქროს სიყმაწვილე ვარ.

ქარხანაში მივდივარ ისე, როგორც დღესასწაულზე, როგორც
ლხინში.

მუშათა ქალაქი ლივლივებს სხივებში, ქრება ღამის წყვილიადი,
ბორგავს ზღვა, იფრქვევა ცეცხლის ენები, მქუხარეა აელვარებული
ქარხანა.

კორპუსთა ხაზებმა ცეცხლი წაუკიდა მინდვრებს, ორღობეს, დას-
წვა ცივი ნამის მძივები.

საკიდმა ფარნებმა გააღვიდა მთვლემარე ჭაობი, გუშინდელნი მუნჯ-
ნი დღეს მოძრაობენ, მეტყველებენ, ისმის ჩურჩული მსიბლავ ზღაპ-
რების.

კოშკიდან გასროლილმა ნაკადმა, თვით გავარვარებულ ლითონის

ნაპერწყლებმა, ვით გასროლილმა ტყვიამ გული გაუბო ტყეს. ამოდრავდნენ ცელქი ლანდები. უჩვეულოდ აეიფივდნენ ფრინველნი და ხმაურობენ, როგორც ადამიანები მიტინგზე. ნორჩი ხმები მღერის გაზაფხულის ჰიმნს, შორს გაისმის დიზელების ხმაური. ეს აპლოდისმენტია ფარდის ახდის წინ, გზები ოქტავით იმეორებს მიწის გუგუნს. გამოიშალნენ შრომნები და მოედვნენ ქალაქს. აი საცაა კიდევ გამოიხდება ახალი ნათელი, მიუწვდომელი, უხილავი წარმოდგენელი ნათელი. კუპრის ჩანჩქერივით ვარდება ხალხი ქარხნის სიღრმეში...

შეველ და უკვე დატყვევებული ვარ სტიქიურ ქუხილით, სინააღის მოძრაობით.

ჰაერი აღფრთოვანებით გმინავს. ქარხნის სულმა განგმირა ბრბო, გული ამოდრავდა ლითონისებური თრთოლვით.

კორპუსებმა იწყეს მძიმე მოძრაობა უფრო მძიმედ, უფრო ძლიერად, კორპუსები დაიმსხვრევა, მოიხსნებიან ადგილიდან და აფეთქდებიან, მოხდება კატასტროფა, მიწიდან ამოვარდება გეავარვარებული ლითონის შადრევანი.

— აფეთქდი, ახმაურდი, ჩვენ მზათა ვართ, ჩვენ ეზოში ვართ. ჩვენ უკვე სხვანი ვართ.

ბრბო მოდის ახალი მწყკრივით, რკინის ტემპით.

ხელები იწვის, უსაქმოდ არ ძალუძთ გაჩერება, ვერ ითმენენ უჩაქუჩოდ, უმუშევრად.

ენერჯის ნაკადი უნდა დაიცალოს.

— დაჰკარ, დაჰკარ!

— ჩქარა, უფრო ხშირად!

— გასჰერ, გახერხე!

— ჩანჩქერებთან! ჩვენ მათი ბერკეტი ვართ, ჩვენ მათი სუნთქვა, მათი აზრი ვართ.

ათასეული მუშები, ჩარხების თვალუწვდენელი მოედანი...

— სიმღერა რკინისა, ერთი მთლიანი...

ოჰ, უფრო სწრაფად, უფრო ჩქარა ამოდრავდით ბორბლებო...

ქვა, ლითონი, მუშები გაითქვიფა, ერთმანეთში...

ფოლადის დუღილი ცეცხლის გიზგიზი, შრომის გრიგალი.

გვისმინეთ —

წუთით ყველა ერთად!

აი ის, რკინის დემონი ადამიანის სულით, ფოლადის ძარღვებით, რელსის კუნთებით.

ის მიაღწევს მიზანს, ის გაიმარჯვებს“.

(თარგმანი მ. ბოჰორიშვილისა)

ახალი ქართული მწერლობის ეს პირველი პირმშო — „რევოლუციის პოეტების ანთოლოგია“, ჩვენი რესპუბლიკის ინტერნაციონალისტუ-

რი სულისკვეთების გამომსახველი დიდებული წიგნია. მისი შემქმნელები კი იყვნენ პოეზიის რაინდები, რევოლუციური საქართველოს გამოჩენილი პოეტები — ტიცინან ტაბიძე და გიორგი ლეონიძე. აქვე მოვიყვანო ამ წლის სამ დამახასიათებელ ქრონიკას:

1. „1921 წლის პირველ მარტს თბილისის სახელმწიფო თეატრში შედგა ქართველ ხელოვანთა საორგანიზაციო კრება, რომელსაც დაესწრო 1335 წევრი. რევიკომის სახელით შესავალი სიტყვა წარმოთქვა შალვა ელიაშვილი: „ჩვენ გვჯერა, რომ ხელოვნებისა და კულტურის ყოველი მუშაკი ჩვენთან იქნება, ჩვენთან ითანამშრომლებს, ჩვენ კი არ ვშლით ნაციონალურ თავისუფლებას, როგორც ამას ჩვენი მტრები ავრცელებენ, არამედ ვიცავთ მას და უზრუნველვყოფთ მის თავისუფალ განვითარებას. ჩვენ მივიღებთ ყველას ვინც კი დასახმარებლად მოვა ჩვენთან, ბოროტ მოწინააღმდეგეებზე ვეტყვი: „ჩვენ უთქვენოთაც შეეძლებოდათ საქმის გაკეთებას“. დამოუკიდებელი საბჭოთა საქართველო აბსოლუტურად სუვერენულია, ეროვნულ სახელმწიფოსა და კულტურის აღმავლობის საქმეში. გაუმარჯოს ძველის დიდ მემკვიდრეობას და მომავლის აღორძინებას ხელოვნებასა და კულტურაში. გაუმარჯოს ხელისუფლებისა და კულტურის პატიოსან მუშაკთა გაერთიანებას“ (იხილეთ გაზეთი „კომუნისტი“, 5 მარტი, № 4, 1921 წ.).

2. „ქართველ ხელოვანთა კრება. პირველ მარტს საღამოს ხუთ საათზე აკაკი ხოშტარიას სახლში (სერგიევის ქუჩა) შედგა ქართველ ხელოვანთა კრება. კრებას დაესწრნენ ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენლები: მწერლები, მუსიკოსები, მსახიობები და მხატვარნი. პოეტმა პაოლო იაშვილმა კრებას განუცხადა, რომ საქართველოს რევკომის განზრახვა აქვს აკაკი ხოშტარიას სახლი მთელი თავისი ინვენტარით გადასცეს ქართველ მწერალთა კავშირს, რომელიც მოაწყობს ხელოვანთა სასახლეს. ამ საკითხის საბოლოოდ გამოსარკვევად კრებამ აირჩია ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელშიც შევიდნენ: მწერალთა კავშირის თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი, პოეტი პაოლო იაშვილი, კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, მხატვარი მოსე თოიძე და კ. ანდრონიკაშვილი. ეს კომისია დელეგაციის სახით წარუდგება საქართველოს რევკომს და მოახსენებს ქართველ მწერალთა გეგმას ხელოვანთა სასახლის დაარსების შესახებ.

3 მარტს დღის პირველ საათზე დანიშნული იყო ქართველ ხელოვანთა კრება. 3 მარტს შედგა ეს კრება, რომელსაც დაესწრო შალვა ელიაშვილი. პაოლო იაშვილმა კრებას მოახსენა, რომ საქართველოს რევკომმა სრული თანხმობა განაცხადა რათა აკაკი ხოშტარიას სახლი გადავიდეს ქართველ მწერალთა სრულ განკარგულებაში. ამხ. შ. ელიაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს რევოლუციური კომიტეტი სრულ იმედს გამოთქვამს, რომ ყველა ქართველი ხელოვანი ეცდება იმუშაოს თავისი

ეროვნული კულტურის ასაღორძინებლად, რომლის განხორციელებაში დაეხმარება თვით რევკომი.

თბილისში დაარსდა ქართველ ხელოვანთა სასახლე. ხელოვანთა სასახლეს დიდი მნიშვნელობა ექნება. მის გარშემო უნდა შემოკრბეს ყველა დიდი ხელოვანი. ქართული ეროვნული კულტურის აღორძინებაში ქართულ ხელოვნებას ყოველთვის დიდი ადგილი ექირა. დღესაც ქართულმა ხელოვნებამ დიდი როლი უნდა ითამაშოს ერის ცხოვრებაში...

3. „პროვოკაციული ხმების უარსაყოფად ქალაქ თბილისის ყველა დაწესებულებათა საყურადღებოდ რევკომი აცხადებს, რომ საქმის წარმოება შემდეგშიც უნდა წარმოებდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე — ქართულ ენაზე“ (გაზეთი „კომუნისტი“, № 5, 6 მარტი, 1921 წ.).

და ესეც ერთი აღრინდელი ქრონიკაც:

„თბილისი — ეს ჩვენი ისტორიის სული და გული, ურომლისოდაც ერთს წუთს ვერ წარმოგვიდგენია ქართველი ერის არსებობა, მთლად ჰკარგავს ქართულ ელფერს და ხასიათს, ქუჩებში ქართული იშვიათად გესმით, არსადაა ქართული გვარი და წარწერა, სუსტია ჩვენი კულტურულ დაწესებულებათა მუშაობა, ჩვენი ეროვნული კულტურის კვალი არაფერს ემჩნევა და უცხოელს, სხვა ქვეყნიდან ჩამოსულს, მთაწმინდის ეკლესია და მეტეხი თუ ეტყვის, რომ თბილისში ქართველებიც არიან. თბილისის გადარჩულება გასაოცარი სისწრაფით მიდის წინ. აღარ არის, რაც იყო ამ ოცდაათი წლის წინათ და არც ის იქნება კიდევ ოცი წლის შემდეგ, რაც დღეს კიდევ დარჩენილა ქართველური“¹. რევოლუციამ ერთბაშად შეცვალა ეროვნული გადაგვარების ეს პროცესი. დაიწყო დიდი აღმავლობა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურისა, მწერლობისა და ხელოვნებისა და მაინც ეს გზა საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

• • •

რევოლუციის პირველ წლებში საკმაოდ ძლიერი კორპორაცია იყო ე. წ. „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი“, იგი შეიქმნა 1917 წლის ოქტომბერს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მწერალთა ეს დაჯგუფება ხელუხლებელი დარჩა ორგანიზაციულადაც და იდეურადაც: „კავშირი“, განსაკუთრებით ეროვნულ საკითხში ერთგვარად ემიჯნება საბჭოთა ხელისუფლებას. ამ კავშირის აქტიური წევრი იყო ევროპიდან ახლადბრუნებული კ. გამსახურდია, რომელიც ამ წლებში ქართული მწერლობის „მოდერნიზაციის

¹ „სახალხო ფურცელი“, 1916, № 467.

ლიტერატურულ პოზიციას“ იცავდა. ამავე „კავშირთან“, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში, იდეურად ახლო აღმოჩნდა ე. წ. მწერლობის სოციალ-დემოკრატიული სკოლა; სულ მალე ეს ლიტერატურული ჯგუფები: „ძველი კავშირი“, ჟურნალ „ხომალდის ჯგუფი“ და კ. გამსახურდიას „ილიონის“ ჯგუფი „აკადემიური ასოციაციის“ სახელით გაერთიანდა. აკადემიურ ასოციაციამი ერთიანი ეროვნული პოზიციით გაერთიანებული იყვნენ რეალისტებიც და მოდერნისტებიც (მაგ., კ. გამსახურდია).

„სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს“ ჰქონდა თავისი ოფიციალური ჟურნალ-გაზეთები: ჟურნალი „ლომისი“, რომელიც მერე ამავე სახელწოდების გაზეთად გადაკეთდა, გაზეთი „ივერია“ (რედაქტორი ლ. ქიაჩელი), გაზეთი „ქართული სიტყვა“ (რედ. ვ. კოტეტიშვილი); ჟურნალები: „კავკასიონი“ და „ახალი კავკასიონი“ (რედაქტორი პ. ინგოროყვა); ამ კავშირის პოზიციებს მხარს უჭერდნენ ალ. აბაშელის ჟურნალი „ხომალდი“ და კ. გამსახურდიას ჟურნალები — „ილიონი“ და „საქართველოს სამრეკლო“.

ამ პერიოდის ყველა ლიტერატურულ გაერთიანებას თავისი ლიტერატურული, იდეოლოგიური მრწამსი ჰქონდა, რომელსაც ისინი აშკარად და დაუფარავად ქადაგებდნენ თავიანთ „მანიფესტებსა“, თუ საკუთარ ნაწარმოებებში.

პროლეტარული მწერლები მხატვრული სიტყვის დანიშნულებას კლასობრივი თვალსაზრისით, საბჭოთა რევოლუციის თვალსაზრისით აფასებდნენ და ახასიათებდნენ. მწერლობის კლასობრიობა, პარტიულობა იყო მათი ამოსავალი პრინციპი; საბჭოთა ხელისუფლების სამსახური მათ მწერლობის უწმინდეს მოვალეობად გამოაცხადეს, რევოლუციურ მწერლობას რეალიზმის ტრადიციები დაუდევს საფუძვლად და საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ჩადგენ.

აკადემიური ასოციაციის წევრების უმრავლესობა რეალისტები იყვნენ, ოღონდ „წმინდა ეროვნული“ პოზიციებით ემიჯნებოდნენ საბჭოთა სინამდვილეს, ეკვით და უნდობლობით უყურებდნენ საბჭოთა ხელისუფლების ეროვნულ-ინტერნაციონალურ პოლიტიკას; მათგან განსხვავებული ესთეტიკური პოზიცია ჰქონდა სიმბოლისტებს. ილიასა და მისი თაობის მოწოდება, რომ მწერლობა ხალხს უნდა ემსახურებოდეს, ცისფერყანწულებმა უარყვეს — „მწერლობა სხვა ვინმეს კი არ ემსახურება, არამედ თავის თავს“; „მწერლობა რჩეულთა საქმეა, ზეკაცთა საქმეა, ღვთიური ხილვაა, და ის არ უნდა გვაგაბინძუროთ მიწიერი მოთხოვნილებებით“, — ასეთი იყო ამ კორპორაციის დევიზი. ისინი თანამიმდევრულად ქადაგებდნენ მოდერნიზმს. საზოგადოდ, ოციანი წლების ლიტერატურული დაჯგუფებები გარკვეულ ესთეტიკურ ინტერესებს და პრინციპებს გამოხატავდნენ მწერლობაში, არც ის იყო

შემთხვევითი, რომ როგორც ზემოთ გაკვირთ აღვნიშნეთ, ერთ დროს „ყანწელები“ და „აკადემიური ასოციაცია“ გაერთიანდნენ კიდევ. აი, ერთი ცნობა „რუბიკონიდან“:

„5 ოქტომბერს, 1917 წელს, ინციტატორთა ჯგუფმა მიიწვია ყველა ქართველი მწერალი და ამ ყრილობაზე პირველად ჩაეყარა საფუძველი სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს. უნდა ითქვას, რომ მაშინ რუსეთშიაც არ არსებობდა კავშირი, იქ თითქმის ნახევარი წლის შემდეგ მოხდა ამის ორგანიზაცია. იმ დროსაც ქართული მწერლობა დაყოფილი იყო ჯგუფებად. ყველაზე მემარცხენე ჯგუფი — „ცისფერი ყანწები“ — სრულიად უარყოფდა კონსერვატორულ მწერლობას, მაგრამ ორგანიზაციული მიზნით, ეროვნული ინტერესების დაცვისათვის, ეს ჯგუფი მოხვდა მწერალთა კავშირის ორგანიზატორთა შუაგულში და კავშირის დაარსებიდან იცავს ამ პრინციპს“ (ტ. ტაბიძე, „რუბიკონი“, 1923 წ.).

1921 წლის ოქტომბერში მოწვეულ იქნა სრულიად საქართველოს მწერალთა მესამე კონფერენცია; არჩეულ იქნა საბჭოს ახალი შემადგენლობა ალ. აბაშელის, ს. თავაძის, ვ. რუხაძის, ლ. ქიაჩელის, ია ეკალაძის, კ. მყაუშვილის, გ. ტაბიძის, ილ. აღლაძის, ი. გრიშაშვილის, ვ. კოტეტიშვილის, კ. გამსახურდიას, ტ. ტაბიძის შემადგენლობით; კანდიდატებად არჩეულ იქნენ: კ. აბაშიძე, მ. აბრამიშვილი, პ. ირეთელი; საბჭოს თავმჯდომარედ — კვლავ კოტე მყაუშვილი, მოადგილეებად — ლ. ქიაჩელი და ი. გრიშაშვილი. ყანწელებს საბჭოში ერთი თუ ორი კაცი აღმოაჩნდათ. ამით განაწყენებული გამოვიდნენ ამ კავშირიდან და თავიანთი დაჯგუფების ბაზაზე შექმნეს „ახალი მწერლობის კავშირი“. 1923 წელს, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მეხუთე კონფერენციაზე, „ახალი კავშირი“ შეუერთდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს. ამის გამო „ახალმა მწერალთა კავშირმა“ ასეთი განცხადება გააკეთა:

„ამიერიდან აწ გაერთიანებულ სრულიად მწერალთა კავშირში ჩვენი ყოფილი კავშირი შედის, როგორც შემადგენელი ნაწილი, იხსნის კავშირის სახელწოდებას და რჩება როგორც ლიტერატურული მიმართულება. მას, როგორც ერთ ნაწილთაგანს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა, აქვს საკუთარი გამომცემლობა და ლიტერატურული გამოსვლები“.

სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობის წინ კვლავ გამოეყენენ ყანწელები სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს, ისევე „ახალი კავშირის“ სახელწოდებით.

„აკადემიური“ ასოციაციის „უთანხმოება“ თუ „ბუტილობა“ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ აშკარად იყო გამოსატყუარი მათს მანიფესტებსა, წერილებსა თუ ლექსებში. სწორედ ინტელიგენციის ეს

მერყეობა და „ბუტიანობა“ მკაცრად გააკრიტიკა სერგო ორჯონიკიძემ: „ქართველი ინტელიგენციის ნაწილი განზე დგას, გაბუტულია, ჩვენი ინტელიგენცია თავის ბუტიანობას ეროვნულ ქურქში ახვევს, მაგრამ ეს გარეგნული სამოსელია... ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია: ან მტრობა ან მოყვრობა... რა თქმა უნდა, მტერს მტრულად მოვეპყრობით, მოყვარეს მოყვრულად“ (გაზ. „კომუნისტი“, 5 ოქტომბერი, 1924 წ.).

„აკადემიური ასოციაციის“ „ეროვნული კურსი“ უკიდურესად გამოიხატა ყურნალ „ხომალდში“, რომლის პირველი ნომერი 1921 წლის დეკემბერში გამოვიდა, მისი თანამშრომლები იყვნენ: ალ. აბაშელი, მიხ. ბოჭორიშვილი, ხ. ვარდოშვილი, იასამანი, თბოლი მუშა, ვ. რუხაძე, ვ. ტუქსიშვილი, ლ. ქიაჩელი, გ. ქუჩიშვილი, დ. შენგელაია და სხვ. „ხომალდის“ პირველი ნომერი იხსნებოდა ალ. აბაშელის, ამ ყურნალის რედაქტორის, ლექსით — „შორეული ნაპირი“. ამ ვრცელი ლექსის ძირითადი აზრი გამოხატულია შემდეგ სტრიქონებში:

და ერის ტანჯვის გამომხატველი
იზრდება გულში ორი მწვერვალი —
ერთი ნალველის ორი სახელი:
კრწანისის ველი და თებერვალი.

ეს ყოველად უსაფუძვლო პარალელები და ამ ნიადაგზე აღმოცენებული სევდა ამ ყურნალის მხატვრულ მასალას ბოლომდე გასდევს: „და საფლავის ლოდის ქვეშ მე კვლავაც მეწამება, რომ მიწაზე გადმოვლენ წარღვნის შემდეგ დმერთები“. (თბოლი მუშა, „ხომალდი“, № 2, 1922 წ.), „დმერთო, ეს ბორკილები კმუნვისა ამყარე“ (ვ. რუხაძე, „ხომალდი“, № 2, 1922 წ.), „ყველა ფოთოლზე დასმულია სიკვდილის დალი“ (ა. აბაშელი, „ტანჯვის ბარძიმი“, „ხომალდი“, № 3, 1922 წ.): „უკვე დავკარგე ბედნიერება“ (იასამანი, „კლდეზე“, „ხომალდი“, № 3, 1922 წ.) და ა. შ. ლექსებისა და მოთხრობების გარდა, „ხომალდში“ დაბეჭდილია კრიტიკული წერილები, ბიბლიოგრაფიები, რომელთა უმრავლესობა თვით რედაქტორს — ალ. აბაშელს ეკუთვნოდა. ამ წერილებში ლაპარაკია ხელოვნების დანიშნულებაზე, პროლეტარული მწერლობის რაობაზე. ავტორი რეალიზმის პრინციპს იცავს მწერლობაში: „ქეშმარიტი რეალიზმის საფუძველზე დამყარებული შემოქმედება — ეს ანთეოსია, რომელიც გრძნობს მიწის სიმტკიცეს, სტიმულია ძლიერების და იმედიანი გაფრენის“ („ხომალდი“, № 2, გვ. 4); „საერთო პროცესის პრინციპია დინამიური აქტუალურობა და ქეშმარიტი რეალიზმიც, ამაში სედავს ჯანსაღი ოპტიმიზმის გამართლებას, სულ წინ და წინ ყოველთვის ახალი პერსპექტივისათვის“ („ხომალდი“, № 2, გვ. 5).

ამგვარად, ყურნალი მხარს უჭერს და ქადაგებს „მებრძოლ რეალიზმს“.

„ხომალდი“ მკაცრად ილაშქრებს როგორც „ძველებური სიმბოლიზმის“, ისე პროლეტარული მწერლობის სააგიტაციო მოტივების წინააღმდეგ; „ხომალდი“ მოითხოვდა რეალიზმის საზღვრების გაფართოებას და აქ იგი ანდრეი ბელის იმოწმებდა. ჭეშმარიტი სიმბოლიზმი, — ამბობს ანდრეი ბელი, — უერთდება ჭეშმარიტ რეალიზმს. დიდსა და ღრმა ხელოვანს უკვე აღარ შეიძლება ეწოდოს არც რეალისტი, არც სიმბოლისტი, წინანდელის მნიშვნელობით“ („ხომალდი“, № 2, გვ. 4).

1922 წელს „ხომალდი“ (№ 4—5) გულმხურვალედ მიესალმა ყურნალ „ილიონის“ გამოსვლას; ყურნალმა გამოაქვეყნა მცირე წერილი, რომელიც მიმოიხილავდა უმთავრესად „ილიონში“ დაბეჭდილ კ. გამსახურდიას და ი. გრიშაშვილის ლექსებს...

„აკადემიური ასოციაციის“ ყურნალებში პოზიტიური, საბჭოთა ხელისუფლებისათვის მხარდაჭერის მოტივები თითქმის არ გვხვდება. სამაგიეროდ, უხვად არის წარმოდგენილი საბჭოთა ეპოქისადმი ნეგატიური დამოკიდებულების ამსახველი მასალები. ასეა ეს „ხომალდში“, „ილიონში“, „საქართველოს სამრეკლოში“, „ლომისში“, გაზეთ „პოეზიის დღეში“.

ყურნალი „ილიონი“, ისე როგორც „ხომალდი“, ყველაზე ტიპურად გამოხატავდა „აკადემიური ასოციაციის“ ეროვნულ მრწამსს. მოვიგონოთ ი. გრიშაშვილის „თბილისის მიწა“ და „ბებუთი მაგიდაზე“. და ეს ბუნებრივი იყო იმიტომ, რომ „ხომალდის“ რედაქტორი ა. აბაშელი და „ილიონის“ რედაქტორი კ. გამსახურდია თვით იყვნენ მესვეურები აკადემიური კორპორაციისა... ამავე დროს, „ილიონი“ მკაცრად უტევდა „ყანწელებს“ და ეს ბრძოლა „ილიონმა“ პირველივე ნომრიდანვე წამოიწყო.

„ილიონის“ პირველი ნომრის ბიბლიოგრაფიაში ვკითხულობთ: „თბილისში ორი „პოეზიის დღე“ გამოიცა: პირველი საქართველოს მწერლების კავშირისა და მეორე ეგრეთ წოდებული „ახალი მწერლობის კავშირისა... გადავხედოთ „ახალი კავშირის“ „პოეზიის დღეს“. აქ ტონის მომცემნი არიან ე. წ. სიმბოლისტები. სიმბოლისტების ჯგუფი ჩვენში კარგა ხანია, რაც გამოვიდა. მან თავის „მანიფესტებით“ და „პერმანენტული კონფერენციებით“ მთელ მკითხველ საზოგადოებას და „ძველ პოეზიას“ ომი გამოუცხადა — „შექსპირს უარი“... მათივე სიტყვით, ბრძოლა თურმე არავის მიუღია. ალბათ არ არიან ყურადღების ღირსნი. ? კედავად ამისა, მათ აქვთ ერთი პლიუსი: მათმა ახმაურებამ ზოგიერთ ნამდვილ პოეტს გაუღვიძა ფორმის გაუმჯობესების ძიება, წახალისა. ეს არის „სიმბოლისტების“ დამსახურების თავი და ბოლო“... („ილიონი“ № 1, გვ. 52, 1922 წ.).

აქვე მკაცრად იყო გაკრიტიკებული გაზეთი „ბახტრიონი“: „ყანწელების“ საქმე დღითიდღე უკან მიდის, — აღნიშნავდა „ილიონი“, — ისინი სავესებით გამოიფიტნენ იდეურად... ამას ამტკიცებს გაზეთ „ბახტრიონის“ გამოცემა. პირველ ნომერში პაოლო იაშვილის წერილია დაბეჭდილი „პოეტები საქართველოში“, სადაც თავიანთ ჩვეულებრივ ტრადიციას არ ღალატობენ... ბარათაშვილის, ილიას, აკაკის ლანძღვა მონოპოლიად გამოაცხადეს... რაც შეეხება „ბახტრიონის“ ეროვნული პოზიციის გამაგრებას, ცოტა ფრთხილად უნდა იყვნენ ეს პოეზიის რეპორტიორები“...

„ილიონის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1922 წლის აგვისტოში, მეორე — სექტემბერში. ამ ნომრებს ხელს აწერს სარედაქციო კოლეგია, ხოლო მესამე ნომერს — რედაქტორი კონსტანტინე გამსახურდია. სარედაქციო კოლეგიაში არიან არჩილ ჯაჭანაშვილი და არისტო ჭუმბაძე. ყურნალში თანამშრომლობდნენ: ი. გრიშაშვილი, ტ. გრანელი, ნ. თარიშვილი, მარიჯანი, ი. მოსაშვილი, ს. ფაშალიშვილი, ხ. ვარდოშვილი, ი. ტატიშვილი, ალ. მდივანი, დ. შენგელაია, დ. უზნაძე, გრ. წერეთელი, ა. წერეთელი და სხვ.

კ. გამსახურდიამ „ილიონში“ თავისებურად მოარიგა ევროპული მოდერნიზმი, ნიცშეს მისტიციზმი, ირაციონალური ენა სამყაროს შეცნობისა და „ქართული მეზრძოლი პატრიოტიზმი“. კ. გამსახურდია წერდა: „ქართველების წინაშე დღეს რადიკალური პრობლემა დგას: მოდერნიზაცია. მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა სრულიად ჩამორჩენილი იყო თავის დროს... ამის შედეგები ჩვენდრომდისაც აღწევს. ქართული ლიტერატურის მომავალი ისტორიკოსი აღნიშნავს ალბათ, რომ მე სწორედ ქართული ლიტერატურის ამ აქილევსის ქუსლს მივაღებქი. მე თავიდანვე დასავლეთის კულტურის აპოლოგეტი ვიყავი, პოეზიაშიც პირველმა მივუთითე ურბანისტულ გზებზე (1918 წ.), რადგანაც მჯეროდა და მჯერა, რომ თანადროული კულტურა უცილობლად ურბანისტული უნდა იყოს. დღეს პროვინციული კულტურა ჩამორჩენილი კულტურაა. ქართულმა კულტურამ სწორედ ის ხაზი უნდა აიღოს, რომელსაც მისდევდა საბერძნეთის, რომისა და იტალიის რენესანსის სანიშნოებით აღორძინებული დასავლეთის კულტურა. დღესდღეობით კი ქვეყანაზე თომცა მრავალი კულტურანი არსებობენ, მაგრამ ერთადერთი სწორი გეზი დასავლეთის კულტურას აქვს აღებული. მის გარეშე ყველაფერი წარსულს, ეთნოგრაფიას და მსოფლიო პროვინციას ეკუთნის... ქართულმა ინტელიგენციამ ამ ორ უკანასკნელ წელს თავის სრული უსუსურობა და აბსოლუტური სულიერი სიკოტრე გამოააშკარავა. ეს ინტელიგენცია ცრუ პატრიოტიზმით გაყენთილი, გაქსუებული ადამიანების კრებული აღმოჩნდა. განა ყველაფერ ამის შემდეგ კადნიერებად ჩამეთვლება მე იმის მტკიცება, რომ საქართველოში არა თუ მკითხველი,

არამედ მოაზროვნე საზოგადოება არ არის, საქართველოში ყველას სძულს აზროვნებაც და კითხვაც. ლაპარაკი ყველაფერს ურჩევნიათ, რადგან ლაპარაკი ყველაფერზე შეიძლება“ („ილიონი“, № 4, 1922 წ.).

ამ ნიჰილისტურ სტრიქონებს კ. გამსახურდია, წერდა მაშინ, როდესაც იგი გატაცებული იყო მისტიციზმით. მან საქართველოს მწერალთა კავშირში მისტიკოსების წრეც კი ჩამოაყალიბა. ამაზე იტყობინებოდა ჟურნალი „ლომისი“ (№ 6—7, 1923 წ.): „კონსტანტინე გამსახურდია აარსებს თბილისში მისტიკოსების წრეს, სადაც იგი წაიკითხავს მოხსენებათა სერიას: ქრისტიანული და წარმართული მისტიკა, აღმოსავლეთის, სპარსეთის და ინდოეთის მისტიკა, იტალიის მისტიკოსები, გერმანელი მისტიკოსები“...

თავის ჟურნალში („ილიონი“, № 3) კ. გამსახურდია ლექსებს უძღვნიდა ნიცშეს; პირველი ნომრის მეორე გვერდზე ამ მიძღვნილ ლექსში ვკითხულობთ: „შენ გვაგრძნობინე სინამდვილე, რომ სიზმარია... ოჰ, რა ძნელია შუაგულ გზაზე შემოღამება“; წერილში „ტრაგედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან“ კ. გამსახურდია წერდა:

„ყოველი დიდი ადამიანი ხსოვნაში რჩება, როგორც მითი... ნიცშე იმ თაობის მასწავლებელია, რომელიც ისეთივე ვნებით ეტრფის და ელტვის სიბნელეს, როგორითაც გოეთე და მისი თაობა სინათლეს ეტრფოდნენ, რადგან ის ვინც მალა, ყველაზე მალა მიცლტვის, ის ვერ აცდება სიბნელეს, როგორც ყველაზე უფრო დაბლა მდგარი: სიბნელესაც აქვს თავისი მიმზიდველობა, სიბნელეშიც არის თავისებური მისტიკა, ამიტომაც მისი ენთუზიაზმის საყრდნობი და მისი აღმოსავლური წერტილი იყო ეს მისტიკური სიბნელე. მისი ნიღაბი — ბნელთვალეზიანი ღმერთი დიონისოს... მუსიკა ირაციონალური ენაა სანყაროსი, ამიტომაც ირაციონალია უმთავრესი ელემენტი ნიცშეს ფილოსოფიისა“. („ილიონი“, № 3, გვ. 10, 1922 წ.). სწორედ ნიცშეს მისტიციზმი, „დიონისეს ბნელთვალეზიანი ღმერთი“ და ქართული მითოლოგია დაედო საფუძვლად კ. გამსახურდიას ადრინდელ ნოველებსა და რომანს „დიონისეს ღიმილს“.

„ილიონის“ რედაქტორმა, რომელიც ესოდენ გატაცებული იყო მისტიკით, ქებით მოიხსენია ტერენტი გრანელის წიგნი „სულიდან საფლავები“ (1922 წ.): „ჩვენი თანამედროვეობა, — წერდა კ. გამსახურდია — მისტიკის სანიშნოს უყურებს. ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა პოეტის საოცარი გამბედაობით გამოცემულმა წიგნაკმა, რომელიც უფრო საოცარ წარწერას ატარებს: „ტ. გრანელი მოდის სისქლიანი სამარიდან“. ჩვენ დროს ესაქიროება ქრისტეს სისხლიანი სახის დემონური შემოხედვა. ევროპულის მასშტაბით მოხდა დიდი გარდატეხა, რადიკალიზმიდან მარჯვნივ. ფილოსოფიაში მისტიკა იმარჯვებს. პოეზიასაც მისტიკური ქროლა ეუფლება. ახალგაზრდა

ტ. გრანელი სიმპატიურია ამ მხრივ, წიგნში მრავალი გულწრფელი კრემლია, დიდი კმუნვარება, დიდი სევდა გაუხარებელ ნაღველში გამოზრდილი თაობისა... ეს წიგნი უახლოეს პოეზიაში ძლიერ თამაში სიტყვაა“ („ილიონი“, 2, გვ. 58, 1922 წ.).

1923 წელს კ. გამსახურდიას რედაქტორობით გამოვიდა ყოველთვიური სალიტერატურო გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“. ამ გაზეთში კ. გამსახურდია კვლავ იცავდა მოდერნისტული ხელოვნების პრინციპს. „ხელოვნება ემანაციაა უხილავისა, — წერდა იგი, — ემანაციაა ბუნებაში და ადამიანში მთვლემარე ლეთიური კავშირისა. ხელოვნების საშუალებით ხდება ძლევა მოსილი პიროვნების ღმერთში უკუქცევა“.

1936 წელს კ. გამსახურდიამ თვით გააკრიტიკა და გადასინჯა ეს პოზიცია. იგი წერდა: „მე ისეთი უკიდურესი ესთეტიკური ჰედონისტური იდეებით ვიყავი გატაცებული, საბჭოთა საქართველოს გარეშე რომ დავრჩენილიყავ, ჩემთვის უთუოდ მიუწვდომელი იქნებოდა დიდ შემოქმედებასთან წილნაყარობა“...

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული სახელოვნო-სალიტერატურო ჟურნალი „ლომისი“ გამოვიდა 1922 წლის პირველ იანვარს. ეს ჟურნალი შემდეგ გაზეთად გადაკეთდა. ჟურნალში თანამშრომლობდნენ: „გ. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი, კ. გამსახურდია, კ. მყაუშვილი, ობოლი მუშა, ვ. რუხაძე, ვ. ბარნოვი, შ. დადიანი, ია ეკალაძე, დუტუ მებრელი, ს. შანშიაშვილი, შიო არაგვისპირელი და სხვ. ესენი იყვნენ „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის“ შემდგომში „აკადემიური ასოციაციის“ წევრები. ამიტომ არის, რომ ხსენებული ჟურნალის სულსიკვთება და განწყობილება ისეთივეა, როგორც „ხომალდისა“, „ილიონისა“, „ქართული სიტყვისა“.

ამ ჟურნალებში, საერთოდ „აკადემიური ასოციაციის“ ჟურნალ-გაზეთებში, სულ სხვა იდეური განწყობილება შექმნდა გ. ტაბიძეს. პირველ წლებშივე ის ცდილობდა მხარში ამოსდგომოდა განთავისუფლებულ ქართველ ხალხს. ეს ჩანს „ლომისის“ პირველ ნომერში დაბეჭდილ წერილში — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“.

„ლომისის“ მოჰყვა გაზეთი „ივერია“ — სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის კვირეული ორგანო. ამ გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1923 წლის 4 ნოემბერს. გაზეთი დაარსდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მეხუთე გამაერთიანებელი კონფერენციის გადაწყვეტილებით. ამ კონფერენციაზე მოხდა „ქველი“ და „ახალი“ კავშირების, ანუ ყანწელების გაერთიანება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირთან. გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომერი მიესალმა ამ ფაქტს. გაზეთის პირველ გვერდზე მოთავსებული იყო ლ. ქიაჩელის, პ. იაშვილის და სხვათა წერილები. ამ გაზეთისა სულ ორი ნომერი გამოვიდა.

1923 წლის დეკემბრიდან გამოსვლას იწყებს „ლომისის“ და „ივერიის“ მემკვიდრე — „ქართული სიტყვა“. იგი გამოდიოდა ჯერ სარედაქციო კოლეგიის, მერე ვ. კოტეტიშვილის რედაქტორობით, 1924 წლის ივნისამდე. აქაც იგივე „აკადემიური ასოციაციის“ წევრები მონაწილეობდნენ: ა. აბაშელი, შ. დადიანი, დ. მეგრელი, მიხ. ჯავახიშვილი, ივ. გომართელი და სხვანი.

1924 წელს გამოდის სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო — ჟურნალი „კავკასიონი“. ჟურნალს რედაქტორობდა პავლე ინგოროყვა. ჟურნალმა სცადა თავის გარშემო გაეერთიანებინა სხვადასხვა ლიტერატურული დაჯგუფებები, შეექმნა მთლიანი ფრონტი „ქართული მწერლობისა და მეცნიერებისა“. ეს პირველი „დიდი სქელტანიანი ჟურნალი“ იყო.

„კავკასიონიც“ „აკადემიური ასოციაციის“ ლიტერატურული პოზიციის გამომხატველი ჟურნალია, თუმცა მის მოწინავეში აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხელისუფლება რეალობაა. ჩვენ ამ რეალობას ვცნობთ. და ამის ფარგლებში ვცდილობთ ქართული ენისა და ქართული კულტურის წარმატებას ვემსახურეთო. ჟურნალმა ამ მიზნით თავის გარშემო თავი მოუყარა ოციან წლების ყველა ლიტერატურულ დაჯგუფებას და შეეცადა ჟურნალში წარმოედგინა „მთლიანი სახე ქართული მწერლობისა. ყველა თანამედროვე ლიტერატურულ ჯგუფებს და სკოლებს, რამდენადაც ისინი მართლაც წარმოადგენენ ლიტერატურულ მოვლენას, დაეთმობა ადგილი ჟურნალში“ აცხადებდა რედაქტორი. პ. ინგოროყვამ მოახერხა კიდევ ამ ჟურნალების ფურცლებზე წარმოედგინა ყველა ლიტერატურული სკოლა და თაობა, „ყოველგვარი ვიწრო ლიტერატურულ-ჯგუფური ინტერესების გარეშე!“ პ. ინგოროყვას დამსახურებას უნდა მიეწეროს, რომ აქ, ამ ჟურნალებში პირველად დაიბეჭდა ბევრი ცნობილი მწერლის ნაწარმოები.

ცნობილია, რომ დ. კლდიაშვილმა 1914 წელს შეწყვიტა ლიტერატურული მუშაობა და აი პირველად პ. ინგოროყვას დაჯინებული მოთხოვნით დავითი წერს და ბეჭდავს „კავკასიონში“ ესკიზს— „კიმოთე შეშელიძე“, და „ახალ კავკასიონში“— „შუა ცეცხლის პირას“, ასევე შ. დადიანმა 1916 წელს დაწყებული ისტორიული რომანი — „უბედური რუსი“ განაახლა სწორედ ჟურნალში „კავკასიონი“. ამ ჟურნალში დაუბრუნდა 1908 წლის შემდეგ მიხ. ჯავახიშვილი მწერლობას მოთხოვნით „ტყის კაცი“. აქ დაიბეჭდა სრულიად ახალი ტიპის რომანი — კ. გამსახურდიას — „დიონისეს ღიმილი“, მიუხედავად სადაო ლიტერატურული კონცეფციისა, ეს რომანი ახალ კარს აღებდა ქართულ პროზაში.

ჟურნალი რედაქტორის — პავლე ინგოროყვას სარედაქციო წერილთ იხსნება:

„ჟურნალი „კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი“. აქ ვკითხულობთ:

ნ ს. კილაია

„ქართველი საზოგადოება და პირველ რიგში თვით მწერლები კარგა ხანია გრძნობენ იმ შეუუხებელ ნაკლს, რომ ქართულს ენაზე არ არსებობს ისეთი პერიოდული ორგანო, რომელიც იყვეს მთლიანი გამოშახველი ქართული შემოქმედების და აზროვნების“.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა განიზრახა შეეცაოს ეს ნაკლი ყოველთვიურ ჟურნალ „კავკასიონის“ გამოცემით. — პირველი წიგნი ამ ჟურნალისა ამით წარედგინება მკითხველ საზოგადოებას.

საერთო სახე ჩვენი გამოცემისა — ვფიქრობთ — საკმაოდ ცხადია ამ პირველი წიგნიდანვე და ამიტომ ჩვენი ჟურნალის მიზნების შესახებ აქ შეგვიძლია დაკმაყოფილდეთ ორიოდ სიტყვით.

ჩვენი ჟურნალი, თუმცა იგი არის ორგანო მწერალთა კავშირისა, მაგრამ მისი ინტერესები არ შემოიფარგლება მარტო ვიწრო ლიტერატურით. ქართულ მწერლობას აქვს საპატიო ტრადიცია, იყვეს მესვეური მთელი ქართული კულტურისა და იგი ეხლაც ვერ აუვლიდა ამ გზას. „კავკასიონი“ ყურადღებას აქცევს ქართული კულტურის ყველა დარგს:

ჟურნალი პირველ რიგში დაუთმობს თავის ფურცლებს ქართულ მხატვრულ მწერლობას, ქართული ლიტერატურული საკითხების განხილვას. აქ საჭიროდ მიგვაჩნია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ჟურნალი დგას ყოველგვარ ვიწრო ლიტერატურულ-აჭუფეური ინტერესების გარეშე, მწერალთა კავშირი, რომლის ორგანოა „კავკასიონი“, აერთებს თავის რიგებში ყველა ქართველ მწერალს. კავკასიონი შეეცადა იყვეს მიუდგომელი და მოგვეცეს მთლიანი სახე ქართული მწერლობისა. ყველა თანამედროვე ლიტერატურულ დაჭუფებებსა და სკოლებს, რამდენადაც ისინი მართლაც წარმოადგენენ ლიტერატურულ მოვლენას, დაეთმობათ ადგილი ჟურნალში. ერთადერთი საზომი, რომლითაც იხელმძღვანელებს ამ შემთხვევაში კავკასიონი, ეს არის იდეები იმ მარადი ხელოვნებისა, რომელიც მალა დგას წარმავალ ლიტერატურულ მოდაზე, ყოველგვარ „მემარჯვენეობას“ და „მემარცხენეობაზე“, მარადი ხელოვნებისა, რომელიც არასოდეს არ ბერდება.

კავკასიონი შეეცადა შეძლებისდაგვარად გაამართლოს ეს ხაზი, რამდენადაც. რასაკვირველია, ამას ნებას აძლევს ქართული მწერლობის დღევანდელი მდგომარეობა.

ქართული მწერლობის გვერდით, კავკასიონი საპატიო ადგილს დაუთმობს უცხოეთის ლიტერატურის პრობლემების განხილვას. ქართულმა მწერლობამ უკვე დააღწია თავი ვიწრო პროვინციალობას და კავკასიონი შეეცდება შეუწყოს ხელი ქართული მწერლობის ევროპეიზაციას.

ჟურნალი პერიოდულად მოათავსებს უცხოეთის ლიტერატურათა მიმოხილვას — თარგმანებს...

შემდეგი დარგი კავკასიონისა — ხელოვნება — განსაკუთრებით ითხოვს ქართველ მწერალთა ყურადღებასა და მესვეურობას. ახალი ქართული ხელოვნება: მუსიკა, პლასტიური ხელოვნება და თვით თეატრიც, ჭერ კიდევ არ არის იმდენად მძლავრი, რომ არ საჭიროებდეს დიდ მზრუნველობასა და იდეოლოგიურ განმტკიცებას, და აქ მეთაური სიტყვა ჭერ ისევ ქართულ მწერლობას ეკუთვნის.

დასასრულ შემდეგი მთავარი დარგი კავკასიონისა: მეცნიერება და ფილოსოფია — ქართულს ენაზე უკვე გამოდის რამდენიმე სამეცნიერო კრებული სპეციალური ხასიათისა. ამიტომ კავკასიონს ეძლევა საშუალება გვერდი აუაროს ვიწრო-სკოლურ საკითხებს — კავკასიონი დაუთმობს თავის ფურცლებს უფრო ფართე მნიშვნელობის პრობლემის განხილვას. პირველ რიგში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებიდან — ჟურნალში მონაწილეობენ ყველა ჩვენი მთავარი სამეცნიერო ძალები.

ამ მთავარი დარგების გვერდით ჟურნალს ექნება განყოფილებანი: — ქართული კულტურის მიმოხილვა, სადაც განხილული იქნება მიმდინარე საკითხები, ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან.

მემუარები და დოკუმენტები, სადაც მოთავსებული იქნება საზოგადოებრივი და ლიტერატურული მნიშვნელობის მასალები და დასასრულ — კრიტიკა, ბიბლიოგრაფია და ინფორმაცია ყველა იმ დარგებიდან, რომლებიც შედიან ჟურნალში.

ასეთია ორი სიტყვით კავკასიონის სახე. მწერალთა კავშირი მიიღებს ზომებს, რომ ჟურნალი იღვეს თავის სიმაღლეზე. მაგრამ ჟურნალის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული ქართველი საზოგადოების ყურადღებაზე.

16 თებერვალი, 1924 წ.

ქ. თბილისი

პაეღე ინგოროყვა

ამ დიდი კულტურით დაწერილ სარედაქციო წერილში არაფერია „რეაქციონური“ და „შოვინისტური“, როგორც ეს საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის დადგენილებაშია აღნიშნული. „ბრალდება“, რომლის გამოც მემარჯვენე ჟურნალად თვლიდნენ „კავკასიონს“ არის ფრაზა: „ერთ-ერთი საზომი, რომლითაც იხელმძღვანელებს ამ შემთხვევაში კავკასიონი, ეს არის იდეები იმ მარადი ხელოვნებისა, რომლებიც მალა სდგას, წარმავალ ლიტერატურულ მოდაზე. „ყოველგვარ „მემარჯვენეობასა“ და „მემარცხენეობაზე“, მარადი ხელოვნებისა, რომელიც არასოდეს არ ბერდება“. ჟურნალის მთლიანი პათოსი კი უაღრესად პროგრესულია და მოწინავე. იმ დროს ამ ჟურნალმა უდიდესი როლი შეასრულა „ძველი მწერლობის“ საბჭოთა საქართველოსთან დაკავშირების საქმეში.

დიდი გემოვნებითა და კულტურით შერჩეულ აქ დაბეჭდილ თითქმის ყოველ ნაწარმოებს განუმეორებელი ორიგინალობის დადი აზის, ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით, ანგარიში არ შეიძლება არ გაუწიოთ თვით ნაწარმოებთა მხატვრულ ღირსებას. ამ მიზნით ყურნალმა ფართოდ გაუღო კარი იმეამად არსებულ ლიტერატურული სკოლების წარმომადგენლებს და მათ ერთიან ეროვნულ მწერლობაში ფართო ადგილი დაუთმო. „კავკასიონის“ ლიტერატურული პოზიციები უფრო ღრმა და შინაარსიანი გახდა ჟურნალ „ახალ კავკასიონში“. ეს ჟურნალი იხსნება კვლავ პ. ინგოროყვას ვრცელი სარედაქციო განცხადებით. აი ეს სარედაქციო წერილი:

— „მწერალთა კავშირის ყოველთვიური ორგანო „ახალი კავკასიონის“ განახლებული პროგრამა განსაზღვრულია, ერთის მხრივ, კავშირის ლიტერატურული ტრადიციებით, და მეორეს მხრივ, იმ პოზიციით რომელზედაც სრულის პასუხისმგებლობით დადგა ქართული მწერლობა ხელოვანთა კულტურული კავშირის 21 სექტემბრის დეკლარაციით.

მწერალთა კავშირი არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია, იგი არის წმინდა ლიტერატურულ-კულტურული დაჯგუფება, მაგრამ თქმა იმისა, თითქოს ქართველ მწერალთა ფართო წრეები არ იყოს უაღრესად დანტერესებული ჩვენი ქვეყნის საერთო პოლიტიკური ვითარებით, ეს არ იქნება გულწრფელი განცხადება.

1921 წლის თებერვლიდან, როცა საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, ქართული მწერლობის ფართო წრეების წინაშე აქტუალურად დადგა ამ ხელისუფლებასთან ახლო თანამშრომლობის საკითხი.

ქართული მწერლობის უკეთილშობილეს ტრადიციას წარმოადგენს ის შეურიგებელი რევოლუციური სული, რომელიც ისტორიულად გამოემუშავდა. XIX—XX საუკუნეთა მანძილზე, როცა საქართველოს მშრომელი მასები მოწინავე რიგებს შეადგენდნენ რუსეთის ცარიზმთან მებრძოლ რაზმებში, ქართული მწერლობისათვის, რომლის მთავარი ხელმძღვანელი წრეები მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოვიდა, და რომელიც ბუნებრივი ამსახველი იყო მშრომელი მასების რევოლუციური სულისკვეთებისა, ქართული მწერლობის ამ მთავარი რიგებისათვის თითქოს არ უნდა ყოფილიყო უცხო ეს ახალი საბჭოთა რევოლუციური ხელისუფლება.

მაგრამ არსებობდა ერთი ძნელად გადასალახავი დაბრკოლება, რომელიც ქართული მწერლობის ფართო წრეებს ხელს უშლიდა იმთავითვე დამდგარიყო აქტიური თანამშრომლობის ნიადაგზე საბჭოთა ხელისუფლებასთან.

ამ დაბრკოლებას იწვევდა ეროვნული კითხვა.

ქართველი შემოქმედი ინტელიგენციის წრეები ერთგვარ გარე-
ბას განიცდიდნენ ახლად შექმნილ პირობეში: თუ ერთის მხრივ ის სო-
ციალური იდეები, რომლის მატარებლად გამოდიოდა ახალი ხელისუფ-
ლება, არ იყო უცხო ქართული მწერლობისათვის, მეორეს მხრივ უნებ-
ლიედ იზადებოდა შიში, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების
მიერ აღიარებული ეროვნულ-კულტურული დამოუკიდებლობის პრინ-
ციპები მისდა უნებურად, ვერ მიიღებდნენ სრულ განხორციელებას,
რომ ეროვნული პოლიტიკის ხაზი თანდათან გაიხრებოდა საქართველოს
საზიანოდ, რომ რუსული ენა სტიქიურად დასჩაგრადა ქართულს. რომ
რუსული წიგნი თანდათან დაჩრდილავდა ქართულს წიგნს. ჩვენ აქ
ვგულისხმობთ არა თვით ხელისუფლების ნებას, არამედ იმ სტიქიურ
პროცესს, რომელსაც უნებლიედ ხელს უწყობდა ობიექტური პირობე-
ბი. ეს მერყეობა და უნდობლობის გრძნობა ქართველი შემოქმედი ინტე-
ლიგენციის წრეებში ადვილი ასახსნელია. მას ნიადაგს აძლევდა ისტო-
რიული რემინისცენცია, იგი იყო გამოძახილი იმ ეროვნული ჩაგვრისა,
რომელსაც მთელი საუკუნის მანძილზე განიცდიდა საქართველო იმპე-
რიალისტური რუსეთის ხელში, რომ დიდი მასშტაბის რუსეთის კულ-
ტურა დასჩაგრადა ქართულს, იყო ბუნებრივი ყოველგვარი შოვინის-
ტური ტენდენციების გარეშე.

უკვე მეოთხე წელი შესრულდა, რომ საქართველოში საბჭოთა ხე-
ლისუფლება დამყარდა, და ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ საბჭოთა ხე-
ლისუფლების ეროვნულ და კულტურულ-პოლიტიკის ხაზში არის
მნიშვნელოვანი მიღწევები. ქართულ მწერლობას არ სჩვევია სერ-
ვილიზმი და ჩვენ არ ვიქნებოდით გულწრფელნი, თუ არ ვიტყვი, რომ
ამ მნიშვნელოვანი მიღწევების გვერდით არის დეფექტებიც. ამას თვით
ხელისუფლებაც არ უარყოფს.

უნდა აღინიშნოს აქ ისიც, რომ ყველა ამ დეფექტის ბრალს ჩვენ
ვერ მოვახვევთ საბჭოთა ხელისუფლებას. ამის ერთი მიზეზი ისიც იყო,
რომ ქართველი შემოქმედი ინტელიგენცია არ იყო საბოლოოდ გამორ-
კვეული და არ იღებდა ახლო მონაწილეობას კულტურულ საქმიანო-
ბაში.

ასეთი გაორებული და გაურკვეველი მდგომარეობა, რასაკვირველია,
შეუძლებელია გაგრძელდეს მთელი წლები. ამით მხოლოდ ბრკოლდება
და ზიანდება ის კულტურული საქმე, რომლისთვისაც მოწოდებულია
ქართული მწერლობა.

ამიტომ ის დეკლარაცია, რომელიც გამოაქვეყნა ხელოვანთა კავშირ-
მა 1924 წლის სექტემბრის 21-ს, გამოწვეული იყო არა მარტო პოლი-
ტიკური მომენტით, ეს არის მტკიცე და გარკვეული პოზიცია, რომელ-
ზედაც დადგა ქართული მწერლობა.

ჩვენ ერთხელ კიდევ მოვუწოდებთ ქართველ მწერალთა ფართო

წრეებს გულწრფელი და აქტიური თანამშრომლობის ნიადაგზე საბჭოთა ხელისუფლებასთან ემსახურონ ქართული მწერლობის და კულტურის აღორძინების საქმეს.

ეს საერთო პოლიტიკური ხაზის შესახებ. რაც შეეხება მწერალთა კავშირის ორგანოს „ახალი კავკასიონის“ წმინდა სალიტერატურო-სამხატვრო და სამეცნიერო გეგმას, იგი ამ მხრივ განაგრძობს კავშირის ლიტერატურულ ტრადიციას. უზრუნველ პირველ რიგში დაუთმობს თავის ფურცლებს ქართულ მხატვრულ მწერლობას და ქართული ხელოვნების საკითხების განხილვას. აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ უზრუნველ დგას გარეშე ვიწრო ლიტერატურული სკოლის ინტერესებისა. მწერალთა კავშირი, რომლის ორგანოა „ახალი კავკასიონი“ აერთიანებს თავის რიგებში ქართველ მწერალთა დიდ უმრავლესობას. თანამედროვე ლიტერატურულ ჯგუფებს და სკოლებს, რამდენადაც ისინი მართლაც წარმოადგენენ ლიტერატურულ მოვლენას, დაეთმობა ადგილი უზრუნველში. „ახალი კავკასიონი“ შეეცდება იყოს მიუღდგომელი და გახდეს მთლიანი გამომსახველი ქართული მხატვრული შემოქმედებისა და აზროვნების, კერძოდ, რაც შეეხება უცხოეთის ლიტერატურის განყოფილებას, აქ, ევროპული მწერლობის პრობლემებთან ერთად, საპატიო ადგილი დაეთმობა რუსეთის მწერლობის საკითხების გაშუქებას. ასეთივე ყურადღებით მოეპყრობა უზრუნველ აღმოსავლეთისა და კავკასიის ხალხთა ლიტერატურას. მეცნიერებისა და ფილოსოფიის განყოფილება ჩვენს უზრუნველში წარმოდგენილი იქნება იმავე სისხვით, როგორითაც ეს იყო „კავკასიონში“ (ჰუმანიტარული მეცნიერებანი, კერძოდ ქართული მეტყველება, ქართული ლიტერატურისა და ისტორიის საკითხები, ფართო მნიშვნელობის პრობლემები ფილოსოფიისა და სპეციალურ მეცნიერებათა დარგებიდან).

ამასთან უზრუნველში მოთავსდება თეორიული ხასიათის წერილები მარქსიზმიდან, სადაც პირველ რიგში ყურადღება მიექცევა მარქსიზმის დამოკიდებულებას ხელოვნებასთან.

ამ მთავარი დარგების გვერდით უზრუნველს ექნება აგრეთვე განყოფილებანი ქართული ლიტერატურის მიმოხილვა, მემუარები და დოკუმენტები, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ასეთია ახალი კავკასიონის სალიტერატურო-სამხატვრო და სამეცნიერო პროგრამის მთავარი ხაზები“ (უზრუნ. „ახალი კავკასიონი“, 1925, № 1—1, გვ. 1—2).

აქაც თუ ცალკეულ სიტყვებს არ გამოვეყილებით, მთლიანად ეს სარედაქციო განცხადება ჩვენი დროის მოწინავე პოზიციებს იცავს და ასაბუთებს. „ახალმა კავკასიონმა“ გააგრძელა „კავკასიონის“ ტრადიცია ქართული მწერლობის საბჭოთა საქართველოსთან დაკავშირებისა. უზრუნველ იხსნება ი. გრიშაშვილის ცნობილი ლექსით „დუღუქის საარი ქარს აღარ მოაქვს“. სწორედ ამ ლექსით იწყება ი. გრიშაშვილის, ძველი თბი-

ლისის ტრუბადურის მისვლა საბჭოთა საქართველოსთან. პოეტმა აქ კატეგორიულად განაცხადა:

ქველო ტფილისო! ჩემი მიზნები
აღარ მაქვს გულში, რომ გინახავდი...

გადაწყდა! უნდა შევეცალო გზები...:

ქველო ტფილისო... გტოვებ... ნახვამდის...

მაგრამ ამ ქველთაგან გამოთხოვება არ ხდება ქველის უარყოფით და წაშლით. არა:

მაგრამ ეამაყო, რომ ჩემთან ერთად
დარჩები მუდამ გაუხუნარი...

წინააღმდეგ რაპქელებისა, რომლებიც წარსულს უარყოფდნენ, „როგორც მიუღებელს რევოლუციისათვის“, ყურნალი „კავკასიონი“, „ახალი კავკასიონი“ და ამ შემთხვევაში ი. გრიშაშვილი სწორედ ქველის შენახვისა, განვითარებისა და ახალთან ხიდის გადების მომხრეა. ასევე ამავე ყურნალის მეოხებით გამოეთხოვა ქველ გზას იმავე აკადემიური ასოციაციის ერთ-ერთი დამაარსებელი ალ. აბაშელი ლექსით „მეოცნების დღიური“.

„მშვიდობით ჩემო საყვარელო მელანქოლია,
შენზე უტკბესი მეგობარი მე არ მყოლია,
ბევრჯერ მიგრძენია შენი ცივი ხელის შეხება
და დამიღვრია მწუხარება ცრემლის შეხებვად...
დროა გაათავდეს ჰაბუკუჩური სისხლის თამაში,
ნილაბთან ბრძოლით და ნალექით სულის გართობა,
რომ ჩაესვენოს მღუმარების ცივ აკლამაში
ჩემი სიცოცხლის ორმოცი წლის უკუღმართობა!
უნდა ვსვა სიბრძნე საუკუნის ახალ თასიდან,
რომ კვლავ აენთოს აზრი წმინდა და უმადლესი,
აემართო ცეცხლით დატვირთული რკინის აფრები,
სულის ტკივილის სხვა ნაპირზე გადასაზიდათ!
რომ კვლავ აენთოს აზრი წმინდა და უმადლესი,
იქროლოს რაშმა, შორს დასტოვონ ყორნის ჩხაელი
და ეს ქვეყანა აკივლებულ კარიშხალივით
გრგვიწვივით ავარდეს მიუწვდომელ მზის სინათლეზე!“

ხოლო ყოფილი ცისფერყანწელი რაყედენ გვეტაძე ასევე კატეგორიულად აცხადებდა ლექსში წიგნიდან — „რევოლუცია“:

„ვიმღერი ლილეოს! მივდივარ რთველში
(მწუხარებას ვისთვის რა მოუცია?)

მე ვარ გლადიატორი
და საქართველოს რომ არ დაეცეს
სიკვდილის ტორი,

რომ არ დამარცხდეს რევოლუცია,
ჩემი ლოზუნგია: ყველა მებრძოლი საქართველოში,
მე აწი სიყვარულზე აღარ დაეწერ ლექსების წიგნებს,

ალარც სონეტებს მისტიურ კატეზზე:
ჩემი შემდეგი ლექსის თემა იქნება:
„პოეტებო! ბარიკადებზე“.

ყურნალების რედაქტორი პ. ინგოროყვა პირნათლად ასრულებდა შეპირებას, რომ ყურნალი ყველა მიმართულებისა და სკოლის წარმომადგენლებს დაუთმობს თავის ფურცლებს. მაგრამ რედაქტორი არა მართო უბრალოდ უთმობდა მათ ადგილს ყურნალში, არამედ ერთგვარად წარმართავდა სარედაქციო მასალას საბჭოთა საქართველოსთან თანამშრომლობის განწყობილებით, ამ ყურნალმა მოახდინა ერთგვარი კონსოლიდაცია და შეკავშირება ქართველი მწერლებისა ახალ დროსთან, ახალ ეპოქასთან. „კავკასიონი“ და „ახალი კავკასიონი“ იყო ახალი, ევროპული ტიპის ყურნალები საქართველოში. მან კულტურის მთელი ფრონტი გააერთიანა მწერლობის, ხელოვნების, მეცნიერების მაღალი მოწოდებით და საბჭოთა საქართველოს სამსახურში ჩააყენა, ეს იყო პ. ინგოროყვას, როგორც რედაქტორის ყველაზე დიდი დამსახურება.

საკმარისია ზემოთ მოტანილი ყურნალების შინაარსს გაეცნოთ და უმალ შენიშნოთ თუ რა მრავალფეროვანი იყო სალიტერატურო, სახელოვნო და სამეცნიერო, აქ წარმოდგენილი მასალა. რომ ფართო მკითხველისათვის ცნობილი იყოს ყველაფერი ეს, ჩვენ შეგნებულად გადმოვწერეთ და ვბეჭდავთ ამ ყურნალების შინაარსს:

„ტაშვასნიონი“ № 1—2

შ ი ნ ა ა რ ს ი

I. ქართული ლიტერატურა. პ. ი. ინგოროყვა — ყურნალი „კავკასიონი“, ვ. ულიანოვ-ლენინი — წერილი, კ. მაყაშვილი —***, ი. გრიშაშვილი — ტფილისის მიწა, სანდრო შანშიაშვილი — დალი, შალვა დადიანი — უბედური რუსი, დავით კლდიაშვილი — კიმოთე მეშველიძე, ლეო ქიაჩელი — კრიმანჭული, ს. აბაშელი — უძილო დამე, კონსტანტინე ჭიჭინაძე — რიონის აპოლოგია, ალი არსენიშვილი — სანდრო ცირეკიძე, სანდრო ცირეკიძე — პირიმზე, ვალერიან გაფრინდაშვილი — ოთხი ბალდახინი, ნიკო ლორთქიფანიძე — ხელოვანთა ყავახანა, შალვა კარმილი — მკვლევრობა სონეტში, ვახტანგ კოტეტიშვილი — ალექსანდრე ყაზბეგი.

II. უცხოეთის ლიტერატურა. შარლ ბოდლერი — ჰიმნი მშვენიერებას (ვალერიან გაფრინდაშვილის). ემილ ვერჰარნი — ქარის ქება (კონსტ. ჭიჭინაძე), პოლ კლოდელი — წმინდა საკითხავი (ASM), ანატოლ

ფრანსი — პროკურატორი ურიასტანისა (შ. შ.), საფრანგეთის ახალი სალიტერატურო სკოლები: ჟიულ რომენი, გილიომ აპოლინერი, ჟან-კოკტო, ბლეზ სანდრარ — მხატვრული ნიმუშებით.

ერნსტ დრემი, ვალტერ * ჰაზენკლევერი, ივან გოლო ლექსებით (ტრისტან მაჩაბელი, გრიგოლ ცეცხლაძე, ვ. მ.) კაზიმირ ელ შმიდი — დამპყრობი, გოეთე — ფაუსტი — პირველი ნაწილი (იბერიელი), ედგარ პო — ყორანი (კონსტ. ჭიჭინაძე), სიჩუმე (ერ. ტატიშვილი).

აღმოსავლეთის კლასიკური პოეზია პ-ინ ომარ ხაიამი, ომარ ხაიამი რუბაიჯი (იუსტინე აბულაძე).

კავკასია:

ოვანეს თუმანიანი — ერთი წვეთი თაფლი (ი. გრიშაშვილი)

თურქული ხალხური ლექსი (ი. გრიშაშვილი)

რაუბადინ ბელადი და ერეკლე მეფე — ავარიელთა ისტორიული ლექსი (ასმიდოდ ჩერქეზელი).

ლეკური ხალხური ლექსი — (ი. გრიშაშვილი).

III. ხელოვნება. კოტე მარჯანიშვილი — ქართული თეატრის საკითხები. ვან დიკ-მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, პროფ. დიმ. არაყიშვილი — ქართული ხალხური მუსიკა.

IV. ფილოსოფია, მეცნიერება. პლატონი — კრიტონი, დიალოგი. თარგმანი ძველი ბერძნულით (ს. ყაუხჩიშვილი) ირაკლი ტატიშვილი — საკია-მუნი, პროფ. გრ. წერეთელი — ალკეო და საპფო (ლექსები თარგმანი კონსტ. ჭიჭინაძის), აკად. ნიკო მარი — „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. პავლე ინგოროყვა — ჩახრუხაძე, პოეტი, მოგზაური, მემუარები და დოკუმენტები. იაკობ ნიკოლაძე — ერთი წელი როდენთან, ალექსანდრე ყაზბეგი — ავტობიოგრაფიული წერილები და მასალები.

VI. ქართული კულტურის საკითხები. ნ. საქარელი — ქართული კულტურის მატანე (თვითური მიმოხილვა) პეტრე მელიქიშვილის იუბილე (წერ. ირ. ტატიშვილის).

VII. ბიბლიოგრაფია და რეცენზიები: პროფ. შ. ნუცუბიძის — „ლოდიკა“ 1923, მისივე — „აღმთოლოგიის საფუძვლები“ 1923, ფრიდრიხ ბრაუნის — „ევროპის უძველესი მოსახლეობა და „გერმანელების სადაურობა“ (გერმანულად) ბერლინი — 1922 წ. „ტფილისის უნივერსიტეტის „მოამბე“ ტ. II და ტ. III. განხილულია აქ შესული შრომები — ივ. ჯავახიშვილის, გრ. წერეთლის, კ. კეკელიძის, ან. რაზმაძის, ნ. მუსხელიშვილის, გ. ნიკოლაძის და სხვათა.

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა — საქართველო. ს. აბაშელი — ქარი სარკეში, პაოლო იაშვილი — urbi, ნ. ლორთქიფანიძე — რაინდები, კონსტანტინე გამსახურდია — ქრისტე პარიზში 1999 წ., ალ. ქუთათელი — ჩალვადარები, კონსტანტინე ჭიჭინაძე — Einis, არისტო ჭუმბაძე — დაუგეშელნი, ვალერიან გაფრინდაშვილი — კონცერტზე, რაჟდენ გვეტაძე — რევოლუცია ი. გრიშაშვილი — პაუზა, ელენე დარიანი — პარიზისკენ, მის. ადამაშვილი — ტყის კაცი, ხარიტონ ვარდოშვილი — სივრცეები, სოლომონ თავაძე — რიყრაყები, მარიჯან — ეგზოტიკური ნატეხები, ვარლამ რუხაძე — ნოემბრის ქარში, ს. ფაშალიშვილი — უკვდავება, ს. შანშიაშვილი — vita nuova. შალვა დადიანი — უბედური რუსი, დ. კასრაძე — მელტინა, საიათნოვა — დაუბეჭდავი ლექსი.

II. მხატვრული ლიტერატურა — უცხოეთი. პოლ კლოდელი — გზა შეწყვეტილი — (თარგმანი კონსტ. გამსახურდიას და ა. ჭუმბაძის მიერ), რობერ დე მონტესკიუ — ლექსი — (თარგმანი კ. ჭ.). შარლ ბოდლერი — პარიზის ოცნება (თარგმანი ვ. გაფრინდაშვილის), ფრედერიკ სტენდალი — ვანიჩა ვანიჩი — (თარგმანი ლ. ჭ.) გერმანული ლიტერატურიდან, გოეტე — შტრასბურგის კათედრალი, ანგელუს სილვეზიუს — ქერუბიმული მოგზაურიდან (თარგმანები კ. გ.).

ანტიური ლიტერატურიდან. პლატონის ეპიგრამები (თარგმანი ASimi-ს მიერ), ოვანეს თუმანიანი — ანუშ (თარგმ. ი. გრიშაშვილი).

III. კრიტიკა ლიტერატურის და კულტურის საკითხებზე. ვახტანგ კოტეტიშვილი — ივანე მაჩაბელი, ვალერიან გაფრინდაშვილი — შენიშვნები ლირიკაზე, კონსტ. გამსახურდია — ახალი ევროპა.

IV. სახვითი ხელოვნება. მუსიკა. პროფ. გ. ჩუბინაშვილი — ქართული პლასტიური ხელოვნების შესწავლის ამოცანები, ლეონ მელიქსეძე — სიმბოლო — ქართულ-სომხურ ხუროთმოძღვრებაში. კომპ. დიმი. არაყიშვილი — ქართული ხალხური მუსიკა.

V. ფილოსოფია. მეცნიერება. პროფ. შალვა ნუცუბიძე — კანტი კაცობრობის აზროვნების პერსპექტივებში, პროფ. ანდრია რაზმაძე — რელატივიზმის მოძღვრება ეინშტეინისა, ალ. ჭანელიძე — მეცნიერული შემოქმედება და ჭეშმარიტება, პროფ. გრ. წერეთელი — ანაკრეონტი (ლექსების თარგმანი ASimi-ის მიერ), პავლე ინგოროყვა ჩახრუხაძე პოეტი. მოგზაური. დამატება (ორი რუკა):

1. საშუალო-საუკუნეთა მოგზაურობის მარშრუტი

2. საქართველო XIII. საუკუნის დასაწყისში

VI. მემუარები და დოკუმენტები, ნიკო ნიკოლაძე — მოგონებანი

სამოციან წლებზე, იაკობ ნიკოლაძე — ერთი წელიწადი როდენთან.

VII. კულტურის მათიანე. შალვა ამირანაშვილი — ძველი ქართული ლიტერატურის გამოყენების გამოყენება, დამატება (4 ნახაზი) ალავერდის ტაძრის გეგმა, 2—4 ნეკრესის მცირე ბაზილიკის გეგმები, კოტე მარჯანიშვილი — ელეონორა დუზე, ქართული კულტურის ქრონიკა, ევროპის კულტურის ქრონიკა.

VIII. ბიბლიოგრაფია (ს. თავაძის „შორი ნათელი“ წიგნი ლექსების, პროფ. გრ. წერეთლის იოანე იტალის რჩეული ნაწერები პირველი ნაკვეთი. კ. კაპანელის სული და იდეა (ბიოფსიხიზმი და კოსმიზმი) — 1923 წ.).

„ახალი კავკასიონი“ № 1—2

შ ი ნ ა ა რ ს ი

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

მხატვრული ლიტერატურა — I. საქართველო, ი. გრიშაშვილი — დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს, ს. აბაშელი — მეოცნების დღიური, კ. მაყაშვილი — სიცოცხლის თავდაღმართზე, შალვა დადიანი — უბედური რუსი, ნ. ლორთქიფანიძე — აბრაგი, ს. შანშიაშვილი — *vita nuova*, სოლომონ თავაძე — ცხრაას ხუთი წელი, კონსტანტინე გამსახურდია — დიონისოს ღიმილი, ვარლამ რუხაძე — ვანო სარაჯიშვილის ხსოვნას, ივ. ყიფიანი — სილუეტები, იონა ვაკელი — საქართველო, ხარიტონ ვარდოშვილი — საუბარი უბედურ ლანდთან, ალ. ქუთათელა Demeter Korikope, გრ. ცეცხლაძე — კვიმატი დღეები, დავით კლდიაშვილი — შუაეცხლის პირას.

II. მხატვრული ლიტერატურა — უცხოეთი. ბლუზ სანდრარ — მე მოვკვალ (თარგმანი ლ. შ.) ვსეეოლოდ ივანოვ — ბავშვი (თარგმანი ლ. ქ.), ლ. ტანსკი — ორი ქვეყანა (თარგმანი დ.—ლის), ვალერი ბრიუსოვ — პარიზი (თარგმანი ივ. ყიფიანის), მიწის სული (თარგმანი K), ჩვენნი გამოცდა (თარგმანი ხ. ვ.), კონსტანტინე გამსახურდია — ანატოლი ფრანს, ანატოლი ფრანს — 11 წლის ფლორეალის თვის პატარა ამბავი (თარგმანი ლ. ქ.), ანატოლი ფრანს — ნებადართული სიკვდილი (თარგმანი ლ. ქ.), იოჰან ვოლფგანგ გოეთე — ფაუსტი (თარგმანი იბერიელის), სოფოკლე — ანტიგონე (თარგმანი პ. ქავთარაძისა).

III — წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე. გერონტი ქიქოძე — თეატრალური პარადოქსები, ვახტანგ კოტეტიშვილი — ქართველ მხატვართა გამოყენება, მიხეილ აბრამიშვილი — გიორგი წერეთელი,

ს. დედარიანი — აკაკი წერეთელი და საქართველო, ივ. გომართელი — ილია ჭავჭავაძე და მისი მხატვრული შემოქმედება.

IV — მეცნიერება, ფილოსოფია, ს. ყაუხჩიშვილი — იაფეტური თეორია და ბერძნული ეტიმოლოგიები, პროფ. გრიგოლ წერეთელი — ნეაპოლი — რომი, ბერლინი, პროფ. დ. უზნაძე — ბერგსონის მონიშმი, ივ. ჭავახიშვილი — ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია.

V — მემუარები და დოკუმენტები. ნიკო ნიკოლაძე — მოგონებანი სამოციან წლებზე, იაკობ ნიკოლაძე — ერთი წელიწადი როდენთან.

VI — ბიბლიოგრაფია. (ნ. ლორთქიფანიძე — წიგნი პირველი, სახ. გამ. ლ. ქიჩელის ტ. I. მოთხრობები, ნოველები, ესკიზები. კ. გამსახურდია — „ქვეყანა, რომელსაც ვხედავ“, 1924 წ. ხ. ვარდოშვილი — ლექსები, 1918 — 1921 წ. მის. ჭავახიშვილი-ადამაშვილი — მოთხრობები, ივანე გომართელის კრიტიკული წერილით. ოვანეს თუმანიანი — რჩეული, ი. გრიშაშვილის თარგმანი. დ. კაკაბაძე — პარიზი. 1920—1923 წწ. ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი. შედგენილი ე. თაყაიშვილის მიერ. ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების — „წელიწდეული“ ტ. I და II. ა. შანიძის, ს. ჭანაშვიას, არნ. ჩიქობავას, გ. ახვლედიანის ვარლ. თოფურისა შრომებით).

ვინც მარტო უბრალოდ გადაიკითხავს ამ ჟურნალების შინაარსს, იგი დაგვეთანხმება თუ რა გიგანტური შრომა იყო საჭირო ასეთი მაღალი დონის სქელტანიანი ჟურნალების გამოსაცემად. ასეთი გიგანტური მუშაობის გაწევა მარტო ერთი კაცის მხრებზე გადადიოდა. ეს კაცი პავლე ინგოროყვა იყო. ყველაფერი ეს ამშვენებს მას, როგორც დიდ საზოგადო მოღვაწეს.

დიდი იყო პავლე ინგოროყვას ავტორიტეტი და გავლენა თავის კოლეგებს შორის, ამიტომ არ იყო შემთხვევითი, როცა ი. გრიშაშვილი ლექსში — „გენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე“ წერდა:

აი სად ჰყრია ჩვენი დიდება
ლამის სირცხვილით ამეწვას ლოყა,
აი ქართლის ხმა სად იყიდება
ჭავახიშვილო და ინგოროყვა.

აკადემიური ასოციაციის ჟურნალ-გაზეთები: „ლომისი“ (1922—1923), „ქართული სიტყვა“ (1923 წ.), „ივერია“ (1923 წ.), „ხომალდი“ (1922 წ.), „ილიონი“ (1922 წ.), „კავკასიონი“ და „ახალი კავკასიონი“ — ეროვნული მწერლობის პოზიციებიდან — ილიადან და აკაკიდან ამოდიოდნენ: ა. აბაშელი, ლ. ქიჩელი, ვ. კოტეტიშვილი, პ. ინგოროყვა, კ. გამსახურდია, ი. გრიშაშვილი, კ. მაყაშვილი და სხვანი როცა თავდადებით იცავდნენ ილიასა და აკაკის რაპული თავდასხმებისაგან, ასევე ყანწელებისაგან.

— „ამ წლის განმავლობაში — წერდა კ. გამსახურდია — ბარე ორჯერ გაგვიმასპინძლდნენ უმსგავსო პამფლეტებით ეს ვაჟბატონები — ლ. ქიაჩელს, ი. გრიშაშვილს და მე. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საშუალება გვქონდა მსგავსით მიგვეზლო ამ უურნალ „ლომისის“ № 7-ში, არც „პოეზიის დღეში“, რომელნიც გამოდიოდნენ ჩემის თანა რედაქტორობით არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა რომ მოწინააღმდეგენი ცუდად მოგვეხსენებოდა..., მაგრამ ყოველი კეთილსინდისიერი მკითხველი იცნობს რა ღირსებისა ამ შურიანი კალმის წრიპინი. რაც შეეხება პატრიოტიზმის ექსპლუატაციას, დღეს პატრიოტიზმი არც ისეთი მაღლიანი და „ახალი“ თემაა რომ სხვადასხვა ნებართვები და მოულოდნელი ავანსები ან კარგი კარიერა მიიღოს მწერალმა. ჩვენ იარებიც ბევრი მიგვიღია ამ პატრიოტიზმის სახელით, ბევრ ტყუილსაც გადაუვლია ჩვენს თავზე, მაგრამ პატრიოტიზმი უბრალო მოვალეობაა როგორც ყოველი მწერლისა, ისე უბრალო მოქალაქის და მოვალეობის აღსრულების ჩვენ არასდროს დაგვიტრაბახნია. ხოლო „ილიონის“ პირველ ნომერში რენეგატობასა და სიმრუდეში ბრალი დავდევით ტიტე ტაბიძეს, პაოლო იაშვილს და ნ. მიწიშვილს. ჩვენ ყველგან ციტატები მოგვყავს თქვენი ნაწერებიდან (საკითხი ეხება ილიას, აკაკის, ბარათაშვილის კრიტიკას ყანწელების მხრივ) (გაზ. ლომისი № 1 1922 წ.), ხოლო ამავე გაზეთის 11 №-ში („ლომისი“ № 11, 1922 წ.) მოწინავეში ვკითხულობთ „15 წელიწადი სრულდება რაც ავანაკებმა ილია მოკლეს... მიცვალებულნი განაგებენ აწმყოს, ვიდრე ცოცხალნი — ამბობს დებონი, და ილია სწორედ ისეთი მიცვალებულია, რომელიც დღესაც ანათებს ყოველი ქართულის სულს... ნახევარი საუკუნე უდგა იგი ერთგულ დარაჯად თავის ერს. ეს დევი ჩვენი ლიტერატურისა... „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუნდესო“ სთქვა მან. მთელმა საქართველომ გაიგონა და შეიყვარა კიდევაც ეს ლოზუნგი. დღეს ჩვენ ვინც ვდგევართ ქართული კულტურისა და თავისებურობის სადარაჯოზედ — გვამხნევენს ილიას სიმაჟაცე და გვიტაცებს მისი ბრძოლის სტიქია. მისი აჩრდილი დაგეტრიალებს თავს და მუდამ გვთხოვს ანგარიშს... „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“ საქართველოსთვის მისი წარსულისა და განვითარებისათვის... ვიყოთ ისევ მედგარნი როგორც ილია, ვიყოთ ისევ სასტიკნი ჩვენი კულტურის დაცვაში, როგორც ილია“... ამ წერილის გვერდით ამავე პირველ გვერდზედ „დიდების ძეგლი აკაკის“ ვკითხულობთ: „1915 წელს მთაწმინდაზე გაიხსნა პირველი ეროვნული ყრილობა. ამ ყრილობას თავმჯდომარეობდა აკაკი. აკაკის სამარის ირგვლივ პირველად მოიყარა თავი გაერთიანებულმა მთლიანმა საქართველომ. თუ უდავოა ის, რომ ეგ. ნინოშვილის საფლავზედ ჩაეყარა საფუძველი მესამე დასს, უდავოა ისიც, რომ აკაკის სამარესთან მოხდა საქართველოს გაერთიანება. ითქვა გარკვევით საქართველო არ მომკედარა, ვინა

სტქვა საქართველოზე დაკრილი ლომი კვდებაო... ასე დასრულდა საზეიმო სხდომა — გაერთიანებული სხდომა საქართველოსი და მიზეზი ამ გაერთიანებისა აკაკის ნეშტი ღვთიური ღიმილით სამუდამოდ მიესვენა მთაწმინდის კალთას“. ამას მოსდევს საუბარი იმის თაობაზე აკაკის საფლავი უპატრონოდააო მიტოვებული და უფრო გულსაკლავია „ერთი ჭურის ბრძოლა აკაკის სახელის დასაჩრდილად... უსაშინელეს ლალატს უდრის ასეთი „მარგალიტების“ ბეჭდვა აკაკის შესახებ... „საიდუმლო ბარათს“ ჩვენი საუკუნე აღარ უპასუხებს და აღმართ-აღმართ სიარული ისე ნელი იყო, რომ მწვერვალამდე ვერ მიაღწია. მეოთხედ გზაზე დაეწია. თავის დროზე დაადო ხელი აკაკი წერეთლის სიმჩატეს... ამას მამია გურიელი გრძნობდა, როცა აკაკის „ოდელიას“ მგოსანი უწოდა, შეზარხოშებულმა ვაჟამ აკაკიზე სტქვა მესტვირე მე ენას მიწუნებსო“ (იხ. „ბახტრიონი“ № 1, 6, 9).

— „ის ვინც კარგად იცნობს იმ ხალხს, ამონაწერებიდან ერთ დასკვნას გამოიტანს. აქ არის ბოროტი განზრახვა მიცვალებულები ერთმანეთს გადაკიდონ, აქ არის ფრთხილი სითავხედე, რომელსაც მართლა შესაძლებლად მიაჩნია ფეხზე მოკიდება გენიასთან დაფნის გვირგვინების და „თვალწამოვარდნილი საქართველოს გადანადირება“. ასე გამოდიოდა აკადემიური ასოციაციის კორპორაცია ილიასა და აკაკის სახელის დასაცავად, როცა საქართველოს ამ დიდ მამებს თავს ესხმოდნენ. ამავე კორპორაციის სახელით საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თაოსნობით ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების 15 წლისთავის აღსანიშნავად ილიას საფლავზე გადახდილ იქნა პანაშვიდი. ამ პანაშვილზე სიტყვებით გამოვიდნენ ვასილ ბარნოვი და კ. გამსახურდია. კ. გამსახურდიამ იმავე „ლომისში“ დაბეჭდა ორი ფელეტონი ილია ჭავჭავაძის შესახებ. პანაშვილზე გამოსულ სიტყვაში და ამ წერილებში აცხადებდა „ილიას ქართული აზროვნებისა და კულტურის უგვირგვინო მეფედ, ერის ბელადად“...

ამგვარ მწვავე ხასიათს იღებდა ბრძოლა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სახელის დასაცავად ოციანი წლების ქართულ მწერლობაში, რომელსაც აკადემიური ასოციაცია თავისი ეროვნული პოზიციისათვის იცუებდა.

... ქურნალი „დროშა“ გამოვიდა 1923 წლის 7 ნოემბერს (რედ. მ. კახიანი). მოწინავე წერილში — „ჩვენი დროშა“ ვკითხულობთ: „ღიღი ოქტომბრის რევოლუციის ექვსი წლისთავზე გამოდის ჩვენი ქურნალი. არა შემთხვევითია ეს მოვლენა. ჩვენი სალიტერატურო და საპოლიტიკო ქურნალის შინაარსი და სული უნდა შეიქმნეს გამომხატველი იმ ახალი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელიც ჩვენში ოქტომბრის

რევოლუციის გამარჯვებით დამყარდა. ჩვენ იმდენად გვაინტერესებს ძველი ქართული კულტურა, რამდენად იგი იყო და არის საძირკველი ახალი კულტურის... მე-19 ს. მწერლობის დამახასიათებელი თვისება იყო ეროვნული მოტივი... ჩვენში ახალმა სიომ დაბერა 90-იანი წლებიდან და ფეოდალურ და გლეხურ საქართველოში შემოანათა კაპიტალიზმის „სხივებმა“. აქა-იქ გაჩნდნენ ფაბრიკა-ქარხნები (რკინიგზა, ფოთისა და ბათუმის ნავსადგური, ქიათურის მალაროები და სხვა). მუშათა კლასმა იწყო ჩამოყალიბება. გლეხკაცობა როგორც ჩაგრული სოციალური ელემენტი გამოეხმაურა ამ ახალი კლასის გამოსვლას. გაჩნდა ჩვენში ე. წ. სოციალური პოეზიაც გამომხატველი მუშის და გლეხის ცხოვრების. ნახევრად მუშამ, ნახევრად გლეხმა ეგნატე ნინოშვილმა გადმოგვცა ნამდვილი სულისკვეთება ჩვენი გლეხკაცისა, ნაწილობრივ ნავთის წარმოებაში ჩაბმული მუშებისა. დასაწყისი ამ ახალი ცხოვრებისა დღესაც ძლიერი და მომხიბლავია ჩვენთვის. განსაკუთრებული მუშური იდეოლოგიის და სულისკვეთების გამომხატველი იყო ირ. ევდოშვილის შემოქმედება (პირველი დროის). ეს ხანა მუშათა კლასის, თუმცა სუსტის, მაგრამ მაინც თვალსაჩინო გამოსვლისა, რომელმაც თან გაიყოლია ჩვენი უღარიბესი გლეხკაცობა. აი ამ ცხოვრების ვითარებას გადმოგვცემდა ჩვენი მაშინდელი ლიტერატურა. ეგნ. ნინოშვილი, დ. კლდიაშვილი, შ. არაგვისპირელი, და პირველ ხანებში ია ეკალაძე. ამას 1905 წლის რევოლუცია მოჰყვა და მწერლობაში აისახა ეს ქარიშხალი. მერე დაიწყო კრიზისი ქართულ ლიტერატურაში... რევოლუციის შემდეგ ზოგი მწერალი დუმს... მართალია პროლეტარული მწერლები დაადგნენ შემოქმედების გზას, მაგრამ რაც ეხლა კეთდება პროლეტარულ მწერალთა სახელით, სამწუხაროდ ჭერჭერობით ძლიერ სუსტია და ვერ არის გადმომცემი იმ ძლიერი სოციალური ნგრევისა და ახალი ცხოვრების შენებისა, რომელსაც დღეს განიცდის საქართველოს სინამდვილე... ბევრ მხატვარს, შემოქმედს შეუძლია გახდეს ოქტომბრის რევოლუციის თანამგზავრი და მოგვცეს ნამდვილი სურათი დღევანდელი სოციალური პროცესისა. დღეს ბევრი ნიჭიერი მწერალი სდუმს. ჩვენ ეს დუმილი როდის გვახარებს. ჩვენი სურვილი იქნება ეს დუმილი დარღვეული იყოს. საჭიროა ახალი სიტყვის თქმა, რევოლუციის სიტყვებით გამთბარი... ჩვენი სურვილი იქნებოდა, რომ ყველა საღად მოაზროვნე ქართველ მწერალს თავი შემოეკრიბა ჩვენი „დროშის“ გარშემო და ეწარმოებინა ის დიდი საქმე, რომელსაც ლიტერატურის სახით მშრომელი ხალხის სამსახური ეწოდება“.

ყურნალის პირველი ნომერი გაიხსნა მიხ. ადამაშვილის „კვაკი კვაქანტირადით“. ამ ყურნალში თანამშრომლობდნენ: ს. ეული, ნ. ზომლეთელი, რ. კალაძე, თ. სახოკია, ი. გედევანიშვილი, პ. ქიქოძე, დ. კლდიაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ს. შანშიაშვილი, პ. იაშვილი,

შ. რადიანი, კ. კალაძე, ვ. ბარნოვი, პ. ირეთელი, შ. მღვიმელი, გ. ლეონიძე, ა. მაშაშვილი, ვ. ხუროძე და სხვანი.

გაზეთ „კომუნისტთან“ ერთად, ამ ჟურნალმა თავი მოუყარა მოწინავე ქართველ მწერლებს და დაიწყო ბრძოლა საბჭოთა ლიტერატურის პოზიციების განმტკიცებისათვის. „დროშის“ ფურცლებზე გამოჩნდა პირველი საბჭოთა პოემები, მოთხრობები, აქ აღორძინდა რომანის ჟანრი, აქ დაიბეჭდა ჩვენი მაშინდელი მოწინავე საბჭოთა მწერლების ნაწარმოებები.

იმ დროის მოწინავე ჟურნალ-გაზეთებს შორის უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური პოლიტიკური, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი „მომავალი“ და გაზეთი „სპარტაკი“. ეს ორგანოები სისტემატურად აქვეყნებდა სპეციალურ ლიტერატურულ ფურცლებს, რომლებშიაც იბეჭდებოდა ახალგაზრდა პოეტების და პროზაიკოსების ნაწარმოებები. ჟურნალ „მომავლის“ ლიტერატურული განყოფილება გაიხსნა ალიო მირცხულავა-მაშაშვილის ლექსით „25 თებერვალს“, რომელშიც ვკითხულობთ:

დამსხვრა ცრემლის ვალაღბად ავი ზამთარი
და თებერვალის შეიმოსა ოქტომბრის კაბით.

ახალგაზრდობის ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში უკვე სისტემატურად იბეჭდებოდა პროლეტარული მწერლობის ახალი თაობის წარმომადგენელთა (ა. მაშაშვილი, კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, ე. ზედგინიძე, გ. მდივანი და სხვ.) ნაწარმოებები.



სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის „აკადემიური ასოციაციის“ იდეური პოზიცია 1921—1925 წლებში, ამ ჯგუფის ნეგატიური დამოკიდებულება რევოლუციის მიმართ ყველაზე უფრო დასრულებულის სახით „პოეზიის დღეში“ გამოიხატა. ამავე გაზეთის მიხედვით ნათელი ხდება ამ ჯგუფის იდეური გარდაქმნის პროცესი, რაც დაიწყო საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი ყრილობის შემდეგ. ამიტომ უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ამ გაზეთზე.

„პოეზიის დღე“ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო იყო. პირველად იგი გამოვიდა 1920 წელს, 7 მაისს. გაზეთის მოწინავე წერილში ვკითხულობთ: „ქართველ მწერალთა მეორე კონ-

ფერენციის გადაწყვეტილებით 7 მაისი დაინიშნა პოეზიის ტრადიციულ დღედ. 7 მაისს თბილისში და საქართველოში იქნება პოეტებისა და მწერლების მანიფესტაცია“.

ამ გაზეთის მეორე ნომერი გამოვიდა 1921 წლის 7 მაისს, ეს ნომერი იხსნება ტიცთან ტაბიძის წერილით — „პოეზიის დღე“. „საქართველოს მწერალთა კონფერენციამ 7 მაისი დაადგინა პოეზიის ტრადიციულ დღედ, — ვკითხულობთ ამ წერილში, — ეს მეორე 7 მაისია, რაც პოეზია თავის დღეს იხდის. ეს დღე ძველი სტილით მოდის თეთრი გიორგის ნიშნის ქვეშ... და ქართველმა ხალხმაც გიორგი იწამა თავის მფარველად. ამ შემთხვევაში ამ ანალოგიას აქვს ეროვნული გამართლება. პოეზია საქართველოში იმთავითვე ერთადერთი ამტკიცებდა საქართველოს. ყოფნას... საქართველოს შეიძლება მეორე სახელად რუსთაველი დაერქვას. უკვე შარშან ვწერდი პირველ მეთაურში — საქართველოში პოლიტიკურ აღორძინებასთან დაიწყება ხელოვნების აღორძინება. ახალი საქართველო და ახალი საქართველოს სახელით მომქმედი მებრძოლი პროლეტარიატი, რომელმაც თავისი მაგარი ზერხემლით გამოიტანა საქართველოს თავისუფლება, შექმნის ახალ პერიოდს ქართულ ხელოვნებაში და პოეზიაში“.

წერილის ავტორი განაგრძობს:

„დღეს რევოლუციური ლოზუნგი ისევ რჩება: დამოუკიდებელი, ეროვნული შემოქმედებით უნდა შექმნა სულის ინტერნაციონალი: ქართული პოეზია ამ შემთხვევაში მხოლოდ გააგრძელებს თავის ტრადიციებს ამ იდეის განმტკიცებისათვის“...

გაზეთის ამ ნომერში დაბეჭდილია დ. მეგრელის, ობოლი მუშის, ვ. რუხაძის, ა. აბაშელის, შ. აფხაიძის, ნ. მიწიშვილის, ხ. ვარდოშვილის, შ. კარმელის, გრ. ცეცხლაძის, იასამნის ლექსები, კ. გამსახურდიას ნოველა „ნაპოლეონი“ და სხვ. არც ერთი ეს ლექსი არ ასახავს საბჭოთა საქართველოს გამარჯვების ფაქტს, პირიქით, ლექსების უმრავლესობა სავსეა სევდიანი, პესიმისტური განწყობილებებით.

1922 წლის მაისში თბილისში ორი გაზეთი გამოვიდა სახელწოდებით — „პოეზიის დღე“; პირველი გამოვიდა 6 მაისს, გამოსცა იგი საქართველოს ახალი მწერლობის საბჭომ. „ყანწელების“ ეს გაზეთი იხსნება ტ. ტაბიძის წერილით „პოეზიის დღე“. ავტორი იწყებს იმის აღნიშვნით, რომ „ჩვენ შევიტანეთ წინადადება პოეზიის დღე ყოფილიყო 6 მაისი, ძველმა კავშირმა კი 7 მაისი დააწესაო, მაგრამ ჩვენ (ე. ი. „ყანწელები“) მაინც 6 მაისს, აღვნიშნავთ პოეზიის დღესო, თუმცა ისე ღირსეულად ვერა; როგორც ის ჩვენ გვინდაო“. მიზეზი ის არის, — განაგრძობს ავტორი. — რომ ჩვენ დღემდე ვიმყოფებით გარდამავალ დროში, როცა დიდი ისტორიის წინაშე დგას ფაქტები პოეზიის გარეშე ხდებიან და დროებით ჩრდილავენ პოეზიის მნიშვნე-

ლობას და ინტერესს... პოეზია არის ერის სულის, მისი უყვედავების და შემოქმედების პირველი ნიშანი... მართალია ახლობელ წარსულში, როცა ფილისტრები დაეპატრონენ პოეზიას და დღესაც ზოგიერთი მათგანი, რომელთაც მოასწრეს კიდევ ოფიციალური მეშჩანების ლაურეატად გახდომა, სახელს უფუჭებენ პოეზიას და მის ღირსებას. მაგრამ შინ გაზრდილი პოეტები თანდათან გადაშენების გზას ადგანან და პოეზიის ატმოსფერო მალე სამუდამოდ დაიწმინდება“...

ამავე გაზეთში მოთავსებულია ტ. ტაბიძის მეორე წერილი „წლიდან წლამდე“: ეს არის მიმოხილვა მთელი წლის მხატვრული პროდუქციისა: „მე იმ პოეტებზე არაფერს ვიტყვი, — აღნიშნავს ავტორი, — ვინც ქართული პოეზიის ლეშებია, რომელთაც დიდი ხანია უდის სიმყრალის სუნი და მაინც სწამლავენ გარემოს, მის მაგიერ, რომ ეყოს კეთილშობილება გაჩერებინ... მე მათზე ერთ სიტყვასაც არ ვიტყვი... მე ვიტყვი იმ პოეტებზე, რომელთაც აქვთ გავლენა ნამდვილ პოეზიაზე და რომელნიც ეწვეიან უსწორო ბრძოლას ფილისტერების ფრონტზე“. ამის შემდეგ ტ. ტაბიძე განიხილავს პ. იაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, კ. ნადირაძის, გორგი ლეონიძის, ნიკო მიწიშვილის, რაჟდენ გვეტაძის, შალვა კარმელის, შ. აფხაიძის, კ. ჭიჭინაძის, ტ. გრანელის, ს. ცირეკიძის, ალი არსენიშვილის, გრიგოლ ცეცხლაძის, ივანე ყიფიანის, ლადო მაჭავარიანის ამ წელს დაწერილ ნაწარმოებებს და ქებათა-ქებას უძღვნის ყველას გამოუკლებლივ. ყანწელების ფრონტის დახასიათებას ავტორი ასე ამთავრებს: „ამას გარდა, საქართველოს ყველა ცენტრში იცემა ახალგაზრდა პოეტების ყურნალები. ყველა ეს პოეტები დგანან „ციხფერყანწელების“ პლატფორმაზე და პირდაპირ უჩერებენ თვალს პოეზიას“...

ტ. ტაბიძე აქვე ცდილობს წარმოგვიდგინოს გ. ლეონიძის პორტრეტი:

„გიორგი ლეონიძეს ორი პერიოდი აქვს თავის შემოქმედების. ლეონიძემ დაასრულა ერთი ციკლი თავის განვითარებისა. ამ პერიოდში არა თუ გაუსწორდა, არამედ გაასწორო კიდევ იმ პოეტებს, რომელთაც ესთეტიკური უკულტურობით კიდევ აქვთ შერჩენილი მეტრების სახელები. ამ პოეტებს დასახელება არ სჭირდება. მეორე პერიოდი გიორგი ლეონიძისა არის ახალი აფეთქება და გამარჯვება კიდევ „ნიამორებში“ დაბეჭდილი მისი „ავტობიოგრაფიის“ ნამდვილი შედეგია ახალი პოეზიის: „ვარ ბარბაროსი, ვარ ხაზარი, ვარ სარაციანი“ — თქვენ გრძნობთ ახალი და დიდი ძალა ემატება პოეზიას. გიორგი ლეონიძის პოეტურ სტიქიონს ემატება ენის სტიქიონი, და რაც ყველაზე საინტერესოა, პოეზიის ნამდვილი გაგება და ინტერესის გრძნობა. „ბარიკადებში“ დაბეჭდილი მისი ლექსები სუნთქავენ ამ სიძლიერით და ნოყიერების გრძნობით“.

ტ. გრანელზე ავტორი წერს: „ტერენტი გრანელის წიგნი „სულიდან საფლავები“ დაწერილია ცრემლებით და ნერვებით. არის ადგილები, რომლებიც სამუდამოდ დაგამახსოვრდებათ უბრალო თქმით და გულწრფელობით. ტერენტი გრანელი სანთელივით იწვის პოეზიისათვის, არ შეიძლება ამ აღმა ცეცხლი არ გააჩინოს. მალე ის გაიშვება ხმას, ასცილდება გავლენას, რომელიც მას მხოლოდ აფერხებს და მონახავს თავის თავს. ამ წიგნზეც შეიძლება მეტის თქმა, რომ შეიძლებოდეს ამ წერილში“.

ტ. ტაბიძის ეს წერილი და ასევე მთელი გაზეთი არის ცდა დაამტკიცოს, რომ „ცისფერყანწელების“ სკოლა ერთადერთი ჯგუფია, რომლის მონაპოვრით იზომება მთელი ქართული მწერლობის წარმატება. გაზეთი კვლავ და კვლავ ქადაგებს სიმბოლოზმის იდეებს. ამ დებულების საილუსტრაციოდ საკმარისია გადავხედოთ აქ დაბეჭდილი სხვა ავტორების ნაწარმოებებს. სიმბოლოზმის სულითაა განმსჭვალული პირველ რიგში, ტ. ტაბიძის „მელიტა“, ვ. გაფრინდაშვილის „აბრაკადაბრა“, პ. იაშვილის „ტანიტ ტაბიძე“, გ. ლეონიძის „მზე ტაბასტა“, ნ. მიწიშვილის „ხატი ძახთაპირი“, შ. აფხაიძის „მისტიური დიალოგი“, შალვა კარმელის „რემზოს სიკვდილი“, ტ. გრანელის „ნისლების კვირეები“, გრ. ცეცხლაძის „პოეტის ყიფა“ და სხვა. ტ. ტაბიძე თავის მიმოხილვაში ეხება მხოლოდ ამ მწერლებს და მათ უწოდებს „ნამდვილ პოეტებს“, დანარჩენები კი „პოეზიის გარეშე მდგომი მელექსიები არიანო“. მაგრამ საკითხავია, რამდენად ობიექტურია ის, რომ ჰეშმარიტ პოეტებად არ მიიჩნიათ გ. ტაბიძე, ი. ვრიშაშვილი, ალ. აბაშელი, ს. შანშიაშვილი?

1922 წლის 7 მაისს ასევე გამოვიდა მეორე „პოეზიის დღე“, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო. ეს გაზეთი იხსნება გ. ტაბიძის წერილით; თუმცა, უნდა აღინიშნოს, ეს წერილი კი არა, უფრო მანიფესტია, მოწოდებაა, რათა საბჭოთა საქართველოს გვერდით დადგნენ პოეტები, მსახიობები, ასახონ ახალი ცხოვრება, ოღონდ აქვე დაბეჭდილი სხვა მასალები განმსჭვალულია არასაბჭოთა განწყობილებით. ამ გაზეთში მოთავსებულია იმ დროის ქართული მწერლობის მიმოხილვა, რომელიც კ. გამსახურდიას ეკუთვნის; ავტორი მასში კვლავ ძველ პოზიციასზე დგას, იგი თავს ესხმის პროლეტარული პოეტების მიერ გამოცემულ ჟურნალ „ქურას“. საქმე მარტოდენ იდეოლოგია არაა, — წერს კ. გამსახურდია, — იდეოლოგიას პოეზიაში უმთავრესი წონა არასოდეს არ ჰქონია... „ქურა“ უნუგეშოა ესთეტიკური თვალსაზრისით“...

წერილის ბოლოს გამსახურდია დაასკვნის:

„ჩვენ გვწყურია მისტიური სიყვარული საქართველოსადმი და თუ-

ცა ამ ხნის განმავლობაში პირამიდულად „იზრდება გულში, ერის ტანჯვის გამოძახებელი, ერთი ნაღველის ორი მწვერვალი, კრწანისის ველი და თებერვალი“, მაგრამ ქართველ პოეტებს ვიღაც მაინც უჩუჩულებს გულში — არ არის მკედარი, არ არის მკედარი“...

ასევე არაჩანსალი განწყობილებითაა აღსავსე „პოეზიის დღის“ იმავე ნომერში მოთავსებული კ. მაყაშიელის ლექსი „ჩემს მაროს“.

არც სიცოცხლის. არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი
თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი.
გულზე სევდა შემომაწევა თავის მძიმე ლოდებით
საქართველო გაივლინთა მაყაშიელთა გოდებით.

1923 წლის „პოეზიის დღე“ ისეთივე არასაბჭოური განწყობილებით ხასიათდება, როგორც მისი ადრინდელი ნომრები, აშკარად გამოხატული ეს ნეგატიური ტენდენცია „პოეზიის დღეში“. გრძელდება 1926 წლამდე.

1927 წლის „პოეზიის დღეში“ დაიწყო რევოლუციურ საქართველოზე, საბჭოთა ხალხზე, ახალ მწერლობაზე პოზიტიური საუბარი. მთელი ის ვითარება, რომელიც ზემოთ გადმოვეყით, კეძოდ, „პოეზიის დღის“ ნომრები იმაზე მიუთითებს, რომ საბჭოთა მწერლობის ჩამოყალიბება და შექმნა მძაფრი იდეური ბრძოლის ვითარებაში ხდებოდა. ეს იდეოლოგიური ბრძოლის სურათი ყველაზე ტიპურად და დამახასიათებლად სწორედ რომ ყოველწლიურ ტრადიციულ გაზეთ „პოეზიის დღეში“ აისახა.

1927 წლის „პოეზიის დღეში“ ვკითხულობთ:

„განა ქართული მწერლობისათვის გასაგები არ არის ინდუსტრიალიზაცია. რომელიც ახლა დგას პირველი რიგის საკითხად? განა ქართული მწერლობისათვის გასაგები არ არის, რომ ჩვენი გალატაკებული ხალხი უნდა ეზიაროს ახალ კულტურას, ახალ მშენებლობას?.. მაგრამ დღეს დეკლარაციების დრო წავიდა, დღეს იწყება ორგანულად ჩაბმა ახალი კულტურის მშენებლობაში“...

ქართული მწერლობის ორგანულად დაკავშირება ახალ ეპოქასთან, ახალი საქართველოს ცხოვრების ასახვის ამოცანები უფრო ვრცლად არის გაშუქებული 1928 წელს გამოცემულ „პოეზიის დღეში“. მასში ვკითხულობთ:

„სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი და ახლა მისი მემკვიდრე საბჭოთა მწერლების ფედერაცია 5 მაისს აწყობს პოეზიის დღეს...“

პირველად ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციულად ქართული მწერლობა გაერთიანებულია ფედერატიულ ნიადაგზე. ფედერაციაში ადგილი არა აქვს გამთიშველ პოლიტიკას და ყველა საკითხა წყდება ურთიერთშეთანხმებით. არც ერთი ლიტერატურული დაჯგუფება არ არის დაჩაგრული და საშუალება აქვს გამოაჩინოს თავისი

შემოქმედების სახე. მწერალთა ყრილობაზე ქართველი მწერლების წინაშე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ცაქის თავმჯდომარე ამხანაგო ფილიპე მახარაძე, რომლის მოხსენება გაგრძელდა იყო ორი წლის წინათ ასეთივე ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებისა. მოხსენებაში აღნიშნული იყო როლი, რომელიც ეკისრება ქართულ მწერლობას, რომ ორგანიულად ჩაებას ახალ საზოგადოებრივ ცხოვრებაში...

საერთოდ, ეს ყრილობა ჩატარდა კულტურული რევოლუციის ლოზუნგით და ყრილობაზე ყველა ჯგუფს საშუალება მიეცა გამოექვეყნებინათ თავიანთი დეკლარაციები, გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებანი მწერლობის როლის შესახებ კულტურულ რევოლუციის ფრონტზე....

გასულ წელს ჩატარებულ იქნა პროლეტარული მწერლობის ყრილობა, სადაც აგრეთვე აქტიურად იდგა კულტურული რევოლუციის საკითხები. საერთოდ, პროლეტარული მწერლობის ასოციაცია მეტ აქტიურობას იჩენს და როგორც ამომავალი კლასის გამომხატველი მწერლობა, თანდათან იმაგრებს წელს და მეტ მხატვრულ პროდუქციას ქმნის“.

ქართული მწერლობა იმ თავითვე იმ აზრს იცავდა, რომ მხოლოდ მუშათა კლასს, ძლევამოსილ პროლეტარიატს შეუძლია მწერლობის დიდ გზაზე გამოყვანა და ახალი სოციალისტური კულტურის შექმნა. როგორც ვხედავთ, იმ დროისთვის ეს პოზიცია უკვე ნათლად გაიჩქვა, განმტკიცდა რწმენა, რომ ქართული მწერლობა ორგანიულად უნდა ჩაებას ახლის შენების პროცესში და ყოველდღე უნდა აღრმავებდეს, თავის კავშირს ხალხთან. ამის სადემონსტრაციოდ ეწყობა „პოეზიის დღე“. ამგვარად, 1926 წლიდან, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი ყრილობიდან, ქართული მწერლობის კონსოლიდაცია საბჭოთა მწერლობის დროშით უკვე აშკარად გამოხატული ფაქტია. ასე დაიწყო საბჭოთა მწერლობის იდეური და მხატვრული პოზიციების განმტკიცებისათვის შეუპოვარი ბრძოლა და ეს პოზიცია ნათლად გამოჩნდა ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთების მხატვრულ პროდუქციაში. თვით მანამდე არასაბჭოური განწყობილებების გამომხატველი გაზეთი „პოეზიის დღე“ საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზას დაადგა.

* * *

იმ ხანებში ანტირევალისტური ლიტერატურის პოზიციას იცავდა ფუტურისტების ჯგუფი, რომელმაც 1922 წელს გამოაქვეყნა თავისი „მანიფესტი“. ეს მანიფესტი არსებითად იტალიელი და რუსი ფუტურისტების მანიფესტების მიბაძვა იყო. აქ რამდენიმე სიტყვა უნდა ეთქვათ ფუტურიზმის შესახებ საერთოდ.

ფუტურისმი იტალიაში წარმოიშვა მეოცე საუკუნის ათიან წლებში; იმ ხანებში იტალიის ბურჟუაზია ყაჩაღურ შარავნაზე გამოვიდა და დაპყრობითი ომები დაიწყო. ლიტერატურაში მისი ზრახვების გამოშატველი გახდა ფუტურისტების ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა იტალიელი მილიონერის შვილი მარინეტი.

1909 წელს მარინეტი აქვეყნებს პირველ ფუტურისტულ „მანიფესტს“. მისი ძირითადი დებულებებია: ცეცხლი მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს, რომლებმაც საუკუნოდ წაახდინეს ადამიანი; ამავე „მანიფესტში“ ფუტურისტების ჯგუფი ქადაგებს ფაშისტურ იდეებს, ეწევა ომის პროპაგანდას, მათი აზრით, „ომი არის კაცობრიობის გაწმენდის ჰიგიენური საშუალება“. ფუტურისმი იტალიაში გაჩნდა ახალი, მომავლის მწერლობის შექმნის პრეტენზიით და ძირითადად დაუპირისპირდა წარსულსა და აწმყოს სხვა ლიტერატურულ სკოლებსა და მიმართულებებს. ფუტურისტები ამტკიცებდნენ: ფუტურისტული სურათის ან ნაწარმოების შშვენეირება რომ გაიგოთ, საჭიროა ადამიანის სული განიწმინდოს, გონება განთავისუფლდეს წარსულის კულტურის საბურველისაგანო; 1923 წელს იტალიელი ფუტურისტები, ამართლებდნენ რა დაპყრობითს ომებს, გამოვიდნენ სპეციალური მოწოდებით: „ერთი ნაწილი ადამიანებისა და ნაციისა, — წერდნენ ისინი, — მოწოდებულია რომ იბატონოს, მეორე — დაემორჩილოს; ყველა ხალხიდან მპრძანებლის როლი მსოფლიოში ყველაზე უფრო შეჰფერთ იტალიელებს. შენში, ო, იტალიის ფაშისტურო ახალგაზრდობავ, ყველა მონაცემია ამ იდეალის შესასრულებლად: ნაყოფიერება, სიჯანსაღე, მეომარი სული“, მთელი ეს მანიფესტი მოწმობს, რომ ფუტურისტები იმპერიალისტური ბურჟუაზიის ლაქიები იყვნენ, იტალიელი ფუტურისტები გამოდიოდნენ რევოლუციისა და სოციალიზმის წინააღმდეგ. როდესაც 1919 წელს მილანში გაფიცვა მოეწყო, მარინეტი ამ გაფიცვის წინააღმდეგ გამოვიდა მოწოდებით, ხოლო, როცა დაინახა გაფიცული მუშები, რომელთაც ლენინის პორტრეტები მოჰქონდათ, პოლიციასთან ერთად სროლა აუტეხა მუშებს.

ასეთი იყო ფუტურისმის პოლიტიკური სახე. ლიტერატურულად იტალიური ფუტურისმი სრულ არარაობას წარმოადგენდა. მთელი მისი ისტორია სამარცხვინოდ დამთავრდა. ფუტურისტები სიმბოლიზმის წინააღმდეგაც გამოდიოდნენ. მარინეტი წერდა: „ჩვენ უარვყოფთ ჩვენს მასწავლებლებს — სიმბოლისტებს, მთვარის უკანასკნელ მიჯნურებს. ჩვენ გვძულს ახლა ჩვენი სახელოვანი ინტელექტუალური მამები, დიადი სიმბოლისტ-გენიოსები — ედგარ პო, ბოლდერი, მალარმე და ვერლენი“. ფუტურისტები ცდილობდნენ გაეწყვიტათ კავშირი მთელ კლასიკურ მეტყველებასთან. მათ „ნოვატორობა“ დაიწყეს იმით, რომ ბრძოლა გამოუცხადეს მეტყველების ჩვეულებრივ წესებს,

მოითხოვეს სინტაქსის შეცვლა, პუნქტუაციის მოხსნა და აოეზიაში მათემატიკური ციფრების შემოტანა.

იტალიის ფუტურისზმა შემდეგ გამოხმაურება პოვა სხვა ქვეყნებში დადაიზმის, კუბისზმის, კონსტრუქტივიზმისა და სხვა სახით.

ფუტურისზმი რუსეთში 1910 წლიდან იკვლევს გზას. აქ თავიდანვე უნდა აღენიშნოთ, რომ რუსული ფუტურისზმი, პოლიტიკური და იდეური თვალსაზრისით, მთლიანად განსხვავდებოდა იტალიის ფუტურისზმისაგან, თუმცა მრავალ შემთხვევაში მის ლიტერატურულ შეხედულებებს იზიარებდა. რუსმა ფუტურისტებმა იტალიის ფუტურისზმის ლიტერატურულ-ზაუმნიკური სტილი გადმოიღეს და ამ გზით დაუპირისპირდნენ ამ პერიოდის რეალისტურ რევოლუციურ რუსულ სკოლას.

რუსული ფუტურისზმი არ წარმოადგენდა მთლიან, თანამიმდევრულ სკოლას; ამ სკოლაში სიახლე შეიჭრა მას შემდეგ, რაც მას მიეკედლა ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელიც გატაცებული იყო რუსეთის პირველი რევოლუციის იდეებით. მაიაკოვსკიმ პირველმა ერთბაშად გაარღვია ფუტურისტული სკოლის ლიტერატურის ჩარჩოები და საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი გახდა. მან ოქტომბრის რევოლუციის პირველსავე წლებში განაცხადა: „საჭიროა მივესალმოდეთ საბჭოთა ხელისუფლებას და მოვანხოთ მასთან კონტაქტი“. სულ მალე მაიაკოვსკი კემშარიტად საბჭოთა ეპოქის, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უდიდესი და უნიჭიერესი პოეტი გახდა.

საქართველოში ფუტურისზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყებს თავის ისტორიას.

1923 წლის 23 აპრილს ქართველმა ფუტურისტებმა მოაწყვეს პირველი ფუტურისტული საღამო სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში, ხოლო უფრო ადრე, 1922 წლის მაისში, გამოსცეს მანიფესტი, რომელსაც ხელს აწერდნენ ნიკოლოზ ჩაჩავა, აკაკი ბელიაშვილი, დავით გაჩეჩილაძე, ბესარიონ ჟღენტი, სიმონ ჩიქოვანი და სხვები. ქართველი ფუტურისტები ამ მანიფესტში აცხადებდნენ: „ქართული პოეზიის დამახასიათებელი თვისება იქნება გაქანება, სითამამე და ამბოხება. არ ვჩერდებით მუხეუმისა და ძეგლების წინაშე და ვქმნით საქართველოს მომავალს, რომელსაც არ ახასიათებს სივრცე და დრო. უარვყოფთ, რაც ჩვენს უკან არის და ამიერიდან საქართველო ჩვენგან იწყება. ჩვენ შევიყვარეთ მანქანის კვამლში გაჟანგული ბრბო, ალტაცებით ტაშს რომ უკრავს რევოლუციას. უარვყოფთ წარსულს, რადგან ის არის სამლოცველო ბებრების და მომაკვდავების, ვალიარებთ ქართველ ხალხს მსოფლიოს მესიად და ვაარსებთ ფუტურისზმს“... როგორც მკითხველი ხედავს, ქართველ ფუტურისტებს მთელი რიგი დებულებები მექანიკუ-

რად გადმოჰქონდათ რუსი და იტალიელი ფუტურისტების მანიფესტებიდან.

პირველი ჟურნალი — „H₂SO₄“ ქართველმა ფუტურისტებმა დააარსეს 1924 წელს, ავტორები: ბენო გორდენიანი, ნიკოლოზ ჩაჩავა, ირაკლი გამრეკელი, პავლო ნოზასე, ჟანგო ლოღობერიძე, აკაკი ბელიაშვილი, ბიძინა აბულაძე, სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლოზ შენგელაია, შალვა ალხაზიშვილი. თავიანთ საპროგრამო მანიფესტსა და ჟურნალებში „H₂SO₄“, „ლიტერატურა და სხვა“, „მემარცხენეობა“ და გაზეთ „დროულში“ ქართველი ფუტურისტები გამოდიან „რევოლუციის სკოლის“ წარმომადგენლების პრეტენზიით; ამას თან მისდევს გამაღიზიანებელი, გამომწვევი ტონი, თავდასხმა და გაუგონარი ლანძღვა-გინება არსებული ლიტერატურული სკოლებისა და მათი წარმომადგენლებისა — „კრეტინების ქარხანა“. „ჩემი წინადადებით ჩვენ დავირქვით ტერორისტები“ — წერდა ფუტურისტი პ. ნოზაძე. მეორე ფუტურისტი — „ლიტერატურულ ხულიგნობას თვლიდა მათ მოწოდებად“, მესამე — „ვაცხადებ მწერლობისა და მხატვრობის დიქტატურას“. სუბიექტურად მათ ჰქონდათ მისწრაფება საბჭოთა ხელისუფლების პოზიციების დაცვისა ლიტერატურაში. ამ გზით ებრძოდნენ ისინი სიმბოლისტებს და ამ პერიოდის სხვა არასაბჭოურ ლიტერატურულ ჯგუფებს, მაგრამ ობიექტურად ქართული ფუტურიზმი ხელს უშლიდა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას, რადგან მისი პოზიცია პრინციპულად მცდარი იყო. განსაკუთრებით ენა და სტილი ამ ჯგუფს საბჭოთა მწერლობის ფარგლებს გარეთ აყენებდა. და, როგორც უნდა ყოფილიყო ამ ჯგუფის წევრთა სუბიექტური მისწრაფება და პრეტენზია, არსებითად მათი პრაქტიკული მოღვაწეობა, ლიტერატურული პროდუქცია დეკადენტური ლიტერატურის სკოლის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა.

ჩვენ აქ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, რომ ნათელი იყოს ფუტურისტების ლიტერატურული სახე:

1. წარდალს შორდება ძილი
ძილდნა გაგულისდა,
ღღისური ქანდაძილი
მთვარეზე გაგულისდა.

2. ჯიხუხე რქა
ჯიხუ ფეხუ ფეხი.
ღრუ
ღრე
ხრე
ქორაბულდე.
საი ხევი ხმა
საი ხევი ხევი
მოლადლოი.
ღრუ ღარი

გოგონა მოგონა ხანძარი
სოფელი მოფორა. მოშარა.
თან სურდა სურდული—ხენაჯარი
თან შერდა შანდი და შროშანა.

ღეღე ღღღღ
თურმე ხავსი.
სურო ნასურდალი
იქაო.
ცა ბინაშური
ცა მოშინადრე —
ხრიოკი ცინათია.
მთვარე გარდმოსერის
ცა აშენდება
ღრუ.

3. ორი-დო ხერხი-დო მუხების რკო!
 ხორბალი, კომბალი
 კომბალი ონბალო
 კომბალი ბალიგი
 ბობო და ლომები, ბობო და სპილოებს
 ფულუროს ნაყოდალს, ფილტეებს ნაგუდარს
 ღერღილს მორიშოლს, სიმინდს დაღერილს
 ორგი'დო ჩალა, დო ორიდო კამეჩებს
 ზიზურე-რო-რო დო ზირურე აბეჩებს
 კომბალი და სახრე-ბორძივი. თხმელა
 აბედი ურმების. ხეები ხორ'ბო
 მზის მუცელს ნაბიკარს
 მზის ხვრელებს ზღარბი ქამს
 ორგი'დო ხერგი დო მუხების რკო!
 ენგურის ირემი. ენგურის ორბები
 თხუნელა, თხომური — ზომური ზომური
 ჰე ფიწვეებს, წიფელებს, შტოებს და ნეშოებს
 მახრა, და კამეჩი, ქატო და მუხუდო.
 ეი! დო ზორ, შარა მოტობადო მუხლი
 ნახშირის მუხაში
 ბლაოდა მუხაში
 კამეჩი უხეში
 ტალახში ფუყეში
 დილამდე ძალღები კამეჩებს უყეფენ
 კობიტზე მამალი კამეჩებს მიყვიის.
 ეი! დო ზორ შარა მოტობა დო მუხლი
 ეი! დო ბორანი კომბალი და სახრე
 ეი! დო ზორ შარა მოტობა დო თხომური
 ზომიური ზომიური.

აქ მოტანილი მაგალითებიდან პირველი ორი ლექსი ნიკოლოზ ჩა-
 ჩავას ეკუთვნის, ხოლო მესამე ლექსის ავტორი სიმონ ჩიქოვანია, ამ
 ლექსის სახელწოდებაა „მეკამეჩეების ურმული“.

ქართულ მწერლობაში ფუტურიზმმა როგორც ლიტერატურულმა
 სკოლამ თავისი კვალი უთუოდ დატოვა. კერძოდ, სიმონ ჩიქოვანის
 პოეზიაში ყველაზე ტიპურად აღიბეჭდა ფუტურიზმის „ზაუმიკური,
 ექსპერიმენტული ცდები, რეკონსტრუქტული, ორკესტრიული ლექ-
 სალობა“. 1936 წელს ს. ჩიქოვანი აცხადებდა: „ფორმალიზმით გატა-
 ცება „ცირა“, „ქარბორია“, „ხაბო“, „მეკამეჩეების ურმულა“ — ეს
 იყო ხალხური შელოცვების ლექსალური ფორმით გატაცება და საერ-
 თოდ ხალხური პოეზიის სტრუქტურის შეთვისება“ (შეადარეთ ს. ჩი-
 ქოვანის „ცირა“ (1925 წ.) და „ცირას პაემანი“ (1935 წ.).

ქართველმა ფუტურისტებმა თავიანთი პრეტენზია, რომ რევოლუ-
 ციური პოეზიის ყველაზე ჰუმანიტარული წარმომადგენლები ისინი არიან,
 უფრო მკაფიოდ განაცხადეს ჟურნალ „მემარცხენეობაში“. ეს ჟურნა-

ლი, ქართული ხელოვნების მემარცხენე ფრონტის ორგანო, გამოვიდა 1927 წლის აპრილში: „ხაზი, რომელიც ჩვენი ბეჭდვითი გამოსვლების პირველ დეკლარაციაში იყო აღნიშნული ჭკუფის პოზიციაა“. — ამ განცხადებას მოსდევდა სიმბოლისტების, მემარჯვენეებისა და პროლეტარული პოეტების კრიტიკა: „ისევ მობრუნდა სიმბოლისტური ლექსების სტრუქტურა... ლექსების ამ ყოვლად გაუმართლებელმა ტექნიკამ პროლეტარული პოეტები საგნებისადმი სიმბოლისტურ ხედვამდე მიიყვანა. ... ასე შერჩა პოეზია დეკადენტების ნისლს. ჩვენ გვინდა ვიგრძნოთ ახალი საზოგადოებრივი დგამი და საბჭოთა საქართველოს მასალებრივი სპეციფიკა. ჩვენ ვიბრძვით გემოვნების დიქტატურისათვის, რადგან ჩვენ ვართ დასრულებული და უკანასკნელი მიღწევა ქართული ხელოვნების“.

ძიების ამ გზაზე ქართველმა ფუტურისტებმა, კერძოდ, სიმონ ჩიქოვანმა თავის წინაპრად ნ. ბარათაშვილი გამოაცხადა. „ბარათაშვილის პიროვნებასთან დაბრუნებას კი არ მოვითხოვთ, არამედ, როგორც ბარათაშვილმა თავის ეპოქა დაიწყო, ისე ჩვენი ახალი ხანის მიერ შესაქმნელი პიროვნების ძებნაზე ვლაპარაკობთ“. ამას მოსდევდა სიმონ ჩიქოვანის ფუტურისტული ლექსი „მიძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილს“.

ქართველმა მემარცხენეებმა ფუტურისტების პოზიციები ყურნალ „მემარცხენეობაში“ (№ 2, 1928 წ.) ასე დაახასიათეს: „მემარცხენეობის ამ მეორე კრებულს უფრო თეორიულ-პროგრამული ხაზის გამართვა აქვს დასახული მიზნად, ვიდრე მხატვრული პროდუქციის გამოფენა“; და მართლაც, ყურნალის ამ ნომერში ეკითხულობთ: „ახალი ხელოვნების მასალა არის რეალური და არა გამოგონილი ფაქტი, ხოლო ამ ფაქტების კონსტრუქციისა და დალაგების სპეციფიურობა ბადებს მხატვრული ნივთის ღირებულებას, რომელიც ჩვენ გვესმის, როგორც ახალი, მანამდე არყოფილი კატეგორია“.

„ვაგრძელებთ ბრძოლას ცისფერი ყანწების“ წინააღმდეგ... ვერავინ გვეტყვის რა დანიშნულებას, რა გამართლებას ატარებს ეს დაუსრულებელი მელანქოლიის, ინტიმური ლირიკის, ეგზოტიკის, ღვიზის პროპაგანდის პოეზია“.

„ლიტერატურის ისტორიას არ ახსოვს, რომ პირველი გამოცემა ახლად ამოძრავებული ლიტერატურული დაჯგუფებისა, ისე უსიცოცხლო, უფერული და ყოველგვარ ინტერესს მოკლებული ყოფილიყოს, როგორც ეს „არიფიონმა“ მოგვცა“...

„ჩვენ ვაგრძელებთ ენერგიულ პოლემიკას პროლეტარულ მწერლობასთან... პროლეტარულმა მწერლობამ უნდა უარყოს ჯველი ლიტერატურული სკოლების გავლენის ყოველგვარი ვარიაცია (გმირული რეალიზმი, წარსულის მიღწევათა სინთეტური გამოყენება და სხვა“).

„ზაუმური ლექსი, როგორც შეგნებული პოეტური ხერხი, პირველად გამოიყენეს და შეიტანეს პოეზიაში ფუტურისტებმა. სიტყვის ქმედობის ეს ლაბორატორიული ხერხი კვლავ რჩება ჩვენს პრინციპად“...

„ახალი ფორმების კანონიზაცია, რომელიც დაწყებულია რუსეთში და სხვაგან, ჩვენში იქმნება მემარცხენე მწერლობის მიერ... სიმბოლისტური ლექსის ტრადიცია დღითიდღე კვდება“...

ამგვარად, უურნალი „მემარცხენეობა“ კვლავ ფუტურიზმის ერთგული მებაჯრე იყო. ფუტურისტების პარტიის სალიტერატურო პოლიტიკას ამახინჯებდნენ, და მიუხედავად მათი სუბიექტური სურვილებისა და პრეტენზიებისა, რომ ისინი არიან ერთადერთი რევოლუციური მიმდინარეობა მწერლობაში, თავიანთი თეორიული წერილებითა და მხატვრული პროდუქციით კვლავ რჩებოდნენ ძველებური ფუტურიზმის ტყვეობაში. ამიტომ სამართლიანად ებრძოდა ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობა მემარცხენეებს და მოითხოვდნენ მათგან ფუტურისტული იდეების უკუგდებას და უარყოფას; ამ მძაფრი ბრძოლის პროცესში ქართველი მემარცხენეებიც თანდათანობით ქართული მწერლობის საბჭოურ გზას ადგებოდნენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლების ლიტერატურული ჯგუფები: „აკადემიური ასოციაცია“, „ცისფერყანწელები“ და ფუტურისტები თავიანთი თემებით, მოტივებით, იდეებით არსებითად ქადაგებდნენ თეორიას — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და ხელს უშლიდნენ ჯანსაღი რეალისტური ლიტერატურის განვითარებას.



დეკადენტურ-ლიტერატურულ დაჯგუფებებს იმთავითვე დაუპირისპირდა ახალი საბჭოთა მწერლობისათვის მებრძოლი რეალისტური სკოლა. აქ უნდა მოვიხსენიოთ, ერთი მხრივ, ქართული მწერლობის ახალგაზრდა ძალები და, მეორე მხრივ, ძველი თაობიდან გამოსული მწერლები, რომელთაც კავშირი გაწყვიტეს ძველ ლიტერატურულ სკოლებთან და საბჭოთა მწერლობის გზას დაადგნენ.

საკმარისია გადავათვალიეროთ იმდროინდელი პროლეტარული მწერლობის სალიტერატურო ორგანოებში დაბეჭდილი მანიფესტები და დეკლარაციები და შევადაროთ ისინი სიმბოლისტების, „აკადემიური“ ჯგუფის, ფუტურისტების მანიფესტებსა და დეკლარაციებს, რომ მათ შორის აღმოვაჩინოთ არსებითი, ძირეული განსხვავება. დეკადენტური ლიტერატურული სკოლებისაგან განსხვავებით, პროლეტარული მწერ-

ლები მოითხოვენ და იცავენ რეალიზმის პრინციპს მწერლობაში; ამ მწერლობის მოწინავე ფრთა ასევე იცავს ძველი ლიტერატურული მე-
მკვიდრეობის კრიტიკული ათვისების საბჭოურ პრინციპს.

1921—1925 წლებში პროლეტარულ მწერალთა ჯგუფი რამდენიმე
სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთს სცემდა. ეს ჟურნალები,
მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ ყოფილან დაზღვეული „მემარცხენუ-
ლი“ ხასიათის შეცდომებისაგან, ცდილობდნენ დაეცვათ საბჭოთა მწერ-
ლობის პრინციპები. 1922 წელს გამოცემულ ჟურნალ „ქურის“ (პრო-
ლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამხატვრო-სალიტერატურო თვიური
ჟურნალი) მოწინავე წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული ლიტერატუ-
რის კლასობრივი ხასიათი და ბუნება. წამოყენებულია მოთხოვნა,
რომ თანამედროვე ჩვენი მწერლობა ემსახურებოდეს სოციალისტურ
მშენებლობას, პროლეტარიატის დიქტატურას. ჟურნალის რედაქცია
თავის ამოცანებს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „გადაისნიჭოს და გაირ-
ჩეს წინა ეპოქების ქართული პოეზიის შინაარსი და ფორმები, რომ ეს
ისტორიული განძეულობა ახალი ქართული პროლეტარული პოეზიის
ახალი ფორმების შესაქმნელად იქნას გამოყენებული, რომ წარსულის
ქართული პოეზიის იდეები, ახალი ახსნა-განმარტებით, ქართველი პრო-
ლეტარიატისათვის გამოსადეგი გახდეს. ერთი სიტყვით, „ქურა“ იქნება
პროლეტარული ლიტერატურული მხატვრული კრიტიკის და პოეზიის
ქართული სამკედლო“ (იხ. „ქურა“, № 1, 1922 წ.).

ჟურნალმა „ქურამ“ მეორე ნომერში უფრო ფართო დეკლარაციის
სახით ჩამოაყალიბა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პროგრამა.
ამ დეკლარაციაში ვკითხულობთ:

„საქართველოში ჩვენამდისაც არსებობდა... პროლეტარული რევო-
ლუციური ლიტერატურა იმდენად, რამდენადაც არსებობდა პროლე-
ტარიატის რევოლუციური მაჯისცემა პოლიტიკურ და ეკონომიურ
ბრძოლაში. მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურის აღიარების შემდეგ
და საბჭოთა წესწყობილების დამკვიდრების დღიდან, ჩვენში პროლე-
ტარული ლიტერატურა ყალიბდება ორგანიზაციულად და ფრთებს
შლის იდეურად ისე, როგორც პროლეტარული სხვა შემოქმედება საბ-
ჭოთა სისტემის სხვადასხვა სფეროში.

პროლეტარული ლიტერატურა ახალი და მასთან კლასიკური ხასია-
თის მოვლენა არის ჩვენს დროში. ის დაიბადა მუშათა კლასის ბრძო-
ლის პროცესში, მისი ზრდა და შემდეგი განვითარება დამოკიდებულია
ყველა იმ ისტორიული მსვლელობის აუცილებლობაზე, რომელსაც
კაცობრიობა გიგანტური ნაბიჯით მიჰყავს უმაღლეს საზოგადოებრივ
ფორმამდე — კომუნისმამდე.

ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ სუსტია სამრეწვე-

ლო პროლეტარიატი. იგი თითქმის დღეს იკიდებს ფეხს და ძლიერდება. რამდენად ეს უკანასკნელი ძლიერდება და შლის ფრთებს, სახელოსნოების და ამქრობის ადგილს იჭერს ფაბრიკა-ქარხნები თანამედროვე ტექნიკის მიღწევებით — იმდენად დიდია გავლენა ზემოჩამოთვლილისა პროლეტარულ პოეტებზე და მწერლებზე და პროლეტარული ლიტერატურაც ძლიერია.

ჩვენც ვცდილობთ, რომ მას არ ჩამოვრჩეთ, აღარ არის წარსულისაკენ ცქერის დრო, საქართველოს დღეს ახალი მზე უნათებს თავისი ცხოველმყოფელი სხივებით. დეე, სულით დაცემულგმა იტირონ თავიანთი სიუძლოურე და სიბეჩავე. დღეს ორთქლისა და ელექტრონის ბატონობაა. მათი ძალით კაცობრიობა უნდა მისწვდეს ბუნების საიდუმლოებას; ხმელეთზე ეტლების მაგივრად მიქრიან ორთქლმავლები; ზღვა-ოკეანეებში მიმოცურავენ მთის ოდენა გემები, მთებში გაჰყავთ რკინიგზები, საქართველოც ელის ამ მეოცე საუკუნის კულტურის სხივებს.

დაკორძებული ხელები უცდიან ამუშავენას. ცხოვრების წინ გაქანება შობს ახალ იდეებს და აზრებს, ახალი აზრები კი ახალ დაბეჭდილ სიტყვებს, ეს უკანასკნელი კი ახალ სტილს და ფორმებს. და, აი, ამ პროცესშია დღეს პროლეტარული ლიტერატურა.

თანამედროვე საქართველოს მწერლობა თავისი დეკადანსით, რომლიდან ლოგიკურად გამომდინარეობს: ფუტურისში, სიმბოლისში (ჩვენებური „ყანწელები“) და სხვა მიმართულებები, მაჩვენებელია უსათუოდ არსებული საზოგადოების დაშლის და ჩვენ ვუცქერით მას, როგორც მიუღებელ ფორმას მუშათა კლასისათვის. ამ მიმდინარეობათა იდეოლოგია დაფუძნებულია უკიდურეს ინდივიდუალიზმისა და საზოგადოებრივი იდეალის მიჩქმალვაზე და მტრულად განწყობილია პროლეტარიატის კოლექტიურ შემოქმედებისა და შეგნებისადმი.

ჩვენ ვთვლით, რომ ყველა ზემოჩამოთვლილ ლიტერატურულ-მხატვრული მიმდინარეობანი არ შეიძლება საფუძვლად დაედვას პროლეტარულ-მხატვრულ შემოქმედებას, რადგან პროლეტარული ლიტერატურა, როგორც იდეოლოგიურ-კლასობრივი მოვლენა, ისტორიულ მსვლელობაში ღებულობს საერთო-საკაცობრიო ხასიათს როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ.

ის მიდის ახალი ფორმების და მეთოდების შექმნის გზით და ცდილობს გამოიყენოს ყველა ის მიღწევანი, რომლებიც კი არსებობენ თანამედროვე ბურჟუაზიულ ლიტერატურაში.

ბურჟუაზიულმა ლიტერატურამ, მწერლობამ რამდენიმე „სკოლა“ განვლო, ხოლო პროლეტარული ლიტერატურა, მწერლობა თავის საკუთარ სკოლას ახლა ჰქმნის. იგი ძიებაშია.

საზოგადოებრივი ცხოვრება იწვევს ახალ ფორმებს მწერლობაში;

მხატვრის მასალა: სიტყვა, ბგერა, სახეები, ფერები და მუსიკალობა ჩვენ მხოლოდ მხატვრული აზრის და იდეის გამოსახატავ საშუალებად მიგვაჩნია.

ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უარვეყოფთ მწერლობაში იმ აზრსაც, ვითომ შესაძლებელი იყოს და არსებობდეს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, „ხელოვნება ცხოვრების გარეშე ფიქციაა და ვინც ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს, ის ჭკუის გარეშე სდგას.

ყველა ჩვენს ამხანაგებს, პროლეტარულ პოეტებს და მწერლებს სრული თავისუფლებით შეუძლიათ შემოქმედების მეთოდები და ფორმები გამოიხატონ, რაც უსათუოდ მისაღები იქნება პროლეტარული მოზარდ ლიტერატურისათვის.

ჩვენი ლოზუნგებია: 1. გამოყენება იმ მიღწევათა, რომელიც კი არსებობდა წარსულსა და თანამედროვე ქართულ თუ უცხოელთა ლიტერატურაში.

2. ჩარევა და ჩაბმა ქართულ პროლეტარულ მწერლებთან ერთად პოეტურ შემოქმედებით პროცესში ქართველი მუშებისა, რომ კოლექტიური ძალდონით შეიქმნას პროლეტარული ლიტერატურისათვის ახალი მეთოდები, ფორმები და სტილი.

3. მიეცეს ქართველ მკითხველებს ნიმუშები მხატვრული ლიტერატურის ყველა დარგებიდან — ლირიკის, ბელეტრისტიკის და დრამის როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი.

ჩვენ, პროლეტარული პოეტები და მწერლები დარწმუნებული ვართ და. ამავე დროს, საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ პროლეტარული მხატვრული ლიტერატურა განსაკუთრებით ჩვენში, ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, არც ფორმით და სტილით არ არის სრულქმნილი. მაგრამ ჩვენ ვამტკიცებთ მაინც ერთს: რომ ის არის მართლაც ნამდვილი მხატვრული ლიტერატურა, რომელიც დასაწყისს პოულობს გარდამავალ დროში და, რომელსაც ძალუძს განვითარდეს და დაიპყროს სულიერი კულტურის მწვერვალები“ (ყურნალი „ქურა“, № 2, 1922 წ.).

1921 წლის 17 დეკემბერს შეიქმნა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია. მას სათავეში ედგნენ რ. კალაძე, ს. თოდრაია, ს. ეული, ი. ვაკელი, პ. სამსონიძე, ი. ლისაშვილი, ნ. ზომლეთელი. მართალია, ეს ჯგუფი მხატვრულად სუსტი იყო, მაგრამ თავის იდეური პრინციპებით მტკიცედ იდგა საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე და ეწეოდა აქტიურ ბრძოლას იმ დროის დეკადენტური ლიტერატურული სკოლების წინააღმდეგ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მთავარი ყურნალი, როგორც ვთქვით, იყო „ქურა“ (რედაქტორები: ს. თოდრაია, ს. ეული, რ. კალაძე). ამ ყურნალს წინ უსწრებდა სატირული ორგანო ასოციაციისა „ყუმბარა“ (1921 წლის პირველი აგვისტო).

„ქურას“ სულ ორი ნომერი გამოვიდა (1922 წლის მარტი და აგვის-

ტო); ყურნალის ფურცლებზე, გარდა ზემოთ დასახელებული მწერლების ნაწარმოებებისა, უხვად იყო წარმოდგენილი ფაბრიკა-ქარხნებისა და მაღაროების მუშათა ლექსები და მოთხრობები. ამ მუშა-მწერლებიდან, შემდეგ თითო-ოროლა სახელი შერჩა ლიტერატურას, მაგრამ საინტერესოა თავისთავად ის ფაქტი, რომ მწერლობაში შემოვიდნენ მშრომელი ხალხის წარმომადგენლები, რომელთაც თავიანთ ხორკლიან, გაურანდავ სტრიქონებს იმდენი გულწრფელობა და უშუალობა ჩაატანეს, რომ ეს ლექსი სავსე იყო ახალი ცხოვრების რომანტიკით და რწმენით. ამ მუშა-პოეტების ლექსებს ეტყობა ირ. ევდოშვილის, ნ. ჩხიკვაძის, გ. ქუჩიშვილის პოეზიის დიდი და პირდაპირი გავლენა. ამას გარდა, ყურნალში დაბეჭდილია რ. კალაძის, ა. ბოგდანოვისა და სხვათა კრიტიკული წერილები. აქვე ქვეყნდებოდა რუსი და სხვა მოძვე ხალხების მწერალთა ნაწარმოებების თარგმანები.

„კველა პროვინციელ ახალგაზრდა პროლეტარულ ლიტერატორებს (პოეტებს და მწერლებს) საქართველოს ახალგაზრდა პროლეტარულ ლიტერატორთა გაერთიანების (ყურნალ „მომავლის“ ლიტერატურული ჯგუფი) გამგეობა ამით გაცნობებთ, რათა ადგილობრივი ახალგაზრდა პროლეტარულ-ლიტერატურული ძალები ორგანიზაციულად გაერთიანდეთ (ქალაქის, დაბის ფარგლებში) და გვაცნობოთ თქვენი ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა, ვინაობა. ვიმედოვნებთ, ჩვენს მოწოდებას ერთ კვირაზე გამოეხმაურებით და თქვენი პრაქტიკული, ესთეტიკური შემოქმედება იქნება მისი გამართლება“.

ამ მიმართვას ხელს აწერდა პოეტი ალიო მაშაშვილი. უნდა ითქვას, რომ პროლეტარულ ლიტერატორთა გაერთიანების გაბეგობამ ახალგაზრდა ლიტერატორთა ძალების გამოვლინების საქმეში გარკვეული როლი შეასრულა. სწორედ კომკავშირული ყურნალ-გაზეთების მეოხებით მოხერხდა ჩვენი ახალგაზრდა ლიტერატურული თაობის განმტკიცება, მისი გაზრდა და განვითარება.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას მტკიცე ნიადაგი შეუქმნა ამ ახალმა თაობამ, საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბებულმა პროლეტარული მწერლობის თაობამ.

ახალი თაობის შესანიშნავი პოეტი მირცხულავა-მაშაშვილი გაზეთ „სპარტაკის“ ფურცლებზე დაბეჭდილ ლექსში ამბობდა:

ცხოვრების შვილნო, დღეს აბოზოქრდა
ვარსკვლავთა კერა, დღემდის, ჩამქრალი,
დღეს ჩვენი მკლავი წმენდს ბოროტებას,
ბრძოლის წილში ეღვარებს ქნარი.

ახალგაზრდა პოეტი მთელი გატაცებით შესტრფის ახალ დროს, საბჭოთა ეპოქას, ოქტომბრის დროშას. მასში ხელდას ჩვენი ცხოვრების

განახლების საწინდარს, მას უკავშირებს ჩვენი ქვეყნის მომავალს, ბენიერ აწმყოს.

1923 წელს საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანება — „მომავალი“. ამ ჯგუფს სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა პოეტი ალიო მაშაშვილი. ჯგუფში შედიოდნენ: კარლო კალაძე, შალვა რადიანი, პ. ქიქოძე, ე. ზედგინიძე. ეს მწერლები სისტემატურად იბეჭდებოდნენ გაზეთ „სპარტაკსა“ და ჟურნალ „მომავალში“. 1923 წლის ნოემბერში, ასევე საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ქუთაისის საქალაქო განყოფილებაში გაერთიანდნენ ახალგაზრდა მწერლები: ბენიეტო ბუაჩიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, დავით რონდელი, გიორგი მდივანი, მათ გამოსცეს ალმანახი „დინამიტები“.

1924 წელს თბილისელ ახალგაზრდა მწერლების ჯგუფს უერთდებოდა ქუთაისიდან გადმოსული „დინამიტის“ ჯგუფი და იქმნება კომკავშირულ-ახალგაზრდული მწერლების ძლიერი ბირთვი, რომელიც უკვე დიდ გავლენას ახდენდა ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების მთელს პროცესზე. პროლეტარულ მწერალთა უმრავლესობა კომუნისტური პარტიის წევრები და კომკავშირელები იყვნენ — სისხლხორცეულად დაკავშირებული საბჭოთა საქართველოსთან და თავდადებული მებრძოლნი მისი გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის. ახლა პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია ორ თაობას აერთიანებდა. პირველ თაობას ეკუთვნოდნენ: ს. თოდრაია, ს. ეული, რ. კალაძე, ი. ლისაშვილი, ნ. ზომლეთელი, ი. ვაკელი და სხვ.; მეორეს — კომკავშირული ახალგაზრდობა — ალიო მაშაშვილი, კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, პ. ჩხიკვაძე, ბ. ბუაჩიძე, პ. ქიქოძე, შ. რადიანი, შ. დუდუჩავა.

პროლეტარულ მწერლობაში, უკვე ოციანი წლების დასაწყისშივე დაიწყო ბრძოლა ფორმის სრულყოფისათვის, განსაკუთრებით ახალი თაობის მწერალთა შორის მწვავედ დადგა მხატვრული ფორმის, გამოსახულებათა საშუალებების ძიების პრობლემა.

რთულ იდეოლოგიურ ვითარებაში დეკადენტური დაჯგუფებების წინააღმდეგ შეუირიგებელ ბრძოლას ეწეოდა პროლეტარული მწერლობის ლიტერატურული ფრონტი, რომლის რიგებში იყვნენ ცნობილი მარქსისტ-ლიტერატორები: — შ. დუდუჩავა, ბ. ბუაჩიძე, შ. რადიანი, გრ. მუშიშვილი, ვ. ბახტაძე, ა. სულავა და სხვანი, მიუხედავად მათ ნაწარმოებებში დაშვებული ზოგიერთი ვულგარიზატორული, რაპსული შეცდომებისა, ეს ჯგუფი იბრძოდა პროლეტარული მწერლობის გამარჯვებისათვის.

1923 წლის აგვისტოში საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ გამოსცა ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო გაზეთი „ორიონი“. ამ გაზეთის მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა. მის

მეორე ნომერში დაიბეჭდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის წესდების პროექტი; მასში აღნიშნული იყო:

„კავშირის მიზანს შეადგენს პროლეტარიატის ლიტერატურულ-შემოქმედებით ძალთა თავის მოყრით მათი კლასობრივი იდეოლოგიის ყოველმხრივი ჩამოყალიბება, პროლეტარული ლიტერატურის აღორძინება და დაცვა მათი ეკონომიკური და უფლებრივი ინტერესებისა. მთელი მუშაობა კავშირისა უნდა იყოს შეფარდებული საქართველოს კომპარტიისა და მესამე კომინტერნის მოქმედებასთან“. ასე იწყებოდა წესდების პროექტი; შემდეგ დაწვრილებით ჩამოთვლილი იყო კავშირის წევრთა უფლება-მოვალეობანი და ამოცანები... ამავე ხანებში გამოვიდა „ქარხნის ჰანგები“ — ქართველ პროლეტარულ მწერალთა კოლექტივის კვირეული ლიტერატურული გაზეთი. მოწინავე წერილი — „ჩვენი სიტყვა“ ეკუთვნის შ. დუდუჩავას. იგი წერს:

„პოეზიის მოტივებს სინამდვილე წარმოშობს. სინამდვილის კლასიური შეგნება ქმნის მხოლოდ კლასიური მოტივების შესაძლებლობას. კლასიური მოტივებით შემორკალულია თანამედროვე პოეზია — იყვეს ის მისტიკური თუ რაციონალისტურ-რეალისტური. ამ რკალის გახსნა იმ მოქმედებას შეუძლია, რომლის ჰანგები მთლიანი სინამდვილის ესთეტიკური ათვისებაა; ამიტომაც ქარხნის ჰანგები მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარული პოეზიის საკუთრებაა: პროლეტარული პოეზია ახალი ქვეყნის და ახალი განთიადის საყვირია, ნაჯრამ ის, იმავე დროს, თანამედროვე ბურჟუაზიული წყობილების განადგურების მოციქულიცაა. „ქარხნის ჰანგები“ განახლებული პროლეტარული საქართველოს ესთეტიკური სამრეკლოა. ის იმიჯნება ფუტურისმისაგან, რადგან მას შესაძლებლად და თან აუცილებლად საჭიროდ მიაჩნია ძველ ესთეტიკურ ღირებულებათა გამოყენება. პროლეტარული პოეზია შორსაა სიმბოლისტური მიმართულებისაგანაც. „ქარხნის ჰანგებმა“ თავის გამართული ფრონტით უნდა გალუნოს და პრინციპიალურად წარსულის არქივში გადაისროლოს ბნელი მისტიციზმისა და შავი ბინძური პოლიტიკის „პოეზია“, რომელიც დასტირის პარლამენტარულ საქართველოს გაციებულ გვამს და რომლის ტრაური უკბილო პროტესტია განახლებული მუშური საქართველოს წინააღმდეგ“...

როგორც ხედავთ, აქ არის პარტიული პოზიციებიდან მოცემული შეფასება მოვლენებისა, საერთოდ ლიტერატურული ცხოვრების, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ავტორი ალაგ-ალაგ რაღაც კასტური განკერძოების ტენდენციასაც ამჟღავნებს: ახალი თემატიკა „მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარული პოეზიის საკუთრებაა“, აცხადებს. ეს მოწმობს, რომ იგი თავისუფალი არ არის უხეში ვულგარულ-სოციოლოგიური იდეების გავლენისაგან.

1921 წელს საქართველოს სსრ განათლების კომისარიატთან შეიქმნა

სპეციალური სახელოვნო კომიტეტი, რომელსაც დაევა სახელმწიფოებრივი მზრუნველობა გაეწია ქართული კულტურის, ხელოვნებისა და მწერლობისადმი. ამ დარგების ოპერატიულად წარმართვის მიზნით დაარსდა ორკვირეული „სახელოვნო-საინფორმაციო ჟურნალი“. ჟურნალი იხსნებოდა მოწოდებით — „განახლებისათვის“; მასში ვკითხულობთ:

„ამ სოციალური გარდაქმნის ხანაში იწყება ყოველგვარი კატეგორიის ღირებულებათა გადაფასება. ახალი ცხოვრების გამოქედვის გზა ცეცხლის ენერგიითაა გარშემორტყმული. საფუძვლებამდის ინგრევა ძველი შენობა და ახალის მიდგომით, ახალის გაგებით და მეთოდით უნდა აშენდეს უკვდავი სასახლე.“

შეიძლება ამ საერთო გარდაქმნის ქაშს, ბევრი ისეთი რამ მოჰყვეს ნანგრევებს ქვეშ, რაც ძვირფასი იქნებოდა მომავალი კაცობრიობისათვის, მაგრამ უღმობელია კანონები რევოლუციისა და როცა მთელი სასახლე ზანზარებს, ლამაზ ჩუქურთმასზე აღარ ფიქრობენ... პროლეტარიატს დიდი სიფრთხილე და გამჭრიახობა მართებს... მან მთელი მემკვიდრეობა უნდა ჩაიგდოს ხელში, რომ შემდეგ, ვით ერთადერთმა პატრონმა, გადაახალისოს იგი და მოაშოროს, აღმოფხვრას რაც ზედმეტია, რაც გახრწნილია და უარსაყოფი... არ შეიძლება ახლავე არ ვიზრუნოთ ამ სიმდიდრეთა შენარჩუნება-გადარჩენაზე. ამიტომ ხელოვნებას შემთხვევითი ჭკუფის ხელში ვერ დავტოვებთ, მართო სახელმწიფო მასშტაბით შეიძლება მასზე ზრუნვა, მისი დაცვა... ყველა, ვისაც უნდა მომავალი მდიდარი იყოს სულიერი კულტურით, მოვიდეს და დაეხმაროს სახელმწიფოს ამ დიდსა და ლამაზ საქმეში“.

ქართველი ინტელიგენცია აქტიურად გამოეხმაურა ამ მოწოდებას. ასე დაიწყო საბჭოთა საქართველოში სახელმწიფოებრივი ზრუნვა და ხელმძღვანელობა სულიერი კულტურის ყოველი დარგისადმი. ამ საქმეში ქართული მწერლობა ფართოდ ჩაება. განათლების კომისარიატის ამ ოფიციალურ იბეჭდებოდა კ. გამსახურდიას, ი. გრიშაშვილის, შ. დადიანის, ვახ. კოტეტიშვილის, ნ. მიწიშვილის, მარიჯანის, ვ. რუხაძისა და სხვათა მხატვრული ნაწარმოებები და წერილები.

საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა ჟურნალმა „ხელოვნების დროშამ“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1924 წლის ივნისში. ჟურნალის პირველი ნომერი იხსნება მოკლე სარედაქციო წერილით, რომელშიც ნათქვამია: „ჟურნალის მიზანია ემსახუროს იმ საკითხების გარკვევას, რომელსაც უყენებს დღევანდელი დღე ქართულ ხელოვნებას, განურჩევლად დარგებისა და მიმართულებებისა“...

მეორე ნომერში დაბეჭდილია დეკლარაცია, რომელშიც უფრო ზუსტად არის განსაზღვრული ჟურნალის პოზიცია და მიმართულება:

„ჩვენ არ გვწამს და ვერ ვიწამებთ „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“... ეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ფანდია მშრომელი ხალხის თვალის ასახვევად... ჩვენ არ გვწამს და არც ვიწამებთ „ხელოვნების ზეკლასიურობას“. ჩვენ ეცხოვრობთ პროლეტარული დიქტატურის ხანაში, პროლეტარიატს, როგორც კლასს, ხელში უპყრია დღეს სახელმწიფოს მმართველობის საჭე. ხელოვნებაც, როგორც ერთი საუკეთესო იარაღთაგანი, ახალი საზოგადოების ცხოვრების შესაქმნელად პროლეტარიატს ესაქიროება“... ჟურნალში იბეჭდებოდა შ. დუდუჩავას, ივ. გომართელის, თ. ვახუჩიშვილის, ტ. ტაბიძის, ა. ვასაძის, აკ. ფალავას, დ. არაყიშვილის, იოსებ იმედაშვილის ი. გედევანიშვილის წერილები, გ. ქუჩიშვილის, ს. ეულის, ი. ვაკელის, პ. სამსონაძის, ტ. გრანელის, პ. აბრამიას, ვ. გაფრინდაშვილის, ს. ფაშალიშვილის, მარიჭანის და სხვათა ლექსები.

ჟურნალის მესამე ნომრის გარეკანზე მოთავსებულია ეგნატე ნინოშვილის პორტრეტი, ხოლო ე. ნინოშვილისადმი მიძღვნილ წერილში ვკითხულობთ: „ე. ნინოშვილი იყო წინამორბედი მთელი ჩვენი მუშათა მოძრაობის, ის იყო „მესამე დასის“ სულისჩამდგმელი, ინიციატორი, ორგანიზატორი, ნამდვილი ბელადი“.

„ხელოვნების დროშის“ მეოთხე ნომერში დაბეჭდილია გ. ქუჩიშვილის ლექსი „ოდა მშრომელ ხალხს“, „მეხუთეში — ლექსი „ჩვენი გულისთქმა“. მასში აღნიშნულია:

ჩვენ გვიყვარს

შავი მუშათა ქარი

რევოლუციის ღარაჯად

მღვარი,

მას უმღერს

ჩვენი ფოლადის ქნარი,

მისებრ მდგარი,

შეუპოვარი.

ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულია ს. ეულის „ოქტომბრის მარში“ და იონა ვაკელის „25 ოქტომბერი“. ჟურნალის მეექვსე ნომერში, ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალების გამო, დაბეჭდილია ი. გედევანიშვილის, დ. არაყიშვილის და ნ. ლორთქიფანიძის წერილები; აქვეა დაბეჭდილი ტ. გრანელის ლექსი „ვანო სარაჯიშვილს“:

დაეშვა ფარდა, დაბნელდა სცენა,

შეწყდა შრიალი და მისტერია,

ვანო! ასრულდა შენი სიმღერა:

„თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“

და ახლა ირგვლივ გლოვის წამია,

წამია გლოვის, ცრემლების გარდა.

ქართულ სცენაზე მძიმე დამეა,

ქართული სცენა დამგლოვიარდა.

შენ გადაფრინდი სინათლის იქით,

რომ მხოლოდ ნისლი იყოს კარავი

და გვირგვინების მწუხარე რიგი

ახლა შენს მაღალ კუბოს ფარავენ...

დღეს აღარა ხარ, ძვირფასო, მაგრამ

ჩვენთან ელვარებს შენი ნათელი,

სამწუხაროა, რომ ასე გაქრა,

შენი ხმა: ცეცხლი და ჟრუანტელი.

დაეშვა ფარდა, დაბნელდა სცენა,

თვალები მაინც შენ გიციქერია.

ვანო! ასრულდა შენი სიმღერა:

„თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“.

ტერენტი გრანელმა ერთბაშად გაიელვა თავისი საოცარი უძირო

სევდიანი ლექსებით და პოეტური ტალანტით, მაგრამ ბედმა უმუხთლა...
ეს ნაზი პოეტი, ბუნებით სუსტი არსება ქარიშხლიანმა ბედმა სულიერა-
დაც გატეხა და მერე ფიზიკურადაც გამოიყვანა წყობიდან.

* * *

1925 წლის მარტში „სახელგამმა“ გამოსცა ალმანახი „პროლემაფი“
(პროლეტარული მწერლობის ახალი ფრონტი). როგორც უკვე სახელ-
წოდებიდან ჩანს, იგი იყო რაღაც სიახლის მაუწყებელი. ალმანახის
წინასიტყვაობა ასე იწყებოდა:

„რევოლუციური თანადროულობის განსაკუთრებული პირობები,
პროლეტარული მწერლობიდან ითხოვს განსაკუთრებულ მისვლას მიმ-
დინარე ყოფასთან. დღემდის არსებულმა პროლეტარულმა მწერლობამ
ვერ შეძლო რევოლუციური თანამედროვეობის ალღოს შენარჩუნება,
გამოუვალად მოექცნენ მოპირდაპირე კლასების ფორმალურ სკოლათა
უშუალო გავლენის ქვეშ, დაკარგეს ბრძოლის უნარი რევოლუციის
იდეოლოგიურ მონაპოვართა დასაცავად, რევოლუციის პოეზია გაიგეს
როგორც ბუკის ტრაფარეტი... კოსმიურ საკითხებზე გაყინვით, რიტო-
რიული პლაკატით, ყალბი პათოსით და კაბინეტური ხედვით პროლეტა-
რულ პოეზიის რევოლუციური ღირებულება დასცეს. თუმცა რევოლუ-
ციის პირველ დღეებში მიუძღვით დამსახურება... ქეშმარიტი და ძლი-
ერი ხელოვნება უნდა განვითარდეს, ეს იქნება იდეოლოგიური ორგა-
ნიზატორი მასებისა... ხელოვნება მასებზე ზეგავლენის და აღზრდის
საშუალებაა, ამიტომ საჭიროა გადასვლა რიტორიულ პლაკატის აგი-
ტაციიდან (რომლიც ვერ აკმაყოფილებს მასებს) ღრმა ფსიქოლოგიურ
პროპაგანდაზე“.

ამ სარედაქციო წერილს ხელს აწერდნენ კარლო კალაძე, კონსტანტინე
ლორთქიფანიძე, კალე ფეოდოსიშვილი, ბენიტო ბუაჩიძე, ვ. ბესოშვი-
ლი, ელიზბარ გუგუნივა, გ. მდივანი, თამარ ჩქარეული, დავით რონ-
დელი, შალვა რადიანი, პლატონ ქიქოძე.

„პროლემაფის“ მხატვრული განყოფილება საკმაოდ მდიდარი იყო;
კრიტიკის განყოფილებაში გამოქვეყნებული იყო შ. რადიანის, დ. რონ-
დელის, ბ. ბუაჩიძის წერილები; „პროლემაფის“ კრიტიკოსები ებრძოდ-
ნენ დეკადენტურ სკოლებს, დეკადენტურ განწყობილებებს, რომლე-
ბიც ჭერ ისევ ხშირად გვხვდებოდა იმ დროის მწერლობაში.

ამავე დროს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ „პროლემაფს“ აშკა-
რად ემჩნეოდა რაპპული „მემარცხენეობის“ მავნე ტენდენციები.
„პროლემაფიდან“ იწყება ქართული ხელოვნების ოქტომბერი, პროლე-
ტარიატის ყოფა-ცხოვრებისა და აღმშენებლობის მხატვრული ასახ-
ვაო“, აღნიშნული იყო ამ ალმანახის ფურცლებზე; ალმანახის ავტორთა

მემარცხენული შეცდომები მაშინვე გააკრიტიკეს ჩვენს პარტიულ პრესაში (გაზ. „კომუნისტი“, ჟურნალი „დროშა“). ამ შეცდომების მიუხედავად, ახალგაზრდების ფრონტი, მათი თავდადებული ბრძოლა პროლეტარული მწერლობის მხატვრულ გამომსახველობათა გამდიდრებისათვის, სრულიად კანონზომიერი მოვლენა იყო და თვით მათ, ამ ახალგაზრდებმა (ა. მაშაშვილმა, კ. ლორთქიფანიძემ, კ. კალაძემ და სხვებმა) ბევრი რამ გააკეთეს ქართული საბჭოთა მწერლობის აღმავლობისათვის.

1925 წლის მიწურულში გამოვიდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო ორგანო „მერცხალი“ (№ 1, 2; 1925 წლის დეკემბერი, 1926 წლის იანვარი); ჟურნალს ხელს აწერდა სარედაქციო კოლეგია: ალიო მაშაშვილი, ნოე ზომლეთელი, ბენიკო ბუაჩიძე, დავით რონდელი. პირველი ნომერი იხსნება წერილით „წინასიტყვა“, სადაც ჩამოყალიბებულია ჟურნალის პოზიცია და მიმართულება. ჟურნალი აღნიშნავს, რომ იგი მტკიცედ დაიცავს მწერლობის პარტიულობის, კლასობრიობის პრინციპს; ამ პოზიციებიდან აკრიტიკებს იგი ფუტურისტებსა და ყანწელებს.

ამ ჟურნალის სულ ოთხი ნომერი გამოვიდა. ეს იყო მებრძოლი ორგანო, პროლეტარული მწერლობის ახალგაზრდა კადრების ზრდისა და დაოსტატების მაჩვენებელი, ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯი საბჭოთა მწერლობისათვის ბრძოლაში. აქ დაბეჭდილი ლექსები, მოთხრობები, კრიტიკული წერილები აქტიურად ეხმარებოდა ჩვენს დროს, საბჭოთა ეპოქას. ამ ჟურნალის მესამე ნომერში დაბეჭდილი ბიბლიოგრაფიული წერილი მიძღვნილია „მნათობის“ მეოცე ნომრის გამოსვლისადმი. მასში ლაპარაკია როგორც „მნათობის“ როლზე მთლიანად, ასევე მასში დაბეჭდილ ცალკეულ ნაწარმოებებზე, კერძოდ, ხსენებულ წერილში ნათქვამია: „ჟურნალი „მნათობი“ განსაზღვრულ ლიტერატურულ დაჯგუფებას, ლიტერატურულ სკოლას არ ქმნის. მასში თავისუფლად თანამშრომლობენ სხვადასხვა მიმართულებანი. ეს არის რევოლუციის მიღების მიმართულება, რომელიც სხვადასხვა მხატვრული იდეის კოორდინაციას იძლევა.“

გამარჯვებული რევოლუცია, სოციალურ-ეკონომიურ კლასთა ურთიერთობაში მომხდარი გარდაქმნა მწერლობის ხვეულებშიც გახმაურდა. აქაც შეირყა დამკვიდრებული ტრადიცია. მწერლობა ცდილობს ასახოს მომხდარი ტკივილები და ცხოვრების დაუდგარი დინება უძრავ პორტრეტებად გამოაქანდაკოს. ბევრმა ძველი იდეებით დატენილმა ლიტერატურულმა დაჯგუფებამ მიიღო რევოლუცია. რევოლუციის თანამგზავრთა რკალში მოექცა“. ამის შემდეგ განხილულია

„მწათობში“ დაბეჭდილი გ. ტაბიძის, მ. ჯავახიშვილის, ალ. მაშაშვილის, კ. კალაძის და სხვათა ნაწარმოებები. კერძოდ, მიხ. ჯავახიშვილზე ნათქვამია: „ქართულ ორიგინალურ პროზაში საყურადღებოა მიხ. ჯავახიშვილის მოთხრობა „თეთრი საყელო“; მოთხრობის სიუჟეტი ჩვეულებრივია, მაგრამ აქ არის ორი პოლარული კულტურის მატარებელ პიროვნებათა დაპირისპირება. ქართველი ინტელიგენტის კვლავ გაცოცხლება შესაძლებელია, თუ ის არქაულ ყოფას — დაბალ მასას შეუერთდება. ალაგ-ალაგ მოთხრობაში არის „ჩაყოს ხიზნების“ ურთიერთობის განმეორება“ (ყურ. „მერცხალი“, № 3, მარტი, 1926 წ.).

1925 წელს საქართველოს პროლეტარული მწერლობის ასოციაციამ გამოსცა კიდევ ერთი ჟურნალი — „ლიანდაგი“, ლიტერატურული ორგანო (ოქტომბერი, № 1, 1925 წ.). ამ ჟურნალის ორი ნომერი გამოვიდა; ჟურნალში დაიბეჭდა: ნ. ზომლეთელის, ფრ. ნაროუშვილის, კ. ბობოხიძის, ბ. პატარაიას, ალ. სულავას, იასამანის, სეზმან ერთაწმინდელის, ელ. ხოშტარიას, ი. ლისაშვილის, არ. ბურდილაძე-ონელის, პ. ლომიას, მ. გოგიაშვილის ლექსები; არჩილ ჩაჩიბაიას, ვ. მალაქიაშვილის, დ. ნინოწმინდელის, შ. ჯანბერიძის მოთხრობები; მუშა მგოსნების — მ. ნავთლულელის, ს. ხიდისთაველის, გ. შინატეხელის ლექსები, აკაკი გაწერელიას წერილები.

1925 წლის მაისში გამოუშვეს ორთვიური სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი „ეპოქა“ (გამოცემა სსსრ პროლეტკულტისა). სარედაქციო წერილში — „ჩვენი ჟურნალი“ ვკითხულობთ: „ჩვენი ჟურნალის ამოცანას ორი მომენტი განსაზღვრავს: ორგანიზაციულის თვალსაზრისით „ეპოქის“ მიზანია შემოიკრიბოს თავის ირგვლივ პროლეტარული პოეტები, გააჩალოს მათ შორის შემოქმედებითი მუშაობა, დარაზმოს მუშა მწერლები და მათ შემოქმედებით ინიციატივას ფართო ასპარეზი მისცეს — გაშლისა და გაფართოებისათვის. იდეურ სფეროში ჩვენი ჟურნალი შეეცდება გახდეს ნამდვილი ტრიბუნი პროლეტარული კულტურისა და პროლეტარული ხელოვნებისა... „ეპოქა“ შეეცდება გახდეს ნამდვილი სარკე ახალი ეპოქისა და ახალი ქვეყნის“. ჟურნალში დაიბეჭდა: იონა ვაკელის, პ. სამსონიძის, დ. კობიძის, ინასარის, დ. ციციშვილის, ი. გედევანიშვილის, მოსე თოიძის, შ. მშველიძის ლექსები და წერილები.

ქართული საბჭოთა მწერლობის იდეური და მხატვრული აღმავლობისათვის თავდადებით იბრძოდა ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“ (1927—1932 წწ.). ამ ჟურნალის 1927 წლის (№ 9—10) სარედაქციო წერილში — „ოქტომბრის ათი წელი“ ვკითხულობთ:

„პროლეტარული მწერლობის განვითარების გზები ორგანიულ კავშირში მიიმართებოდა ოქტომბრის რევოლუციის მსვლელობის საფეხურებთან...

პროლეტარული მწერლობის პირველი პერიოდი, საკავშირო მასშტაბით ისაზღვრებოდა ოქტომბრის გადატრიალებს დღეების სტიქიური მოვლენების პლანეტარული განყენებული ათვისებით, სააგიტაციო მოწოდებითი ლირიკის განსაკუთრებული თვისებით.

მეორე ხანა პროლეტარული მწერლობის განვითარებაში დაიწყო მშვიდობიან სოციალისტურ აღმშენებლობაში გადასვლის შემდეგ. ეს პერიოდი ხასიათდება პროლეტარული მწერლობის განსაკუთრებული გაძლიერებით, რადენობრივი და თვისობრივი ზრდის ფაქტით. ამ პერიოდიდან შემოქმედებით მასალაში შევიდა ახალი ყოფის მშენებლობის მოვლენები. გაღრმავდა თანამედროვე მებრძოლი ადამიანის კონკრეტული და აქტიური ლირიკა და საერთოდ ახალი ყოფა-ცხოვრების ჩამოყალიბების და გმირული განწყობილების მხატვრული ჩვენება“.

ეს ჟურნალი მართლაც იბრძოდა მაღალიდგური და მაღალმხატვრული მწერლობისათვის, მაგრამ მეტისმეტად ტენდენციურად ეკიდებოდა ძველი თაობის ცნობილ ოსტატებს, იმავე მიხილ ჭავახიშვილსა და ლ. ქიაჩელს, ი. გრიშაშვილსა და ალ. აბაშელს... რასაკვირველია, რომანების — „ჯაყოს ხიზნებისა“ და „სისხლის“ ავტორები „გაუსწორებელი რეაქციონერების“ ეპითეტს არ იმსახურებდნენ; ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“ და თვით ასოციაციის ხელმძღვანელობა მთლიანად იზიარებდა რაპპის მცდარ ლოზუნგებს; ყოველივე ამან დიდი ზიანი მიაყენა პროლეტარული მწერლობის ასოციაციის მუშაობას და იგი შემაფერხებელ მოვლენად იქცა, ხელი შეუშალა ძველ თაობასთან თანამშრომლობის ლენინური პრინციპების განხორციელებას. ლენინიზმი გვასწავლის, რომ საჭიროა ძველ თაობასთან, სიტყვის გამოცდილ ოსტატებთან მეგობრული თანამშრომლობა, რათა ისინი ჩავაყენოთ პროლეტარიატის სამსახურში; რაპპელები კი, მეგობრული თანამშრომლობის ნაცვლად, უხეშად ესხმოდნენ თავს ამ ძველი თაობის საუკეთესო წარმომადგენლებს, რომელთაც გულით ეწადათ საბჭოთა მწერლობის პლატფორმაზე გადმოსვლა. რაპპული შეცდომების მიუხედავად, ჟურნალმა „პროლეტარულმა მწერლობამ“ ერთგვარი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა მწერლობის აღმავლობისათვის ბრძოლაში. ჟურნალში სისტემატურად თანამშრომლობდნენ: ფ. მახარაძე, ს. ხუნდაძე, ა. მაშაშვილი, შ. რადიანი, ბ. ბუაჩიძე, კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, ი. აბაშიძე, ალ. გომიაშვილი, გ. კაჭახიძე, კ. ფეოდოსიშვილი, ფრ. ნაროუშვილი, ს. ეული, ი. ვაკელი, ნ. ზომლეთელი, ვ. ლუარსაბიძე, ალ. სულავა, დავით ვოლსკი, ნიკოლოზ შენგელაია, სიკო დოლიძე, ს. ამალლობელი, ვ. გარიკი (ვაჩნაძე), შ. ჯამბერიძე, ა. შანიძე, გ. სამხარაძე, პ. ქიქოძე, შ. დუდუჩავა, ი. ხოშტარია, კ. ზოზოხიძე, პ. ჩხიკვაძე, დ. რონდელი, ლ. კიკინაძე, ერ. ქარელიშვილი და სხვა.

ოციან წლებში ბევრი ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა, მათ შორის

უმრავლესობა კერძო თაოსნობის შედეგად: აქ უნდა დავასახელოთ ჟურნალები: „თებერვალი“ და „თოლაბულისის სარტყელი“ (რედაქტორ-გამომცემელი გრიგოლ ცეცხლაძე); ჟურნალი „აისი“ (რედაქტორი ლადო მაქავარიანი), ჟურნალი „ხელოვნება“ (ქუთაისი, რედაქტორ-გამომცემელი სოსო ასლანიშვილი), ჟურნალი „უქიმიერიონი“ (1922 წ. ქუთაისი), ჟურნალი „სმარაგდი“ (რედაქტორ-გამომცემელი ვ. გიორგაძე) და სხვა. ეს ჟურნალ-გაზეთები იდეური პოზიციით უფრო მოდერნიზმს ემხრობოდა, ვიდრე რეალიზმს, თუმცა თანამედროვე ჩვენი ცხოვრება მეტ-ნაკლებად პოულობდა ასახვას პრესის ამ ორგანოების ფურცლებზე.

ოციანი წლების ლიტერატურული პერიოდისათვის, ზოგადად რომ ვთქვათ, დამახასიათებელია დაუცხრომელი ძიება ფორმის სრულყოფისათვის, მხატვრულ გამომსახველობათა ფორმების მრავალფეროვნებისათვის. თვით ისეთი უაღრესად რეალისტური ჟურნალებისათვისაც კი, როგორც იყო საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ბუნდვითი ორგანოები, უაღრესად დამახასიათებელი იყო ფორმის დახვეწისათვის ბრძოლა. ამ ფონზე ლიტერატურულ დაჯგუფებათა ურთიერთბრძოლა და შეჯიბრება უთუოდ უწყობდა ხელს ერთიანი, მაღალიდეური და მაღალმხატვრული საბჭოური მწერლობის განმტკიცების საქმეს. სამწუხაროდ, ოციანი წლების დასასრულისათვის ამ ბრძოლამ რაპკელებისა და ფუტურისტების მეოხებით მეტად მახინჯი სახე მიიღო; ყოველივე ეს აფერხებდა მწერლობის კონსოლიდაციას და შემოკრებას საბჭოთა პლატფორმის გარშემო. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა პროლეტარულ მწერალთა გაერთიანების გაუქმება და ერთიანი კავშირის — საბჭოთა მწერლების კავშირის შექმნა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროლეტარული მწერლობა გვერდში ამოუდგა საბჭოთა საქართველოს და კომუნისტურ პარტიას. პარტია, გამოდიოდა რა ლენინის 1905 წელს დაწერილ სტატიაში — „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ — წამოყენებული დებულებებიდან, მოითხოვდა მწერლობისა და ხელოვნების, ამ დიდი იდეოლოგიური იარაღის, გამოყენებას მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს განსამტკიცებლად. პარტიას უნდოდა ისე წარემართა შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობა, რომ იგი საერთო პარტიული მუშაობის ნაწილი გამხდარიყო. ლენინის ამ მითითებათა შესასრულებლად პარტია სათავეში ჩაუდგა ამ დიდი იდეოლოგიური ფრონტის — მწერლობისა და ხელოვნების წარმართვის საქმეს. პროლეტარული მწერლობის ძირითადი ზირთვი პარტიის სალიტერატურო პოლიტიკას წმინდად იცავდა და პირველ წლებში დიდი სამსახური გაუწია ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დაცვას.

სამწუხაროდ, სულ მალე თვით პროლეტარულ მწერლობაშიაც იჩინა თავი „მემარცხენეობამ“; ცნობილმა კრიტიკოსმა ა. ვორონსკიმ, ჟურნალ „კრასნაია ნოვის“ რედაქტორმა, რომელიც ადრე ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს იცავდა, ახლა დაიწყო იმის მტკიცება, რომ პროლეტარული კულტურა არ არსებობს და არც არის საჭირო მისი შექმნა. ვორონსკის აზრით, მხატვრული შემოქმედება ქვეცნობიერების სფეროა, მხატვრული ნაწარმოები იქმნება „უშუალო შთაბეჭდილების“ საფუძველზე, იქმნება არაცნობიერად. ამიტომ, მისი აზრით, პარტიული ჩარევა უნაყოფოა, რადგან თვით შემოქმედების პროცესი არ ემორჩილება პარტიულობის პრინციპს. მწერალთა მეორე ჯგუფი, ე. წ. ნაპოსტოველები პირიქით ამტკიცებდნენ, რომ პროლეტარული კულტურა ფაქტია, პროლეტარული მწერლობა და პროლეტარული ხელოვნება დღითიდღე იზრდება და პარტიამ უშუალო ხელმძღვანელობით უნდა წარმართოს პროლეტარული მწერლობისა და ხელოვნების განვითარება და აღმავლობა. პირველ წლებში ნაპოსტოველებმა მართლაც თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს პროლეტარული მწერლობისა და ხელოვნების განსამტკიცებლად. ოღონდ სულ მალე, ნაპოსტოველთა ხელმძღვანელობაში თავი იჩინა „კომუნისტურმა ყოყოჩობამ“ და ჯგუფობრიობამ. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ვ. პერევერზევის ჯგუფი, რომელმაც 1928 წელს გამოსცა კრებული „ლიტერატურათმცოდნეობა“. ეს ჯგუფი ამტკიცებდა, რომ ლიტერატურა უშუალოდ არის დაკავშირებული საწარმოო ძალებთან, სინამდვილის ასახვა — პასიური მოვლენაა, ხელოვანის პირადი როლი აქ უმნიშვნელოა. ამიტომ აქ რაიმე პარტიულ ჩარევაზე ფიქრიც კი უნაყოფოაო. „პროლეტკულტელები“ (1917—1920 წწ., ა. ბოგდანოვი, ვ. პლეტნევი) კლასიკურ მეგკვიდროებას ნიჰილისტურად უარყოფდნენ. ამ ნიადაგზე პროლეტარულ მწერლობას კლასიკური მეგკვიდროებისაგან მექანიკურად წყვეტდნენ და ასე „დამოუკიდებლად განიხილავდნენ“. 1920 წელს ლენინმა დაგმო და უარყო ეს ვულგარული თეორია; თავის ისტორიულ გამოსვლაში კომკავშირის მე-3 ყრილობაზე, 1920 წელს, დიდმა ბელადმა პროლეტარული კულტურის საფუძვლად გამოაცხადა კაცობრიობის მიერ შექმნილი მთელი კლასიკური მეგკვიდროება. პარტიამ ასევე სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა „პერევერზევშინას“ და „ვორონშინას“.

კომუნისტურმა პარტიამ, ლენინის ლიტერატურის პარტიულობის თეორიის საფუძველზე, 1925 წელს მიიღო ცნობილი დადგენილება „პარტიის სალიტერატურო პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“. აქ ნათლად იყო ჩამოყალიბებული პარტიის სალიტერატურო პოლიტიკა. მიუხედავად ამისა, პროლეტარული მწერლობის საკავშირო გაერთიანების ხელმძღვანელობაში კვლავ იჩინა თავი მე-

მარცხენულმა შეცდომებმა. კერძოდ, რაპველების აზრით, პროლეტარულ კულტურას ქმნის მხოლოდ პარტიული მწერალი. რაპვე წამოაყენა ლოზუნგი: „მოკავშირე ან მტერი“. რაპველებმა პროლეტარული მწერლობისაგან მექანიკურად მოწყვეტეს ძველი თაობა, ყველა ისინი, ვინც ცდილობდა დადგომოდა საბჭოთა მწერლობის გზას. რაპველები ვერ ხედავდნენ ძველი თაობის მწერალთა გულწრფელ სწრაფვას საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობისაკენ და ხელს ჰკრავდნენ ხოლმე ძველი თაობის საუკეთესო ოსტატებს. პარტია იძულებული გახდა ჩარეულიყო ამ საქმეში და სრული წესრიგი დაემყარებინა ხელოვნებისა და მწერლობის ფრონტზე. ამ მიზნით, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, 1932 წლის 23 აპრილს, მიიღო დადგენილება: „სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ“ და ამის შედეგად გააუქმეს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია და სხვა ლიტერატურული დაჯგუფებანი. ამ დადგენილებამ უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა საბჭოთა მწერლობის აღმავლობის საქმეში.

* * *

შემოაღნიშნულ პერიოდში ქართული საბჭოთა მწერლობის განმტკიცებას, გარდა პროლეტარული მწერლობის ძველი და ახალი თაობის მოწინავე წარმომადგენლებისა, ხელი შეუწყვეს იმ მწერლებმა, რომლებიც ლიტერატურულ ასპარეზზე რევოლუციის წინა პერიოდში გამოვიდნენ, მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში გამარჯვებულ ქართველ საბჭოთა ხალხს ამოუდგნენ მხარში და მასთან თანამშრომლობის გზას დაადგნენ.

ამ თაობის მწერალთა შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ გლაკტიონ ტაბიძე. საქართველოში საბჭოთა რევოლუციის გამარჯვების პირველსავე წლებში სამშობლოს განახლების რწმენით შთაგონებული პოეტი მტკიცედ დგება რევოლუციური საქართველოს პლატფორმაზე. 1922 წელს გ. ტაბიძე აქვეყნებს ვრცელ წერილს, რომელშიაც საბჭოთა ხელისუფლებისა და საბჭოთა მწერლობის პოზიციების დამცველად გვევლინება. იგი წერს: „ჩვენ ყოველთვის ვყოფილვართ ხალხთან, მაგრამ მომავალში მეტი სითამამით უნდა ვტრიალებდეთ ხალხში. ჩვენ მივცემთ ხალხს ყველაფერ კეთილშობილურს, ახალ ეთიკას, ახალ წინასწარმეტყველურ განათლებას. ჩვენ იქ მოვნახავთ ახალ ადამიანებს, რომელთაც ეზიზღებათ ყოველივე არაესთეტიკური და მახინჯი, სწყურიათ თითონ გადაიქცნენ ხელოვნების ნაწარმოებად. ჩვენი დაახლოება ხალხთან გვაჩვენებს, როგორი სიხარბით ეწაფება იგი ყოველგვარ მხატვრულ სიტყვას. ხალხის სახელით ჩვენ უნდა უარვყოთ კაფე-შანტანების პოეზია, იგი დამახასიათებელია სა-

შინლად დაცემის მდგომარეობის ხანის, დეკადანსის. აქ პოეზია გადაქცეულია „სკანდალების“ ხელოვნებად, ისეთი ხალხის გამართლებად, რომელთაც არავითარი მორალური იდეოლოგია არ ახასიათებთ. სრულიად უნდა გავათავისუფლოთ აგრეთვე იგი კონსერვატიზმისგან, რომელთაც ნაწილობრივ შებოქილია თანამედროვე შეგნება, ნამდვილი პოეტები იყვნენ ხალხში და იცოდნენ, წინასწარვე გაზომილი ჰქონდათ თავიანთი მიზნები; შედიოდნენ რა ახალ ტაძარში, არ ცდიდნენ მას, რაც დაცდილია; რასაც ამბობდნენ სიტყვით, ასრულებდნენ საქმიანად და ყველაფერი ნათლად ამტკიცებდა ასეთი გამოსვლის თანმიმდევრობას. საუკუნე მომწიფებულია მათთვის, ვინც მიდის ხალხში, საუკუნე გათენდა მათთან ერთად“ („ლომისი“, № 1, გვ. 6, 1922 წ.).

ასე გამოდიოდა გ. ტაბიძე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ხელოვნების ცხოვრებასთან, საბჭოთა სინამდვილესთან დაკავშირების მოწოდებით. სასტიკად აკრიტიკებდა ის იმათ, ვინც საბჭოთა ცხოვრებისაგან იყო განდგომილი. გ. ტაბიძე მკვეთრად ილაშქრებდა ყოველგვარი კონსერვატიულისა და რეაქციულის წინააღმდეგ. თუ მოვიგონებთ, რა ძლიერად უტყევენ იმ წლებში დეკადენტური ლიტერატურული სკოლები საბჭოთა რეალისტურ მწერლობას, გასაგები გახდება, გ. ტაბიძის, ამ ლიტერატურული პოზიციის დიდი მნიშვნელობა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისა და განმტკიცებისათვის. 1922 წელსვე ის გაზეთ „პოეზიის დღეში“ წერდა:

„ჩვენი სამშობლო სამშობლოა ლეგენდების, პოემების, ტრაგედიების, მაგრამ პოეტი გრძნობს, არ შეიძლება ცხოვრება მხოლოდ წარსულით: ცხოვრება მიდის წინ და პოეტი გრძნობს, არ შეიძლება ჩამორჩე მას... არავითარი უფლება თანამედროვე პოეტს არა აქვს უარყოს თავისი ღირსება და აღიაროს მხოლოდ წარსული... მეხუთე საუკუნის სტილი შეენის თვით მეხუთე საუკუნეს, მაგრამ ჩვენი საუკუნისათვის მარტოოდენ ძონძებია. ჩვენი პოეტისათვის ძვირფასია ძველი ღმერთები, მაგრამ ჩვენ გვყავს ახლებიც, ისეთებიც, რომლებიც შეეფერებიან ჩვენს დროს, ჩვენს ეპოქას, ჩვენს კულტურულ დონეს, ჩვენს ტექნიკურ საშუალებებს, ჩვენ განვიცადეთ მსოფლიო ომი, დიდი რევოლუცია: არავინ არ უარყოფს, რომ მოვიდა ახალი ცხოვრება, ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვა“.

გ. ტაბიძემ ამ წლებში დააარსა თავისი სალიტერატურო ორგანო „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, რომლის პირველი ნომერი დაიბეჭდა 1922 წლის 3 დეკემბერს. ამ ჟურნალში გ. ტაბიძე გამოვიდა მოწოდებით:

„განახლება ან სიკვდილი. ძირს ყოველგვარი რუტინა, ძირს დრო-

მოკმეული შემოქმედების უნაყოფო ელემენტი, გაუმარჯოს ახალ შემოქმედებას“.

გ. ტაბიძის ეს მგზნებარე პათოსით აღსავსე სიტყვები გაისმოდა როგორც მძლავრი მოწოდება; პოეტმა თავისი ჟურნალის გარშემო (სულ ცხრა ნომერი გამოვიდა) შემოიკრიბა იმდროინდელი მოწინავე ქართველი მწერლები. ამ ჟურნალში თანამშრომლობდნენ: ვ. ბარნოვი, დ. კლდიაშვილი, შ. არაგვისპირელი, გ. ქუჩიშვილი, ი. ნიკოლაძე, იპ. ვართაგავა, ივ. გომართელი, ტ. გრანელი, შ. მღვიმელი, დ. შენგელაია, ი. მოსაშვილი, ლ. გუდიაშვილი, ი. ეკალაძე და სხვ. თავისი ჟურნალის ფურცლებზე პოეტი წერდა: „ორი მილიონი თვალთ ვუსტკერი ახალს, ათას ცხრაას ოცდასამ წელს და ვამბობ, გაუმარჯოს მომავალს“. გ. ტაბიძე მთელი გატაცებით, სიტყვითა და საქმით დგება საბჭოთა მწერლობის სამსახურში. ის ამ წლებში გამოდიოდა არა მარტო მანიფესტებითა და დეკლარაციებით, არამედ ემსახურებოდა ახალ იდეებს როგორც პოეტი, როგორც მხატვრული სიტყვის პირველხარისხოვანი ოსტატი. 1924 წელს გალაკტიონმა გამოაქვეყნა ცნობილი ლექსი, „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“. აქ მან დიდებული ჰიმნი უმღერა აღორძინებულ და გამარჯვებულ საბჭოთა საქართველოს. გადაჭრით და მტკიცედ გაისმა პოეტის მომწოდებელი ხმა ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებისადმი:

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი სდგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი.

ამ წლებში გ. ტაბიძეს, რევოლუციის წინა პერიოდის სახელოვან ოსტატს, მხარში ამოუდგა ისეთი ცნობილი და ხალხსათვის საყვარელი პოეტი, როგორც იყო გიორგი ქუჩიშვილი.

არა მარტო გ. ტაბიძე და გ. ქუჩიშვილი გამოეხმაურნენ ასეთი დიდი უშუალობითა და გულწრფელობით საბჭოთა სინამდვილეს, არამედ ბევრი სხვა ცნობილი მწერალიც, რომელთა ლიტერატურული აზროვნება ზქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში ჩამოყალიბდა. საბჭოთა ეპოქამ ახალი შემოქმედებითი ძალა შთაბერა, ახალი მიმართულება მისცა ჩვენი მწერლობის ცნობილ კლასიკოსებს — დ. კლდიაშვილს, ვ. ბარნოვს, შ. არაგვისპირელს, ე. გაბაშვილს, ა. ერისთავ-ხოშტარიას, დუტუ მეგრელს. ეს მწერლები გულწრფელად მიესალმნენ საბჭოთა ხელისუფლებას. ბევრი მათგანი 1926 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ ყრილობაზე საგანგებო სიტყვით გამოვიდა საბჭოთა ხელისუფლებისა და ახალი დროის შესახებ, ხოლო ცოტა უფრო გვიან ე. გაბაშვილი წერდა:

„ყველაზე ბედნიერი მე ვარ, რადგან მე მოხუცებულობის უამს

მოვესწარი ჩემი ხალხის მშვენიერ და თავისუფალ ცხოვრებას, რომელზედაც ოცნებაც არ შემეძლო ჩემს ახალგაზრდობაში. ჩემი სიკვდილი არავის სიკვდილს არ ემსგავსება, რადგან თან არ გამყვება დარდი და მწუხარება; შევყურებ ჩემი ხალხისა და ერის ცხოვრების განვითარებას და გული სიამაყით მეცხება“.

ასეთი გულწრფელი სიტყვებით გამოხატა ღრმად მოხუცებულმა მწერალმა ქალმა თავისი დიდი აღფრთოვანება ახლად აღორძინებული და გამშვენიერებული საბჭოთა საქართველოს მიმართ. მართლაცდა, ისეთ მწერალს, როგორიც ე. გაბაშვილი იყო, თავისი ღრმა მოხუცებულობის მიუხედავად, არ შეიძლებოდა არ ეგარძნო დიდი ცხოველყოფილი ძალა საბჭოთა ეპოქისა. 1937 წელს, რუსთაველის იუბილეს გამო, უკვე ღრმად მოხუცებული მწერალი ქალი წერდა:

„კვითხულობ და არ მჭერა: ნუთუ ეს ოცნება არ არის, ოცნება მიუწვდომელი, საზღაპრო, ზემთაგონებული? ცრემლები მცვივა თვალთაგან, ლმობიერება მაოცებს, მზად ვარ დავეჩოქო და მუხლმოდრეკილი შევღაღადო: დიდ არს, დიდ არს ძლიერება იმ კაცისა, რომელმაც აღადგინა 750 წლის დამარხული დიდება ერისა“.

ეს ცნობილი კლასიკოსები არა მარტო დეკლარაციებითა და სიტყვებით აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, არამედ შემოქმედებითადაც სწადათ პასუხი გაეცათ ახალი დროისათვის. აი, რამდენიმე მაგალითი: დ. კლდიაშვილმა, როდესაც თვალით ნახა და გულით განიცადა განთავისუფლებული ქართველი ხალხის ზეიმი, მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით მიესალმა ახალ დროს, საბჭოთა ხელისუფლებას და, მოხუცებულობის მიუხედავად, ახალი ენერგიით ჩაება შემოქმედებითს მუშაობაში. მან, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, კვლავ განაახლა 1914 წელს შეწყვეტილი ლიტერატურული მოღვაწეობა. 1924—1925 წლებში დ. კლდიაშვილმა გამოაქვეყნა ორი მოთხრობა: „შუა ცეცხლის პირას“ და „ტიმთე მეშველიძე“. ორივე მოთხრობაში მოცემულია ცდა ახალი, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად შექმნილი ვითარების მხატვრულად გამოსახვისა. ამავე წლებში დაიწყო დ. კლდიაშვილმა მუშაობა თავის „მემუარებზე“, რომლებშიც გადაშლილია ბევრი მნიშვნელოვანი ფურცელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. აქ დახატულია ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მრავალი საინტერესო პორტრეტი.

ვ. ბარნოვის შემოქმედებაში, როგორც ცნობილია, მთელი სიძლიერით გადაიშალა ჩვენი ხალხის შორეული წარსული. უდიდესი სიყვარულით, მძაფრი რომანტიკული ფერებით გააცოცხლა ვ. ბარნოვმა საქართველოს მდიდარი ისტორიული წარსულის სურათები. მაგრამ მაინც არ იქნებოდა სამართლიანი ვ. ბარნოვი მთლიანად წარსულში გადასახლებულ მწერლად წარმოგვედგინა. ვ. ბარნოვი დიდი მხატვა-

რია და ჭეშმარიტმა მხატვარმა არ შეიძლება პასუხი არ გასცეს თავისი ეპოქის, თავისი დროის საკითხებს. ვ. ბარნოვის შემოქმედებაშიაც აშკარად შეინიშნება დაინტერესება ეპოქის აქტუალური საკითხებით; დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მან რამდენიმე რეალისტური ხასიათის მოთხრობა გამოაქვეყნა; მათ შორის უნდა დავასახელოთ: „ხარატი“, „ნაძენარის დევი“, „წოდებული“, „არქეოლოგიური ნაშთი“, „სულთა კავშირი“ და სხვა. ვ. ბარნოვი ისტორიული მოვლენების ასახვისას დიდ ადგილს უთმობს ჩვენი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების გამომხატველი სურათების ჩვენებას. ამ მხრივ საყურადღებოა მისი რომანები: „ხაზართა სასძლო“, „გიორგი სააკაძე“, „არმაზის მსხვერვა“, „ცოდვა სიკვამულისა“; ეს ისტორიული რომანები ყურადღებას იპყრობს პირველ ყოვლისა იმით, რომ მწერალი აქ დაწვრილებით და დიდი გულისყურით არკვევს ფეოდალური სახელმწიფოს აშლილობისა, სამთავროთა შორის მოურიგებელი ჩხუბისა და უთანხმოების პოლიტიკურ, კლასობრივ და სოციალურ საფუძვლებს. ამაში ნათლად ვლინდება ვ. ბარნოვის რეალისტური ტენდენციები, მისი ახლებური დამოკიდებულება ისტორიულ წარსულთან.

შ. არაგვისპირელმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ცოტა ხანს იცოცხლა (გარდაიცვალა 1926 წელს) და მან ვერ მოასწრო თავისი მხატვრული სიტყვა ეთქვა ახალი ეპოქის შესახებ, მაგრამ მისი დამოკიდებულება საბჭოთა სინამდვილესთან უკვე გამჟღავნებულია 1922 წელს დაწერილ ეტიუდში — „ღვთის თვალი“. აქ მწერალს გამოჰყავს პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც „უკანასკნელი ელვარე ათი წელი რუსეთში გაუტარებია“; იგი საქართველოში დაბრუნებული, გულმხურვალედ მიესალმება თავის მეგობარს და ასე მიმართავს მას: „და ახლა აქ, თავისუფალ სამშობლოში, შენ წინ ედგევიარ“. თავისუფალი სამშობლო, საბჭოთა საქართველო გულწრფელად მიიღო შიო არაგვისპირელმა და ეს აზრი ნათლად გამოხატა ამ ეტიუდში. კლასიკური რეალიზმის დიდი დამცველი შ. არაგვისპირელი 1924 წელს წერს „ეტიუდს“, სადაც იგი ფუტურისტულ „ველურობას“ უწოდებს. ამ მოთხრობაში ასეთი დიალოგი გვხვდება:

— „უთუოდ რამე ახალი ავადმყოფობა იქნება...“

— ახალი კი არა, იქნებ ძველის ძველი ავადმყოფობაც არის.

— ცხოვრება ხშირად ხელში ველურობას გვაწვდის, ჩვენ კი ახლა უკანასკნელ სიტყვად გვეჩვენება.

— იქნებ ჩვენი ავადმყოფობა იგივე ფუტურისტში იყვეს!“

შ. არაგვისპირელის ეს ნაწარმოები ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ როგორი ერთგული იყო იგი ქართული რეალისტური მწერლობისა. ქართული კლასიკური რეალიზმის პრინციპების თანამიმდევარი დამ-

ცველი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ებრძოდა ყოველგვარ „დეკადენტურ ავადმყოფობას“ და ცვადა საბჭოთა მწერლობის საფუძველს — რეალიზმს.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ეს რამდენიმე მაგალითი ერთხელ კიდევ მიუთითებს იმ ცხოველმყოფელ გავლენაზე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ, სოციალისტურმა მშენებლობამ მოახდინა ქართველი მწერლების შემოქმედებაზე.

* * *

1924 წლის თებერვლიდან დაიწყო გამოსვლა ჟურნალმა „მნათობმა“. ეს იყო პირველი სერიოზული საბჭოთა ჟურნალი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში.

„მნათობის“ პირველ ნომერს წამძღვარებული აქვს სარედაქციო წერილი, სადაც ჟურნალის მიზნები და ამოცანები ასეა განსაზღვრული:

„დღემდის ქართულ ენაზე არ გამოდიოდა არც ერთი სერიოზული ჟურნალი, რომელსაც შემოეკრიბოს თავის გარშემო რევოლუციური ინტელიგენციის საუკეთესო ძალები. ჟურნალ „მნათობის“ მიზანია შეავსოს ეს მნიშვნელოვანი ნაკლი.

„მნათობი“, უპირველეს ყოვლისა, მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალია. ის ადგილს დაუთმობს თავის ფურცლებზე ყველა საუკეთესო მწერლის მხატვრულ ნაწარმოებს; ის მისცემს ფართო გასაქანს ჩვენს ლიტერატურულ ძალებს.

„მნათობი“ თავის მიზნად ისახავს აგრეთვე საშუალება მისცეს ჩვენს მეცნიერულ და მარქსისტულ ძალებს, გააფორმონ თავიანთი მუშაობა და ქართულ ენაზე მიაწოდონ ქართველ მუშებს და გლეხებს მეცნიერული და მარქსისტული ცოდნა.

„ამრიგად, ჩვენი ჟურნალის მიზანი ვიწრო ფარგლებით არ შემოიხზება.

იმ მწერლებისათვის, რომელთაც კი აქვთ რაიმე მიღწევები ხელოვნებაში და მეცნიერებაში, ღია იქნება ჩვენი ჟურნალის — „მნათობის“ კარები“.

უნდა ითქვას, რომ ჟურნალი „მნათობი“ პირნათლად ასრულებდა იმ დაპირებას, რომელიც მან მისცა საბჭოთა მკითხველს. ჟურნალმა გარს შემოიკრება იმდროინდელი ყველა პროგრესული სამწერლო ძალა და ჩვენი მოწინავე მწერლები ჩააბა საბჭოთა ლიტერატურის ფართო საქმიანობაში. „მნათობში“ დაიბეჭდა გ. ტაბიძის, მ. ჯავახიშვილის, პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, ვ. გაფრინდაშვილის, დ. შენგელაიას, ა. მირცხულავა-მაშაშვილის, რ. გვეტაძის, გ. ქუჩიშვილის, კ. გამსახურდიას,

ლ. ქიაჩელის, პ. კაკაბაძის, ს. ჩიქოვანის, ვ. გაბესკირიას, თედო სახოკიას, ზაქარია ქიქინაძის, ბაჩანას (ნ. რაზიკაშვილი), ბანოვანის (დესპინე გელოვანი), ია ეკალაძის (ცინცაძე), პოლ. ირეთელის (კალანდაძე), ჭაჭუ ჭორჯიკიას, ირ. ქავეჯარაძის, შიო მღვიმელის, ს. ფაშალიშვილის, ი. ლისაშვილის, ბ. კეშელავას, ი. ვაკელის, კ. კალაძის, გ. ლეონიძის, ს. კლდიაშვილის, კ. ლორთქიფანიძის, ი. მოსაშვილის, ს. შანშიაშვილის, კ. ნადირაძის, ა. ქუთათელის, დ. გაჩეჩილაძის, ს. მგელაძის, ვ. გიორგაძის, ვ. ყურულის და სხვათა ლექსები, რომანები, მოთხრობები და პოემები. ამავე ჟურნალში (იგულისხმება 1924—1930 წწ.) დაიბეჭდა კრიტიკული სტატიები ფილიპე მახარაძის, ს. ხუნდაძის, მ. გოგიბერიძის, კ. კეკელიძის, პ. ინგოროყვას, კ. კაპანელის, კ. ქიქინაძის, ვ. კოტეტიშვილის, მ. ზანდუკელის, ალ. ბარამიძის, ბ. ბუაჩიძის, შ. დუდუჩავას, გ. ქიქოძის, ბ. ულენტის, შ. აფხაიძის, ა. გაწერელიას, ლ. კალანდაძის, გ. ნატროშვილის, დ. ბენაშვილისა და სხვ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჟურნალმა ფართოდ გაუღო კარი საბჭოთა რუსეთის მოწინავე მწერლების თარგმნილ თხზულებებს. აქ დაიბეჭდა მაქსიმ გორკის, ვ. მაიაკოვსკის, ილია ერენბურგის, ნ. ტიხონოვის და სხვათა ნაწარმოებების თარგმანები.

მარტო ეს ჩამოთვლაც ნათლად მოწმობს, თუ რა ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი „მნათობის“ ფურცლებზე ჩვენი თანამედროვე მოწინავე მწერლები. და აქ მარტო სიაში როდია საქმე, არამედ, რაც მთავარია, აქ ჩამოთვლილ ავტორთა ნაწარმოებები მიზნად ისახავდა საბჭოთა სინამდვილის, ახალი საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების მხატვრულ ასახვას, ხელს უწყობდა საბჭოთა მწერლობის განვითარებისა და განმტკიცების საქმეს.

პირველი წლების „მნათობში“ ხშირად იბეჭდებოდა სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენელთა ნაწარმოებები, რომლებშიც ჭერ კიდევ არ იყო ასახული საბჭოთა ადამიანების განწყობილება, მაგრამ ჟურნალი მათ ბეჭდავდა ძველი ლიტერატურული თაობის წარმომადგენელთა მიზიდვისა და მათი იდეური გარდაქმნის მიზნით. ამის შესახებ 1925 წელს „მნათობი“ (№ 1) სარედაქციო წერილში შენიშნავდა:

„რედაქციას საკიროდ არ მიაჩნია ჭერჭერობით თავისი დაფასება მისცეს სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობებს და კერძოდ ნაწარმოებებს. ამიტომ ყველა ასეთი წერილები, რომელშიაც ფასდება ლიტერატურული მიმდინარეობანი, მწერალთა ცალკე ჭგუფები ან კერძო ნაწარმოებები, გამოხატავენ აზრს და შეხედულებებს მხოლოდ თვით წერალების ავტორებისა და არა რედაქციისა“.

„მნათობი“ ახალი ტიპის ჟურნალია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელო-

ბით — აცხადებდა გაზეთი „კომუნისტი“. მან პირველი ნომრიდანვე მიიღო გარკვეული სახე, რომელიც მეორე და მესამე ნომრებში უფრო აშკარა და თვალსაჩინო გახდა. ჟურნალი გაბედული ნაბიჯებით და თვალხილული მიდის წინ, რომ მიიღოს რევოლუციურ ტრაგიზმით და სილამაზით სავსე ჩვენი სინამდვილე. სხვა გზა არ არსებობს ხელოვანისათვის, რომელსაც მხოლოდ ქვეშაირი შემოქმედება ასულდგმულებს. ჟურნალ „მნათობის“ მესამე ნომერი იწყება გ. ტაბიძის ლექსით „აღმოსავლეთი“. ეს ლექსი ახალია როგორც ფორმით, ისე შინაარსის მხრივ: „იღვიძებს აღმოსავლეთი, და თუ გრიგალი ისე მივიდა და გაზაფხულის ველი მოლია, ის სიცოცხლისთვის იბრძოლებს ისე, როგორც არავის არ უბრძოლია“... ამავე ნომერში დაბეჭდილია პ. იაშვილის „ფერადი ბუშტები“ და დ. შენგელაიას „სანაეარდო“. ორივე ეს ნაწარმოები საინტერესოა. ადამაშვილის „რასპუტინის კულზე“, „ჩანჩურასა“ და „კურკას ქორწილის“ ავტორმა ისევე მიაგნო ბედნიერ თემას. კვაჭი უკვდავი ტიპია, ვინ იცის კიდევ რამდენი ისეირნებს საქართველოდან რუსეთში, რუსეთიდან ევროპაში, რომ ისევ დაუბრუნდეს თავის სამშობლოს. „რასპუტინის კულზე“ უტყუარი სურათია მონარქიული რუსეთის და მოთხრობის ყოველ სტრიქონზე ვგრძნობთ ოქტომბრის აუცილებლობას“ („კომუნისტი“, 24 ივნისი, 1924 წ.).

დამახასიათებელია, რომ სწორედ ამ ჟურნალის საშუალებით მოხერხდა უფროსი თაობის მწერალთა ჩგუფში დიფერენციაციის მოხდენა და მისი ერთი ნაწილის გადმოყვანა საბჭოთა პოზიციაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ჟურნალში 1925 წელს (იხ. № 4) დაბეჭდილი ლექსი რაჟდენ გვეტაძისა სათაურით — „მერკვილადის ტყვია“. რ. გვეტაძე აქ წერს:

ჰე, პოეტებო,
 თუ ხართ რაინდები,
 და ჩემსავით გიყვართ
 სსრ,
 ჩამოიგლიჯეთ თვალზე ბინდები
 და მზიანი სურვილი გქონდეთ ბილიკად,
 თორემ თქვენს ლექსებს ხავსი მოედება.

თუ გავიხსენებთ რ. გვეტაძის ადრინდელ ლექსებს, როდესაც პოეტი ცისფერყანწილების ლიტერატურული ჩგუფის აქტიური წევრი იყო, ნათელი გახდება ზემოთ მოყვანილი ლექსის იდეური სიხალე და მისი ავტორის დამოკიდებულება საბჭოთა სინამდვილესთან. ამ წლებში ამგვარი იდეური გარდაქმნის გზას ბევრი მოწინავე პოეტი დაადგა და, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ საქმეში უთუოდ დიდი როლი შეასრულა ამ ჟურნალმაც.

აქვე დაიბეჭდა ა. აბაშელის ლექსი, რომელშიც პოეტი აცხადებს:

არ მინდა გელში ჩაიბუღოს უიმედობამ.
მშვიდობით, ჩემო მელანქოლია,
უნდა ვსვა სიბრძნე საუკუნის ახალ თასიდან.

ამავე 1925 წელს, ახალი დეკლარაციებით გამოდიან ცალკეული ლიტერატურული დაჯგუფების სხვა ყოფილი წარმომადგენლები. მართალია, ეს დეკლარაციები ჯერ კიდევ ზოგად ხასიათს ატარებს და მათი ავტორების იდეურ შემოქმედებაში კიდევ დიდხანს გვხვდება ძველი განწყობილების რეციდივები, მაგრამ ისინი ცხადყოფენ, რომ სწორედ ამ ხანებში იწყება ერთგვარი შემობრუნება. ეს გარემოება კი უთუოდ ღირსია საგანგებო აღნიშვნისა.

ქართველი საბჭოთა პოეტების შემოქმედებაში პირველხარისხოვანი ადგილი ეკირა საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის, დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემას. ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ამ თემაზე 1924 წელს დაიბეჭდა მთელი რიგი ლექსები; ამ ლექსებში მოცემულია ცდა კაცობრიობის უდიდესი გენიოსის — ლენინის მხატვრული სახის გამოკვეთისა. კერძოდ, მირცხულავა-მაშაშვილის ლექსი „ლენინი“ თავისი მხატვრული უშუალობით და იდეურობით გამოირჩეოდა, როგორც პოეტური სიტყვის საინტერესო ნიმუში.

მოგვყავს ეს ლექსი მთლიანად:

შენ ჩამოკეშორდი, ბელადო ლენინ,
და ქვეყანაზე ობლად დაგვტოვე,
გადაუფარა ტრაური ბნელი
კაცობრიობის სხვადასხვა ტომებს!
გლოვობს ტფილისი, მოსკოვი კრემლით,
დროშებზე თავი დახარა დაბლა,
სიკვდილი, ნათელ სიციცხლის ნგრევით,
ჩვენ აღმაფრენას დაეცა დამბლად.
მაგრამ. ო, არა! არ გვინდა ცრემლი,
შენ ჩვენთვის ეს არ გიკარნახია;
ეკავრობთ საჭაროდ და სიკვდილს ეწყველით,
რომ თავზე გვახვევს ფიქრებს ნაღვლიანს!
შენ მოკვდი, მაგრამ ჩვენთან იცხოვრებ,
ვფიცავ შენივე აზრებს, ანდერძებს,
ჩვენთან იშრომებ, ჩვენთან იბრძოლებ
მთებში, ქარხნებში, ბარიკადებზე!
ვფიცავთ: შენს დროშას ვატარებთ მაღლა,
დაეხმარებით შრომისგან დაღლილთ,
ლენინ. შენს თვალებს ჩვენ არ დავმარხავთ,
ლენინ, შენს შუბლზე მიწას არ დავყრიით!
შენ თვალებიდან ცეცხლი გცვიოდა,
შენს თავზე გრეკინვას გადაუვლია:
დე. შეინახოს კაცობრიობამ
შენი სხეული, როგორც მუშია!

გაივლის ეამი მტერებით, ხმაურით,
სულ სხვანაირი მოვა ცხოვრება,
მოვა სხვა ხალხი და სიყვარულით
შენს უკედავ სახეს ეამბორება!

• • •

1905 წლის რევოლუციის ქარბუქიან დღეებში თავის გენიალურ ნაშრომში — „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, ლენინი გადაქრით მოითხოვდა: „ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს საერთო-პროლეტარული საქმის ნაწილი“; იგი „უნდა გახდეს შემადგენელი ნაწილი სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობისა“. დიდი ლენინი იქვე მიუთითებდა: „უდავოა, ლიტერატურული საქმე, ყველაზე ნაკლებ ემორჩილება მექანიკურ შეთანხმებას, ნიველირებას, უმცირესობაზე უმრავლესობის ბატონობას. უდავოა, ამ საქმეში უეჭველად საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს პირად ინიციატივას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს“. ლენინმა ამ ნაშრომში პირველად წამოაყენა და თეორიულად დაასაბუთა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი; ამავე დროს, ჩვენს პარტიას დაუყენა დიდი ამოცანა — გაეწია გონიერი იდეური ხელმძღვანელობა მხატვრული ლიტერატურისათვის, იდეოლოგიის ამ უმნიშვნელოვანესი დარგისათვის.

ვ. ი. ლენინი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა საბჭოთა მწერლობის სწორი გზით წარმართვისათვის. როგორც ცნობილია, პროლეტკულტელები თხზავდნენ ყოვლად ვულგარიზატორულ თეორიებს, თავიანთ თავს უპირდაპირებდნენ პარტიას, მის სალიტერატურო პოლიტიკას. ჩვენმა პარტიამ, დიდმა ლენინმა სასტიკად გააკრიტიკა პროლეტკულტელების პოზიცია. ლენინის პროექტით ცენტრალური კომიტეტი ჯერ კიდევ 1920 წელს იღებს სპეციალურ გადაწყვეტილებას პროლეტკულტია შესახებ. ამ დოკუმენტში დასახულია ახალი კულტურის მშენებლობის სწორი გზა. ამას მოჰყვა ლენინის გენიალური სიტყვა კლასიკური მემკვიდრეობის შესახებ კომკავშირის მესამე ყრილობაზე (1920 წ.).

საბჭოთა ლიტერატურის საკითხი მუდამ იყო კომუნისტური პარტიის ყურადღების საგანი. საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ჩვენი პარტიის ყრილობების, კონფერენციების, პლენუმების ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა და მითითებებმა. კომუნისტური პარტიის XI (1922 წ.), XII (1923 წ.) და XIII (1924 წ.) ყრილობებმა თავის დოკუმენტებსა და გადაწყვეტილებებში სათანადო ადგილი დაუთმო მხატვრული ლიტერატურის საკითხებს; ამ დოკუმენ-

ტებში ხაზგასმულია მხატვრული ლიტერატურის დიდი როლი ადამიანების აღზრდის საქმეში, მის მოვალეობად აღიარებულია დაეხმაროს მუშებსა და გლეხებს სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში. პარტია მოითხოვდა სათანადო დახმარების გაწევას ახალგაზრდა პროლეტარული მწერლობის, გლეხობისა და მუშებისაგან გამოსული მწერლების ახალგაზრდა კადრებისათვის. ამავე დროს, ამ დოკუმენტებში ხაზგასმული იყო, რომ საქიროა მხრუნველობის გამოჩენა და ფრთხილი დამოკიდებულება მწერლობის ძველი თაობის კადრებისადმი, მათი ჩაბმა სოციალისტური მშენებლობის საქმეში, მათთან თანამშრომლობა.

1925 წელს ჩვენმა პარტიამ საგანგებო რეზოლუციაში — „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“ — ნათლად ჩამოაყალიბა პარტიის დამოკიდებულება საბჭოთა მწერლობისადმი. დოკუმენტში ხაზგასმული იყო ლიტერატურული ჯგუფების თავისუფალი შეჯიბრების მოთხოვნა. ამავე დროს, აქტუალურ ამოცანად იყო მიჩნეული პროლეტარული მწერლობის კადრების განმტკიცება და ძველი თაობის მწერლების, ე. წ. თანამგზავრების აქტიური ჩაბმა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება დაიბეჭდა 1925 წელს, ჟურნალ „დროის“ მეორე ნომერში. იქვე გამოქვეყნდა სერგო ორჯონიკიძის სპეციალური წერილი, რომელშიც განხილულია ქართული ლიტერატურის იმდროინდელი ვითარება. ს. ორჯონიკიძე წერდა: „საქართველოს პირობებში პარტია უკვე მუშაობდა იმ პრინციპების მიხედვით, რომელიც საფუძვლად დაედო ამ დადგენილებას. მათ, ვინც გულწრფელად იდგა საბჭოთა სისტემის ნიადაგზე, ჩვენ ვაძლევდით ყოველგვარ საშუალებას გამოეჩინათ თავისი ნიჭი და შემოქმედება... ჩვენ გაუშვლით ფართო გზას ქართულ მწერლობას, თეატრს, მუსიკას, მეცნიერებას, მხატვრობას“; ამასთან ერთად, ს. ორჯონიკიძე, პარტიის სახელით, მოითხოვდა ქართველი მწერლებისაგან სიმართლით გამოეხატათ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებული საბჭოთა მშენებლობა.

ამრიგად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები (1921—1925 წწ.) — სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური მშენებლობის დაწყების პერიოდი — ქართულ საბჭოთა მწერლობაში მძაფრი ლიტერატურული ბრძოლის ვითარებით აღინიშნებოდა; ამ პერიოდში, „ისე როგორც საერთოდ არ წყდება ჩვენში კლასობრივი ბრძოლა, სწორედ ასევე არ წყდება იმ ლიტერატურის ფრონტზედაც“ (ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციიდან „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“).

იმ ხანებში მართლაც მწვავე ბრძოლა წარმოებდა იდეოლოგიის ფრონტზე. ამ ბრძოლაში ერთ მხარეს იყო რეალისტური საბჭოთა მწერ-

ლობა და მეორე მხარეს ანტირეალისტური დეკადენტური ლიტერატურული სკოლები. ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის ახალ-ახალი გამარჯვების შედეგად მწერალთა ძველმა თაობამ ნათლად დაინახა თუ საით მიდიოდა ისტორიის გზა. მან დაინახა, რომ ისტორიის სიმართლე საბჭოთა ხალხის, კომუნისტური პარტიის მხარეზე იყო და ამ ნიადაგზე ძველი თაობის მწერალთა აზროვნებასა და შემოქმედებაში დაიწყო შემობრუნება ახლისაკენ. აღორძინებისა და განვითარების გზას დაადგა საბჭოთა მწერლობა.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ წლებში ჯერ კიდევ სუსტი იყო საბჭოთა ლიტერატურის ხმა, სუსტი იყო პოეტების, პროზაიკოსების, დრამატურგების, მხატვრების, ხელოვნების მუშაკების კავშირი საბჭოთა ცხოვრებასთან, საბჭოთა სინამდვილესთან.

პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ მოითხოვდნენ ჩვენი მწერლობისაგან საბჭოთა სინამდვილესთან დაახლოებას, მწერლობის შემდგომ იდეურ და მხატვრულ ზრდას. ამ სფეროში განუზომლად დიდი როლი შეასრულა რუსეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ზემოხსენებულმა რეზოლუციამ — „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“, რომელმაც დასახა წინსვლის ნათელი გზა.



იმავე ხანებში, 1926 წელს, მოწვეულ იქნა სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა: ყრილობამ მუშაობა დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლის თავზე (1926 წლის 21 თებერვალს). ამ გარემოებამ ერთგვარად განსაზღვრა ამ ყრილობის სულისკვეთება. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო ოთხი ლიტერატურული გაერთიანება:

1. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი (ძველი), 44 დელეგატით, მათ შორის: ალ. აბაშელი, აბაშიძე მემედი, ახნაზაროვი არტ., აბრამიშვილი მიხ., ვ. ბარნოეი, ქ. გამსახურდია, ი. გრიშაშვილი, ივ. გომართელი, ი. ეკალაძე, ხ. ვარდოშვილი, პ. ინგოროყვა, ს. თავაძე, პ. კაკაბაძე, დ. კასრაძე, დ. კლდიაშვილი, ვ. კოტეტიშვილი, ქ. კაპანელი, ი. მარიჭანი, ქ. მაყაშვილი, დუტუ მებრელი, შ. მღვიმელი, ი. მჭედლიშვილი, ქ. რაჭველიშვილი, რ. ცქვიტი, არ. ჭაჭანაშვილი, ნ. ნაკაშიძე, ტ. რამიშვილი, ვ. რუხაძე, თ. სახოკია, გ. ტაბიძე, ი. ტატიშვილი, დ. უზნაძე, ს. ფაშალიშვილი, ლ. ქიაჩელი, ნ. შიუკაშვილი, გრ. ცეცხლაძე, ა. ჭუმბაძე, ა. ქუთათელი, ალ. წერეთელი და სხვ.

2. სრულიად საქართველოს ახალი მწერლების კორპორაცია, 25 დელეგატით. ეს კორპორაცია ძირითადად შედგებოდა ყანწელეებისა-

გან: პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ნ. მიწიშვილი, რ. გვეტაძე, ს. კლდიაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, გ. ლეონიძე, კ. ნადირაძე, შ. აფხაიძე, ალ. არსენი-
შვილი, ნ. თარიშვილი, გრ. ჭავჭავაძე. ამავე კორპორაციის დელეგატები
იყვნენ: გ. ქიქოძე, მიხ. ჭავჭავაძე, კ. ქიქინაძე, ს. შანშიაშვილი,
პ. ქავთარაძე, ვ. გორგაძე, დ. სულიაშვილი, ს. ერთაწმინდელი, ლ. მეტ-
რეველი, შ. დადიანი და სხვ.

3. პროლეტარული მწერლობის ასოციაცია, 25 დელეგატით, მათ
შორის: ნ. ზომლეთელი, ს. თოდრია, რ. კალაძე, ს. ეული, ი. ვაკელი,
ა. მაშაშვილი-მირცხულავა, ბ. ბუაჩიძე, კ. კალაძე, ალ. სულავა, აკ. გა-
წერელია, დ. რონდელი, გ. მდივანი, ე. ზედგინიძე, შ. დუდუჩაევა, ვ. ყუ-
რული, ლ. ესაკია, კ. ფეოდოსიშვილი, ს. გედევანიშვილი და სხვა.

4. ქართველი ფუტურისტების დელეგატები: ყ. ლოლობერიძე,
ბ. ჟღენტი, ნ. ჩაჩავა, ს. ჩიქოვანი, დ. შენგელაია.

ყრილობის დღის წესრიგი ასეთი იყო:

1. მიმდინარე მომენტი და ქართველი მწერლების ამოცანები.
2. სახელმწიფო გამომცემლობა.
3. ხელოვნების სასახლის შესახებ.
4. ხელოვნების საქმეთა მთავარი საბჭოს მუშაობა.
5. მწერალთა კავშირის საბჭოსა და ხელოვნების სასახლის საბჭოს
არჩევნები.

მობსენება თემაზე -- „მიმდინარე მომენტი და ქართველი მწერლე-
ბის ამოცანები“—წაიკითხა ფელიპე მახარაძემ. მომხსენებელმა ვრცლად
დაახასიათა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო და საშინაო მდგომარეო-
ბა და შეეხო ეროვნულ საკითხს. მან აღნიშნა:

„... ამიერკავკასიის სეიმი დაინგრა და დაარსდა საქართველოს
ეგრეთწოდებული დემოკრატიული რესპუბლიკა. ყველამ ვიცით და
დასაფარავი არ არის აქ, შეიძლებოდა თუ არა მაშინ და დღევანდელ
პირობებში, რომ საქართველოს, ამ პატარა ერს; პატარა ხალხს შეენარ-
ჩუნებია დამოუკიდებლობა, ჩაეკეტა კარები და არც იქით და არც
აქეთ, — მე არავის ვცნობ, მე მინდა მარტო ჩემთვის ვიცხოვრო“. ამხანაგებო,
რისთვის უნდა მოვიტყუოთ თავი. განა ვინ მისცემდა ნე-
ბას, რომ ამ გზაზე, შარაგზაზე მყოფ ხალხს ასეთი პოლიტიკა დაეცვა.
ეს იყო თავის თავის დატყუილება. შეუძლებელი იყო, რომ ასეთი პა-
ტარა ხალხი არ მისდგომოდა რომელიმე დიდ სახელმწიფოს, არ ყოფი-
ლიყო მის მფარველობის ქვეშ. და მართლაც ეს ასე იყო, სინამდვილე-
ში ასე იყო, მხოლოდ და მხოლოდ დამოკიდებული ხან ანტანტისაგან,
ხან გერმანიისა და ხან ინგლისისაგან. წაიკითხეთ ავალიშვილის წიგნი.
მე მგონია, რომ იქ მხოლოდ ფაქტები ლაპარაკობენ იმის შესახებ, თუ
რა იყო. რისთვის ვლაპარაკობ მე ამას? მე ვამბობ ამას იმისთვის, რომ

პირდაპირ ვთქვა — შეიძლება თუ არა ლაპარაკი ისეთ საქართველოზე; როგორც ეს ოცნებაში აქვს წარმოდგენილი ზოგიერთს, შეიძლება თუ არა ასეთი საქართველოს არსებობა? — არ შეიძლება. გამოსავალი ერთი იყო. ჩვენ ან უნდა მიეკედლებოდით საბჭოთა რუსეთს; ანდა ბურჟუაზიულ, იმპერიალისტურ ქვეყნებს. მენშევიკებმა და სხვა პარტიებმა აირჩიეს იმპერიალისტები, ჩვენ ვარჩიეთ რუსეთის მშრომელი ხალხი. აი, ამხანაგებო, მთელი ისტორია. ჩვენ არავის არ ვატყუებთ, მაგრამ, ამავე, დროს ვამბობთ, რომ ნაციონალური საკითხი, ეროვნული საკითხი, რომელსაც მართლაც სოციალური საკითხის შემდეგ, მუშათა საკითხის შემდეგ, პირველი ადგილი უჭირავს, როგორ არის გადაჭრილი. უნდა თვალი დახუჭოს ადამიანმა და არ დაინახოს ის, რაც ხდება დღეს ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე“.

მომხსენებელმა, დაახასიათა რა საქართველოს ეკონომიკასა და კულტურაში მომხდარი გარდატეხანი, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, ქოხ-სამკითხველოების, მუზეუმების, საგამომცემლო საქმის ზრდა და განვითარება, ბოლოს დასძინა:

„ყოვლად შეუძლებელია მხატვრული ნაწარმოებები იყოს გარეშე ცხოვრებისა, ყოვლად შეუძლებელია, რომ მან არ განიცადოს ის, რაც ხდება ცხოვრებაში... აქ მთავარია ვლელობთ თუ არა რევოლუციას, როგორც არის, რომელმაც ხალხში გაიდგა ფესვები... ჩვენი მთავრობა მხარს უჭერს მიმდინარეობებს მწერლობაში, ოღონდ კი რევოლუციის ნიადაგზე იდგნენ და მასთან არც ერთ მიმდინარეობას არ შეიძლება ჰქონდეს ჰეგემონია; რასაკვირველია, არის ჰეგემონია პროლეტარიატის, მუშათა კლასის ბატონობა, მაგრამ ლიტერატურაში, რომელიმე ჭგუფის ხელოვნურად ჰეგემონია შეუძლებელია. აქ არის ყველა მწერალი, რომელნიც კი ღებულობენ, მიიღებენ მომხდარ რევოლუციას. მთავარი საკითხი ამ ორ სიტყვაში გამოიხატება...“

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი მწერლები ჩვენ მოვეიდგებიან გვერდში ხალხის საკეთილდღეოდ, ხალხის ბედნიერებისაკენ“...

ყრილობაზე პირველი სიტყვა წარმოსთქვა ვასილ ბარნოვმა. მოგვყავს ეს სიტყვა მთლიანად:

„გუშინ მთავრობის წარმომადგენელი თავის მჭევრმეტყველურ, ფართო მოხაზულ სიტყვაში შეეხო სხვათა შორის მწერლობას. ასე სთქვა: დიდმა რევოლუციამ ხალხის გულში შეიტანა დიდი გარდაქმნა, მისცა მას ახალი საფიქრებელი და ახალი გზა ცხოვრებისა, ახალი სახეები მომავლისა, და ყველა ეს ხალხისათვის დიდი საიმედოა. შეუძლებელია მხატვრისათვის შეუგრძნობელი დარჩეს ეს, რადგან მხატვრული სიტყვა ცხოვრებას ახასიათებს, მის სახეებს ჩამოასწამს. სრული ქეშმარიტება არის ყველა ეს. როგორ შეიძლება არ შეიგრძნოს მხატვარმა-მწერალმა, როგორი დიდი გარდატეხა შეიტანა ამ ისტორიულმა“

დიდმა ამბავმა ხალხის გულში, ხალხის სულისკვეთებაში, ხალხის ცხოვრებაში?! როგორ შეიძლება, სხვანაირად წარმოიდგინოს იმან ეს მომავალი?! ეს არც იქნება! საქართველოს ლიტერატურა ყოველთვის სასოებით მოელოდა ამ დიდებულ ხანას. ის თვითონ იღვწოდა ამ ხანის დამყარებრსათვის. მას თვითონ მძაფრად ჰქონდა განცდილი თვითმპყრობელობის ძალა მანადგურებელი და იბრძოდა ამ სარბიელზე. გმირებს ეძებდა და პოულობდა კიდეც, როგორც კალმის გმირებს, ისე სინამდვილეში მებრძოლთ. ეს მკვეთრად ამოქედულია როგორც მხატვრულ მწერლობაში, ისე ისტორიაში. ლამაზათ მიუღდა ჩვენი მწერლობა ხალხის ცხოვრებას და დახატა კიდეც. დახატა მისი იმედები, დახატა ქართული სული, ხომ არ შეიძლებოდა ქართული სული დაკმონებოდა რაიმე ბნელ ძალას. ეს მეტადრე ნათლად არის გამოხატული იმ, 1905 წლის რევოლუციურ მწერლობაში, როდესაც ჩვენ ერთი წუთით გაგვიღიმა ბედმა. რასაკვირველია, ეხლანდელი მწერლობა ვერ აუქცევს ამას გზას და უსათუოდ დახატავს. ეხლა ერთი სიძნელეა: ჩვენ თითონ ვართ ამ დუღილში ჩართულნი, ჩვენ თითონ განვიცდით ამ გარდატეხის ხანას. ჩვენი საკუთარი პიროვნება ურევია აქ და ძნელია მწერლისათვის აზრთა არეში განაცალკევოს სურათები, ცხოვრებაში გამოიტანოს და გადმოხატოს ქაღალდზე. აი სიძნელე ეხლანდელი მწერლობისა. აქედან ის მეორე სიტყვაც ცხადია გუშინდელი მჭევრმეტყველისა. ჩვენ უარს არ ვყოფთ ძველსო. როგორ შეიძლება მისი უარყოფა?! ჩვენ მივიღებთ მას და გამოვიყენებთ ახალ ცხოვრებაშიო. ესეც სრული ჭეშმარიტებაა. თუ წინა კაცი უკანა კაცის ხილია, მაშინ წინა კაცის გაკეთებულის დაგმობა, დარღვევა იქნება ამ გზის. სასიამოვნოა ეს თქმა და აუცილებელიც: გუშინ დაგვისურათეს აქ, რომ განათლება ჩვენს საქართველოში ფართო გზით მიდის. ქართული განათლება, ქართულ ენაზე სწავლა! ღმერთო ჩემო, რამდენს ენატრობდით ამაზე. ოცნებაშიაც კი გვეშინოდა ამაზე ფიქრი. ეხლა კი ჩვენი ხალხი ქართულად სწავლობს, ქართული სკოლა: დედა-ენა ჩვენი აღარ იგმობა. და ამ სწავლას სავარჯიშო მასალა უნდა თუ არა? ჩვენ გვაქვს ჩვენი უურნალგაზეთები, სხვადასხვა გამოცემებში დიდებული მასალა გაფანტული, ჩვენგან დავიწყებული, ახალი თაობისაგან უცნობი; და თუ უნდოდეთ შესწავლა, ვერც მისწვდებიან. ეხლა რომ გამოცემული გვაქვს ქართული მრავალი წიგნები, ნიჭიერი კაცი ერთ თვეში აიღებს იერიშით ყველა ამ მასალას. მაგრამ უწინ არ იყო ესე: წინათ ჩვენ ბეჩაეები ვიყავით. უკვე ეხლა ვხედავ ქართული წიგნით ბაზარი აღსავსეა. როგორ წაახალისებეს ეს ახალგაზრდობას! მე ამას ლამაზი შურით ვუყურებ, ზეგარდამოცხებული ეხლა კი შესძლებს თავის ნიჭის ფართოდ გამოჩენას“.

ეს იყო მართლაც ისტორიული გამოსვლა, ქართული სიტყვის დიდ-

ისტატისა და პატრიარქის, დიდი მხატვრის გულწრფელი სიტყვა, საბჭოთა ხელისუფლების სადიდებლად წარმოთქმული. ვ. ბარნოვს სრულ უფლება ჰქონდა ელაპარაკა საქართველოს ისტორიისა და აწმყოს სახელით, მთელი ქართული ინტელიგენციის სახელით; მისმა სიტყვამ ერთგვარად განსაზღვრა ძველი თაობის პლატფორმა, საბჭოთა საქართველოს აღიარება და ყრილობის მონაწილეთა დამოკიდებულება ოქტომბრის რევოლუციასთან. ვ. ბარნოვის გამოსვლის შემდეგ ყრილობაზე ბევრი სიტყვა ითქვა, ზოგი სადავო და საკამათო, მაგრამ ვ. ბარნოვის სიტყვის ის პათოსი, რომ ქართველ მწერლებს გადაწყვეტილი აქვთ ითანამშრომლონ და იბრძოლონ რევოლუციური საქართველოს განმტკიცებისათვის, აიტაცა ყრილობამ და გაიზიარა სიტყვაში გამოსულმა ყოველმა დელეგატმა.

ამგვარად, მომხსენებლის ძირითადი დებულებები ყრილობამ გაიზიარა, მაგრამ იყო ცალკეული კრიტიკული შენიშვნები. მაგალითად, პ. ქავთარაძისა (ახალი მწერლობის კავშირი):

„გუშინ გზა და გზა მომხსენებელი შეეხო იმასაც, თუ საბჭოთა წესწყობილებაში როგორი პოლიტიკა არსებობს. თუ საბჭოთა პოლიტიკის მეოხებით როგორ ცოცხლდებიან ის ერები, რომელნიც გადაგვარების გზაზე იყვნენ, რომ იმათ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა შესაძლებლობა გაეჩინა თავიანთი მწერლობა, შეუქმნა ანბანი, დაუარსა სკოლები და სხვ. ეს რასაკვირველია, უდიდესი ღვაწლი არის და უდიდესი დამსახურებაა, მაგრამ მე ვფიქრობ არც მომხსენებელს უნდოდა ეს და არც არავინ მოიფიქრებს და მოისურვებს ჩვენ, ქართველები, დაგვადაროს ამ ერებთან. ჩვენ სულ სხვა ვართ. თუ იმათ მხოლოდ დღეს, მრავალი საუკუნის შემდეგ სჭირდებათ ადამიანური გარდაქმნა, მათთვის საჭიროა დღეს შეიქმნას ანბანი, მწერლობა, განათლება, რასაკვირველია, ქართველ ერს ეს არ სჭირდება. მას სჭირდება, რომ დაუბრუნდეს ის, რაც საუკუნეებით წართმეულია, რომ მას მიეცეს საშუალება, რომ განავითაროს და გააძლიეროს ის დიდი ნამემკვიდრი, რომელიც გადმოცემული აქვს წინაპრებისაგან, რომელიც შემუშავებულია და შენახული საუკუნეების მანძილზე.

გუშინ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყველა ჩვენი მწერალი თითქმის, რომელთაც ჩვენ კლასიკებს ვეძახით, რომელთა გამოცემისთვის ზრუნავს და კიდევ უფრო უნდა ზრუნავდეს ჩვენი სახელმწიფო გამოცემლობა, რომ ეს მწერალნი იყვნენ წარმომადგენელნი თავად-აზნაურობის, მაგრამ ამავე დროს აღიარებული იყო აგრეთვე, რომ ამ მწერალთა შემოქმედების ნაყოფი თითქოს მიუღებელია პროლეტარიატისათვის და დღევანდელ დღისათვის. ეს მწერლები წარმოდგენდნენ იმ წოდებას, რომელიც დღეს განადგურებულია და აღკველია დედამიწის ზურგიდან, მაგრამ არავის არა აქვს უფლება სთქვას, რომ ისინი ემსახურებოდნენ

იმ წოდებას და არა ერს, ერის უმრავლესობას, იმას, ვინც შეადგენს ერის არსებობას. და მათი სიდიადე, ჩვენი კლასიკოსთა სიდიადე იმაში არის რომ მათ მთელი თავისი მოქმედებით დაგვეს ის წოდება, საიდანაც წარმოიშვნენ და თავის ნიჭი მოანდომეს ხალხის სამსახურს.

საკმარისია მოვიგონოთ მწერალი ილია ჭავჭავაძე. რა დარჩა საერთოდ იმ წოდებიდან, რომლის წარმომადგენელი ის იყო? მოვიგონოთ „ოთარაანთ ქვრივი“, „კაკო ყაჩაღი“, სადაც ის ამბობს: „თავადიშვილი კარგი რა არის, ცუდი რა იყვეს“; მისი „მესმის, მესმის“, „პარიზი“ და მრავალი სხვა ნაწერი. აი, ეს საკმარისია მოვიგონოთ, რომ გამოვიყენოთ დებულება, რომ ამ მწერალთა ნაწარმოები არ შეიძლება უარყოფილ იყოს დღევანდელ დღეს, რადგან ის გადმოგვცემს სწორედ იმ ხალხზე ზრუნვას და სამსახურს, რომელსაც თავის მიზნად და ერთადერთ დიად მიზნად ისახავს დღევანდელი ხელისუფლება“...

ერთი სიტყვით, მომხსენებლის დებულება --- „აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე და სხვები ეკუთვნოდნენ მაღალ თავად-აზნაურობას, და ხალხის ინტერესები სინამდვილეში მათ არ სწამდათო“, — გაკრიტიკებულ იქნა. კრიტიკული იყო კ. გამსახურდიას გამოსვლაც.

აი, რას ამბობდა იგი ამ ყრილობაზე: „ჩვენს შორის, მართალია, იყო სადავო საკითხები, სადაც ხშირად რკინის ცოცხიც მოგვხვედრია: ჩვენ არ გავბუტულვართ, მაგრამ თუ განზე ვიდექით ეს იმიტომ, რომ დაკეტილ კარებში ვერ შევიპერით, საბჭოთა მთავრობასა და ჩვენ შორის არ იყო სრული კონტაქტი. რა იყო ამის მიზეზი? აქ ფარისევლობა იქნება ქართველი მწერლის მიერ, რომ სათქმელი არ გვეთქვა, მართო ის გარემოება, რომ კაცი გაკადნიერდება და თავს უწოდებს ქართველ პოეტს, ეს სახელი გვავალებს უწინარეს ყოვლისა პატრიოტიზმს და კეთილშობილებას და ჩვენში თუ ცილობა შეიქნა მხოლოდ და მხოლოდ მისთვის, რომ ქართველ მწერლების ნაწილის მიმართ იგნორაცია იყო. ჩვენ არ შეგვეძლო გულგრილად გვეცქირა, თუ როგორ იხაგრებოდა ქართული ენა და ზოგან დღესაც იხაგრება. და უნდა გითხრათ მართალი, რომ ჩვენ ვერც იმას შევხედებოდით გულდამშვიდებით, რომ სამურზაყანოში მეგრულ ბავშვებს ქართულად არ ასწავლიდნენ და ამაზე ვერც ვერავის მოვერიდებით. ჩვენ აქ გვეკითხებიან: მოგწონთ თუ არა წითელყაბალახიანი საქართველოვო. საქართველო რა ფერისაც უნდა იყოს, ჩვენ გვიყვარს. მას ვერ გავექცევით და აქ საყვედურები გადაჭარბებულია და ეს არის შედეგი სწორედ იმ სიმწარისა, რომელიც დღემდე არღვევდა საქართველოს გულს.

მე მოგახსენებთ, რომ ჩვენი კულტურის არსებობის მთავარი საკითხი არის ქართული კულტურის ჰეგემონია საქართველოში. ეს არ არის არც შინაური ემიგრაცია, არც „კონტრ-რევოლუცია“. ეს იგივეა, რაც გუშინ ბრძანა მომხსენებელმა, მხოლოდ სხვანაირად თქმული...

ძველი ქართველი მწერლები არისტოკრატიული წრიდან იყვნენ, მაგრამ თავის ნიჭით ემსახურებოდნენ დემოკრატიას. თქვენ მოგახსენეს ილია ჭავჭავაძეზე და მთელი პლეადა მწერლებზე, რომელთაც ხელოვნება არასოდეს თავისი კლასის საკეთილდღეოდ არ გამოუყენებიათ...

მე მოგახსენებთ, ქართული კულტურის პეგემონიისათვის: ეს არის ჩვენი პროგრამა მაქსიმუმი. ამას იქით ჩვენ არ მივდივართ, თუ საქართველოს ხელისუფლება გვეტყვის, რომ ეს არ შეიძლება, ეს უმართებულო იქნება. მაგრამ იგი მას ვერ იტყვის, ვინაიდან საქართველოს მთავრობის ყოველ ბლანკს აწერია სიტყვა „საქართველო“. საქართველოში პრიმარული მნიშვნელობა უნდა ქონდეს ქართულ სიტყვას, ქართულ წიგნს. ამის გარშემო მე არ ვიტყვი, რომ ცილობა იყო, მაგრამ გაუგებრობა ბევრი წარმოშობილა. თუ პატივცემულ ფილიპე მახარაძის დაპირების რეალიზაცია მოხდება, თავისთავად ცხადია — ჩემთვის წითელყაბალახიანი საქართველო ისეთივე მისაღები იქნება, როგორც საქართველო, იმიტომ რომ ჩვენ მწერლები ვართ და არ ვცდილობთ ესა თუ ის ხელისუფლება შევცვალოთ, არამედ ჩვენ პატივს ვცემთ ქართულ ხელისუფლებას რა ფერის, რა მიმართულების მატარებელიც არ უნდა იყოს იგი. იმედს გამოვთქვამ, რომ ამხ. ფილიპე მახარაძის დაპირებანი, და ჩვენ ვფიქრობთ, ეს საბჭოთა საქართველოს მთავრობის დაპირებაა, — საფუძვლად დაედება ჩვენი ყრილობის მუშაობას“.

აკადემიურ ჯგუფს ან უფრო ზუსტად სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს პრეტენზია ჰქონდა „ეტვირთა ეროვნული მწერლობის დაცვა“. ეროვნული პრობლემა იყო მათი სიტყვების ამოსავალი პრინციპი. ეს პოზიცია ყრილობაზე კ. გამსახურდიასთან ერთად ვრცლად დაასაბუთა პავლე ინგოროყვამ:

„მოქალაქენო! მე აქ გამოვდივარ, როგორც წარმომადგენელი იმ ორგანიზაციისა, რომელიც დღემდე ატარებდა „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის“ სახელს, და რომელიც დღეიდან შედის გაერთიანებულ მწერალთა ორგანიზაციაში, როგორც მისი ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი.

მე არ ვფიქრობდი აქ აღძრულ საკითხებზე გამოსვლას, მაგრამ ძველი მწერალთა კავშირის საწინააღმდეგოდ აქ ბევრი რამ ითქვა, რის გამო, მე იძულებული ვხდები გამოვიდე აქ, როგორც ერთი, პასუხისმგებელთაგანი ძველი მწერალთა კავშირის მუშაობისა.

ხელისუფლების წარმომადგენელი მოგვიწოდებს ჩვენ გულწრფელობისაკენ. აქ ითქვა, რომ ჩვენ გამოსვლებში დიპლომატიას ვეწეით. მაგრამ ეს არ არის მართალი, დიპლომატია აქ არაფერ შუაშია. შეიძლება გულახდილობა არ არის პირველი სათნოება პოლიტიკაში, მაგრამ

ჩვენ აქ არ ვაკეთებთ პოლიტიკას; და თუნდაც ეს ასე არ ყოფილიყო; რა აზრი ექნებოდა აქ დიპლომატიას, როცა ჩვენ საკმაოდ ახლო ვიცნობთ ერთმანეთს.

მე შევეცადები ვიყვე აქ ბოლომდე გულახდილი და მოგახსენოთ ჩვენი მწერლობის მთავარი ფრთის შესახებ.

რას წარმოადგენდა ძველი მწერალთა კავშირი? მწერალთა კავშირი რასაკვირველია არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია. იგი წარმოადგენს წმინდა ლიტერატურულ-კულტურულ დაჯგუფებას, მაგრამ თქმა იმისი, თითქო მწერალთა ფართე წრეები არ იყვეს დაინტერესებული პოლიტიკური ვითარებით, ეს რასაკვირველია არ იქნებოდა მართალი.

ძველ მწერალთა კავშირში მასიურად წარმოდგენილია უპარტიო შემოქმედი ინტელიგენცია. მაგრამ არ დაეფარავთ, რომ აქ არის ერთგვარი ნაციონალური „უკლონი“, ამ მწერლობას ახასიათებს ნაციონალისტურ აზრთა განწყობილება.

მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ეს არ არის ისეთი მომაკვდინებელი ცოდვა, ნაციონალური სულისკვეთების განმტკიცებას ქართველ შემოქმედ ინტელიგენციის წრეებში აქვს თავისი ახსნა და თავისი ისტორია. დაჩაგრული პატარა ერის ნაციონალიზმი — ნუ შეგვეშინდება ამ სიტყვის — ეს არის თავდაცვის იარაღი. ეს ნაციონალიზმი არ არის რეტროგრადული მოვლენა, იგი თავისი ბუნებით რევოლუციურია და რადიკალური. რად გავიწყდებათ, თუნდ ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთის პოლიტიკა საბჭოებისა, პატარა ერთა ნაციონალიზმს ემყარება. და თუ თქვენ არათუ აღმოსავლეთში, არამედ თვით რუსეთში შესაძლებლათ მიგაჩნიათ თანამშრომლობა უსტრიალოვისა, რა გახდა აქ ჩვენში, რად არ შეიძლება ასეთი დამოკიდებულების დამყარება ქართულ ნაციონალისტურ ინტელიგენციასთან.

ჩვენ გვაბრალებენ საბოტაჟს. მაგრამ ეს არ არის მართალი. ჩვენ თავიდანვე ვმუშაობდით და ვმუშაობთ ქართული კულტურის ასპარეზზე, სადაც არის ჩვენი პირდაპირი მოწოდება. ეს არ არის ლიტონი სიტყვა. ამას ადასტურებს ფაქტები. მართლაც მოიგონეთ რა გააკეთა ჩვენმა კავშირმა.

მან დააარსა მთელი რიგი კულტურულ დაწესებულებათა;

ჯერ ერთი, მან დააარსა ხელოვნების სასახლე, რომელიც გახდა კერა კულტურული საქმიანობისა. მანვე დააარსა აგრეთვე სალიტერატურო სექცია (ლიტო), რომლისაგან შემდეგ ჩამოყალიბდა სახელმწიფო გამომცემლობა. შემდეგ, მწერლების თაოსნობით და მონაწილეობით შედგა აგრეთვე ხელოვნების მთავარი საბჭო, რომელიც უძღვება ხელოვნების დარგს — რესპუბლიკის მასშტაბით.

ამას გარდა, ქართველი მწერლები აწარმოებდნენ ინტენსიურ ლიტერატურულ მუშაობას. გარდა ცალკე გამომცემებისა ქართველი მწერ-

ლების ინიციატივითა და საქმიანობით გამოდიოდა მთელი რიგი პერიოდული ორგანოებისა: ჟურნალი და გაზეთი „ლომისი“, ჟურნალი „ხომალდი“, ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“, ჟურნალი „ილიონი“; გაზეთები: „ქართული სიტყვა“, „ბახტრიონი“, „ლაშარი“, „რუბიკონი“. დასასრულ, ამავე კავშირმა დააარსა ევროპული ტიპის ჟურნალი „კავკასიონი“ და „ახალი კავკასიონი“. აი, ჩვენი მუშაობა (ხმა ადგილიდან: მოხსენებები?). დიახ, გარდა ამისა, ჩვენი ხელოვნების სასახლეში იკითხებოდა მთელი რიგი მოხსენებები ლიტერატურის, ხელოვნების და კულტურის საკითხებზე.

ასეთი იყო ჩვენი მუშაობა. და ჩვენ გვინდა მომავალში კიდევ მეტის ინტენსივობით ვაწარმოოთ ეს მუშაობა ქართული კულტურის აღორძინებისათვის. გვინდა შევექმნათ ნიადაგი, რომ შესაძლებელი იყვეს ამ მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება. ამ მხრივ. ამ გაერთიანებულ ყრილობას მწერლებისას, რომლის ორგანიზაციაში ჩვენს კავშირსაც მიუძღვის წილი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენ გვინდა ამოიწუროს ძველი გაუგებრობა, რომ შესაძლებელი გახდეს ჩვენი კულტურული საქმიანობის გაღრმავება. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ იმ სფეროში, რომლისთვისაც პირდაპირ მოწოდებულნი ვართ, ქართული მწერლობისა და ქართული კულტურის წინსვლის საქმეზე. დეკლარაციების ხანამ უკვე განვლო, და ეს დღეს არავისთვის არ უნდა იყვეს არც საჭირო და არც საინტერესო.

ჩვენი ყრილობის წინაშე დგას მთელი წყება წმინდა საქმიანი ამოცანებისა და აი ამას უნდა მიექცეს ყურადღება. ყრილობა ამ საქმიანი ხაზით უნდა წავიდეს. რა გვაქვს ჩვენ გასაკეთებელი? შეიძლება ის საკითხები, რომელთაც მე ჩამოვთვლი ცალ-ცალკე პატარა საკითხებია. მაგრამ ისინი ერთად აღებული ქმნიან იმ დიდ ჯამს, რომელსაც ქართული კულტურა ეწოდება.

რა გვესაჭიროება ჩვენ?

ჯერ ერთი, პირველ რიგში საჭიროა ქართული საგამომცემლო საქმის მოგვარება. საჭიროა მკვიდრ ნიადაგზე დაყენება სახელმწიფო გამომცემლობისა. ქართული წიგნის მსვლელობის რადიუსი ძალიან მცირეა და აქ მიუცილებელია ერთგვარი პროტექციონიზმი სახელმწიფოს მიერ.

მორიგი ამოცანაა აგრეთვე მწერალთა კავშირთან დაარსება ქართული სიტყვის ინსტიტუტისა, რომელსაც ექნება სამეცნიერო გამოკვლევითი ხასიათი. ქართულ მხატვრულ სიტყვასთან დაკავშირებული პრობლემები სრულებით შეუსწავლელია; ასეთი ინსტიტუტის დაარსების საჭიროება უკვე სავსებით მომწიფებულად უნდა ჩათვალოს და ამ საქმის გასაძლიერად სათანადო ძალებიც მოეპოება მწერალთა კავშირს.

მორიგ საკითხს წარმოადგენს აგრეთვე ქართული ენის აკადემიური

ლექსიკონის გამოცემა. პირდაპირ ნაციონალურ სირცხვილად უნდა ჩაითვალოს, რომ ასეთი ლექსიკონი დღემდე არ მოგვეპოვება. საჭიროა შედგეს სათანადო კოლეგია როგორც მწერალთა კავშირის, ისე სამეცნიერო ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობით, რომლებიც შეასრულებს ამ მორიგ მუშაობას.

მწერალთა კავშირმა და, კერძოდ, ქართული სიტყვის ინსტიტუტმა, რომელიც მწერალთა კავშირთან უნდა დააარსდეს, უნდა იზრუნოს ქართული ენის განწმენდისათვის. ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმები არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული. ყველა გამოცემებში და განსაკუთრებით ყოველდღიურ პრესაში ადგილი აქვს ქართული ენის სისტემატურ დამახინჯებას. ამ გარემოებას ქართულმა მწერლობამ უნდა გაუწიოს ანგარიში და იზრუნოს ქართული ენის სიწმინდისათვის.

ამას გარდა, არის მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ მოგვარებას. ასეთია მაგალითად: ქართული ზეპირი სიტყვიერების შეგროვება. ახალი ყოფის განმტკიცებასთან ერთად ზეპირი სიტყვიერების ნაშთები დავიწყებას ეძლევა. არაა აქ საჭირო სიტყვის გაგრძელება იმის შესახებ, რომ ქართული ზეპირი სიტყვიერების გამოქვეყნება განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავს არა მარტო მეცნიერებისათვის, არამედ პირველ რიგში მხატვრული მწერლობისათვის. ამ მხრივ მწერალთა კავშირს უნდა მიეცეს საშუალება ამ დიდი საქმის შესასრულებლად.

ასეთია ის პრაქტიკული საქმიანი ამოცანები, რომლებიც პირველ რიგში დგას ქართული მწერლობის წინაშე. ჩვენი ყრილობის მუშაობა — აი ამ საქმიანი ხაზით უნდა წავიდეს, დეკლარაციები აქ ზედმეტია. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩვენი კავშირი თავიდანვე იდგა თანამშრომლობისა და საქმიანი მუშაობის გზაზე და ჩვენ გვინდა გავაგრძელოთ ეს საქმიანობა ქართული კულტურის აღორძინებისათვის.

ჩვენ დავგრძენია გამოვსთქვათ იმედი, რომ ის გარკვეული ეროვნული ელფერი, რომელიც გადაჰკრავს ქართველი შემომქმედი ინტელიგენციის უმრავლესობას, არ დაუშლის ამას ხელს. ჩვენ ერთხელ კიდევ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ხელმძღვანელი პარტია პატარა ერებს ნაციონალურ საკითხზე ამყარებს მთელ თავის პოლიტიკას აღმოსავლეთში. ვფიქრობთ, რომ ეროვნული მიდრეკილება, რომელიც ემჩნევა ქართველ შემომქმედ ინტელიგენციას, არ იქნება ხელის შემშლილი იმისა, რომ დამყარდეს კონტაქტი ქართულ ლიტერატურას და ხელისუფლებას შორის კულტურულ საქმიანობაში. ინტენსიური მუშაობა ქართული კულტურის აღორძინებისათვის საქმით და არა დეკლარაციებით, აი აქ არის პირდაპირი დანიშნულება ქართული მწერლობისა და მწერლობა ამ ვალს ღირსეულად შეასრულებს“.

ამ ყრილობაზე პარტიის სალიტერატურო პოლიტიკაზე ვრცლად შეჩერდა და ყრილობის მუშაობა ერთგვარად შეაფასა ვალია ბახტაძემ; ქვემოთ ჩვენ მოვიყვანთ ადგილებს მისი სიტყვის სტენოგრაფიულა ჩანაწერიდან:

„აქ მოლაპარაკენი იწყებდნენ თავის სიტყვას პოლიტიკით და ათავებდნენ ლიტერატურით. მე მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა ჭერ ლიტერატურის შესახებ და შემდეგ გადავიღე პოლიტიკაზე... ფუტურისტების წარმომადგენელი აქ გასაგები ერთ ლაპარაკობდნენ, ე. ი. მათი ენა ჩვენ გავიგეთ; საუბედუროდ, ისინი ასეთივე ერთ არ სწერენ (ჩიქოვანი: თქვენს უურნალში ვწერთ მაგ ერთ). ჩვენი თხოვნაა: სწერონ ისე, როგორც ლაპარაკობენ (ბესო ჟლენტი: სეით დევდარიანის განმეორება არის მაგ.). მხოლოდ სანამ ამხანაგები ჟლენტი, ჩიქოვანი, ყანგო და სხვები განაგრძობენ წერას ისეთივე ერთ, როგორც აქამდე, ჩვენ მათ ვერ მივიღებთ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავის თავს მემარცხენეებად და საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის უდიდეს მეგობრებად აცხადებენ. ჩვენი უმთავრესი მოთხოვნა არის ლიტერატურისადმი, რომ ის ენა, რომლითაც იწერება ლექსი, რომანი თუ სხვა რაიმე, იყოს გასაგები მათთვის, ვისთვისაც ის იწერება... თუ თქვენ, მემარცხენე ამხანაგებო, განაგრძობთ წერას ისე როგორც აქამდე, როგორც გინდათ ისე სწერთ, მხოლოდ მაშინ უმჯობესია თქვენი ნაწერები ერთიმეორეს უკითხოთ! რალას ბექლავთ?! მაგრამ მე დარწმუნებული ვარ მაშინაც ვერ გაუგებთ ერთი მეორეს (ტაში და სიცილი); ასე, რომ ჩვენი მოთხოვნაა — გასაგები ერთ სწეროთ. სწეროთ ქართულ ენაზე, მხოლოდ თქვენი ქართული უნდა იყოს გასაგები მკითხველისათვის. როდესაც თქვენ სცემთ გაზეთებს ან სხვა გამოცემებს, რომელთა სახელწოდებაც გაუგებარი არის, ეს მიუღებელია ჩვენთვის, ვინაიდან ნაწერი უნდა გაიგოს მან, ვინც კითხვა იცის (ხმა ფუტურისტების ადგილიდან: და ვისაც შესწევს ძალა ნაწერი წაკითხოს და გაიგოს). მე ქართული ენა ვიცი, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ თქვენი ნაწერი ჩემთვის ხშირად გაუგებარია (ხმა ფუტურისტების ადგილიდან: გულწრფელი არა ხართ, ამხანაგო ვალია); მე აქ ვლაპარაკობ იმ პარტიის სახელით, რომელსაც მიზნად დასახული აქვს მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვა და თუ თქვენი ნაწერი არ იქნება მისთვის გასაგები, თქვენ შეგიძლიათ, ამხანაგებო, პარტიული მანდატიც მიიღოთ, მაგრამ მიუხედავად ამისა თქვენი ნაწერი არ იქნება მშრომელი ხალხისათვის მისაღები, მაშასადამე ჩვენთვისაც, რადგან ჩვენს უბრალო საანბანო მოთხოვნალებს ვერ ასრულებთ. ვიმეორებთ: ეს მოთხოვნა არის სწეროთ ისე, როგორც ლაპარაკობთ. შეიძლება თქვენი დამოკიდებულება ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებთან სხვა

იყოს. შეიძლება ჩვენ ზოგიერთ რამეებში კიდევაც გავიზიაროთ თქვენი შეხედულება, მაგრამ სანამ თქვენი ნაწერი არ იქნება დაწერილი გასაგები ენით, მანამ თქვენ ჩვენთან საერთო არაფერი გექნებათ. კომპარტიის უპირველესი მოთხოვნილება არის — ლიტერატურული ნაწარმოები იქნეს დაწერილი ფართო მასებისათვის გასაგები ენით (ბ. ჟღენტო: ზომლეთელი გასაგებ ენაზე სწერს?). იმდენად, რამდენადაც ის გასაგებათ და ნიჭიერად სწერს — ეს ჩვენთვის მისაღები იქნება. უნდა განვაცხადო, ზომლეთელს იმდენი დამსახურება აქვს ქართული ლიტერატურის წინაშე მართო ერთს, რამდენიც მთლიანად თქვენს ჯგუფს არა აქვს ჯერ კიდევ (ლოლობერიძე: ჩვენს წინააღმდეგ გამოდიხართ, თუ მოხსენების ირგვლივ?). მე ორიოდ სიტყვა უნდა მეთქვა ფუტურისტების შესახებ და წარმედგინა მათთვის ის მოთხოვნილება, რომელსაც კომუნისტური პარტია საერთოდ უყენებს ლიტერატურას და ეს გაიგოს ყველამ, ეს გაიგეთ კერძოდ თქვენც!

მე ახლა მინდა ხაზი გაუსვა ამხანაგ გამსახურდიას გამოსვლას, რადგან ვფიქრობ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას გამოსვლა იყო ყველაზე უფრო, ასე ვთქვათ, გულახდილი... ის ამბობს, რომ როდესაც ზარბაზნები გრგვინავენ, მუზა სდუმსო, ამაში მე შეიძლება ვეთანხმები მას, მაგრამ ფაქტია, რომ ძნელია მოინახოს ისეთი ერთი ქართველი მწერალი, რომელიც პოლიტიკისადმი სრულიად ინდიფერენტული იყოს. არ არიან, ამხანაგებო, მართალი ის კალმის მუშაეები, რომლებიც მხოლოდ „მწერლობით“ ფიქრობენ შემოფარგლონ თავისი მოქმედება. არ ხდება ეს ასე. ქართული ლიტერატურის ისტორიამ არ იცის, თითქმის არც ერთი შემთხვევა, რომ ქართველი მწერალი შემოფარგლულიყოს მართო უპოლიტიკო „მწერლობით“ და ეს, თუ გინდათ, დადებითი მხარეც არის ქართველი მწერლისა; აქ გამსახურდია ამბობს, რომ მისი მუზა სდუმდა, როდესაც რევოლუციის ზარბაზნები გრგვინავდნო. მაგრამ როდესაც ზარბაზნების ქუხილის შემდეგაც სდუმდა გამსახურდია და ეს დუმილი იყო ერთგვარი სიმპატია სხვა რამესი, ეს რას ნიშნავდა? რევოლუციის ინტერესების მიხედვით ეს, რასაკვირველია, ცუდია (გამსახურდია: მე ამ ხუთ წელიწადში არ ვსდუმვარ). ჩვენ ვუთხრათ ერთმანეთს სიმართლე. თქვენ არ სდუმდით იმგვარად, როგორც არ სდუმდით ყურნალ „ილიონში“. და ეს „არდუმილი“ რევოლუციისათვის ჯარისი იყო, ვიდრე თქვენი დუმილი. ყოველშემთხვევაში თქვენ ისე არ სდუმდით, როგორც ამას მოითხოვდა ჩვენი რევოლუცია. აქ ერთი ამხანაგი ამბობდა, ჩვენ ვამართლებთ საფრანგეთის რევოლუციას, რომელმაც თავი მოჰკვეთა ლავუაზიესო. რევოლუციას ვამართლება არ სჭირდება. მაგრამ ლავუაზიეს თავიც ისეთი ძვირფასია, რომ არც ისე იოლად უნდა მოვეპყრათ ამ ფაქტს. ეს თავი რევოლუციასთან ერთად უნდა იყოს.

მე ვამბობ — თუ გინდათ წერა, ამისათვის საქართველოში დღეს საუკეთესო პირობები არის. არასოდეს არ ყოფილა ასეთი პირობები. არ ყოფილა ისეთი შესაძლებლობანი, რომ ქართველ მწერალს თავის შემოქმედება ქალაქებში გადაეტანოს, როგორც ეს არის დღეს. იმ საყვედურს, რომ მწერალს საქართველოში წიგნის დაწერა არ შეუძლია — ჩვენ უკანვე ვუბრუნებთ ამის მოქმელთ, რადგან ეს მართალი არ არის.

ჩვენ ვფიქრობთ, პარტია ფიქრობს, ყოველ შემთხვევაში მას გულწრფელი სურვილი აქვს, რომ დღევანდელი ჩვენი ყრილობა რამოდენიმედ მაინც, მას სრულებით ამის მოსპობა არ შეუძლია, რამოდენიმედ მაინც შესძლებს, დაეარქვათ ამას ეხლა გაუგებრობა, იმ გაუგებრობის მოსპობას, რომელიც არსებობდა და არსებობს ქართული მწერლობის ერთ ნაწილსა და ხელისუფლებას და პარტიას შორის. ჩვენ უდიდესი სურვილი გვაქვს ამის, მაგრამ რევოლუციის პოზიციებს ჩვენ არავის არ დაუთმობთ. ეს ყველამ იცოდეს (გამსახურდია: არ გელაგებთ). ამ საკითხში ჩვენ არავითარ დათმობაზე არ წავალთ. სხვა საკითხებში კი უდიდეს დათმობაზე წავსულვართ. ჩვენ მზად ვართ ლიტერატურის ფარგალი, რომელიც არსებობს ჩვენში, არ შევავიწროვოთ ოდნავადაც. მხოლოდ არის ერთი უმთავრესი საკითხი, ამაში ნუ შემოგვედავებით. თქვენ შეგიძლიათ იფიქროთ, რომ ჩვენ ვცდებით, მაგრამ, როგორც გუშინ ამხანაგმა ფილიპემ მოგახსენათ — ჩვენი პარტია დარწმუნებულია, რომ სხვა გამოსავალი კაცობრიობას და, კერძოდ, საქართველოს არა აქვს ბრწყინვალე მომავლისათვის... მე ვუსურვებ ქართულ მწერლობას, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ აქ მწარე ბევრი რამ ვუთხარით ერთმანეთს, მაგრამ ეს საჭირო იყო. ვისურვებ, რომ 21 თებერვალი 1926 წლისა შევიდეს საქართველოს მწერლობაში, როგორც დღე საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისა და ქართული მწერლობის გაერთიანებისა“.

საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლისთავს. ამ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო ყველა მიმდინარეობა, რომელიც კი ამ წლებში არსებობდა. ყრილობაზე ძველი და ახალი თაობის, სხვადასხვა ლიტერატურული სკოლისა და ჯგუფის წარმომადგენლები გამოვიდნენ სიტყვებით, დეკლარაციებით, სცადეს თავიანთი ლიტერატურული სკოლის პრინციპები დაეცვათ, მაგრამ მაინც ქართული მწერლობის კონსოლიდაციისა და სოციალისტურ მშენებლობასთან მწერლობის დაახლოვების საქმეში ყრილობა ერთსულოვანი იყო; სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„დღეს საბჭოთა საქართველოს ხუთი წლისთავზე, როცა ჩვენში

ბოლო ელება ყოველგვარ პოლიტიკურ გაუგებრობას, როცა რესპუბლიკა დგება ნორმალური ცხოვრების მტკიცე კალაპოტში, და როცა ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური ინტერესები დაბეჭიდებით მოითხოვს ერის ყველა აქტიური ძალების ჩაბმას მშვიდობიანი შრომის საერთო ფერხულში, — ქართველი ინტელიგენციის მოვალეობაა მომავალშიაც ატაროს ქვეყნის სამსახურისათვის აღმართული დროშა, რომელიც დღეს ხელში აქვს პროლეტარიატს და გლეხკაცობას.

აღიარებს რა საბჭოთა ხელისუფლებას იმ უპირველეს ფაქტორად, რომელიც მრავალ საშუალებას იძლევა ერის წინსვლისა და კულტურული განვითარებისათვის, ქართული მწერლობა, როგორც გამომხატველი ხალხის სურვილებისა და მ.ს.წრაფებების, დაკავშირებული ისტორიულად მშრომელი ხალხის საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლასთან, ამ შემთხვევაშიაც ვალდებულია სათავეში ჩაუდგეს საქმეს ერის ინტერესთა რეალურად გაგებისას და მოუწოდოს ქართველი ხალხის ყველა წრეს, კერძოდ, ქართველ ინტელიგენციას, საბჭოთა ხელისუფლებასთან მკიდროდ დაკავშირებისაკენ.

ყრილობა გამოთქვამს იმედს, რომ ის დიდი საქმიანი შეხვედრა, რომელიც მოხდა 21 თებერვალს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების პასუხისმგებელ წარმომადგენლებთან და ქართველი მწერლების ორგანიზაციულად შეკავშირებულ ძალთა შორის, თავდები იქნება იმისა, რომ მთლიანი ხაზი ქართული კულტურულ-პოლიტიკური საქმიანობისა, რომლის მტკიცე საფუძველი ჩაიყარა 21 თებერვალს, მომავალში არ იქნება გამრუდებული და, თავიდან იქნება აცილებული ის მომენტები, რომელნიც ხელს შეუშლიან საერთო საქმიან თანამშრომლობას“.

1926 წლის 24 თებერვალს თბილისის საოპერო თეატრში მოეწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. საზეიმო საღამოში მონაწილეობის მისაღებად ყრილობამ აირჩია დელეგაცია ს. თორდიას, დ. კლდიაშვილის, ვ. ბარნოვის, ა. ჭუმბაძის, კ. მაყაშვილის და პ. იაშვილის შემადგენლობით.

ახლად არჩეულმა პირველმა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ 1926 წლის 1 ივნისს გამოსცა ჟურნალი „ქართული მწერლობა“, ჟურნალს რედაქტორობდა ნ. მიწიშვილი. პირველი ნომერი იხსნება მისივე წერილით: „დღეს „ქართული მწერლობა, — აცხადებს რედაქტორი, — იწყებს რეალიზაციას, რაც ლიტერატურის და პოლიტიკის მხრივ გამოთქმული იყო თებერვლის ყრილობაზე“...

შემდეგ, წერილში აღნიშნულია, რომ ყრილობაზე მოხდა ერთსულოვანი შეთანხმება საბჭოთა მთავრობასა და მწერლობას შორის, რომ

მწერლობა უფრო აქტიურად ჩაებმება საბჭოთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ხელს შეუწყობს რევოლუციის მონაპოვრის განმტკიცებას.

ჟურნალში თანამშრომლობდნენ: თ. სახოკია, ტ. ტაბიძე, ალ. არსენიშვილი, ს. ამალაბელი, ი. ვართაგავა, ს. ხუნდაძე, იოსებ იმედაშვილი, ვ. გაბესკირია, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, რ. ქორქია, ნ. ნაკაშიძე, ს. მგელაძე, მ. გარიყული (თათიშვილი-რატიანისა), ნ. ჩაჩავა, დ. კასრაძე, ნ. შენგელაია, შ. აფხაიძე, ს. მწვეელი (გაჩეჩილაძე), დარია ახვლედიანი, ვალერიან გუნია, თაგუნა (შარაშიძე), ცვარნამი (დ. მებუჟე), იასამანი (ი. კინწურაშვილი), ნარკანი (კურდღელაშვილი), ბაბილინა (ხოსიტაშვილი), პ. კეშელავა (თამაზ გორელი), ი. ქაჭვარაძე, ი. იოსელიანი და სხვ.

„ქართულმა მწერლობამ“ დიდი როლი შეასრულა ქართული მწერლობის კონსოლიდაციის საქმეში. ჟურნალის რედაქციამ შემოიკრიბა ქართული მწერლობის ყველა მოქმედი სასიცოცხლო ძალა და მთელი თავისი მუშაობა წარმართა მწერალთა ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

ამრიგად, პირველმა ყრილობამ ჰეშმარტად ისტორიული როლი შეასრულა — ქართული ლიტერატურის წინსვლა-განვითარებას მან მისცა ნათელი გეზი და პერსპექტივა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში სუსტად იყო განვითარებული მრეწველობა. მრეწველობის უაღრესად მნიშვნელოვანი დარგები — თუჯისა და ფოლადის წარმოება, მანქანათმშენებლობა — თითქმის სულ არ გაგვაჩნდა, ხოლო ქვანახშირის ამოღება, მიუხედავად მდიდარი საბადოებისა, ძალიან სუსტად წარმოებდა.

მსხვილი მრეწველობის შექმნა საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. ლენინური ნაციონალური პოლიტიკის მეოხებით საქართველო მსხვილი ინდუსტრიის განვითარების გზას დაადგა. ამას ხელი შეუწყო დიდმა დახმარებამ, რომელსაც საქართველოს იმთავითვე უწევდა საბჭოთა რუსეთი. ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, აგრეთვე მრავალი დიდი ფაბრიკა-ქარხნის აგება საქართველოში ამ დიდი ზრუნვის შედეგი გახლდათ.

საბჭოთა კავშირმა, მოკავშირე რესპუბლიკებმა, მათ შორის საბჭოთა საქართველომ, დიდი სიძნელეების მიუხედავად, იმის მეოხებით, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ხელში იყო შემოსავლის ყველა წყარო (ფაბრიკა-ქარხნები, ტრანსპორტი, ვაჭრობა), მოახერხეს უახლოეს დროში განეხორციელებინათ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა, რომელიც ჩვენმა პარტიამ დასახა. პარტიის XIV ყრილობის ტრიბუნი-

დან ამხანაგმა სტალინმა მტკიცედ მოითხოვა: „გადავაქციოთ ჩვენი ქვეყანა აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად, რომელსაც შეეძლება თავისი საკუთარი ძალებით აწარმოოს საჭირო მოწყობილობა, — აი რაშია ჩვენი გენერალური ხაზის დედაარსი, საფუძველი“.

საბჭოთა ხალხმა, რომელიც სოციალიზმის გზაზე წარმატებით სძლევდა ყველა სიძნელეს და ყოველგვარ წინააღმდეგობას, ჩაფუშა ჩვენი შინაური და გარეშე მტრების ვარაუდი და ქვეყანა მტკიცედ წაიყვანა წინ, ინდუსტრიალიზაციის გზით; მრეწველობის სწრაფ განვითარებასთან ერთად, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გამარჯვებამ ახლა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა, რომ აუცილებელი იყო სოციალისტური განვითარება სოფლის მეურნეობისა, რომელიც ამ წლებში საგრძნობლად ჩამორჩებოდა მრეწველობის განვითარების დონეს. პარტიამ კურსი აიღო საკოლმეურნეო მოძრაობის აღმავლობისაკენ, კოლექტივიზაციის პოლიტიკისაკენ. სოფლად დაიწყო მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა.

ქართული მწერლობის ძირითადი ბირთვი გვერდში ამოუდგა საბჭოთა ხელისუფლებას და მხატვრული სიტყვის საშუალებით ჩაება სოციალიზმის მშენებლობაში. ჩვენი ინტელიგენციის ძირითადი ნაწილი დაადგა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზას. ძველი ლიტერატურული თაობის ეს მობრუნება უფრო თვალსაჩინო და აშკარა გახდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ათი წლისთავზე. საკმარისია გავეცნოთ 1927 წლის ქართულ ყურნალ-გაზეთებს, რომ ამის დამადასტურებელი ფაქტები დავინახოთ. ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავს გამოეხმაურა იმ დროის ყველა მოწინავე მწერალი. მარტო ყურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა დიდი ოქტომბრისადმი მიძღვნილი ოცამდე ნაწარმოები, მათ შორის გ. ტაბიძის „1917 წელი“, ს. შანშიაშვილის „ლენინი ჯავშანოზე“, გ. ქუჩიშვილის „ოქტომბრისათვის“, რ. გვეტაძის „ოქტომბერი თბილისში“, დ. სულიაშვილის „ლენინი და ოქტომბერი“, ს. ჩიქოვანის „ოქტომბრიდან ოცდაშვიდამდის“, ა. მირცხულავას, კ. კალაძის, კ. ლორთქიფანიძის, ე. ზედგინიძის, ვ. გაბესკირიას, პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის და სხვათა ლექსები. „ქართული მწერლობა“, № 10 ასევე მიეძღვნა ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავს. დაიბეჭდა პ. იაშვილის „თივის ურბული“, ს. აბაშელის „1917 წელი“, დ. გაჩეჩილაძის „ათი წლისთავზე“ და სხვა. ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში ფართოდ ჩაება სამწერლო ინტელიგენცია.

უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი საბჭოთა სინამდვილესთან დაახლოებისათვის გადადგა საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობამ, რომელიც მოიწვიეს 1928 წელს. ამ ყრილობაზე ჩვენი მოწინავე მწერლები უფრო მტკიცედ იღებენ გეზს საბჭოთა სინამდვილესთან დაახლოებისა-

კენ. ეს ნათლად გამოჩნდა თუნდაც ალ. აბაშელის მაგალითზე, რომლის შემოქმედებაში ადრე აშკარად იგრძნობოდა არასაბჭოური განწყობილება; ამ ყრილობის შემდეგ კი ალ. აბაშელი წერდა:

„საქართველოს მწერალთა კავშირის მეორე ყრილობამ ცხადყო ერთი დიდი მნიშვნელოვანი ფაქტი: რომ პირველი ყრილობის შემდგომ ორ წელიწადს არ ჩაუვლია უქმად და ქართველ მწერალთა ფართო წრეები ჩაბმულან კულტურული მშენებლობის იმ დიდ პროცესში, რომელიც ასეთის ინტენსივობით წარმოებს ჩვენს ქვეყანაში. პირველმა ყრილობამ გააერთიანა მწერალთა დამოუკიდებელი და ხშირად ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი დაჯგუფებანი და განელიძმა საერთო მუშაობამ დაუახლოვა ერთმანეთს მოქიშპე ჯგუფები... თუ პირველ ყრილობას ჰქონდა უადრესად დეკლარაციულ-ორგანიზაციული ხასიათი, მეორე ყრილობამ, დაასრულა საორგანიზაციო მუშაობა და ენერგიულად მოსინჯა მომავალი საქმიანობის პერსპექტივა“ („მნათობი“, 1928 წ., № 4).

საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობის მთავარი საკითხი იყო სოციალისტურ მშენებლობასთან საბჭოთა მწერლების დამოკიდებულების საკითხი. ამის გამო შენიშნავდა დემნა შენგელაია: „მწერლების ყრილობის მთავარი საკითხი, რომლის ირგვლივ ყველა ორატორი ტრიალებს, იყო თანამედროვეობის საკითხი. მწერალი თანამედროვეობის გარე ფიქციაა. თუ ის ეპოქის ტონუსსა და პულსაციას არ გრძნობს, თუ ის არ არის შვილი თავისი ეპოქისა და მისი ინტერესებისა, ის მოწყვეტილი იქნება დროის ყველა აქტუალურ საკითხს და ლიტერატურას გვერდით აუვლის“ („მნათობი“, 1928 წ., № 4).

ეს ნათქვამი იყო გადაჭრით და მტკიცედ. ავტორი სწორად განსაზღვრავდა მწერლის ყველაზე მთავარ ამოცანას.

* * *

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე დიდი კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა იმ შემოქმედებითმა თანამეგობრობამ, იმ ნაყოფიერმა ურთიერთზეგავლენამ, რაც ჩვენი მოძმე ერების ლიტერატურათა შორის თავიდანვე დამკვიდრდა და კეთილშობილურ ტრადიციად იქცა. ქართული საბჭოთა მწერლობა, ნაციონალური თვითმყოფობის საფუძველზე მტკიცედ დაადგა ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური მწერლობის გზას. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მ. გორკისა და ვ. მაიაკოვსკის შემოქმედების მნიშვნელობა ქართული საბჭოთა მწერლობისათვის. ამ ორი დიდი მწერლის ქმნილებებში ზოგი რამ შევიდა ქართული ყოფიდან, ქართული მსოფლმხედველობიდან;

იმავე დროს, მათ დიდად კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინეს ქართულ მწერლობაზე.

მაქსიმ გორკის სახელი ქართულ ლიტერატურას იმთავითვე მკიდროდ დაუკავშირდა. 1892 წელს, თბილისში, გაზეთ „კავკაზში“, დაიბეჭდა გორკის პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, გრძელდება მ. გორკის კეთილმყოფელი გავლენა: ამ გარემოებამ შეუწყო ხელი ჩვენში 90—900-იანი წლების რევოლუციური მწერლობის განვითარებას.

მაქსიმ გორკიმ, როგორც მხატვარმა, ყველაზე ტიპურად გამოხატა და იგრძნო რუსეთის მუშათა კლასის, სოციალისტური რევოლუციის ამ „დამკვრელი ბრიგადის“ საერთაშორისო როლი.

გორკიმ ნათლად დაინახა, რომ ახალ ვითარებაში, მეოცე საუკუნის გარეყრაზე რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა ევროპიდან რუსეთში გადმოინაცვლა და მისი მეთაური რუსეთის რევოლუციური მუშათა კლასი გახდა. რამდენადაც პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას რუსეთში საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა, არ შეიძლებოდა ამ მოძრაობის სწორუპოვარი მხატვარი გორკი მხოლოდ ნაციონალური, რუსული მოვლენა ყოფილიყო. და იგი, თავისი შემოქმედების ადრინდელი პერიოდიდანვე, სრულიად კანონზომიერად გახდა შთამაგონებელი ამ ახალი მოძრაობისა სხვა ქვეყნების ლიტერატურისათვის, და მათ შორის მაშინდელი რუსეთის იმპერიაში შემავალი საქართველოს მწერლობისათვის, სადაც დაირწა მისი ლიტერატურული მოღვაწეობის აკვანი.

აქ ერთი რამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს: როცა გორკის კეთილისმყოფელ გავლენაზე ვლაპარაკობთ — ეს როდი უნდა გავიგოთ გამარტივებულად და გაუბრალოებულად, როდი უნდა დავეწყოთ ძებნა პერსონაჟებისა თუ მხატვრული პასაჟების უშუალო პარალელებს. არა, ეს გავლენა მოჩანს XX საუკუნის ლიტერატურათა საერთო ხასიათსა და თვისებაში. ჩვენ რომ შევადაროთ ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“ გორკის „დედას“ ან სხვა რომელიმე ნაწარმოებს და, აქ პირდაპირი პარალელების ძებნა დავიწყოთ, ეს ამაო საქმე იქნება, მაგრამ „ტარიელ გოლუა“, როგორც მხატვრული ნაწარმოები განმსჭვალულია თავისი ეპოქის ყველაზე მოწინავე იდეებით, რევოლუციური მოძრაობის იდეებით, ისე როგორც გორკის „დედა“. აი რა აკავშირებთ მათ ერთიმეორესთან; სხვა მხრივ კი ტარიელ გოლუა სრულიად ეროვნული ხასიათია, აღმოცენებული ქართულ ნიადაგზე, ისევე როგორც რუსული ეროვნული ხასიათია ნილოვნა ან მისი შვილი პავლე ვლასოვი, მთავარი გმირები გორკის „დედასა“. ყველა მათ აერთიანებს დიდი იდეა რევოლუციისა, ინტერნაციონალური ძმობის, რამაც ერთი დროშის ქვეშ დარაზმა ჩვენი დიდი ქვეყნის ხალხები.

1928 წელს აღინიშნა მ. გორკის დაბადებიდან 60 წლისთავი. ქარ-

ბული საზოგადოებრიობა, ქართული მწერლობა, ქართული საბჭოთა პრესა ფართოდ გამოეხმაურა ამ მნიშვნელოვან თარიღს, ეურნალებმა — „მნათობმა“, „ქართულმა მწერლობამ“, „პროლეტარულმა მწერლობამ“, „დროშამ“ და გაზეთებმა — „კომუნისტმა“, „ზარია ვოსტოკამ“, „მუშამ“ და „ახალგაზრდა კომუნისტმა“ ფართოდ აღნიშნეს გორკის სამოცი წლისთავის იუბილე.

1928 წლის ზაფხულში გორკი თბილისში ჩამოვიდა. საბჭოთა საქართველომ გულთბილი შეხვედრა მოუწყო სახელგანთქმულ მწერალს. „მე ჩემს მეორე სამშობლოში, თბილისში — განაცხადა გორკიმ, — უკანასკნელად ვიყავი 25 წლის წინათ, 1903 წლის ივლისში. მაშინ ჩემთან ერთად იყვნენ ჩეხოვი და მხატვარი ვასნეცოვი“... დიახ, გორკი თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა საქართველოს დედაქალაქს, გორკიმ აქ ყოფნის დროს დაათვალიერა თბილისი, ზაპესი, ესტუმრა კოჭრის პიონერთა ბანაკს, დაესწრო თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომას, მწერალთა სახლში შეხვდა და ესაუბრა ქართველ მწერლებს. მას ყველგან უღრმესი სიყვარულითა და პატივისცემით ხვდებოდნენ. იმ დღეებში „მნათობი“ მ. გორკისადმი მიძღვნილ მოწინავე წერილში აღნიშნავდა: „მაქსიმ გორკი პროლეტარული ხელოვნების მართლაც უდავო ავტორიტეტია მთელს მსოფლიო ლიტერატურაში. მწერალი ცხოვრების ფსკერზე ჩაძირული მილიონებისა, მუშათა რიგებში მებრძოლი, მუდმივი თანამგზავრი ბოლშევიკური პარტიისა, ლენინის განუყრელი ამხანაგი, მსოფლიო მასშტაბის ხელოვანი — აი ვინ არის მ. გორკი. მ. გორკის იუბილე ზეიმიან პროლეტარული ხელოვნების, თვით პროლეტარიატისა, რომელმაც წარმოშვა უდიდესი, მსოფლიო ხელოვანი“.

მაქსიმ გორკის ნაწარმოებების თარგმნა ქართულ ენაზე დაიწყო თვით მწერლის ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისიდანვე. 1902 წელს მ. გორკის მოთხოვნების ქართული თარგმანი ცალკე კრებულის სახით გამოიცა. 1928 წელს, იუბილესთან დაკავშირებით, ქართულად ითარგმნა „არტამონოვების საქმე“ (თარგმანი ლ. ქიაჩელისა), „ქარიშხალა“, „ფერია“ (თარგმანი ნ. ზომლეთელის), ადგილები წიგნიდან „მოგონებანი ლენინზე“ (თარგმანი დ. შენგელაიასი); „ქართული მწერლობა“ № 5, 1928 წ. ეს ნომერი მთლიანად მიეძღვნა მაქსიმ გორკის: გ. ტაბიძე — „მოგონება გორკიზე“, ლ. ა-ნი — ფაქტები მაქსიმ გორკის ცხოვრებიდან, მაქსიმ გორკის შეხვედრა ნინოშვილთან. ვ. რუხაძე — პატარა მოგონება, მაქსიმ გორკის თანამგზავრის ნაამბობი, ნ. ზომლეთელი — შევარდენსა და ქარიშხალს, კ. კაპანელი — მაქსიმ გორკის სოციალ-დემოკრატიული არე, ვარლამ რუხაძე — მაქსიმ გორკი, ალექსანდრე ქუთათელი — მაქსიმ გორკი, ლევან ასათიანი — მაქსიმ გორკი და ლენინი, ალი არსენიშვილი — დიადი ბროდიავა, მიხეილ ზანდუკელი —

მაქსიმ გორკი საქართველოში, ბაბილინა — გორკისათვის, ვახტახე გარია — მაქსიმ გორკი თეატრში. იმავე ხანებში გამოქვეყნდნენ „შრომამ“ და „სახელგამმა“ გორკის მოთხრობები ცალკე წიგნებად გამოსცეს.

ასევე, საქართველოში დაიწყო თავისი ცხოვრების გზა საბჭოთა ლიტერატურის მეორე დიდმა ოსტატმა — ვლადიმერ მაიაკოვსკიმ. იგი იყო მგზნებარე მომღერალი რევოლუციისა და მისი ლექსებისა და სიტყვის გავლენას მსოფლიო მასშტაბები ჰქონდა, მთელ კონტინენტებს სწვდებოდა; მაიაკოვსკის მებრძოლი ლირიკის გავლენის კვალი უდავოდ ატყვია ალიო მირცხულავას („აი, ადამიანი“) და სიმონ ჩიქოვანის ადრინდელ ლექსებს, რასაკვირველია აქაც, ისე როგორც აღვნიშნეთ მ. გორკის შესახებ, არ შეიძლება ვეძებოთ მოწაფური პარალელები, აქ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მწერლობის იმ მებრძოლ ხასიათზე, რომელიც მაიაკოვსკის პოეტურ სახელს უკავშირდებოდა. მაიაკოვსკი იყო აქტიური შემოქმედი, პოეტი, რომელიც მუდამ ცხოვრების ცენტრში იდგა. მაიაკოვსკისებურ ცხოვრებაში ღრმად შეჭრის საკითხი დიახაც იყო ჩვენი ახალგაზრდა საბჭოთა მწერლობისათვის გზის მაჩვენებელი. აქ მწერლის წინაშე გადაშლილი იყო დიდი თემები, დიდი მასშტაბები, უჩვეულო პოეტური სიტამამე და ნოვატორობა, რაც უხვად ჰქონდა მიმადლებული მაიაკოვსკის, როგორც შემოქმედს. მაიაკოვსკის ბრძოლა — ეს იყო ბრძოლა ნოვატორისა სტანდარტულობასთან, ეპიგონობასთან, არქაისტულობასთან. ახალგაზრდა ქართული საბჭოთა მწერლობა იყენებდა ამ გამოცდილებას, იღებდა მას როგორც მაგალითს.

ვლ. მაიაკოვსკის ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მწერლებთან. იგი ხომ საქართველოში დაიბადა და 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის გავლენა აქ განიცადა; პოეტი შემდგომშიც ხშირი სტუმარი იყო საქართველოსი, თბილისში იგი აწყობდა დიდ ლიტერატურულ საღამოებს. დამახასიათებელია ერთი შტრიხი: ვლ. მაიაკოვსკი ამ საღამოებზე, თავის ლექსებთან ერთად, დიდის მგზნებარებით კითხულობდა ქართულ ენაზე ბავშვობიდანვე დასწავლილ ი. ევდოშვილის ლექსს „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“...

ორი პოეტის შედარება ყოველთვის სახიფათოა, მით უმეტეს, ორი დიდი პოეტისა, რომელნიც თავიანთი შემოქმედებით მთელ ეპოქებს მოიცავენ. ვლადიმერ მაიაკოვსკი და ვალაკტიონ ტაბიძე ჰემმარიტად ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი, საოცრად ორიგინალური, განსხვავებული კონცეფციის, პოეტური ბუნების, მუსიკალური ხმებისა და ფერების მხატვრები არიან, ოღონდ მათ აერთიანებთ მე-20 საუკუნის რევოლუციებთან — 1905 წლის, 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციებთან განუყოფელი კავშირი. არის საერთო შტრიხები მათ ბიოგრაფიებშიც. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ მოწაფეობის წლებში,

1905 წლის ქარიშხლიან დღეებში, როგორც ქუთაისის რევოლუციური დემონსტრაციის მონაწილენი.

1900 წელს ვლ. მაიაკოვსკი ბალდათიდან ქუთაისში ჩამოუყვანიათ და კლასიკურ გიმნაზიაში ჩაურიცხავთ. ერთი წლით ადრე გალაკტიონ ტაბიძეც სოფელ ჭყვიშიდან ქუთაისში ჩამოუყვანიათ და სასულიერო სასწავლებელში მიუბარებიათ.

1905 წლის რევოლუციის ქუხილი და მარსელიოზას ხმები ქუთაისის ქუჩებსა და მოედნებს მოედო, სკოლებსა და თეატრებშიც შეიჭრა. გალაკტიონ ტაბიძე, ვლადიმერ მაიაკოვსკისთან ერთად, მონაწილეობდა დემონსტრაციაში და მუშებთან ერთად მღეროდა რევოლუციურ სიმღერებს — „მარსელიოზასა“ და იროდიონ ევდოშვილის ლექსს — „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“.

ვლადიმერ მაიაკოვსკი ასე იგონებს რევოლუციური ქუთაისის დღეებს: „გაჩნდა სიტყვა პროკლამაცია. პროკლამაციებს ქართველები ჰკიდებდნენ, ქართველებს კაზაკები ჰკიდებდნენ, ჩემი ამხანაგები ქართველები იყვნენ. მე შემადგდნენ კაზაკები... ქუჩებში სულ ერთიანად მარსელიოზას ჰანგები გაისმის“.

გალაკტიონ ტაბიძის პირად ჩანაწერებში რამდენჯერმე არის აღწერილი 1905 წლის რევოლუციის დღეები ქუთაისში, მოწაფეთა გამოხვედები... „აქ, ბაგრატიის ტაძრის ნანგრევებთან, ამხანაგების წრეში წავიკითხე ლექსი „პირველი მაისი“, — სიამაყის გრძნობით იგონებს პოეტი. ამრიგად, რუსეთის პირველი რევოლუცია ერთ საერთო გარემოში, ერთად განიცადეს ქუთაისის სკოლის მოწაფეებმა, შემდეგში რევოლუციის დიდმა პოეტებმა — ვლადიმერ მაიაკოვსკიმ და გალაკტიონ ტაბიძემ.

1906 წელს ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელსაც მამა მოულოდნელად გარდაეცვალა, ოქახთან ერთად, მოსკოვში გადადის საცხოვრებლად. ვლადიმერ მაიაკოვსკი ახლა მოსკოვში აგრძელებს არალეგალურ რევოლუციურ მოღვაწეობას...

1908 წელს გალაკტიონ ტაბიძე თბილისში ჩამოდის და სასულიერო სემინარიაში განაგრძობს სწავლას. რეაქციის მიერ დარბეული თბილისის, ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლევლობით ჭრილობამოუშუშებელი საქართველოს ეროვნული ტკივილები გალაკტიონ ტაბიძემ მწვავედ განიცადა. იგი ვერ შეეგუა სემინარიის რეაქციულ სულს, წინ აღუდგა მას. პოეტის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ბურსას ვერ შევეთვისე... ვცემდი რევოლუციურ ჟურნალს „შუქს“...“

1915 წელს გალაკტიონ ტაბიძე მიემგზავრება მოსკოვს, მაგრამ უსახსრობის გამო 1916 წელს უკან ბრუნდება და რევოლუციონერი ოკუპალების სიძე ხდება. 1916 წლის ბოლოს, გ. ტაბიძეს, მეუღლესთან — ოლღა ოკუპავასთან ერთად, მოსკოვში ვხედავთ. 1917 წლის

დასაწყისში მოსკოვიდან ბრუნდება ქუთაისს, თებერვლის რევოლუციის დღეებს და თვითმპყრობელობის ტახტის დამხობას გალაკტიონ ტაბიძე აქ. მიესალმა ცნობილი ლექსით... „ღროშები ჩქარა!“ სულ მალე პოეტი მიემგზავრება პეტროგრადს და სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული დღეების მოწმე ხდება.

1918 წელს იგი საქართველოში ბრუნდება და თბილისის კონსერვატორიის დარბაზში კითხულობს ლექსს „გემი დალანდი“, ამ ლექსიდან პირველად გაისმა ქართულ პოეზიაში ლენინის სახელი.

ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელსაც იმ ხანებისათვის უკვე განვლილი ჰქონდა დიდი სკოლა იატაკქვეშეთისა და არალეგალური ბრძოლისა, პირველი გამოარღვევს ფუტურისტების კორპორაციას და 1918 წელს გადაჭრით აცხადებს: „საჭიროა მივესალმოთ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და მოვნახოთ მასთან კონტაქტი... მე ხელს ვართმევ რევოლუციას, ჩემს რევოლუციას“... ვლადიმერ მაიაკოვსკი გახდა სწორუპოვარი მხატვარი, პოეტი-ტრიბუნი სოციალისტური რევოლუციისა, ფუქემდებელი და წინამძღოლი საბჭოთა სოციალისტური პოეზიისა...

როგორც აღენიშნეთ, 1922 წელს გალაკტიონ ტაბიძემ დააარსა თავისი ჟურნალი — „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, რომელშიც იგი გამოვიდა ლოზუნგით — „განახლება ან სიკვდილი“, ხოლო ამავე ჟურნალის ფურცლებიდან იგი კვლავ აცხადებდა: „საქართველოს ორმილიონიანი თვალით ვუცქერი ახალ 1923 წელს და ვამბობ: „გაუმარჯოს რევოლუციურ საქართველოს“; ერთი წლის შემდეგ პოეტი აქვეყნებს ცნობილ ლექსს „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“:

დაედგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი,
ახალ ვრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი.

ეს ლექსი გახდა მანიფესტი ქართული საბჭოთა პოეზიისა.

ვლადიმერ მაიაკოვსკი პირველად ფუტურისტების სამეფულით — დავით ბურდიუკი, ვასილ კამენსკი და მაიაკოვსკი — 1914 წლის 25 მარტს ჩამოვიდა თბილისში. თბილისიდან ქუთაისს გაემგზავრნენ. ვლადიმერ მაიაკოვსკი 1924 წ. 29 აგვისტოს კოტე მარჯანიშვილის მოწვევით კვლავ ჩამოვიდა — უნდა დაედგა „მისტერია ბუფ“. მესამედ — 1926 წელს ესტუმრა თბილისს და 26 თებერვალს რუსთაველის თეატრში გამართა საღამო — „ჩემს მიერ ამერიკის აღმოჩენა“. 27 თებერვალს კი იმავე თეატრში ლექსების წაკითხვისას თავი გამოაცხადა „პოეტური გემოვნების დირექტორად“. 1927 წელს მეოთხედ ჩამოვიდა თბილისში და 9 დეკემბერს საღამო გამართა რუსთაველის თეატრში,

მეორე დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართა პოეზიის საღამო.

მას დიდი მეგობრობა ჰქონდა ქართველ მწერლებთან და ხელოვნების მოღვაწეებთან: კ. მარჯანიშვილთან, ნ. შენგელიასთან, ნ. ვაჩხაძესთან, პ. იაშვილთან, ტ. ტაბიძესთან, ს. ჩიქოვანთან, ბ. ქლენტან, გ. ლეონიძესთან და სხვებთან.

გალაკტიონ ტაბიძე თავის წერილებსა და ლექსებში მუდამ დიდი პატივისცემით იხსენიებდა და მიმართავდა საბჭოთა სოციალისტური ლირიკის დიდოსტატს, ვლადიმერ მაიაკოვსკის. ცნობილ სტატიაში — „ლირიკა“ გალაკტიონ ტაბიძე წერს:

„ამ საუბრით მე მიემართავ ჩვენს მგზნებარე ახალგაზრდობას.

მიზანი ის არის, რომ გაღვივდეს მოზარდი თაობის გონებაში ინტერესი პოეზიისადმი... ესაუბრობ რა ლირიკის შესახებ, მე გვერდს ვუხვევ მის თეორეტიკას: ჩემი მუშაობა სავსებით შემოქმედებით სფეროს ეხება; როგორც პოეტი და მოქალაქე, მე შეძლებისდაგვარად ვემსახურები ხალხს და რევოლუციას.

ლექსების წერა მსუბუქი შრომა როდია: ეს საქმე, ნიჭის გარდა, შემეცნებას, გამომგონებლობას, გემოვნებას, ორიგინალობას და კიდევ განვითარებულ ტექნიკას მოითხოვს, რაც მიღწეულ იქნება — მხოლოდ შეურყეველი, შეუდრეკელი, შეუპოვარი, გულდადებული მუშაობის შემდეგ სიტყვაზე: „ერთადერთი სიტყვისათვის — ათასეული ტონები სიტყვიერი მადნის“ — ამბობს მაიაკოვსკი პოეტის მუშაობაზე“.

ეს გარემოება მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, როდესაც ვლადიმერ მაიაკოვსკისა და გალაკტიონ ტაბიძის ბიოგრაფიების მსგავსებაზე ესაუბრობთ. ზემოთაც აღენიშნეთ, აქ არ შეიძლება ვეძებოთ მოწაფური პარალელები, ფრაზებისა და სიტყვების დამთხვევა. არა, აქ ლაპარაკია ორ დიდ ნოვატორ პოეტზე: მაიაკოვსკის ბრძოლა ქვეშაირი პოეზიისათვის, ბრძოლა პრიმიტივიზმთან, არქაისტებთან, იყო რევოლუციის დიდი პოეტის გზა და ამ პოზიციას იზიარებდა გალაკტიონ ტაბიძე.

ვლადიმერ მაიაკოვსკი იყო დიდი და განუმეორებელი ნოვატორი რუსული ლექსისა, მისმა ქმნილებებმა: „ლენინი“, „კარგია“, „საბჭოთა პასპორტი“, მისმა ლირიკულმა ლექსებმა ახალ ხმაზე ააწყო უაღრესად თვითმყოფი და მაღალი რუსული პოეზია.

ასევე გალაკტიონ ტაბიძე დიდი და განუმეორებელი ნოვატორია ქართული ლექსისა. მან ახალ ხმაზე ააწყო ქართული ლექსის მთელი ინსტრუმენტი, იგი სიტყვიერი ხელოვნების ნამდვილი ჯადოქარი იყო.

გ. ტაბიძე ვლადიმერ მაიაკოვსკის სახით ხედავდა რევოლუციის დიდ პოეტს, რომელიც მსოფლიო პოეზიის დროშად იქცა. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ გალაკტიონ ტაბიძე, 1935 წელს, პარიზში,

კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესზე წერს ცნობილ ლექსს— „ვლადიმერ მაიაკოვსკი“, რომელშიაც მაიაკოვსკი გამოცხადებულია საერთაშორისო რევოლუციური პოეზიის, სოციალისტური რეალიზმის მედრომედ. სწორედ აქ, პარიზში, გალაკტიონ ტაბიძემ საკუთარი თვალთ ნახა, როგორ აერთიანებდა და აკავშირებდა ერთ ბანაკად მსოფლიოს მოწინავე პოეტებს რევოლუციის დიდი პოეტის — მაიაკოვსკის სახელი: „უცებ გაბრწყინდა კონგრესი მაიაკოვსკის ხსენებით“. „ჯონ რიდისა“, „ეპოქის“ და „რევოლუციურ საქართველოს“ ავტორს არ შეიძლებოდა არ ეგრძნო რევოლუციის პოეტის დიდი ძალა. გიორგი ლეონიძე სამართლიანად შენიშნავს: „მაიაკოვსკის ლექსი აპობდა ცრურწმენისა და წინასწარ აღიარებული აზრების ქერქს, ანგრევდა უკვე განმტკიცებულ წარმოდგენებს პოეზიაზე. იგი აღვივებდა უჩვეულო სიახლის წინასწარ გრძნობას, სიახლისა, რომლისგანაც სული უგუბდებოდა მკითხველს. იგი გაიძულებდა, რომ გულლია და პატიოსანი მზერით, პოეტი-მოქალაქის მზერით შეგვხედნა ყოველივე შენს მიერ გაკეთებულისათვის, ყველაფრისათვის, რასაც დღეს აკეთებ ან აპირებ გააკეთო ხვალ. აი ასე უნდა გვესმოდეს ჩვენ ვლადიმერ მაიაკოვსკის გავლენა ქართულ მწერლობაზე“...

გ. ტაბიძის პოეზია იყო გამოძახილი რევოლუციის ხანისა, ეს „იყო გუგუნი მთელი ეპოქისა“. რევოლუცია იქცა გალაკტიონ ტაბიძის სულის განუყოფელ ნაწილად.



ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წლებში ქართული საბჭოთა ლიტერატურა თავისი განვითარების ახალ ხანაში შევიდა. ამ ეტაპზე „მნათობი“ ასე განუმარტავდა მწერლებს თავის პროგრამას: „მეექვსე წელს თავისი მუშაობისას „მნათობი“ იწყებს განცხადებით: „მნათობის“ კარები ღიაა მწერლობისათვის, რომელსაც მხატვრულ მიღწევებთან ერთად აშკარად შეუგნია მარქსისტული პროლეტარული იდეოლოგიის სიძლიერე და სოციალისტური კულტურის შესაქმნელად თავის წვლილის გაღება გადაუწყვეტია. „მნათობის“ რედაქცია შეეცდება შექმნას მხატვრული ლიტერატურა ნაციონალური ფორმით და ინტერნაციონალური შინაარსით“.

ასეთი გარკვეული მოთხოვნა წაუყენა ჟურნალმა „მნათობმა“ ქართულ საბჭოთა მწერლობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმდროინდელი ქართული ლიტერატურისათვის დამახასიათებელია მწერლების ძველი თაობის მასობრივი გადმოსვლა საბჭოთა ლიტერატურის პლატფორმაზე. ამასთან ერთად, საბჭოთა ლიტერატურა იზრდება რაოდენობრივადაც, აღმავლობის გზას ადგას ქართული საბჭოთა პროზა, პოეზია,

დრამატურგია. საკმარისია ითქვას, რომ ამ დროს გამოდის რამდენიმე დიდი ჟურნალი: „მნათობი“, „ქართული მწერლობა“, „პროლეტარული მწერლობა“, „ახალგაზრდა ლენინელი“, „დროშა“, რომელთა ფურცლებზე ქართველი საბჭოთა მწერლები საკმაოდ ვრცლად არიან წარმოდგენილი.

ამ პერიოდის ქართული მწერლობის ლიტერატურული ჯგუფების დახასიათება შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

1. ეს პერიოდი აღინიშნა პროლეტარული მწერლობის შემდგომი განმტკიცებითა და განვითარებით. მათ რიგებს შეემატნენ ნიჭიერი ახალგაზრდები. თანდათანობით ამაღლდა პროლეტარული მწერლობის პრესტიჟი ქართულ მწერლობაში. ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდნენ ამ თაობის წარმომადგენლები: ა. მაშაშვილი, კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, ე. ზედგინიძე, პ. ჩხიკვაძე, ი. ლისაშვილი, ნ. ზომლეთელი, პ. საყვარელიძე, ს. ეული, ი. ვაკელი, ბ. ჩხეიძე, კ. ბობოხიძე, გ. კაჭახიძე, ფრ. ნაროუშვილი, ს. წვერავა და სხვ. მათი ნაწერების მთავარი თემა იყო ჩვენი სოციალისტური სინამდვილე, საბჭოთა ადამიანი.

2. ამ პერიოდის მეორე ლიტერატურულ ჯგუფში უნდა მოვიხსენიოთ ძველი თაობის ის წარმომადგენლები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზას დაადგნენ და ცნობილი იყვნენ „თანამგზავრების“ სახელით (როგორც მათ ამ დროს უწოდებდნენ).

ცისფერყანწელების სკოლის თვალსაჩინო, მოწინავე წარმომადგენლები: გ. ლეონიძე, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, რ. გვეტაძე, ს. კლდიაშვილი, კ. ნადირაძე, ნ. მიწიშვილი, შ. აფხაიძე თანდათან ემიჯნებიან დეკადენტური სკოლის ტრადიციებს და უახლოვდებიან საბჭოთა სინამდვილეს. ასევე ითქმის იმ მწერლებზე, რომლებიც ადრე „აკადემიური“ ჯგუფის სახელწოდებით იყვნენ გაერთიანებული (ლ. ქიაჩელი, ნ. ლორთქიფანიძე, შ. დადიანი, ილ. მოსაშვილი, ს. შანშიაშვილი და სხვ.).

საბჭოთა სინამდვილისკენ უფრო გაბედულად აიღეს კურსი ფუტურისტებმა ე. წ. „მემარცხენეობის“ ჯგუფის მწერლებმა. ს. ჩიქოვანის, დ. შენგელაიას, ა. ბელიაშვილის, დ. გაჩეჩილაძის შემოქმედებაში სულ უფრო და უფრო ნათელ გამოხატულებას პოულობს საბჭოთა სინამდვილე.

იმ ხანებში ქართულ მწერლობაში აღმოცენდა ახალი ლიტერატურული გაერთიანება „არიფიონი“, რომელმაც გამოსცა „არიფიონი“, კრებული პირველი. აღმანახს გამოსვლისთანავე თავს დაესხნენ რაპულები და კონტრრევოლუციურ ჟურნალად გამოაცხადეს, ხოლო სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობამ მკაცრად გაილაშქრა „არი-

ფიონისა“ და არიფიონელების წინააღმდეგ. ფ. მახარაძემ მეორე ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში (იხ. „მნათობი“ № 4, 1928 წ.) მიხეილ ჭავჭავაძის „დამპატიყეს“ „ყალბი ნაწარმოები“ უწოდა, ასევე მიუღებლად ჩათვალა გ. ქიქოძის „არიფიონი ჰერეთში“. ხოლო უფრო ადრე გრ. მუშიშვილი წერდა: „დამპატიყე“ ასი პროცენტის სიყალბეა და რეაქციონური მოთხრობა“ (იხ. ჟურნ. „მნათობი“, 3, 1928 წ.). ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობაში“ კი ვკითხულობთ: „დამპატიყე“ — ამ მოთხრობით მწერალმა გამოამჟღავნა დაუფარავი კულაკური იდეოლოგია, არიფიონელები შეეცადნენ წარსულის იდეალიზაციას, გამოამჟღავნეს ძლიერი ნაციონალისტური ბუნება და სრული სიბეცე თანამედროვეობის ათვისებაში... მათი გადახალისება მიმდინარეობს ახალი ბურჟუაზიისა და კულაკური იდეოლოგიის შეთვისებით“ (იხ. ბ. ბუაჩიძე, „პროლეტარული მწერლობა“ № 10—12, 1928 წ.). უფრო მძაფრად დაესხა თავს პ. ქიქოძე „არიფიონსა“ და არიფიონელებს...

დღემდის ჩვენ, კრიტიკოსებს მეტნაკლებად გაზიარებული გვაქვს მეორე ყრილობის ეს შეფასება. ასევე მცდარადაა შეფასებული „არიფიონი“ ენციკლოპედიასა და ლიტერატურულ ცნობარებში. აქ მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ თვითონ მიხეილ ჭავჭავაძის 1932 წელს წერდა: „აქ ლაპარაკობდნენ პროლეტარული მწერლობის ასოციაციის შეცდომებზე. ამ შეცდომებს, რასაკვირველია ჰქონდა ადგილი, მაგრამ არ შეიძლება განსაკუთრებით ხაზი არ გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ მხრივ არც ჩვენ ვართ უცოდველი, ჩვენ გვქონდა შეცდომები, პირადად მე ავტორი გახლავართ „დამპატიყე“, „გივი შადურისა“ და სხვა ასეთი ნაწარმოებებისა, რომლებშიაც არასწორადაა გამოსახული რევოლუციური დღევანდლობის სინამდვილე“ (იხ. „სალიტერატურო გაზეთი“ № 18, 1932 წ.). აი, ასეთი მაგიური ძალა ჰქონდა რაპელების მიერ მწერლისათვის თავზემოხვეულ შეფასებას.

ვინც თანამედროვეობის პოზიციიდან „არიფიონს“ გონების თვალთ დააკვირდება, დაგვეთანხმება, ეს გავრცელებული შეფასებანი რომ ტენდენციურია და უმართებულო.

ალმანახის მოწინავე, პროგრესული პოზიცია ნათლად არის გამოხატული კრებულის მანიფესტში, „არიფიონის სალიტერატურო განცხადებაში“. აი, რას ვკითხულობთ აქ (მოგვყავს მთლიანად და უცვლელად):

„ყოველ ეპოქას აქვს საკუთარი კულტურული შინაარსი. მისი ხასიათი და განვითარება ხელოვნებასა და ლიტერატურაში ცხადდება. ქართველი ხალხის სახე და ნიჭი შემოქმედების არც ერთ დარგში არ გამოკვეთილა ისე მკაფიოდ, ღრმად და ფართოდ, როგორც ხელოვნებასა და მწერლობაში.

ორთქლისა და ელექტრონის ეპოქას სრულებით სხვანაირი ესთეტიური გემოვნება და შეგრძნობა აქვს, ვიდრე აბჯარი-კოშკების ხანას ჰქონდა.

თანამედროვე დიდმა ეპოქამ ახალი ადამიანი წარმოშვა და ახალი მსოფლმხედველობა, შეგრძნობა, მორალი და გემოვნება მისცა. მაგრამ ადამიანს ჭერჭერობით ვერ უპოვნია თავისი სრული სახე დღევანდელ ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ასოციაცია „არიფიონის“ მიზანს შეადგენს ეს სახე გააცხადოს ლიტერატურაში.

ქართული ხელოვნებისა და მწერლობის განახლება ძველი კულტურის უარყოფას კი არ გულისხმობს, არამედ მასში დამარხულ ზნეობრივ-ესთეტიკურ ღირებულებათა გამოყენებას დღევანდელი ადამიანის გემოვნების მიხედვით.

კულტურული წარსული, აწმყო და მომავალი „არიფიონს“ ორგანულ ერთეულად მიაჩნია. შემოქმედების პროცესი უაღრესად ინტიმურია და პიროვნული, მაგრამ მხატვრული სტილის შექმნას აადვილებს კოლექტივი, რომელიც აერთიანებს თავის წევრებს სულიერი ნათესაობის საფუძველზე ახალი შეგნების, შეგრძნებისა და გემოვნების დასამკვიდრებლად.

ახლის ძიებას ქართული ლიტერატურა მიმდინარე საუკუნეებშივე შეუდგა. „არიფიონი“ იმ ქართველ მწერლებს აკავშირებს, რომელთაც ამ გზაზე უკვე შეიძინეს საკუთარი გარკვეული სახე მეტყველებისა და ესთეტიური ხილვის. მხატვრის თვალი და ალლო თავისუფალია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ხელოვნება მიწის წვენიტ საზრდობს და სინამდვილის დაკვირვებიდან გამოდის.

„არიფიონის“ წევრთა წარსული და ეხლანდელი ლიტერატურული მოღვაწეობაც ამას ადასტურებს. „არიფიონს“ მიზნად აქვს დასახული ხელი შეუწყოს თავის წევრთა შორის და ყველგან მხატვრულ მეტყველებისა და აზროვნების კულტურას, ქართული სიტყვისა და თქმის დაწმენდას და ადამიანობის კულტის განმტკიცებას.

რევოლუციამ უდიდესი სოციალ-პოლიტიკური და სულიერი გარდატეხა მოახდინა. საბჭოთა სისტემამ ღრმად გაიღვა ფესვები ხალხის შეგრძნებაში და უზრუნველყო ჩვენი მომავალი.

ამ რევოლუციის წყალობით ქართული კულტურა აღორძინების ხანაში შედის. ვითარებიან ჩვენი ერის შემოქმედებითი ძალები, იღვიძებს ლიტერატურა, მეცნიერება, ფილოსოფია, კრიტიკა, მხატვრობა, ქანდაკება, მუსიკა და ეროვნული სკოლა.

„არიფიონს“ ამ ნიადაგზე მუშაობს და თავის ძალ-ღონის მიხედვით ხელს შეუწყობს ამ საერთო სულიერ შემოქმედებას, ლიტერატურის, ხელოვნების და აზროვნების განახლებას.

ვასილ გიორგაძე, შალვა დადიანი, კონსტანტინე კაპანელი, ლევან

მეტრეველი: ილო მოსაშვილი, დავით სულიაშვილი (ლიხელი), გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ ტატიშვილი, პეტრე ქავთარაძე, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, 16 მარტს 1927 წ.“.

ამ დეკლარაციას დღესაც ყოველი საბჭოთა მწერალი მოაწერდა ხელს. მაღალი კულტურით და შეუმცდარი ლიტერატურული ალლოთი არის დაწერილი ეს მანიფესტი.

„არიფიონის“ ამ დეკლარაციაში საკმაოდ პოზიტიური საუბარია რევოლუციურ საქართველოზე და ამიტომ შეცდომაა რაპპელების შეფასება თითქოს ეს „სალიტერატურო განცხადება რეაქციონული იყოს“, როგორც ეს რაპპელებმა გამოაცხადეს 1928 წელს. „არიფიონში“ დაბეჭდილ ნაწარმოებთა უმრავლესობა საბჭოთა მწერლობის ოქროს ფონდში შევიდა: ლეო ქიაჩელის უბრწყინვალესი ნოველა „თავადის ქალი მაია“, შალვა დადიანის ასევე ბრწყინვალე მოთხრობა „ა. თ. ე.“ და ილო მოსაშვილის „უღელტეხილზე“... ილო მოსაშვილის ამ ლექსს წინ უძღვის ილიას სიტყვები: „ჩვენ უნდა ვზდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“, — პოეტის წარსულის მოგონებათა ეს რომანტიკული აღსარება ასე მთავრდება:

„ალარც ბიჭები ფეხშიშველები
ალარც ხბორები,
ალარც თოლია...
მოვიდა გმირი რკინის ხელებით
და თავის ვზაზე გამიყოლია“.

ასევე რევოლუციურ საქართველოსთან მისვლის ცდაა დავით სულიაშვილის „კედელი“, ლევან მეტრეველის „ბოლშევიკი“, აქვე დაიბეჭდა ს. შანშიაშვილის, კ. ჭიჭინაძის, მიხ. მრეველიშვილის, ვ. გიორგაძის, ი. ტატიშვილის, ბ. მელიქიშვილის, კ. კაპანელის ნაწარმოებები და პლატონის „კრიტონი“ (თარგმ. ბერძნულით პ. ქავთარაძის მიერ). ყველაფერი ეს უთუოდ საბჭოთა მწერლობის აქტივში შედიოდა. ამიტომ სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობა მართალი არ იყო, როცა ამ უურნალში დაბეჭდილი ნაწარმოებები და მათ შორის მიხ. ჯავახიშვილის „დამპატიყე“, და გერონტი ქიქოძის „არიფიონი ჰერეთში“, რეაქციონურ ნაწარმოებად რომ გამოაცხადა, მასში არეკვლას პოულობდა ამ პერიოდის ლიტერატურული ატმოსფერო, რაპპელების მიერ მწერლობაში კრიტიკული პათოსის უარყოფა. მიხ. ჯავახიშვილის „დამპატიყე“ კი კრიტიკული პათოსითაა გამსჭვალული და კითხვის ქვეშაა დაყენებული თვით საბჭოთა ხელისუფლების პირობებში პარაზიტებისა და საქმონების ერთი ხელის დაკვრით მოსაპობა.

— „ოთხფეხს ტკიპი შეუჩნდება, ფუტკარს წინწკალი ჩაუჭდება, ხეს

ხავსი და ფითრი მოეკიდება, კლდესაც კი ფათალო ჩაექსოვება და ასე ცხოვრობენ სხვისი წვენით. ნეტა ადამიანიც ასე ხომ არ არის მოწყობილი?.. ფიქრობს თევდორე და დღემდისაც ველარ გადაუჭრია“.

გერონტი ქიქოძის დიალოგის ფორმით დაწერილ „არიფიონი პერეთში“ კი ვკითხულობთ: „თემის ინტერესები და თემის ბრძანება ქართველი კაცისათვის უზენაესი კანონი იყო და საქართველო ამან გადაარჩინაო. ამბობს არიფიონელი, შემდეგ იგი ეძებს კავშირს ძველსა და ახალს შორის. იგონებს ძველს პოეტებს, რომლებიც ამავე დროს სახელმწიფო მოღვაწენი იყვნენ: იოანე ბატონიშვილს, დავით გურამიშვილს, სულხან-საბა-ორბელიანს და სხვებს. და ასევე „ჩვენ არ გვინდა კარის მგოსნების როლი ვითამაშოთ და მწერლობა ვიწრო პოლიტიკის იარაღად ვაქციოთ. ჩვენ განვსხვავდებით იმათგან, ვინც ეჯიბრებიან შაბლონური ოდების წერაში, გაუხედნელი კვიციყით მისდიონ და უჭიხვინონ რევოლუციის ეტლს, მაგრამ არც იმ პირქუშ ცრუ მამულიშვილებს ვგავართ, ვინც რევოლუციის ეტლს „წყევლის და ლანძღავს“. ასეთი პოზიციით „არიფიონის“ ჩგუფი ემიჯნება ქართველ ნაციონალისტებსაც და „კარის მგოსნებსაც“ და აცხადებს: „ჩვენ არ წარმოვადგენთ პოლიტიკურ შეჩგუფებას, მაგრამ ვფიქრობთ მწერალი დღეს პოლიტიკის გარეშე ვერ დარჩება“. ამ ნათელ პოზიციას მოსდევს სკეპტიკოსი არიფიონელის პესიმისტური სიტყვა: „ჩვენ ველოდით, კრიტიკული პერიოდი გათავდება და ორგანიული პერიოდი დაიწყებოდა, ნგრევას შემოქმედება მოყვებოდა. მოლოდინი არ გამართლდა, ან უკეთ ვთქვათ, მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. ერთი რომ, აღთქმული მსოფლიო კატაკლიზმი არ ახდა, რევოლუციამ ვერ გადალახა ევრაზიის საზღვრები, დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილით შემოიფარგლა და შემდეგ, რა დაუპირისპირა მან ძველ კულტურას? ელექტროფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია, კოოპერაცია, ამ გზით არ შეიძლება ევროპისა და ამერიკის დამარცხება-გადახალისება, ეს ყოველივე აქ უკეთ არის მოწყობილი. ძველი ღმერთები მოკვდნენ, კრიტიკულმა აზროვნებამ ამოწვა ძველი ილუზიები, შეუძლებელია უკან დაბრუნება, გულუბრყვილო ცრუმორწმუნეობისაკენ, მაგრამ სული დაცარიელდა და ელექტრონის ნაკადით არ შეიძლება მისი ამოვსება“.

სკეპტიკოსის ამ სიტყვას ასეთ კომენტარს უკეთებს არიფიონელი. „ამ სიტყვამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა არიფიონელებზე, მაგრამ ყველანი ვგრძნობდით, რომ მას მაინც დამაჭერებელი ძალა აკლდა“. ამას მოსდევს „რევოლუციის დასაცავი სიტყვა“, რევოლუციის რომანტიკოსის სიტყვას ასეთი კომენტარით ამთავრებს არიფიონელი: „ამ სიტყვის შემდეგ, რომელიც ჩვენმა რომანტიკოსმა მეგობარმა წარმო-სთქვა ხანგრძლივი დუმილი დამყარდაო“. პირველი და მეორე სიტყვის—

„სკეპტიკოსის და „რევოლუციის რომანტიკოსის“ — კომენტარების მიხედვით გამოდის, რომ არიფიონელები ბოლომდე არც პირველს თანაუგრძნობენ და არც მეორეს. ეს კრიტიკული დიალოგი ასე მთავრდება. „არიფი“ — განმარტავდა კრებული, თანამესუფრეს ნიშნავს, არიფიონი შეზარხოშებული ადამიანების კავშირს, მაგრამ ჩვენ ვთვრებით არა ღვინით, არამედ ურთიერთ შთაგონებით და შემოქმედებით. მოიგონე მრგვალი მაგიდა, რომელსაც საშუალო საუკუნეებში ტელტების მისტიური მეფე არტური და თორმეტი რაინდი უსხდნენ და ერთმანეთს „პარსიფალის“, „ტრისტან და იზოლდას“, ან „ლასსელოტის“ თავგადასავალს უამბობდნენ. მოიგონე პლატონის მიერ აღწერილი ნადიმი, სადაც სოკრატე და მისი მეგობარი სიყვარულის იდეას არკვევდნენ. არც ჩვენ გვინდა, რომ სუფრაზე ჯდომა მარტო სმასა და ღვინით დათრობას ნიშნავდეს. საქართველოში სადაც როგორც უკვე გითხარით ასე ძლიერია კლასიკური კულტურისა და საშუალო საუკუნეების რაინდობის ტრადიციები, მეგობრული სუფრა შემოქმედებისა და დახვეწილი გემოვნების დასაწყისშია და ბევრ ჩვენს მწერალს არგებს თუ ის განმარტოებული კაბინეტიდან, ან მტერიან წიგნსაცავიდან ხანდახან გაშლილ სუფრას დაუბრუნდება“... ამის მიხედვით „დამპატიყესა“ და „არიფიონ ჰერეთში“, თანამედროვე საქართველოს მისამართით კრიტიკული პათოსი სჭარბობს. სწორედ კრიტიკული პათოსია წინ წამოწეული, მაგრამ თანამედროვე პოზიციიდან თუ შევხედავთ ალმანახის ამ კრიტიკულ პათოსს, მაშინ ნათელი გახდება, სრულიად საქართველოს მეორე ყრილობის რეზოლუცია უმართებულო რომ იყო. ამ უმართებულო თავდასხმამ ის გამოიწვია, რომ ეს კარგად წამოწყებული საქმე — „არიფიონის“ (მორიგი რედაქტორები: გერონტი ქიქოძე, ვასო გორგაძე) გამოცემა შეწყდა.

ცალკეულ სიტყვებს თუ გამოვეკიდებით, მაშინ მართლაც არის ერთგვარი გაზვიადებანი და გადაჭარბებანი „დამპატიყეში“, „არიფიონა ჰერეთში“, მაგრამ ეს მხატვრული სტილის ბუნებით აიხსნება და მთლიანობაში აღქმული ორივე ეს ნაწარმოები სრულიად ახალ ატმოსფეროს ქმნის. კერძოდ, „დამპატიყე“ ერთ-ერთი ბრწყინვალე მოთხრობაა არა მარტო მიხეილ ჭავჭავიძის პროზაში, არამედ მთელს ქართულ მწერლობაში. აქ ყოველი ხასიათი დიდი მხატვრული სრულყოფილობით არის გამოძერწილი. უბირი თვედორე იქნება ეს თუ მედროვე დამპატიყე — ოქროპირი. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი — დამპატიყეა უკვდავი „გმირი“. განა დღესაც არ გვხვდებიან ჩვენს საზოგადოებაში „დამპატიყეს“ მსგავსი პარაზიტები, მედროვენი, სხვისი შრომის მიმთვისებელნი, მდგომარეობით გაბღენძილი არამზადები? არა, ეს დიდი გულთამხილობითა და სიმართლით გამოხატული ტიპია, საზოგა-

დოების ხორცმეტი, მავნე სული. დამპატიყე და ყვარყვარე ტყუპი ძმე-
ბი არიან.

ალმანახის რედაქტორის გერონტი ქიქოძის „არიფიონი ჰერეთში“
ასევე საოცრად მომხიბლავია მაღალი კულტურით, დიდი ცოდნითა და
ხატოვანი ენით, იგი ახალი ქანრია საბჭოთა ბელეტრისტიკაში. დიალო-
გის ფორმით დეწერილი — ცნობისმოყვარე ახალგაზრდა და არიფიო-
ნელი — ბრწყინვალე ნიმუშია პუბლიცისტური პროზისა. ყოველივე
ამის გამო, მეტი რომ არა ვთქვათ რა, დაუსაბუთებლად მიგვაჩნია საქარ-
თველოს მწერალთა მეორე ყრილობის მიერ „არიფიონისა“ და არიფიო-
ნელების რეაქციონერებად აღიარება.

საერთოდ, მთელი ქართული მწერლობა უფრო და უფრო მტკიცედ
იბრძოდა სიახლისათვის. ცდილობდა მხარი გაესწორებინა ჩვენი ეპოქი-
სათვის, ამ წლებში გალაკტიონ ტაბიძე წერდა:

ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ —
დროის, ეპოქის და სიერცის გარეო.

ხოლო მეორეგან აღნიშნავდა:

დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექსს —
ეს წელიწადი, დღე და საათი.
არა თუ წლები გადიკა ტყდომად,
ყოველი ლექსის ყოველი პქარი,
არის გაქრილი კლასობრივ ომად,
არის ეპოქის დროშის ქვეშ მდგარი.

ამავე აზრს გამოთქვამს გ. ქუჩიშვილი:

იყავ მსახური
მუშათა კლასის,
ყოველი ლექსის
ყოველი სტროფი —
შრომის თუ ბრძოლის
მედგარ შეხლაში —
უმიზნე მტერთა,
ეთი მარჯვე თოფი!

მძაფრად ილაშქრებდა უიდეობის, აპოლიტიკურობის წინააღმდეგ
ჩვენი ეპოქის მოწინავე პოეტი ალიო მირცხულავა:

რად გინდა ლექსი,
უდღეური და უფერული,
საკუთარ ცისქვეშ
სიმწრის ოფლში დღეს რომ გალაქე.
ადამიანთა მოძრაობას
თუ არ ბელადობ
როგორც პოეტი,
ბოლშევიკი და მოქალაქე.

კარლო კალაძე 1927 წელს გამოქვეყნებულ ლექსში წერდა:

ხომ გესურს ხმა ჩენი მასის გულში
დრომ ვერ გარიყოს
და ეს მგოსნობაც მისთვის არის გამოგონილი,
თორემ ვის უნდა, მეგობრებო, ჩემი არ იყოს,
მოვარეს შეპყეფდე ფრთამოტეხილ იაღონივით.

ქართული მწერლობა მასობრივად დაადგა საბჭოთა საქართველოს-თან თანამშრომლობის გზას. ამის ნათელსაყოფად საკმარისია გავიხსენ-ნოთ 1929 წელს ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ დაბეჭდილი ტიციან ტაბიძის წერილი „პოეზიის დღე“. ავტორი ამ წერილში აღნიშნავდა:

„წინათ პოეზიის დღეს მარტო მწერლობა დღესასწაულობდა, საბჭოთა ხელისუფლების დროს კი ხუთი მაისი საზოგადო ბეჭდვითი სიტყვის დღეა და მწერლობა ამ უზარმაზარ ფრონტზე მხოლოდ ერთ რაზმს წარმოადგენს.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ, რომ მწერლობას ახალი ძალები ემატება, გამოსული მუშათა ფენებიდან: მუშკორთა, გლეხკორთა, ახ-კორთა, სამხკორთა და სხვათა სახით; მთავარი სწორედ ის არის, რომ საგრძნობლად იზრდება მწერლობის კადრები, მწერლობა ხდება მასიუ-რი და მწერლობის პროფესიაც მისაწვდომი ხდება იმ ფენებისათვის, რომელნიც წინათ სოციალურ უკუღმართობის წყალობით გარიყულნი და განწირულნი იყვნენ...

ეხლა მწერლობა საგრძნობი ძალა ხდება კულტურული რევოლუ-ციის ფრონტზე და მისი ხვედრითი წონა თანდათანობით იზრდება.

ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო დამახასიათებელია საკავშირო მეურნეობის ძირეული რეკონსტრუქცია, რომელიც მოითხოვს აგრეთვე ხელოვნების რეკონსტრუქციასაც, რადგან ცხოვრებამ მათ შორის და-ამყარა ორგანული კავშირი.

მწერლობა, რომელსაც უნდა თავისი ეპოქის გამომხატველი იყოს, ამ გზას ვერ ასცდება; წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოელის მოდუნება და მოკვეთა, ამიტომ მწერლობის მიღწევაც სწორედ ამ ხაზით უნდა გაიზომოს.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ წინა თაობის ოსტატობა და ცოდ-ნა ჩვენ ეპოქაში მარტივად იქნეს გამოყენებული, პირიქით, სწორედ ამ თაობას მეტი შრომა აწევს თავზე გადატეხოს ძველი ფორმა და შეუ-ფარდოს ეპოქის სუნიტქვას, რადგან ახალი სოციალისტური სამყარო ახალ ფორმას მოითხოვს ასასახავად და გამოსათქმელად.

ამის გარდა, ქართული ენის ნორმები არც წინათ ყოფილა ჩამოკვე-თილი და ჩამოქნილი, და ამ მწერლობას უხდება ზოგჯერ საერთო მემ-კვიდრეობით დაყოლილი სენის გადალახვა.

ამ მიმართულებით საქიროა საერთო ფრონტის გაშლა და სწორედ ამ გასულ წელს ეს საკითხი მეტად აქტიურად იდგა.

საკითხი დაისვა ხელისუფლების სათავეში მდგომ პირებისაგან და გადავიდა სადისკუსიო მწერლობაში: განზრახულია ქართული ენის მცოდნეთა კონგრესის მოწვევა, რომ დაკანონდეს ენის ნორმები, წინასწარ მუშაობას ეწვევს საქართველოს ცაკ-თან არსებული კომისია, რომელიც აგროვებს მასალებს ამ კონგრესისათვის. საზოგადო კვალიფიკაციის აწევა და სწავლის ღოზუნგი საერთოდ ქართულ მწერლობისათვის „განურჩევლად თაობისა და მიმართულებისა“ — დიდხანს კიდევ დარჩება აქტიურ ღოზუნგად, რადგან ბევრია გასაკეთებელი და ერთი ორი წელი ვერ ამოავსებს იმ ხრამს, რომელიც ბოჩკავს მწერლობის განვითარებას.

ინტერნაციონალური შინაარსით და ნაციონალური ფორმით — ასეთია ღოზუნგი ახალი კულტურისა, მაგრამ ჭერ ეს კიდევ ღოზუნგია, ამას სჭირია ხორცისა და სისხლის შედღელება, ამას სჭირია ლიტერატურული ფაქტებით გამაგრება, და რამდენადაც ეს ღოზუნგი ახალია, იმდენად მოსალოდნელია გადახრა და ძველის რეციდივიც, რომელიც უნდა გაასწოროს საღმა და მიუდგომელმა ამხანაგურმა კრიტიკამ.

გამწვაებებს შეუძლია საქმე გამოკეთების მაგიერ გააფუქოს კიდევ, მით უმეტეს რომ მწერლობას შეცდომა აუცილებლად ექნება, რადგან არა თუ მწერლობა, რომელიც მაინცდამაინც ვერ დაიჩემებს დიდ პოლიტიკურ ცოდნას, არამედ ბრძოლაში გამოცდილი და ნაწრთობი ხალხიც იჩენს ზოგჯერ სულმოკლეობას და პანიკას და პარტიას უხდება ბრძოლა კაპიტულანტებთან და ლიკვიდატორებთან.

დიდი მნიშვნელობა ეძლევა ასეთ შემთხვევაში ამას წინათ მოსკოვში ჩატარებულ უკრაინის კვირეულს. მოსკოვში მიწვეულ იქნა მთელი რიგი უკრაინის მწერლებისა და ხელოვნების მუშაკებისა, რომ გამოენახათ საერთო ენა რუს ამხანაგებთან თანამშრომლობის საკითხში.

ამ დელეგაციის ჩასვლამ მოსკოვში დიდი როლი ითამაშა, ორი მოძმე ხალხის წარმომადგენელნი ერთიმეორეს გაეცნენ და გამოიმუშავეს საერთო მუშაობის გეგმა, ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ ამ დაახლოებათა თვისი ნაყოფი გამოიღო, და შემუშავდა სისტემა საკავშირო ერთა შორის თანამშრომლობისა.

რუსეთში და უკრაინაში დღე არ გავა არ გამოვიდეს ახალი წიგნი, სადაც მწერლები თარგმანებში ეცნობიან მეზობელ მწერლებს, წინათ, რასაკვირველია, ეს შეუძლებელი იყო, რადგან არა თუ მეფის მთავრობა, არამედ კერენსკის უღლეური დროებითი მთავრობაც ვერ ინელებდა რუსეთში შემავალი ერების ეროვნულ თვითგამორკვევას.

ყველას ახსოვს, როგორი რიხით ექაღნებოდა ჯამბაზი კერენსკი უკრაინას 1917 წელს ავტონომიის მოთხოვნისათვის.

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ქართველ მწერალთა ფედერაციასაც დაეტყო გამოცოცხლება, ამ ორი წლის წინათ აღძრული იყო საკითხი კავკასიაში მოსახლე ერების კულტურული დაკავშირებისა, განზრახული იყო დელეგაციის დაგზავნა ტფილისში, ერევანში, ბაქოში.

წელს ეტყობა ეს საქმედ იქცა. სომეხ მწერლების მიწვევით ქართველ მწერალთა დელეგაცია მაისის ბოლო რიცხვებში მიემგზავრება ერევანში. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ეძლევა, რადგან ყველას ახსოვს, როგორი გამწვავებული იყო წინათ ეროვნული შუღლი კავკასიაში, რასაც არა ერთხელ მოჰყოლია ხოცვა-ჟლეტა და ხშირად აშკარა ომი.

საერთოდ ქართველ ხელოვანთა პოლიტიკურ მუშაობაში ჩარევა, რაც გამოიხატა მწერლებისა და თეატრის მოღვაწეთა საკანონმდებლო ორგანოებში არჩევაში, კიდევ მეტ გარანტიას იძლევა, რომ ხელოვნება დაუახლოვდება მასებს და ორგანულად ჩაებმება ცხოვრების ამ მშენებლობაში.

უმთავრესი მიზანი მწერლობისა, მაინც არის მასობრივ მკითხველთან დაკავშირება და დაახლოება. არასდროს ხალხში არ ყოფილა ასეთი წყურვილი დაწაფებოდა მწერლობას და თეატრს: შეიძლება ითქვას, რომ გასული წელი ამ შემთხვევაში უფრო რეკორდის წელი იყო“.

ასე წერდა ტიციან ტაბიძე. აბა დააკვირდით რა საოცარი გარდატეხა მოხდა მწერლობაში! სიმბოლიზმის ერთ-ერთი მებაჭრე ქართულ მწერლობაში, რომელიც მწერლობას სრულიად ათავისუფლებდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვის მოვალეობისაგან, ახლა რა თავგამოდებით იბრძვის მუშათა აუდიტორიისათვის და მოითხოვს მწერლის განუყოფელ კავშირს „საბჭოთა ცხოვრების რიტმთან და პულსთან“.

ვნახოთ ახლა მეორე ისტორიული დოკუმენტი — „ქართული მწერლობის მიმართვა“. ალექსანდრე აბაშელი, მწერალი, რომელიც 1921 წელს იგივეობის ნიშანს სვამდა „კრწანისის ველსა“ და „თებერვალს“ შორის, ახლა 1927 წელს, მოხსენებით გამოდის საქართველოს მწერალთა პრეზიდიუმის სხდომაზე საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად; მისი ინიციატივით იბეჭდება აი ეს მოწოდება:

„სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის გაფართოებულმა პრეზიდიუმმა, რომელიც აერთიანებს ქართული ლიტერატურის მუშაკებს, განურჩევლად ჯგუფებისა და პოლიტიკური მრწამსისა, მოისმინა რა თავის სხდომაზე 8 ივნისს, კავშირის თავმჯდომარის მოადგილის, მოქალაქე ალექსანდრე აბაშელის მოხსენება შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მიმართა ქართველ ხალხს და მთელს კულტურულ კაცობრიობას შემდეგი მოწოდებით:

1. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის, გლეხობის და ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის ღონისძიებათა შემწევობით მსოფლიოს ვე-

ებერთელა ნაწილი — ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორია განთავისუფლებულ იქნა მეფის თვითნებური რეკიმისაგან და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იქცა ხალხთა თავისუფალ ერთობის ქვეყნად მშრომელთა დიქტატურის დროშის ქვეშ.

2. მეფის გენერლების ყოველგვარი ცდა, დამარცხებული და ქვეყნიდან განდევნილი ბურჟუაზიის ყოველგვარი ღონისძიება, საერთაშორისო კაპიტალის და იმპერიალისტურ სახელმწიფოების ყველა ოინები, რომელთა მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, დაამსხვრია საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების ურყევმა ნებისყოფამ; უკანასკნელებმა ომის შემდგომი ნგრევის საშინელ პირობებში, როცა მათ იარაღიც კი არ გააჩნდათ საბრძოლველად, შეძლეს კოლჩაკის, დენიკინის, იუდენიჩის, ვრანგელის და სხვ. დამარცხება და განდევნა შრომის რესპუბლიკის საზღვრებიდან; მათ მოიგერიეს პოლონეთის თავდასხმა, ეკონომიური ბლოკადა და უცხოელების ინტერვენცია. ბრძოლის ამ მძიმე, აუწერელ გაპირვებით სავსე წლებში საბჭოთა კავშირის მშრომელებს არგუნეს საბოლოო გამარჯვება მტერზე.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა მოიპოვა მშვიდობიანი შრომის უფლება, და მიუხედავად იმისა, რომ კიდევ მოშუშებული არ ჰქონდა სამოქალაქო ომით გამოწვეული ჭრილობები, მან თავისი ძალების დაუზოგავად გაშალა მშვიდობიანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტი.

3. მთელი მსოფლიო იმის მოწამეა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა და მუშათა კლასი მთელს თავის ყურადღებას აქცევს სამოქალაქო ომისაგან დანგრეული მეურნეობის აღდგენას, ქვეყნის ახალი კულტურული ფონდის შექმნას, მუშური სახელმწიფოს საფუძვლების განმტკიცების საერთო საქმეში ყველა ქვეყნის მოსახლეობის ჩაბმას, საერთაშორისო ხასიათის საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრას და საერთოდ მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობის დამყარებას. ამრიგად, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მიერ დასახული მიზნები წარმოადგენს უკეთილშობილეს მიზნებს, მიმართულს იმ პრინციპების განხორციელებისაკენ, რომელთათვის კაცობრიობის საუკეთესო შვილები იბრძოდნენ.

4. მაგრამ მთელ რიგ წლების მანძილზე, დასავლეთ ევროპა, რომელიც თანამედროვე კულტურის კერად არის მიჩნეული, დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველი კლასების სახით, დაჟინებით და სისტემატურად ცდილობს დაღუბოს მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფოს მუშურ-გლეხური ხელისუფლება. ისინი ამ საქმისათვის არა თუ ახდენენ საკუთარ ცოცხალ და ფინანსიური ძალების მობილიზაციას, არამედ საბჭოთა კავშირიდან განდევნილ ელემენტებს შორის, როგორც ქართული ემიგრა-

ცხის, ისე რუსულ მონარქიზმის რიგებიდან ფულით ყიდულობენ რევოლუციის ყველაზე უბოროტეს, ყველაზე ამორალურ მტრებს.

5. და აი, ჟენევაში ჰკლავენ ვოროსისკის, პეკინში ძარცვავენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობას, ახდენენ ძალადობას საბჭოთა მოქალაქეებზე, ლონდონში არბევენ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის შენობას, სწყვეტენ დიპლომატიურ ურთიერთობას საბჭოეთთან, დაბოლოს, პოლონეთში მუხანათურად ჰკლავენ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან ელჩს ამხანაგ ვოიკოვს.

6. და როცა ხდება ასეთი დიდი პოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტები, ჩვენ, ქართველი მწერლების იმ გაერთიანებულ ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლის წევრთა უმრავლესობას შეადგენს არა კომუნისტები, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია საპროტესტოდ აღვიმადლოთ ხმა. გავაფრთხილოთ ჩვენი ხალხი, რომ მის მომავალს, მის მშვიდობიან შრომას ემუქრება საფრთხე იმპერიალიზმის და ბურჟუაზიის მხრით, და რომ ამ საფრთხის წინაშე ქართული ლიტერატურის მოღვაწეები მშრომელი ხალხის და რევოლუციის სადარაჯოზე დგანან.

7. ჩვენ, ქართველ მწერლებს საჭიროდ მიგვაჩნია კვლავ ხაზი გავუსვათ ჩვენს მიერ არაერთხელ აღნიშნულ ფაქტს, რომ ოქტომბრის რევოლუციის პრინციპებზე აღმოცენებული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი პოლიტიკა კიდევ უფრო მჭიდროდ აახლოვებს საბჭოთა კავშირის ხალხებს საბჭოთა ხელისუფლებასთან და დღითი-დღე არწმუნებს მათ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურული გაფუჩქებისა და აღორძინების უპირველესი საწინდარი, კერძოდ, საქართველოში, არის საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება და ოქტომბრის რევოლუციის დიადი პრინციპების გამარჯვება.

ჩვენ ვაღიარებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება გვაძლევს ჩვენი ნაციონალური აღორძინების სრულ გარანტიას და მოუწოდებს კაცობრიობის კულტურულ წარმომადგენლებს აღიმადლონ პროტესტის ხმა ჩვენი მტრების ახალი ცდის წინააღმდეგ, რომლის მიზანია კვლავ თავს დაგვატეხონ ომის და ინტერვენციის ახალი საშინელებანი“.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი.

ამ მართლაც ღირსშესანიშნავ ისტორიულ მანიფესტს ხელს აწერენ საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრები: ალექსანდრე აბაშელი, პავლე ინგოროყვა, ტიცვიან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გერონტი ქიქოძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, დემნა შენგელაია, ნიკოლოზ მიწიშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე. ტფილისი, 9 ივნისი, 1927 წ.

ამ პერიოდის მოწინავე ქართული მწერლობა შეუპოვრად და თანამედვერულად იბრძოდა საბჭოთა ხელოვნებისათვის, საბჭოთა ლიტერატურისათვის. ჩვენი მწერლების ძირითადი ნაწილი, საბჭოთა სინამდვილესთან მჭიდროდ დაკავშირებული, იბრძოდა დიდი საბჭოთა ხელოვნებისათვის, იმ ხელოვნებისათვის, რომელიც, ლენინის განმარტებით, ეკუთვნის ხალხს. დიდი ლენინი გვასწავლიდა: „ხელოვნება ეკუთვნის ხალხს, თავისი ფესვები მან ღრმად უნდა გაიდვას მშრომელთა ფართო მასებში. ხელოვნება უნდა გაიგონ და შეიყვარონ ამ მასებმა. ხელოვნებამ უნდა აამაღლოს და შეადულოს მათი გრძობა, აზრი და ნებისყოფა. ხელოვნებამ უნდა მონახოს ხელოვანი მასაში“. ქართული საბჭოთა მწერლობის მოწინავე ნაწილი იბრძოდა ასეთი ხალხური ხელოვნებისათვის.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რაპსის „მემარცხენე“ ვულგარიზატორები აყალბებდნენ პარტიის პოლიტიკას მხატვრულ ლიტერატურაში, გამოდიოდნენ ეროვნული კულტურის შესახებ ლენინური დებულების წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, სტალინმა ტროცკისტების წინააღმდეგ ბრძოლაში გარკვევით და ნათლად ჩამოაყალიბა პარტიის პოლიტიკა ეროვნული კულტურის დარგში. 1925 წელს, აღმოსავლეთის მშრომელთა უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით იგი ამბობდა: „ჩვენ პროლეტარულ კულტურას ვაშენებთ. ეს სავსებით სწორია. მაგრამ ისიც სწორია, რომ პროლეტარული კულტურა, თავისი შინაარსით სოციალისტური, გამოხატულების სხვადასხვა ფორმებსა და საშუალებებს იღებს სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმულ სხვადასხვა ხალხებში, ენის, ყოფაცხოვრების და სხვა განსხვავების მიხედვით. თავისი შინაარსით პროლეტარული, ფორმით ნაციონალური, — ასეთია ის საერთო-საკაცობრიო კულტურა, რომლისკენაც მიდის სოციალიზმი. პროლეტარული კულტურა კი არ უარყოფს ნაციონალურ კულტურას, არამედ შინაარსს აძლევს მას. და, პირიქით, ნაციონალური კულტურა კი არ უარყოფს პროლეტარულ კულტურას, არამედ ფორმას აძლევს მას“¹.

„რაპკელები“. ამტკიცებდნენ, რომ ეროვნული კულტურის ლოზუნგი რეაქციულია, რომ პროლეტარიატი ქმნის არა ეროვნულ, არამედ მხოლოდ ინტერნაციონალურ კულტურას, და რომ ნაციონალური კულტურის ლოზუნგი ეწინააღმდეგება ლენინიზმს. „რაპკელები“ გამოდიოდნენ ყოველგვარი პატრიოტული და ეროვნული მოტივის წინააღმდეგ ლიტერატურაში, თავს ესხმოდნენ არა მარტო ძველი თაობის წარმომადგენელთა ისეთ ლექსებს, რომლებშიაც სადმე ნახსენები იყო საქართველო ან სანშობლო, არამედ მკაცრად აკრიტიკებდნენ და აბია-

¹ ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 7, გვ. 152.

ბრუებდნენ თვით პროლეტარულ მწერლებსაც, თუ სადმე საქართველოს ახსენებდნენ. ალიო მირცხულავა-მაშაშვილი ლექსში „გარდატეხა“ ამბობდა:

თქვენ, პოეტებო, თუ წერთ ქართულად,
თუ გსურთ რეკავდეს სიტყვა ქართულად,
იმის წაქცევის ვერცინ გაბედავს,
ის ურყევია, ვით საქართველო.

და აი, რაკი პოეტმა ახსენა საქართველო, „რაპპელებმა“ განგაში ატეხეს: პროლეტარულ პოეტს არ შეშვენის საქართველოზე ლექსის წერაო. ალიო მაშაშვილი მკაცრად გააკრიტიკეს ამ სავსებით ბუნებრივი, ეროვნულ-პატრიოტული გრძნობებისათვის.

მაგრამ ეს იყო, „რაპპელების“ უკულმართობის მხოლოდ ერთი შტრიხი (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თვით მირცხულავა-მაშაშვილის, კალაძის და სხვა პროლეტარული მწერლების შემოქმედებაში ადგილი ჰქონდა „მემარცხენული“ ხასიათის რაპპულ შეცდომებს. მაგალითად, მირცხულავა-მაშაშვილის „მე და ბარათაშვილი“, კ. კალაძის „ტრაგედია ოპ!“ და სხვ.).

მეორე მხრივ, ისინი თავს ესხმოდნენ ძველი თაობის წარმომადგენლებს. „რაპპელებმა განსაკუთრებით ამოიღეს ნიშანში იოსებ გრიშაშვილი, კ. გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, მიხ. ჯავახიშვილი, ალექსანდრე აბაშელი. ერთი „რაპპელი“ 1930 წელს წერდა: „იოსებ გრიშაშვილის ლირიკა დღევანდელ მწერლობაში მოკვდა, მოისპო, მისი პოეზია საბჭოთა მწერლობისათვის ანაქრონიზმია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი შეეცადა თავისი შემოქმედების კაპიტალი გაეზარდა ნაციონალისტური მოტივების ექსპლოატაციით. გრიშაშვილი საბჭოთა მწერლობისათვის არ არსებობს და არც არცინ აპირებს მის გამოწვევას დავიწყების სამყაროდან. შემცდარია ყველა ის, ვინც მისგან რამეს მოელის“.

მეორე „რაპპელი“ ლეო ქიაჩელის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოების „თავადის ქალი მაიას“ შესახებ წერდა: „მაგრამ არიან კიდევ ადამიანები ქვეყანაზე, რომელთაც ასეთი თავადის ქალების სქესობრივი უძღურება აინტერესებთ. ეს უსაქმოთა საქმეა, რისთვისაა საჭირო ეს! რა დარდი აქვს თანამედროვე ადამიანს ვიღაც დაბერებულ თავადის ქალის მოტყუებული სიყვარულისა. მოთხრობის მემარჯვენეობაც იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი ხელოვნურად მოთხრობილ ტრაგიზმით რაღაც „სერიოზულობით“ თავადის ქალის დამკვნარი დღეების უკანასკნელ, უინტერესო საათებს გვიხატავს“.

ასეთ ვულგარიზატორულ, „მემარცხენე“ ხასიათის შეფასებას აღლევდნენ „რაპპელები“ ჩვენი მოწინავე მწერლების შემოქმედებას, ისინი ხელოვნურად აფერხებდნენ, ხელს უშლიდნენ ძველ ლიტერატურულ

თაობათა გულწრფელ განზრახვას — ეთანამშრომლათ საბჭოთა ლიტერატურაში, დაახლოებოდნენ ჩვენს სინამდვილეს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ლ. ქიაჩელი და რ. გვეტაძე, აგრეთვე, დ. სულიაშვილი მკვეთრად ილაშქრებდნენ მწერალთა ერთ-ერთ დისპუტზე ამ ვულგარიზატორების წინააღმდეგ. რ. გვეტაძე ამბობდა: „ასეთი განწყობილება ბევრს აქვს პროლეტარულ მწერლობაში: თითქოს ორი მოწინააღმდეგე ბანაკი არსებობდეს და აქეთ წამოსულ კაცს, ძალიან გულითაც რომ მოდიოდეს, არ ხედება მეგობრული ხელი. ეს კი ხელის კვრას ნიშნავს. არა-ამხანაგურ დამოკიდებულებას აქვს ადგილი პროლეტარული მწერლობის მხრივ“.

ასეთივე აზრი გამოთქვეს ამ დისპუტზე ლ. ქიაჩელმა და დ. სულიაშვილმა.

„რაპკელები“ თავს ესხმოდნენ ქართულ კლასიკურ მწერლობასაც. აი როგორ შეფასებას აძლევს ერთი „რაპკელი“ აკაკი წერეთელს: „აკაკის პოეზიას დღეს მხოლოდ უკან ჩამორჩენილი თუ ეტანება... იგი ძველი კულტურის ნაშთს წარმოადგენს, დიას, მხოლოდ ნაშთს, რადგან მისი ვერც იდეა და ვერც ფორმა თანამედროვე ქართველ მკითხველს ვერ დააკმაყოფილებს“¹.

რაპკელების ამგვარ ვულგარიზატორულ დამოკიდებულებას ქართული კლასიკური მწერლობის მიმართ ზურგს უმაგრებდა ფილიპე მახარაძის მცდარი შეფასება მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსებისა. ფ. მახარაძე მწერალთა კავშირის პირველ ყრილობაზე 1926 წელს ამბობდა: „მეორე თაობის (ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი და სხვა) პროგრამატაქტიკა სხვაგვარი იყო: ბანკი და ლოიალური ლიბერალიზმი — ეს იყო პროგრამა. რუსეთის მსხვილი ბიუროკრატის წინაშე მლიქვნელობა, მისი ზეიმი, „ქართველურად“ გამასპინძლება — ეს იყო მათი ტაქტიკა. ილიას და აკაკის ხალხის ინტერესები არ სწამდათ“².

1931 წელს კი წერდა: „ილია ჭავჭავაძე იყო მემამულე და გლეხის მებატონე, იგი იყო მუშებისა და გლეხების ექსპლოატატორი, როგორც მწერალი ილია ჭავჭავაძე იყო რეაქციონერი, მემამულეების ინტერესების ერთგული დამცველი, ფეოდალური საქართველოს მოთაყვანე და მონარქისტი რეაქციონერი და კონტრრევოლუციონერი“³. ფ. მახარაძის ამ ვულგარიზატორულმა დამოკიდებულებამ კლასიკოსებისადმი ხელ შეუწყო რაპკელების, „ნაპოსტოველების“ უბადრუკი „თეორიების“ პარპაშს ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში. ამას მოჰყვა ფრიდონ ნაროუშვილის „თავადი ილია ჭავჭავაძე“, „ჩვენი ეგნატე მათი ილია“ და სხვათა ვულგარიზატორული წერილები.

1 „მნათობი“, № 8, 1927.

2 „მნათობი“, № 8—9, 1926.

3 ვაზ. „კომუნისტი“, 1931 წ., № 248.

პარტია მუდამ ებრძოდა რაპკელების მცდარ შეხედულებებს. როგორც ცნობილია, 1930 წელს, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური დადგენილება მიიღო ე. წ. „ნაპოსტოველებს“ ჯგუფის შეცდომების შესახებ. რაპკელები აიგივებდნენ პროლეტარულ მწერლობას პარტიულობასთან. პარტიის წევრობა და საბჭოთა მწერლობა მათი თვალსაზრისით ერთი იგივეობა იყო. მათ მიაჩნდათ, რომ პროლეტარული მწერლობა პარტიულ ლიტერატორთა ჯგუფია და მხოლოდ ეს ჯგუფი ქმნის საბჭოთა ლიტერატურას. ისინი პროლეტარული მწერლობის სრულ მონოპოლიას მოითხოვდნენ. მათ არ ესმოდათ, რომ საბჭოთა ლიტერატურა არა მარტო პროლეტარული ძალებით იქმნებოდა, მას არა მარტო პარტიის წევრები ქმნიდნენ, არამედ მთელი მოწინავე საბჭოთა მწერლები, რომელთა ნაწილი ძველი თაობიდან იყო გამოსული. ძველი თაობის ზოგიერთი მწერალი კეთილსინდისიერად და ნაყოფიერად მუშაობდა საბჭოთა ლიტერატურაში. რაპკელებს არ ესმოდათ, რომ ლიტერატურა, როგორც ლენინი გვასწავლის, არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს პარტიულ ორგანიზაციასთან, რომ სალიტერატურო ორგანიზაცია თავისუფალი შემოქმედებითი ორგანიზაციაა ყველა იმ ადამიანისა, ვინც მწერლობას ეწევა. რაპკელების ანტიპარტიულმა მოქმედებამ ერთგვარად შეაფერხა ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარება ამ წლებში. ბევრ მოწინავე საბჭოთა მწერალს რაპკელების წყალობით მიკერებული ჰქონდა რეაქციონერის სახელი.

ქართული საბჭოთა მწერლობა ამ პერიოდში სძლედა რაპკელებისა და სხვა ლიტერატურული დაჯგუფებების მიერ შექმნილ სიძნელებებს, ააშკარავებდა მათ შეცდომებს და წინ მიიწევედა, ვითარდებოდა. ამ პერიოდის ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ მოახერხა უფრო ახლო დაკავშირებოდა ჩვენი ქვეყნის გიგანტურ სოციალისტურ მშენებლობას და მრავალმხრივ აესახა ეს დიდი ისტორიული პროცესი.

* * *

ქართველი პოეტები, პროზაიკოსები, დრამატურგები გულწრფელად გამოეხმაურნენ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პოლიტიკას, გვერდით ამოუდგნენ ჩვენს ხალხს მის ბრძოლაში სოციალიზმისათვის. პირველი ყველაზე დიდი ინდუსტრიული გიგანტი — ზაპესი ჩვენმა მწერლებმა თავიანთი შემოქმედების თემად გაიხადეს. ბევრი საინტერესო ლექსი შეიქმნა მაშინ ამ თემაზე. მათგან საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენიმეს.

მოწინავე საბჭოთა პოეტი ალიო ზირცხულავა-მაშაშვილი 1926 წელს დაწერილ ცნობილ ლექსში — „მტკვარისტანი“, ზაპესს ადარებს მზეს, რომელიც ხალხის კეთილდღეობას ემსახურება. პოეტი ამბობს:

გახედეთ: მტკვარი დამტკრული მორბის ხარტინით,
ზაქეს, მზედარო! კვამლის ციდან ტყდება რკინები,
ლამე მუხლებში ილუნება ბეგემოტივით
და ილიმება ვარსკვლავების თეთრი კბილებით.

მეორე ლექსში ალიო მაშაშვილი კვლავ ქებით იხსენიებს ზაქესს და ასე მიმართავს მას:

ზაქესი ინდუსტრიის თეთრო მშობელო,
ზაქესი საქართველოს მზე-განთიადო.

პოეტმა ილო მოსაშვილმა ზაქესს უძღვნა საინტერესო ლექსი „ზაქეს, შენ გიმღერ“:

ჩემო ქვეყანავ, აღარა ვდარდობ,
ხევაღ დამდგარა შენი სიკეთე,
და ვამბობ: აბა პოეტმა მარტო
ლექსების წერით რა გაგიკეთე.
როცა კვდებოდა ავღრიან გზაში
ცხოვრება, დიდ ხანს გასარჩევი,

ფრთებდალენილი მიზნებით მაშინ
ჩემთვის უგულოდ განზე ვიყავი.
და ღღემღ ბედი რომ არ მიქია,
ჩანგატეხილი შენთან მოველი
ჩქ, სადაც შრომამ, მზემ და სტიქიამ
მარჯალ: ამართეს სვეტიცხოველი.

ილო მოსაშვილი საცესებით სამართლიანად უკაცშირებს პოეტის ახლად დაბადებას, მის იდეურ გარდაქმნას ახალ სოციალისტურ სამყაროს. მისი აზრით, განზე გამდგარი პოეტის ცხოვრებასთან დაბრუნება, მისი იდეური გარდაქმნა ახალ დროს, საბჭოთა დროს, სოციალისტურ მშენებლობას გამოუწვევია. პოეტს გულწრფელად ახარებს საბჭოთა ადამიანების შრომა, რასაც სოციალისტური მშენებლობის ძლიერი გიგანტი „ზაქესი“ შეუქმნია.

საბჭოთა ეპოქის სადიდებელი პირველი პოეტური სიტყვა ცნობილმა ქართველმა პოეტმა ს. შანშიაშვილმა სწორედ ზაქესზე დაწერილ ლექსში წარმოთქვა. ს. შანშიაშვილი იგონებს „ძველი საუკუნის ნგრევის ეპოქებს“, რომლებმაც იავარჰყვეს ძველთაძველი დედაქალაქი მცხეთა, ადარებს მას ახალს, აღორძინებულ და განახლებულ ჩვენს ეპოქას, რომლის ერთ-ერთ ძეგლად „ელექტრო არმაზი“ მიუჩნევია, „ერი განახლდა, დრო დიდებისა გათენებია“.

სოციალისტური მშენებლობის ცხოველყოფელი ძალა და გავლენა მთელი სისრულით გამომჟღავნდა ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში. ამ ძალის გამოხატულებას ვხედავთ წლების განმავლობაში დეკადენტური პოეზიის ერთგული პოეტის ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში. 1927 წელს დაწერილ ლექსში „პასუხი“, რომელიც ზაქესისადმი არის მიძღვნილი, პოეტი იგონებს თავის ძველ გზას.

როცა მზის ნაცულად გეინათებდა მთვარის პატრუქი,
როცა გარს გვერტყა სინამდვილე მთლად უზადრუქი¹.

¹ „მნათობი“, № 8, 1927.

მაშინ მე, — ამბობს პოეტი, — შორეულ ლანდებს ვადიდებდი, მოჩვენებებით და მირაჟებით ვცხოვრობდი, ახლა კი ახალმა დრომ სავსებით შეცვალა ჩემი გზებიო:

რა საჭიროა ელსინორის მღვრიე ჩვენება,
როცა აშენდა ცეცხლიანი კოშკი ზაქესი.

ამ ახალი, საბჭოთა სინამდვილით აღფრთოვანებული პოეტი კატეგორიული ტონით აცხადებს:

უნდა გათავდეს შთაგონება მხოლოდ წარსულით,
უკვე აივსო დედამიწა ნამდვილ გმირებით,
ამაღლდეს ხალხი, ხანძარებით შემოგარსული,
და გადალახოს მსოფლიოში მტრის ჯებირები.

ქართველი სიმბოლისტების ყველაზე ტიპური წარმომადგენელი ზედიზედ აქვეყნებს უაღრესად რეალისტურ, რევოლუციურ პათეტიკურ ლექსებს: „ბაქო“ (1928 წ.), „ანტოლოგია და მეტონი“, „დამკვრელი სტრიქონები“ (1930 წ.).

ამ მაგალითის მიხედვით ნათელი ხდება სოციალისტური ინდუსტრიის გამონატულება ქართულ ლიტერატურაში.

საქართველოს ინდუსტრიის დიდი გიგანტის — ზემო ავჭალის ელექტროსადგურისადმი მიძღვნილი ლექსებიდან ბევრი დარჩა ქართულ პოეზიაში, როგორც პოეტური ოსტატობის უქკნობი ნიმუში, მათ შორის ჩვენ აქ უნდა მოვიხსენიოთ ალ. აბაშელის ლექსი „უცნაური ამბავი“:

თბილისის ღამეს შიში სწევია:
ამბავი მოაქვს მტკვარს უცნაური. —
ავჭალას ცეცხლი შემოხვევია,
ანთებულ რკინის ისმის ხმაური.
დაირღვა ძილი და მყუდროება,
მოეცა ღამე ერთამულს უჩვევს.
ნაძვის სვეტები თეთრ ურდოებდად
შემოესია თბილისის ქუჩებს.
ღა დაირაზმა შიშველ სვეტების
რკინის ფეხებზე შემდგარი ჯარი,
დაჩუქვებული ცეცხლის წვეთები
რომ დაარეგოს მეტის სიჩქარით.

ის ავჭალიდან სინათლეს ელის
და მთელი ღამე არ დაიძინებს;
შუშის კბილებით უკირავს ქსელი,
სადაც მორჩილი ელვა იდინებს,
როცა სვეტები გადაიქცევა
ათასი მთვარის ეშაფოტებად,
სნეული ჩრდილი ცაღ აიწევა,
იმატებს ღამის გაბოროტება,
ვერას გახდება — ბევრიც იბრძოლოს,
და, რომ ინათებს დილა სისხამი,
წავა და სადმე ქალაქის ბოლოს
თავს ჩამოიხრჩობს თბილისის ღამე.

არა შიშველი აგიტაცია, არამედ მაღალი პოეტური ფორმით გამოსახვა მებრძოლი, რევოლუციური საქართველოსი იყო მწერლობის მთავარი ამოცანა. რევოლუციური რიტმისა და განწყობილებების ასეთი მაღალი პოეტური ფორმით გამოსახვის არა ერთი და ორი შემთხვევაა ოცინი წლების ქართულ მწერლობაში.

ამ პერიოდის ქართულ პოეზიაში ფართოდ აისახა სოციალისტური მშენებლობა, „საუკუნე ინდუსტრიალური“, განახლებისა და აღორძინ-

ნების გზაზე შემდგარი ახალი ქალაქის სახეს გვაძლევს რ. გვეტაძე ლექსში „მუშათა ახალი სახლი კონქაძის ქუჩაზე“. პოეტი აღწერს, თუ როგორ შენდება და ლამაზდება ქალაქი თბილისი, როგორ „გაუნათეს წელს ზაპესით ბინა მუშებს“, „როგორ დულს რკინა, რომ ამართონ ხეალ ცემენტის ტალავერი“.

საბჭოთა პოეტები უმღერიან სოციალისტურ შრომას, ინდუსტრიის ტემპს. „ეპოქაში“ გ. ტაბიძემ სამოქალაქო ხმით უმღერა ინდუსტრიულ საქართველოს:

მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს სიარელი.
არის საუკუნე ინდუსტრიალური.

ახალი ეპოქის სიღიაღით აღფრთოვანებული პოეტი ამბობს:

ქარხანა შრომობს, ბორბალი ბრუნავს, წარმოებისთვის წამი არ იცდის. საკაცობრიოდ იცვლება შრომად ქველი ბუნავი კაპიტალისტის.	დაატრიალეთ მედგრად ბორბალი. ამ მტკიცე ხმაში მკაფიოდ ისმის პროლეტარული აღფრთოვანება მოახლოვებულ სოციალიზმის.
---	--

საბჭოთა მწერლები ადიდებენ დამკვრელობას, ქებას ასხამენ ხუთწლედის ტემპებს. ამ აზრს გამოხატავს გ. ტაბიძე, როცა ამბობს:

ჩვენს ქვეყანას სვირდება უამრავი ლითონი, ჩვენს ქვეყანას სვირდება	მანქანა და მანუთი. მოერჩეთ ოთხ წელიწადში დასახული ხუთწლელი.
---	---

ალიო მირცხულავა-მაშაშვილმა ახალი დროის მშენებელთა, მოწინავე საბჭოთა ადამიანების შრომას, მის თავდადებას უძღვნა ამ პერიოდის ერთი საუკეთესო ლექსი „დამკვრელი ბრიგადები“. აქ პოეტი ქებით იხსენიებს და პათეტიკური სიტყვებით ხატავს კოლექტიური შრომის ენთუზიასტებს — ახალგაზრდობას. სოციალისტური შრომის ეს შესანიშნავი სიმღერა ვაჟკაცური ხმით ყდერს. ლექსის სტრიქონსა და სტრიქონს შუა თითქოს გესმით „ყალყზე დამდგარი მანქანების ბორგვა-ხმაური“.

აზვირთებულა ტალა შეჯიბრის,
ბორგავს, ბობოქრობს შრომა ზეიადი,
ღიად ხუთწლედის გამარჯვებისთვის
იბრძვის მუშათა ენთუზიზმში
მაშ, როგორ გინდათ, როგორ გაეასწროთ
კაპიტალისტურ ტემპს და ვერობას,
დასცხეთ, დაქარით როგორც არასდროს
რბევას,
გარდევას,
დაუღვერობას!

ლექსის იდეურ ძალას განამტკიცებს მოსწრებული მხატვრული გამოთქმები: „წიგნი შრომის დროს აგურია და ბრძოლის დროს —

ტყვიით სავსე ყუმბარა“, „შრომის ფრონტიდან გამოქცეული იგივე ბრძოლის დეზერტირია“ და სხვ.

ინდუსტრიის თემას, სოციალისტური მშენებლობის თემას ქართველმა მწერლებმა მრავალი ლექსი და მოთხრობა უძღვნეს. მათ შორის უნდა დავასახელოთ გ. ქუჩიშვილის „ზაპესი“, „შრომის ფრონტზე“, „ფეროგიგანტის რადიო-ელვა“, გ. ლეონიძის „გმირი და პოეტი“, „შემკეთებელ ქარხანაში სტალინის სახელობისა“, კ. კალაძის „ზაპესი“, ს. ეულის „ზღაპარი და სინამდვილე“, „ზაპესი“, ი. ვაკელის „მალაროს პრელუდები“, „ლექსი თბილისზე“, კ. ლორთქიფანიძის „მუშა გამომგონებელი“.

ლექსში „მუშა გამომგონებელი“ კ. ლორთქიფანიძე მგზნებარედ აცხადებდა:

ფორდის ქვეყანავ, ბევრი ქვეყანა
ჩამორჩა შენი ტექნიკის დონეს,
მაგრამ ორმოცი საუკუნის წინ
პირამიდების მშენებელ მონებს
იმდენი ცრემლი არ დაუღვრიათ,
არ უწყევლიათ თავის გაჩენა...
ასე უღმერთოდ ფარაონებთან
არ უშრომია კაცის მარჯვენას,
როგორც შრომობენ შენი ზანგები...
წინ იმათ კვნესას უსმენ გულცივად.
ღიალ შრომავ, შენს ისტორიას

სისხლი გამოდის ყოველ ფურცლიდან
შეგინებულო, შეზიზღებულო
და გავსებულო კაცთა ნაღველით.
ყველგან

ყოველთვის.

ღელამიწაზე

ტანჯვა ყოფილა შენი სახელი.
და იცით რატომ ვარ ბედნიერი,
ასე ამაყად თავი რად მომაქვს?
მე რომ იმ ქვეყნის მოქალაქე ვარ,
სალაქ წამება არ ჰქვია შრომას...

გ. ლეონიძე ლექსში „შემკეთებელ ქარხანაში სტალინის სახელობისა“ აღწერს მუშების თავდადებულ შრომას და ასე მიმართავს მათ:

ღაკარ, დამკვრელო,
ღამაკვრევიწი,
შენს ქარიშხალთან ტყუპად ვიარო.
ლექსი ელვაში გამოხვეული

ამ საუკუნეს შემაზიარო!...
ღაკარ,
მომაცხე ცეცხლი ცეხიდან
ამ საუკუნის.

ამგვარად, სოციალისტურმა მშენებლობამ გამოიწვია ჩვენი მწერლობის იდეური გარდაქმნა. ქართველი მწერლები დაუახლოვდნენ საბჭოთა სინამდვილეს. ამ გარემოებამ ახალი შინაარსით, გამომსახველობათა ახალი ფორმებით, ახალი განწყობილებით განმსჭვალა ჩვენი მწერლებს შემოქმედება, ხელი შეუწყო მათს იდეურ გადაიარაღებას.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან ერთად დიდ ისტორიულ პროცესს წარმოადგენდა საკოლმეურნეო მშენებლობა.



საკოლმეურნეო თემა ქართული საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთი წამყვანი თემა იყო. ქართული საბჭოთა მწერლობა შეეცადა აესაზნა ის უდიდესი სოციალური გარდაქმნა, რომელიც საკოლმეურნეო მშენებ-

ლობამ მოახდინა სოფლად. ამ გარდაქმნის შედეგად შეიცვალა ჩვენი სოფლის ეკონომიკური სახე, კიდევ უფრო ამაღლდა საკოლმეურნეო ცხოვრების მშენებელ ადამიანთა სოციალისტური შეგნება. სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობის ეტაპებრივმა წარმატებამ ნაყოფიერი გავლენა მოახდინა ქართული ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე. საბჭოთა ლიტერატურაში გამოჩნდა ნაწარმოებები ამ თემაზე. მათ შორის უნდა დავასახელოთ კ. ლორთქიფანიძის „ახალი გლეხები“, გ. ტაბიძის „რევოლუციური საქართველო“, ე. პოლუმორდვინოვის „იღვიძებენ მთები“, ა. მაშაშვილის „განგაში“. პ. სამსონიძის „სალტე“ და სხვ. ეს ნაწარმოებები საკოლმეურნეო ცხოვრებას ასახავდა, მათ აერთიანებდა საერთო თემატიკური რკალი და, რაც მთავარია, ეს თემატიკა საბჭოთა ქართული ლიტერატურის განვითარების ამ პერიოდის მონაპოვარია.

ამ ნაწარმოებთა ღირებულება განიზომება არა მარტო იმით, რომ ისინი უშუალოდ ეხმაურებიან და ასახავენ საკოლმეურნეო მშენებლობას, მის ადამიანებს, მათს თავდადებულ შრომას, მთავარია ის, რომ ისინი ზრდიდნენ საბჭოთა ადამიანებს სოციალისტური სულისკვეთებით, უჩვენებდნენ მათ საკოლმეურნეო ცხოვრების პერსპექტივებს და ამგვარად იქცნენ მძლავრ მატერიალურ-იდეურ ძალად, წინ წამყვან ძალად, საბჭოთა მკითხველების ფართო მასაზე ზემოქმედების ფაქტორად. რა თქმა უნდა, ყველა აქ დასახილვული ნაწარმოები როდია ერთნაირი მხატვრული ღირებულებისა, მაგრამ მათი გამაერთიანებელია ის გარემოება, რომ ამ ნაწარმოებთა ავტორები დროულად გამოეხმაურნენ საბჭოთა სინამდვილის განვითარების ამ უაღრესად რთულ და მძაფრ ეტაპს, სოფლად სოციალისტური მშენებლობის აქტუალურ საკითხებს.

ჩვენი პოეტები საკოლმეურნეო ცხოვრების თემატიკას ლირიკული ლექსებითაც გამოეხმაურნენ. მათ შორის უნდა დავასახელოთ გ. კაჭანიძის ლექსი „წერილი მეზობელ კოლმეურნეებს“, რომელშიც პოეტი ასე მიმართავს საკოლმეურნეო ცხოვრების გზაზე დამდგარ თავის მეზობელ კოლმეურნეებს:

შეხედეთ, სხვაგან სიძნელებს როგორ მივანგრევთ,
მიჰყევით გმირებს,
დაიუფლეთ თქვენც ის გაგება—
არ არის ქვეყნად დღეს ისეთი ციხე-სიმაგრე,
ბოლშევიკებმა რომ ვერ შესძლონ მისი აღება.

პოეტი ულოცავს თავის თანასოფელ კოლმეურნეებს ახალ ცხოვრებას, ხარობს მით, „რომ ჭიხაიშის ცაც ლივლივია ჩვენი ეპოქის“, დარწმუნებულია, რომ მისი მეზობელი კოლმეურნეები მტკიცედ გასწევენ წინ, სოციალისტური სოფლის მშენებლობის გზით. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ფრიდონ ნაროუშვილის „ხოლტი ეწევა აგიტაციას“.

საკოლმეურნეო მშენებლობამ შესაძლებელი გახადა ჩვენს სოფლის მეურნეობაში ფართოდ დამკვიდრებულიყო ჩაის, ციტრუსების კულტურა. საქართველოს შავი ზღვის სანაპიროები ჩაისა და ციტრუსების მწვანე პლანტაციებით მოიფინა. ჩვენმა მწერლებმა და პოეტებმა ამ დიდ ისტორიულ საქმეს ბევრი საინტერესო ლექსი უძღვნეს. ირაკლი აბაშიძემ ლექსში „ოდიშის პლანტაციები“ დახატა ამ ახალი ცხოვრების მშენებელ ადამიანთა მხატვრული სურათი. პოეტი ქებით იხსენიებს ჩაის პლანტაციის მოწინავე ადამიანებს:

აპა. ოდიში — ჩაის სამყარო,
კოლმეურნე და მინდვრის გმირები...

საკოლმეურნეო თემაზე ჩვენმა პროზაიკოსებმა და პოეტებმა მრავალი ნაწარმოები დაწერეს. თუ ერთგვარ ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას დავიცავთ, მაშინ პირველ მოთხრობებად, რომლებიც ამ თემას მიეძღვნა, უნდა მივიჩნიოთ კ. ლორთქიფანიძის „ახალი გლეხები“ და ს. შანშიაშვილის „პირველი ტრაქტორი“. ს. შანშიაშვილის მოთხრობაში აღწერილია საკოლმეურნეო მშენებლობის პირველი წერილი, მწერალი გვიჩვენებს კოლმეურნეობის უპირატესობას ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით. კოლმეურნეებს აქვთ ტრაქტორი — კოლექტიური ძალა. ამ ძალას კულაკი ანჯიქო ხარით ეჯიბრება. შეჯიბრებაში კლასობრივი მტერი მარცხდება. აქ პირველად გაიელვებს კოლმეურნეობის ახალი ცხოვრების ძალა, კოლექტიური შრომის ძალა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხრობა მეტად სქემატურია, იგი მაინც ყურადღებას იმსახურებს, როგორც პირველი ცდა ამ მიმართულებით.

პირველი ნაწარმოები, რომელშიც სრულყოფილად აისახა საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების პირველი წლები, კ. ლორთქიფანიძის „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ იყო, მისი ბეჭდვა დაიწყო ჟურნალ „მნათობის“ 1931 წლის პირველ ნომერში. რომანში მკვეთრად გამოჩნდა იმ პერიოდის ჩვენი სოფლის სახე. მასში ასახულია ახალი ეტაპი. კ. ლორთქიფანიძემ მოახერხა ეჩვენებინა ის დიდი სოციალური კონფლიქტები, გააფთრებული კლასობრივი ბრძოლა, რაც თან სდევდა საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ წლებს. ამ მძაფრი ბრძოლის პროცესში იზრდებიან და იწრთობიან საკოლმეურნეო მშენებლობის მესაქენი — სოფლის ბოლშევიკები. ერთი მათგანის ძლიერი სახე მწერალმა დახატა გულმართალი და ხელმართალი ბოლშევიკის ტარასი ხაზარაძის ხასიათში. საკოლმეურნეო ცხოვრების ფონზე მწერალმა კარგად აჩვენა ახალი ადამიანების დაბადება. ამ რომანის ცენტრში დგას მექი — კულაკისა და ვაჭრის ყოფილი მოჯამაგირე. ეს დაბეჩავებული და სოციალურად დაწინაღული ადამიანი გამოჩენილ გმირად სწორედ საკოლმეურნეო ცხოვრებამ აქცია. მექი ვაშაყიძე განზოგადებული

სახეა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ჩაგრული მოჯამაგირისა, რომელიც ახალმა დრომ, საბჭოთა ხელისუფლებამ, საკლემეურნეო ცხოვრებამ ქვეყნის ბატონ-პატრონი და აქტიური მშენებელი გახადა.



ჩვენ მიერ წარმოდგენილი ეს თემატიკური მიმოხილვა პირობითია. მწერლობა, როგორც მაქსიმ გორკი ამბობდა, ადამიანთმცოდნეობაა. მწერლობის უმთავრესი მოვალეობა ადამიანის სულის საიდუმლოებათა გამოხატვაა. ეს ასეა, მიუხედავად ამისა ჩვენ არ შეიძლება მწერლობაში ვიქადაგოთ თემათა თუ განწყობილებათა განურჩევლობა. ცხოვრებაში აქტიური შეჭრა მულამ მწვავედ დგას მწერლობის წინაშე. სწორედ ამის გამო შენიშნავდა ლენინი: „ყოველგვარი ნიადაგი უნდა გამოეცალოს ძველთაძველ, ნახევრადბლომოვისებურ, ნახევრადჩარჩულ რუსულ პრინციპს, მწერალი წერს, მკითხველიც კითხულობს“ (ვ. ი. ლენინი, „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“), ოღონდ ლენინი აქვე ხაზს უსვამდა: „ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ვიქადაგოთ რაიმე ერთსახოვანი სისტემა. არა, სქემატიზმზე ამ დარგში ყველაზე ნაკლებად შეიძლება ლაპარაკი...“ სამწუხაროდ, ლენინის ამ მითითებას ხშირად ივიწყებდნენ რაპკელები და ამან უთუოდ უბიძგა პროლეტარულ მწერლობას „ერთთემატიკისაკენ“, „ერთფეროვნებისაკენ“, ქართული მწერლობა ებრძოდა რა რაპკელების ამ ტენდენციას, იგი ვითარდებოდა, მრავალფეროვანი ხდებოდა, სწორედ თემატიკისა და განწყობილებების მრავალფეროვნებით. ჩვენს მწერლობაში ახალი ძალით აღორძინდა, განახლდა, ამაღლდა ლიტერატურის „ძველთაძველი თემები“, ზოგადი საკაცობრიო, ზოგადი ადამიანური მოტივები და განწყობილებანი. ჩვენს მწერლობაში ფართოდ დამკვიდრდა სილამაზის, მშვენიერების, სიკედილ-სიცოცხლის, ბუნების მიერ მინდორ-ველზე მიმოფრქვეულ და დაღვრილ ფერთა ჯადოსნური გამოხატვა. აქაც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მწერლები, ამგვარად ეს ლირიკული თემებიც, ეს მოტივებიც გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა ქართველ დიდოსტატთა ხელში. გულის კარნახით და სინაზით დაწერილმა ამ ლექსებმა შეყვარებულთა სულის მარადსავალდებელი, მარადუჭკნობი სილიადე და სილამაზე შეიძინა. სამიჯნურო რაინდული პოეზიის მამის — რუსთაველის დებულება — „სიყვარული ადგვამალღებს“ — მიიღო და წინ წასწია მეოცე საუკუნის მწერლობამ, გ. ტაბიძის „მერი“, „მესაფლავე“, „გახსოვს?“, „შენ ერთი მაინც“, ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებული“, „მიმქრალი შარავანდედი“, შიო არაგვისპირელის „გაბზარული გული“, ი. გრიშაშვილის „ხელთათმნის ღილი“, „ქორწილი

ჩვენს უბანში“, პ. იაშვილის, ელენე დარჩანის სახელს ამოფარებული ლექსები, ტიციან ტაბიძის „თამუნია წერეთელს“, „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისეს ღიმილი“, ლეო ქიაჩელის „თავადის ქალი მია“, გიორგი ლეონიძის „ყივჩაყის პაემანი“, „ნინოწმინდის ღამე“, მიხეილ ჭავჭავაძის „ყბაჩამ დაიგვიანა“ მარად დარჩება მწერლობაში, როგორც სიყვარულის უკვდავი ჰიმნი. ამ მხრივ ტრადიცია ქართულმა მწერლობამ ოციან წლებში არა მარტო განავითარა, არამედ ახალი ინტონაცია და განწყობილება შეიტანა მასში ხან ტრაგიკული (გ. ტაბიძის სატრაგიკო ლირიკა), ხან ენებათა უჩინო აგზნებული (ი. გრიშაშვილის „აპრილი თბილისში“), ზოგჯერ გაეჭიბრნენ კიდევ სიყვარულის გაგებაში საბჭოთა მწერლები თავიანთ წინამორბედებს. მაგალითად, თუ ბარათაშვილის აზრით, „სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების და ვით ყვავილი თავის დროზე მწრაფლად დაქკნების... თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს“, გიორგი ლეონიძე თითქოს თავის წინაპარს ეპაექრება, როცა 1928 წელს დაწერილ ლექსში აცხადებს:

მოდო!

გეძახი ათას წლის მერგ
 დამნაცროს ელვამ შენი ტანისა,
 ვარდის ფურცლობის ნიშანი არი
 და დრო ახალი პაემანისა.

გიორგი ლეონიძის აზრით უკვდავება არა მარტო მშვენიერ სულში მდგომარეობს, არამედ თვით სილამაზე ისევე უკვდავია როგორც უკვდავია პოეზია, მშვენიერება. მშვენიერება და სილამაზე მარად ცოცხლობს, როგორც საგანი პოეზიისა. იგივე აზრია გატარებული ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებული მწერლების ნაწარმოებებში. მაგალითად, ვასილ ბარნოვის აზრით, მშვენიერება — სიყვარული, თვით ღმერთია, ამავე დროს სიკეთის და გარდუვალი ქეშმარიტების მომტანი ადამიანებისათვის. ასევე პატრიოტიზმის თუ სიკვდილ-სიცოცხლის ზოგად ფილოსოფიურ პრობლემატიკას მრავალი შედეგრი შესძინა ოციანი წლების ქართულმა მწერლობამ. ახალგაზრდა საბჭოთა მწერლობამ აქაც ახალი სიმაღლე მიანიჭა ამ მარადიულ თემებს.

მწვავე პრობლემებით, თემატიკის ნაირსახეობით ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ჩვენი მწერლობა საბჭოთა სინამდვილეს, სოციალისტური მშენებლობის გიგანტურ გზას. ასევე ნათლად ჩანს, თუ რა ნაყოფიერი გავლენა იქონია ამ ახალმა დრომ, საბჭოთა დრომ ჩვენი მწერლების იდეურ და მხატვრულ ზრდაზე, როგორ გარდაქმნა მან ძველი თაობის საინტერესო წარმომადგენელი და გამოიყვანა ისინი ახალი ცხოვრების, საბჭოთა სინამდვილის მხატვრის როლში.

მწერლობაში დასახლდნენ სოციალური ტიპები: „ზედმეტი ადა-

მიანი“: „კულაკი“, „ნაკაცარი“, „მეშჩანი“, „მედროვენი“, „რევოლუციონერი“, „ბოლშევიკი“, „ახალი ადამიანი“, „ძველი“ და „ახალი“ ინტელიგენტი...

1927 წელს სახელგამმა გამოსცა გალაკტიონ ტაბიძის ლექსთა სრული კრებული ერთ წიგნად. ამ წიგნს, რომელშიაც მთელი სისრულით გამოჩნდა ქართული პოეტური სიტყვის დიდი ჯადოქრის სიდიადე; ფართოდ გამოეხმაურა ქართული ლიტერატურული საზოგადოებრიობა; კერძოდ, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, შოა მღვიმელი, შალვა დადიანი, გიორგი ქუჩიშვილი, ვალერიან გუნია, ია ეკალაძე, ზაქარია კიჭინაძე, პოეტი ქალი განდევილი — დომენიკა ერისთავი. მწერლების უმრავლესობა გალაკტიონს უწოდებს „პოეტების მეფეს!“.

1928 წელს გალაკტიონ ტაბიძე მწერლების მსოფლიო კონგრესის დელეგატებთან ერთად მოგზაურობს საბჭოთა კავშირის უმთავრეს სამრეწველო რაიონებში. თავისი შთაბეჭდილებები და განწყობილებები მან გამოხატა ლირიკული ლექსების ციკლში, რომელსაც უწოდა „ეპოქა“. ამას მოჰყვა პოემები „პაციფიზმი“, „საით მიდის რევოლუციური საქართველო“, „პრესა“...

გალაკტიონ ტაბიძის ამ წლების ჩანაწერებში ვკითხულობთ: „დღე, მან მთელი გვერდების მანძილზე მოიყვანოს ახალი დროის შეცდომების მაგალითები, ეს მაგალითები ბევრია, მათი რიცხვი კიდევ შეიძლება უფრო მეტად გავამრავლოთ, მაგრამ, როდესაც შენდება ახალი სახელმწიფო, როდესაც მთელი ახალი კულტურა ხე-ტყეშია, ხარაჩოებშია, ისინი (შეცდომები) ბუნებრივი არიან“ (1929 წ.). „... არიან ადამიანები, უკეთ რომ ვთქვათ, ადამიანების მთელი თაობა, რაც უნდა ზაქესის, თავფარავანის კილოვატებით არ ანთო, მაინც გულგაუნათებელი დარჩება“ (1928 წ.)“...

ასეთი განწყობილების საბჭოთა პოეტი, სრულიად ბუნებრივია, მრისხანე წერილით მიმართავს ყველა იმათ, ვინც საბჭოთა სინამდვილის მღელვარე იდეალებით არ იყვნენ განმსჭვალული. ამ მხრივ დამახასიათებელია გალაკტიონ ტაბიძის „წერილი საბჭოთა მწერლების ფედერაციისადმი“.

„ამხანაგებო! პირადად მე, გალაკტიონ ტაბიძე, ფედერაციის მემარჯვენე ფრთისაგან არ მოვიტხოვ 180 გრადუსით გადმოხრას. მე მოვითხოვ, რომ მან იქონიოს გამბედაობა. პირდაპირ შეხედოს თვალებში სინამდვილეს. ვიმეორებ: ეს ლიტერატურული ომები ხელოვნების სასახლეში, ეურნალებში, გაზეთებში, სალიტერატურო საღამოებზე მიდის ერთი ლოზუნგით: უნდა შეგვეწვედეს გამბედაობა, პირდაპირ შევხედოთ თვალებში სინამდვილეს. სინამდვილე კი, აი როგორია: ჩვენა და მსოფლიო ლიტერატურის ბედი გადაწყდა არა გუშინ, არამედ 1917 წელს. მწერლობას მას შემდეგ არ უნდა შეშინებოდა არავითარი რეაქ-

ციის, არავითარი ძალდატანების, თქვენ კი საბედისწერო სისუსტე გამოიჩინეთ: გამოირკვა უღმობელი სიცხადით, რომ მემარჯვენეობა თავიდანვე თვითონ ცხოვრებისაგან იყო განწირული, ცხოვრება შეუბრალებლად და უგულოდ გადაიხარა 180 გრადუსით, იგი შეუჩერებლად გაექანა მსოფლიო რევოლუციისაკენ. თქვენ კი ქრონიკული ალიანსებით და კომპრომისებით სუსტი, ხანდახან ავანტიურისტული ხელმძღვანელობის წყალობით მიუახლოვდით ნაპრალს, მიდით გადაჩხვამდე, აი ეს არის სინამდვილე, რომელსაც პირდაპირ უნდა შეეხედოთ თვალეში...

პროლეტარული ახალგაზრდობა, ინტერნაციონალურ-პროლეტარული იდეოლოგია მოითხოვს, რომ ხელი შევეწყოთ შინაგანი გადახალისების ორგანულ პროცესს. ამ ახალგაზრდობას სწყურია მდიდარი, სოციალისტური მშენებლობის ხელისშემწყობი, ბრწყინვალე, გრანდიოზული, დიდებული ლიტერატურა. თქვენ კი რას აწვდით მას? თქვენი მემარჯვენე ფრთა ჩიუტად იცავს თავის დანგრეულ პოზიციებს და ამით ხელოვნურად აკავებს პროცესს რევოლუციურ ლიტერატურულ ჯგუფთა გაერთიანებისას, ცდილობს მისი განვითარების შეფერხებას. ბოლოსდაბოლოს, რისგან შედგება ეს თქვენი მემარჯვენე მიმდინარეობა? იგი შედგება ნამსხვრევთა ნამსხვრევებისაგან, იგი შედგება რევოლუციის მიერ შეურაცხყოფილი კლასების ნამსხვრევებისაგან; ეროვნული ინტერესები აქ არაფერ შუაშია. პირდაპირ უნდა შეეხედოთ სინამდვილეს თვალეში და ვთქვათ: ეს არის ლიტერატურული სიყალბე და ისტორიული უნიადგობა.

მემარჯვენეობა ისე იჭერს თავს, როგორც ძველი გვარდია ვატერლოოსთან, რომელიც კვდება, მაგრამ არ ნებდება. ამის დამნახველი, ალბათ, სიცილით კვდებიან ოლიმპოს ღმერთები, ეს ღრმად პატივცემული აკადემიური, მაგრამ ღრმად პროვინციალურად კომიკები.

ჩვენ გვინდა მდიდარი, ბრწყინვალე, გრანდიოზული, დიდებული ლიტერატურა, რომელიც დაენმარება სოციალისტურ მშენებლობას, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი ყოფის განმტკიცებას. პროლეტარული ახალგაზრდობა სავსებით მართალია, არ შეიძლება დიდხანს ყოფნა ასეთ სუბბურულ მდგომარეობაში. უნდა გადახალისდეს ხელოვნების სასახლე, უნდა „ამოძრავდეს საბჭოთა მწერლობის აქტიური ენერჯია“. თუ თქვენ გამბედაობა შეგწევთ, უნდა დაჰყაროთ ფარხმალი, აღიაროთ თავისი სრული უძლურება და გზა მისცეთ ახალს, თორემ რასა ჰგავს? არავითარ ყურადღებას გარემო ამბებს თქვენ არ აქცევთ: ნუთუ მაინც-დამაინც კატასტროფა უნდა მოხდეს, ნუთუ ციდან მეტეორიტი, ბოლიდი ან მთვარის ნატეხი უნდა ჩამოვარდეს, რომ თქვენ ჭაობიდან დაიძრათ? მიპასუხეთ: მე ამას მალაპარაკებს გობნობა, რომელიც არ მასვენებს. მე ამას მალაპარაკებს მასა, რომელიც მიყვარს, მე ამას მალაპარაკებს რევოლუცია, მე მიყვარს მასა, მიყვარს რევოლუცია, მიყვარს

ისეთი ადამიანი, რომელიც ებრძვის ძველ ცხოვრებას, საჭირო არაა ისეთი ცხოვრება, როგორც მწერალთა კავშირშია, არამედ ცხოვრება ადამიანური, მაღალი, სპეტაკი, კოლექტიურად მიმართული ბრწყინვალე მომავლისაკენ.

დღეს საჭიროა მწერლობა — აქტიურად მებრძოლი ახალი ცხოვრებისათვის, პროლეტარული რევოლუციის იდეალებისათვის. აი, რა არის თავი და თავი“ (1929—1930 წწ).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გალაკტიონ ტაბიძე, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, მთელი თავისი პოეტური შემოქმედებით მტკიცედ დაუკავშირდა საბჭოთა სინამდვილეს. ამის შესაბამისად სავსებით გამდიდრდა გ. ტაბიძის შემოქმედების მოტივები და განწყობილებანი. არ ყოფილა ჩვენს ქვეყანაში ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელსაც პოეტი არ გამოხმაურობდეს თავისი ნიჭიერი კალმით. განსაკუთრებით ნაყოფიერ მუშაობას პოეტი სწორედ საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ამ პერიოდში ეწეოდა. გალაკტიონ ტაბიძე ამ წლებში უფრო აქტიურად ჩაება საბჭოთა ლიტერატურის მშენებლობის საქმეში, იგი ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი და ყველაზე აქტიური შემოქმედი ამ პერიოდის მწერლობაში.

1925 წელს გ. ტაბიძემ გამოაქვეყნა „ასი ლექსი“. ეს იყო დიდი პოეტური ნიჭის ახალი გამობრწყინება. ლექსების ეს ციკლი იწყებოდა პროლოგით, რომელშიც პოეტი რევოლუციის წლებს აღწერდა. პოეტი იგონებდა, თუ როგორ დასრულდა ძველი ეპოქა („რა საოცარი დასრულდა წლები“), როგორ დაიბადა ახალი ხანა, ახალი ეპოქა (1917 წ.). პოეტი გულწრფელად უმღერის ახალ ეპოქას.

აქ მთლიანად უნდა მოვიყვანოთ „პროლოგი 100 ლექსის“.

რა საოცარი დასრულდა წლები!
მეფთა წყება გაქრა, ვით ლანდი,
მოშორდნენ ტახტებს: ვილქელმი, კარლოს,
ნიკოლოზი და ფერდინანდი,
მაგრამ, მწუხარედ, მათზე კი არა,
სხვაზე იფიქრებს მარტიროლოგი:
იმ მრისხანე წელს პოეტი-მეფე —
გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი,

პანგების მეფე — დიდი სენ-სანსი
და ღირიფორი ნიკიში მძლავრი...
ეკლთან გზაზე დაეცა ბევრი,
მხოლოდ მე ერთი გადავჩი მგზავრი,
რომ გამომეცლო ჯერ არსმენილი
ქართველები ცეცხლთა ფენისა
და მომეტანა საქართველოში
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა.

ეს ლექსი ოქტომბრის რევოლუციის უბერებელი პიონია, დიდი ოქტომბრისა და თვით პოეტის ბიოგრაფიაა, საოცარი პოეტური გარდასახვით მოთხრობილი. ლექსის მთელი ფაქტურა რევოლუციური რიტმისა და ინსტრუმენტზეა აწყობილი. აქ ერთი ამოსუნთქვით მთელი ეპოქაა ნაგრძნობი. ამ პატარა ლექსში უფრო მეტია ნათქვამი ვიდრე ეს კეთილსინდისიერ ისტორიკოსს შეეძლო ოქტომბრის რევოლუციის ჩვეულებრივ აღწერაში ეთქვა.

ვიდრე პოეტი ამ საოცარ ლექსს დაწერდა, მან საკუთარ პოეტურ ქურაში დიდხანს, მთელი ხუთი წელი აწრთო ეს სტრიქონები, ჯერ პროზაული ვარიანტი შექმნა მისი, მერე პოეტური. თავისი ყურნალის პირველსავე ნომერში (1922 წელი, 3 ოქტომბერი), რევოლუციის მანიფესტთან — მოწინავე წერილთან ერთად გამოაქვეყნა ქრონიკა, რომელშიც ვკითხულობთ: „სამწუხარო მარტიროლოგი. ყურნალ-გაზეთებში მოთავსებულია ასეთი ცნობები: „917 და 918 წელი საბედისწერო გახდა მონარქებისათვის. ჩამოთვლილია სახელები: ნიკოლოზ II, ვილგელმი, კარლ, ფერდინანდ. მაგრამ უფრო საბედისწეროა 920 და 921 წელი მეფეთათვის. გარდაიცვალა მეფე რუსეთის პოეტების — ალექსანდრ ბლოკი; გარდაიცვალა მეფე რუსული ფელეტონის — ვ. დოროშევიჩი; გარდაიცვალა მეფე ფელეტონური რუსული კრიტიკის — ა. იზმაილოვი; მეფე რუსეთის სინიდისის — ვლადიმერ კოროლენკო; მეფე რუსი აქტიორების — პრავდინი; მეფე საფრანგეთის კომპოზიტორების — სენ-სანსი; მეფე მსოფლიო დირიჟორებისა — ა. ნიკიში; მეფე ტენორებისა — კარუზო; მეფე ვოკალისტების — ბატისტინი; მეფე გერმანიის დრამატიული არტისტებისა — პოსსარტი“. დიდი დაკვირვება არაა საჭირო, რომ მივხვდეთ, ეს ქრონიკა პროზაული ვარიანტია — „პროლოგი 100 ლექსის“. საერთოდ, გალაკტიონ ტაბიძისათვის დამახასიათებელია ჯერ პროზაული ვარიანტის შექმნა. ასე მოიქცა ის ამ შემთხვევაშიაც. ამ გარემოების გამო იგი აღნიშნავდა: „ლექსების წერა მსუბუქი შრომა როდია, ეს საქმე ნიქის გარდა, შემეცნებას, გამომგონებლობას, გემოვნებას, ორიგინალობას და კიდევ განვითარებულ ტექნიკას მოითხოვს, რაც მიღწეული იქნება მხოლოდ შეუწყვეელი, შეუღრეკელი, შეუპოვარი გულდადებული მუშაობის შემდეგ სიტყვაზე“. ასე მუშაობდა გალაკტიონ ტაბიძე ლექსზე.

„პროლოგი 100 ლექსის“ პოეტის საპროგრამო ლექსია, რევოლუციური ოქტომბრის საპროგრამო ლექსი. გალაკტიონ ტაბიძის პოეზია თავად იყო რევოლუციური ქარიშხალი მწერლობაში. ამიტომ რევოლუციის ქარიშხალმა თავისუფლად იპოვა ბინა მის პოეზიაში. ტაბიძე რევოლუციის პოეტია, იგი რევოლუციასთან მთელი გრძნობით და შეგნებით მივიდა და მისი სწორუპოვარი მხატვარი გახდა.

როგორც ცნობილია, გ. ტაბიძემ, მწერლების მსოფლიო კონგრესის მონაწილეებთან ერთად, მთელი საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრები დაათვალიერა. ამ ნანახისა და მიღებულ შთაბეჭდილებათა პოეტურ ქრონიკას წარმოადგენდა „ეპოქა“. პირველად ის 1928 წელს დაიბეჭდა პოემის სახით ყურნალ „მნათობში“. ამ „პოემას“ ეპიკური ნაწარმოებისათვის საჭირო სიუჟეტური მთლიანობა აკლდა. შემდეგ გამოცემებში პოეტმა იგი ცალკე ლირიკულ ლექსებად დაყო (ასე მოიქცა იგი „რევოლუციურ საქართველოს“ და „პაციფიზ-

მის“ მიმართაც). ყოველი ლირიკული ლექსი ამ პოემებში საბჭოთა სინამდვილის გულწრფელი სიყვარულისა და თავდადების გრძნობით სუნთქავს და ცოცხლობს. ნამდვილი, ქვეშარტი საბჭოთა პოეტის ხალისით არის განმსჭვალული ამ ნაწარმოებთა ყოველი სტრიქონი, საბჭოთა ეპოქის ადამიანის განწყობილება და მრწამსია გადმოცემული მასში. ეს მრწამსი იხატება მაშინ, როდესაც პოეტი საბჭოთა ინდუსტრიალიზაციას შეჰხარის („ეპოქა“); ეს მრწამსი იგრძნობა მაშინ, როდესაც პოეტი კოლექტიური ცხოვრების გზით მიმავალ სოციალისტურ სოფელს უმღერის („რევოლუციურ საქართველოს“). საბჭოთა ადამიანის მაღალი პატრიოტული იდეებით შთაგონებული მეტყველებს პოეტი მაშინაც, როდესაც იგი საბჭოთა არმიას, წითელ არმიას მოუწოდებს დაიცვას რევოლუციის დიდი მონაპოვარი და ნიღაბს ხდის იმპერიალისტთა ზრახვას, რომლებიც ახალი ომისათვის, ახალი სისხლისღვრისათვის ემზადებიან („პაციფიზმი“).

გ. ტაბიძის პოეტური ნაყოფიერება უფრო ნათლად მაშინ იგრძნობა, როდესაც ეცნობით 1925—1930-იანი წლების ქართულ ჟურნალ-გაზეთებს. მათში ყველაზე დიდი ადგილი გ. ტაბიძეს აქვს დათმობილი. იგი აცხადებდა: „ჩვენი ეპოქა მიზნად ისახავს კაცობრიობის აღორძინებას... ჩემი სალამი ახალ ცხოვრების ხეს“. პოეტი აღწერს ჩვენს ქვეყანაში გაშლილ სოციალისტურ მშენებლობას, ქება-დიდებას ასხამს საბჭოთა ინდუსტრიას, „ინდუსტრიალურ საუკუნეს“. ის პოეტების მოწოდებას, ხელოვანთა დანიშნულებას იმაში ხედავს, რომ ასახონ ეს დიდი ეპოქა.

გ. ტაბიძე უმღეროდა საბჭოთა ადამიანების გმირულ შრომას, ქმნიდა ჩვენი აღორძინებული და განახლებული ქვეყნის მხატვრულ სურათს. პოეტი არ ივიწყებდა იმ ფაქტს, რომ ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის მშენებლობას ეწეოდა კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, არ ივიწყებდა ომის საფრთხეს. პოეტს შესანიშნავად აქვს დახასიათებული ამ წლების საერთაშორისო მდგომარეობა და ჩვენი ქვეყნის მისწრაფება მშვიდობისაკენ. კარგად ამბობს პოეტი:

ჩვენ არ გვინდა სხვისი რბევა,
ჩვენ არ გვინდა ომი.

მაგრამ ჩვენი წითელი არმია მუდამ ფხიზლად უნდა იდგეს საღარაჯოზე, რადგან:

ემ მხრითა სდგას

ფაშისტების ბერლინი და რომი.

ეს პოემა, რომელშიაც გამოხატულია ჩვენი ინდუსტრიული ეპოქის მხატვრული სახე, ასე ორიგინალურად მთავრდება: „მკითხავენ: „როდის დამთავრდება თქვენი ეპოქა? ვუპასუხებ: „ეპოქა დამთავრდება მსოფლიო რევოლუციის მოხდენის დღესვე, მე მისი შეილი ვარ და მონათესავე“.

მართლაც, გ. ტაბიძე ახალი ეპოქის, საბჭოთა ეპოქის შვილი და „მონათესავეა“. ეს ჩანს არა მარტო ამ პოემაში, არამედ აგრეთვე „რევოლუციურ საქართველოსა“ და „პაციფიზმში“.

გ. ტაბიძის პოემას — „პაციფიზმი“ წინ უძღვის ლენინის შესანიშნავი სტრიქონები: „მუშათა კლასის ყინვაზე გაცურების ერთი ფორმა-თავანი არის პაციფიზმი და მშვიდობის აბსტრაქტული ქადაგება“. იმპერიალისტების საომარი მზადების შენიღბული ხასიათის ამ კლასიკურ ლენინურ განსაზღვრას თან მოსდევს პოეტის მიერ ძლიერი მხატვრული მხილება იმ ვერაგული პოლიტიკისა, რომელსაც კაპიტალისტები საბჭოთა ქვეყნის მიმართ ეწევიან. პოეტი წერს:

მიწას კვლავ ვფინება;
როგორც გზა და ღრობა,

იმპერიალისტური
ომის საშიშროება.

ომისა, რომელსაც სურს კვლავ გააპარტახოს მშვიდობიანი მოსახლეობის შრომით შექმნილი დოვლათი, კვლავ ააოხროს ჩვენი დიადი სამშობლო:

მოსპოს, გაანადგუროს,
რაც ქურა და ძნებია,

რაც კი მრავალი წლობით
შრომას უშენებია.

ასეთ პირობებში, პოეტის რწმენით, საბჭოთა ქვეყანა მუდამ მზად უნდა იყოს მტერს დარტყმითვე უპასუხოს. საბჭოთა ადამიანებს მართებთ შეუპოვარი შრომა, რათა განამტკიცონ და გააძლიერონ ჩვენი დედისამშობლო. პოემა თავდება ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შრომისაკენ მოწოდებით:

დაჰკარ წერაქვი, დაჰკარ წერაქვი,
აგურს აგური, ფიცარს ფიცარი...

ასეთსავე ფრიად აქტუალურ საკითხს მიუძღვნა ამ წლებში გ. ტაბიძემ თავისი მესამე პოემა „რევოლუციური საქართველო“. ამ ნაწარმოებში მან მოგვცა კოლექტივიზაციის გზაზე დამღვარი საქართველოს მხატვრული სახე. აქ პოეტი აღწერს ზაქესისა და რიონჰესის მშენებლობას, მათს მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ შეიარაღებაში. ინდუსტრიალიზაციის გზამ, — ამბობს პოეტი, — შესაძლებელი გახადა სოფლის გარდაქმნა, ახალი კოლექტიური შრომით უნდა დავძლიოთ სოფლად ყველა სიძნელე: „დაეწიე, გაასწარი კოლექტიური შრომის დროში ყველას, ვინც შენზე წინ არის“. მხოლოდ კოლექტიური გზით შეიძლება მიეცეს ფართო გზა მანქანას, ინდუსტრიას: „გზა მიეცით მანქანას, მომავალი მისია, იგი ჩვენში ახალი ყოფის დასაწყისია“. გ. ტაბიძემ მოხდენილად გამოხატა საკოლმეურნეო ცხოვრების რიტმი ლექსში „მხარი მხარს“.

გარდა ამ პოემებისა, გ. ტაბიძემ მაშინ რამდენიმე ლირიკული ლექსიც გამოაქვეყნა, ყოველივე ამას რომ გავითვალისწინებთ, ნათე-

ლი იქნება, თუ რა ადგილი უჭირავს გ. ტაბიძეს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. მისი სწორუბოვარი პოეზია სრულიად სამართლიანად აკუთვნებს გალაკტიონ ტაბიძეს გამოჩენილი საბჭოთა პოეტის, ქართული საბჭოთა მწერლობის ფუძემდებლის სახელს.

გალაკტიონ ტაბიძეს სადღეისო, ახალთახალი პრობლემებით, უთუოდ, ყველაზე მოწინავე ადგილი ეჭირა ამ წლების ქართულ ლიტერატურაში.

ახალმა დრომ, საბჭოთა ეპოქამ არა მარტო გაამდიდრა შინაარსი გ. ტაბიძის პოეზიისა, არამედ ზოგიერთი სტილისტიკური თავისებურებაც შეიტანა მასში. მისი ადრინდელი შემოქმედების ერთი ნაკადისათვის დამახასიათებელი მისტიციზმის ნაცვლად, ძლიერად იჭრება ცხოვრება თავისი მიწიერებით, ობიექტური სამყაროსადმი ინტერესი თავისი ყოველდღიურობით. ამან გამოიწვია გარკვეული ფრაზეოლოგიური, ლექსიკოლოგიური და ფორმალური ხასიათის ცვლილებები მის პოეტურ სტილში, ამით პოეტმა ნოვატორული, ტაბიძისეული პოეტური ფორმა უფრო გაამდიდრა — „როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონიც“.

გიორგი ქუჩიშვილი მის დიდ სულიერ მეგობართან — გ. ტაბიძესთან ერთად ამ პერიოდის საბჭოთა ლიტერატურაში მოწინავეთა რიგებში დგას. მან გულწრფელად მიიღო ახალი დრო, საბჭოთა ეპოქა და უმღერა მისთვის ჩვეული პოეტური პათოსით. გ. ტაბიძესთან მას აკავშირებდა შემოქმედებითი და პოეტური განწყობილების შემქმნელა საერთო ატმოსფერო, რომელიც ორივემ ერთნაირად განიცადა რევოლუციის წინა პერიოდში, შავბნელ სინამდვილესთან უთანასწორო ბრძოლაში. ახლა კი, საბჭოთა ხანაში, მათ ასევე გაიზიარეს რევოლუციის მიერ მოტანილი დიდი სიხარული. ეს აზრი ასე გამოხატა გიორგი ქუჩიშვილმა გალაკტიონ ტაბიძისადმი მიმართულ ერთ ლექსში:

ერთად ვებრძოდით	ძმად შევეფიცეთ
ცხოვრების მორევს,	ერთი-მეორეს,
შხამსა და შარბათს,	ვერ დაგვაშორეს
ერთადა ვცლიდით;	შურით, სიფლიდით.

გიორგი ქუჩიშვილის პოეზიაში უმთავრესი ადგილი ეჭირა მებრძოლ განწყობილებას. მისი შემოქმედება გამოხატავდა მუშათა კლასის, პროლეტარიატის საბრძოლო განწყობილებას.

გ. ქუჩიშვილის ცხოვრება და შემოქმედება თითქმის მთლიანად რევოლუციურ მუშათა კლასის სახელთანაა დაკავშირებული. მან თავის პირველსავე პოეტურ სიტყვაში უმღერა „შავხალათიან ადამიანებს“, რევოლუციურ მუშათა კლასს და შემდეგ მთელი თავისი მოღვა-

წეობით გვერდში ედგა მშრომელ ხალხს, მებრძოლი ლექსებით ადაფრთოვანებდა მას თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. დაბოლოს, მშრომელ ხალხთან ერთად იგემა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით შექმნილი თავისუფლების ნაყოფი.

გ. ქუჩიშვილმა გააგრძელა იროდიონ ევდოშვილის მებრძოლი სამოქალაქო ლირიკის გზა. რეაქციისა და პირველი მსოფლიო ომის წლებში აღორძინებული დეკადენტური ანტირეალისტური სკოლების წინააღმდეგ ბრძოლაში, სხვა მოწინავე მწერლებთან ერთად, მან სახელოვნად დაიცვა და მოიტანა ჩვენ დრომდე დემოკრატიული, რევოლუციური მებრძოლი პოეზიის ტრადიციები. ეს გიორგი ქუჩიშვილის ისეთი დამსახურებაა, რომელიც მას მუდამ შეუწინააღმდეგებლად ადგილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

გიორგი ქუჩიშვილის შემოქმედებაში დომინანტური ადგილი უჭირავს მებრძოლ ინტონაციას და განწყობილებებს. მისი ლექსები მუშათა კლასის, პროლეტარიატის საბრძოლო განწყობილებას გამოხატავს. პოეტი მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმეს ემსახურებოდა მთელი თავისი მოწოდებითა და შემოქმედებით. სტალინის რეაქციის შავბნელ ეპოქაში მძლავრად უღერდა მისი ოპტიმისტური ხმა:

მე პოეტი ვარ	უნდა ცეცხლს მივცე
მოშავალი ქარიშხალისა,	შთა, ღრუბლებით ჩამოწოლილი,
დიდ საავდაროდ	რომ წარღვნის შემდეგ
ელვის ფრთებით გამოქროლილი,	მზე გამეფდეს მოშავალისა.

იგი არა მარტო აღწერდა მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის მძიმე ცხოვრებას მეფისა და კაპიტალისტების შავბნელ ხანაში, არამედ შთაავსებდა მშრომელ ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეას, უნერგავდა მას მებრძოლ და გაუტეხელ სულს:

ჩვენ არ გვიყვარს ოხვრა, კვნესა,	არ გამქრალა ხსნის იმედი,
ჩვენ არ გვიყვარს მოთქმა, ცრემლი,	არ გაქრება შრომის კერა,
იმედებით ფეთქავს გული,	კვლე გუზგუზებს ცეცხლის კერა,
იმედებსვე სკედავს გრდემლი.	ბრძოლის ხმაზე ქექს სიმღერა.

ასეთი მებრძოლი განწყობილებით ემსახურებოდა გ. ქუჩიშვილი რეაქციის შავბნელ ხანაში მშრომელ ხალხს. მართალია, მისი ადრინდელი ნაწერები არ არის დაზღვეული სევდიანი, პესიმისტური განწყობილებების გამომხატველი პანგეზისაგან, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც, როგორც თვითონ შენიშნავს, იგი „მონარქიული რუსეთის მძიმე უღლის ქვეშ ორმაგ მონობაში მგმინავი კოლონიური საქართველოს მწუხარებას გამოცემდა“.

ქუჩიშვილი ყველაზე უფრო თანამიმდევარი მებრძოლი პოეტია ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში ევდოშვილის პოეტურა

სკოლის წარმომადგენელთა შორის. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ მან, გ. ტაბიძესთან ერთად, თითქმის პირველსავე წლებში მიიღო საბჭოთა რევოლუცია. ოქტომბრის რევოლუციამ უდიდესი გავლენა მოახდინა გ. ქუჩიშვილის პოეტურ შემოქმედებაზე. მისი პოეზია ახალი სასიცოცხლო ძალითა და აზრით განიმსჭვალა. საბჭოთა ეპოქის იდეებით შთაგონებული პოეტი პირველსავე წლებში საბჭოთა მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ხდება. 1922 წელს დაწერილ ლექსში ის მკვეთრად ილაშქრებს „ესთეტი“ პოეტების, დეკადენტური პოეზიის წარმომადგენლების წინააღმდეგ. პოეტი წერს:

თქვენი მუზაა ნაზი ამური, მის საამური პიშიცი შექმენით; მე კი რუხ ქარხნებს მივაპყარ ყური და მედიღური	ხმათა მოსმენით შევქმენ ლექსები მუსიკალური, პროლეტარული განცდით და რწმენით!
---	--

დამახასიათებელია, რომ გიორგი ქუჩიშვილის წინაშე არ დამდგარა საბჭოთა საქართველოს მიღება-არმიღების საკითხი. რევოლუციის პოეტი 1921 წელსვე წერდა:

საქართველო აღსდგა მკვდრებით! გზა მიეცი! ჩამოდექით! გმირთა გმირი ამირანი მოიმღერის გრგვინვა ჰეჰით!	სანეტარო დახსნის ხმები ეფინება ზურმუხტ მდელოს... გაუმარჯოს ბორკილყარს, თავისუფალ საქართველოს.
--	--

ხოლო 1922 წელს ანდრეზიტის ქარხანას, „ნალმებით დახლეჩილ“ მთას მგზნებარედ მიესალმა:

მოდის ხალხი ახალი, იპყრობს სადარიალოს; ირმის ჭოგი დამფრთხალი, უგზო-უკვლოდ ყიალობს! ნალმებით მთარღვევენ ამაყ კლდეთა ფრიალოს:	მყინვარზე მთარხვევენ ღროშას ინდუსტრიალურს. ნგრევის გრგვინვა-გრიალით, ხრეშით ცა იღრუბლება და ზავთიან ღრიალით თურგი ბანს ეუბნება!
--	--

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წლებში მან მრავალი საინტერესო ნაწარმოები შექმნა. მათ შორის უნდა დავასახელოთ: „ზაპესი“, „კომკავშირელი“, „26 კომუნარი“, „ლენინი“, „კოლმეურნეობა“, „წითელი არმია“, „საბჭოთა სოფელი“ და სხვ. პოეტი გულწრფელად შესტრფოდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზას. იგი აღფრთოვანებით მიესალმა პირველ დიდ ინდუსტრიულ კერას — ზაპესს. პოეტი წერდა:

შენ კი, ზაპესო, მოჩახახავე და ბუმბერაზო, უკუნეთ წარსულს	ისე უნდა გადაერაზო, როგორც ოქტომბრით მოვლენილი დიდი ლენინი.
---	---

ასევე გულწრფელად უმღერა გიორგი ქუჩიშვილმა საკოლმეურნეო მშენებლობას („კოლმეურნეობა“, „საბჭოთა სოფელი“). იგი მხურვალედ მიესალმა ხუთწლედის გმირებს, სოციალიზმის მშენებელ გმირებს. პოეტი წერდა:

ვაშა ხუთწლედის წითელ გმირებს, ვაშა ოქტომბერს,	უდიდეს გეგმებს ტემპებით რომ ახორციელებს!
---	--

გ. ქუჩიშვილის პოეზიას ბოლომდე შერჩა დამახასიათებელ სტილურ ნიშან-თვისებად მებრძოლი, სატრიბუნო ინტონაცია და პათეტური ტონი.

ალიო მირცხულავას (მაშაშვილის) პოეტური სიტყვა საბჭოთა საქართველოსთან ერთად დაიბადა. მისი პირველი ლექსი 1921 წელს გამოქვეყნდა, ხოლო ლექსების პირველი კრებული „მერეხი“ 1924 წელს დაიბეჭდა. რევოლუციურ საქართველოსთან ერთად დაბადებული პოეტი საბჭოთა საქართველოს უერთგულესი ჯარისკაცი იყო, რომელიც მთელი თავისი ნიჭითა და ძალ-ღონით, პატიოსნად, გაუბზარავად, გულმხურვალედ ემსახურა საბჭოთა საქართველოს. ალიო მირცხულავას ხსენებისთანავე თვალწინ წარმოგვიდგება ოციანი წლების მძაფრი ლიტერატურული ბრძოლები, რომლებშიაც იშვა და ჩამოყალიბდა ქართული საბჭოთა პოეზია. ალიო მაშაშვილი კი ამ რევოლუციური ლიტერატურული იდეების ერთი მოწინავე მედროშე იყო. ოციანი წლების რევოლუციური საქართველოს ბრძოლისა და შრომის რომანტიკა ნათელ გვირგვინად ადგას მთელ მის პოეზიას. სრულიად ახალგაზრდა პოეტი — ალიო მაშაშვილი 1923 წელს, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილ ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანებას — „მომავალს“ ჩაუდგა სათავეში. „სპარტაკში“ დაიბეჭდა ჟურნალ „მომავლისა“ და გაზეთ „სპარტაკის“ სპეციალური მიმართვა საქართველოს ლიტერატურული ახალგაზრდობისადმი. საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა ამ ლიტერატურულმა გაერთიანებამ დიდი როლი შეასრულა და მტკიცე ნიადაგი შეუქმნა ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარების რთულ პროცესს. ალიო მაშაშვილი სამართლიანად ითვლება ამ მოწინავე კომკავშირული ლიტერატურული თაობის მეთაურად. თვით ალიოს პოეტური ტალანტი, სწორედ სოციალისტურმა რევოლუციამ გამოაღვიძა, საბჭოთა სინამდვილე გახდა მაშაშვილის შემოქმედების ატმოსფერო და სათავე.

ქართული საბჭოთა ლიტერატურა ოქტომბრის რევოლუციის პირშოა, ალიო მაშაშვილი კი — რევოლუციური საქართველოს გულმართალი პოეტი.

პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ, იგი ქართულ საბჭოთა ლიტერა-

მე ბრძოლის გარდა რა მყვარებია,
რომ მაღარდებდეს ხმა მწუხარების,
ბრძოლით გავლილი ნაპრალებია
ნაოკიანი შუბლის ღარები,

მივალ იქ, სადაც ნახშირკლდინი
ტრიბუნებით ღვანან მკერდები,
მე, როგორც ერთი ადამიანი,
ბრძოლას ბოლომდე შევაბერდები.

და ეს არ იყო უბრალო დეკლარაციული განცხადება. პოეტს კარგად ჰქონდა შეგნებული საბჭოთა მწერლის მოქალაქეობრივი ვალი გამარჯვებული სამშობლოს წინაშე და ისიც მთელი თავისი მაღალი შეგნებით ემსახურებოდა საბჭოთა საქართველოს.

ალიო მაშაშვილის შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი ეჭირა ინდუსტრიალიზაციის, კომკავშირელების, საბჭოთა ახალგაზრდების ცხოვრების თემას, პოლიტიკურ, მახვილ რევოლუციურ თემებს. ლექსში „გადახრა მთვარისაკენ“, „ნახტომი მზისკენ“ პოეტი შეჰხარის ახალ დროს, ქვეყნის შრომის ღალატს, იგი წერს:

ვხედავ ახალ ქვეყანას, მესმის შრომის ღალადი,
წითლად მოკიდებია ცას დროშების ალები.

ამ ახალ დროს შესტრფის პოეტი, მზეს ადარებს მას:

დიდება შენ, ქვეყანავ, მზის სადარო, მზიანო.

კაცობრიობის უდიდესი ბელადის, ჩვენი სახელმწიფოს ფუძემდებლის, ლენინის სახის გამოქანდაკება პოეტმა ჭერ კიდევ ლენინის გარდაცვალების პირველსავე დღეებში სცადა. ამ თემაზე შექმნა პოეტმა ერთ-ერთი ფრიად საინტერესო ლექსი „ლენინს“, რომელიც დაწერილია 1924 წელს; ეს ნაწარმოები დარჩება ქართულ ლიტერატურაში როგორც ღრმა იდეურობისა და პოეტური ოსტატობის ბრწყინვალე ნიმუში. ამ თემას პოეტი დაუბრუნდა 1927 წელს, როდესაც დაბეჭდა ახალი ლექსი „ლენინი ჩვენს საქმეში“. აქ მან შესანიშნავად გამოხატა დიდი ლენინის გენიალური იდეების ცხოველყოფილობა, ამ იდეების პრაქტიკული განხორციელება ჩვენს სინამდვილეში:

მუდამ და უშიშარ ბრძოლას გვასწავლიდი,
მურომელთა მისების ხარ დიდი ბელადი,
უხვია რუსეთის პურის მარცვალივით
ეგ შენი სიტყვები ველიდან ველამდი!

ა. მირცხულავა-მაშაშვილი ლენინური კომკავშირის რიგებში აღიზარდა, აქ მიიღო მან პირველი პოლიტიკური წრთობა. და ახალგაზრდობის, მოწინავე საბჭოთა ჰაბუკების სკოლა — კომკავშირი მის პოეზიაში შევიდა როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა. ა. მირცხულავას ლექსებში ლენინური კომკავშირი წარმოდგენილია სოციალისტური შრომისა და ბრძოლის სახელოვან თაობად, რომელსაც მხურვალედ უყვარს სოციალისტური სამშობლო, პარტიის ხელმძღვანელობით

განუხრელად იბრძვის მისი კეთილდღეობისათვის. ამ თემას მიუძღვნა ა. მირცხულავამ ლექსები: „დამკვრელი ბრიგადები“, „ლაითურის კომკავშირი“, „ლენინური კომკავშირი“. 1927—1928 წლებში დაწერილ ამ ლექსებში პოეტი აქებს კოლექტიური შრომის ენთუზიასტებს, წარმოებისა და მინდვრის მოწინავე ახალგაზრდობას, ჩაის პლანტაციებისა („ლაითურის კომკავშირი“) და ინდუსტრიული ქალაქის („დამკვრელი ბრიგადები“) მოწინავე ახალგაზრდობას.

ამ პერიოდში დაწერილ ლექსებს შორის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ა. მირცხულავა-მამაშვილის ლექსი „რიქშა“. პოეტი სიყვარულითა და თანაგრძნობით ხატავს ჩაგვრასა და მონობაში მგმინავ ადამიანთა ბედს. ჩინელ რიქშას სახეში განზოგადებულია ბატონყმური და ბურჟუაზიული უსამართლობის მსხვერპლთა ბედი. პოეტი ამ დაჩაგრულ ადამიანს ხატავს როგორც თავის მეგობარს. „ჩინელო ძმაო“ — ასე მიმართავს ის რიქშას, და „მხეცი, ურჯულო ბატონის“ ეტლის ქვეშ მგმინავს მოუწოდებს აღდგეს უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ.

ეხ, ჩემო რიქშა, ჩინელო ძმაო,
ბედს რად შეპყურებ ოხრად შეთენილი? —

ეკითხება პოეტი. იგი ასეთ რჩევას აძლევს რიქშას:

მონურ ცხოვრებას, ძმაო, სჯობია,
რომ ხელში თოფი დაატრიალო.

ეს საინტერესო ლექსი შეიცავს მოწინავე რევოლუციურ აზრს, რომელიც პოეტს მახვილი პოლიტიკური ალღოთი აქვს მიგნებული:

თქვენ, ხუნხუზებო, წარღვნას ელოდეთ
მილიონების მძლავრი ტალღებით,
დგას ჩინეთიდან საქართველომდე
რკინის მკერდების ბარიკადები!

აღიო მირცხულავა-მამაშვილი რევოლუციის მოტივებით, ცხოვრების, საბჭოთა სინამდვილის სიყვარულის განწყობილებით უპირისპირდება ამ პერიოდის აპოლიტიკურ და დეკადენტურ მწერლებს: იგი ცხოვრებისაგან გამოთიშვის, სინამდვილისაგან განდგომის წინააღმდეგ იბრძვის ხელოვნებაში, თავის პირველსავე ლექსში იგი უიდეო პოეტების „ზეცაში მოხეტიალე“ მუზას ებრძოდა.

ა. მირცხულავა-მამაშვილის პოეზია „იწვოდა და ცოცხლობდა“ საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებით. ახალი ქვეყნის იდეებით შთაგონებული პოეტი ისწრაფოდა დროულად გამომხატვრობდა საბჭოთა ეპოქის საბრძოლო კითხვებს. მამაშვილის პოეზიის შთაგონების დაუშრეტელი წყარო იყო სოციალისტური მშენებლობის პათოსი. ამიტომ ჩვენთვის გასაგებია, რატომ ასე მკვეთრად აყენებდა პოეტი რევოლუციის პირ-

ველსავე წლებში ხელოვნების ცხოვრებასთან დამოკიდებულების საკითხს („ბრძანება № 5“), რატომ იყო იგი გატაცებული ამ პერიოდში ერთგვარი ურბანული მოტივებით („ვერხარნის ლანდი“, „ქალაქის კედლებში“), რად აღიღებდა დამკვრელობას და უმღეროდა შრომის ახალ ტემპს („დამკვრელი ბრიგადები“, „ლაითურის კომკავშირი“ და სხვ.). მთავარი რაც თავიდანვე ყურადღებას იპყრობდა მირცხულავას ლექსებში, ეს იყო ორგანული და გულწრფელი განცდა თავისუფალი საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა, სოციალისტური მშენებლობის მიღწევებისა. მირცხულავამ საბჭოთა პოეტის მაღალ სახელს მიადწია არა მარტო მახვილი პოლიტიკური თემებით, არამედ ამ თემათა მხატვრული ფორმითაც, და მაშაშვილის, როგორც პოეტის ძალაც ამაში გამოჩნდა.

საბჭოთა მწერლობის წინაშე რევოლუციის პირველსავე წლებში მწვავედ დადგა საკითხი, რომ ჩვენი ლიტერატურა, საბჭოთა ლიტერატურა გამხდარიყო ახალი, სოციალისტური სინამდვილის სრულყოფილად გამომხატველი. ამ ამოცანის განხორციელება მარტო თანამედროვეობის თემატიკით შეუძლებელი იყო. გამარჯვებული პროლეტარიატი აყენებდა მაღალი მხატვრული ლიტერატურის შექმნის საკითხს. ამ პერიოდის პროლეტარული მწერლობის სუსტ მხარეს წარმოადგენდა პოეტური ფორმის ჩამორჩენილობა, პრიმიტიულობა. პროლეტარულ მწერლებს შორის ალიო მირცხულავა-მაშაშვილი პირველი იყო, რომელმაც დაძლია პროლეტარული მწერლობის ეს სუსტი მხარე.

კარლო კალაძე იმ თაობას ეკუთვნის, რომლის პოეტური ბიოგრაფია უშუალოდაა დაკავშირებული საბჭოთა ხელისუფლების ისტორიასთან. ის კომკავშირულ პოეტთა თაობის ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენელია. მისი პირველი ლექსები 1920 წელს გამოქვეყნდა. კ. კალაძის ნაყოფიერი პოეტური მოღვაწეობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე გაიშალა. მისი შემოქმედების თემები და ძირითადი მოტივები საბჭოთა სინამდვილე იყო. როგორც უკვე ვთქვით, მისი ლექსები ქვეყნდებოდა ჟურნალ „მომავალში“, „დროში“, „პროლეტარში“, „მნათობში“, „პროლეტარულ მწერლობაში“ და ამ პერიოდის სხვა ჟურნალ-გაზეთებში. კ. კალაძის ლექსები საბჭოთა ხალხის ინტერესებით ცოცხლობდა და ამაში იყო მათი აქტუალური მნიშვნელობა და ღირსება. პოეტი მუდამ გაბედულად ჰკიდებდა ხელს საბჭოთა ეპოქის დიდი პრობლემების მხატვრულ გადაწყვეტას. ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ მისი პოეტური შემოქმედებისათვის დამახასიათებელი იყო საგნებისა და მოვლენებისადმი ორიგინალური პოეტური ხერხით მიდგომა. მაგრამ ეს მისწრაფება ორიგინალობისადმი ყოველთვის როდი აღწევდა მიზანს. პოეტის ლირიკულ-რომანტიკულ ამღერებას ზოგჯერ ერთგვარი ფორმალისტური იერი დაჰკრავდა.

ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ფრიად საინტერესოა კ. კალაძის ლექსი „მხედრული“, დაწერილი 1927 წელს. ამ ლექსში კარგად არის გადმოცემული ახალგაზრდობის ოპტიმისტური განწყობილება, დაკავშირებული მთასთან და მის სიდიადესთან. პოეტი გვიხატავს ახალი, საბჭოთა მთიულეთის შეუდრეკელი და მტკიცე, კუნთმაგარი და ძალგულოვანი ახალგაზრდების ოპტიმისტურ განწყობილებას:

ჩვენ თუ ვინმესთან შევზრდილვართ, —	ჩრჩილივით მოგვერეოდა
მთები ხართ მაღალკლდოვანი:	ჭაჭრი, სიბერე მთიულეთს,
ვღგავართ დათოვლილ ნაბდებით	რომ ვერ ეომა გმირულად
ტანდილი ძალგულოვანი!	შრომის და ბრძოლის იარაღს, —
მთებს გასჩენიათ ჭალარა,	და მთების მდიდარ ფენებში
ისეთი ბედი ვიგულეთი —	ლალუმებს არ ეგრიალათ!

კ. კალაძე დიდი გულწრფელობით ხატავს ახალი საქართველოს სურათს. ამ თემას მიუძღვნა მან ლექსი „დარიალის კლდეებში გავლა“. პოეტს საინტერესოდ აქვს მოფიქრებული დარიალის ვიწრო კლდეების აღწერის ფონზე ძველი და ახალი საქართველოს სურათი. დარიალის კლდეების გავლით ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები მიდიან მეგობარ რუსეთთან, საბჭოთა რუსეთთან, მასავით თავისუფალნი და თანასწორნი. პოეტი ასე გადმოგვცემს ამ განწყობილებას:

ვხედავთ, ის მტრობა მოსპო დროებამ მაშ იარე და შენმა ტოლებმა
და აიმაღლა ხმა საქართველომ, — გზად გაუვლელი მთები გასთელონ.

კ. კალაძისათვის დამახასიათებელი რომანტიკული გააზრება ამბისა მოცემულია ლექსში „მემანქანე“, პოეტი აქ ახერხებს ოსტატურად დახატოს მემანქანე, მუშა-რევოლუციონერი, რომელსაც ცეცხლის ალივით აუფრიალებია ქარში ალამი და ტყეში გაჭრილ ფირალს მეფია ჯალათის წინააღმდეგ უბრძოლია. ახლა ეს კაცი, საბჭოთა მუშა, მატარებლის მოწინავე მემანქანეა, ქროლვით მიმავალი მატარებლიდან იგი თავისი თვალთ ხედავს ამწვანებულ სოფლებს, განახლებულ მინდვრებს, მას ახარებს ყოველივე ეს ისე, როგორც ორთქლმავლის სუნთქვა ახარებს ერთგულ მემანქანეს. ტყეც მისია და ველიც, მატარებელიც და რკინიგზაც. ასეთი განწყობილება იპყრობს საბჭოთა მემანქანეს. მთელი ეს ამბავი რომანტიკული საღებავებით არის დახატული.

კარლო კალაძე რეალისტური მწერლობისათვის მებრძოლ იმ ახალგაზრდა თაობას განეკუთვნა, რომელიც საბჭოთა საქართველოს სათავეებთან დადგა. იგი რაპელებსაგან განსხვავებით, პატივისცემით ეკიდებოდა კლასიკურ მემკვიდრეობას, ეროვნულ ტრადიციას. ამის საბუთია: 1923 წელს კაცი ეწრელის ფსევდონიმით გაზეთ „ტრიბუნაში“ დაბეჭდილი ლექსი „მემატიანე“:

მიყვარს წარსული ჩაყვითლებული მწვანე თვალებით
და საუკუნე რუსთაველის ძველი, ბებერი.

თვალწინ მიდგას, მაგონდება თვის ბრწყინვალეობით...
ვიცანი კარგად! — იგი ჰგავდა ქარს მარად აწლილს,
ქარს სევდიანსა ორლობებში მკენესარს, მშფოთვარეს,
ლურჯ-ფერს აჩრდილში დაებულა ლურჯ ბარათაშვილს
ოპ, საქართველოს, პირბადიან ნამგალა მთვარეს.

ამგვარი პროლეტარული კულტურის სათავეებთან დგას კ. კალაძე. ხოლო კ. კალაძის „დახილი აღმოსავლეთს“ პირველი საბჭოთა პატრიოტული პოემაა, დაწერილი მთელი გულითა და პოეტური გზნებით.

გიორგი ლეონიძის ორიგინალური ლექსი „მცხეთა“ 1911 წელს გაზეთ „სინათლეში“ დაიბეჭდა. ამას მოჰყვა გ. ლეონიძის პირველი ლიტერატურული ცდები ჟურნალ „განთიადში“. 12—14 წლის ქაბუკი აქვეყნებს ამ პირველ პოეტურ ნაწარმოებებს. ამ პერიოდის ლექსებში მოჩანს ერთგვარი პოეტური გემოვნება და წერის ორიგინალური მანერა. გ. ლეონიძე რეაქციის ეპოქისა და მსოფლიო ომის მიჯნაზე გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. ცნობილია, რომ რეაქციისა და მსოფლიო ომის ეპოქაში პოვა თავისებური ნიადაგი და განვითარება ქართულ ლიტერატურაში ბურჟუაზიულ-დეკადენტურმა მიმართულებებმა. დასავლეთ ევროპისა და რუსეთის დეკადენტურ-სიმბოლისტურმა მიმართულებამ სწორედ ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში იჩინა თავი. გ. ლეონიძის ამ პერიოდის შემოქმედება ვერ ასცდა დეკადენტური ლიტერატურული სკოლების გავლენას. აქ საჭიროა განმარტება: გ. ლეონიძე მისი პოეტური ყმაწვილობის პერიოდის ლექსებში უმთავრესად საზრდოობდა კლასიკური მწერლობის ტრადიციებით. იგი პირველივე ლექსებით გამოეხმაურა XIX საუკუნის ქართული პოეზიის პატრიოტულ ტრადიციებს. მან სცადა ისტორიზმის თვალსაზრისით დაკავშირობოდა ქართული მწერლობის ძირებს. გ. ლეონიძის პოეზიის ამ პერიოდის ლექსების თემა ხდება პატრიოტიზმის ტრადიციული მოტივი, რომელსაც იგი ერთგვარი რომანტიული, ზეაწეული, პათეტიკური განწყობილებით გამოხატავს. ამავე პერიოდის ლექსებში ხშირად გაისმის „მებრძოლი ხმაც“.

ეს ეროვნული თემები და მოტივები ჰქონდა მხედველობაში ალბათ ქართული მწერლობის კლასიკოსს ვაჟა-ფშაველას, როდესაც მან დამწეებ პოეტს — გ. ლეონიძეს ლექსი უძღვნა, პირველმა დაულოცა გზა პოეტს და თავისი თაობის გამგრძელებელი დაინახა მასში. ეს ასეა, მაგრამ ეს თემები და მოტივები გ. ლეონიძის ადრინდელი შემოქმედების ერთი მხარეა მხოლოდ. მეორე მხრივ, როგორც ზემოთ ვთქვი, გ. ლეონიძე ვერ ასცდა ამ პერიოდის დეკადენტური ლიტერატურის გავლენასაც. სევდის, მისტიკის მოტივები ლეონიძის ადრინდელი ნაწარმოებების დამახასიათებელ განწყობილებად იქცა:

დაკარავს წაში და გამოიღვებს
პირმახვილიან სიკვდილის ცელი,
უსაზღვრო სოფელს მოფეხდები ისე,
ვით შემოდგომით ვერხვის ფურცელი.

მე წავალ იქით, სითაც მოესულვარ,
სად იმყოფება ბინა სულისა
და ამ მიწაზე დარჩება მხოლოდ
ობოლი ცრემლი სიყვარულისა.

იმედდაკარგული, სევდიანი პოეტი ვერ პოულობს პასუხს კითხვაზე — „სად იწყება დასაბამი, დასასრული სად თავდება“; „ობლად დარჩენილი დაღლილი სული“ ცხოვრებაში ვერ ხედავს ძალას, რომელსაც შეუძლია იგი მიწას დაუბრუნოს. და, აი, ამ განწყობილების გზაზე გ. ლეონიძე ადვილად უმეგობრდება ქართველი სიმბოლისტების ჯგუფს — ცისფერყანწელებს. ფრანგი და რუსი სიმბოლისტების დეკადენტურ განწყობილებაში პოულობს ახსნას ლეონიძის მისტიკური თემები. როგორც ცნობილია, ცისფერყანწელების ჯგუფის წარმომადგენლები დაუფარავად, პირდაპირ თვლიდნენ თავიანთ თავს ბოდლერის, ვერლენის, მალარმესა და სხვა ფრანგი დეკადენტების მიმდევრებად საქართველოში. ლეონიძეს, ბოდლერის მსგავსად, სიცოცხლის მიზნად ეჩვენება — „ითვრებოდე მარად, ითვრებოდე დღე და ღამ ღვინით, რომ არ გახდე მონა ჟამისა. ითვრებოდე უთავბოლოდ“. გიორგი ლეონიძე ცდილობს ერთგვარად თავი იმართლოს „თავისი აზიურობით“ ფრანგი დეკადენტების წინაშე, „აზიურობაში“ მოძებნოს სიმბოლიზმის დასაბუთება. იგი ცდილობს ფრანგი სიმბოლისტების თეორია აღმოსავლეთის სევდიან მოტივს შეუფარდოს. ლექსში „ავტოპორტრეტი“ იგი წერს:

არტურ რემბოსთან ბოროტ ტყუპად ჩახუტული —
მადგამენ გვირგვინს თეიზურაზ და ჰავჰავაჰე.

1919 წელს ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“ წერდა: „ჩვენ გვწამს საქართველოს მესიანიზმი: შედუღება დასავლეთის და აღმოსავლეთის კულტურისა. მიმქრალი იყო ეს იდეა, დღეს კვლავ გაიზმორა იგი ჩვენ წინ. ეს მისია უნდა შეასრულოს ცხოვრებაში სიმბოლიზმმა გაშალაშინებული სიტყვის საშუალებით. მართალია, სიმბოლიზმი, როგორც ვხედავთ, დასავლეთიდან მოვიდა ჩვენში, მაგრამ მისი უმაღლესი განვითარებისათვის არსად არ არის ნიადაგი მზად ისე, როგორც ჩვენში; აქ უკვე გაუღმენილია ჰაერი სიმბოლური შემოქმედების ელემენტებით: აღმოსავლეთის თვალუწვდენი მისტიციზმი, ჰაერში გაფანტული სახეები, სპარსეთიდან მოტანილი ფესვები და მეტყველი ხმები. დღეს ჩვენში არის უკვე ორი პოლუსი ერთი დასაწყისის“. ამ სიმბოლისტური კონცეფციის თავისებურ დასაბუთებას გვაძლევს გ. ლეონიძე ლექსში „ავტოპორტრეტი“ (ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“, № 6, 1921 წ.). მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გ. ლეონიძის შემოქმედების ის პირველადი პატრიოტული განწყობილებანი, რომლითაც იგი ლიტერატურაში შემოვიდა, მას განსხვავებულ ადგილს აკუთვნებდა ამ ჯგუფში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში გაზეთ „ბახტრიონში“ ლეონიძე წერდა: „საჭიროა სიცოცხლე და არა საფლავზე ტირილი“. და მართლაც, გ. ლეონიძის პოეტური ბუნებისათვის, მისი მგზნებარე ვაჟკაცური ხმისათვის სრულიად შეუფერებელი იყო კამერული პოეზიის პლატფორმა, მიუხედავად ამისა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში გ. ლეონიძე განაგრძობდა ცისფერყანწელების ჯგუფში ყოფნას; 1922—1923 წელს გაზეთ „ბახტრიონში“ იგი ფართოდ უღებდა კარს ამ ჯგუფის წარმომადგენლებს.

ნამდვილ ჰემმარიტ პოეტად გ. ლეონიძე საბჭოთა ეპოქამ აქცია. საბჭოთა ეპოქის იდეებით შთაგონებულმა გ. ლეონიძემ ძველ იდეურ ტვირთს თავი დააღწია, გაარღვია კამერული პოეზიის ჩარჩოები და ცისფერყანწელ პოეტთა შორის ერთმა პირველთაგანმა მოაშურა საბჭოთა ლიტერატურის პოზიციას. პოეტმა მალე შეიგნო დეკადენტური პოეზიის მიუღებლობა საბჭოთა პოეტისათვის, განიმსჭვალა საბჭოთა ეპოქის სიდიადისა და ძალის გაგებით და მთელი ხმით უმღერა ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და განახლების გზას, სოციალიზმის გზას. 1929 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებულ ლექსში „ზამთრის მუხამბაზი“ იგი წერდა:

თუკი ვცოცხლობთ სიმღერების იმედით, ხანძარები ხანძარებზე მოება.
იანვარშიც აღარ გავიყინებით... დაეინახე, მეჩხმა როგორ გააპო
მე მაერეოლებს ჩემი დიდი დროება, საქართველოს საყდრული მყუდროება.

ამ ახალი ეპოქის სიდიადით მოხიბლული პოეტი პატრიოტული სიამაყით აცხადებს:

ლეონიძე! ამ დღეებს უღარაჯე,
გადმოღვარე თქეშა ლექსის წვიმები!

გ. ლეონიძე ამ წლებში უკვე ტოვებს ძველ პოეტურ გზას და გადმოდის საბჭოთა მწერლობის პლატფორმაზე. 1927—1928 წლებში დაწერილ ლექსებში ის მტკიცედ განსაზღვრავს თავის პოზიციას, როგორც საბჭოთა პოეტი. ერთ პატარა ლექსში — „დილა ნარგიზნარევი“, აღწერს რა თავისი სამშობლოს მშვენიერ ბუნებას, მგოსანი დედასამშობლოს სიყვარულს უკავშირებს თავის პოეტურსა და მოქალაქეობრივ მოვალეობას — ემსახუროს მას. იგი წერს:

დილა ნარგიზნარევი, მხიარული მინდვრები —
ვენახი, ნივზნარები ჩვენი სამშობლო არის.
და მზის ცვარის მწოვარი

ჩემი ლექსები კი, ჩემი პოეტური შემოქმედება, ამ დიდებული და მშვენიერი სამშობლოს ნაწილიაო, — აცხადებს პოეტი:

ჩემი სიტყვა ლექსურბ
არის მისი ნაწილი.

უფრო გვიან დაწერილ ლექსში „სიკვამლე და ლექსი ერთია“
გ. ლეონიძე მოწინავე პოეტად იმას თვლის, ვინც ახალი დროის ძალი-
თაა განმსჭვალული:

ულამაზესი მხოლოდ ის არის,
ვინც ავსებულა თავის დროს ძალით.

გ. ლეონიძის ამ პერიოდის შემოქმედებაში უხვად არის წარმოდგე-
ნილი ისტორიული თემები. საკმარისია აქ მხოლოდ ლექსების სათაუ-
რები დავასახელოთ, რომ ნათელი იყოს პოეტის მრავალმხრივი დამო-
კიდებულება ჩვენს ისტორიულ წარსულთან. გ. ლეონიძემ 1925—1930
წლებში გამოაქვეყნა ისტორიულ თემებზე შემდეგი ლექსები: „წიგნი
„ქართლის ცხოვრება“, „მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“,
„მინაწერი „ქართლის ცხოვრებაზე“, „ღამე ივერიისა“, „იორის ღამე“,
„წინაპრებს“, „მეცამეტე საუკუნე“. გ. ლეონიძის შემოქმედებაში ამ
ისტორიულ თემებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ამავე დროს ისტო-
რია წარსულსა და აწმყოს შორის გადებული ხიდი იყო. ამ წლებში
მიუბრუნდა პოეტი რეალისტური მწერლობის იმ ადრინდელ ნაკადს,
რომელიც მას ცისფერყანწილების სკოლის პოზიციის გაზიარებამდე
ახსიათებდა.

ამ ლექსებში გამჟღავნებულია პოეტის დიდი პატრიოტიზმი და
სიყვარული ტრაგიკული და ამავე დროს გმირული წარსულისადმი. და
როცა პოეტი წარსულის ტრაგიკულ ფურცლებს ადარებს განახლებუ-
ლი და აღორძინებული ახალი საქართველოს სურათებს, გულთ ხარობს:

მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“
წუხელის დიდხანს, გათენებამდე,
როგორ გლეწავდნენ, ჩემო ქალაქო,
სისხლით მოედნებს როგორ ღებავდი
გამოვარდები, ხარ თუ აღარა,
კიდევ გაიმის ქუჩებში ჩეხა?
ვხედავ შენს სახლებს, ვხედავ შენს აბრებს
და მიხარია, რომ ისევ დგებარ!
შევხარი დილის ორთქლიან პურებს
ახალ სართულთა წითელ აგურებს,
ვარდის საპალნეს ტაბახმელიდან
და მას — ამ ვარდებს ვისაც არგუნებ!

ისტორიასა და თანამედროვეობას შორის ნაპოვნი ეს კავშირი აწმყოს,
საბჭოთა საქართველოს განდიდების პოეტურ ხერხად იქცა გ. ლეონიძის
პოეზიაში.

გ. ლეონიძის ამ პერიოდის პოეზიაში დიდი ადგილი უკაცია სატრ-

ფილო ლირიკას („ნინოწმინდის ღამე“, „ყვიჩაყის პაემანი“ და სხვ.), სადაც მან სილამაზეს უკვდავების ჰიმნი უმღერა.

გ. ლეონიძეს სიყვარულის თემაზედაც აქვს დაწერილი სიმბოლისტური ლექსები, აი ერთი მათგანი — „უცნობ ქალს კაბარეში“:

ცამეტ ქვასავით აინთება მწვანე კაბარე,
დაბრულ სკვითივით როიალი მოგესალმება,
შენი თვალები გაიშლება ღამის პალმებად
ნეტამც გამხადა აშფაშავის მებისაბარი
ვნატრობ ყაბაზებს გამარჯვება მერგოს პირველი,
და შემაჩრდეს შენი სახე მღვრია ქარვისა,
ამაყ მზერაში ჩაიწვოდა ჩემი გაისი
შენი თვალების ფერადიდან გამომპვირვალის
არ იქნებოდით, ქალბატონო, ჩემი მსაჯული
ყოფიელ სარკეში გამოხედვა ესერაბაში
მეჩვენებოდა ჯირითის დროს ვით სერაბიში —
ყარყუმის ქედში ვარდისფერი მანასაჯურით.
და საზანდარშიც ითოვლებდა ნისლი მთიური
დაქლექლებოდა შავს თვალებში ეგ სიამაყე,
როგორც კაფეში მაიმედებს მე თერიაყი,
შენი შემოსვლა და გიჟური უვერტიჟურა!

ეს ლექსი ქართულმა სიმბოლისტებმა 1919 წელს გამოცემულ „ახალი პოეზიის ანთოლოგიაში“ დაბეჭდეს.

გიორგი ლეონიძე ეზიარა მოდერნისტულ მიმდინარეობათა მიღწევებს — ფორმისთვის თავდადებულ ბრძოლას, რომლის „სიკეთეს“ უკვალოდ არ ჩაუვლია. ამ პოეტური ძიების გზაზე ორიენტირი მანც ქართული პატრიოტული ლირიკის ტრადიციები იყო. ქართული ხალხური პოეზიის ანკარა წყარო იყო პოეტის საუკეთესო ლექსების სათავე („ყვიჩაყის პაემანი“, „ნინოწმინდის ღამე“). გიორგი ლეონიძის სწორუპოვარ პოეტურ სიტყვას ხალხური პოეზიის მაცოცხლებელი ძირფესვი ანიჭებს განუმეორებელ კოლორიტსა და ეროვნულ ელფერს, მაშინაც კი, როცა ის ცისფერყანწულების მანიფესტების ერთგულია. გიორგი ლეონიძე „დაწმენდილი ქართული ჯიშის პოეტია“. ამავე დროს, მისი ლექსები სავსეა მოულოდნელი პოეტური აღმოჩენებით და საოცარი ფანტაზიით. ოციანი წლების ბოლოსა და ოცდაათიანი წლების დასაწყისში უფრო მძლავრად გამოვლინდა გ. ლეონიძის პოეზიის ნოვატორული ბუნება: „ეს მთვარე ვილაცამ შეკერა, ვინ არის მისი მკერავი? ეს გული ვილამ დასხლიტა, ბურთივით გაუთქერავი... შენ დამარწიე იორო, მაჩქეფე თავზე მირონი, დალაგდნენ ლექსის ჯიქებად, ეგ შენი სანაპირონი“. ხალხური სულით ნაძერწი გ. ლეონიძის ლექსები უაღრესად ნოვატორულია, მოდერნისტული გამომსახველობის ხერხებთან ზიარებული და ყველაფერი ეს აყვანილია სიტყვიერი ხელოვნების უმაღლეს არტისტიზმამდე.

ტიციან ტაბიძე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ლიტერატურული ცხოვრების ცენტრში მოექცა. პეტერბურგიდან გამოგზავნილი წერილებით (1914—1916 წწ.), თუ შინ, სამშობლოში მობრუნებულმა განგაში ატეხა მაშინდელი ლიტერატურული ცხოვრებით აღმფოთებულმა, ახლის მაძიებელი პოეტის სახელით. იგი უტყუარი გუმანით გრძნობდა ჩვენი ლიტერატურული სკოლების განახლების აუცილებლობას და თვითონ იყო ამ განახლებისათვის მებრძოლთა ერთი თავკაცი. „პოეზია აყვანილი ეთნოგრაფიიდან და ეროვნული პროვინციალობიდან უნივერსალურ ფორმამდე ამაგრებს ეროვნულ ხერხემალს და ამართლებს ერსაც“. — წერდა ტ. ტაბიძე.

ტიციან ტაბიძემ გმირულად გამოარღვია დეკადენტური ვიწრო კამერული პოეზიის არტახები და მთელი სულითა და გულით მიაშურა საქართველოს, ქართულ მიწას. იგი მთელი არსებით მოექცა ახალი ცხოვრების შუაგულში.

ოციანი წლების დასასრულს — 1926—1930 წწ. ტიციან ტაბიძემ ზედიზედ გამოაქვეყნა ბრწყინვალე ლირიკული ლექსები: „ლექსი მეწყერი“, „ოქროყანა“, „ამოდის, ნათდება“, „თამუნია წერეთელს“, „შემოდგომის დღე ოქროყანაში“, „რიარია“, „ანანურთან“, „მაშ გამარჯვება“, „გომბორის მთაზე“, „ნუ გაიკვირებ“, „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“, და სხვ. ეს ლექსები საბჭოთა საქართველოს სადიდებელი ჰიმნია. გასაოცარი პოეტური ხილვები, მოვარდნილი თავაწყვეტილი სტიქიონი გრძნობებისა გვაბრუებდა მიწის სურნელებით, საქართველოს ეშხით, აღგვაგზნებდა უნაპირო ახალი ცხოვრების გულწრფელი სიყვარულით. ეს მართლაც ხელმეორედ დაბადება იყო პოეტისა:

მაგრამ მომადგა გრიგალის სვეტი,
ახალ ბრძოლაში თავით დავეშვი
სიტყვა არ არის ცეცხლის დამწრეტი,
ისე როგორც ზღვას ვერ დაცლის პეშვი.
დაფასთან ვდგავარ და ვშლი ძველ ლექსებს,
ცარცით კი არა, — სისხლით რომ ვწერდი.
საბჭოთა მიწავ! გიკოცნი ფესვებს
ახალ ცხოვრების ვარ ალავერდი.

ტიციან ტაბიძემ ახალი ცხოვრების რევოლუციურ რომანტიკას მთელი მგზნებარებით უმღერა. მის ლირიკულ ხმაში მთელი სისრულით გამოვლინდა საბჭოთა საქართველოს სადიდებელი და სათაყვანებელი დაღაღისი:

მე თვითონ გავხდი ეხლა სხვა კაცი
და ჩემო თავო, — გთხოვ და გიბრძანებ:
ხმა ამოიღე — სიტყვა დასძარი
ამ ვაჟკაცობას ნუ უღალატებ.

დეკადენტური მოტივების, ცხოვრებისაგან განდგომის ქადაგების, მისტიკის, მოჩვენებების და ორეულების ნაცვლად, ტაბიძის პოეზიაში დამკვიდრდა ახალი საქართველოს პოეტის ხმა:

თუ ჩემი ძმა ხარ, ერთიე მიმღერე
და დაუჩოქებ მიწას მუხლებით.
— მაშ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი.

ვინ მისცა ფერი მუხრანის ღვინოს,
ვინ მისცა ფერი არაგვის ველებს,
სანამდე უნდა, რომ გზად ეღინოს
გავარჯერებულ ოქროს თაველებს!

სხვა რომ მოკვდება, მისთვის რა არი:
წაეა, გაქრება, როგორც სიზმარი,
ღე კი რა ვუყო ამ გოლიათ მთებს,
რომ ქონდრის კაცსაც დევად აგანთებს.

ნეტა, სადა აქვს ამ ზეარებს ბოლო,
ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი.
სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო,
ანდა არ იყოს ასე ლამაზი.

— სხვა საქართველო მაინც სად არი?
რომელი კუთხე ქვეყნისა?
ვის თუთქავს ასე ცეცხლის ღაღარი,
ქვეყნად სამოთხე სხვას ვის ეღირსა?

დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა
და საქართველოს მედგას უღელი;
— მაშ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი!..

ალალი, გულმართალი სიტყვებია. და ეს გულწრფელობა, ეს პატრიოტიზმი ისე გადამდებია, ისე მომაჯადოებელია, რომ მკითხველი ერთბაშად პოეტის თანაზიარი ხდება, მის ფიქრებს მიჰყვება, პოეტის თვალით დანახული სამყაროს მონაწილე ხდება. ასე დაადგა ტიციან ტაბიძე ოქტომბრის რევოლუციის გზას და გახდა ერთ-ერთი გამოჩენილი საბჭოთა პოეტი. სწორედ საბჭოთა წლებში დაწერილი ლექსებით გახდა ნამდვილი და ჰემმარიტი ოსტატი ქართული ლექსისა. სიმბოლისტური ძიებებით, გამოგონებებით, მირაჟებითა და მოჩვენებებით გართულებული ლექსის კონსტრუქცია ორიგინალურად შეცვალა ნათელმა, რეალისტურმა პოეტურმა ქსოვილმა. ტ. ტაბიძის მიერ განვლილი ეს რთული შემოქმედებითი გზა, ამტკიცებს, რომ ჰემმარიტი პოეზიის გზა არასოდეს ეთიშება ხალხის გზას. სიტყვის ცნობილი ნოვატორები ხალხის სიყვარულს იმკვიდრებენ მხოლოდ მაშინ, როცა ხალხის ფიქრებით იწყებენ ცხოვრებას. ერის, ხალხის ტკივილებს საკუთარ ტკივილებად

გაიხდიან, ეროვნული საწყისების განზოგადებით რომ ამაღლებიან ზოგად საკაცობრიო კითხვებამდე. პატრიოტიზმის, სიყვარულის ისე ნათლად გამოხატვამ, როგორც ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ლექსებშია გამოვლენილი, პოეტი ერთბაშად გადაასახლა მისტიციზმის სამყაროდან სოციალისტურ სამყაროში და ყველაფერი ეს დეკლარაციით კი არ არის გამოხატული, არამედ პოეტის სულში აღმოცენებული სადა, ნათელი რეალისტურ-მხატვრული გამომსახველობითი საშუალებებითა და თქმებით. როგორც ტიცციანი აცხადებს, ლექსს თვითონ კი არ წერს:

მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს.

აქ გასაოცარი მოზღვავებაა გრძნობების, ემოციების, აზრების, როგორ განსხვავდება ეს ხორცსავსე ლექსები ხელოვნურად გართულებული ადრინდელი ლექსებისაგან. ტიცციან ტაბიძისთვის ნიშანდობლივი გახდა ჩვენი ხალხის ცხოვრების მრავალფეროვანი გამოხატვა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის დრამატიზმით გადმოცემა. ორიგინალური პოეტური ინტონაციით, მომაჯადოებელი ემოციური ნახატი. აქ ახალი დროის ცხოველმყოფელობით სუნთქავს ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა. არა, ეს პოეზიით ყელამდე სავსე ტიცციან ტაბიძეა, დეკადენტური, მისტიკური სულისკვეთების ბურანიდან თავდაღწეული. რევოლუციური პოეზიის ამ გზამ ოცდაათიან წლებში უფრო მძაფრად გაშალა ფრთები.

პაოლო იაშვილი იყო ნამდვილი მეთაური და სარდალი იმ ახალი მოდერნისტული მოძრაობისა საქართველოში, რომელსაც სიმბოლიზმის სახელი ეწოდა. მოუსვენარი, ბუნტარული ბუნების ეს პოეტი ორგანიზატორად და მეთაურად იყო დაბადებული. ერთი ლექსი გამოაქვეყნა თუ არა მაშინვე სათავეში ჩაუდგა „ოქროს ვერძს“. მის მოუსვენარ სულს აქ ჩაეწვეთა „ბოროტების ყვაილის“ შხამი. ამიტომ ვერ დაუღო გული და მიაშურა — პარიზს „ბოროტების ყვაილის“ ადგილის დედას. აქ გაეცნო და დაუახლოვდა ფრანგ მოდერნისტებს, პარიზის ყავახანებსა და „ლათინურ კვარტალში“ „ბოროტების ყვაილის“ წვეთი მთელ მოძრაობად იქცა მის სულში. აქვე შეუდგა მომავლის გეგმების შედგენას და საქართველოში გამომგზავრებას ემუშავებოდა. და აი, 1915 წელს დაბრუნდა თუ არა საქართველოში სათავეში ჩაუდგა ქუთაისელ ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტებისაგან შემდგარ ჯგუფს. მან მათი საშუალებით გამოსცა ტიპური მოდერნისტული ჟურნალი „ცისფერი ყანწები“. ამ ჟურნალის მეთაური წერილი, რომელიც ამავე დროს ამ ახალგაზრდების მანიფესტიც იყო, მანვე დაწერა. ყველაფერი, რაც

წაეკითხა მოდერნიზმის შესახებ, რაც საკუთარი თვალით დაენახა პარიზში, ამის შესახებ ჯერ თავის ამხანაგებს მოუთხრო წერილად, შემდეგ მანიფესტის სახით ამ ჟურნალის მოწინავე წერილად გააფორმა.

როგორც არ უნდა იყოს ამ მანიფესტის მოდერნისტული ნაზავი, ამოცანა აქ მაინც ნათლად არის დასმული. ეს ამოცანა ქართული პოეზიის განახლებაა. ამ განახლების მეთაურად ყანწულების კორპორაციაა აღიარებული. ჟურნალის ლიტერატურული სახე დეკადენტური, ბოჰემური მიმართულება მოდერნიზმის პათოსით და განახლების პრეტენზიითაა სავსე. აქ უარყოფა წარსული ლიტერატურული მემკვიდრეობისა მარტო მანიფესტში როდია გამოხატული, არამედ იქვე ამ ჟურნალის პირველ ნომერში დაბეჭდილ პაოლო იაშვილის ლექსებშიც:

პაოლო იაშვილს — მომეწყინა ყვითელი დანტი,
ვაქებდი შექსპირს — მაგრამ ფარდა!.. შექსპირს უარი!..
რა ვქნა, რომ ჩემთვის ბეთჰოვენი მხოლოდ ყრუ არი,
და რომ წარსულმა ვერ გადმომცა მე ანდამატი...

ეკითხულობ შოთას, ვაჟას და საბას,
და ვერ მშველიან მათი წიგნები
ვწვები, თავამდე ვიხურავ საბანს
მესმის მარტო ხარ მარტო იქნები.

მეორე და უმთავრესი დებულება, პაოლო იაშვილისა და მისი კორპორაციის წევრების მიერ წამოყენებული, იყო სიმბოლისტების მიერ საყოველთაოდ აღიარებული თეორია — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. აცხადებდნენ რა ფორმის ნოვატორობის პრეტენზიას, ისინი პოეზიის საზოგადოებრივი დანიშნულების იგნორაციის გზას დაადგნენ. თავისთავადი, თვითმიზნური ლექსის კეთება, ასონანსების, ალიტერაციების, მეტაფორების, რიტმებისა და რითმების ფექტიზიზმი მათი ფორმალისტური გართულებული ლექსების გასაღები გახდა. და ყველაფერ ამას საფუძვლად დაედო სუბიექტური იდეალიზმი ორი სამყაროს არსებობის შესახებ. „მეს“ კულტის აპოლოგია პაოლო იაშვილის, ტ. ტაბიძის, ვ. გაფრინდაშვილის ამ პერიოდის ლექსებში უხვადაა წარმოდგენილი. და აქაც ისინი თავიანთ მასწავლებლად ფრანგ და რუს სიმბოლისტებს მიიჩნევდნენ. ასე შეიცვალა პ. იაშვილის შემოქმედებაში ტრადიციული ქართული თემატიკა სიმბოლისტურ-დეკადენტურ დეკლარაციად. ძველებური სიყვარულის გაგება — „ვნებაგადარეული“, გაშიშვლებული ხორციელებისა და ბოჰემური ინსტიქტებით, რეალურის სიმართლით გამოხატვა — ორეულების, მითების, სიკვდილის და სიმახინჯის აპოლოგიით. „მღვრიაა სისხლი პოეტის მამის და დედის სისხლი თვითმკვლელობა... და თავს დავიხრჩობ ბნელი ღამით ძველ დარაბაზე... ვერლენი, ბოდლერი და მალარმე! ამ სამებაში მე ყველა მიყვარს“... ამ თემებისა და მოტივების მიმდევარი პოეტი, მისთვის და-

მახასიათებელი სულიერი მხნეობით, ცხოვრებისეული საწყისების შინაგანი მოწოდებით და ბუნებით, რომლის განსახიერებაც თავად პაოლო იაშვილი წარმოადგენდა ცხოვრებაში, ვერ დაიმორჩილა სიმბოლისტების ქარგებზე გამოჭრილმა ტრაფარეტებმა. ცხოვრებით, პოეზიით გულგახსნილი მოქალაქე ჯიუტად ეურჩებოდა სიმბოლისტურ დოგმებსა და ნორმებს, რასაც მანიფესტებსა და დეკლარაციებში ქადაგებდა თავად.

ამის უპირველესი დასტურია „ელენე დარიანის დღიურების“ ციკლის ლექსები. აქ ქალის სიყვარული, მარტოობა, „სიჩუმის სტუმრობა, ვნებიანობა, ცისფერი ჰაეროვნება“ მოდერნიზმისა და რეალიზმის ნაზავითაა დახატული:

ამაღამ მგონი იქნება ქარი...
ვაი, დედოფალ ტყელების ბრალი,
დაღონებული წავიდა ქმარი
და დაბრუნდება დილაზე მთვრალი...

სიმბოლიზმის „ბოროტი ყვავილის“ შხამი ვერ მოერია მის ბრვე ვაჟკაცურ ბუნებას და სიცოცხლედახარბებულ გულის წადილს. და რაკი თავის ბუნებითაც მემარცხენე იყო, მას არ გასჭირვებია რევოლუციის პირველი წლებიდანვე ადვილად ჩამოებერტყა სიმბოლიზმის „ბოროტი ტვირთი“ და მისი სალოცავი სულიერი სამებაც — ვერლენი, ბოდლერი და მალარმეც „ადვილად დაივიწყა“. ბავშვობაში ზმანებად გამოცხადებული სახელები — რუსთაველი, ვაჟა, ილია და აკაკი კვლავ მისი სალოცავი ხატები გახდნენ. პაოლო იაშვილმა დეკადენტური სკოლის კედლები ყველაზე ადრე გამოარღვია და საბჭოთა მწერლობის პლათფორმას მოაშურა. აქვე ისიც სათქმელია, რომ სიმბოლისტობა „ხელს არ უშლიდა“ მას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღესვე თეთრ ცხენზე ამხედრებული, წითელი ღროშით შეხვედროდა თბილისის თავზე აღმართულ საბჭოთა რევოლუციის ღროშას, რადგან მან თავის წარმოდგენაში რევოლუცია, როგორც ძველის უარყოფა და ნგრევა, გარეგნული ნიშნებით დაუკავშირა სიმბოლისტი პოეტების მანიფესტებში გამოხატული ძველის უარყოფის პათოსს. ასე გაერთიანდა მის პოეზიაში რევოლუცია და მოდერნიზმი.

„27 მარტს, მეორე სახალხო აუდიტორიაში (ყოფილი მეორე ქართული კლუბი) პოეტმა პაოლო იაშვილმა გააკეთა მოხსენება თემაზე: „რევოლუცია და ხელოვნება“. მომხსენებელმა აღნიშნა ხელოვნებისა და რევოლუციის ეტაპები და ხაზი გაუსვა იმას, რომ „ხელოვნება ყოველთვის წინ უძღვის რევოლუციას. დიდებული მწერლები წინასწარ გამოიცნობენ ხოლმე ახალ გზას. დოსტოევსკი და სხვა წინასწარ გამოიცნობდნენ დიდი რუსეთის რევოლუციას. დიდებული კომპოზიტორი

სკრიაბინი უნდა ჩაითვალოს რუსეთის რევოლუციის წინასწარმეტყველად. აზრი, რომ ხელოვნება უკან რჩება ცხოვრებას არ არის მართალი. იგი წინასწარ აღტაცებას აძლევს ცხოვრებას და მაგრად უჭირავს თავისი დროშა. პოეზიასთან ახლოა და მისთვის გასაგებია მსოფლიო პროლეტარიატის მისწრაფებანი, მისი მიზნები და დანიშნულებანი. ქართველი პოეტები ყოველთვის იდგნენ რევოლუციის გზაზე, ყოველთვის ისწრაფოდნენ შეენარჩუნებინათ ეროვნული კულტურის კუთვნილებანი იმ აზრით, რომ მასები ამ კულტურას ეზიარებინათ. ქართველი მწერლები მისწრაფოდნენ შეექმნათ განუწყვეტელი კავშირი ხალხთან და ეს კავშირი სწორედ ახლა შეიძლება შეექმნათ. ქართული პოეზია მთლიანად იღებს ლოზუნგს: — „ხელოვნება მასებისაჲენ“, ოთახიდან ქუჩებში, ამაშია მომავალი ხელოვნების უმთავრესი მიზანი. ამგვარად, ხელოვნება ითანამგზავრებს რევოლუციასთან ერთად და ექნება მასთან, რომლის სადარაჯოზედაც ყოველთვის ცდილობდნენ მდგარიყვნენ ქართველი პოეტები, რომლებიც მისწრაფოდნენ შეენახათ რევოლუციის ყველა მონაპოვარი“¹.

პოეტი 1921 წელსვე ხმამაღლა აცხადებს:

მზად არის თოფი! მზად არის ხმალი!	აზიის კარო ელავს ფერებით
მტრებს ჩვენ ვეყოფით მარტო კბილებით.	შენი გვირგვინი და სამკაული
დავაგვირგვინოთ ჩვენ მომავალი,	მამ, გადიხადე ბედნიერებით
წითელ რუსეთის დაქმობილებით.	პირველ მაისის ღღესასწაული!

ახალი სოციალისტური მშენებლობის დიდი პათოსით შთაგონებული პოეტი გრძნობდა, რომ ესლა ძველი გზებით სიარული არ შეიძლება, ახალ ცხოვრებას ახალი სიტყვა, რევოლუციური და მებრძოლი სიტყვა უნდა ამშვენებდეს. პ. იაშვილი ცნობილ ლექსში „პოეზიის ინჟინრებს“ გულწრფელად მიმართავს თავის თანამოძმეებს — ძნელია დაშორება ძველ გზებთან, მაგრამ ეს აუცილებელია:

გავტყუდოთ აშკარად, გუშინ ნაშენი
 დღევანდელისთვის უკვე ძველია...
 სიტყვა მაროალი ვთქვათ ერთმანეთში,
 მღაბიო თქმაში ხშირად ზანტებმა;
 რა შეედრება, როცა სვანეთში
 მატარებელი ატორტმანდება...
 დღეს ჩვენი ხმალი ქარქაშში ჩასვეს,
 გადიგრილა ბოლომდის ომმა,
 და ხედავს თვალი მომავალს სავეს,
 რომელსაც სარღლად მიუძღვის შრომა.

ასე ღრმად განიცადა პოეტმა ახალი დრო და იგრძნო, რომ ახალ

¹ გაზეთი „კომუნისტი“, № 23, 30 მარტი, 1921 წ.

ეპოქას „ძველებური ლექსის“ თქმა არ გამოადგება. პოეტი მტკიცედ და გადაჭრით აცხადებს:

ამხანაგებო, ნუ გეზარებათ
ჩამოცილება ძველი ფესვების,
ღროა გადიქცენ ოქროს ზარებად
აყრემლებული ჩენი ლექსები.

ოციანი წლების მიწურულისთვის პაოლო იაშვილი ქართულ საბჭოთა მწერლობაში მტკიცედ შემოვიდა და დამკვიდრდა თავისი ლაღი, გულწრფელი და ფაქიზი ქართული სიტყვით. მისი ლექსები გვხიბლავს ორიგინალური თქმებით, არტისტული ფრაზებით, გამომსახველობის ახალ საშუალებათა ფერადოვნებითა და ძლიერი ემოციებით. იგი უახლესი ქართული ლექსის ერთ-ერთი რეფორმატორი და ნოვატორი იყო.

სიმონ ჩიქოვანი თავისებური პოეტური ბილიკებით შემოვიდა ქართულ პოეზიაში. მისი პირველი პოეტური ინტონაციები ყალიბდებოდა იმ რთულ ლიტერატურულ პერიოდში, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებს მოჰყვა. ამ იდეური ბრძოლის დღეებში სიმონ ჩიქოვანი მთელი თავისი პოეტური სულითა და პათოსით ახლო იყო საბჭოთა სინამდვილესთან, რევოლუციასთან, მაგრამ ამ სურვილის პოეტური გამოთქმის ხერხები, აზრობრივი ჩანაფიქრი, ფუტურისმის გავლენის ტყვეობაში იმყოფებოდა. უფრო მეტიც, სიმონ ჩიქოვანი საქართველოში ფუტურისმის ლიტერატურული ხერხებისა და პრინციპების პროპაგანდისტა მეთაურად გვევლინებოდა. თავისი პირველივე პოეტური ქმნილებებით ჩაება იგი იმ იდეურ და პოეტურ ბრძოლებში, რომლებიც 20-იანი წლების ქართულ მწერლობაში მძაფრ ფორმას იღებდა. სუბიექტურად, პოეტური მისწრაფებებით ამ დიდსა და გადამწყვეტ ლიტერატურულ ბრძოლაში სიმონ ჩიქოვანი მხარს უჭერდა ყოველივე ახალს, რევოლუციურს, პროლეტარიატის სახელთან დაკავშირებულს, და ებრძოდა ყოველივე დრომოკმულს, მეშინურს, უნიადაგოს, ხალხის ინტერესებთან დაცილებული პოეზიის გზასა და პრინციპს.

ეს გარემოება კიდევ უფრო საინტერესოს ხდის სიმონ ჩიქოვანის პოეტურ ფიგურას.

ფუტურისტების ჯგუფის ყველაზე გამოჩენილი ფალავანი სიმონ ჩიქოვანი იყო და მისი პოეტური გზაც ფუტურისტულ ხერხებს ყველაზე ტიპურად ამჟღავნებდა.

ვინც სიმონ ჩიქოვანის ადრინდელ შემოქმედებას დააკვირდება, ადვილად აღმოაჩენს მასში წინააღმდეგობას ფორმასა და შინაარსს შორის. ამ წინააღმდეგობის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მან სცადა ფუტურისტული ლექსების სამოსელი მოერგო რევოლუციუ-

რი შინაარსისათვის. მან რევოლუციური ფრაზები ზაუმიკური ხერხით დაუკავშირა ახალი ცხოვრების პათოსს. ეს გარეგნული მორგება ქმნიდა სწორედ იმ შინაგან წინააღმდეგობას, რაც ჩვენი პოეტის ადრინდელი ლექსებისათვისაა დამახასიათებელი. ამ მკაცრ წინააღმდეგობათა ფორმებში სიმონ ჩიქოვანი მაინც, მისი პირველი პერიოდის ლექსების მიხედვით, მეტროლი, შეტევითი განწყობილებებითა და ინტონაციებით გვევლინება. ამ პოზიციის მიხედვით იგი მთლიანად და სავსებით ემყარება ახალი რევოლუციის სამყაროს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სიმონ ჩიქოვანისათვის არ არსებობდა პრობლემა რევოლუციის მიღებისა, საბჭოთა ხელისუფლების აღიარებისა. პირიქით, პოეტი თავის პირველსავე ლექსებში რევოლუციის ულტრამომხრედ გვევლინებოდა და თავის თავს რევოლუციის ჭეშმარიტ პოეტად თვლიდა. ამ ავანგარდისტული პოზიციებიდან უტევდა ყველას, ვინც არ იზიარებდა რევოლუციის გზას, ვინც რჩებოდა ტრადიციული პოეზიის ჩარჩოებში, უტევდა დაუნდობლად და სასტიკად.

სიმონ ჩიქოვანის ადრინდელი ლექსები თავმოყრილია 1930 წელს სახელგამის მიერ გამოცემულ ლექსების კრებულში — „მხოლოდ ლექსები“.

ეს წიგნი ერთგვარად აჯამებდა პოეტის მიერ განვლილ პირველ ხუთ წელს. იმ წელს კი, როდესაც კრებული დაიბეჭდა, პოეტი უკვე პრინციპულად აღარ იცავდა ფუტურისტების გზას, რომლითაც შემოვიდა იგი ჩვენს პოეზიაში. ავტორი ერთგვარად უკეთებდა ანალიზს მის მიერ განვლილ გზას და ნათელ წარმოდგენას ქმნიდა თავისი შემოქმედებითი სამყაროს შესახებ.

ხსენებულ წიგნს თანდართული აქვს შესავალი წერილი, რომელშიც ნათქვამია: „თემატურად კრებულის ზოგიერთი ლექსი უკვე განვლილი ხანაა ჩემთვის. მათი პროპაგანდა ავტორს საჭიროდ აღარ მიაჩნია, მაგრამ წიგნის მთლიანობისა და პოეტური განვითარების აღსანუსხავად კრებული იტევს წმინდა ლირიკული ხასიათის მასალებს და ექსპერიმენტალური ცდების ნიმუშებსაც. ეს წიგნი ბრძოლაა სიტყვისა და თემის დამორჩილების ასპარეზზე, ამიტომ ის ნოვატორული მოვლენაა ჭარბულ პოეტურ მეტყველებაში, თანადროულობის თვალსაზრისით წიგნს რევოლუციური თემატიკა მიუძღვის წინ, ხოლო ლექსალობით ის ოთხივე განყოფილებაში რეკონსტრუქციული ლექსების ციკლია“, რომელშიც ჩიქოვანი დაუნდობლად ებრძვის იმ პოეტებს, ვისაც რევოლუციის მოწინააღმდეგე პოზიცია აურჩევია. ასეთი შინაარსისაა ლექსები: „ჩემი სიტყვა მემარცხენეობის დისპუტზე“, „მიძღვნა ახალ პოეტებს“, „ჩემი სიტყვა ჩემს შესახებ“, „გაბაასება ახალ მკითხველთან“, პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის პროლეტარიატის, რევოლუციურა საქართველოს პოეტია, მისი მხატვარია:

მე ფუტურიზმის ბრძოლა კვილით
რევოლუციის ძარღვებში ნაშთი,

მე ჩამოსული, მწერლის კიბიდან,
პროლეტარების სიღრმეში გავჩნდი.

უფრო ქვემოთ კი პოეტი ფართოდ განმარტავს, რომ იგი ასრულებს დროის, ეპოქის ბრძანებას, „ლექსებს დაეუბრთე ოქმის ნახევი“, ვარ მუშების, ბრძოლების პოეტი, მე ახალი დროების, ახალი გმირების მხატვარი ვარო — არაერთხელ იმეორებს პოეტი ამ სიტყვებს, ამ ფრაზებს, ამ აზრებს და უტევს ყველა მოწინააღმდეგეს. ჩვენთვის გასაგებია ავტორის დაუოკებელი შეტევა მემარჯვენე პოეტებისადმი. რევოლუციის პოეტი აღშფოთებით კითხულობს: „სანამ უნდა ისინი მემარჯვენეობამ, მოლექსეები გამოფიტულ ძვლებზე უკრავენ „ციურ ჰანგებს“, მათ ლექსებს ჭაობის სუნი, შმორის სუნი ადის. ჩვენ, მებრძოლნი, მედროშენი, მემარცხენეებისა ვერ ვითმენთ მსუბუქ ლექსებს, ოთახისა და სიყვარულის ამ გამოფიტულ პოეზიას“.

პოეტი ამტკიცებს, რომ იგი, ისევე როგორც მაიაკოვსკი, ფუტურიზმიდან მოვიდა პროლეტარიატთან და ბოლომდე დარჩება მისი ერთგული. „მე მინდა ხალხს დაეუტოვო სიტყვა მართალი, რომელშიაც გადმოცემულია ცადა ქართული მწერლობის ტრადიციებთან შეფარდებით“.

ამ ამონაწერში ორი გარემოება იპყრობს ჩვენს ყურადღებას: პირველია ის, რომ რევოლუციურ თემატიკას თვლის თავისი წიგნის მთავარ მიღწევად, ხოლო, მეორეც, პოეტი მხატვრულ, ფორმალურ პოზიციას ოთხივე განყოფილებისათვის ესე იგი მთელი წიგნისთვის, მიიჩნევს რეკონსტრუქციულ ცადად ქართული მწერლობის ტრადიციებთან შეფარდებით. სხვანაირად რომ ვთქვათ, პოეტის აზრით, მისი ნოვატორული წერის მანერა იმაშია, რომ კლასიკურ მწერლობასთან შედარებით ეს პოზიცია ახალი და განსხვავებულია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მწერალი ამ სიახლეს ერთგვარად უკავშირებს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელს და წიგნიც სწორედ მაიაკოვსკის ლექსით იხსნება („ფუტურიზმი და რევოლუცია“). აქვეა მოყვანილი მაიაკოვსკის ლექსის ერთი ტაეპი რუსულად:

Я славлю
взвитое красной ракетой
Октябрьское,
руганное
и пропетое,
пробитое пулями знамя!

დამახასიათებელია, რომ სიმონ ჩიქოვანს ამ წიგნში პოეზიის მეტრად გამოცხადებული ჰყავს ვლადიმერ მაიაკოვსკი. ამ გზით მას უნდა უფრო ორიგინალურად დაუკავშიროს თავისი სათქმელი რევოლუციის გზას და თავისი თავი რევოლუციის პოეტად გამოაცხადოს.

„მხოლოდ ლექსები“, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს რევოლუციური პათოსით, რომლითაც გაუღენთილია მთელი წიგნი. აქ შეტანილი ლექსები „ახალი დროის სუნთქვაა, აზრი დროების“. მიმართავს რა ხალხისაგან განდგომილ ძველ პოეტს, რომელიც „უცხოეთში ნასესხებ ხმას და ნიღაბს“ ატარებს, ავტორი აცხადებს: „შენ, მიგდებული და ნათრევი ჯაგლაგ ცხენივით, სცადე ქალაღზე ძველი ხმების ლექსად შეკრება“. მე და შენ შორის შენ გამოხვალ დამარცხებული. ამ იდეურ ბრძოლაში პოეტი ამაყად აცხადებს: „შენ ფოტოროდან ხარ, მე ფოლადით გამოვითალე, შენ ეტრფი ჭორს და უცხოელ მტვრიან ჰიანურს. მე მინდა ხალხს დავუტოვო სიტყვა მართალი, დავეძებ აზრს გამპირიასა და ადამიანურს“.

ამ ადრინდელ ლექსებში მკითხველი ადვილად იგრძნობს მემარცხენულ ნახტომებს, დაინახავს დროის პრობლემებს, აქ არის მეგრძოლი შემართებაც, ცხოვრების მღელვარე ცენტრში ყოფნის სურვილიცა და განწყობილებაც. ერთ ადრინდელ ლექსში „მიძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილს“ პოეტი აცხადებდა, რომ, მართალია, ჩემი ლექსები რთულია, მწიგნობრული, ძნელად ასახსნელი შარადებივით, მაგრამ მე ძველი ცხოვრების ქუდი გამოვიცვალე და ვარ ამ საუკუნის საყვირი; მადლობა შენ, ჩემო წინაპარო, შენ მშვილდი ხარ და მე ისარი, ბრძოლას შევადგენთ გამოგონებულს და შენი სისხლი, ჩემს ძარღვში რომ დგას, შთამომავლობას მე დავუმტკიცებო. ცხადია, ამ ლექსის მთელი მხატვრული სამოსელი ბუნდოვანია, მაგრამ საქმე ისაა, რომ პოზიციურად პოეტის განცხადება — რომ იგი ბარათაშვილის მეგრძოლ ინტონაციებს ავითარებს, წარსულის პირწმინდად უარმყოფელი ფუტურისტიკისათვის მეტად უცნაური ნათქვამი იყო. ასეთსავე აზრს ვხედავთ ლექსების ციკლში, რომელიც პოეტმა მყინვარს მიუძღვნა. მყინვარის შესახებ ჩიქოვანი იმ აზრისაა, რომ ნამდვილი შემოქმედი მხოლოდ ის არის, ვინც ხალხთან ახლოს დგას, ვინც ხალხის ცხოვრებით სულდგმულობს. მყინვარი, რომელიც გამდგარა ხალხისაგან, არ შეიძლება იყოს პოეტის თანაგრძნობის საგანი და მიმართავს მას თხოვნით, დაუბრუნდეს ბარს, ხალხის ხმაურს ყური დაუგდოს, ხალხის აზრით განიმსკვალოს. მე ამ შემთხვევაში, როგორც ილია, იმ აზრისა ვარ, რომ ცივი ხარ შენ, ხალხისაგან შორს მყოფო, — გვეუბნება პოეტი.

1926 წელს სიმონ ჩიქოვანი ბარათაშვილსა და ჭავჭავაძეს თავის წინამორბედად აცხადებდა:

მე საქართველო გამხმარ მხრებზე ფრთასავით მაძევს
და გულის ფიცარს დაეწერა კითხვა მრავალი,
ბარათაშვილის და ჭავჭავაძის
მე ვარ მოდგმა და პირდაპირი შთამომავალი.

ამ შემთხვევაში ის პრინციპულად გამოდიოდა ფუტურიზმის წინააღმდეგ. ლექსში კი — „წინა თაობის პოეტებს“ — ჩიქოვანი წერდა:

ქალაქი იბრძვის, კვდება სოფელი,
მოკვდა ტრფიალი გამტყდარ ხმალისა,

აწმყო წარსულის უარმყოფელი
არის მშობელი მომავალისა.

პოეტს ამ ხასიათის ლექსებში დიდი შინაგანი წინააღმდეგობა ახასიათებდა: მხატვრული ხერხებით, ფორმით, მეტ შემთხვევაში — პოზიციითაც, იგი ფუტურიზმის ტყვეობაში რჩებოდა და კლასიკური მწერლობის ტრადიციებსა და პრინციპებს ემიჯნებოდა, ამავე დროს კლასიკოსებთან ეძიებდა კავშირს.

სიმონ ჩიქოვანი თავის აღრინდელ ლექსებში ლირიკული პოეზიის წესებისა და კანონების წინააღმდეგ გამოდიოდა. მაგალითად, ერთ ლექსში, რომელსაც ჰქვია „მოწოდებისათვის“, ნათქვამია:

ყოველ ნაზ ჩანგურს დააწვევით სიმღი
და მკედარ ღიმილსაც ჩამოხსენით,
ძველი გრძნობების დაეძროთ ფესვი
და გადავფერო ცხოვრების ლექსი,
მოქალაქენო; ქუჩებში შეეკმნათ,

ახალი გეგმა აწვიოთ მისხლით.
დაეარტყათ თავში ლირიკის ჩექმა.
და დავადინოთ ცისფერი სისხლი.
გაიწმინდება წარსულის ფერი!
და გაიმარჯვებს ახალი ლექსი;

აქ კატეგორიული დაპირისპირებაა ძველი ლირიკული და ახალი ფუტურისტული ლექსისა. ლექსში „ბულბულიანი“ პოეტი ამტკიცებდა, რომ „ბულბული დაჯდა წარსულის ძვლებზე და იწყო ყეფა ინდუსტრიაზე, სტვენით, გალობით აზრებს მარცვლავდა, ხან მღეროდა, ხან კი ტიროდა. მაგრამ ბულბულის გზების გამოცვლას არავინ გრძნობდა, არვის სჭიროდა...“

ჩვენი პოეტის რევოლუციური თემატიკა — ლექსები სამოქალაქო ომის თემაზე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაზე, პოეზიაზე, ოჯახსა თუ ყოფაზე, მაჩვენებელია იმისა, რომ ამ ლექსების ავტორი რევოლუციის პოეტიცა. მაგრამ ამ მოწინავე აზრების გამოხატვის ფორმა ბუნდოვანია, ლურსმული წარწერებივით ამოსახსნელი:

ღრმომ ურემი დამურა ღობი
არხი ბოხი ბურღი.
ღულს დადი
მღორე დოღი
ავღირე

გურაგელი ბამბა ბუნღი.
გურაგელი მორგვი ბორგვი ვერაგული
გურაგელი ქუფრი მორბო კუპრი
გურაგელი შორი შური გვიმრა იბრო.

ასეთი ცდები ფუტურისტებს პრინციპულ პოზიციამდე აპყავდათ. ეს იყო დაჟინებული ძიება ისეთი „ორკესტრული“ ლექსის შექმნისა, რომელიც ეფუძნებოდა ემოციებისაგან დაცლილ ბგერათა ხმოვანებას. აქ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობა შეცვლილია, ამასთანავე პრინციპშია აყვანილი უაზრო სიტყვების გამოგონება. ფუტურისტების მთელი ეს ცდა ამაო აღმოჩნდა, თვითონ სიმონ ჩიქოვანი სულ მალე

დარწმუნდა ამ ექსპერიმენტების უვარგისობაში. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სიმონ ჩიქოვანს ამ „ექსპერიმენტული“ ლექსების გვერდით ჰქონდა ტრადიციული ფორმის ლექსები, დაწერილი ჯერ კიდევ 1924—1926 წლებში. საქმარისია აქ მოვიგონოთ ლექსები „ხალხური“ და „დამნაშავე ის არ არის, არა“.

აი, ერთი სტროფი:

გელოდი, ბოლოს ეზოზე
გადმოვდექ, წინ კი ჰალაა,

თვალმა სანამდის გიშვიროს,
ლოდინი ხათაბალაა.

ამ ტიპის მაგალითები იმაზე მიგვითითებს, თუ როგორი შინაგანი წინააღმდეგობები არსებობდა სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში. პირველ ყოვლისა, წინააღმდეგობანი ვლინდებოდა ფორმასა და შინაარსს შორის, მწერლის იდეურ პოზიციასა და მისი გამოხატვის საშუალებებს შორის.

მუშათა კლასის სამსახურში ჩამდგარ პოეტს ღრმად სწამდა, რომ

მუშას არ უყვარს ბუღბული,

ამიტომ მოკვდა ბუღბული,

არც ბუღბულს უყვარს მუშის ხმა.

ამიტომ ვარდი ჩამოხმა.

რასაკვირველია, დღეს ყველასათვის ნათელია ამ „ღებულების“ უსაფუძვლობა, მაგრამ მაშინ, როცა ზემოხსენებული სტრიქონები იწერებოდა, ცოტას როდი ესმოდა ასე ყალბად პროლეტარული პოეზიის ესთეტიკური საფუძვლები. სწორედ ამ ყალბ მცენებას ემყარებოდა მუშათა კლასის მეხოტბე პოეტი, როცა კატეგორიული ტონით აცხადებდა:

ქუსლი დავადგი სიყვარულის ხატს,

კლასიკურ გმირებს, ეპიურ ტილოს,

მე თვით დავახრჩობ ბუღბულიანის ნაკლეკებ ხმას

და ჩემ ძველ ტკივილს მე თვით გავხდი დღეს

სასაცილოდ.

სიმონ ჩიქოვანი 20-იანი წლების ბოლოს დარწმუნდა ფუტურისტული ესთეტიკის საფუძვლების მცდარობაში და თანდათანობით დაიხია ძველი პოზიციებიდან. პოეტმა დაიწყო თავისი ესთეტიკური მრწამსის გადასინჯვა, ერთგვარი გაკრიტიკება და წარსული შეცდომების უარყოფა. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ლექსი — „გმირი და წინ“, აქ პოეტმა თავისებურად შეაჯამა განვლილი გზა. ამ გზაზე, — ამბობს პოეტი, — იყო „ხორკლიან სიტყვათ ჰიდილი“, „დავეცი ბევრჯერ და აღვსდეგ ისევ“, მაგრამ მუდამ ხალხის, რევოლუციის ინტერესებს ვემსახურებოდი, მე არასოდეს ვიყავი „ქალის ფეხისა და კუბოს კოცნის პოეტი“, არასოდეს მიღალატია ჩემი ხალხისთვის, თუმცა შეცდომებიც მქონდა; ეს შეცდომები მოდიოდა ფუტურისმიდან და „მე, მეამბოხეს,

შემხედეს ზიზლით, მითხრეს — გადახველ საზღვარს ლექსისას, მე ფუჲ ტურიზმს გავყვე ამ დრომდი“.

მე შეცდომები კუზივით ვზიდე,
შემდეგ შეცდომებს შევეტაკე, შეეხვდი პირდაპირ.

პოეტი განაგრძობს: მოვდივარ შენთან, ახლო დროებავ, განიარაღებული და გასწორებული, რომ მთელი ხმით გიმღერო შენ და გემსახურო. იგი მიმართავს მოწინავე რევოლუციონერ ადამიანებს:

მომეციო ხელი, გავწიოთ ძმურად.
გულს გული იცნობს და გმირს მწერალი,
შენ ცხოვრებას ქმნი, მე შენზე სურათს,
დაეკრათ, გავფრინდეთ რკინის მერანით,
და მაიაკოვსკი დიდი სარდალი,
რევოლუციის შვილი ომამდეც,
ქუხდა, ამგვარ ხმით იყო მართალი
პორიზონტიდან ხელგაშლილი პორიზონტამდე.

პოეტის ეს განცხადება თითქოს იმას ნიშნავდა, რომ იგი ტოვებდა ძველ ფუტურისტულ გზას, რაკი ფუტურისტული ფორმა აბრკოლებდა პოეტის წინსვლას.

• •

სიმონ ჩიქოვანის მხატვრული სამყარო, მისი პოეზია წლების განმავლობაში იყო აზრთა სხვადასხვაობისა და კამათის საგანი. თვითონ ის ფაქტი, რომ ასეთ მძაფრ კამათს იწვევდა სიმონ ჩიქოვანის პოეტური სამყარო, თავისთავად ლაპარაკობს ჩვენი შემოქმედის განსაკუთრებულ ადგილსა და მნიშვნელობაზე ქართულ პოეზიაში. მან თავის ლექსებზე თვითონვე თქვა — „მძიმეაო იგი“. პოეტი კარგად გრძნობს ამ თვისებას და მაინც შეგნებულად, პრინციპულად მისდევს ამ სირთულის გზას, სიმონ ჩიქოვანი ერთგან კიდევაც ეკამათება თავის თავს; რატომ არ ვიტყვი უბრალოდ, სადად, რომ ყველასათვის გასაგები იყოს, რომ გაიტაცონ ჩემი ლექსები და ხალხში გავიდესო. ამ მხრივ დამახასიათებელია ოცდაათიანი წლების ლექსი „ტბასთან“:

როს ლერწამი მოიხრება,
გადმოწვება ტბაზე ჩერო,
ვზივარ, ვფიქრობ: რა იქნება,
მეც სხვაგვარი ლექსი ვწერო.

ვთქვა სიმღერა სულ უბრალო,
ვიყო წყნარი, გასაგები
და ეპიროს ყოველ გამეღელს
ჩემი ლექსის გასაღები.

პოეტი თავისთავთან დიალოგს ასე ამთავრებს:

და ჩემს თავზე გულნაკლული
მე აკინძავ სიტყვის მტევანს,

მაგრამ გული, ჩემი გული,
სტრიქონში არ ჩამეტევა.

სიმონ ჩიქოვანი ამ საკითხს რამდენჯერმე უბრუნდება და იმ დასკვნამდე მიდის, რომ შემოქმედებას, ნამდვილსა და ჭეშმარიტს, სირთულე უყვარს და მომავალი ეკუთვნის მხოლოდ მას, ვინც დაიმკვიდრებს სიახლის გრძნობას:

შემოქმედებას სირთულე უყვარს,
გასაგებად და სიმძაფრით თქმული.

ეს თეორია უდევს საფუძვლად სიმონ ჩიქოვანის პოეტურ კონცეფციას. ამიტომ შეგნებულად მიმართავს იგი გართულებულ მხატვრულ სახეებსა და მეტაფორებს და ლექსის მთელ კომპოზიციას რთულ მხატვრულ ხერხებს უმორჩილებს. აქ უთუოდ თავს იჩენს ფუტურისზმის კვალი, ამავე დროს, სიმონ ჩიქოვანისათვის ყოველთვის ამოსავალი პრინციპია სიახლის გრძნობა, ახალი კუთხითა და ახალი მიდგომით გაშუქება საგნებისა და მოვლენებისა. ამ მომენტსაც ხაზგასმით აღნიშნავს პოეტი:

შემოქმედებას სიახლე უყვარს
ცისარტყელის და ქუხილის ფერი.

თეორიულად სიმონ ჩიქოვანი თავის მხატვრულ კონცეფციას აფუძნებს ამ ორ ამოსავალ პრინციპზე: სირთულე და სიახლე. სწორედ ეს არის პოეტის თვალსაზრისით მთავარი პოეზიაში. იგი თანამიმდევრულად იცავდა ამ კონცეფციას.

სიმონ ჩიქოვანი ფერწერითი მანერის მხატვარია. პოეტი ფერების შერჩევას უფრო მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე სიტყვიერი ხელოვნების კანონებსა და წესებს. იგი აცხადებს: „ვეგონებ ფერია შევინება ლექსის“, ხოლო შემდეგ კი უმატებს: „მთვრალი ბალებში საღებავს ეძებს“. ფერების პოეტი უპირატესობას ფერწერას აკუთვნებს, ვიდრე მუსიკას, ვიდრე ამღერებას პოეზიაში. ამიტომაც აცხადებს:

ვერ შევუთანხმე გალობა სურათს,
ვერ შევაერთე ოცნება ორი.

ან კიდევ:

ხმების ოსტატი არა ვარ, ვიცი, მე მხოლოდ ხილულ ჩვენებით ვივლი
ხმა მიწყდება თუ მიწივის ყური, და ბაღს მიაგავს პატარა გული.

ასე ნათლად აქვს დახასიათებული სიმონ ჩიქოვანს თავისი პოეტური მხატვრული პრინციპი, და აქ მას ვერ შევედავებით.

სიმონ ჩიქოვანი მეტაფორული სახეებით მოაზროვნე პოეტია. მისი მხატვრული სახეები უმთავრესად მეტაფორებს ეფუძნება. ამ პრინციპს ემორჩილება მხატვრული გამონაგონიც და თვით ენობრივი ქსოვილიც.

ილო მოსაშვილის პირველი ლექსები მსოფლიო ომის წინა წლებში და-
იბეჭდა. ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდისა და საქართველო-
ში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლების მის შემოქ-
მედებას ახასიათებდა ბუკოლიური ლექსები და მისტიკური განწყო-
ბილებანი. საბჭოთა ქვეყნის მახვილი საზოგადოებრივი საკითხები მისი
შემოქმედების ყურადღების ცენტრში არ იდგა. საქართველოში საბ-
ჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, განსაკუთრებით „არი-
ფიონში“ გამოქვეყნებული ლექსით იგი თავს აღწევს ძველ პოეტურ
გზას. ერთ-ერთ მომღეწო ლექსში იგი ასე გადმოგვცემს ამ წინააღ-
მდეგობას:

დღეს კი ქვეყანა სხვა გზებით მიდის, და ორი გულის ბრძოლას და ჰიდილს
განვლილი შარა ცეცხლმა შეღება ჩემს გულშიც, მორჩა — ბოლო ეღება.

პოეტის აზრით ახალ დროსთან, საბჭოთა ეპოქასთან შეუთავსე-
ბელია „ძველებური“ ლექსით გართობა. თუ პოეტს სურს ნამდვილად
იყოს ამ მაღალი სახელის მატარებელი, იგი ვალდებულია ამ ახალ დიდ
ეპოქას ემსახუროს და თავისი ლექსებით დაიცვას საბჭოთა პოეტის
ღირსება. კარგად ამბობს მოსაშვილი:

პოეტს ეძახის მისი სახელი:	მკერდით,
დიდი ეპოქის ცეცხლში დაიწვას,	სისხლით და
ყოველი ქვის და	ლექსით დაიცვას.
რკინის ნახვეი	

ი. მოსაშვილმა 1930 წელს გამოაქვეყნა ლექსების ახალი ციკლი
აღაზანზე. ეს იყო ნამდვილი შემობრუნება პოეტისა თანამედროვე,
საბჭოთა სინამდვილისაკენ. ამ ლექსებში გადმოცემულია კოლმეურნე
ადამიანთა სულიერი განწყობილება, ახალი ცხოვრების მხატვრული
სურათი. ი. მოსაშვილი სწორედ ამ წლებში საბოლოოდ წყვეტს კავ-
შირს ძველ გზასთან; ლექსში „საუბარი ჩემს თავთან“ პოეტი თავის
თავს საყვედურით მიმართავს:

შენ კი ვერა გრძნობ ეპოქის ძარღვებს	მაშ რაღას მისდევ დღეებს ჩანჩალით,
და იგრიბები, როგორც ლაფანი,	შეძვერი სადმე თხუნელას ღრუში,
თუ სიხარულმა არ დაგკრა გულში,	ან დაიბჯინე მკერდზე ხანჯალი

ამ აზრით შთაგონებული ი. მოსაშვილი დგება საბჭოთა მწერლო-
ბის პლატფორმაზე. ამ წლებში, დიდი საკოლმეურნეო მოძრაობის
წლებში, იგი გამოდის ახალი სოციალისტური სოფლის მშენებლობის
მონაწილე პოეტის როლში:

ამხანაგებო, დღეს კოლმეურნე
ამსხვრევს ცხოვრების მძიმე სარახებს

და მეც სოფელი, როგორც მეურნე,
ჩემს ბედს მივმღერი ვაშლილ შარაზე.
ვეალერსები შრომის ბარაქით ვაქვდი ველებს,
ვხედავ, ქვეყანა სხვა გზებით მიდის.

ახალმა დროებამ სავსებით უცვალა ფერი და იერი სოფელს. სოციალისტური სოფლის განახლებულმა ყოფამ ახალი შინაარსი მისცა თვით პოეტის შემოქმედებასაც. თუ დიდი სოციალური და პოლიტიკური, საზოგადოებრივი საკითხები წინათ პოეტს არ აინტერესებდა, ახლა იგი საზოგადოებრივ პრობლემებზე იწყებს მუშაობას, სტოვებს ძველ გზას.

მოსაშვილის პოეტური შემოქმედება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წლებში გარკვევით განისაზღვრა ამ ახალი ეპოქის ინტერესებით. საბჭოთა პოეტის განწყობილება და აზრია გადმოცემული ამ პერიოდის ერთ საინტერესო ლექსში, რომელსაც ჰქვია „თანამედროვე პოეტისადმი მიწერილი“. აქ ავტორი პოეტური სიტყვის ოსტატებს მოუწოდებს განიმსჭვალონ ახალი დროის შეგნების აზრით და გულთბილად ემსახურონ მას.

სანდრო შანშიაშვილი საბჭოთა ეპოქამ ჩააყენა ქართული პოეტური სიტყვის მოწინავეთა რიგებში. 1923 წელს ს. შანშიაშვილი მუშაობას იწყებს გაზეთ „კომუნისტის“ ლიტერატურულ დამატებაში ჟურნალ „დროშაში“. ამ გარემოებამ იგი უფრო დაახლოვა საბჭოთა სინამდვილესთან, საბჭოთა მწერლობასთან და გამოცდილი ოსტატის პოეტური ხმაც ახალი სოციალისტური პათოსით განმსჭვალა. სანდრო შანშიაშვილი წერდა:

ეპოქამ ასე ვადაძანო ფოლადის კაცად.
სხვა გრძნობით ეცოცხლობ: მოქალაქე ვარ საბჭოეთის.
ბრძოლამ არგუნა დიქტატურა პროლეტარიატს
და მეც მის ტალღებს შევერიე უკვე ნაწრობი.

ს. შანშიაშვილი ერთი პირველთაგანი გამოენმაურა ჩვენი სამშობლოს განახლებასა და აღორძინებას, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას. იგი გულწრფელი სიტყვით მიესალმა სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთი პირველი დიდი ობიექტის — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. ს. შანშიაშვილი გადაჭრით და მტკიცედ დგება საბჭოთა ლიტერატურის პოზიციებზე. მართალია, პირველ წლებში იგი ჯერ კიდევ არ იყო თავისუფალი „აკადემიური“ ჯგუფის იდეებისაგან, მაგრამ ოციანი წლების მეორე ნახევარში პოეტი საბოლოოდ აღწევს თავს კერძო მესაკუთრე გლეხის რომანტიკასა და იდეალიზაციას, პოეტური შემოქმედების ამ ძველ გზას. პოეტური გარდაქმნის ამ გზაზე ერთი საინტერესო ლექსთაგანი იყო „ბაქოს კომუნარები“, რომელ-

შიც პოეტმა უთანასწორო ბრძოლაში დაცემული 26 კომუნარის გამარჯვების რწმენით ანთებული სახეები ქვემარტი მხატვრის ფუნჯით გააცოცხლა ჩვენს შეგნებაში.

ძველი თაობის პოეტთა შორის ს. შანშიაშვილი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც სცადა სოციალისტური. სახელმწიფოს ფუძემდებლის ლენინის გენიალური სახის მხატვრული გამოსახვა. მხედველობაში გვაქვს მისი ერთ-ერთი ბრწყინვალე ლექსი „დედისერთა ლენინთან“. 1927 წელს დაწერილი ეს ლექსი გვხიბლავს რომანტიკული სამოსელითა და რევოლუციური განწყობილებით:

...როს მოხუცი ბუხრის წინ
შვილს სიზმარში ხედავდა,
ამ დროს მისი ვაჟია
მტერს ბრძოლაში ჰკვეთავდა.
ის იბრძოდა წითლებთან,
წითელ დროშას იცავდა
ჯარისკაცი რუსეთში
ლენინს გაჰყვა მტკიცედ!

პირველ რიგში დავცა...
ტყვიამ აღარ იცადა!
მისი კენესა: „ოპ, დედა!“
ზარბაზანმა დაფარა.
თავი დასდო ხალხისთვის,
სისხლი ნორჩმა დაღვარა.
ნახა სამშო საფლავი,
ველარ — დედის ქალარა!

ამ თემას მიუძღვნა მან მეორე ლექსიც „ლენინი ჯავშანოზე“. ს. შანშიაშვილმა ამ წლებში ბევრი საინტერესო ლექსი გამოაქვეყნა, („ოქტომბრის ჰიმნი“ და სხვ.).

ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ პოეტებს გარდა, ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ: ს. ეული, შ. აფხაიძე, ვ. გაფრინდაშვილი, კ. ნადირაძე, ვ. გაბესკირია, ვ. ყურული, ნ. ზომლეთელი, კ. ბობოხიძე, გ. ცეცხლაძე, რ. გვეტაძე. მათ შემოქმედებაში მეტ-ნაკლებად პოულობდა გამოხატულებას ჩვენი საბჭოთა სინამდვილე. მაგალითად, ჩვენს ეპოქას, ინდუსტრიალიზაციის ეპოქას, მიესალმა ვ. გაფრინდაშვილი ლექსებით: „დამკვრელის სტრიქონები“, „შაბათობაზე“; აღსანიშნავია ალ. აბაშელის „ახალი თბილისი“; კ. ნადირაძემ ლექსები უძღვნა ვლადიმერ ლენინს, 1905 წლის რევოლუციას, დიდ ოქტომბერს („წითელი მოედანი“). შალვა აფხაიძემ უმღერა ინდუსტრიის დამკვრელ მუშებს. ლექსში „ანდეზიტის დამკვრელ მუშას“ პოეტი ასე გადმოგვცემდა ახალი დროის დაბადებას:

გაქრეს შხამი წარსულის,
გაქრეს მთების ნაღველი,

გაქრეს ანდეზიტიდან
სამარცხინო გარღვევა.

ვიქტორ გაბესკირიამ განახლებული სოფლის ცხოვრებას მიუძღვნა ლექსი „ტრაქტორი“, რომელშიაც გადმოგვცა გლეხის ფსიქოლოგიური გარდატეხის პროცესი. აი როგორ შესტრფის გლეხი ტრაქტორს:

მიღიხარ, ბელტებს მიაღწევ, მკერდი ბალახმა დანამა; შენებრს — ჩქაწითელს ვერ შეხვდეს მეხრემა ჩემისთანამა.

წინ ეს მინდორი მოგველის, მთის ხომ არ შეგეშინდაო. გასწიე, შენ შემოგველოს ჩემი ლაბა და შინდაო.

ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ძველი თაობის მასობრივი გადმოსვლა საბჭოთა ლიტერატურის პლატფორმაზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავზე უფრო ნათლად გამოიკვეთა ძველი თაობის წარმოდგენაში „რანი ვიყავით და რანი გავხდით“. გულწრფელი აღიარება შეცდომებისა და აღიარება საბჭოთა საქართველოსი, ახლა არა დეკლარაციებით, არამედ საქმით, შემოქმედებით. ეს პოლიტიკური, იდეური გადაიარაღება კარგად გამოხატა ნიკოლოზ მიწისვილიმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლისთავისადმი მიძღვნილ ლექსში „ათი წელი“:

ამხანაგებო, ორივე მხრიდან
ამ წლების ტალღა მისრესდა გვერდებს:
მარჯვნივ — წარსული ნაცარს მაყრიდა,
მარცხნივ — ახალი მინგრევედა ღმერთებს.
ორ ბანაკს შუა შევიქვენ მდგომი —
სიმართლე ჩანდა იქაც და აქაც
განცალკევებულს მჭიჯვნიდა ომი,
მზე, გამარჯვება და შავი ლაქაც.
სკირდა ძველისთვის უარი მეთქვა
და გამეგუდა წარსულის პანგი,
მომეკლა გულის ჩვეული ფეთქვა
და გულში მწველი ჩამესხა უანგი.
დროება კი ცდას არ აპირებდა
და საუკუნის ახალი ძალა
სრესდა შუაყაცს, ანაპირებდა,
რომ ბრძოლისათვის გზა დაეცალა.
ვხვდავდი: ნისლად ცას ეკვრებოდა
ძველი ოცნებით შექმნილი არე:
„ერი“, „სამშობლო“, „სახელმწიფო“
საღლაჲ ქრებოდა, —
მიმკვიდრდებოდა სიცოცხლე მწარე.
ასე ვფიქრობდი და ეს ტკივილი
ვერ ამოვდენე გულიდან ყელში,
დავბარბაცებდი თავმოჭირლივით

მერყეობაში და განსაცდელში.
ამ განცხადების მე არ მრცხვენია,
(თუმცე საამაყო აქ ცოტა არი)
მაგრამ წუთიც არ დამისვენია,
რაც შემოვალე საბჭოთა კარი.
ძველი ოცნება დუღილში დაშრა,
და მესამე გზის გაქრა იმედი,
ბრძოლა ბრძოლითვე მებრძოლმა გასჭრა,
საუკუნემდის გასჩხება ბედი —
და დაამტკიცა, რომ ჭვეუნისათვის
არ არსებულა ორი გზის მეტი.
მე ავირჩიე ერთი გზა — თქვენთან.
მშრომელის გეზი — მშრომელმა კაცმა,
ვერ დამაყვედრით — „ეს მოიღვენთა,
მან მოინდომა სხვა ქერქის ჩაცმა“.
მე თქვენთანა ვარ ამ დიდ შარაზე,
როგორც პოეტი და მოქალაქე,
როგორც მესტამზე, როგორც ხარაზი,
როგორც მუშა და როგორც დალაქი —
რომ დედამიწა შებრუნდეს მზისკენ
და არ შეჭამოს პატარა დიდმა
სოციალიზმის მეწამულ გზისკენ
გადაგვატაროს ლენინის ხიდმა.

როგორც იტყვიან ეს ლექსი კომენტარს არ საჭიროებს.

ოციანი წლების მიწურული ქართულ მწერლობაში აღინიშნა ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოჩენით სამწერლო ასპარეზზე. ქართულ საბჭოთა მწერლობაში პირველი ახალი თაობა კომკავშირული ახალ-

გაზრდობის სახით, ოციანი წლების დასაწყისშივე გამოვიდა. ოციანი წლების დასასრულს კვლავ ახალი, ნიჭიერი ნაკადი ახალგაზრდებისა შეემატა ამ თაობას: ირ. აბაშიძის, ალ. გომიაშვილის, გ. შატბერაშვილის, გ. ნატროშვილის, დ. ბენაშვილისა და სხვათა სახით. ამ თაობამ მოიტანა თავისი პოეტური ფერები და საღებავები, მხატვრულ გამომსახველობათა ახალი ფორმები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი აღმავლობა განიცადა ქართულმა პროზამ. ეს პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 1924 წლიდან. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა იმ ხანებში ახლად დაარსებულმა სქელტანიანმა ქართულმა ჟურნალმა „მნათობმა“.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ რუსთაველის შემდეგ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე, ქართულ ლიტერატურაში ჰეგემონია ეკუთვნოდა პოეზიას, იგი წამყვანი ჟანრი იყო, თუმცა ქართულ პროზასაც წარსულში უბრწყინვალესი ოსტატები ჰყავდა. აქ საკმარისია გავისხენოთ თუნდაც მარტო გზის პირველი გამკვალავი იაკობ ტურტაველი, ავტორი პირველი ქართული მოთხრობისა „შუშანიკის მარტვილობა“. მეათე საუკუნისათვის ჩვენ უკვე გვაქვს პროზის შესანიშნავი ნიმუშები — გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“... ფეოდალური ეპოქის მწერლობაში პროზა საბოლოოდ გაიმართა „ვისრამიანისა“ და „ამირან-დარეჯანიანის“ ავტორების ხელში, ხოლო მე-17-18 საუკუნეების მიჯნაზე იგი უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა სულხან-საბა ორბელიანმა; მისი წიგნი „სიბრძნე-სიცრუისა“ ძველი მწერლობის ნამდვილი შედეგებია. ძველი პროზიდან ახლამდე იყო ერთგვარი ხარვეზები და ამ ხარვეზის შევსება ჟურნალმა „ციცკარმა“ დაიწყო. მე-19 საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან ძველი პროზის ტრადიციას აცოცხლებენ გ. რჩეულიშვილი, დ. ჯონქაძე, ლ. არდაზიანი და სხვ. მაგრამ ეს გამოცოცხლება ჯერ კიდევ ნელი პროცესით მიდიოდა.

ახალ ქართულ პროზას, ისე როგორც ახალ სალიტერატურო ენას, მტკიცე ნიადაგი შეუქმნა და საფუძველი ჩაუყარა ილია ჭავჭავაძემ და მისმა სკოლამ; ილია მეცხრამეტე საუკუნის ქართული პროზის ახალი სათავეა. ილიასთან ერთად აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა, ალ. ყაზბეგმა, ვაჟამ, ე. ნინოშვილმა, დ. კლდიაშვილმა, შ. არაგვისპირელმა შექმნეს ქართული პროზის კლასიკური ეპოქა, გაათავისუფლეს ქართული მწერლობა მოძველებული ფორმებისაგან, რაც აბრკოლებდა მის განვითარებას. ქართული პროზის ამ დიდმა ტრადიციამ ერთგვარი დაკნინება განიცადა მე-20 საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით რეაქციისა და მსოფლიო ომის წლებში.

რეაქციისა და მსოფლიო ომის წლებში წარმოშობილმა დეკადენ-

ტურმა მიმართულებებმა სცადა გადაექრა რეალისტური მწერლობის გზა; დეკადენტები უარყოფდნენ საზოგადოებრივად აქტუალურ თემებს, იკეტებოდნენ საკუთარ ნაქუქში და ლიტერატურის მთავარ უანრად ალიარებდნენ ლირიკას. პროზიდან ისინი არსებობის უფლებას აქლევდნენ მხოლოდ ესკიზებსა და მინიატურებს. ან, თუ შეიძლება ასე ითქვას, მცირე ფორმებს უპირისპირებდნენ რომანსა და მოთხრობას. უფრო მეტიც: ზოგიერთი მათგანი ამტკიცებდა, ახალ მკითხველს სრულიად არა აქვს სქელტანიანი ნაწარმოების კითხვის სურვილი, ახლა მთავარი ამოცანა ის არის, რომ ნაწარმოების სათაური შევარჩიოთ, პროზა სათაურებამდე უნდა დავიდესო. ამ მავნე თეორიებმა ზიანი მიაცენეს ქართული ლიტერატურის განვითარებას. მაგრამ საბოლოო ანგარიშში მაინც ვერ გადაუღობეს გზა რეალისტურ პროზას. ამას ამტკიცებს ამ წლებში გამოქვეყნებული რომანები: ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“ (1915 წ.), შიო არავეისპირელის „გაბზარული გული“ (1919 წ.), ნიკო ლორთქიფანიძის „მრისხანე ბატონი“ (1911 წ.), ვ. ბარნოვის „მიმქრალი შარავანდედი“ (1913 წ.), „ტრფობა წამებული“ (1918 წ.). ამ ნაწარმოებთა შექმნა იმაზე მიუთითებდა, რომ რეალისტური ფუძე და ტრადიცია ქართული მწერლობისა უაღრესად ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი იყო.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების ქართულ პროზაში დიდი ადგილი დაეთმო ისტორიულ და ისტორიულ-რევოლუციურ თემებს. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა 1905 წლის რევოლუციის თემა, სწორედ ამ თემის გაშუქებით დაუახლოვდა შემოქმედებითად ძველი თაობის მწერალთა ერთი ნაწილი საბჭოთა ლიტერატურას.

1927—1929 წლებში „მნათობში“ დაიბეჭდა ცხრაასხუთისადმი მიძღვნილი მთელი რიგი რომანები და მოთხრობები, მათ შორის უნდა დავასახელოთ ლეო ქიაჩელის „სისხლი“ (1927 წ.), ნიკო ლორთქიფანიძის „ბილიკებიდან ლიანდაგებზე“ (1927 წ.), დავით სულიაშვილის „ნალვერდალი“, „ჩიკორი“ (1928 წ.) და სხვ.

ამ პერიოდის ქართული პროზის აღორძინება აღინიშნა იმით, რომ მოწინავე მწერლები სისხლხორცეულად დაინტერესდნენ თანამედროვე თემებით. რევოლუციური ეპოქის, საბჭოთა სინამდვილის დახასიათებას და სინამდვილის მხატვრულ ასახვას მიეძღვნა რამდენიმე საინტერესო პროზაული ნაწარმოები, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ მიხ. ჭავჭავაძის „ჩაყოს ხიზნები“, დემნა შენგელაიას „სანავარდო“, ვ. ლორთქიფანიძის „ხავსი“ და „პირველი დედა“, ს. კლდიაშვილის „პროვინციის მთვარე“, რ. გვეტაძის „თეო“ და „ჭიაკოკონა“, ელ. ზედგინიძის „ლურჯი სუფრა“, „ორი მზე“, „რკინის ძმები“, ი. ლისაშვილის „ვარდნილი“, „კერპი“ და „კადონა“, ნ. ზომლეთელის

„ბეჟანას დაბრუნება,“ ი. ტატიშვილის „მოსარეცხე“, ალ. ქუთათელის „კორნელი და მუშები“, „განთიადის წინ“, ბ. ჩხეიძის „დღეები“, პ. ჩხიკვაძის „სართულები“, ვ. ხუროძის „სამნი“, ნ. მიწიშვილის „თებერვალი“, „ეპოპეა“ და სხვ.

ამ პერიოდის ქართულ პროზაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეჭირა საკოლმეურნეო ცხოვრების თემას. ამ თემას მიეძღვნა კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ (ადრინდელი ვარიანტი), ს. კლდიაშვილის და ელ. ზედგინიძის რამდენიმე მოთხრობა და ნარკვევი. ამავე დროის ქართულ პროზაში იყო ცდა ეპიკური ნაწარმოების ცენტრში დაეყენებინათ ახალი ადამიანის — ბოლშევიკის სახე. მიუხედავად ერთგვარი სქემატურობისა, ერთ-ერთ პირველ ცდას წარმოადგენდა ლევან მეტრეველის „ბოლშევიკი“, რომელშიც ავტორმა სცადა რევოლუციონერის, ბოლშევიკის ტიპი დაეპირისპირებინა წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტის ტიპთან. კომუნისტი მშენებლის საინტერესო სახე დახატა პ. ჩხიკვაძემ გრივოლ გიგაურის სახით რომანში — „სართულები“.

აქ საჭიროა ცალკე გავარჩიოთ ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ტონს აძლევდნენ ჩვენს მწერლობას და მომავლისათვისაც ერთგვარ საეტაპო მნიშვნელობას ინარჩუნებდნენ.

ლეო ქიაჩელი საინტერესო რევოლუციური ბიოგრაფიის მქონე მწერალი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებიდან რედაქტორობდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყურნალ-გაზეთებს: ყურნალ „ლომის“, გაზეთ „ივერიას“, თვით კავშირის მუშაობაშიც აქტიურად თანამშრომლობდა; ამ ხანებში დაწერა ლეო ქიაჩელმა თავისი ცნობილი ნოველები: „ისკანდერი“, „მე და ჩემი ორი მე“, „რაც იყო და რაც არა“; ეს ნოველები მოდერნიზმის გავლენით იყო დაწერილი.

ყურნალ „მნათობში“ 1927 წლიდან იბეჭდება ქიაჩელის ახალი რომანი „სისხლი“. ეს რომანი თავისებური გაგრძელებაა იმ თემატიკური რკალისა, რომელიც მწერალმა „ტარიელ გოლუათი“ დაიწყო. „სისხლში“ აღწერილია 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, ე. ი. რეაქციის ხანა. როგორც უკვე ვთქვით, ეს ნაწარმოები ქრონოლოგიურად, რომანში გამოყენებული თემატიკური მასალის თვალსაზრისითაც, „ტარიელ გოლუას“ გაგრძელებას წარმოადგენს. მაგრამ თუ „ტარიელ გოლუაში“ მწერალი მთლიანი, მწყობრი და გამართული იდეური და მხატვრული კონცეფციით გვევლინება, იგივე არ შეიძლება ითქვას „სისხლის“ მიმართ. რომანის ცენტრში მწერალმა დააყენა მენშევიკი არჩილ დადაშინი, რომელიც მერყევი, გაორებული ადამიანია. ამ რთული პატრიოტული და მორალისტური ასპექტებით დახატულ ხასიათში ზოგი რამ ავტობიოგრაფიულია. ამასთან, ამ პერიოდის მენშე-

ვიკებსა და ბოლშევიკებს შორის არსებული უთანხმოების განმარტება მხატვრულად სათანადოდ დასაბუთებული არ გამოდის. მიუხედავად ამისა, ამ რომანში არის ბევრი საინტერესო რეალისტური სურათი, დამახასიათებელი რეაქციის წლებში რევოლუციური ინტელიგენციის ცხოვრებისათვის. განსაკუთრებით ძლიერადაა წარმოდგენილი აქ ქუთაისის ციხის საიდუმლო გვირაბის გაყვანის ისტორია. ასევე შესანიშნავი რეალისტური ფერებითაა დახატული რევოლუციონერი ანდრო, სამართლიანი სიძულვილის გრძნობას აღძრავს მკითხველში რეაქციის ლაქიის, ციხის უფროსის აბალანდიას სახე.

სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლური წიგნის — „ტარიელ გოლუას“ ავტორს არ გასჭირვებია მკვეთრად გამოიჩინა მოდერნიზმს; ოციან წლებში იგი გახდა ერთ-ერთი ფუძემდებელი საბჭოთა ნოველისა. მხედველობაში მაქვს ლ. ქიაჩელის ბრწყინვალე ნოველები: „თავადის ქალი მაია“, „ჰაკი აძმა“ და „ალმასგირ კიბულანი“.

ფრიად საინტერესო ნოველად მიგვაჩნია ლ. ქიაჩელის „თავადის ქალი მაია“ (1927 წ.). თემატურად აქ მეტად საინტერესო პრობლემაა დასმული და გადაწყვეტილი. რევოლუციამ ისტორიის სანაგვე ყუთში გადაყარა ყველა მუქთახორა: თავადი, აზნაური, ბურჟუა... ოდესღაც ბრწყინვალე არისტოკრატი, თავადის ქალი მაია რევოლუციამ ქონებრივად გაალატაკა, გახუნდა მაიას სილამაზეც, ასაკმა თავისი გაიტანა. თავის დროზე კი ულამაზესი თავადის ასულის სიყვარულს არა ერთი და ორი ვაჟკაცი შეეწირა. მაგრამ ის დრო წავიდა, თავადის ასულმა დაკარგა ყველაფერი. ამას ზედ დაერთო თავადის ასულის მოახლოებული სიბერე; მასზე გული აიყარა მისმა უკანასკნელმა მიჯნურმა, თავადმა ბონდომ. მას ეშხით სავსე გლეხის გოგონა დაფინო მოსწონს. მაგრამ ეს ლამაზი გლეხის გოგონა თავადის ასულის ყოფილი მოჯამაგირის — ამბაკოს საცოლავა.

ძუნწად, რამდენიმე ფრაზით გვიხატავს მწერალი წელში გამართულ, გაამაყებული ყოფილი მოჯამაგირეების — დაფინოსა და ამბაკოს გულწრფელ სატრფიალო გრძნობებს; მათს ცხოვრებას, მათს სიყვარულს ნათელი პერსპექტივა აქვს. ბონდოსა და მაიას სიყვარულის მზე კი ჩაესვენა, მსგავსად მათი წოდებრივი ბრწყინვალეებისა.

მაიამ ნათლად დაინახა საკუთარი ცხოვრების დასასრული, იმედ-დაკარგული, გაბოროტებული თავადის ქალი ზღვაში იხრჩობს თავს.

ლეო ქიაჩელმა გასაოცარი ისტორიული სიმართლით გამოხატა ამ ნოველაში ძველისა და ახლის კონფლიქტი. ფინალში ბონდოც იღუპება. ისტორიულად ეს სავსებით კანონზომიერი სურათია, რომელშიაც ნათლად არის გამოხატული, რომ ძველმა არისტოკრატამ ცხოვრების გზა ყოფილ მოჯამაგირეებს — დაფინოსა და ამბაკოს უნდა დაუთმოს. ისტორიის ამ განაჩენის შეცვლა არავითარ ძალას არ შეუძლია, მაგრამ

აქ არა მარტო ეს სოციალური ასპექტია საინტერესო, არამედ თავადის ასულის ადამიანური ტრაგედია.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ერთ-ერთი ბრწყინვალე ფსიქოლოგიური ნოველაა „ალმასგირ კიბულანი“. ძნელია კაცმა წარმოიდგინოს ტრაგიკულის უფრო მძაფრი შეგრძნება, ვიდრე ეს ამ ნოველაშია გამოხატული. ალმასგირ კიბულანის განცდები, მისი სულის მოძრაობის ყოველი დეტალი, მისი განწყობილებები გადმოცემულია დიდი ოსტატობით — აქ ყოველი ეპიზოდი, ყოველი სახე აღსავსეა დიდი ცხოვრებისეული სიმართლით. საერთოდ ლეო ქიაჩელის ეს ნოველები წერის მანერით, ხასიათებით, ფსიქოლოგიური განცდების გამოსახვით, მთელი მხატვრული ქსოვილით რეალიზმის ცხოველმყოფელ პრინციპებს ეფუძნება.

ამ წლებში ლეო ქიაჩელი უკვე აქტიურად ეხმაურებოდა საბჭოთა მკითხველის ამაღლებულ და გაზრდილ ლიტერატურულ გემოვნებას. ოციანი წლების ქართული საბჭოთა მწერლობის მთავარი თემა ჩვენი ქვეყნის განახლების, აღორძინების, ახალი, საბჭოთა ადამიანის დაბადების გამოსახვა და მხატვრული დახასიათება იყო. მაგრამ მაშინ არა მარტო ვაშენებდით ახალს, არამედ ვანგრევდით ძველს, უარყოფდით ძველ ყოფას, ძველი სამყაროს ეგოისტურ მორალს; ამ ეპოქის ადამიანთა გრძნობები — სიყვარულით გამოწვეული აღტაცება თუ ახლობლის სიკვდილით მოტანილი მწუხარება ასევე მოითხოვდა მხატვრულ გამოსახვას. ცხოვრებისეულ მოვლენათა მრავალფეროვნება მხატვრულ გამომსახველობათა მრავალფეროვნებას გულისხმობდა. ერთი თემა, ერთი ფერი მწერლობის გაღარიბებას უდრიდა. თვით რევოლუცია მოითხოვდა ცხოვრებისეული სიმართლის მრავალსახოვნად გამოსახვას. ტრაფარეტს, ერთფეროვნებას, პლაკატურობას სასტიკი ბრძოლა გამოეცხადა. ცხოვრება აყენებდა დღის წესრიგში ადამიანების სულში მომხდარი დიდი გარდატეხების, აზრთა კიდილსა და ბრძოლაში დაბადებული ახალი ქეშმარიტების ასახვას. ლ. ქიაჩელის ნოველები — „თავადის ქალი მაია“, და „ალმასგირ კიბულანი“. სწორედ რომ ჩვენი რთული ეპოქის ადამიანთა ამ სიბრტყეზე გამოსახატვის კლასიკური ნიმუშებია.

ამ პერიოდის უაღრესად თვალსაჩინო ფიგურა იყო ნიკო ლორთქიფანიძე, მან 1927 წელს „მნათობში“ გამოაქვეყნა ახალი ნაწარმოები „ბილიკებიდან ლიანდაგებზე“, რომლითაც, როგორც საბჭოთა მწერალმა, ნათლად გამოავლინა თავისი პოზიცია. ამავე დროს ის ერთგული დარჩა იმპრესიონისტული ხელწერისა. ნ. ლორთქიფანიძე ამ წიგნში ცალკე თავადაა გამოყოფილი.

მიხეილ ჭავჭავაძის მითხრობებით შემოაღო ქართული მწერლობის კარი: „ჩანჩურას“, „კურკას ქორწილის“, „მეჩექმე გაბოს“, „უპატრონოს“, „ეკას“ ავტორმა ერთბაშად მიიპყრო ლიტერატურული

საზოგადოების ყურადღება. ეს იყო მეოცე საუკუნის გარიყრაჟზე (1903—1906 წწ.). შემდეგ, თითქმის ოცი წლის მანძილზე არაფერი გამოუქვეყნებია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში იგი კვლავ დაუბრუნდა ქართულ მწერლობას. პატარა ადამიანების ბედის მხატვარმა 1906 წელს შეწყვეტილი ლიტერატურული მოღვაწეობა 1923 წელს განაახლა; მოთხრობა „ტყის კაცო“, ისევე პატარა. რიგითი ადამიანის ბედს მიუძღვნა, ოღონდ აქ მოვლენებს ერთგვარი ფილოსოფიური განზოგადება მიანიჭა. ეს მოთხრობა მეტად აქტუალურსა და საინტერესო საკითხს აყენებდა. საზოგადოებას, ხალხს, სოფელს ჩამოცილებული ადამიანი იღუპება. მწერალი მიანიშნებდა, რომ პიროვნებისა და საზოგადოების ერთობლიობა ადამიანის ბედნიერების წყაროა. ამ კავშირის დარღვევას კატასტროფა მოსდევს. საზოგადოებისაგან განდგომას უბედურება მოაქვს კაცისათვის. ეს აზრი გამოხატა მიხეილ ჭავჭავიძელმა მოთხრობა „ტყის კაცო“. სოფლელი გლეხის — პავლეს თავგადასავალი ამის მაგალითია. ამ მოთხრობას მოჰყვა ჭავჭავიძელის რომანები: „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „ჩაყოს ხიზნები“, „თეთრი საყელო“. ამ რომანების თემა და მათში გამოხატული ადამიანები სავსებით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, მაგრამ სამივე ამ რომანში ავტორმა დახატა მოვლენები და ადამიანები ძველი და ახალი საქართველოს გაყრის გზაჯვარედინზე, წარმოაჩინა თავისი დამოკიდებულება ახალ დროსთან, საბჭოთა საქართველოსთან.

„კვაჭი კვაჭანტირაძე“ თავისებური სათავგადასავლო ეპოსის ნაწარმოებია. აქ მ.ხ. ჭავჭავიძელმა, პირველად ქართულ მწერლობაში, გამოიჭიჩა გაქნლი საქმოსნის, საერთაშორისო ავანტიურისტის ხასიათი. გზადაგზა რომანში ასახული იყო იმ დროის დიდი ისტორიული ამბები და მოვლენები — პირველი მსოფლიო ომი, თებერვლის რევოლუცია, დიდი ოქტომბერი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში.

მ.ხ. ჭავჭავიძელის რომანი „ჩაყოს ხიზნები“ რეალიზმის ბრწყინვალე გამარჯვება იყო. ამ რომანში ვრცლად არის გამოხატული არისტოკრატიული წოდების ტრაგედია. რევოლუციამ განუკითხავად დასცა ძირს და საბოლოოდ განაიარაღა ფეოდალიზმის ნარჩენები, ბურჟუაზიასთან ერთად ისინი ისტორიის სანაგვე ყუთში გადაისროლა. რომანის ცენტრში ავტორმა სწორედ ეს ეკონომიკურად გალატაკებული და პოლიტიკურად უფლებამართმეული ინტელიგენტი, ძველი საქართველოს ნაშიერი, უნაათო ფანტაზიორი თეიმურაზ ხევისთავი დააყენა და მის ბედში განზოგადა „ყოფილი ადამიანების ტრაგედია“. თეიმურაზ ხევისთავი საკუთარი თვალთ ხედავდა მოვლენების ახლებურ მსვლელობას, როცა ერთნი ასპარეზიდან უკვე მიდიოდნენ, ხოლო მეორენი მოდიოდნენ და თავიანთ ბედს თვითონვე სჭედლდნენ. ამ გზა-

ჯვარედინზე ჩნდება რევოლუციას მიტმასნილი, მოურავობაში გაწვრთნილი, გაიძვერა კულაკი ჯაყო. მის. ჯავახიშვილმა სწორად შეიცნო ჯაყოს ხასიათი: „რევოლუცია შენთვის მღვრიე წყალია, ხელსაყრელი ნილაბია, შენ კი რევოლუციის მუნი ხარ, მისი წურბელა ხარ“. ამ წურბელამ მოხერხებულად გაფცქვნა თეიმურაზი, მის ქონებას დაეპატრონა, მერე ცოლიც წაართვა უასპარეზო და უნიადაგო ბედოვლათს, სულთ ხორცამდე ჯიჯნა და გაამასხარავე. მაგრამ საბოლოოდ ჯაყო რევოლუციამ ამხილა. რევოლუციის ნამდვილმა გმირმა — მშრომელმა ხალხმა ჯაყო — ეს ბოროტი ძალა გზიდან ჩამოიშორა. რევოლუციის ნამდვილი გმირი ხალხია, ის ქმნის ისტორიას, ის წარმართავს ცხოვრებას, ისაა გადამწყვეტი ძალა. აქ სავსებით კანონზომიერად იჩინა თავი ჯავახიშვილის რეალიზმმა. ამ რომანის დიდი ღირსება ისაა, რომ ავტორმა სწორად წარმოსახა საბჭოთა საქართველოს პირველი წლების ვითარება, რევოლუციის ფონზე გამოხატა პარაზიტული კლასების შეუთავსებლობა ახალ ეპოქასთან, გვიჩვენა ამ ნაკაცარების დაღუპვის მიზეზები და ყველაფერი ეს დიდი მხატვრული ძალით წარმოაჩინა.

ვინც ცხოვრების შუაგულში არ ტრიალებს, ვინც აქტიური საზოგადოებრივი აზრით არ მოქმედებს, ვინც განზე გადაუდგება ცხოვრებას რაგინდ პრინციპული პოლემიკა არ ჰქონდეს ცხოვრების ამ წესთან, იმას სასტიკად გათელავს ისტორიის ჯარა, მსგავსად თეიმურაზ ხევისთავისა. ბუნებაში ცარიელი ადგილი არ არსებობს, როგორც კი უმოქმედოდ მიატოვებ იმ ადგილს, იმ ალაგს, რაც შენთვის მოუკუთვნებიან, მას უმალ სხვა დაეპატრონება, უფრო აქტიური, ისე როგორც ბოროტი ძალა ჯაყო დაეუფლა უასპარეზო თეიმურაზის მამულეთსა და დედულეთს. თუ გინდა თეიმურაზის ბედში არ ჩაეარდე, აქტიური ცხოვრების წესით უნდა იცხოვრო, აი რას გვიქადაგებს მიხეილ ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნებში“.

თავადაზნაურობა საუკუნეებით მეთაურობდა ქვეყანას, მაშინ ის აქტიური ძალაც იყო, მერე ისტორიულად დაკარგა ეს აქტიური როლი საზოგადოებაში, ფიზიკურად გადაგვარდა, სულიერადაც გამოიფიტა. რევოლუციამ მთლად გადათელა ეს კლასი, ოღონდ ვისაც კრიტიკული ალღო აღმოაჩნდა და შეეგუა ცხოვრების ახალ წესს და ჩაება ამ ორომტრიალში, ის გადარჩა ფიზიკურადაც და სულიერადაც. ამის მაგალითია „ჯაყოს ხიზნებში“ ნახუცარი ივანე. დიახ, მოქმედება და მხოლოდ მოქმედება ან როგორც ილია იტყოდა — მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა, აი საფუძველი ცხოვრებისა. ამ აზრს ავითარებს „ჯაყოს ხიზნებში“ მიხეილ ჯავახიშვილი. უმოქმედო, უასპარეზო, უმოძრაო თეიმურაზ ხევისთავის ბედს ვამაღიზიანებლად, მეტისმეტად გადაქარბებით გვიხატავს, მაგრამ ეს გამაფრება მხატვრული ხერხია, რომ აღგვაშფოთოს ჯაყოს ზნობრივი სამყაროს წინააღმდეგ.

ძველისა და ახლის ურთიერთობის ვრცელი სურათი ასახა მწერალმა „თეთრ საყელოში“, ოღონდ სხვა ასპექტითა და გაშუქებით. ამ რომანში მიხ. ჯავახიშვილმა რომანტიკული ფერებით გამოხატა პირველყოფილი მთა, მაგრამ რეალიზმმა აქაც იჩინა თავი და, მწერალმა ძველის, პირველყოფილების სიკეთესთან ერთად, მისი დიდი ნაკლიც სააშქარაოზე გამოიტანა. საბოლოო ანგარიშში, როცა აწონ-დაწონა, უპირატესობა ბარს მიანიჭა. ცივილიზაციაზე, ქალაქზე გულაყრილმა ვაჟიკამ საბოლოოდ ბარს, ქალაქს მიაშურა და თან ჩამოიყვანა ცოლი — ხათუთა და შვილი — ნოდარი. მათ თან გამოჰყვავთ მთის ღონე და ძალა. თავად ვაჟიკამ ხევსურული ტალავარი გაიხადა და თეთრი საყელო გაიკეთა.

ამ ნაწარმოების ძირითადი იდეა და მწერლის ჩანაფიქრი ყველაზე კარგად თვითონ მიხ. ჯავახიშვილს აქვს ახსნილი. 1926 წელს მიხ. ჯავახიშვილი ვალია ბახტაძეს — ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორსა და კრიტიკოსს, პირადი ბარათის პასუხად სწერდა: „მეტსმეტად ნუ გავამარტივებთ პრობლემას. მე ტილისა და რადიოს შედარება კი არ მინდოდა, არამედ პრიმიტივისა და კულტურისა, საშუალო საუკუნეების კარჩაკეტილობისა და დღევანდელი კარლიობისა, განდევნილობისა და ქალაქის სოციალობისა, ცოცხალი რომანტიკისა და მიწა-ქალაქის რეალობისა... ერთი რამეც უნდა აღვნიშნოთ: თემატიკურად „თეთრ საყელოში“ ახალი არაფერია. ეს თემა — ქალაქიდან გაქცევა და პრიმიტივისა და კულტურის დაპირისპირება რუსოს, ჰამსუნს, კელერმანსა და სხვა მწერლებსაც გამოუყენებიათ. მე იმით განვსხვავდები მათგან, რომ გმირი ისევ ქალაქში დავაბრუნე, ე. ი. კარჩაკეტილობა დავგმე და გამარჯვება კულტურას მივაკუთვნე“. ქართული სიტყვის დიდოსტატის ამ განმარტებას უნდა დავეთანხმოთ, ოღონდ აქვე უნდა დავუმატოთ, რომ მიხ. ჯავახიშვილი უთუოდ ხედავს მთის ცხოვრებისა და ტრადიციის სიკეთესაც. ეს სიკეთე ქალაქის გაჯანსაღების დაუშრეტელი წყაროა. ამ თვალსაზრისით შემთხვევით როდია დაპირისპირებული ქალაქელი ქალი ცუცქია და ხევსური ხათუთა. ქალაქისაგან თავმოებზრებულ ელიზბარს მთისკენ ცოლის აუტანელი ხასიათიც უბიძგებდა. და აი, მთაში გაიქნო და შეიყვარა მან ბუნების შვილი, კეთილი ხევსური ხათუთა, წრფელი სულისა და კეთილი გულის ქალი, შვილებისა და ქმრის დიდი მოტრფიალე, ელიზბარის მორალური გაჯანსაღების სათავე და წყარო.

საერთოდ ამ რომანის მიზანი მთისა და ქალაქის პრიმიტივისა და ცივილიზაციის დაპირისპირება კი არ არის, ასეთ დაპირისპირებას არავითარი აზრი არ ექნებოდა, არამედ პრიმიტივისა და ცივილიზაციის, მთისა და ქალაქის შედარება და მათი ღირსებებისა თუ ნაკლოვანებების აწონ-დაწონა. ეს შედარება რომანის ლეიტმოტივია. ამ შედა-

რების მიზანია წამოიღოს მთიდან ბარში ის, რაც იქ კარგია, ჯანსაღია, რომ ამით წინსვლის ახალი ძალა შექმნათ ბარსა და ქალაქს.

კონსტანტინე გამსახურდიამ უაღრესად რთული და საინტერესო გზა გაიარა. ქართული სიტყვის ამ დიდოსტატმა, უჩვეულო შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე მწერალმა, შეიძლება ითქვას, მთელი ეპოქა შექმნა ქართულ მწერლობაში. შემოქმედების ადრინდელ ეტაპზე, მიუხედავად ექსპრესიონისტული იდეებით გატაცებისა, მწერლის გულში მაინც მძაფრად ღვიოდა სიყვარული უბრალო ადამიანებისადმი. ამის ნათელი მაგალითია 20-იან წლებში დაწერილი ნოველა „დიდი იოსები“. ამ ნოველის მთავარი გმირია მშრომელი კაცი, რაჭველი მეკურტნე იოსები, დახატული დიდი თანაგრძნობითა და სიყვარულით. ოციან წლებშივეა დაწერილი ნოველები „ტაბუ“, „ქოსა ვახუ“, „ზარები გრიგალში“, ამ ნოველებში მწერალი ასახავს იმ ადამიანთა ცხოვრებას, რომელთაც რევოლუციამ ნიადაგი გამოაცალა ფეხქვეშ. „მე მინდა ვიმღერო ექსტაზში დაღუპულისათვის, რადგან მნათე ოქროპირი სარწმუნოების აღტაცებაში და ექსტაზში დიდღუპა“. ეს ფრაზა ლეიტმოტივად გასდევს ამ ციკლის დეკადენტურ ნოველებს. კ. გამსახურდიამ ფართოდ გააღო ქართული მითების დახშული კარი და თავისებურად მიუსადაგა იგი მისტიციზმს. ამ ნოველებშივე გაიმართა „ჩოხოსანთა“ და „ბინოკლიანთა“ დუელიც.

კონსტანტინე გამსახურდიამ 1925 წელს გამოაქვეყნა თავისი პირველი რომანი „დიონისეს ღიმილი“. ამ რომანში, მოქმედების ცენტრში დგას ახალგაზრდა აზნაური, უნიადაგო კაცი, კონსტანტინე სავარსამიძე, განმსჭვალული მისტიკურ-ინდივიდუალისტური იდეებით. კ. გამსახურდიამ „დიონისეს ღიმილის“ მეორე გამოცემას, 1938 წელს, შენიშვნა დაურთო. იგი წერდა: „სავარსამიძე განწირული ქართველი აზნაურობის უკანასკნელი მოჰიკანია. იგი თათქარიძისა და სამანიშვილის ღვიძლი შვილია, თუმცა მათზე უფრო განათლებული და კულტურული, მაგრამ მაინც მომაკვდავი წოდების სასიკვდილოდ განწირული ნაშვიერი“. აქ გამსახურდია ემოჯნება სავარსამიძეს. შემდეგ მწერალი ამავე შენიშვნაში ამბობს: „ვისაც ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის მომავალი სწამს, მას უთუოდ უნდა სჯეროდეს, რომ ეს აზნაურული ფსიქოლოგია უნდა დაძლეულ იქნას. მეტსაც ვიტყვი, უნდა დაითრგუნოს-მეთქი“. აქაც მწერალი იმეტებს თავის გმირს.

კონსტანტინე სავარსამიძე ავტორის თანაგრძნობასაც იმსახურებდა, თუმცა მწერალი აცხადებდა: „მე ნუ ამკიდებთ კონსტანტინე სავარსამიძის ცოდვებს, რადგან მე ჩემი ცოდვებიც მეყოფაო“. კონსტანტინე სავარსამიძე ტრაგიკული კილოთი შესჩივის ბედს: „დღეს ოცდათორმეტი წელი შემისრულდა; ნახევარი ხმელეთი მომივლია, შვიდი ენა შემისწავლია, შვიდი ხალხის ყოფაცხოვრება შემიცვნია. ტაია შე-

ლია, მე მართო ვარ ამ უღრან ტყეში. შვიდი პროფესია გამოვიცვალე და ვერ ვიპოვე ჩემი ადგილი ამ ცხოვრებაში. ტაია შელია, ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომალადა, ისევ შენ გიგონებ და გეძახი. გულთმისანო ჩემო გამზრდელი. ეგებ შენ მასწავლო გზა, როგორ გავიდე ამ უღრან ტყიდან. განა არ გესმის: „გზა“ — იძახის ადამიანი საუკუნეების ირიბ მიჭნაზე; „გზა“ — იძახიან მეეტლეები, მგზავრები, ვატმანები და შოფრები; „გზა“ — იძახიან მწერლები, მეცნიერები, ბერები და მოძღვართ-მოძღვარები. მე ყველა ვნახე, მე ყველას ვკითხე და ვერაინ მასწავლა გზა... თუმცა ჩემს წინაშე ყველა გზა ხსნილია. ყველა ასპარეზი ნაცადი, ყველა ბორკილი ისევე ტკბილი, როგორც საყვარლისაგან ნაბოძები სამაჯური, მაგრამ მაინც არ ვიცი, საით წავიდე. რადგან ყველა გზა ულეველია და გაუვალა... ტაია შელია, გეძახი სამჯერ. შორსა ხარ ჩემგან, შორეული და განუყრელი, ტბილად გახსენებ, ჩემს სულში მყევხარ, არ შემიძლია მაინც არ დაგწყველო. რისთვის ვამზარდე, ოჯახქორო ტაია შელია, ან ჩემი თავი მამას რატომ დააწყევლენე“.

ასეთი სახით გვევლინებოდა კონსტანტინე სავარსამიძე — ნიადგამოცლილი, უასპარეზო ადამიანი. ჩვენ არ ვიქნებოდით მართალი, თუ არ შევნიშნავდით, რომ „დიონისეს ღიმილი“ ქართულ პროზაში ახალ კარს აღებდა, ხანგრძლივი მხატვრული ძიების შედეგად მიკვლეულ კარს. ეს რომანი იყო ცდა ექსპრესიონიზმისა და რეალიზმის თავისებურად მორიგებისა. ქართულ პროზაში იმგვარი მოდერნიზაცია მოახდინა კ. გამსახურდიამ რაგვარიც გ. ტაბიძემ პოეზიაში. ამ მხრივ ეს ახალი ტიპის რომანია. აქ ახალგაზრდა ადამიანის სახე ორი სამყაროს გაყრის გზაჯვარედინზეა გამოკვეთილი, სავარსამიძე უაღრესად რთული სახეა. მასში ორი კაცია: სავარსამიძე — ევროპულად განათლებული, პარიზში სპარსეთის კონსულის ალი მირზა ხანის სალონში განებივრებული, იმ მირზა ხანისა, რომელსაც ულამაზესი ქართველი ქალი, სამცხის ათაბაგების შთამომავალი ჯენეტი ჰყავს ცოლად, და სავარსამიძე — ტაია შელიას მოწაფე და ძველი საქართველოს მოთების ძირებთან ზიარებული. ეს მაღალი ინტელექტის ქართველი, როგორც ტოლი და სწორი, ისე ეკამათება გადამდგარ გენერლებს, მსოფლიო დიპლომატებს, მწერლებს, მხატვრებს, ყურნალისტებს. ლამაზი ქათინაურებით უმასპინძლდება სალონის ქალბატონებს. და სწორედ აქ დარწმუნდება საბოლოოდ, რომ ბებერ ევროპაში ყველაფერი იყიდება, სინდის-ნამუსიც და სიყვარულიც. ფული და ფულიანები განაგებენ ქვეყანას და მას შესძაგდება ეს ბურჟუაზიული ევროპა და საქართველოში დაბრუნებას გადაწყვეტს; ასე ბრუნდება ის სამშობლოში, ბრუნდება ამ სიტყვებით: „კარი გამიღე. მშვიდობა საქართველოს ყანებს“... კარი კი გაუღეს, მაგრამ საქართველო ვერ იცნო, და

ვერც საქართველომ იცნო სავარსამიძე; აქ დარწმუნდა, რომ მათი გზები გაყრილა. და ეს იმიტომ, რომ სავარსამიძე იმ ძველი საქართველოს ნაშეირია, რომელსაც რევოლუციამ ბუდე დაუნგრია. უცხოეთში ქართველი ემიგრანტი, სამშობლოშიც ემიგრანტად გრძნობს თავს. ამ ნიადაგზე იზადება დიდი სულიერი დეპრესია და განწირულის ბრძოლა, ბრძოლა ამაო. მწერალმა ნათელყო უნიადაგობა სავარსამიძისა, რომელსაც ვერ უშველა ვერც ჭენეტის სიყვარულმა, ვერც სამცხე-საათაბაგოს ნახვამ, ვერც აბასთუმანში მისსავე მორდუს — მეჯოგე ტაია შელიას იდილიურ ბუნებაში გატარებულმა დღეებმა, იგი სამუდამოდ დარწმუნდა, რომ ჭვარცმული ადამიანია. მწერალი მას „სამეგრელოს ეწერში მდგარ უნაყოფო, გამხმარ თხმელას“ აღარებს. სწორედ აქ იჩინა თავი კ. გამსახურდიას რეალიზმმა.

დემნა შენგელაიამ ლიტერატურაში თავისი ნიჭი პირველად 1915 წელს მოსინჯა, ხოლო 1918 წელს გამოქვეყნებული „თბილისის ანტილიტები“ ახალგაზრდა ავტორს უკვე უმკვიდრებს ნიჭიერი პროზაიკოსის სახელს. და მაინც მან, როგორც ქართული პროზის ოსტატმა, თავისი ნიჭი მთელი ძალით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გამოავლინა. დემნა შენგელაიას „სანავარდო“ პირველი რომანი იყო, რომლითაც „მნათობმა“ დაიწყო თავისი ისტორია.

„სანავარდო“ მოგვითხრობს თავად ჭილაძეების უძველესი გვარის უკანასკნელი მოპიკანის, ყარამან ჭილაძის ოჯახის ისტორიას, მაგრამ ამ რომანში, როგორც ფოკუსში, თავმოყრილია მთელი ის წინააღმდეგობანი, რომლებშიც გახლართული იყო ქართული არისტოკრატიული წოდება.

ისტორიის მიერ დასალუჰად განწირული ოჯახის უფროსი ავტორს ერთბაშად შემოჰყავს რომანში: „თავადი ყარამანი: ახოვანი ვაჟაკი, აქა-იქ ჭალარა შეპარვია, სიარული — ნელი, დინჯი, მალალი, მხრებში ოდნავ წახრილი. შემოხედვა — ამაყი, ჭიშინი, ამღვრეული თვალები, ჩვეულებად გადაქცეული შუბლზე ხელის გადასმა (ალბათ სისხლი უვარდება თავში)“. ავტორი ამ დახასიათებით — „ამღვრეული თვალები“, „მხრებში ოდნავ წახრილი“, გვამცნობს, რომ ამ კაცის შინაგან არსებაში ყველაფერი რიგზე როდია, ხოლო სიტყვები „ამაყი“ და „ჭიშინი“, ამავე გმირის გარდასულ დიდებაზე მიგვანიშნებს.

„მისი გვარი გრგვინავდა წარსულში“.

გვარის მემკვიდრე დაშვრა ჭილაძეთა გმირული წარსულის აღწერაში.

ეს გვარი ფლობდა დიდებულ ჭყონდიდელთა კვერთხსა და ზვიადად განაგებდა სანავარდოს, საჭილაოს, მარანს, ორპირს, ქორეის უბანს.

თავმომწონედ კითხულობდა ტყვირის ეკლესიაში წინაპართა ხუცურ წარწერებს: უფალო იესო ქრისტე ღმერთო, შეეწიე, შეიწყალო

და აცხონე რომანოზ ქილაძე, თანამეცხედრე მათი, უტანლარ ჩხეტიძის ქალი... ამინ...

ამაყობდა გვარიშვილობით, თავი მოქონდა, მაგრამ როცა მარტო ღარჩებოდა და ფიქრებს კრიალოსანზე ჩათვლიდა, მას იპყრობდა ში-ში იმ საგვარეულო სენისა, დიდებასთან ერთად რომ დაუტოვეს წინაპრებმა და კვალდაკვალ უმიზნებდა მის მოდგმას“.

რომაში ჩვენ თვალწინ იშლება მეტად სევდიანი და ბნელით მოცული ამბავი ამ გვარისა; ავხორცი ოტია ჭილაძის შთამომავალი თავადი ყარამანი და მთელი მისი ოჯახი ავადმყოფი და სნეულია: ყარამანი, ბონდო, ციციხო — ყველა ერთბირად ამ ოჯახში გადაშენებისა და გავერანების გზაზეა დამდგარი. ერთს აციებს, მეორეს ბნედა სკირს, მესამეს ქალის სნეულება კლავს. ეს შეძლებული ოჯახი ოდესღაც განთქმული იყო მოკეთებებით, დარბაისლობით, ყანწებით, მწვერებით, მიმინოებით, გულუხვობითა და სტუმარ-მასპინძლობით. მას შემდეგ, რაც გლეხთა განთავისუფლების ამბავი მოვიდა, გლეხები თავიანთ კერას დაუბრუნდნენ, დარჩა ყარამანი მახინჯი მოსამსახურის ლიზიკას ამარა. ოჯახისა და მამულის საქმეები კიდევ უფრო აეწეწა. ერთ ხანს საქმის გამოსწორება სცადა, თბილისს მიაშურა, იქ ქართულ მილიციაში ნამყოფ ყარამანს, შამილის წინააღმდეგ ომებში მონაწილე თავადს, შვილი — ბონდო სასწავლებელში ჩაურიცხეს, თვითონ კი დაბრუნდა სოფელში თავის ავადმყოფ ციციხოსთან და ამიერიდან დარდას და სეედას ღვინოში ახრჩობდა.

თავადის ცხოვრების ამ დაქვეითების ისტორიას მწერალი ოსტატურად უკავშირებს კოლხეთის ჭაობის უქმურებისა და ციების სევდიან სურათებს და ეპიზოდებს:

„წვიმები... წვიმები... წვიმები...“

აშშორებული რიონი ზარმაცად მიდუღუნებდა.

ღამე თუ გაისმოდა გარეული იხვების ჟღივილი. ხანდახან ამოვარდებოდა ქარი და დაიწყებდა უზარმაზარი დასველებული ფრინველის მხარმოტეხილ ფრთასავით სახლის ყავარზე ხმაურობას. დაათრევედა ფრთას და კვნესოდა მომაკვდავივით.

ქარი ზუზუნებდა.

ბუხრის თავზე შემჯდარი გაყინული ჭინკა დამზრალ თითებზე სულს იბერავდა და კნაოდა საცოდავად...

ღამის ლანდები სულს აიღვამდნენ და დაიწყებდნენ ოთახში ბორგვას და ტორტმანს. მწუხარება იყო ყველგან და ღუმილი...

ჭაობი და ჭონჭყი... ლელი და ლაქაში.

ჩამონგრეული ღობეები... დამპალი წყლით სავსე თხრილები...

სანავარდო კვდებოდა ციებ-ცხელებით...

გაჭრილ საფლავში წყალი ამოდოდა...

არ იყო ხსნა, არ იყო გამოსავალი“.

ასეთია ეს გარესამყარო, ლანდებისა და მოჩვენებების შიშისმომგვრელი სურათები და ეპიზოდები. აი, ამ ფონზე აქვს მწერალს გამოხატული ყარამანის ოჯახის გადაშენების ამბები და გადარეული ბონდოს ავადმყოფური ვნებები და საქციელი.

ჩვეულებრივ, ამგვარად წარმოდგენილ სინამდვილეში, გარემოს იმ სურათში, რომელსაც მწერალი ქმნის თავისი გმირების მოქმედებისათვის, კრიტიკოსები ხედავდნენ ანტირეალისტური სკოლების გავლენას. ეს შეხედულება შეიძლება არ იყოს სიმართლეს მოკლებული, მაგრამ ზუსტი არ არის. დ. შენგელაიას რომანში, შიგადაშიგ, ჩართული აქვს მისტიკური ელფერის ხალხური თქმულებები და ზღაპრები. მოვიგონოთ ხალხური ზღაპარი „ბაყაყთა დედოფალზე“, რომელიც ოსტატურადაა გამოყენებული რომანში ბონდოს პალუცინაციებისა და სულიერი სამყაროს გამოსახატავად.

დემნა შენგელაიას შემოქმედებაში ავსულების, უემურების, ჭინკებისა და მისთანათა მისტიკური ამბების გამოხატვაში, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვხედავთ ხალხური ზღაპრებისა და თქმულებების კვალს. განა იგივე მისტიკური სამყარო, ხალხში გავრცელებული მითებისა და ლეგენდების სახით არა აქვს გამოყენებული კ. გამსახურდიას ნოველებში „ტაბუ“ და „ქოსა გახუ“?! ჩვენი აზრით, გამსახურდიასა და შენგელაიას ეს ერთგვარი შეხვედრა ხალხური მასალიდან მოდის: კოლხეთში გავრცელებული თქმულებები და ზღაპრები, კოლხური მითოლოგიის სამყარო ორივე მწერლის შემოქმედების საერთო წყაროა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყარამან ჭილაძის გვარის გადაშენებისა და დეგრადაციის სურათის აღწერა საოცრად გვაგონებს ნ. ლორთქიფანიძის „დანგრეულ ბუდეებში“ გამოხატულ სურათებს. ეს გარემოება სრულიადაც არ ნიშნავს, რომ აქ უშუალო გავლენა და ეპიგონობა ვეძებოთ. არა, მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ეს „პარალელიზმი“ თავადაზნაურობის მდგომარეობამ, მისმა ისტორიამ შექმნა... ჩვენმა მწერლებმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიაშურეს ამ სამყაროს. ჭილაძეების ფიზიკური გადაშენების, მათი სულიერი დაკნინების მიზეზად დ. შენგელაია ამ საგვარეულოს წამხდარ სისხლსა და წინაპართა ცოდვებს მიიჩნევს, ამრიგად, ერთგვარი ბიოლოგიური ახსნა აქვს მოცემული მთელი ამ გადაშენების ტრაგიკულ ისტორიას. ბონდო ასე მოთქვამს:

„ჩემი სული დამძიმდა ცოდვებით!.. იმ ცოდვებით, რომლებიც მე არ ჩამიდენია. რისთვის უნდა ვზლო ის ცოდვები, ოდესღაც ჩემს მამა-პაპებს რომ ჩაუდენიათ... მე მინდა, მამა, სიყვარული და ნიათი არა მაქვს..

გიჟი ვარ, ნამდვილი გიჟი... დაჩივებულნი და გადაგვარებული...

გუჯუ, ჩემი ძმაა! ისიც ავადმყოფია, გეცია, მამა, იმიტომ, რომ ისიც შენი ნაყოფია...

ჩვენ დაგვაბერა ამ საუკუნეებმა და ბებერი სისხლი ვერ უძლებს ციებასთან ბრძოლას. ჩვენში წყდება გვარები და მოდგმები ისე, როგორც არსად. მოგვდევენ და მოსვენებას არ გვაძლევენ საუკუნეთა მიერ დაგვალული მუნიანი ჭინკები“.

მართალია, აქ უთუოდ არის კვალი ძველი ლიტერატურული სკოლების, ისტორიული პროცესის ბიოლოგიური ახსნისა, მაგრამ ეს ახსნა მაინც თავისებურად მიგვანიშნებს სწორედ იმ სოციალურ ამბებზე, რომელთა ფონზე საგრძნობი ხდება, რომ თავადაზნაურობამ მოკპა თავისი დრო და, ლუარსაბ თათქარიძის მსგავსად, დაძაბუნდა და ცოცხალ ლეშად იქცა.

ბონდო გრძნობს, რომ მისი გვარის ისტორია დამთავრდა, ახლა სხვა ხალხი მოვა. იგი თითქოს გულწრფელად აღიარებს მამის წინაშე:

„იცი, მამაჩემო, მე მინდოდა ერთხელ ქვეყნის დახსნა, ამისათვის საჭირო იყო რუს ხელმწიფის მოკვლა, მაგრამ შემეშინდა. მეშინოდა ღმერთის. მეშინოდა ჩემი თავის და რა ვიცი, კიდევ არის არ მეშინოდა... ვერ ვავბედე და ასე გათავდა ეს ამბავი... გადავწყვიტე, რომ სისულელეა ყველაფერი და ამ საქმისათვის საჭიროა სხვა ხალხი. ახალ ქვეყანას ახალი ხალხი ქმნის, მე კი დაჩივებული ვარ... ჩვენ შეგვიძლია წავიდეთ, მამაჩემო, ახლა რკინიგზა მოდის და ჩვენ უნდა დავხუროთ მატთანე. ახლა სხვები მოვლენ ჩვენს ადგილას დაზიდული ძარღვებით და ახალი სისხლით, — ახალი ხალხი, ჩვენ წავიდეთ მამაჩემო, და ძველი დიდებით შევიქცითოთ თავი, ჩვენ ახლა მოხუცი ბერიკები ვართ“.

მართალია, რომანში კლასობრივი ჭიდილი და ბრძოლა, რევოლუციური შემართება, სოციალური აქცენტები ახალი ცხოვრების მიერ მოტანილი, არ არის სათანადოდ გამახვილებული, მაგრამ მოთხრობის ფინალი მიგვანიშნებს, რომ კოლხეთის ციების სამყაროს, რომელიც სიმბოლურად ძველ ცხოვრებას განასახიერებს, ბოლოს მოუღებს სხვა მოდგმის ხალხი, ძარღვმაგარი და რევოლუციური სულსიკვეთების თაობა. ფინალში გამოხატული სურათი ნამდვილი აპოთეოზია იმ ახალი ცხოვრებისა, რომელმაც ისტორიას გადააბარა მთელი ეს წარსული თავისი უქმურებითა და ავადმყოფური ლანდებით; ამ გარემოებაზე მიუთითებს რომანის ბოლო სტრიქონები.

დ. შენგელაის „სანავარდომ“ გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო მკითხველებისა და ლიტერატურული საზოგადოების ყურადღება. მას წილად ხვდა მაღალი შეფასება. იყო ცალკეული კრიტიკული შენიშვნებიც. ავტორს ანტირეალისტურ თვალთახედვას სწამებდნენ. მაგრამ,

ჩვენი აზრით, თავისი მხატვრული ფაქტურით ეს ნაწარმოები უფრო ახლოსაა მითოლოგიურ საწყისებთან, კოლხეთის ლეგენდებთან და წარსულთან, ვიდრე სიმბოლოზმთან. დ. შენგელაია გასაოცარი ხატოვანებით აცოცხლებდა და აღადგენდა ჩვენს მეხსიერებაში ძველ ლეგენდებსა და ზღაპრებს, რომლებსაც სიმბოლურად უკავშირებდა არისტოკრატიული წოდების გადაშენების ისტორიას. მწერლის შემოქმედების მთელ პათოსს ახალი ცხოვრების გზა განსაზღვრავდა.

რაუდენ გვეტაძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა როგორც პოეტი. ოქტომბრის წინა ხანებში იგი ცისფერყანწულების სკოლას დაუკავშირდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი მან ერთმა პირველთაგანმა გაწყვიტა კავშირი დეკადენტურ-სიმბოლისტურ სკოლასთან და საბჭოთა პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო ოსტატი გახდა. მისმა რომანმა „თეომ“ თავიდანვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება.

რომანის ცენტრში დვას ყოფილი მოჯამაგირე მირზა, რომელიც რევოლუციამ, საბჭოთა სინამდვილემ მოწინავე ადამიანად აქცია. საბჭოთა აქარის პასუხისმგებელი მუშაკი მირზა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ყრილობის დელეგატი, თბილისში შემთხვევით ხვდება ყოფილი მემამულის — ყაფლანის ქალიშვილს — თეოს, რომლის სახლში იგი წინათ მოჯამაგირედ იყო. მათ ერთმანეთი უყვარდათ. თეო მირზას თანაუგრძნობდა, ეხმარებოდა იმ მძიმე წლებში, როდესაც მირზას სდევნიდა მენშევიკების მთავრობა. მაგრამ გაუგებრობის ნიადაგზე მირზა და თეო ერთმანეთს დაცილდნენ. და აი, ახლა ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. თეო ცოლად მიყვება მირზას. ამას ვერ აიტანს ყოფილი მემამულე ყაფლანი, რომელსაც სამადლოდ ხან სამიკიტნოში აჭმევდნენ ლუკმაპურს, ხან კიდევ მათხოვრობით შოულობდა ორიოდე გროშს. მწერალი გადაგვიშლის ამ მრისხანე მემამულის — ყაფლანის ბიოგრაფიას. ყაფლანის ხასიათში ჩვენ თვალწინ ცოცხლდება გულქვა თავადის, ხალხის ამწიოკებლისა და მჩაგვრელის განზოგადებული სახე. რომანს საინტერესო ფინალი აქვს:

„ყაფლანისეულ მამულში შარშან მოეწყო უღარიბეს გლეხთა დიდი კოლექტივი.

უფრო ადრე, მისეულ სახლში გახსნეს კლუბი, სამკითხველო და კრა-კერვის სკოლა, ხოლო ქვედა სართულში მოაწყვეს კოოპერატივი.

დანარჩენი საჯალაბო ხის სახლები სოფელმა გადასცა უსახლკაროებს“.

მწერალი ახერხებს მხატვრულად განაზოგადოს შედეგები რევოლუციის ეპოქისა, რომელმაც ფართო გზა გაუხსნა მშრომელ ხალხს. მწერალმა მთელი ეს დიდი პროცესი საკოლმეურნეო ცხოვრების დასაწყისს დაუკავშირა.

დროულად გამოეხმაურა რ. გვეტაძე საბჭოთა სინამდვილის ახალ მოვლენებს მეორე რომანში — „ქიაკოკონა“.

მოდერნისტულ ლიტერატურულ მიმდინარეობას ემხრობოდა სერგო კლდიაშვილი შემოქმედების ადრინდელ ეტაპზე. ამას ნათელყოფს მწერლის პროზაული მინიატურები, რომლებიც იბეჭდებოდა რევოლუციის პირველ წლებში ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე („ოქროს ვერძი“, „მეოცნებე ნიამორები“, „შვილდოსანი“). მწერალმა სულ მალე აიღო ხელი მოდერნისტულ გატაცებებზე და გულწრფელად დაადგა კლასიკური მწერლობის რეალისტურ გზას. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ უკვე ადრინდელ მინიატურებში იგრძნობოდა პოეტური სიტყვის ოსტატი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ფრაზას, დიალოგს, რეპლიკას; სერგო კლდიაშვილი საბჭოთა ეპოქაში გახდა ცნობილი და პირველხარისხოვანი ოსტატი ქართული სიტყვისა. განსაკუთრებით დიდი განმარტება ხედა წილად მწერლის იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახულია თანამედროვე ცხოვრება.

ახალმა საქართველომ, რევოლუციურმა ცხოვრებამ შემოაბრუნა მწერალი რეალიზმისაკენ და მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო.

პირველი დიდი მხატვრული ტილო, რეალისტის კალმით დახატული, მოთხრობა „ფერფლი“ იყო.

მოთხრობაში აღწერილია ქართველი ხალხის ცხოვრება პირველი მსოფლიო ომის წლებში, ერთი გლეხის ოჯახის მაგალითზე, ნაჩვენებია გაჭირვება და სიდუხჭირე ხალხისა, რომელსაც მძიმე ტვირთად დააწვა ომით გამოწვეული უბედურებანი. ომმა ყველა მშრომელი, გამრჯე და ძალ-ღონით სავსე ახალგაზრდა ფრონტზე გარეკა; ფრონტიდან ყოველდღე მოდიოდა ცნობა სოფლელი ჭაბუკების დაღუპვისა, ოჯახის გაუბედურებისა; სოფელში ბრუნდებოდნენ ფეხმოჭრილი, დასახინჩრებული ინვალიდები. მწერალი ამ ამბებს საკმაოდ მუქ ფერებში აღწერს და ამ ფონზე ნათელი ხდება, რომ იმპერიალისტური ომის სასაკლაოზე არ სურს ხალხს ნებით წავიდეს, მაგრამ მთავრობისაგან დაშინებული გლეხკაცობა ვერ ახერხებს თავი დააღწიოს სამხედრო ბეგარას. ამ ვითარებაში ზოგი ძუას იყრის ფეხებში, ზოგი კიდევ ტყეში გარბის ყაჩაღად. მოთხრობაში ეს ეპიზოდები მეტად მძაფრად არის დახატული.

„ფერფლში“ ასახულია ცხოვრება არა მარტო დაბეჩავებული, დარიბ-ლატაკი გლეხებისა, არამედ აქვე ჩანან შეძლებული ფენების წარმომადგენლებიც; სხვისი უბედურების შედეგად ისინი იძენენ დოვლათსა და სიმდიდრეს; ასეთები არიან, კერძოდ, დიმიტრი ლანჩა და მისი შვილი — პარმენი.

და აი, მოხდა თებერვლის რევოლუცია. მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს. ხალხს ეგონა მშვიდობა დაუბრუნდებოდა ქოხებს, მაგრამ კერენსკის დროებითმა მთავრობამ კვლავ გააგრძელა ომი. კვლავ გარეკეს ფრონტზე გლუხჯაცობა. ხალხის უკმაყოფილებას საზღვარი არა აქვს. საქართველოში ბოლშევიკური პროკლამაციები ვრცელდება. ამ პროკლამაციებს ავრცელებს ომსგადარჩენილი გიგა, რომელიც ახლა ბოლშევიკების მხარეზეა. გიგას მენშევიკური მთავრობის კომისარი იბარებს და მათ შორის ასეთი დიალოგი იმართება:

— „ამხანაგო გიგა, იყო თუ არა შემთხვევა, რომ ფრონტზე დასაბრუნებელ ჯარისკაცებს აგულიანებდი არ წასულიყვნენ და მთავრობის ბრძანებას არ დამორჩილებოდნენ?“

— არა.

— მე კი ამის ფაქტები მაქვს. იმასაც უარყოფ, რომ მათ ომის გაგრძელების წინააღმდეგ ელაპარაკე?

— ეგ კი იყო.

— მერე და, როგორ გგონია, ნიშნავს ეს თუ არა რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედებას?

— თუ კი რესპუბლიკა ომის გათავებას არ ფიქრობს, მე უფლება მაქვს, ხალხის მხარეზე ვიყო და ვთქვა, რომ ომი უნდა გათავდეს.“

როცა მას მენშევიკების კომისარი ბოლშევიკურ პროკლამაციებს წარუდგენს, გიგა აღიარებს, რომ ბოლშევიკები მართალი არიან და ის მათს მხარეზეა. ამ ეპიზოდებში მწერალი ხატავს იმდროინდელი საქართველოს ცხოვრების ნამდვილ სურათს, ხატავს გლეხების მზადყოფნას, იბრძოლონ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

„ფერფლი“ იყო პირველი მოთხრობა ქართულ ლიტერატურაში, რომელიც მძაფრად ამხილებდა იმპერიალისტური ომის საშინელებას. მთელი ეს ნაწარმოები აღსავსეა სიცოცხლის სიყვარულით, უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის პათოსით, რაც მას ოპტიმისტურ ჟღერადობას აძლევს.

სერგო კლდიაშვილმა ქართული სიტყვის გამოჩენილი ოსტატის სახელი დაიმკვიდრა უმთავრესად მცირე ფორმის ნაწარმოებებით, ნოველებით. კლდიაშვილის მოთხრობებისა თუ ნოველების ამბავი, ფაბულა და მთელი მხატვრული მასალა, გმირების დასახასიათებლად მოწოდებული, ექსპრესიულია, ემოციური და დინამიური, დიალოგები — სხარტი, ყოველი შტრიხი — ზუსტი და სახიერი. ავტორის ტენდენციას ყოველთვის ნათლად ვხედავთ და ვგრძნობთ. აქ ყველაფერი გამჟღავნებულია, აშკარა და პირდაპირია, ერთი ამოსუნთქვით ნათქვამი. დიდი სიმსუბუქე და ჰაეროვნება სიტყვიერი მასალისა. ამის დადასტურე-

ბაა ს. კლდიაშვილის ოციანი წლების ნოველები: „ცხოვრება პატარა კაცისა“, „ლანდი“, „სარდიონ შოშიას ვნებანი“.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ერთდროულად დაიწყო მუშაობა როგორც პოეზიაში, ისე პროზაშიც, და ორივე უნარში მას ბრწყინვალე შემოქმედებითი წარმატება ხვდა.

ლექსების პირველი კრებული კ. ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა 1926 წელს; როცა ახლა ამ კრებულს ვფურცლავთ, თვალში გვეცემა ახალგაზრდული, მებრძოლი პათოსი, რითაც განმსჭვალულია საბჭოთა პოეტის ეს ადრინდელი ლექსები. აქ გამოძვლავებულია მგზნებარე რევოლუციური პათოსი და პოეტური აღქმა განახლებული ცხოვრებისა, პროტესტი ყოველივე დახვესებულისა და დრომოქმულისადმი. პოეტის ადრინდელი ლექსები სრულ წარმოდგენას იძლევა იმ მძაფრ ლიტერატურულ ძიებაზე, რასაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა მწერლობის საუკეთესო ტრადიციების დამკვიდრების პირვანდელ პერიოდში.

არაერთი ლექსი მიუძღვნა პოეტმა ხალხთა მეგობრობას, ინტერნაციონალიზმის კეთილშობილურ გრძნობას. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ლექსი სომხეთზე.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ამავე წლებში გამოაქვეყნა მოთხრობები და ნარკვევები: „ახალი გლეხები“, „ფოტოგრაფი“, „ხავსი“, „პირველი დედა“, „გაზეთი“, საბავშვო მოთხრობები: „პიონერი თანდო“, „ცხოვრებას დაუბრუნდა“, „გატეხილი თოფი“, „პატარა რიქშა“ და სხვ. აქაც ჩვენს ყურადღებას იპყრობს იგივე მებრძოლი რევოლუციური განწყობილებები და ინტონაციები, რომელთა მიხედვითაც კ. ლორთქიფანიძე გვევლინებოდა ახალი სოციალისტური საქართველოს მხატვრად. ყველა ამ ნაწარმოებში იგი მგზნებარე მებრძოლია ახალი იდეების დამკვიდრებისათვის ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში, ჩვენს ყოფასა და ოჯახში.

„ახალი გლეხები“ მხატვრული ნარკვევია, დაწერილი მგზნებარებითა და პათოსით. აქ ავტორი აგვიწერს თავის მოგზაურობას კახეთში, შეხვედრას პირველ კომუნარებთან, რომლებსაც სათავეში უდგას კომუნის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, დაუდალავი მებრძოლი კობა ჩოხელი. წიგნში დაწვრილებითაა მოთხრობილი სოციალისტური სოფლის პირველ მერცხლებსა და მახარობლებზე, იმ ჩვიდმეტ კომუნარზე, რომელთაც შირაქში პირველი ყამირი გატეხეს. პირველი დღიდან დაწყებული გვიყვება მწერალი იმ სიძნელებების, წინააღმდეგობებისა და კლასობრივი ბრძოლების შესახებ, რომლებიც კომუნარებმა გადაიტანეს. მწერლის პოზიცია ახალი სოციალისტური სოფლის მოწინავე ადამიანების მიმართ აქ მთელი სიმძაფრითაა გამოხატული.

მაგრამ მარტო ამაში როდია კ. ლორთქიფანიძის ამ წიგნის მნიშვნე-

ნელობა. ხსენებული წიგნი, თუ შეიძლება ასე ითქვას, იყო სამუდამო ამორჩევა თემისა, შირაქისა და მისი ადამიანებისა, რომელთა სიყვარული მწერალს გამოჰყვა მთელი მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის მანძილზე, გამოჰყვა დღემდე და ჩვენ იმედი გვაქვს მწერლის მომავალ წიგნებშიც კვლავ გაიხმაურებს შირაქის სახელი.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის პატარა ნარკვევს, რომელსაც „გაზეთი“ ეწოდება. იგი ასახავს ერთ-ერთ საინტერესო ეპიზოდს საქართველოს ლენინური კომკავშირის ისტორიიდან. დამახასიათებელია, რომ ამ ნარკვევის მთავარი მოქმედი პირი სპარტაკელების არალეგალური ჯგუფის მეთაური თოთიაურია; შემდეგ მან „პირველ დედაში“ შეგვახვედრა თავის ამ გმირთან. იგი მებრძოლი კომკავშირელის, სპარტაკელის შესანიშნავი სახეა.

აქაც იგივე უნდა გავიმეოროთ, რაც ზემოთ „ახალი გლეხების“ შესახებ ვთქვი. ეს თემაც, საქართველოს ახალგაზრდობის ბრძოლის თემა, კვლავ არაერთგზის გაიხმაურებს მწერლის მომავალ წიგნებში.

კ. ლორთქიფანიძე თავის პროზაულ ნაწარმოებებში, ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ყოფისა და სულიერი სამყაროს ყველაზე მწვავე, ყველაზე მძაფრ კითხვებს აღძრავს. მწერალი მღელვარე ცხოვრების ცენტრში დგას და, თვითონაც შეპყრობილი ამ მღელვარებით, ხედავს და ხატავს საგნებს, მოვლენებს, ადამიანებს, როგორც მხატვარი, ის კარგად გრძნობს ჩვენი ცხოვრების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე რა უფრო იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

სწორედ პრობლემატურობით იპყრობს ჩვენს ყურადღებას კ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „პირველი დედა“. აქ დასმულია სოციალისტურ საზოგადოებაში ოჯახის, ცოლქმრობის, ახალგაზრდობის ურთიერთობის საკითხები.

კ. ლორთქიფანიძე პირველი ქართველი პროზაიკოსია, რომელმაც მეტად მწვავედ დააყენა ეს საკითხი და მას სრულიად სწორი გადაწყვეტა მისცა. მოთხრობა საინტერესოა არა მხოლოდ პრობლემატური აქტუალობით, არამედ წმინდა ლიტერატურული ღირსებებითაც. ეს არის პირველი ნაწარმოები, რომელშიაც კ. ლორთქიფანიძის წერის მანერა, როგორც პროზაიკოსისა მთელი სისრულით გამოვლინდა და ჩამოყალიბდა, ხოლო „კოლხეთის ცისკარი“, როგორც ვნახეთ, ახალი სიტყვა იყო ქართულ პროზაში.

1930 წელს, „მნათობის“ მეშვიდე ნომერში, დაიწყო აღ. ქუთათელის უაღრესად საინტერესო ეპოპეის „პირისპირის“ ბეჭდვა. ეს რომანი იყო პირველი ვრცლად მოფიქრებული მხატვრული ტილო, რომელშიაც მწერალმა ასახა ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

რომანში აღწერილია ათიანი და ოციანი წლების საქართველო. ერთი მხრივ, მოქმედებენ ძველი, ფეოდალური და ბურჟუაზიული წრეების წარმომადგენლები, მეორე მხრივ, — მუშათა კლასისა და გლეხობის, პროლეტარიატისა და ბოლშევიკური პარტიის მოწინავე ადამიანები; ავტორმა გვიჩვენა მრავალი საინტერესო ეპიზოდი ამ მოპირდაპირე სოციალური ფენების დამახასიათებელი ყოფისა თუ პოლიტიკური ბრძოლის ისტორიიდან.

რომანის ცენტრში დგას მაღალი არისტოკრატიის წრიდან გამოსული, ძველ ტრადიციებზე აღზრდილი ახალგაზრდა კაცი — კორნელი მხეიძე. წიგნში ამ პიროვნების შფოთიანი ცხოვრების აღწერას, მისი თავგადასავლის ჩვენებას მთავარი ყურადღება ეთმობა. კორნელის ვეცნობით ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის გიმნაზიის მოსწავლეა. ამ პერიოდში იგი გატაცებულია სპორტითა და ნადირობით. ამავე ხანებში კორნელი უახლოვდება ლიტერატურულ წრეებს, თვითონაც ცდის კალამს... პეტროგრადში რევოლუციას, თვითმპყრობელობის ტახტი დაემხო. ამას მოჰყვა რუსეთში ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია, საქართველოში კი — მენშევიკების ბურჟუაზიული ხელისუფლების დამყარება.

მშფოთვარე ეპოქა, აღსავსე უდიდესი ამბებით, გარდატეხებით კორნელი მხეიძის წინაშე მწვავედ აყენებს საკითხს როგორ მოიქცეს, რა გზა აირჩიოს. ერთ ხანს იგი ეწერება მოხალისეთა ჯარში და ოსმალეთის წინააღმდეგ იბრძვის. ბოლოს იგი შამქორის ბრძოლების მონაწილე ხდება. შამქორის ტრაგედიამ თვალი აუხილა მას, ამიერიდან მომხდარი ამბებისადმი კორნელი კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს და ოქტომბრის რევოლუციის მხარეზე დგება.

ოციანი წლების ბოლოსათვის ავტორმა თავისი ეპოპეის პირველი წიგნის დასრულება მოასწრო. ჩვენ აქ დაწვრილებით აღარ შევჩერდებით მთლიანად ამ რომანის ანალიზზე. საერთოდ კი აღვნიშნავთ: „პირისპირ“ არის შესანიშნავი მაღალიდებული და მაღალმხატვრული ნაწარმოები, რომელიც განეკუთვნება ქართული მწერლობის საუკეთესო ქმნილებათა რიცხვს.

შ. დადიანი წერდა: „ჩემს ერთგვარ აღმფოთებას იწვევდა ის გარემოება, რომ ჩემს ფიქრით ჩვენი ისტორიის წარსული არ იყო სათანადოდ გაშუქებული, განსაკუთრებით ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში... აი, თამარ მეფე და მისი ხანა. ამისთანა ხანა გვექონია ქართველებს და ამას ყურადღება არ მიექცეს? მერე კიდევ თამარის დროს მეტად საყურადღებო ეპიზოდს წავაწყდი, თამარის გათხოვების საკითხს, რასაც მოჰყვა ტრაგიკული ბედი იური ბოგოლუბსკისა. როგორც იტყვიან შემოვიწყვე საჭირო წიგნები, შევაწუხე ჩვენი ისტორი-

კოსი ივ. ჯავახიშვილი ჩემი შეკითხვებით: რა ტანისამოსი ეცვათ მე-
თორმეტე საუკუნეში ქართველებს — ფეოდალებს, ვაჭრებს, გლეხებს,
მეომრებს, რას სვამდნენ, რას ჭამდნენ, როგორ ილხენდნენ და სხვ.
თითქმის ათი წელიწადი ვწერდი ამ ნაწარმოებს“. რომანში „გიორგი
რუსი“ წარმოჩენილია დიდი ცოდნა წარსულისა, დიდი ცოდ-
ნა და დიდი სიყვარული თამარისა და მისი ეპოქისა. ისტორიულ დო-
კუმენტებში და ხალხის წარმოდგენაში გაიდგალებული თამარი, მართ-
ლაც აღმატებულად და იდეალიზებულად არის გამოხატული. თამარი
გონიერი და ციური, შეუდარებელი ვითა მეფე, თამარი მოწყალე და
გამკითხავი, თამარი უებრო მეომარია და გონიერი გამგებელი ქვეყნი-
სა, თამარი ულამაზესი ზეციური არსება, რომლის დანახვისას, კუზმას,
გიორგი რუსის აღმზრდელს, აღმოხდება: „ვინ არს, რომ თაყვანი არ
სცეს ამ ღვთიურ არსებას? თავი არ გასწიროს მისთვის?.. მას სიზმრა-
დაც არ მოსჩვენებია ამგვარი რამ, არც თუ სადმე ზღაპრად ჰქონდა გა-
ნაგონი... ეს სამოთხეა, თუ ქვეყნად ვარ? — ფიქრობდა კუზმა და მი-
წიერი ცნობისმოყვარეობა თანდათან ატყვევებდა მას“.

თამარმა ერთბაშად გაითქვა სახელი საქართველოსა და მის საზღვ-
რებს გარეთ: „გიორგი რომ გარდაიცვალა... ეგონათ ქალია და შევა-
შინებთო, მაგრამ აქ გამოჩნდა პირადი ღირსება თამარისა“. „მისმა გო-
ნებამახვილობამ, მისმა სათნოებამ“ დათრგუნა შინაური და გარეშე
მტერი. თამარის წყალობით უფრო განმტკიცდა და გადიდა საქარ-
თველო. უმდიდრესი და უძლიერესი ქვეყანა შეიქმნა მთელს აღმოსავ-
ლეთში. ამ რომანში აღწერილი თამარის დარბაზობა და ამ დარბაზო-
ბის მოწმე გიორგი რუსი და მისი აღმზრდელი კუზმა გაოცებულნი
არიან ნახულით, ქვეყნის სიმდიდრით, ჯარის დაწყობით, საკურვლი-
თა და მორთულობით...

არც გიორგი რუსს დააკლო მწერალმა საღებავები და ფერები:
„მაღალი და მხარბეჭიანი 18—19 წლის ახალგაზრდა იური თავდახრი-
ლი იდგა მის წინაშე. ოქროსფერი, აბრეშუმისით კულულები უცხო
გვირგვინად ჰქონდა შემოვლებული მის ფართო, ღმობიერ თეთრ-ყირ-
მიზ სახეს. მოლურჯო, ცისფერი თვალები, შავი, ზევით ახრილი გრძე-
ლი წამწამებით და შვილდურად გაზიდული წვრილი, შავი ფერის წარ-
ბები, მართლაც საოცნებო იერს აძლევდა მთელ მის პირსახეს. პაწია,
მაგრამ სურათოვანი ცხვირი და თითქო ოდნავ გაპოზილი პატარა, წით-
ლად წამოკვიებული ბაგე, ვარდისფერი ატლასის პირის კანი, ეს ყო-
ველივე ცოტა ქალურს, მაგრამ მაინც სილამაზის სურათს იძლეოდა“,
თუმცა თამარს პირველი ნახვისთანვე არ მოეწონა გიორგი. მერე ომ-
შიც გამოიჩინა თავი, ისე გამოიჩინა, რომ ქება დაიმსახურა დადიანი-
სა და მხარგრძელებისა, მაგრამ რა? ავადმყოფი აღმოჩნდა გიორგი
რუსი, ლოთი, უწესო, სოდომის სენით დაავადებული და გააძევა სა-

მეფო კარიდან თამარ მეფემ მასზე დაწინდული გიორგი რუსი... სამაგეროდ, სამაგალითო რუსია კუზმა, ეს მოხუცი აღმზრდელი გიორგისა. თამარმა ამ კეთილ, გონიერსა და შორსმჭვრეტელ რუსს ახალგაზრდა ქართველი ქალი — ნანული შერთო ცოლად: „კუზმა და ნანულზე უბედნიერესი ცოლ-ქმარი იშვიათად უნდა მოიპოვებდეს. მართალია წნით დიდი ზღვარია მათ შორის, მაგრამ გულით — კი ისეთი მახლობელნი ურთიერთისა ძნელი სანახავია, საოცარია ძალა ტრფობისა! რომელ ჭურჭელშიაც არ უნდა ჩადგეს, მუდამ მისი ამამალლებელია. მართლდება სიტყვა მოციქულისა: სიყვარული აგვამალლებს“. ამის მიხედვით ნათელია რა თანაგრძობითა და სიყვარულით ხატავს მწერალი რუსი კაცის ღირსეულ შვილს და ყოველივე ამის შემდეგ რამდენად უმართებულო იყო რაპული თავდასხმა ამ რომანზე, თითქოს შ. დადიანმა გიორგი რუსი განგებ გამოიყვანა ასეთი ავადმყოფი და უარყოფითი ტიპი.

რომანში დახატულია ერთხელმწიფობის განმტკიცების მოწინააღმდეგენიც. ამ სამეფო კარის ინტრიგას მეთაურობს ვარდან დადიანი. აქვე არიან თამარის ბოლომდე ერთგული სასახლის კაცები და მთელი საქართველო. ამ დიდებულ სამეფო კარს ამშვენებენ დიდებული მწერლები: შოთა რუსთაველი, სარგის თმოგველი, ჩახრუხაძე თუ გოდერძი ჩორჩანელი. პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად ძლიერი საქართველო გამოხატა შალვა დადიანმა ამ რომანში, გამოხატა ზეაწეული, თეატრალური სტილითა და მანერით. სასიათების ერთგვარი გაზვიადება ამ სტილით არის გამოწვეული.

ქართულ ისტორიულ თემებზე დაწერილ რომანთა შორის „გიორგი რუსი“ ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია.

ამ რომანის უთუო ღირსებას შეადგენს ის, რომ შ. დადიანი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ქართველი ხალხის მისწრაფება მუდამ იყო დაკავშირებოდა დიდ რუს ხალხს. ეს მისწრაფება თავს იჩენდა არა მარტო მაშინ, როდესაც ჩვენი ხალხი ისტორიული განსაცდელის წინაშე აღმოჩნდებოდა, არამედ მაშინაც, როდესაც მას შედარებით მოსვენებული ცხოვრება ჰქონდა.

ეს იყო ერთ-ერთი პირველი ისტორიული რომანი, დაწერილი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, მაშინ როდესაც შ. დადიანი, რომელაც თავისი ადრინდელი შემოქმედებით რევოლუციური დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენელი იყო, საბჭოთა მწერლობის პლატფორმაზე გადმოდიოდა. აქ გამოჩნდა შ. დადიანის რეალისტური წერის მანერა და მისი სამწერლო ალღო. რომანში არის მრავალი ეპიზოდი, რომლებშიც დიდი მხატვრის ხელით არის აღბეჭდილი ჩვენი ხალხის ისტორიული წარსულის დაუვიწყარი სურათები. განსაკუთრებით მდიდარია რომანის ენა.

ამ ნაწარმოებს მოჰყვა შ. დადიანის პიესები თანამედროვეობის თემაზე, რითაც იგი მტკიცედ დადგა საბჭოთა მწერლობის პოზიციებზე.

პირველი ორიგინალური პიესა ამ პერიოდისა (1921—1930 წწ.) იყო შალვა დადიანის კომედია „კაკალ გულში“. ამ კომედიაში გაკიცხული იყო სინამდვილის უარყოფითი მხარეები; ავტორმა მოგვცა საბჭოთა აპარატში შეხიზნული ბიუროკრატების, ფუქსავატებისა და მეშჩანების მკაცრი მხილება. როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ახალ სახელმწიფო აპარატს ძველი აპარატის ბევრი თანამშრომელი შემორჩა; მათი მნიშვნელოვანი ნაწილი თავადახნაურული, ბურჟუაზიული კლასების წრეს ეკუთვნოდა. ისინი მტრულად იყვნენ განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ისინი მიჩვეული იყვნენ მშრომელების აბუჩად აგდებას. საჭირო იყო ჩვენი დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების გაწმენდა ამგვარი მუშაკებისაგან. შალვა დადიანის პიესა „კაკალ გულში“ სწორედ საბჭოთა აპარატში მოკალათებულ ნაკაცარებსა და ბიუროკრატებს ამხილებდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სრულიად უმნიშვნელოა პარტიული ხელმძღვანელობის როლი ბიუროკრატებთან ბრძოლაში. მიუხედავად ამისა, როგორც ვთქვით, ეს იყო პირველი საბჭოთა კომედია, რომელიც ჩვენს სინამდვილეს შეეხებოდა. ცოცხალი ენა, კარგი დიალოგი, გამოკვეთილი ტიპაჟი, ნამდვილი თეატრალობა პიესას ამ პერიოდის დრამატულ ნაწარმოებთა შორის პირველ ადგილთაგანს აკუთვნებდა.

შ. დადიანმა უფრო მოგვიანებით დაწერა პიესა „თეთნულდი“, რომლის თემა იყო ძველისა და ახლის ბრძოლა სვანეთის ფონზე. ამ პიესაში ახალი ცხოვრების, ახალი იდეების გამომხატველად გამოყვანილია გელახსანი და ლაპილი. ძველი, პატრიარქალური სვანეთის ტრადიციისა და ჩვეულების დამცველად არგიშიდი გამოდის. თემა მთამსვლელების ფონზე იშლება. გელახსანს და ახალი თაობის წარმომადგენლებს გადაუწყვეტიათ დაიპყრონ თეთნულდი. არგიშიდის წარმოდგენით, თეთნულდი ღმერთების სავანეა, ადამიანის ფეხი მას არასოდეს არ დაჰკარებია და ეს არც მოხდება. ვინც ამას განიზრახავს, ის ღმერთის საწინააღმდეგო საქმეს აკეთებს, უწმინდურ საქმეს ჩადის. ამიტომ არგიშიდი წინააღმდეგია გელახსანისა და მისი ჯგუფის განზრახვისა. მწერალი ამ ფონზე მოხერხებულად შლის ძველისა და ახლის ბრძოლას. ძველი მარცხდება, ახალი იმარჯვებს, გელახსანის ცოლი ქმრის ანდერძს შეასრულებს და თეთნულდის მწვერვალზე ადის. არგიშიდი, განწირული ამ ბრძოლაში, თავს იკლავს. პიესა, რომელიც ხასიათდება მძაფრი დრამატული სიუჟეტური განვითარებით და გამოკ-

ვეთილი პერსონაჟებით, ჩვენი თეატრების რეპერტუარში მტკიცედ დამკვიდრდა. მან მაყურებლის სიმპათია დაიმსახურა.

ამ პერიოდის პიესათაგან უნდა აღინიშნოს ს. შანშიაშვილის „ან-ზორი“, რომელიც გადმოკეთებულია ვსევილოდ ივანოვის ცნობილი პიესიდან „ჯავშნოსანი 14—69“.

ს. შანშიაშვილმა ერთგვარად შეუცვალა ამ პიესას არა მარტო მთავარი პერსონაჟები, არამედ სიუჟეტური დეტალებიც. პიესა სამოქალაქო ომის პერიოდის ცხოვრებას ასახავს. ანზორ ჩერბიჯი, ამ პიესის მთავარი გმირი, დენიკინის თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ მებრძოლი წითელი პარტიზანების მეთაურია. დენიკინს ინგლისელი კაპიტალისტები უმადგებენ ზურგს საბჭოეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთი ამარცხებს დენიკინის თეთრგვარდიელების ზრვას. ამ ბრძოლის აქტიური მონაწილეა ანზორის პარტიზანული რაზმი. აქ რევოლუციური მოძრაობის სურათები კოლონიური იაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის დეტალებს შეერთვის და ასე იშლება გლეხთა რევოლუციური ბრძოლები რევოლუციურ პროლეტარიატთან კავშირში. მთის ცხოვრების ფონზე ს. შანშიაშვილი უაღრესად რომანტიკული ფერებითა და განწყობილებით გვიხატავს ხალხთა რევოლუციური მოძრაობის გრანდიოზულ სურათებს.

ამ პიესის მნიშვნელობა ის იყო, რომ ს. შანშიაშვილი ჩვენი თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემას ეხმაურებოდა.

1924 წელს კ. მარჯანიშვილმა დადგა პ. კაკაბაძის „ლისაბონის ტუსალები“, 1928 წელს კი „ყვარყვარე თუთაბერი“.

ამ წლებში დაწერილ დრამატულ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“.

„ყვარყვარე თუთაბერში“ პირველი იმპერიალისტური ომისა და თებერვლის რევოლუციის დღეების აღწერას მოსდევს რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის განაპირა სოფლის ჩვენება. შემდეგ ამას ცვლის მენშევიკების ბატონობის წლები. ამ ფონზე ხატავს მწერალი თავისი პიესის გმირებს. „მთავარი გმირი“ ამ „ეპოქისა“ არის ყვარყვარე. გაიძვერა, პირფერი, მშიშარა, ტრაბახა — ასეთ კონტრასტულ თვისებათა მატარებელია ნაცარქექიას ნიღბით დახატული რევოლუციის მიტმასნებული ყვარყვარე. იგი პოულობს მისი გონების თანაზიარს — ტიტე ნატუტარს. რევოლუციის ეს ორი ნაცარქექია, ორი კაცუნა, ორი „სარდალი“ — ტიტე და ყვარყვარე მძაფრ კარიკატურულ ფერებშია დახატული. მკითხველი ნათლად ხედავს იმ ხელისუფლების უსუსურობას, სადაც ტიტე ნატუტარი და ყვარყვარე სარდლობენ სახელმწიფო ჯარს.

პოლიკარპე კაკაბაძე ყვარყვარეს გვიხატავს სამი სხვადასხვა პლანით, ერთი მხრივ, უქნარა ნაცარქექიას, მეორე მხრივ, როგორც შენიღ-

ბულ „საზოგადო მოღვაწეს“, „ხალხის იდეალების გამომხატველს“, და, მესამე მხრივ, მავნეს, მედროვეს, ბოროტს. ყვარყვარეს სიყვარული გულთამზესთან კი ავლენს მის უხეშ, ტლანქ, ავადმყოფურ ეროტომანულ ცრუპენტელაობას.

დევებთან მებრძოლი ნაცარქექია უყვარს ხალხს, მის სიზარმაცეს, სიმხდალეს და ბაქიაობას ერთგვარად ფარავს კეთილი ბუნება და ზრახვანი, მოხერხების უნარი, რომლითაც იგი თავს აღწევს შექმნილ რთულ ვითარებას. პ. კაკაბაძის მიერ დახატული ნაცარქექია ბოროტი ძალაა, როგორც კი საშუალება მიეცა, ყვარყვარე რევოლუციონერის ნიღბით მოევიღნა ხალხს, როგორც მჩაგვრელი, მძარცველი, კერძომესაკუთრული, ეგოისტური ზრახვებით შენიღბული ბოროტება.

უკაცურობის ღროს შემთხვევით წამოტივტივებული გმირისათვის პ. კაკაბაძემ გამოიყენა ხალხური ნაცარქექიას ყველა უარყოფითი თვისება — ბაქიაობა, სიზარმაცე, უქნარობა, ყალბი ფანტაზია: „მხოლოდ იმ უნიადაგო ხელისუფლებაში, რომელიც აქ ჩვენამდე არსებობდა, იმ უთაურობაში შეეძლო ყვარყვარე თუთაბერს გმირის ადგილი დაეკირა და ხალხისთვის ვნება მიეყენებინა. ჩვენ კი ახლა მას ნიღაბი მოგხსენით და დეე, თავისი ნამდვილი სახით, ნაცარქექიას სახელით, იაროს ქვეყანაზე“. დრამატურგმა კარგად შენიშნა უნიადაგო ხელისუფლებით ზურგგამაგვრებული გმირის ბოროტი ნაცარქექიაობა და ყვარყვარობა. ეს სახე საზოგადოებისათვის მავნე ზოგად ტიპად დახატა, მას რევოლუციონერი სევასტის სახით დაუპირისპირა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანები.

ამავე პიესაში ავტორმა გაუნათლებელი, ძველი ცხოვრებისაგან გონებრივად დაქვეითებული, დაწინაღობის, ლუმპენპროლეტარების როლში დაგვიხატა კაკუტა და ქუჩარა. ნასუფრალის ეს ადამიანები ყვარყვარეს გავლენის ქვეშ ექცევიან, მაგრამ მწერალმა ერთგვარი ჯანსაღი ადამიანური საწყისები მაინც შეუნარჩუნა ამ გმირებს. უფრო ზუსტად არის გამოხატული რევოლუციონერი სევასტის სახე.

„ყვარყვარე თუთაბერი“ უაღრესად პოპულარულ ნაწარმოებად იქცა. ეს პოპულარობა განსაზღვრა ორიგინალურმა მხატვრულმა ნიღაბმა, კომიკური სიტუაციებისა და იუმორის ოსტატურმა გამოყენებამ, პიესის მეტაფორულმა და ხატოვანმა ენამ. ის დღემდე შერჩა ჩვენს სცენას, როგორც პირველხარისხოვანი ტრაგიკომედია, რაც ნათლად ლაპარაკობს ამ პიესის უკვდავ ღირსებაზე. ყვარყვარობა ზოგად სახელად იქცა, უქნარობისა და ბოროტების სინონიმი გახდა.

ამ წლებში კარლო კალაძემ რამდენიმე პიესა დაწერა. მათ შორის უნდა დავასახლოთ: „როგორ“ (1928 წ.) და „ხატიჯე“ (1929 წ.). „ხატიჯეში“ მოქმედება საბჭოთა აქარაში წარმოებს, იგი გაშლილია ძვე-

ლისა და ახლის ბრძოლის ფონზე. ძველი ადათის წინააღმდეგ მებრძოლი ახალგაზრდა დახატა მწერალმა ხატიჯეს სახით. ახალი საბჭოთა ცხოვრება, სოციალისტური მშენებლობა, ძველი ადათებისა და ჩვეულებების კვდომა — ასეთია სოციალისტური ფონი, რომელიც ამ პიესას ჰქონდა.

კ. კალაძის პიესა „როგორ“, რომელიც დიდი წარმატებით იდგმებოდა მარჯანიშვილის თეატრში, 1905 წლის რევოლუციის ამბებს შეეხებოდა. ორივე ეს პიესა დამკვიდრდა ამ პერიოდის ქართული თეატრის რეპერტუარში.

ამ პერიოდის ქართული ლიტერატურული ყურნალ-გაზეთების ერთი თვალის გადავლებითაც ნათელი ხდება, რომ ოციან წლებში მძაფრ იდეურ-ლიტერატურულ მიმდინარეობათა ბრძოლაში, საბჭოთა მწერლობის პოზიცია იმარჯვებს და თავის გარშემო იკრებს ოცდაათიანი წლების დასაწყისის ყველა მოწინავე და წამყვან მწერალს. რევოლუციის ნიადაგზე მოხდა ქართველი მწერლების მოდერნიზაცია, იდეურ და მხატვრულ გამომსახველობათა ფორმების განახლება ამ პერიოდის ყველა ლიტერატურულ მიმართულებას შეეხო. ამ ვითარებაში დაიწერა და შეიქმნა ბევრი საინტერესო ნაწარმოები, რომლებმაც დიდად გაამდიდრეს მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ეროვნული საუნჯე. მათ რიცხვში უნდა მოვიხსენიოთ შ. დადიანის „გიორგი რუსი“, ნ. ლორთქიფანიძის „ბილიკებიდან ლიანდაგზე“, „თავსაფრიალი დედაკაცი“, მიხ. ჭავჭავაძის „ჯაყოს ხიზნები“ და „თეთრი საყულო“, ლ. ქიაჩელის „სისხლი“ და „თავადის ქალი მათა“, კ. გამსახურდიას „დიონისეს ღიმილი“ და „დიდი იოსები“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, ს. კლდიაშვილის „ფერფლი“, დ. შენგელაიას „სანავარდო“, კ. ლორთქიფანიძის „პირველი დედა“, რ. გვეტაძის „თეო“, ალ. ქუთათელის „პირისპირ“.

პოეზიიდან აქ უნდა დავასახელოთ გ. ტაბიძის „მშობლიური ეფემერა“, „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „პროლოგი ასი ლექსის“, „ჯონ რიდი“, „ეპოქა“, ალ. აბაშელის „უცნაური ამბავი“, „წერილი ნოე ჩხიკვაძეს“ გ. ქუჩიშვილის „ვინ არის იგი“, ს. შანშიაშვილის „დედისერთა ლენინთან“, „მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“, ი. გრიშაშვილის „გამოთხოვება ძველ თბილისთან“, „გენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე“, პ. იაშვილის „ლენინს“, „პოეზია“, ტ. ტაბიძის „ლექსი მეწყერი“, „მამ გამარჯვება“, კ. ჭიჭინაძის „რიონის აპოლოგია“, ილო მოსაშვილის „უღელტეხილზე“, გ. ლეონიძის „თუკი ვცოცხლობთ სიმღერების იმედით“, „ნინოწმინდის ღამე“, „ყვიჩაყის პაემანი“, ალ. მაშაშვილის „ლენინი“, „დამკვრელი ბრიგადები“, „...აი ადამიანი“, კ. ნადირაძის

„დილის სიმღერა“, ტ. გრანელის „ვანო სარაჯიშვილი“, ს. ჩიქოვანის „მგზავრის სიმღერა“, კ. კალაძის „ძახილი აღმოსავლეთს“, „როგორ“, „ხატიჯე“ და სხვ.

ამგვარად, ოციანი წლების ბოლოსათვის ხელწერით ნაირხმიანი ქართული მწერლობა იქცა ერთ ძლიერ ბანაკად, რომელმაც ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრის დაცვას, ახალი სამყაროს მშენებელ ადამიანთა მრავალფეროვან გამოსახვას მიუძღვნა თავისი საუკეთესო წიგნები, საუკეთესო ქმნილებანი.

ლიტერატურის პერიოდებად დაყოფა პირობითია. ეს პირობითობა ემყარება საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას, რომელიც საბოლოო ანგარიშში განსაზღვრავს თვით მწერლობის განვითარებასაც, ამავე დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ თვით მწერლობა უზარმაზარი სულიერი სამყაროა. იგი თავის მხრივ გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე. გავლენის ეს ძალა განიზომება თვით მწერლობის იდეურ-ესთეტიკური დონითა და ხარისხით. ამგვარად, მწერლობა საზოგადოებრივი ცხოვრებით განსაზღვრული, თვით ახდენს შემდგომ გავლენას ამ საზოგადოებრივი სისტემის განვითარებაზე. ეს უკუმოქმედების ძალა მხატვრულ ლიტერატურას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს. მწერლობის ეროვნული და ლიტერატურული თავისთავადობაც აქედან წარმოსდგება. ჩვენც ამ ვითარებათა გათვალისწინებით განვიხილეთ ოცნანი წლების ქართული მწერლობა, ამ ვითარებას ვითვალისწინებთ, როცა ოცდაათიანი წლების მწერლობაზე გვაქვს საუბარი.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ეს პერიოდი უკავშირდება ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის აღმავლობის, ხუთწლეულების ძლევამოსილად წინსვლის წლებს, შეიქმნა ახალი, სოციალისტური ინდუსტრია, გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ, განმტკიცდა საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება. ყოველივე ამან, ხალხის კეთილდღეობის ზრდასთან ერთად, გამოიწვია ქვეყნის კულტურული აღმავლობა. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შემოღებამ, ახალი სასკოლო ქსელის ფართოდ გაშლამ შეცვალა ჩვენი მოსახლეობის კულტურული სახე. ლენინი გვასწავლიდა: იმისათვის, რომ ხელოვნებას შეეძლოს ხალხთან დაახლოება და ხალხს კი — ხელოვნებასთან, ჯერ უნდა ავამაღლოთ ხალხის საერთო განათლებისა და კულტურის დონე. ამიტომაც ჩვენ პირველ რიგში მოვითხოვთ ხალხის ნამდვილ ფართო განათლებას და აღზრდას. ეს ქმნის ნიადაგს კულტურისათვის.

1930—1937 წლებში საშუალო სკოლის მოსწავლეთა რიცხვი 28 მილიონამდე გადიდა, უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლეთა რიცხვი კი 542 ათასამდე. ეს იყო კულტურული რევოლუცია, რაშიაც თავი

იჩინა საბჭოთა რევოლუციის ძალამ, ძლიერებამ, უძლეველობამ. ხალხის კულტურული დონის განუხრელმა აღმავლობამ ჩვენს საბჭოთა მწერლებს მილიონობით ახალი საბჭოთა მკითხველი შემატა.

ყოველივე ეს ქმნიდა ხელსაყრელ პირობას მწერლობის შემდგომი აღორძინებისა და განვითარებისათვის.

იმ უდიდესმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და საზოგადოებრივმა ცვლილებებმა, რაც ჩვენს ქვეყანაში მოხდა, გამოიწვია 1924 წელს მიღებული სსრ კავშირის კონსტიტუციის შეცვლა. საბჭოთა საგანგებო მერვე ყრილობამ 1936 წლის ნოემბერში ერთსულოვნად მოიწონა და დაამტკიცა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია.

მეორე მხრივ, ეს იყო მსოფლიო კაპიტალიზმის ეკონომიკურ შერყევათა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობის შემდგომი გამწვავების წლები. ამას უკავშირდება კაპიტალისტურ ქვეყნებში გაფაციცებული მზადება ახალი ომისათვის. „ისევე, როგორც 1914 წელს, — ამბობდა ამხანაგი სტალინი პარტიის XVII ყრილობაზე, — პირველ რიგში გამოდიან მეტროლი იმპერიალიზმის პარტიები, ომისა და რევანშის პარტიები. საქმე აშკარად ახალი ომისაკენ მიდის“.

ხუთწლიანი სახალხო გეგმების შესრულებით ძლევა მოსილმა საბჭოთა ხალხმა დიდი სამამულო ომის წინა წლებში ძირითადად დაამთავრა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების შენობის აგება. ხუთწლებებში დაბადებულ შრომითს რომანტიკაში ქართული მწერლობის საბჭოთა სინამდვილესთან დაახლოების ტენდენციამ მოიცვა ყველა ლიტერატურული მიმდინარეობა, მათ შორის საბჭოთა ხელისუფლებასთან პირველ წლებში აშკარად ნეგატიურად განწყობილი დაჯგუფებანიც. ამ გარემოებებმა დღის წესრიგში დააყენა მწერალთა ჯგუფების ორგანიზაციული გაერთიანება. 1928 წელს ასეთი გაერთიანების ახალი ცდა იყო ქართული საბჭოთა მწერლობის ფედერაციის შექმნა. ფედერაციული გაერთიანება ბუტაფორული აღმოჩნდა. რადგან აქ თავი იჩინა რაპკელების ჰეგემონიამ და თვით გაერთიანების შიგნით სასტიკად შეუტეეს ყოფილ „ყანწელებს“, ყოფილ „ფუტურისტებს“, „აკადემიურ ასოციაციას“, „არიფონელებს“, მათ ყოველ ახალ ნაწარმოებს კვლავ „ნაციონალისტურს“, „კონტრრევოლუციურს“, „ფეოდალურს“, „ბურჟუაზიულს“, „წვრილბურჟუაზიულს“ უწოდებდნენ. რაპკელებმა ტერმინს „მტერი ან მოკავშირე“ დაუმატეს ახალი ტერმინი „გაღმა, გამოღმა“. ე. ი. მათი თვალსაზრისით გაღმა იღვა ყოფილი გაერთიანებათა წარმომადგენლობა, „გამოღმა“ რაპკელები, ეს მაშინ, როდესაც აშკარა იყო, ამ ძველ თაობათა გულწრფელი გადმოსვლა საბჭოთა მწერლობის პლატფორმაზე.

1931 წლის 25 თებერვალს აღინიშნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლისთავი. ამ თარიღს მიუძღვნეს სპე-

ციალური ნომრები ლიტერატურულმა და პოლიტიკურმა ჟურნალ-გაზეთებმა: „მნათობმა“, „ქართულმა მწერლობამ“, „პროლეტარულმა მწერლობამ“, „ლიტერატურულმა გაზეთმა“, „კომუნისტმა“, „ზარია ვოსტოკამ“, „ახალგაზრდა კომუნისტმა“ და სხვ. ყველა ქართველი მწერალი მაღალიდგური მხატვრული ნაწარმოებებით გამოეხმაურა საბჭოთა საქართველოს ამ ისტორიულ თარიღს. მაგალითად, „მნათობი“ (№ 1—2 1931 წ.) იხსნება სიმონ ჩიქოვანის ლექსით — „პოეტის სიტყვა საქართველოს გასაბჭოების ათი წლისთავზე“.

მგონის გონებავ იყავი ბასრი,
აფეთქდი სიტყვით, გაფანტე თქვენი
ვით ოქტომბერში ნასროლი აზრი
და თებერვალში გამსკდარი ჩვენში.

გალაკტიონ ტაბიძე აქვე აქვეყნებს ცნობილი ლექსების ციკლს „რევოლუციურ საქართველოს“. „ხმა მაღლა, ხმა მაღლა, ხმა მაღლა, ისმოდეს გმირული მოტივი ეს ათი წელია! ეს განლაგა რევოლუცია, ისტორიის ლოკომოტივი. თუ საქართველო, ასეულ წლობით მბორგავი კავის. სახნისის ბაზისიდან წინ ვაეშურა რეკონსტრუქციის ფართო გზაზე — დასცა ბორკილი, სოციალისტური ინდუსტრიის ნიადაგს მიჰყვა თუჯი, ნახშირი და ფოლადი ამოაქვს გულით, და სახელმწიფოს მესაჭე კლასს აბარებს იგი, კოლექტივების ენერჯიას და ნებისყოფას!“

„მნათობში“ ქვეყნდება გიორგი ლეონიძის ლექსი „შემკეთებელ ქარხანაში სტალინის სახელობისა“.

„ჩვენი დღეები, ჩვენი სიმღერა ვერ იმღერებდა სხვა საუკუნე დამკარ დამკვრელო დამაკრევიწე, შენს ქარიშხალთან ტყუპათ ვიარო, ლექსის ელვაში გამოხვეული, — ბექის ფრთებიდან შემაზრილოს პოეტი მუდამ ცოცხალი არი მას უფრო ადრე ესმის გუგუნე. დამკარ! მომაცხე ცეცხლი ცეხიდან, — ამ საუკუნის“.

როგორც ითქვა, ინდუსტრიული საქართველოს ხუთწლედის გმირებს მიუძღვნა ალიო მაშაშვილმა 1931 წელს გამოქვეყნებული ცნობილი ლექსი „დამკვრელი ბრიგადები“.

„აზვითებულა ტალა შეჯიბრის, ბორგავს, ბობოქრობს, შრომა ზვიადი
დაიდ ხუთწლედის გამარჯვებისთვის იბრძვის მუშათა ერთუნიანში, მაშ, როგორ გინდათ,
როგორ გაუსწროთ ომის ქარცეცხლით მძვინვარე ევროპას?
დაცხეთ, დაპკარით, როგორც არასდროს, რბევას, გარღვევას, დაუდევრობას!..
ჩვენ კომუნისმის ვაგებთ ნიადაგს, მიწა დროშების ოლს დაუფარავს,
წიგნი შრომის დროს აგურია და ბრძოლის დროს — ტყვიით სავსე ყუმბარა.“

ქართული საბჭოთა მწერლობა ხუთწლედების შემოქმედებით გმი-

რულ შრომაში გვერდში ამოუდგა საბჭოთა ხალხს. ოცდაათიან წლებში „ხელოვნების არმიას“ კვლავ მოუწოდებდა გ. ტაბიძე.

„თვითეული პოეტი ეხლა იწყინებია, ახალ დღეთა აგება მის დროშაზე სწერია. თვითეული პოეტი გრძნობს — ეს არის დარება, უმაღლესი, ნამდვილი მისი აღიარება“.

თუ რა შთაგონებითი გავლენა მოახდინა ქართულ მწერლობაზე მისი განვითარების გზაზე სოციალისტურმა მშენებლობამ, ხუთწლეულების გმირებმა, ამის ნათელი დადასტურებაა — ილუსტრაციაა ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედება. იგი წლების განმავლობაში დეკადენტური, სიმბოლისტური სკოლის ყველაზე ტიპური დამცველი იყო.

ვ. გაფრინდაშვილი თავის სულიერ თანამებრძოლებთან, ცისფერყანწელებთან ერთად ამკვიდრებდა ქართულ ლიტერატურაში სიმბოლიზმს, და ებრძოდა რეალიზმს. გავიხსენოთ: „სამარცხვინოა პოეტისათვის სხვა კარიერა გარდა თვითმკვლელობის. არ მსურს ვიყო ვიქტორ ჰიუგო და აკაკი, მე მიჩვენია დავილუპო, როგორც ბოქმა... სამარცხვინოა პოეტისათვის სხვა კარიერა, გარდა სიგიჟის, პოეტისათვის მე ვიწამე ეს კარიერა — სიგიჟე, ქლეჭი და თვითმკვლელობა“.

გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სტრიქონების ავტორი სულ ათიოდე წლის განმავლობაში თანმიმდევარი რეალისტი პოეტი, ქეშმარიტი საბჭოთა ლირიკოსი გახდა.

„სტჰვა პოეზიამ თავის სიმღერა დიად ოქტომბრის გრიგალთან, ცა ხანძარებით გადაისერა, და ცეცხლიანი დაფერთხა კალთა... მე, ოქტომბრის წლისათვის თვითეულს განვიცდი, როგორც პირად მიღწევას, მრავალშტოვანი ხუთწლელი წლეულს ურყევ სიმაგრეთ გადაიქცევა, ლენინის — დიდი, წმინდა სახელი მუდამ აშუქებს ჩვენს წინსვლას, ბრძოლას, ალტაცებულნი მისი ძახილით ჩვენ ვემსგავსებით უძლეველ ფოლადს. შრომის გმირები და დამკვრელები იბრძვიან, როგორც ჭარი მრავალი, რომ გამოჰქედონ თავის ხელებით სოციალიზმი და მომავალი“. ასე წერდა პოეტი 1932 წელს.

საბჭოთა საქართველოს მიერ ამ ათი წლის განმავლობაში პრაქტიკულად გატარებულმა ისტორიულმა ღონისძიებებმა, როგორც იყო სწავლა-განათლება დედაენაზე და ამის საფუძველზე სამეცნიერო და უმაღლესი განათლების ქსელის უჩვეულო ზრდა, ქართული მწერლობის, ქართული თეატრის სახელმწიფო დოტაციებით უზრუნველყოფა და ეროვნულ სამსახურში ჩაყენება, ფორმით ეროვნული, შინაარსით ინტერნაციონალური კულტურის ლოზუნგი, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა და თანმიმდევრულად განავითარა, სამეცნიერო დაწესებულებათა, მუზეუმების, სიძველეთა დაცვის, საგანმანათლებლო დაწესებულებათა — ბიბლიოთეკების, ქოხ-სამკითხველოების, უჩვეულო ზრდა, თანამედროვე და კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებების

მასობრივი ტირაჟებით გამოცემა — ყველაფერმა ამან თვალნათლივ დაარწმუნა ჩვენი მწერლობა საბჭოთა საქართველოს ეროვნული პოლიტიკის სისწორეში. სწორედ ამ ნიადაგზე, არასაბჭოთა ლიტერატურულმა ჯგუფებმა საბჭოთა ხელისუფლებასთან გულწრფელი თანამშრომლობის კურსი აიღო.

ძველ თაობათა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადმოსაყვანად პარტიამ უდიდესი შრომა გასწია. არასაბჭოთა ჯგუფის წარმომადგენლები თვით ჩააბა კლასიკოსების გამოცემის, სამუზეუმო საქმეთა, ხელნაწერების და სიძველეთა დაცვის კომიტეტში, და უკვე აშკარა გახდა რევოლუციამდელ თაობათა ერთობლივი გადმოსვლა საბჭოთა მწერლობის პლატფორმაზე.

აი, ასეთ ვითარებაშიაც რაპპელები კვლავ უტევდნენ და სდევნიდნენ ძველი თაობის წარმომადგენლებს. სწორედ ათი წლის საიუბილეო წერილებშიც გამოვლინდა ეს ურა-მემარცხენული, რაპპული გამოხატომები. აი, რამდენიმე ამონაწერი:

„გაბზარული სარკე“ — ამ წიგნში მთელი თავისი სისრულით მოჩანს გასაბჭოების დროინდელი აბაშელის გზა თავისი რეაქციონურ-მენშევიკური განწყობილებით. საერთოდ აბაშელი ყველაზე უფრო თანამიმდევარი, პირდაპირი, ორიგინალური და მტკიცე რეაქციონერი პოეტია“.

„დამპატიყე“ მთელს პასკვილს წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურაზე“.

„კონსტანტინე გამსახურდია რეაქციონერ მწერალთა რიგების ყველაზე აქტიური წევრია“.

„მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ტიცვიან ტაბიძის პოეზიისა იყო რეაქციონური განწყობილების გამომჟღავნება: „ცხენი ანგელოსით“, „თამუნია წერეთელს“, „იარალი“, „მეარღნეები და პოეტები“, „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“ და სხვ. დაცემულობის და დეკადენტობის მთელ „ფილოსოფიას“, ანვითარებს. ეს ანტი-რევოლუციონური და ანტი-პროლეტარული განწყობილება იყო დომინანტი მისი შემოქმედებისათვის“.

„ს. შანშიაშვილის მუშაობა პოეზიის დარგში — მემარჯვენე თანამგზავრული ხასიათისაა — ძლიერი კულაკური განხრით“ („მნათობი“ 1931 წ. № 1, 2).

„არსენა მარაბდელში“ ერთგვარი რომანტიკაა წარსულის, იდეალიზაცია ფეოდალური და საეკლესიო არისტოკრატის... მთლიანად ნაწარმოები ისტორიული პროცესების კლასობრივი თვალთახედვით გაშუქების გზას აცდენილია და აქედან ლოლიკურად გამომდინარეობს ყველა შეცდომები და მარცხი: ისტორიული სინამდვილის დამახინჯება, რასაც უსათუოდ ნაციონალისტური დამახინჯება უნდა ეწოდოს“.

„ცისფერყანწელების მეორე ნაწილი, რომელიც შეადგენს ამ ლიტერატურულ დაჯგუფების ძირითად ძალას, დღემდის სიმბოლიზმის ტყვეობაში იმყოფება და თემატიკური სიახლის პირობებშიაც კი მათი მხატვრული პრაქტიკა მემარჯვენეთა ლიტერატურულ პოზიციას შეადგენს ფაქტიურად. — სიმბოლიზმის მისტიციზმის რკალში. პ. იაშვილის: „ცხოვრება ალიოშა ჯაფარიძისა“, — „პოეტის საქმე“, ტიციან ტაბიძის ლექსების ციკლი „სომხეთში“ — მოყავს ამ ლექსებიდან ადგილები და ასკვნის,“ — ეს სტრიქონები ნიმუშია იმისა თუ რამდენად მახინჯდება, ყალიბდება საბჭოთა თემატიკა ძველ დეკადენტურ პოეტიკის ასოციაციაზე აგებულ ლიტერატურაში... „ტიციან ტაბიძე ისევ სიმბოლისტურ-დეკადენტური ტრადიციების ტყვეობაშია“ („მნათობი“, 1932 წ. № 1—2). 1931 წელს ჩატარდა ფედერაციის წმენდა და კავშირიდან გარიცხეს: კ. გამსახურდია, პ. ინგოროყვა, გ. ქიქოძე.

ლიტერატურის განვითარებას ობიექტური კანონები განაგებს. ამ კანონის ძალით ძველი თაობა დაუახლოვდა საბჭოთა ცხოვრებას, რაპსულები კი ასეთი გამოხტომებით ხელს კრავდნენ ძველ თაობათა გადმოსვლას და ამდენადვე, აფერხებდნენ საბჭოთა მწერლობის განვითარებას. ვითარება ისე დაიძაბა, რომ საჭირო გახდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ჩარევა.

საბჭოთა მთავრობა, ბოლშევიკური პარტია მუდამ ყურადღებით ეკიდებოდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს. ამ დიდი მზრუნველობის გამოხატულება იყო საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილება: ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში სოციალისტური მშენებლობის საგრძნობ წარმატებათა საფუძველზე მიღწეულია ლიტერატურისა და ხელოვნების როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ზრდა. ამასთან ერთად, ამ დადგენილებაში ხაზგასმული იყო, რომ „რამდენიმე წლის წინათ, როცა ლიტერატურაში ჯერ კიდევ ადგილი ჰქონდა უცხო ელემენტების საგრძნობ გავლენას, რომლებიც განსაკუთრებით გამოცოცხლდნენ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირველ წლებში, ხოლო პროლეტარული ლიტერატურის კადრები სუსტი იყო, პარტია ყოველნაირად უწყობდა ხელს პროლეტარული ორგანიზაციების შექმნასა და განმტკიცებას“. მაგრამ დღეს, როდესაც უკვე გაიზარდნენ პროლეტარული კადრები, საბჭოთა მწერლების კადრები, მეორე მხრივ კი ძველი თაობის წარმომადგენელთა უმრავლესი ნაწილი საბჭოთა მწერლობის პლატფორმაზე გადმოვიდა, ახლა უკვე ვიწრო ხდებოდა არსებულ პროლეტარულ სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა ჩარჩოები. „ეს გარემოება ქმნის იმის საფრთხეს, რომ ეს ორგანიზაციები სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გარშემო

საბჭოთა მწერლებისა და მხატვრების რაც შეიძლება მეტი მობილიზაციის საშუალებიდან გადაიქცევიან ჯგუფური კარჩაეტილობის დანერგვის, თანადროულობის პოლიტიკური ამოცანებისა და მწერალთა და მხატვართა იმ საგრძნობი ჯგუფებისაგან მოწყვეტის საშუალებად, რომლებიც თანაუგრძნობენ სოციალისტურ მშენებლობას“. (საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილება სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ). აქედან გამომდინარე, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: „მოხდეს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ლიკვიდაცია (პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების საკავშირო გაერთიანება, რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია). ყველა ის მწერალი, რომლებიც მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმას და ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში, გაერთიანებულ იქნან საბჭოთა მწერლების ერთიან კავშირში, სადაც შეიქმნას კომუნისტური ფრაქცია“.

ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებამ უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა მწერლობის შემდგომი აღმავლობის საქმეში, ახალი პერსპექტივები დაუსახა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას. ამ დადგენილების საფუძველზე შესაძლებელი გახდა მწერლების ფართო ფენების კიდევ უფრო მეტად დაახლოება საბჭოთა სინამდვილესთან, მათი აქტიური ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში.

ამ დადგენილებამ უდიდესი როლი შეასრულა, კერძოდ, ქართული საბჭოთა მწერლობის შემდგომი აღმავლობის საქმეში. ქართული საბჭოთა მწერლები მკიდროდ დაუკავშირდნენ ჩვენს სინამდვილეს. ეს ხანა ჩვენს მწერლობაში აღინიშნა ძველი თაობის მასობრივი შემობრუნებით საბჭოთა მწერლობის პლატფორმისაკენ.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით 1932 წლის მაისში შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი მაქსიმ გორაკის თავმჯდომარეობით (ალექსანდრე ფადეევი დაინიშნა თავმჯდომარის მოადგილედ), რომელსაც დაევალა სრულიად საკავშირო მწერალთა პირველი ყრილობის მოწოდება. ივლისში ჩატარდა ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის სხდომა. ამ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ალ. ფადეევი: „მწერალთა საკავშირო ყრილობას, — განაცხადა ალ. ფადეევმა, — ექნება უდიდესი პოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობა. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დასახლებულ ყველა ეროვნებათა მწერლები პირველად შეიკრიბებიან და გამოთქვამენ თავიანთ დამოკიდებულებას იმ პრობლემების მიმართ, რომლებიც დგანან მთელი საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე.

— ჩვენი ყრილობის მეორე ამოცანა ის არის, რომ მან უნდა აიყვანოს მთელი საბჭოთა ლიტერატურა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე

და დაეხმაროს მწერლებს გადაჭრან ის უმთავრესი ძირითადი ამოცანები, რომლებიც უშუალოდ დგანან ჩვენი ლიტერატურის წინაშე მეორე ხუთწლედის პერიოდში“. საორგანიზაციო კომიტეტმა შექმნა მწერალთა ბრიგადები და მიავლინა რესპუბლიკებში ლიტერატურის მდგომარეობის შესასწავლად და ყრილობისათვის მასალების მოსამზადებლად. კერძოდ, საქართველოში გამოგზავნა ბრიგადა: პავლენკოს, ფორშის, გოლცევის, პასტერნაკის, ავერბახის, იასენსკის, კირპოტინის, ტიხონოვის, კავერინის შემადგენლობით.

1932 წლის 22 ოქტომბერს მოხდა მაქსიმ გორკის ბინაზე მწერლების შეხვედრა პარტიის ხელმძღვანელებთან. აქ დაიწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა მწერალთა ყრილობის მომზადებისა და ჩატარების თაობაზე. აქვე გაიმართა კამათი საბჭოთა მწერლების შემოქმედებითი მეთოდის შესახებ. ზოგი აყენებდა საკითხს, რომ საბჭოთა მწერლობის შემოქმედებით მეთოდად აღიარებული ყოფილიყო „დიალექტიკური მატერიალიზმი“, „პროლეტარული რეალიზმი“, „ტენდენციური რეალიზმი“, ზოგიც „კომუნისტურ რეალიზმს“ მოითხოვდა და ა. შ. კამათში სტალინი ჩაერია და ურჩია მწერლებს პოლიტიკური ტერმინებით არ განესაზღვრათ საბჭოთა მწერლობის მეთოდი, მწერალი უნდა იცნობდეს მარქსიზმ-ლენინიზმს, როგორც მოძღვრებას და იყენებდეს იგი თავის მუშაობაში. მწერლობა მაინც ცხოვრების სინამდვილის ასახვას გულისხმობს, ჩვენი სოციალისტური სინამდვილის სიმართლით ასახვას, შეუღლამაზებლად და დაუმახინჯებლად ასახვას. გორკის შემოქმედების მაგალითზე სტალინმა დაასკვნა: ხომ არ შეიძლება ჩვენი ახალი ტიპის მწერლობას ეწოდოს სოციალისტური რეალიზმი? ეს წინადადება მიღებულ იქნა. 1932 წლის 24 ოქტომბერს საორგანიზაციო კომიტეტის გაფართოებულმა სხდომამ მიიღო დადგენილება. საბჭოთა მწერლობის შემოქმედებით მეთოდად აღიარებულ იქნას სოციალისტური რეალიზმი. ანალოგიური სხდომები მოიწვიეს რესპუბლიკებშიც. მთელი ძალებით დაიწყო მზადება სრულიად საკავშირო მწერალთა ყრილობისათვის.

1932 წლის 27 ივნისს გაიხსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობა. ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა გ. ყურულაშვილი: „სკკპ(ბ)ცკ 1932 წლის 23 აპრილის დადგენილება და ქართული მწერლობის ამოცანები“. კამათში მონაწილეობდნენ სანდრო ეული, კონსტანტინე გამსახურდია, პაოლო იაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ბესარიონ უდენტი, კატო მიქელაძე, დია ჩინელი და სხვ.

29 ივნისს საქართველოს მწერალთა კავშირის ახლად არჩეულმა საბჭოთა მწერლობის საბჭომ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩია მალაქია ტოროშელიძე.

1934 წლის 17 აგვისტოს მოსკოვში გაიხსნა საბჭოთა მწერლობის

I ყრილობა. მოხსენებით გამოვიდა მ. გორკი. იყვნენ თანამომხსენებლებიც, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკიდანაც. 20 აგვისტოს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მალაქია ტაროშელიძემ ყრილობაზე წაიკითხა მოხსენება „ქართული ლიტერატურის განვითარებისა და ამოცანების შესახებ“, მოხსენებაში ი. სტალინის მითითებების მიხედვით დიდი ადგილი დაეთმო ქართველ კლასიკოსებსა და კერძოდ შოთა რუსთაველსა და მის პოემას „ვეფხისტყაოსანს“. ყრილობის დარბაზში მეორე დღესვე გამოფენილ იქნა რუსთაველის დიდი პორტრეტი. ეს ისტორიული აქტი ასახულია, ამ ყრილობის დელეგატის, ირ. აბაშიძის ლექსში „რუსთაველის სახე კავშირის სახლის სვეტებიან დარბაზში“. დამახასიათებელია, რომ იმავე დღეებში მიღებულ იქნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის აღსანიშნავი იუბილის მოწყობის თაობაზე და შეიქმნა საიუბილეო საკავშირო კომიტეტი. ი. სტალინის მითითებებით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყრილობისათვის მზადებისა და თვით ყრილობაზე ქართველი მწერლების მონაწილეობას და იქ წარსადგენი მოხსენების მომზადებას უშუალოდ ხელმძღვანელობდა. ეს ჩანს იმ წერილიდან, რომელიც 1934 წლის 24 ნოემბერს პეტრე პავლენკომ მოსწერა საქართველოს ც. კ. აი, რას ვკითხულობთ ამ წერილში: „ის ფაქტი, რომ საკავშირო ორგკომიტეტის ქართულ ბრიგადაში შევიდა ორი საუკეთესო რუსი პოეტი ბ. პასტერნაკი და ნ. ტიხონოვი, იმთავითვე შეგვეძლო ჩაგვეთვალა კარგი მუშაობის საწინდრად, მაგრამ არავენ მოელოდა, იმას, რაც მოხდა. პირველი თარგმანები პასტერნაკისა „იზვესტიაში“ და ნ. ტიხონოვისა „ზვეზდაში“ დაბეჭდილი ნამდვილ დიდ ლიტერატურულ მოვლენად გადაიქცა რუსეთის საბჭოთა პოეზიაში. ამ ლექსების ღირსება არ შეიძლება მივაწეროთ მხოლოდ მთარგმნელებს, თვით ლექსების მხატვრულობა, სალი, თბილი გრძნობა და მასალა უდიდეს ინტერესს იწვევდნენ მკითხველებში.

საერთო დასკვნად შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ქართული ლიტერატურის მუშაკები, ყრილობიდან დაბრუნდნენ ისე, რომ გადაიქცნენ სრულიად საკავშირო საბჭოთა ლიტერატურის განუყრელ ნაწილად, აქტიურ ნაწილად, ხოლო პოეზიაში წამყვან ნაწილადაც კი („ლიტერატურული გაზეთი“ № 26, 1934 წ. 6 ნოემბერი).

წერილში: „ყრილობა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მწერლობა“ რუსი კრიტიკოსი დ. მირსკი წერდა: „თუ ამ ყრილობიდან უფრო საგრძნობი ხდება შემობრუნება ნაციონალური ლიტერატურისაკენ საერთოდ, არც ის უნდა იყოს საიდუმლო ვინმესთვის, რომ ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ქართულმა ლიტერატურამ. საქართველოს

დელეგაციის მოხსენება გახდა ყრილობის ერთ-ერთი ცენტრალური მომენტი. მწერლებმა, რომლებმაც კონკრეტულად არაფერი არ იცოდნენ ქართულ ლიტერატურაზე, რომელთაც ბუნდოვნად გაეგონათ რუსთაველის პოემის არსებობა მხოლოდ, დაინახეს მსოფლიო მასშტაბის დიდი ლიტერატურის, თუმცა ჭერ კიდევ არა მკაფიოდ გამოკვეთილი, კონტურები. ჩვენ დავინახეთ „ვეფხისტყაოსანში“ ახალი, უცნობი პოეზიის ამალელებელი სფერო, რომელიც თავისი სიმდიდრით და თავისებურებით შეიძლება შეედაროს მხოლოდ მსოფლიო პოეზიის უმაღლეს მწვერვალებს, მაგრამ ჩვენ ვიგრძენით ისიც, რომ რუსთაველი რაღაც განმარტოებული კუნძული კი არ არის, არამედ ძლიერი მთაგარეხილი — უმაღლესი მწვერვალი. ჩვენ ვიგრძენით ქართული ლიტერატურის თავისებურება და მრავალფეროვნება და მასთან ერთად მისი დიდი ღირსება მთელი კაცობრიობისათვის. ქართული კლასიკოსებისადმი ინტერესი აძლიერებს ინტერესს ქართული საბჭოთა ლიტერატურისადმი, რომლის საუკეთესო ნიმუშებში ვპოულობთ ნაციონალური ფორმით მიღებულ სოციალისტურ შინაარსს, ორგანულად დაკავშირებულს დიდ კულტურულ ტრადიციებთან“ („ლიტერატურული გაზეთი“, № 25, 1934 წ. 18 ნოემბერი).

ოცდაათიანი წლების მთავარი და ყველაზე დიდი მოვლენა იყო მწერალთა ეს პირველი ყრილობა, რომელმაც ორგანიზაციულად ჩამოაყალიბა, მაქსიმ გორკის მეთაურობით, ერთიანი ცენტრი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხების მწერლობისა. ამ დროს ზოგ უპარტიო მწერალს, რომელსაც ერთგვარად დევნიდნენ რაპპელები, წამყვანი ადგილი მიეცა კავშირის ხელმძღვანელობაში. ამ ნიადაგზე მოხდა საყოველთაო კონსოლიდაცია სამწერლო ინტელიგენციისა. დაიწყო დიდი მოძრაობა ერთიანი ფრონტით და გაჩაღდა შეჯიბრება იმაზე, თუ ვინ უკეთ გამოხატავდა ამ ახალ დროს, ჩვენს ეპოქას. ის იდეური დაპირისპირება თაობათა და ლიტერატურული გაერთიანებისა, რომელიც ხშირად მტრობაში გადადიოდა, მოიხსნა. რასაკვირველია არ მოხსნილა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი. პირაქით, სოციალისტური რეალიზმის მწერლობას საფუძვლად ლიტერატურის ლენინური პარტიულობის პრინციპი დაედო. ოღონდ მოიხსნა ყოყოჩობა და მბრძანებლობა რაპპელებისა, რომლის „ლოზუნგი იყო — „მტერი ან მოკავშირე“. ძველ თაობას მოეხსნა დაუშსახურებელი ეპითეტები: რეაქციონერი, კონტრარევოლუციონერი ნაციონალისტი, დიახ, „ძველი ცოდვების“ გახსენების უშეღავათო ბრალდება მოეხსნა იმ პატიოსან მწერლებს, რომლებიც დიდი ხანია, რაც დამდგარიყვნენ საბჭოთა მწერლობის პლატფორმაზე. ეს დიდი ფაქტი იყო.

ტიციან ტაბიძე წერდა: „ბევრი მწერალი ამ ყრილობიდან დაბრუნდა და უფრო ბევრი კიდევ სხვა ადამიანებად დააბრუნეს. ასე გაივლს

ისტორიული მიჯნა საბჭოთა მწერლობის აგვისტოს ყრილობაზე... საერთო აზრია, რომ ქართული მწერლობა ყრილობაზე წარმოდგენილი იყო იმ ისტორიული მასალისა და მასშტაბის შენარჩუნებით, რაც მას წარსულში და დღესაც დაუმსახურებია.

პირველად მთელი ქვეყნის გასაგონად ყრილობაზე წარმოითქვა სიტყვა რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, საბა სულხან-ორბელიანის და „კალმასობის“ ავტორის იოანე ბატონიშვილის შესახებ... უნდა სისწორით და პირდაპირობით ითქვას, რომ ამ ყრილობაზე ქართულ პოეზიას ხედა ბრწყინვალე გამარჯვება, რომელზედაც ორი-სამი წლის წინათ ოცნებაც კი არ შეიძლებოდა“ („ლიტერატურული გაზეთი“, № 17, 1934 წ. 30 სექტემბერი).

ყრილობის პირველი შთაბეჭდილებანი განუზომლად დიდი იყო. მაინც ერთგვარი უკამყოფილება იგრძნობოდა რაპპელების წრეში, მეორე მხრივ რევანშის განწყობილება იჩენდა თავს მეორე ბანაკში. პირველი თვეების ეს განწყობილება ყველაზე მკვეთრად გამოვლინდა საქართველოს მწერალთა 1934 წლის ივნისის პლენუმზე. მოხდა ყოფილ დაჯგუფებათა ერთგვარი დაპირისპირება მხატვრული ოსტატობის საკითხის გამო. ძველი თაობის წარმომადგენლები, სიტყვის ცნობილი ოსტატები ბრალს დებდნენ პროლეტარულ მწერლებს „თითქოს ისინი ქართული პოეზიის ისტორიას იოსებ დავითაშვილით იწყებენ“. ამის გამო პანტელეიმონ ჩხიკვაძე წერდა: „ჩვენ ყოველად მიუღებლად მიგვაჩნია ჩვენი პროლეტარული მწერლობა და საერთოდ, ტენდენციური ლიტერატურის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ტრიბუნის გამოყენება, როგორც ამას საქართველოს მწერალთა კავშირის ივნისის პლენუმზე ჰქონდა ადგილი და მისი რეციდივების შემდეგადაც გრძელდება იმავე მისამართით და იმავე დებულებით... ვინც რევანშის აღებას მოინდომებს სასტიკად უნდა შევებრძოლოთ... დასკვნა ასეთი უნდა იყოს: საბჭოთა მწერლობა ყრილობის შემდეგ შედის მუშაობის ახალ პერიოდში...

პროლეტარული მწერლობა საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ისტორიაში მუდამ მოწინავე როლს თამაშობდა იდეოლოგიის ფრონტზე... ასეთ წამყვან როლს ითამაშებს ის მომავალშიაც“ („ლიტერატურული გაზეთი“... 1934 წ., № 17). ამავე საკითხს ეძღვნებოდა, ან უფრო სწორად, ყრილობის დღის წესრიგში დაყენებულ ფორმათა მრავალფეროვნების საკითხს შეეხებოდა „ლიტგაზეთის“ მომდევნო ნომერში დაბეჭდილი ბესო ჟღენტის წერილი „საჭიროა თუ არა შემოქმედებითი მიმდინარეობანი“ და ირაკლი აბაშიძის „გამოგონილობის გზით“.

ყრილობის შემდეგ ერთბაშად გამოცოცხლდა ლიტერატურული ცხოვრება, დაიწყო შემოქმედებითი დისკუსიები და კამათი მწერლობის

სასიცოცხლო საკითხებზე. საკითხთა მთელი ეს წრე მიზნად ისახავდა, მწერლობის მიერ ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, სოციალისტური რეალიზმის მწერლობის უფრო განმტკიცებას და გამრავალფეროვნებას.

მორიგმა პლენუმმა ასეთი რეზოლუცია მიიღო: „მაგრამ და თავისუფალმა კრიტიკამ რაპის მისამართით ფორმალიზმის რეციდივები განაპირობა. ფორმალიზმი ახალი სამოსელით დაუპირისპირდა რეალიზმს საერთოდ და, კერძოდ, პროლეტარულ მწერლობას. ყრილობას უიდეობის, აპოლიტიკურობის წინააღმდეგ მანიფესტი კი არ გამოუცხადებია, არამედ რაპის გაუქმებით საბჭოთა მწერლობას, სოციალისტური რეალიზმის მწერლობას, რომელიც ლენინის პარტიულობის პრინციპებს ეფუძნება, გზა გაეხსნა ახალი აღმავლობისათვის“.

ქართული სიტყვის ოსტატები აქტიურად ჩაებნენ შემოქმედებით შთაგონებულ შეჯიბრებაში საბჭოთა ადამიანების გმირული შრომის გამომხატველი მაღალიდღურ და მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა შესაქმნელად, აღმავალი გზით წავიდა მწერლობის და ხალხის განუყოფელი კავშირი, საბჭოთა ხალხების ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებას ხელს უწყობდა ქართველი მწერლების მუდმივი კონტაქტები მოძმე ერებთან. კ. გამსახურდია მოგზაურობს უკრაინაში და ქმნის სოციალისტური უკრაინის საგალობელ ჰიმნს — „უკრაინის თემიდას“, ტიციან ტაბიძე მოგზაურობს საბჭოთა სომხეთში და წერს ლექსებისა და ნარკვევების ციკლს „სომხეთზე“, მთელი ბრიგადა ქართველი მწერლებისა ბ. ზუაჩიძე, კ. ლორთქიფანიძე, ალ. ქუთათელი, ი. მოსაშვილი, რ. გვეტაძე, ერთ წელს დაჰყოფენ საბჭოთა ბელორუსიაში, ამ მოგზაურობის ნაწილისა და გაგონილის მიხედვით ქმნიან ლექსების, ნარკვევების, მოთხრობის ციკლს. აქ ცალკე აღნიშვნის ღირსია კ. ლორთქიფანიძის „ბელორუსული მოთხრობები“, რ. გვეტაძის „ბელორუსული ნოველები“ და ი. მოსაშვილის ლექსების ციკლი — „ბელორუსიაში“. ასევე საქართველოში მოგზაურობენ და წლობით ცხოვრობენ მწერლები: ნ. ტიხონოვი, კ. პაუსტოვსკი, ბ. პავლენკო, ლეონიდ ლეონოვი, მ. ბაჟანი, ბ. პასტერნაკი და სხვები და ქმნიან ლექსების, მოთხრობებისა და ნარკვევების მთელ ციკლებს, მაგალითად, ნ. ტიხონოვის „ლექსების ციკლი საქართველოზე“, კ. პაუსტოვსკის „კოლხიდა“, და სხვ. ეს ნაწარმოებები არა მარტო ხელს უწყობენ საბჭოთა ხალხების ცხოვრების ურთიერთგაცნობას, არამედ ჩვენს ადამიანებს, ზრდიან ინტერნაციონალიზმის მაღალი იდეურობით და ამავე დროს ხდება ნაციონალური ლიტერატურების ურთიერთგამდიდრება და სოციალისტური რეალიზმის პოზიციების გაფართოება და გაღრმავება. ქართული საბჭოთა მწერლობა გაბედული შემოქმედებითი ძიებით და ნოვატორობით სახელს გაითქვამს მთელს საბჭოთა კავშირში. ამის პირველი საკავშირო

დემონსტრაცია იყო ქართული ხელოვნებისა და მწერლობის დეკადა, რომელიც 1936 წელს დიდი ტრიუმფით ჩატარდა მოსკოვში. მთავარი მონაპოვარი პირველი ყრილობის შემდეგ იყო თანამედროვე ქართული მწერლობის დიდი აღმავლობა და მისი საერთაშორისო ასპარეზზე გატანა. ამავე მიზანს ემსახურებოდა რუსთაველის იუბილე.

1937 წელს თბილისში რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისადმი მიძღვნილი საკავშირო მწერალთა გამგეობის საიუბილეო პლენუმში ჩატარდა და ეს გადაიქცა ქართული ეროვნული კულტურის დიდ დღესასწაულად. ამას მიუმატოთ ილიას, აკაკის, ვაჟას, გურამიშვილის იუბილეები — ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მწერლობის საერთაშორისო აღიარება.

ამავე დროს გზა გაეხსნა ქართულ კლასიკურ და თანამედროვე მწერლობას მსოფლიო არენაზე. გაზეთმა „პრავდამ“ რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა რიცხვში ჩარიცხა, ხოლო ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურად გამოაცხადა. რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გურამიშვილის იუბილემ ხელი შეუწყო რაპკელების მეოხებით დანერგილ გაბიაბრუების, უპატივემულობის და უსამართლობის ლიკვიდაციას კლასიკური მემკვიდრეობის შეფასების საქმეში. სწორ მარქსისტულ-მეცნიერულ გზაზე იქნა დაყენებული კლასიკოსების შეფასება. ამ ფაქტით აღფრთოვანებული ივანე ჯავახიშვილი წერდა: „საბედნიეროდ ამ უმაგალითო უმადურობას უკვე საბოლოოდ ბოლო მოეღო და უეჭველია მთელი საქართველო გულწრფელ მადლობას უძღვნის იმას, ვისი წყალობით ეს საშინელი უსამართლობა მოსპობილია და ილია ჭავჭავაძის დიდი ღვაწლიც საქართველოს წინაშე ღირსეულად შეფასებულა“ (იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1936 წ. № 153, 6 ივლისი).

გაჩაღდა ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის პრობლემების კვლევა-ძიება და შეიქმნა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი. დიდი მასშტაბი მიეცა ქართული კლასიკური და თანამედროვე მწერლობის საუკეთესო ნიმუშების თარგმნას რუსულსა და სხვა მოძმე ენების ხალხთა და უცხოურ ენებზე. ასეთი ფართო ასპარეზი არასოდეს ჰქონია ქართულ მწერლობას მანამდე. ყველაფერმა ამან გამოიწვია დიდი გააქტივება ქართული მწერლობისა.

მთავარი თემა, მთავარი გმირი საბჭოთა მწერლობისა, როგორც ეს მაქსიმ გორკიმ განსაზღვრა მწერალთა პირველ ყრილობაზე, არის შრომა, ე. ი. შრომაში დასაქმებული საბჭოთა ადამიანები. ხალხის შრომის პროცესით ორგანიზებული ახალი სოციალისტური სამშობლოს პათოსი და რწმენა. შეიცვალა ამ რიგითი ადამიანის დამოკიდებულება

თვით შრომასთან. შეიცვალა ადამიანის მორალური და მოქალაქეობრივი სახეც. ახალი ტიპის შრომის ადამიანები, საბჭოთა ადამიანები დაიბადნენ და გაიზარდნენ სოციალისტურ წარმოებასთან ერთად. ამ ახალ ადამიანებს, რომელთაც ძველი სამყაროს გარდაქმნა დაესახაზ მიზნად, ყველგან შევხვდებით, ფაბრიკა-ქარხნებში, წარმოება-დაწესებულებებში, შახტებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე. მწერლობაში ადამიანის, სწორედ ახალი ადამიანის, გამოხატვა გახდა ძირითადი საგანი. ამავე დროს მწერლობას უნდა ემხილებია ნეგატიური მოვლენები, ხელშემშლელი ფაქტორებიც კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში და ეს ნეგატიური გმირებიც ახალი ცხოვრების დაცვის ფონზე უნდა გამოეხატა. სოციალიზმს ვაშენებდით ძველი საზოგადოებრივი ყოფის გადმონაშთების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში. კერძომესაკუთრული ინსტინქტების, მექრთამეობის, მეშინების, კარიერისტების, ბიუროკრატების, სოციალიზმის აშკარა და შენიღბული მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი მწერლობა გვერდში ედგა ჩვენს სახელმწიფოს. საზოგადოებრივი მანკიერებანი დღის სინათლეზე გამოქონდა საბჭოთა მწერლობას. სტალინმა მწერლობას ადამიანის სულის ინჟინერი უწოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველანაე რთული, ყველანაე მაღალი მორალთა ადამიანის პატიოსნების ფაქტორი, ადამიანის სულიერი სამყაროს გამოხატვა, რომელიც უნდა გამხდარიყო მწერლობის ამოცანად. არა იმის მექანიკური აღწერა თუ რამდენი ტრაქტორი გავიდა საკოლმეურნეო მინდორზე, არა იმის ბუხპალტრული აღრიცხვა თუ რა ძრავები, მოწყობილობები და ტექნიკური აღჭურვილობა გააჩნდა ჩვენს ქარხნებსა და ფაბრიკებს, არამედ ამ საკოლმეურნეო მინდვრებზე, ქარხნებსა და ფაბრიკებში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და ლაბორატორიებში დასაქმებული ადამიანების სულის სიდიადის გამოსახვა, მათი მორალური და მოქალაქეობრივი სახის აღმოჩენა და წარმოჩინება მხატვრულ სიტყვაში იყო მწერლობის ამოცანა, თავად. ადამიანის ადამიანურ საიდუმლოებათა ამოხსნა და გამოხატვა. ამიტომ ეს საწარმო თემაც, საკოლმეურნეო თემაც, ინტელიგენციის თემაც არა აბსტრაქტულად, არა აღწერითი ფორმით უნდა გადმოეცა მწერალს, არამედ ამ ადამიანის სულის დიდი აზრებისა და გრძობების საიდუმლოებათა წვდომაში უნდა გამოჩენილიყო მწერლის ძალა და ნიჭი. ასე დადგა 30-იან წლებში მწერლის, როგორც ადამიანის სულის ინჟინრის წინაშე მოვალეობა: დაეხატა თანამედროვე გმირის ცოცხალი ხორცშესხმული სახე განზოგადებულად და ტიპურად.

სოციალისტური რეალიზმის მწერლობა კლასიკურ მწერლობას უნდა გაჯიბრებოდა, როგორც ახალი ტიპის ნოვატორული მწერლობა. ერთი მხრივ, ყოველგვარი პრიმიტივიზმის და ტრაფარეტის, მეორე

მხრივ, ფორმალისტურ ენგლიზობასთან წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა განვითარებულიყო თვისებრივად სრულიად ახალი ტიპის მწერლობა. შრომით, იფლანტით, წვალებით, შიმშილით, გაპირვებათა გმირული გადალახვით შექმნილ და აშენებულ სოციალისტურ საზოგადოებას მისი შესაფერი მხატვრული ძალისა და ენერჯის ნაწარმოები უნდა შეექმნა და შექმნა კიდევ.

პირველმა ყრილობამ სწორედ ვხა ასეთ მწერლობას გაუხსნა.

ოცდაათიან წლებში მრავალი ბრწყინვალე ლექსი გამოაქვეყნა დიდმა ქართველმა პოეტმა ვალაკტიონ ტაბიძემ. აქ უნდა მოვიხსენიოთ სამოქალაქო პოეზიის განუყოფელი ნიმუში „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ“ 1931 წ. „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ — დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ... დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექსს — ეს წელიწადი დღე და საათი...“ პოეტმა 1932 წელს გამოაქვეყნა პოლიტიკური ლირიკის ნიმუში — „იდეა“. „რწმენით იარ, რწმენით იარ! მტკიცე გქონდეს ბიჯი! ყოველ ნიჭზე ძლიერია ქვეყნის დაცვის ნიჭი!... ერთხელ, დამით, ცეცხლის აღზე მივდიოდით ტოლნი, მივდიოდით და, პა. თვალწინ აღიმართა სმოლნი! სმოლნი! სმოლნი! აქ — იმ დროის მახვილი და ბრძმედი — ჰქუხდა რწმენით მსოფლიოსი ერთი მეექვსედი. ის, ტიტანი, ვინ თქვა სახლად, მრავალ დამენათევს სწევს იდეა მალა — მალა, ზრუნვა ტვირთად ადევს... და, როდესაც თვალს აცეცებს ლულა ტყვიამფრქვევის, გუშაგის ხმას: — თქვენ ვის ეძებთ? ვუპასუხე: — ლენინს!!!!...“

სამოქალაქო პოეზიის საუკეთესო ნიმუშების გვერდით გ. ტაბიძე აქვეყნებს ინტიმურ-პატრიოტული ლირიკის თვალმარგალიტებს:

ზოგს ოქრომკედით მონაქსოვარი,
სურათი რამე კარგზე მგლოვარი,
ზოგს ვარდი წიგნში ჩანატოვარი —
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

ბარათი, სისხლის ცრემლ-ნატბოვარი,
ბეჭედი, ძვირფას ალთა მთოვარი,
საყურე, ტკბილის ჩრდილის მთხოვარი —
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

თმა, როგორც განძი ძნელ საშოვარი,
წიგნი რამ ომით მონაპოვარი —
საფერტლე მამის დანატოვარი —
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

სამშობლოვ, მარად მსასოვარი,
პა, ჩემი ჩანგი სწორუპოვარი,
პა, ჩემი გულიც, თანამგზოვარი —
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

ამ ლექსს თარიღად უზის 1934 წელი. 1935 წელს გამოაქვეყნა „ჩანგო“, „ბევრი კარგი დრო“: „ჩანგო ჩვენ ხომ ხალხისთვის ბრძოლა არ გვზარებია, მოღრუბლულხარ, ეშხითაც გამოგიდარებია“. 1936 წელს: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“. ვწერ ვინმე მესხი მელექსე, რაც კი მივლია მე გზები, ჯერ ლექსი მწვავდა, მერე მზე, ჯერ მზე და მერე ლექსები“. ლირიკული ლექსების ამ ციკლს კრავს გულთამხილავი პოეტური მიმართვა ქუთაისისადმი (1938 წ.): „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო, თუ მაისის ქუთაისმა გკითხოს, ვინა ხარო, უპასუხე, რომ სუნთქვა ხარ, არ უთხრა კი — ვისი, ისეც იგრძნობს ქუთაისი, ჩემი ქუთაისი!“ ცალკე უნდა გამოეყოთ ერთიანი, მთლიანი, განუყრელი საბჭოთა საქართველოს პატრიოტული ჰიმნი „მშობლიურო ჩემი მიწავ!“ (1940 წ.). პოეტს უყვარს საქართველოს გმირული წარსული — „სული ქართლის ცხოვრებისა და რუსთველის აღმაფრენა“, მაგრამ იცის, რომ ძველად საქართველოს არასოდეს უნახავს მოსვენება. „საქართველო — საომარი იყო ლელო“. ჩვენს დროში აღორძინდა, განახლდა ქვეყანა: — „სხვა XX საუკუნე არასოდეს არ ყოფილა“, მამათა და ძმათა სისხლით მორწყული მიწა ქართული გვეძახის დავიკვათ მამული ჩვენი. ნაციონალურ ჰიმნად უღერს პოეტის სიტყვები:

„მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ!“

1935 წელს პარიზში შედგა მწერალთა კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესი. ეს იყო პირველი მსოფლიო ანტიფაშისტური კონგრესი, რომლის მოწვევა დაკავშირებული იყო ანრი ბარბუსისა და რომენ როლანის სახელებთან. საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობის შემდეგ ჩვენი მწერლობის საერთაშორისო ავტორიტეტი უაღრესად გაიზარდა. ახლა არც ერთი დიდი საერთაშორისო ფორუმი ისე არ ეწყობოდა, რომ მასში მონაწილეობა არ მიეღოთ საბჭოთა მწერლებს. საბჭოთა მწერლებიდან პარიზის ამ კონგრესში მონაწილეობდნენ: ალექსი ტოლსტოი, ილია ერენბურგი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ვსევოლოდ ივანოვი, ფეოდორ პანფეროვი, იაკობ კოლასი და გალაკტიონ ტაბიძე. გალაკტიონი კონგრესის პრეზიდენტის წევრად აირჩიეს. იგი გამოდის სიტყვით და აქტიურად მონაწილეობს კონგრესის მუშაობაში. საქართველოში დაბრუნებისას აბარებს ანგარიშს მწერალთა კავშირს — გამოდის ვრცელი მოხსენებით კონგრესის მუშაობის თაობაზე. პარიზიდან დაბრუნებულმა პოეტმა გამოაქვეყნა ლექსების მთელი ციკლი ევროპაზე. („რას იპოვი აქ, საზღვარგარეთ“, „ანრი ბარბუსი კონგრესზე“, „უმშუშევარი“, „რუსთაველი პარიზში“, „მუშის სიტყვა“, „პუშკინი პა-

რბზში“, „მოხუცი მწიგნობარი“, „ლუმანიტეს“, „სიკვდილი უმუშევარი-
სა“, „მონ-პარნასი“, „ეიფელის კოშკზე“ და სხვ.). ეს იყო ქართულ მწერ-
ლობაში პირველი ლექსების ციკლი კაპიტალისტურ ევროპაზე ქარ-
თველ საბჭოთა პოეტის თვალთ დანახული. იგი იდეურად და მხატ-
ვრულად აფართოებდა და ამდიდრებდა ქართული საბჭოთა მწერლობის
არეს.

გიორგი ლეონიძე ოცდაათიან წლებში ჩამოყალიბდა, როგორც
ქვემოთაღნიშნული საბჭოთა პოეტი. მისი პოეზიის მთავარი თემა ხდება საბ-
ჭოთა სინამდვილე, რევოლუციური საქართველო. პოეტმა გულწრფე-
ლად უმღერა ახალ საქართველოს, საბჭოთა სამშობლო პოეტის ოპტი-
მისტური განწყობილების წყარო გახდა. ეს განწყობილება აისახა ამ
პერიოდის საუკეთესო ლექსებში: „სამშობლოს“, „მშობლიურ, ტბი-
ლი, მოწყალე“. „უმღერ სამშობლოს“... ლექსების ეს ციკლი დედა-
სამშობლოს განუმეორებელი პატრიოტული საგალობელია:

„ღამდგარა ჩემი სიმღერის ჯარი,
ეს ყვაილები მე დავაგროვე,
მე ვარ სამშობლოს ჩუქურთმის მკრელი
ვარ ახალ ქართლის თანამედროვე

გულის ნათელი მე მიპოვნია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი,
სამშობლო — ჩემი გულის ფეთქება,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი“.

ასეთივე პოეტური აღმოჩენებისა და ორიგინალური ხელწერის
უბრწყინვალესი ნიმუშებია: „მამ რა უყვით პოეტებო“, „ოლე“, „წყნე-
თის ვარდი“, „მისალმება აზერბაიჯანის პოეტებისადმი“. „დედა-ენა“,
„ნინო ჭავჭავაძეს“, „ვეფხისტყაოსანს“, „ვაჟა-ფშაველას“... გ. ლეონი-
ძემ სრულიად ტრადიციულ თემატიკაში — პატრიოტულ და სატრფი-
ალო ლირიკაში ორიგინალური, ახალი ინტონაციები შეიტანა, ახალი
აღმოჩენებით გაამდიდრა ეს ძველისძველი თემები. განსაკუთრებით თა-
ვი იჩინა პოეტის ორიგინალურმა ხელწერამ სატრფიალო ლირიკაში.
პოეტის აზრით სილამაზე, მშვენიერება ისევე უკვდავია, როგორც
„სული ქალისა“. „ყვიჩაღის პაემანში“ 1928 წ. წამოყენებული ეს დე-
ბულება უფრო გააღრმავა 1938 წელს დაწერილ ლექსში — „ნინო
ჭავჭავაძეს“.

„თუ გადაშრალი შენ ხარ ვარსკვლავი
ახლაც მინათებს შენი მშვენიება.
შენგან შევიტყვე, რომ სილამაზეს
არ უწერია გადაშენება...“

ასი წლის შემდეგ მე შენ გიგალობ
ათას წელს გასძლებს შენი მშვენიება
შენ, — სილამაზის ნაზო გრიგალო
შენგან აროდეს მომესვენება“.

ცალკე უნდა გამოეყოთ გ. ლეონიძის პოემა „სტალინი. ბავშვობა
და ყრმობა“.

ქართული პატრიოტული ლირიკის უბადლო ოსტატის გ. ლეონიძის
ეს პოემა ერთგვარი შექამებაა იმ თავანკარა საბჭოთა პატრიოტული
მრწამსისა, რომელმაც ღრმად გაიღვა ფესვები „მშობლიურ მიწაში“ —

„მშობელ მიწაში მიდგას ფესვები, როგორც წყალში დგას წნორის ძირები“.

გ. ლეონიძის ამ პოემაში — „სტალინი. ბავშვობა და ყრობა“ მშობელი მიწის პატრიოტული ალი გიზგიზებს. ეს ალი ახალი სხივით ანათებს ამ პოემის სოციალურ, ეროვნულ, პოლიტიკურ ქსოვილს.

ეს წმიდათაწმიდა ქართული პოემაა, ჩვენი სამშობლოს ბედზე და მის მომავალზე დაწერილი, დაწერილი დიდი პოეტური გზნებით, აწეული პათეტიკური ტონით.

გ. ლეონიძემ პირველმა სცადა ასე ფართოდ მოფიქრებული, მხატვრულად განზოგადებული ეპიკური ნაწარმოების შექმნა. პოემა სამი ნაწილისაგან შედგება. პროლოგში დახატულია საქართველოს ბუნების მონუმენტური სურათი და ამ ფონზე ნაჩვენებია ქართველი ხალხის გაუტეხელი ეროვნული სულისა და ნებისყოფის სიდიადე. ამ სურათის აღწერას პოეტი უკავშირებს ხალხურ ლეგენდას ამირანის შესახებ, რომელმაც ხალხს შეაყვარა და ასწავლა ბრძოლა ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ. ქართველი ხალხის სიმტკიცის თავისებურ სიმბოლოდ გამოყენებულია მთები. პოეტი მთას ხატავს როგორც ხალხის სიმტკიცის, სიდიადის, სიმალის სიმბოლოს. თავისუფლების მოტრფიალე ხალხს, ალეგორიულად, განასახიერებს ბუმბერაზი მთები. ამ მოუდრეკელი მთების შვილებს ბევრჯერ მოუწოდებდა განადგურება, შაჰი, სულთანი, იმპერატორი ებრძოდა საქართველოს:

„დაგვწეეს, დაგვდაგეს და ვერ წაიღეს თავისუფლების ამაყი სული.
იგი გაღურჩა ბოკილს და ციხეს, ის მთებში იყო გადახიზნული“.

ბუმბერაზი მთების აღწერას ცვლის ქართლის თვალწარმტაცო პეიზაჟები. ქართლის ნოყიერი ბუნება, მისი მრავალფეროვნება და სურნელება აქ ისეა წარმოდგენილი, რომ თითქმის ხელშესახებად გრძნობ და განიცდი მას. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს დიდი ლირიკული ექსპრესიით დაწერილი ფერწერული ლექსი „ქართლის ბალი“.

„ბრწყინავს ქართლი — ვარდის ბალი,
შეფრქვეული მინანქარით,
იაჯუნდის წვიმა დასწვიმს,
სურნელების დაჰქრის ქარი.“

ელავს ბალი — ხობის ყელი,
შვიდ მაისის წვიმით მთვრალი,
მთებს და ველებს დასთამაშებს
გაზაფხულის მწვანე თვალი“.

ბუნების ამ ოსტატურ სურათებს თვითმზნური დანიშნულება როდი აქვს. ისინი ვარკვეულ მიზანს ემსახურებიან. ამ ფონზე შლის პოეტი ღრმა იდეურ შინაარსს. ქართლის ბუნების ამ კალთებში გაატარა თავისი ბავშვობის დღეები ჯულაშვილმა. აქ გაეცნო ის ხალხს და აქ შეითვისა ცხოვრების სიბრძნე და ასე, პოეტი გვაახლოებს ქართლის გულთან — გორთან.

პოეტი გორს განსაკუთრებული სიყვარულით ხატავს. ქალაქი გორი

ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის ბედს განასახიერებს. ეს ქალაქი მტრებმა მრავალჯერ დაანგრიეს და ააოხრეს, მაგრამ აღადგინა და განაახლა იგი ქართველმა ხალხმა. გორი გადაურჩა ისტორიის ქარტახის:

„ძველი ქალაქო, მცირე ქალაქო, შენმა ნათელმა ხმელეთს უწია, რამდენიც უნდა გადმოალაგონ, შენებრ ნაყოფი ვის მოუცია?“

გ. ლეონიძე პოემაში გვაძლევს სოციალურ და პოლიტიკურ დახასიათებას იმ ეპოქისა, როდესაც. „კომუნისტური პარტიის მან: ფესტის“ ავტორების სიტყვებით რომ ვთქვათ, აჩრდილი დადიოდა ევროპაში, აჩრდილი კომუნისზმისა. ამ მხრივ პოემას აქვს ეპიკური ნაწარმოებისათვის საჭირო სოციალური ფონი. გ. ლეონიძე ოსტატურად და ორიგინალურად იძლევა გორის და საერთოდ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ყოფის სურათებს: გლეხი, მეტივე, მკედელი, მეჭურჭლე, თერძი, ხურო თუ მესტიერე და მათთან ერთად რკინიგზელი მუშა — აი ის სოციალური წრე, რომელსაც პოეტი აღწერს. ისინი ერთნაირად განიცდიან ჩაგვრას, დამცირებას და შეურაცხყოფას და ერთნაირადვე შესჩივიან ბედს. მათ აწუხებთ კითხვა:

„ღობვე, რადა ხარ დაბალი, მდიდარის გადასათელი,
რაღ ვერ ანათებს ღამეში ღარიბი კაცის სანთელი?“

არა მარტო გლეხია გახვეული „შიმშილისა და სიღარიბის კალთაში“, არამედ მკედელი, რომელიც გახურებულ რკინას კვერავს, მაგრამ დაბერდა და შრომით ლუკმა ვერ უშოვნია: ამ ბედშია აგრეთვე მეჭურჭლე, რომელიც „თიხას ზელს და ჯამს აკეთებს“ და მაინც ჯამი ცარიელი აქვს, თერძიც, რომელსაც „ბედმა ახალუხზე სიღარიბე დააყერა“. მწარედ შესჩივიან ბედს შრომისაგან წელში მოხრილი ულუკმაპურო შრომელები და გამოსავალს ვერ პოულობენ. ხოლო რკინიგზელი მუშა უკვე ხედავს პერსპექტივას:

„ძაღლის პურს ეკამთ მეზობლებო, სისხლით არის გამოცხვარი,
გვერუპაუნ და ხმას ვერ ვიღებთ, ვით პარსვის ღროს ბაკვი ცხვარი.
მარტო ხენწმით ფეხშეკრული — ვინ მოიგო ხენწმით ბრძოლა?
ძმებო, გვეყო. არა კმარა მჩაგვრელების ფეხქვეშ წოლა?
იყოფთ რომ ჩვენ ხელთ არი ჩვენი ბედის გამარჯვება,
გულზე ნაპარს გადაახეთქავს, ერთ ალაგას არ დარჩება?“

მუშის ამ ოპტიმისტურ შეხედულებას მომავლის რწმენა შეაქვს ხალხში. „მონობის და ტანჯვის მსხვერპლი“ ხალხი აღდგება, მას გაუძღვება რევოლუციური ახალგაზრდობა და ბრძოლით მოიპოვებს მომავალს.

გ. ლეონიძეს პოემაში სწორად აქვს წარმოდგენილი ჩვენი წარსულის სურათები. მთელი ჩვენი ისტორია წარსულში იყო უსანაროლობის,

მშრომელი ხალხის მონობისა და ჩაგვრის ისტორია. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „არწივის ფრთები“. ჩვენი ქვეყანა მშრომელთა ჯაფითა და მხნეობით არის ნაშენები. ხევებში თხრიდნენ მადნეულს და „ასე სწურავდნენ ზოდებად ოქროს“, „კომუებს აგებდნენ ცათამდე, ჯოგს აშენებდნენ, გზებს კრიდნენ“, „მათი ოფლის ნაწვიმარით მორწყულია მთა და ბარი“. მაგრამ მშრომელ ხალხს შიმშილი და სიღატაკე მიანიც არ შორდებოდა. ხალხის ნაშრომი ბატონებს, მჩაგვრელებს მიჰქონდათ: „გადასახადი ზღვა იყო, ბატონი დაუდევარი“.

„კომბალს ეყუდნენ, ვაზის რქას. გუთნისფრთას — ღამის მთვეელი, მხოლოდ საფლავი ჰქონიათ ბატონის წაერთმეველი“.

ხალხის ტანჯვის, მონობისა და მძიმე სოციალური ცხოვრების მოწმეს და მონაწილეს, ყრმა სოსოს არ ასვენებს ფიქრი ხალხის ბედზე. მას უყვარს და იტაცებს ცხოვრება სახალხო გმირის არსენასი, რომელიც ხალხის მტარვალებს შეება. ბავშვის წარმოდგენაში ცოცხლობდა უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული არსენა:

„სოსოს წინ დადგა ვაკაიცი, თქვის ქუდსა და ჩოხაში,
— ბიჭო შე დედისერთაო, გაზრდილო ხალხის ოხრაში!“

ასევე უყვარს ბავშვს და იტაცებს კაკო ყაჩაღის თავგადასავალი, კობასა და იავოს ბრძოლა მოძალადეების, მჩაგვრელების წინააღმდეგ მაგალითად ესახება სოსოს.

ქართველი ხალხის მძიმე სოციალური ცხოვრების ისტორია და ამასთან მისი დიდი სულიერი კულტურა — აი ამ ფონზე გვიხატავს პოეტი ეპოპეის ცენტრალურ გმირს — ყრმა სოსოს. ბავშვობიდანვე განამსკველა სოსო არსებული ცხოვრების პროტესტისა და მჩაგვრელებისადმი სიძულვილის გრძნობით. ამიტომ მას იდეალად ეხატება ხალხის სამსახური, მშრომელთა სიყვარული.

პოემაში საინტერესოდ არის მოცემული ჯულაშვილის წინაპრების, მშობლების, სკოლის, ამხანაგების წრე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზაზა ჯულაშვილი. ერისთავ მაჩაბლის ყოფილი ყმა ზაზა ჯულაშვილი აუჭანყდა ბატონყმობას. ადამიანის დამამცირებელ წესს. იგი შეებრძოლა თავადებს: „როგორც გლეხი მემამოხე ციმბირს, ტყვიას, სახრჩობელას გადაღრჩა არა ორხელ“, ჯულაშვილების ეს სახელოვანი წინაპარი წიგნში ცოცხლდება, როგორც უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი გლეხის ძლიერი სახე.

ეპოპეის პირველი წიგნი თავდება სოსოს მოწაფეობის წლებით გორში. პოეტი დიდი ოპტიმისტური განწყობილებით ხატავს ღრნალურ სურათს. ხალხში გასული სოსო და მისი ამხანაგი სიმღერით ბრუნდებიან შ-ნ. მათ სწამთ, რომ არ არის ძალა, რომელიც შეაჩერებს აზვირ-

თებულ, თავისუფლების მძებნელ ხალხს. ეს რწმენა ასეთი ოპტიმისტური სიტყვებითაა გადმოცემული.

„სხივგაყრფილი მზე ჩადის,
ვარსკვლავმაღ შეიქახუხა...
მზე ჩადის...
მზე ხვალ ამოვა —
უფრო დიდი და ჩახჩახა!“

გ. ლეონიძის „სტალინი, ბავშვობა და ყრმობა“ ყურადღებას იპყრობს, როგორც ეპიკური ნაწარმოების თავისებური სახეობა.

კლასიკური ქართული მწერლობის ტრადიციებს, უპირველეს ყოვლისა, პოეტური ეპოსის ტრადიციას, როგორც ცნობილია, ბრძოლა გამოუტყდა „ცისფერყანწელების“ სიმბოლისტურმა სკოლამ. მართალია, ამ სკოლამ ვერ შეძლო გადაეჭრა ქართული კლასიკური მწერლობის მაგისტრალური — ეპიკური ხაზი, მაგრამ მან მოასწრო თავისი „ლირიკული დალი“ დაესვა ქართულ მწერლობაზე.

გ. ლეონიძემ შექმნა თავისებური სიუჟეტური ნაწარმოები. შეიძლება აქ კამათის საგანი იყოს ის სიუჟეტური თუ კომპოზიციური ხერხი — ლირიკული ლექსებით სიუჟეტური ნაწარმოებთა შეკვრა, რომელიც პოეტმა აირჩია, მაგრამ ეს უფრო ეპიკური ნაწარმოების ტიპის საკითხს შეეხება.

უდავოა, რომ გ. ლეონიძემ ეპოპეის პირველ წიგნში შეძლო მკვეთრად გამოეთქვა პოეტის იდეური მიზანდასახულება. ავტორის მიზანი კი, როგორც ჩვენ ეს ზემოთ აღვნიშნეთ, იყო ეჩვენებინა სოსოს ბავშვობისა და ყრმობის ეპოქა, დაეხატა ის სოციალური და კულტურული წრე, რომელიც გარს ერტყა ბავშვს, წარმოედგინა საქართველოს სოციალური და ეროვნული მდგომარეობა, ტიპური სურათები, ეპიკური ნაწარმოების გმირთა სულიერი და პოლიტიკური ინტერესი. ავტორი სავსებით დამაჯერებლად, მაღალი მხატვრული ფორმით აღწევს ამ ამოცანის გადაჭრას. რასაკვირველია, ეს ნაწარმოები არ არის დაზღვეული ნაკლოვანებათაგან. კერძოდ, აქ გვხვდება ზოგიერთი გაზვიადებული პათეტიკური გამოთქმანი და მოჭარბებული ჰიპერბოლური სახეები. ამ მხრივ ზომიერებას ვერ იცავს პოეტი.

ქართველი რევოლუციონერების უშიშარი გმირები დახატეს: ირ. აბაშიძემ — „წულუკიძის სიკვდილი“, ი. ლისაშვილმა — „კეცხოველი“, გ. ბაახოვმა — „იცკა რიყინაშვილი“, პ. იაშვილმა — „ცხოვრება ალიოშა ჭათარძისა“, კ. ბობოხიძემ — „სერგო ორჯონიკიძე“, ანა ხახუტაშვილმა — „იოსებ ლალიაშვილი“, ე. ზედგინიძემ — „მზის ამოსვლის წინ“, ალ. გომიაშვილმა — „უკანასკნელი დღე კეცხოველისა“, ბ. ჩხეიძემ — „ძვირფასი თვალი“, დ. შენგელაიამ — „ფიცი“, პ. ჩხიკვაძემ —

„სწორუბოვარი“, ლ. სულიაშვილმა — „კედელი“. ამ ნაწარმოებებში ეს გმირები წარმოდგენილნი არიან, როგორც რეალობა და როგორც სიმბოლო თავისუფლებისათვის მებრძოლი ბოლშევიკების გვარდიისა.

პოეტმა ალიო მირცხულავა-მაშაშვილმა ამ პერიოდში რამდენიმე საინტერესო ლექსი გამოაქვეყნა. მათ შორის უნდა დავასახელოთ თანამედროვე პოეზიის ისეთი ძლიერი ნიმუშები, როგორცაა „სამშობლო“ და „ჰიმნი სამშობლოს“, სადაც პოეტმა თავისი დედასამშობლოსადმი საბჭოთა ადამიანის გულწრფელი სიყვარული მაღალი პოეტური ფორმით გამოხატა. ამავე თემას მიუძღვნა მან ლექსები „წლები“ და „გაზაფხული“.

განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ჩვენს პოეზიაში მაშაშვილის ლექსებმა: „სამშობლო“ და „ჰიმნი სამშობლოს“. საბჭოთა პატრიოტიზმის ჩაუქრობელი შუქით განათებულ ამ ლექსებში ორიგინალური პოეტური ინვენტარითა და ინტონაციითაა გამოხატული საბჭოთა საქართველოს განახლებული სახე. აქ დიდი ემოციური ძალით ცოცხლდება საქართველოს ზურმუხტოვანი ველები, მისი ატეხილი ქალები, ვაზით და ხეხილით დახუნძლული ზვრები და ბალები, ქართველი კაცის დაუშრეტელი შრომის ბარაქით აღორძინებული ულამაზესი სამშობლო ჩვენი:

„მიწა ერთია, მხოლოდ ფერებით
დაშორებულან უბნებს უბნები,
ხშირად ფოთლების ლაქვარდებიდან
ბრწყინავს ატმები და ალუბლები.
მარჯვნივ ზღვა დღეას თავთუხიანი
წაშლილან ცის და მიწის ზღურბლები,
მარცხნივ გახედავ: მთის ფერდობები
დაფარულია ცხვრების ღრუბლებით.

ჩემი ქვეყანა, ვერე ლამაზი,
შავი ზღვის პირად აღმართულია,
თავზე გვირგვინად მუდამ მზე ადგას,
მისგან ღრუბლებიც დაფანტულია.
ხან გაშლილია უგზო-უკვალოდ,
ხან ვენახებით დახლართულია,
მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი,
ცა—ფიროსმანის დახატულია“.

საბჭოთა საქართველოს სადიდებლად დაწერილი ეს ლექსები, პოეტის პატრიოტული სულის ღაღადისია.

პატრიოტიზმის ლეიტმოტივი, რომელიც განადიდებდა ჩვენი სამშობლოს მამაც ხალხს, ახალი ძალით ამეტყველდა ალიო მაშაშვილის პოეზიაში.

ჩვენი დროის ახალი ადამიანის ფსიქიკა, შრომისადმი, სოციალისტური საკუთრებისადმი მათი მაღალი მორალური დამოკიდებულება დაგვიხატა ა. მირცხულავა-მაშაშვილმა პოემაში „ენგური“. ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ეს იყო ერთ-ერთი პირველი ეპიკური ნაწარმოები, რომელიც კომპოზიციურ ნაკლოვანებათა მიუხედავად, სოციალისტურ მშენებლობასა და ახალი საბჭოთა ადამიანების მორალურ სახეს, კოლექტიური შრომის პათოსს გვიხატავდა. ენგურის ქალღმერთის ქარხნის მშენებლობის მეთაური, კომკავშირსა, მუშფაკსა და

უმადლეს სასწავლებელში აღზრდილი, ნიჭიერი და ენერჯიული საბჭოთა ინჟინერი ბურღუ შელია ამ პოემაში წარმოსახულია როგორც მოწინავე საბჭოთა ადამიანის, კომუნისტის განზოგადებული სახე. მაშაშვილმა სწორედ ამ წლებში დაწერილი ნაწარმოებებით დაიმკვიდრა ქართულ ლიტერატურაში ლექსის გამოჩენილი ოსტატისა და დიდი მხატვრული შესაძლებლობის მქონე პოეტის სახელი.

ოცდაათიან წლებში მთელი ფრონტით გაიშალა სოციალისტური მშენებლობა. მშენებლობის პათოსმა მოიცვა მწერლობაც. საბჭოთა მწერლობის მთავარი გმირი გახდა სოციალიზმის მშენებელი მოწინავე საბჭოთა ადამიანი. სოციალიზმის მშენებლობის გიგანტურ ფრონტს მეთაურობდა და წარმართავდა კომუნისტური პარტია.

ამისდა კვალად მწერლობაში გამოჩნდა პარტიული მშენებლის, პარტიული მოღვაწის მიზანსწრაფვით გამოხატული გმირი.

კომუნისტი მშენებლის სახე დახატა პ. ჩხიკვაძემ გრიგოლ გიგაურის („სართულები“), ალ. მაშაშვილმა ბურღუ შელიას სახეში („ენგური“), ესენი პარტიული მუშაკების თავისებური რომანტიკული ხასიათები არიან. ამ პერიოდის ქართველმა მწერლობამ შექმნა მდიდარი გალერეა პარტიული მოღვაწეებისა. ამ მხრივ განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს სამი გმირი სამი რომანისა — კ. ლორთქიფანიძის ტარასი ხაზარაძე („კოლხეთის ცისკარი“), კ. გამსახურდიას არზაყან ზვამბაია („მთვარის მოტაცება“), და ლ. ქიაჩელის გერა ბიგვა („გვადი ბიგვა“). ისე, როგორც ეს სამი რომანი სრულიად განსხვავებულია ხელწერითა და სტრუქტურით, ასევე განსხვავებულია ეს სამი გმირი ხასიათის გამოვლინებითა და კულტურით. ტარასი და არზაყანი შემტევი, უღმობელი, ჩახმახზე შეყენებული კომუნისტის სახეს — განასახიერებენ. კომუნისტური, კლასობრივი იდეალებიცა და მორალიც საერთო აქვთ მათ, ოღონდ კ. ლორთქიფანიძე საოცარი მომხიბვლელობითა და უანგარო თანაგრძნობით ხატავს ხაზარაძის ხასიათს, კ. გამსახურდია მკაცრი რეგლამენტირებით და აქედან გამომდინარე ერთგვარი სიცივით აღწერს ზვამბაიას საქციელს. ლ. ქიაჩელის გერა ბიგვა კი უფრო ზომიერი, ლმობიერი, დინჯი და აუღელვებელი სახეა კომუნისტი ხელმძღვანელისა.

მწერალთა პირველი ყრილობის ყველაზე ახალგაზრდა დელეგატი პოეტი ირაკლი აბაშიძე იყო.

ირაკლი აბაშიძემ პირველი ლექსი 1927 წელს გამოაქვეყნა. ხოლო მისი ლექსების პირველი კრებული საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ 1931 წელს გამოსცა. პოეტმა თავის ამ პირველივე ლექსების კრებით ერთბაშად მიიპყრო ლიტერატურული საზოგადოებრიობის ყურადღება. აქ უკვე გამომქლავდა ირაკლი აბაშიძის ორიგინალური პოეტური ინტონაცია, რომელიც შემდეგ მის ინდივიდუალურ

პოეტურ ნიშან-თვისებად ჩამოყალიბდა, შეემცდარი მუსიკალური სმენით აღჭურვილი პოეტის სტიქია ლირიკული ლექსი გახდა. იგი ქართულ პოეზიაში შემოვიდა, როგორც საბჭოთა საქართველოს რომანტიკოსი პოეტი და თავისი გზა, როგორც პოეტმა და მოქალაქემ განუყოფლად დაუკავშირა ახალი საქართველოს რთულსა და მრავალფეროვან გზას. და არ ყოფილა ჩვენს ჭეყანაში არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც პოეტი თავისი შინაგანი მოწოდებით, მგზნებარე პათოსით და ლირიკული ამღერებით არ გამოხმაურებოდეს. რთული იყო ჩვენი ქვეყნის მიერ განვლილი საზოგადოებრივი ცხოვრების გზა. ასევე რთულია ის შინაგანი ტკივილების სამყარო, რომელსაც ეფუძნებოდა პოეტი ჩვენი ეპოქის აღქმაში.

პოეტმა ირ. აბაშიძემ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლების, თებერვლის დღეების, სამოქალაქო ომის წლების რომანტიკა პირველსავე ლირიკულ ლექსში გამოხატა:

„თებერვლის დღენი, თოვლიანი თებერვლის დღენი
ყმაწვილ გონებას
მოგონებით არ მისვენებენ
ჩვენს რაიონში ორთქლიანი სამხედრო ცხენი
და მგზავრობაში გაღაფული გარნიზონები“.

ასე შემოვიდა პოეტის შეგნებაში ბავშვობის დღეთა მოგონება, დაკავშირებული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან. მახვილი პუბლიცისტური მანერით დაწერილი ეს ლექსი პოეტის ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილია. პოეტი შემდეგ კვლავ მოუბრუნდა თავის სულში აღბეჭდილ ამ დღეების ხსოვნას და ოსტატურად გააცოცხლა საბავშვო ლექსში „რატომ მიყვარს თებერვალი“?

„— ყველგან მზეა, ყველგან თბილა, რომ ჩვენს მამულს თებერვალში გაუთენდა შვეების დილა“.

ასე ძლიერად შემოვიდა პოეტის სულში, ასე დასამახსოვრებლად აღიბეჭდა ბავშვის გონებაში თებერვლის დაუეიწყარი დღეები და თვითონ პოეტმა თავისი ბიოგრაფია, თავისი გზა სწორედ თებერვლის გზას, ახალი საქართველოს გზას დაუკავშირა.

1925 წელს ირ. აბაშიძე თბილისში ჩამოვიდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიტყვიერების დარგის სტუდენტი ხდება.

ჯერ კადეც სრულიად ახალგაზრდა იყო ირ. აბაშიძე. როდესაც ლექსების წერა დაიწყო. ხონში იგი ხშირად გამოდიოდა მოწაფეთა წრეში ლექსების კითხვით. ამ ლექსებიდან ზოგი სკოლის ხელნაწერ ჟურნალში დაიბეჭდა, ზოგიც დამწყებმა პოეტმა გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციას გაუგზავნა, თბილისში ჩამოსვლისთანავე ირ. აბაშიძე „ახალგაზრდა კომუნისტთან“ არსებული ლიტერატურული წრის აქტი-

ური მონაწილე ხდება. ეს ის წლებია, როდესაც საქართველოში გააფთრებული ბრძოლა წარმოებდა საბჭოთა ლიტერატურის საფუძვლების შესაქმნელად. ირ. აბაშიძე აქტიურად ჩაება ამ ბრძოლაში.

ყოველი მოწინავე მწერალი ამ დროს უკვე მხარს უჭერდა და იბრძოდა საბჭოთა პოეზიის განმტკიცებისათვის, ხოლო დეკადენტური ჯგუფები ინერციით კვლავ განაგრძობდნენ შეტევას რეალიზმის, საბჭოთა მწერლობის პოზიციების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ძირითადი ბირთვი ახალგაზრდა პროლეტარულ მწერალთა ჯგუფი იყო, რომლის ყველაზე ახალგაზრდა თაობა თავს იყრიდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტთან“ არსებულ ლიტერატურულ წრეში. ქართული მწერლობის ძველი თაობის იმ სახელოვან წარმომადგენლებთან ერთად, რომლებმაც ერთბაშად მოაშურეს ახალი მწერლობის პლატფორმას, საბჭოთა ლიტერატურის საფუძვლებს ქმნიდა პროლეტარული მწერლობა. თუმცა მას თავის დიდ დამსახურებასთან ერთად, ცოტა შეცდომა როდი ჰქონდა დაშვებული საბჭოთა მწერლობის განმტკიცების გზაზე.

რაპკელების მიერ ერთგვარი უგულვებელყოფა წარსულის მემკვიდრეობისა, მემარცხენული დამოკიდებულება ძველი თაობის მწერლების მიმართ პროლეტარული მწერლობის მოწინავე წარმომადგენლებშიც არ პოულობდა მხარდაჭერას, მით უმეტეს, ეს განწყობილება აღიზიანებდა ძველი თაობის წარმომადგენლებს და ლიტერატურაში სექტანტური კარჩაკეტილობის საშიშროებას ქმნიდა.

აღსანიშნავია, რომ სრულიად ახალგაზრდა პოეტი ირ. აბაშიძე სწორედ ამ წლებში შეხვდა საქართველოში ვლადიმერ მაიაკოვსკის. მაიაკოვსკი დიდი პოპულარობით სარგებლობდა საბჭოთა მწერლობაში. მან განსაკუთრებული გავლენა მოახდინა სრულიად ახალგაზრდა პოეტზე. მაიაკოვსკიმ თბილისში გამართა რამდენიმე ლიტერატურული საღამო, სადაც დიდმა პოეტმა, საკუთარ ლექსებთან ერთად ქართულად წაიკითხა იროდიონ ევდოშვილის ცნობილი ლექსი „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“.

ვლადიმერ მაიაკოვსკი, მისი აზოვანი გარეგნობა, მისი მეტყველების იმერული მოქცევა, მისი უბრწყინვალესი ლექსები სამუდამოდ აღიბეჭდება ახალგაზრდა პოეტის, ირ. აბაშიძის გულში. მაიაკოვსკისადმი სიყვარულითაა გამთბარი ირ. აბაშიძის ლექსი — „ბაღდადი — მაიაკოვსკი“ და მის მიერ ვლ. მაიაკოვსკის ორი შესანიშნავი ლექსის თარგმანი „ვლადიკავკაზი — თბილისი“ და „დამკვრელი ბრიგადების მარში“.

ირ. აბაშიძემ სულ მალე მიიპყრო მკითხველის ყურადღება ორიგინალური ინტონაციებითა და ახალი პოეტური ფერებით, რომლებიც მან ქართულ პოეზიაში მოიტანა პირველი ლექსების სახით.

ირ. აბაშიძე, როგორც უკვე ითქვა, ქართულ პოეზიაში შემოვიდა, როგორც ახალი საქართველოს რომანტიკოსი პოეტი. მის სულში

დარგული ახალი პოეზიის ნერგი ოქტომბრის რევოლუციის ნიადაგზე აღ-
მოცენდა. ეს ახალი სამყარო გახდა მისი პოეტური შთაგონების წყაროც
და სათავეც, და თავისი გზაც, როგორც პოეტმა და მოქალაქემ. მან გა-
ნუყოფლად დაუკავშირა ამ ახალი საქართველოს აღორძინებას. ერთ
თავის საუკეთესო ლექსში „გაზაფხული“ (1937 წ.) ირ. აბაშიძემ მრავალ-
საუკუნოვანი ქართველი ხალხის ახალი ისტორიის თავფურცელი
გაზაფხულს შეადარა და ამით ხაზი გაუსვა განახლებული საწმინდოს
სიდიადესა და სილამაზეს.

„გაზაფხულია, რად არ მიყვარდეს მისი გაჩენა, მისი აპრილი,
მის მობრძანებას, მზეს და მის ვარდებს ევამბორები მე თავდახრილი“.

პოეტს აქ გაზაფხული ახალი საქართველოს, საბჭოთა საქართველოს
სიმბოლოდ აქვს წარმოდგენილი, რომელმაც ღირსება და პატივი დას-
დო ადამიანს, მის შრომას, მის ბრძოლას, მის ყოფნას ამ მიწაზე:

„მზეს მზე დაერქვა, ვარდებს ვარდები, კაცს დაუბრუნდა კაცის სახელი,
მან ამოაშრო ცეცხლად ნადები საუკუნეთა გულში ნადველი“.

მერე პოეტი დაწვრილებით განმარტავს, თუ რა დიდი მსხვერპლის
გაღება დასჭირდა ხალხს, რომ მობრძანებულიყო ეს გაზაფხული:

„ათას გმირის და ხალხთა მსახურის ქვეყნად რამდენი რისხვა გაისმა;
რომ კაცს დაეხსნა ეს გაზაფხული, მისს ეხარა ნამდვილ მისიად...
რა ხნის ოცნება არის ქართველის ეს გაზაფხული, რა ხნის ზღაპარი,
რა სანატრელი და სადარდელი ჩვენი წარსულის და წინაპრის“.

ირ. აბაშიძე თავისი ბუნებითა და ხასიათით ლირიკოსი პოეტია („მა-
მა“, „ყველა სიმღერა“, „პირველი თოვლის სიმღერა“, „თბილისი“).
მისი პოეტური სტიქია ლირიკული ლექსია, ხოლო ამ ლექსების ლი-
რიკული გმირი — ახალი ადამიანი. ამ ახალი ადამიანის სულის გამო-
ხატვა დასახა მან თავისი პოეზიის მთავარ ამოცანად და ეს სავსებით
მართებული პოზიცია იყო პოეტისა. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ
მაქსიმ გორკი შენიშნავდა, რომ მწერლობა ადამიანთამცოდნეობააო.
ადამიანია ყველაზე მაღალი და ყველაზე ძვირფასი ამ სამყაროში, ყვე-
ლაზე მთავარი და ყველაზე პირველი საგანი მწერლობისა.

ირ. აბაშიძის ერთ-ერთი ლირიკული ლექსი „გადარჩენის ბალადა“
(1931) მიძღვნილია ძმისადმი, რომელიც ჩრდილოეთის ყინულოვანი
ოკეანის ექსპედიციის მონაწილე იყო. პოეტმა ამ ფაქტში დაინახა ახა-
ლი ადამიანის სულის სიდიადე, მისი გმირული, ვაჟკაცური საქციელი.
ეს კონკრეტული ამბავი დიდი შთამბეჭდაობით არის გამოხატული ამ
სიუჟეტთან ლექსში. იგი პუბლიცისტური პათოსითა და შემართებით
მოგვითხრობს მსოფლიო ომის სურათებზე, ოჯახის, პიროვნების ბედ-
სა და მდგომარეობაზე და ადამიანის საზოგადოებრივი დანიშნულების
შესახებ. ამ ლექსში გამოყვანილია პირველ მსოფლიო ომში თათრების

ფრონტზე დაღუპული მებრძოლი მიქე, როგორც სიმბოლური სახე ყველა იმ ადამიანისა, რომლებიც მსოფლიო ომს შეეწირნენ. ამას მოსდევს მუქი ფერებით გამოხატული სურათი იმ გლოვისა და ვაებისა, ცრემლისა და მწუხარებისა, რაც ხალხს გადახდა პირველი მსოფლიო ომის დღეებში:

ის იყო სწორედ დღე ენკენისთვის, — მზემ დაასრულა და ჩაწვა მძიმედ,
რომ შეიკვლეს დაკარგვა მისი და, მახსოვს დიდხანს არ დაგვაძინეს.

მწერლის მიერ აქ საინტერესოადაა გაცოცხლებული მოტირალი დედის სახე, რომელშიაც განზოგადებულადაა წარმოდგენილი ომში დაღუპულთა დედების გლოვა და სევდა:

„და ჯელაქენიც შავით და თალხით ჩაუჭლა მოთქმით
და კირისუფლად ეზოში იდგა ჭავუფ-ჭავუფად ხალხი...“

ამგვარი სურათებით პოეტი ქმნის გარდასული დღეების სევდიან და გულისმომკვლელ სურათს, გვიხატავს ძველი ცხოვრების ვაებისა და სიღუბნის გამოხატველ ეპიზოდს. ეს იყო წინათ. ახლა მოვიდა ოქტომბერი და ეს ძველი ყოფა თავისი ბატონებითა და მეფეებით, მწუხარებითა და უბედურებით ისტორიას ჩაბარდა, ადამიანი წელში გასწორდა. ის ქვეყნის ბატონ-პატრონი შეიქმნა, ცხოვრებამ ფერი იცვალა. იგი ხალისიანი და ბედნიერი გახდა. ყველა ადვილად როდი შეურიგდა რევოლუციის მონაპოვარს — ამ ახალ ვითარებას, როდი გაიგო, და როდი გაჰყვა მის გზას:

„ის იკარგება უგზო-უკვლოდა, ვინაც ვერ ნახა ქვეყნად გზა-კვალი.
ქვეყნად ვისთვისაც არვის უკოდავს ერთი ბილიკიც ტერფის საკმარი“.

ამგვარ ადამიანებს ისტორიაში არასოდეს არაფერი შეუქმნიათ ხეირიანი და კარგი, მაგრამ სულ სხვაა ჩვენი თაობა, რევოლუციის თაობა, მან თან მოიტანა მქუხარე ხმები, ახალი ცხოვრების დიდი სიყვარული და შრომის პათოსი:

„შენ კი სხვა ქვეყნის სხვა ხარ თაობა, შეუპოვრობის, გმირულ ქენების,
სადაც მეტია გამბედაობა და მრისხანებენ ყინულმკრელებიც.
გასწი ხომალდო, ქარში, ავდარში, ყინვებს გაჰყვირე უცხო გალობა,
გასწი ხომალდო, ომსაც გადაერჩით და მშვიდობის დროს უგზო-კვალობას“.

ახალი ადამიანი, მისი გმირული საქციელი და მებრძოლი სული, ირ. აბაშიძის პოეზიაში მთელი ძლიერებით შემოვიდა... ჩვენი დროის მხატვარი ყველგან გრძნობს და ხედავს ახალი ცხოვრების მშენებელ ადამიანთა საარაკო ვაჟკაცობასა და გმირულ შემართებას. იგი ყველგან ხედება მათ ოჯახში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, გახურებულ ღუმელებთან, სადაც რკინას ჰედდნენ თუ ფოლადს ადნობდნენ, ჭიათურის, ტყვარჩელის მაღაროებსა და შახტებში, სადაც ამოაქვთ ნახშირი თუ

მარგანეცი, ყველგან პოულობს იგი ათასობით გმირს, ახალი ქვეყნის მშენებლობის პათოსით აღფრთოვანებულებს. პოეტი დიდი მგზნებარებით უმღერის მათს შრომის რომანტიკასა და მებრძოლ სულს.

პოეტმა კარგად იცის, რომ ისტორიას ყოველთვის ხალხი ქმნიდა. ხალხია ყოველი სიკეთისა და დოვლათის შემქმნელი ამ ქვეყანაზე, მაგრამ პოეტმა ისიც იცის, რომ შრომა წინათ სხვას ეკუთვნოდა, ერთი შრომობდა, მეორე ითვისებდა. ამიტომ შრომა ძველად ადამიანის დამცირების სიმბოლო იყო. ახალმა დრომ კი მას ბორკილები აპყარა, გაათავისუფლა, სახელისა და დიდების საქმედ აქცია. ამან დაბადა მილიონობით გმირიც და მოწინავე ადამიანიც ჩვენს ქვეყანაში. 1933 წელს ერთგვარი სიამაყის გრძნობით მიმართავდა პოეტი ჩვენი წარსულის მემკვიდრეს:

„გამიღე წიგნი, მატთანე ძველი ქართული,
ქამთა მრიცხველი, წინაპართა „ქართლის ცხოვრება“,
ამდენი კაცი მაღალი და სახელგანთქმული,
ამდენი გმირი, რომელ მათგანს ემახსოვრება.
იყო სარდალი, იყო გმირი, მტერთა გამდევნი,
ბრძენი ქართველიც უმღეროდა მხნეს და გოლიათს,
მაგრამ არასდროს დარაზმული გმირი ამდენი
გამარჯვებისთვის საქართველოს ჟერ არ ყოლია“.

საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წლებში ირ. აბაშიძე მთელი გზნებით უმღეროდა საბჭოთა ადამიანის თავდადებას სოციალისტური სამშობლოსათვის, მგზნებარე მოწოდებით გაისმოდა მისი პოეტური ხმა:

„შენ გმირო სკირდები ეპოქას, ტემპით და იერიშით ანთებულს.
ეპოქა გეძახის, როგორც კაცს, როგორც ბრძოლაში ვალდებულს“.

ირ. აბაშიძე, როგორც საბჭოთა პოეტი, მიჰყვებოდა ახალი საქართველოს გზას და მან თავისი პოეტური ბიოგრაფია მჭიდროდ დაუკავშირა ჩვენი ხალხის შრომისა და ბრძოლის გზას.

ახლა, როდესაც ხელთ ვიღებთ ირ. აბაშიძის პირველ წიგნს (1931 წ.) და ვეცნობით დიდი გულწრფელობით დახატული ჩვენი ქვეყნის სურათებს, ნათლად ვხედავთ, თუ რა სიყვარულით იყო პოეტი დაკავშირებული ახალ საქართველოსთან და მის გზასთან. ლექსების ამ პატარა წიგნში ახალი ქვეყნის შრომითა და რომანტიკით აღფრთოვანებული და გახარებული პოეტი ესაუბრება მკითხველს — იქნება ეს „საოქტომბრო პატაკი“, „რეპორტიორის დღიური“, „ჩემს ობლიგაციებს“, „ღამე რაიკომში“ თუ „სოფლად“.

ახალ საქართველოს თავფურცელი მეტად ორიგინალურად და თავისებურად გამოხატა პოეტმა თავის ამ ადრინდელ ლექსებში. მახვილი

პუბლიცისტური მანერით დაწერილი ეს ლექსები გვხიბლავდნენ ახალ საქართველოს რომანტიკული სულით, პოეტური ჩანაფიქრით და აზრის სინათლით, ლირიკული სინატიფითა და ნათელი ოპტიმიზმით. ხოლო ირაკლი აბაშიძემ ოცდაათიან წლებში უკვე საბოლოოდ მიაგნო იმ ინდივიდუალურ პოეტურ ხმას, რომელიც შემდეგ მის ორიგინალურ ხელწერად იქცა. ამის დამადასტურებლად შეიძლება ჩაითვალოს ლექსები: „მამა“, „რუსთაველის სახე კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში“ და სხვ.

„თუ იმერეთში სინათლით სავსე გინახავთ ჩვენი პატარა თემი და უსინათლო ვეკაცი გახსოვთ, — მშობელი მამა ის იყო ჩემი. მას ერთხელ გაჰკრა სიკვდილმა გვერდი და თვალში მოხვდა რჭულაძის ცელი, და მერე ჩამქრალ თვალების სევდით ოდაში იჯდა თხუთმეტი წელი. ხან თემშარაზეც ფრთხილად და ჩუმად გამოჩნდებოდა ჩალისფერ ჩოხით და სიცოცხლის და სიკვდილის შუა გზას მიიკვლევდა ბამბუკის ჯოხით და მოკვდა ისე, რომ მას სიკვდილი არ დაუნახავს — გამხმარი ძვალი და მოკვდა ისე, რომ ტკბილზე ტკბილიც არ დაუნახავს ქვეყანაც თვალით, არ ჩარჩენია ჯერად მშენება ლურჯი ველების, ლურჯი ქედების... მე კი, მე იმ დროს რა მეშველება, ორივე თვალში რომ ვიხედები“.

(„მამა“)

ვინც ამ ლექსს გონების თვალით დააკვირდება, ის ადვილად აღმოაჩენს იმ საოცარ ორიგინალურ შერწყმას, კონკრეტულისა და ზოგადისა, რომელიც ასე დამახასიათებლად არის გაბრწყინებული ამ ლექსში. სიცოცხლისა და სიკვდილის შუა ბეწვის ხიდზე გამავალი გზა, მშობელი მამის ჩამქრალი თვალით დანახული, ერთბაშად ნათლდება სიცოცხლის სილამაზის განცდით გამოწვეული. ლურჯი ველებისა და ლურჯი ქედების სიამტკბილობა სიკვდილ-სიცოცხლის დიალოგად გვევლინება. ასე იქცევა კონკრეტული, ზოგადსაკაცობრიო თემად — სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემად.

შეიძლება ითქვას, რომ ირ. აბაშიძემ ლექსებში: „რუსთაველის სახე კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში“ (1934 წ.), „თბილისს“ (1934 წ.), „პირველი თოვლის სიმღერა“ (1936 წ.), უკვე მიაგნო ინდივიდუალურ პოეტურ ხმას. ერთბაშად მოძებნა ეს ინდივიდუალური ინტონაცია. პირველი წიგნის შემდეგ (1931 წ.) ის მაინც დიდხანს სინჯავდა, გონების თვალით ამოწმებდა პოეტის მიერ მიგნებულ იმ ინტონაციებს და მე ვიტყვოდი იგი იჩენდა დიდ სიძუნწეს, ცოტას წერდა, დიდხანს ფიქრობდა და ამაშიაც მისი პოეტური სტილის ეს ხაზი მოწმდებოდა. ავიღოთ ლექსი „რუსთაველის სახე კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში“.

„ეს იყო შოთა...“

✓ უცებ ღელვა და ერთანტელი.

უცებ თვალეზში ბედნიერი აღმასის წვეთი,
კავშირთა სახლში შემოვიდა დიდი ქართული
და ტრიბუნასთან დაიკავა დარბაზის სვეტი.
როგორც ოდესღაც თავის მამულს, უცხო ყარბიბი,
ახლა რუსეთის კარს მოადგა მისი სახეზა,
და კვლავ ის წიგნი მოიტანა, ვით მდელარებრთ
რეაას წლის შემდეგ ზელახალი ამოძახეზა.
ფუნჯით და კაღმით მოხატულა და ფერუკველი,
ძველ პერგამენტზე შენახული წვით და წვალეზით,
მოართვა წიგნი, შემოვიდა შოთა რუსთველი,
ქართულ თავაზით, თავმდაბლობით და მოკრძალებით“.

აქ გასაოცარი ძალით არის შერწყმული დიდ საზოგადოებრივ ფიქრებთან და გრძნობებთან უაღრესად ლირიკული ინტიმი პოეტისა პოეტთან. ეს კი გვაახლოებს ლექსის ჩანაფიქრთან და ამავე დროს გვიხილავს და გვაჭადოებს ამ ჩანაფიქრის აზრით. იმასაც თუ მოვიგონებთ, რომ დიდი რუსთაველის შესახებ ქართულ საბჭოთა მწერლობაში ეს პირველი ლექსია, მაშინ უფრო გასაგები გახდება მისი პოეტური ღირსებანი. რუსთაველზე უწერიათ ჩვენ სახელოვან კლასიკოსებს. და მითუმეტეს ამიტომ, განსაკუთრებით კი აკაკისა და ვაჟას შემდეგ. ძნელი იყო საბჭოთა პოეტს მოენახა ორიგინალური კუთხე. ახალი სიტყვა ეთქვა და აი, ირ. აბაშიძემ შეძლო ეს. და ეს იმას წყალობით, რომ ირ. აბაშიძემ აქ საბჭოთა ეპოქას, დღევანდელობას დაუკავშირა რუსთაველის გენიალობა, რომელიც რვა საუკუნის შემდეგ ახალი ძალით გააცოცხლა და საჭაროდ გამოიტანა საბჭოთა ეპოქამ. რუსთაველი საყოველთაო-სახალხო მასობრივი კუთვნილება იყო ხალხისა და ამას ისიც დაემატა, რომ რუსთაველმა საქართველოს საზღვრებიც გაარღვია და მთელი მსოფლიოს კუთვნილება გახდა. ეს პოეტური მხარე მოვლენისა ირ. აბაშიძემ უაღრესად ინტიმურ ინტონაციას შეუფარდა და ამ გზით არა მარტო დაუახლოვდა პოეტი პოეტს, არამედ ჩვენც დაგვაახლოვა და კვლავ ახალი ძალით მოგვხიზლა რუსთაველით.

დღევანდელი ჩვენი სამშობლოს სიმტკიცის საფუძველი ხალხთა მეგობრობაშია. ირაკლი აბაშიძემ თავის ლექსებში გულწრფელი სიტყვები მიუძღვნა ეროვნული ძმობის, ყველა ჩვენ წარმატებათა საფუძველს — „უკრაინაში“, „ჯამბული“, „უზბეკეთში“.

ამას გვიხმობდა ჩვენი რუსთველი,
ჩვენი ნავოი, ჩვენი ფიზული,
გაუტეხელი სიტყვით გულწრფელით
ვართ საუკუნოდ ძმად შეფიცული.

ირაკლი აბაშიძის პოეტურ კონცეფციას ჩვენი საბჭოთა ცხოვრება უდევს საფუძვლად. ის უაღრესად ფხიზელი პოეტის თვალთ აფასებს ჩვენ სინამდვილეს. ირ. აბაშიძის პოეტური აღქმა რეალისტურია, რე-

ალისტურია ცხოვრების აღქმის ფილოსოფიაც და წერის მანერაც. მაგრამ მას ნაპოვნი აქვს მხატვრული მეტყველების ისეთი ფორმა, რომელიც ერთბაშად აერთებს პიროვნულსა და საზოგადოებრივს, აქ ხშირად დოკუმენტური, პუბლიცისტური პათოსი ლექსისა შერწყმულია უაღრესად ლირიკულ, ინტიმურ, პოეტურ საწყისებთან. ეს აძლევდა და აძლევს ირაკლი აბაშიძის პოეზიას მუდამ თავისებურ, ინდივიდუალურ ელფერს.

რევოლუციამდელი მხატვრული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების იდეური და მხატვრული პროფილი ოციანი წლების ბოლოსათვის მეტნაკლებად გამოიკვეთა, ხოლო 1932 წლის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ, საქართველოს საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობა (1932 წ.) და საკავშირო მწერალთა პირველი ყრილობის (1934 წ.) ფონზე სავსებით ჩამოყალიბდა, როგორც სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს ზიარებული მხატვრული სიტყვის ოსტატები. მათში ერთი პირველთაგანი იყო **პაოლო იაშვილი**, პოეტური სიტყვის ბრწყინვალე ოსტატი და მგზნებარე საზოგადო მოღვაწე.

პ. იაშვილმა თავისი საუკეთესო მხატვრული ქმნილებანი სწორედ 1930—1937 წლებში გამოაქვეყნა: „ცხოვრება ალიოშა ჭაფარიძისა“, „პოეტის საქმე“, „წერილი კოლაუ ნადირაძეს“, „როგორც აფრის ტყაუნი“, „ნეტარი მღელვარება“, „სამასი არგვეთელი“, „მწვერვალებიდან“, „სამგორისათვის“, „საკუთარ თავს“, „უკრაინელი ქალის სიმღერა“, „ზემოური რთველი“, „წინ, ესპანეთის გმირულო ხალხო“: ლექსების ციკლი კოლხეთზე: „კოლხიდის პირველი მოსახლე“, „მომართვა კოლხიდას“, „ყორათი“, „შემოდგომის დღე ფოთში“, „რიონი იცვლის კალაპოტს“... ამას უნდა მივუმატოთ შესანიშნავი საბავშვო ლექსები და პოეტური თარგმანები.

სამყაროს სიმბოლისტური აღქმა, აქ სავსებით შეცვლილია საბჭოთა სინამდვილის გულწრფელი რეალისტური გამოსახვით. პოეტის ლირიკული გმირი ახალი ადამიანია თავის მსოფლშეგრძნებითა და პრაქტიკული მოქმედებით.

ოცდაათიანი წლები პ. იაშვილის პოეზიაში დაიწყო ვრცლად მოფიქრებული პოემით, რომელშიაც უნდა ასახულიყო ბაქოელი კომუნარის ალიოშა ჭაფარიძის რევოლუციური ცხოვრება და მოღვაწეობა. 1931 წლის ქურნალ „მნათობის“ მეოთხე ნომერში დაიბეჭდა ამ პოემის შესავალი, რომელსაც წინ უძღვის თავისებური პოეტური დეკლარაცია:

„უნდა გავტეხო ახალი ახო, ახალ სიტყვების დასაფანტავად,
უნდა იმისი წამალი ვნახო, რამაც ხალისი ამოათავა.
ახალი ფერით, ნაღდი საღებით დავატრიალო სიტყვა ახალი,

მომავლისათვის ხელშესახები და აერთოლებით შესანახავი.
აქ არ იქნება მთვარის დიდება და ვერც კენესაზე რამეს მოძებნი,
იწყო ზანზარი ძველმა ხიდებმა და ჩათახსირდნენ მათი ბოძები“.

ამას მოსდევს წარსული პოეტური დღეების მოგონება:

„წარსულზე ფიქრი, ცრემლები, ოხვრა — და შთაგონება წასულა ოხრად.“

პოეტმა ეს ძველი გზა ახალი გზებით შეცვალა, რომელიც „ყურში
ყოველ წუთში უწივის“,

„რომ ქვეყნად გაჩნდა ახალი კაცი და გუთნის დედა რევოლუციის.
მან გამოზარდა მრავალი მეხრე, რომელიც გუთანს მოეკიდება.
მისმა სიტყვებმა ფსკერამდე შეძრეს დამპალი ქვეყნის ავლა-დიდება.
ამ მეხრეებში ვირიყე ერთი, მწირავ ანთებულ ბრძოლის სტრიქონებს,
აშკარად ვიცი, რასაც მე ვწერდი, ლექსი უკეთესს გამოიგონებს“.

ეს იყო გულწრფელი განცხადება, საბჭოთა პოეზიის გზაზე წინ გა-
დადგმული ნაბიჯი. ამას მოჰყვა ახალი საინტერესო ლექსი — „პოეტის
საქმე“, სადაც იგი საზეიმოდ აცხადებს:

ჩემო ქვეყანავ. დამსვი პოეტად შენი შრომის და მიწის საქებრად,
და რაც კი ძალა მომეპოვება მინდა ლექსებით გადმოლაგება.

ამ ლექსების მიხედვით თითქოს საცესებით ჩამოყალიბებულ ახალ პო-
ეტურ კონცეფციასთან გვაქვს საქმე, თითქოს საბოლოოდ ეთხოვება
პოეტი „ცისფერყანწულურ“ განწყობილებას. უფრო მეტიც, იგი სინა-
ნულით იგონებს სიმბოლისტურ ლექსებს:

— „როგორც ფართო ჰადართან ჩეროების ჯერი, ისე ჩემად ჩატარდა ჩემი
ლექსი ბევრი“.

მაგრამ არა! ვერ და ვერ ელევა სულში ძლიერად ჩარჩენილ „ძვე-
ლის დიდებას“ და პოეტური იქვი კვლავ წამოყოფს თავს. ამის აღიარე-
ბაა ლექსი „წერილი კოლაუ ნადირაძეს“.

„მაგრამ სიკრელე და გარება ამ ჩრდილოეთში ერთობ მეტია,
მეც მომიძებნეს მკერდი ქორებმა, გულში ვგრძნობ იმათ ნისკარტს წვეტიანს,
ქართულად ვთარგმნი პუშკინის ამბავს, ახლა ჯერშია მისი „ციგნები“,
მაგრამ სიჩუმე საუბარს აბამს, „მარტო ხარ, მარტო, მარტოც იქნები“.
ვკითხულობ შოთან, ვეჯას და საბას და ვერ მშველიან მათი წიგნებიც,
და ასე ღამეს მოჰყვება ღამე და მოდის დილა საღამოს მსგავსი,
ძმავ, მომწერე ისეთი: რამე ჰქონდეს ჩვენს ზღაში საუბრის ფასი.
ჩემს სადღეგრძელოს თუ ისევ სვამენ, ჯერ თუ მივლია საჩემო თასი,
თუ გამოაკლდა ვინმე ჩვენს ცამეტს და პოეტების დაინგრა დასი“.

ეს წერილი პ. იაშვილმა მოსკოვიდან 1932 წელს მოწერა მეგობარ
პოეტს, „ცისფერყანწების“ უნაზეს ლირიკოსს კ. ნადირაძეს. პოეტური
ხილვებითა და შთაგონებით არის დაწერილი ეს ლექსი. ამავე დროს

იგი დიდი აღიარებასა „ცამეტ ძმათა“ კორპორაციის. „ცისფერყან-
წელთა“ განწყობილების ასეთივე გულთბილი მოგონებაა ლექსი —
„მელორის ლოცვა“ (1933 წ.).

„უფალო! უსმინე შევარდენს, მის ხელით გიგზავნი ბარათს,
მიშველე ღორებში ჩაეარდნის, ღორებში დარჩენის მარად.
როგორც რომ ბურჯაი პალოზე მინდორში ბაწარით აბია,
მარტო ვარ, უფალო, დალოცე მელორე ცრემლების ყლაპია.
უფალო! მომეცი სამხარი ძალღივით ამოსულს ცაზე,
და შენი პერანგი ნახმარი ჩამაცეი ცოდვიან ტანზე“.

სიმბოლიზმის ესთეტიკასთან კავშირის ერთი დაკვირვებით გაწყვეტა
არც ისეთი ადვილი აღმოჩნდა. როგორც ეს ერთი შესვლით ჩანს. ჩვე-
ნის აზრით, პ. იაშვილის პოეზიაში „ყანწელობაზე“ ხელის აღება ყრი-
ლობის შემდეგ, 1934 წლიდან მოხდა. იგი „ძველ გზებს“ მკვეთრად გაე-
მიჯნა ლექსებში — „მწვერვალებიდან“, და „საკუთარ თავს“ (1934 წ.).

„დაჯექ. დაწერე, დახატე,
რითაც ცხოვრება ივსება,
მიეც დამშეულ ქალღლებს
საშვილიშვილო თვისება...“

და როცა წადილს ერგები,
წრე ვაიწლება განდავან,
შენც ხალხში დაინერგები
დაუმარცხებელ ქანდაკად.“

ეს ახალი გეზი უფრო გაღრმავდა ლექსებში: „სამგორისათვის“,
„სოფელში“ და ლექსების ციკლში კოლხეთზე. პოეტმა მოქალაქეობრივ
მოვალეობად გამოაცხადა განახლებული ქვეყნის დახატვა.

ქვეყნის განახლების მოწმე და მონაწილე იყო იგი რიონჰესისა თუ
კოლხეთის მშენებლობებზე. პოეტი ძველისა და ახლის კონტრასტულ
სურათს გვიხატავს ლექსში „კოლხიდის პირველ მოსახლეს“:

„ნესტის, გვირის და თქემის უდაბნოს და შორის ნისლში მძინარე ფართობს
ვხედავ, ფუტკარი არის უთაფლო, ვერ ხარობს წყარო, ვერც ვარდი ვარდობს...
სადაც დასახლდა პირველი ვლები და ცას შექმნარის პირველი კვამლი
ვხედავ სხივებში შეხიზნულ ხეხილს, მესმის ყვირილი კოლხიდის მაშლის...
ფორთოხლას სუნი უდის შენს ბავშვებს და შენი ეზოც ოქროს ბაღია“.

ამ ახალ კოლხიდას პოეტი გულწრფელი სიტყვებით მიმართავს:

„ხალხის სახელით დღეს მევალება
ვიყო მეტყველი შენი სიამის,
დაღა ვადიდო ცისფერთვალეება
და ამაღლება ადამიანის...“

ჭერ კიდევ 1924 წელს პ. იაშვილი წერდა: „მე მომხრე ვარ პოეზიაში
ახალი სიტყვის, პერმანენტული რევოლუციის“ და მართლაც ის დიდი
შინაგანი პოეტური ენერგია და ნიჭიერება, რომელიც ადრე სიმბო-
ლისტურ ექსპერიმენტში იხარჭებოდა, ახლა რეალიზმის ფორ-
მით ჩამოყალიბდა. ამ ახალი, სოციალისტური ყოფის გამომხატვე-

ლი თემების მიხედვით პოეტური ინტონაციებიც შეიცვალა და გამომხატველობითი ხერხებიც. ამ პერიოდის ლექსების ფორმა მეტისმეტი გამჭვირვალე და ნათელი გახდა. ხალხური პროზაული ელემენტებით და ინტონაციებით შეიცვალა ადრინდელი გართულებული სტრუქტურა ლექსისა. თუ წინათ რემბოს, მალარმეს, ვერლენს ეჯიბრებოდა „ლექსის თქმაში და ამ სამებაში ყველა უყვარდა“, ახლა არხვატელ ფანდურზე მთქმელებს სურს გაეჯიბროს.

„დაქე. დაწერე, დახატე.
რაც ბუნებაში გელეკსა,
მიეცი სარჩო არხვატელ
ფანდურზე კარგა მთქმელებსა“.

ჩვენებური, იმერული ხალხური გახუმრებანი და სასაუბრო-სალაობო ლექსი კანონიზებულ ფორმად აქცია:

„მწერდა მეგობარი ძველი „ცალი ფეხით ვდგევარ კუბოში, ათი წელიწადი გელი, ერთხელ მაინც ჩამოდი წყალტუბოში, დაგხედები ნამეტან კარგად, ალბათ კიდევ დაითვრები, ხომ გახსოვს ტყემალში ფარგა და ხორკლიანი კიტრები“... მივედი — გავიხარიან, გულთბილად დამხედნენ ძალიან, ეზოში ერთი ხარია, მარტო ტყავი და ძვალა, უტბად საჯარო პატივი (სიამოვნებით ჩავებით) მომჩერებოდნენ ხატივით წყალტუბოს ნათესაეები. აველო დალი სიმძიმის საღამომ კარგად გაშლილმა, ხალხი დაგვხოცა სიცილით ექიმმა მიშა იაშვილმა“.

პოეზიაში „პერმანენტული რევოლუციით“ მოპოვებულმა ამ პროზაულმა ექსპერიმენტმა თავისი კვალი დატოვა ქართულ პოეზიაში. მისი ანარეკლი დღევანდელი ფრიად ნიჭიერი პოეტების ლექსებში პოულობს გამოხატულებას.

ბოლო წლებში პ. იაშვილის პოეზიაში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა სამოქალაქო ლირიკამ და ამ ნიადაგზე შევიწროვდა ინტიმური ლირიკა. თუ ადრე სამოქალაქო და პატრიოტული ლირიკის მეფეს აკაკის უსაყვედურებდნენ ხოლმე „ინტიმურ ლირიკისათვის იშვიათად მოიცალაო“, ახლა თვითონ ყანწელები, კერძოდ პ. იაშვილი „იშვიათად იბოვის“ ღროს ინტიმური ლირიკისათვის. ოცდაათიან წლებში ორად ორი ლირიკული ლექსი აქვს დაწერილი — „ნეტარი მღელვარება“ და „დებედაჩაის ღამე“, ან არადა თუ რარიგად „ეხერხება ინტიმური ლირიკა“, ამის დასტურად ერთ ნაწყვეტს მოვიტანთ ორნაწილიანი ლექსიდან — „ნეტარი მღელვარება“.

„წმინდა ზეცა, მიწა გრილია,
პატარა ჩერო ადგია ეზოს,
ხეები ჩუმად თავდახრილია,
ვარ ბედნიერი და უმიზეზო.
მე თითქოს თვალით ბავშვობას

ვხედავ. მე თითქოს ეუსმენ
ბავშვობის წუთებს, ასე მგონია
მოვა ეს ხე და მკერდში მძასავთ
მე ჩამიხუტებს“...

3. იაშვილი არა მარტო თავისი ლექსებით, არამედ საზოგადოებრივი მოღვაწეობით თავად იყო ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მეგობარი. მან ბევრი გამოჩენილი მოძმე — მეგობარი შესძინა საქართველოს. ხოლო ხალხთა მეგობრობის თემზე დაწერილ ლექსთა შორის გამოირჩევა ლექსი „უკრაინელი ქალის სიმღერა“ (ჰაინა და მიკოლა ბაჟანს).

„კახეთში ვართ, ვხვდებით ერთად დიდ მოსავლის დღესასწაულს, ხევსურები, თუშები, ქისტები, კახელები, კავკასიის ცისქვეშ სხედან ერთგულ ძმად და ერთგულ ტომად, ლელავს ძმობის დღეობაზე ალავერდში შემოდგომა“, უკრაინის პოეტია ჩამოსული ჩვენთან ერთად, გულისძგერით იმეორებს რუსთაველის დამწველ შაირს“, ბაჟანს თან ახლავს თავის ერთგული მეგობარი, მეუღლე კახელებთან შესახვედრად და აი უცხად სიმღერის ხმა გაისმა:

„— ეს ხმა არის უკრაინის, უკრაინის აღმდგარ ერის, უკრაინის ქალი არის, ჩვენ სალხენად რომ იმღერის, და შეეჩენოს ხმა მრისხანე, დღეს ქვეულა დამტკბარ პანგად, ქართველ ხალხის გვერდში ჩადგა უერთგულეს ამხანაგად... ძმობამ მოგვცა ჩვენ ეს გრძნობა, ეს უკვდავი ერთგულება, ჩვენ სამშობლო საყუთარი თქვენს მხარეშიც გვეგულება, და საბჭოთა ხალხის შეიღებს, მათ პოეტებს მარად გვწამდეს, რომ ეუმღეროთ კენესით შობილს, მზეში ჩამჭდარ სიღიადეს“.

ასე ხატოვნად შეამკო პოეტმა უკრაინისა და საქართველოს ძმობის ხიდი, ამ ხალხების ბრძოლით, შრომით და ძმობით გამოჰქედილი.

თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი, პ. იაშვილი უაღრესად ინტერნაციონალისტური ბუნებისა და განწყობილების პოეტი იყო. ინტერნაციონალური გრძნობითა და პათოსით არის დაწერილი ლექსი: „წინ, ესპანეთის გმირულო ხალხო“. ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას ემსახურებოდა პოეტის მთარგმნელობითი მუშაობაც. ჯერ კიდევ 1923 წელს წერდა: „უდიდესი ნაკლი ჩვენი კულტურისა არის უქონლობა თარგმნილი ლიტერატურისა. ამ დარგში ჩვენში ნამდვილი სიცარიელეა“... განსაკუთრებით ბევრს თარგმნიდა პ. იაშვილი ოცდაათიან წლებში. საერთოდ დიდია და ფასდაუდებელი მისი მთარგმნელობითი საქმიანობა. ოღონდ თუ ადრე ფრანგ და რუს სიმბოლისტებს თარგმნიდა, ოცდაათიან წლებში მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პუშკინის, მაიაკოვსკის და სხვა მოძმე ხალხთა საბჭოთა პოეტების საუკეთესო ქმნილებათა გადმოქართულებაში.

ტიციან ტაბიძე მთელი თავისი არსებით, მეობით, პოეტური მრწამსით საბჭოთა საქართველოს ჭეშმარიტი მხატვარი გახდა. ამ მხრივ მისთვის ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი ოციანი წლების მიწურული და ოცდაათიანი წლები იყო. პოეტი ბევრს მოგზაურობდა, ეცნობოდა

ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულ შემოქმედებით შრომას. თვეობით ცხოვრობდა რიონჰესის მშენებლებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა როგორც პოეტი და მოქალაქე, ამ გრანდიოზულ მშენებლობაში. ამის შედეგად შექმნა ორი ბრწყინვალე ნარკვევი: „რიონჰესი“ და „რიონიდან ენგურამდე“. კოლხეთის მშენებელთა თუ ტყვარჩელის მემლაროელთა ხშირი სტუმარი იყო, ეცნობოდა საბჭოთა რუსეთსა და ჩვენს მოძმე რესპუბლიკებს. მას ყველგან ძმურად ხვდებოდნენ უკრაინაში თუ ბელორუსიაში, სომხეთსა თუ შუა აზიაში. ყველაზე მეტად მოსკოველ და ლენინგრადელ პოეტებთან ატარებდა პოეტური ცხოვრების საინტერესო დღეებს. პირადად იცნობდა იგი ყველა გამოჩენილ საბჭოთა მწერალს და მათთან პირადი კონტაქტები ჰქონდა. ამ ვითარებაში ყალიბდებოდა ის დიდი პოეტური იმპულსი და შთაგონება. რომლითაც ცხოვრობდა, სუნთქავდა და ჰქმნიდა იგი თავის საუკეთესო ლექსებს, ნარკვევებს, წერილებს თუ თარგმანებს. ყოველივე ამის შედეგად არაჩვეულებრივად გაფართოვდა, გამრავალფეროვანდა მისი პოეტური პალიტრა. სისხლსავსე და ხორცსავსე გახდა მისი საოცარი მიწიერი ლექსები.

პოეტი მთელი გულწრფელობით მიესალმებოდა ახალ დროს და მშრომელ ხალხს:

„თავისუფლება მხოლოდ ხალხს აკლდა — ელო მონობის მძიმე უღელი,
თავისუფლება რომ აქ დასახლდა, ჩვენი თაობა ამას უმღერის.
ღარილიდან ღართის კარამდე და ან სანამდის თვალი მიუწევს,
სოფლიდან სოფლად, აულით აულს, ახალ ცხოვრებას ყვება ფუძე“.

პ. იაშვილთან ერთად ტ. ტაბიძე თავდადებული მებრძოლი იყო ხალხთა ძმობისა და მეგობრობისა. სოციალისტური სამშობლოს ამ საფუძველთა საფუძვლის განმტკიცებას მოანდომა მან დიდი დრო და ენერჯია, როგორც საბჭოთა მოქალაქემ. ხოლო თავისი ლექსებით უკვდავი ძეგლი აუგო ამ ძმობასა და მეგობრობას. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენი კარის მეზობელ სომხეთზე დაწერილი ლექსების ციკლი.

„და კაცს ეგონა, ეს სისხლის წარღვნა მადლიდან იყო გამომდინარე,
მგერამ სხვა კაცი მაშინ გამოჩნდა, და ეს სხვა კაცი იყო ლენინი,
დღეს აღარ ერჩის სომეხი ქურთსა, სომეხს ქართველი, ყველას — ღათარი.
ეროვნულ შუღლის ძირი რომ ახსნას, აქ პიონერიც უკვე მზად არის“.

და მას შემდეგ რაც დაჩაგრულ ხალხებს გაუძღვა „ეს სხვა კაცი ლენინი“,

— „ჩვენ კავკასიის ხალხთა პოეტებს, ერთი გზა გვაქვს და ერთი მიმართულება.
სოციალიზმის აშენდეს ფუძე და ხალხს ელირსოს მშვიდობის ძილი“.

შინაგანი მოწოდებით, შემოქმედებით და ცხოვრებით საქარ-

თველოსათვის თავგადადებული პატრიოტი უაღრესად ინტერნაციონალისტი პოეტი იყო.

ტ. ტაბიძის ხორცსავე პატრიოტიზმი საოცარი საიდუმლო „ლექის ძაფით“ დაკავშირებულია გ. ორბელიანის სამშობლოს სადიდებლად დაწერილი ლექსების ძირებთან. და მინც ტიცთან ტაბიძის პატრიოტული ლექსები მთიდან მოგარდნილ ზევას ჰგავდა, რომელიც გაგიტაცებდა და თან გაგიყოლებდა. პატრიოტიზმის მოტივი თვით ცისფერყანწელების შემოქმედებაში იჩინა თავი. სწორედ პატრიოტული ლირიკა აძლევდა ამ სიმბოლისტურ სკოლას ეროვნულ იერს. განსაკუთრებით ძლიერ წარმოჩინდა ეს მოტივი ოცდაათიანი წლების ყოფილ ყანწელთა პოეზიაში. ტ. ტაბიძის ლექსები ამ მხრივაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა. გულწრფელად ამბობს პოეტი: „სულმოუთქმელი ასე ვიმღერი, ლექსი დაწმენდას ვეღარ მოუცდის, როცა დიდ გრძნობის გძირავს მეწყერი... გვთუთქავს ახალი გრძნობა დამწველი სულის დგმა ახალ ადამიანის“. ამას მოსდევს პოეტის სულის პატრიოტული დაღლისი.

„მთაც ლამაზი გვაქვს, ბარიც ლამაზი,
და თუ არ იყო ქვეყნად ედემი:
ეს შენი არი ზვარი და ვაზი.
ცეცხლის ბრიალით გულს რომ ედება.
ჩვენ თუ მეორედ დავიბადენით,—
ეს შენი ვნახეთ ჩვენ დაბადება,
რომ სიხარულის ცრემლის დადენით
ახალი კაცის გავხდეთ ბადებად.“

სამშობლოს სიყვარულით ასე აღტაცებული პოეტი თუ „ცისფერ ყანწებში“ დასცინოდა „მესტიერე, მესაზანდრე“ პოეტებს, ახლა თავად აცხადებს:

„მე არ მრცხენია დიდ ეპოქისა,
ერთი საწყალი, რომ ვარ მესტიერე“.

ასე შეიცვალა ადრინდელი სიმბოლისტური კრედიო კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებთან უშუალო ზიარებით, სოციალისტური რეალიზმის პოზიციით. ახალმა დრომ, სოციალისტურმა მშენებლობამ დაბადა პოეტის ეს ახალი ჰანგი.

„მე თვალთ ვნახე ეს გალაშქრება და მოვიხადე მეც ეს სახადი.
ნაქებ შირაზის ვარდის შაგიერ ქვათა მუსიკის გავხდი საადი
ასე ღაწურე თანამედროვე სოციალისტური ქვათა დაღადი...“

საბჭოთა მიწის, მისი გამრჯე და მშრომელი ადამიანების ხვადი და ბარაქა სომხეთში იქნებოდა ეს თუ უკრაინაში, რუსეთში თუ შუა აზიაში გულს უხარებდა პოეტს. გულწრფელი იყო პოეტის სიტყვები:

„საბჭოთა მიწის დაილოცოს
ყველა მტკაველი,
იყოს უკვლავი, ვით პუშკინი
და რუსთაველი“.

და მაინც, განსაკუთრებული გულწრფელობით განიცადა საბჭოთა საქართველოს ფერისცვალობა:

„დგას მშრომელების ჯარი მამაცი, ყველა ოფის იწმენდს — ქალი და კაცი.
რომ გაიტანოს ეს დიდი ლელო, მუდამ ჰყვოდეს ეს საქართველო“.

პოეტის შთაგონების თავანკარა წყარო საბჭოთა სინამდვილე, ჩვენი ხალხის გმირული შრომა და გარჯა გამხდარა. აკი ამბობს პოეტი:... „თვითონ ცხოვრება არის პოემა, შთამაგონებელი და შემომქმედი“. საბჭოთა ხალხების ერთიან კავშირში დგას საბჭოთა საქართველო ვით თვალმარგალიტი:

„მე ვბრუნდებოდი საქართველოში, წინ მომიძლოდნენ დადესტნის მთები
არა ვარ უცხო ამ მიდამოში, ძუძულ მერგება მისი კალთები.
ცა მაღალა და მოყარაყე, ველი — გაშლილი და თვალუწყდენი
ღრუბლებს დაუდგამს ქვაბი საარაყე ცეცხლს მიჭლოშია, როგორც უზღენი
რომ შემხედეს ახლა მუხრანის ბოლოს ხელაღებული თავზე ყიფილი,
დაულოცავდი თვითონ სამშობლოს რადგან სამშობლოს ერთი გვაქვს თალი...
იყო დარბევა იმ მწარე დღეში და კაცის სისხლი რეცხდა ხეობას,
მთაში მომსყდარი წვიმა და თქეში გურამიშვილის გოდებს ტყვეობას“.

რა ნათლად და ლაღად ეღერს აქ ქართული სიტყვა, რა ბუნებრივია, ძალდაუტანებელი ყოველი ფრაზა. ასეთივე საოცარი სილაღით და უზადოებით არის დაწერილი ამ პერიოდის ლექსები: „ალავერდობა“, „ვა-ეა-ფშაველას გადასვენება მთაწმინდაზე“, „გელის კოლხიდა ახალ ორფეოსს“, „ლექსით დაბადება“, „ბაღდადის ზეცა“, ეს უკანასკნელი ასეთი პოეტური აკორდით მთავრდება:

„როგორც დედის რძე და ბავშვის ტუჩი
ასკდება ატმის ყვაილი ყვაილს
მოლი ბაღდადის ცას გადაურჩი
ან საირმეზე ირმების ბღაველს“.

ოცდაათიან წლებში ლაღად გაშალა ფრთები ტ. ტაბიძის განუშეორებელმა პოეტურმა ტალანტმა. ის არა მარტო თემატკურად განდა მრავალფეროვანი, არამედ გამომსახველობითი პოეტური ფორმებითაც, უფრო ნათელი, უფრო ხორცსავსე პოეტური ინტონაციებით, ფერებით და საღებავებით. საღად, უბრალოდ, საღად ამბობდა თავის სათქმელს:

„ისე უბრალოდ, როგორც მუხრანზე გაზაფხულისთვის მოდის ბაღანი,
ისე უბრალოდ, როგორც არაგვზე ალაპაჰდება მზეზე კალმანი...
ისე უბრალოდ მინდა უმღერო ჩემს განახლებულ მშობლიურ მიწას,
ლომისთვის იყო ის წილნაყარი, ახლაც სამშობლოს მარჯვენით იცავს...“

და პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს უბრალოება არასოდეს დასულა მაღალი პოეზიიდან პრიმიტივიზმამდე, გაცვეთილ ტრაფარეტამდე. უნდა დავუჯეროთ პოეტის განცხადებას:

„არცერთი სიტყვა არ დამცდენია, მხოლოდ იმისთვის, ლექსი რომ მეთქვა —, როცა პქარები, პქარებს სდევნიან, საკუთარ გულის მაშინებს ფეთქვა“.

ტიციან ტაბიძე 1936 წელს წერდა: „სრულყოფილი დიდი ხელოვნება ყოველთვის ყოფილა სადა და ხალხური. მშვენიერი და ნათელია ყველა დიდ ეპოქათა ხელოვნება, რომელსაც საუკუნეობით განუსაზღვრავს ხალხთა შემოქმედება. ანტიური ხელოვნების ამ უდიდეს ტრადიციაზე აღმოცენდა აღორძინების პერიოდი და შემდეგ დიდ განმანათლებელთა ხელოვნება. მხოლოდ ბურჟუაზიის კულტურის აგონიის დროს დადგა კრიზისი — შინაარსი და ფორმა გაეთიშა ერთიმეორეს — ამიტომაც თვითონ დეკადენტები არ მალავდნენ, რომ მათი ხელოვნება ამ აგონიის ქრუნტელია: არტურ რემბო, ვერლენი, მალარმე — ამ დიდ პოეტებს მოჰყვა ფუტურისმის ეპიდემია. ფუტურისტები არ მალავდნენ, რომ მოვლენილი იყვნენ ქვეყნად ხელოვნების დასამარხავად და გახრწნილი ლეშის ფონზე მიმდგარი აფთართა ხროვა დეკლარაციებით და მანიფესტებით სკოლას სკოლაზედ აარსებდა, რომ დილით დადგენილი სკოლა საღამოს უკვე მომკვდარიყო.... თუ ფორმალისტებს თავი მოაქვთ ოსტატობით ნატურალისტები იდეოლოგიას აწვებიან... რასაკვირველია ორივე შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ოსტატობის დამახინჯებასთან... ყალბი ოსტატი, რომელიც თავს ინუგეშებს რომ ხალხის უმრავლესობა მას ვერ გაიგებს, თავის თავს ატყუებს. არ არის ხელოვნება დიდი ეპოქისა, თუ ის ხალხისთვის არ არის მისაწვდომი და ვაი კიდევ იმ მწერალს ვისაც ჰგონია რომ ხალხისთვის მისაწვდომია მხოლოდ ის მწერლობა, რომელიც ვერ აცილებია ფოტოგრაფიულ ნარკვევებს“ („ლიტ. საქართ.“ 1936 წ. № 3).

კარლო კალაძის პოემა „უჩარდიონი“ იყო პირველი სერიოზული ცდა პოეტური ეპიკური მხატვრული ტილოს შექმნისა საკოლმეურნეო ცხოვრების თემაზე. აქ ავტორმა სცადა დაეხატა ის მძაფრი კლასობრივი ბრძოლა, რომელიც თან სდევდა საკოლმეურნეო მშენებლობას სოფლად. კლასობრივი მტრების, კულაკების შემოტევა კოლმეურნეობის სისტემის წინააღმდეგ, საკოლმეურნეო მშენებლობათა წარმატება და ამ წინადაგზე განადგურება კულაკობისა, როგორც კლასისა — ასეთია სოციალური ფონი პოემისა. პოეტმა ოცდაათიანი წლების ქართული ქრონიკები უწოდა ამ პოემას. იგი პირველად მთლიანი სახით დაიბეჭდა „მნათობში“ (1932 წლის № 10-სა და № 12-ში).

ახალი ცხოვრების მეთაური, კომკავშირელი გულდა უპირდაპირდება პოემაში კლასობრივ მტერს უჩარდიონს. მწერალმა შეძლო მკვეთრად დაეხატა მტრის სახე.

ძველი კერძომესაკუთრული სამყარო თავისი ბნელი ინსტინქტებითა და ვნებებით. უჩარდიონის ბრძოლას საკოლმეურნეო სოფლის წინააღმდეგ წინ აღუდგება ცხოვრების განახლებისათვის მებრძოლი მოწინავე ადამიანები. საკოლმეურნეო მოძრაობის ცენტრში დგას უჩარდიონის მიერ შეილობილად გაზრდილი, ახლა უჩარდიონის სახლიდან წასული კოლმეურნე „შვილდაცა კომკავშირელების“ მეთაური გულდა. კულაკთა ბრბო, უჩარდიონის მეთაურობით ვერაგულად კლავს გულდას. მკვლევლები მხილებული და განადგურებულ იქნა. ამ რთულ კლასობრივ ბრძოლაში ახალი სოფელი იმარჯვებს.

„უჩარდიონი“ ერთ-ერთი საინტერესო პოემაა ქართულ საბჭოთა პოეზიაში. იგი ყურადღებას იპყრობს პოეტური ოსტატობით, ლირიკული და ეპიკური ეპიზოდების ოსტატური მონაცვლიობით, ორიგინალური ხელწერით. მხატვრული ფორმის თვალსაზრისით ეს ყველაზე საინტერესო პოეტური ნაწარმოებია კ. კალაძის შემოქმედებაში.

კ. კალაძე მოიანი საქართველოს სოციალისტური ცხოვრების ფერხულში ჩაბმას გვიხატავს სიუჟეტთან ლექსში „ამბავი აქარელი ამხანაგების თქმული კარლო კალაძის მიერ“ და ლექსების ციკლში „ხერთვისის განთიადები“.

პირველ ლექსში ნათლად გამოხატა თუ როგორ ჩადგა სოციალისტური მშენებლობის რიგებში მთიანი აქარა, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილი. აქარელ ბაადურის ოჯახში მომხდარი ისტორია უადრესად განზოგადებული და ტიპური ამბავია, მაუწყებელი ქვეყნის განახლებისა. ბაადურის ვაჟი ჰასანი წითელ ჯარშია, ხოლო ქალიშვილი ხატიჯე, რომელსაც წარსულის ბნელი ადათები დაუგმია და ჩადრიც უარუყვია, ახლა საკოლმეურნეო შრომაში იხვეჭს სახელს. ჩადრმოხსნილ ხატიჯეს — აჭარაში ცნობილ ჩაის მკრეფავ ქალს — წითელ ჯარში წასული ძმა ჰასანი ასე მიმართავს:

„ჯავრი და წარსული, დაო, გულზე ხომ არ გატყვია, ხომ გესმის — დიდებას გიმღეროან აქარელ ქალს! ჯარში ვარ, თვალმოკრულ წერტილშივე ჩავაჭენ ტყვიას, და შენი მშრომელი გულის მკველად მიგულე — ჰასან“.

1934 წ. კ. კალაძემ გამოაქვეყნა ლექსების ციკლი „ხერთვისის განთიადები“, რომელსაც წინ წაუძღვარა ანოტაცია:

— „მე წელს პირველად ვიმოგზაურე მესხეთსა და ჭავჭავთში. ენახე ვარძია, ასპინძა, რუსთავი, ხერთვისი, ხიზაბავრა და ბარალეთი. დღეს აქ თავისუფლად ცხოვრობს ხალხი, მკვიდრად, ხელახლად ესახლებიან. აღრე კი ომების სარბიელი იყო და დარჩენილან დანგრეული ციხეები,

საყდრები, სადაც სამარეებზე ჯვრების მაგიერ ქვის თეთრი ვერძები გამოუქანდაკებიან.

ფარავანისა და სალამოს ტბაზე მე გავეცანი მებადურებს და ჩემი საერთო შთაბეჭდილება ამ შვიდი ლექსით გამოვთქვი“.

რომანტიკულ პოეტურ ფერებშია გაცოცხლებული მებადური გიორგისა და მისი სახლკარის, მეზობლების ამბავი, მათი სევდა და სიხარული. პოეტი გზადაგზა გვაცნობს სამხრეთ საქართველოს, ჩვენი კულტურის ამ უძველესი კუთხის ტრაგიკულ ისტორიას. საქართველოს მტრები საუკუნეები არბევდნენ და ანგრევდნენ უთანასწორო ომში ამ ულამაზეს მხარეს. ხელახლად დასახლებული ქართველები იმედით შეჰყურებდნენ მომავალს:

„სდუმს ბერიკაცი გიორგი, მეც ველარ ვესაუბრები, ჩვენ ამ განთიადს ვეკუთვნით, წარსულთ კი ნისლი ჰფარავს. გვიახლოვდება სიმღერა, თივით დაბურულ ურმების, ზღვის ღელვასავით გორებზე გაღმოდის ცხვრების ფარა...“

ოცდაათიან წლებში კ. კალაძემ გამოაქვეყნა საიხტერესო ლირიკული ლექსებიც: „შემოლამება მთაწმინდაზე“, „ქალაქში თქმული ლექსი“, „ქვევრები“, „მთების ეპოსი“ და სხვ.

* * *

ოცდაათიანი წლების ლექსების ახალ ციკლს სიმონ ჩიქოვანმა უწოდა „მთაო გაღმინვი“; ამ საერთო სათაურის ქვეშ მოათავსა პოეტმა მთელი ციკლი ლექსებისა ხევსურეთის, სვანეთის და სამეგრელოს შესახებ.

ს. ჩიქოვანის ლექსში „შემოლამება ხახმატში“, მოცემულია აღწერა იმ უშუალო შთაბეჭდილებისა, რომელსაც პოეტი იღებს ხახმატში — ხევსურებთან პირისპირ შეხვედრის დროს. ნაჩვენებია ახლის დაბადება. შოფერი, მანქანა აქ გამოყენებულია როგორც სიმბოლო ახალი დროის, სოციალისტური მშენებლობის და ამ ფონზე მოხუცი ღვთისოს და ახალგაზრდა ხევსურის უდიდალეულის პაექრობაში მოჩანს ძველისა და ახლის ბრძოლა, რაც ახლის გამარჯვებით მთავრდება, „გვინდა კოლექტივი, კიდევ მსგავსი რამ, შოფერიც და ავტომობილიც“. ასეთია დასკვნა ხევსურებისა. და ამ შთაბეჭდილების ფონზეა გაცოცხლებული ახალი ხევსურეთის მხატვრული სურათი.

„ჩიტის ბუდეს ჰგავდა სოფელი, ერთად ასხმულს და დაკიდულს კლდეზე, ფარ-ხმალით მორკმული იჭდა შოფერი და ლიღინებდა მთის კაცის ბედზე, უკვე არ ჩანდა მთები ბანიდან, მწუხრმა კლდეები უხმოდ დანისლა, ხევით მდინარე ოხვრას გზავნიდა, თითქოს განზრახვას მიხვდა კაცისას, დაეილაღეთ და დაწოლა გესურდა, თვლემას იწყებდა მთელი სოფელი, და ჩუმად გვიოხრა აღუდაურმა „მე მაინც მინდა გავხდე შოფერი“.

სოციალისტურ ყაიდაზე ძველი ფშავ-ხევსურეთის განახლების მკაფიოდ გამოვლენილი სურათია დახატული ლექსებში: „მოგზაურობა ფშავ-ხევსურეთში“, „ხევსურული ძროხა“ და სხვ.

სევანეთისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლი იხსნება ლექსით „გადასვლა გორვაშზე“. ეს ლექსი 1931 წლის ჟურნალ „მნათობის“ მე-4 ნომერში გამოქვეყნდა. ეს სიუჟეტური ლექსი კონკრეტულია და ამკვედროს უღარესად ზოგადი. სევანეთში მოგზაურ პოეტს თან ახლავენ სევანები, მათ შორის ექიმი:

„ნორჩი ექიმი მომყვება სვანი ებრძვის აღმართებს და ნაპარლებს
უხვევს, მოაქვს პარტიის აზრი და ჩანი და უბრუნდება მშობლიურ ციხეს“.

სევანეთის მიუვალ მთებში ამტყდარი ჭექა-ქუხილი გზას გადაუღობავს მგზავრებს. პოეტს სიმბოლურად აქვს წარმოდგენილი ბუნების სტიქიასთან მათი შეხლა. სტიქიასთან ბრძოლაში იმარჯვებენ ახალი ადამიანები:

— „ძალა ვერ პოვა მთამაც ოხერაში, სდემს და მღუმარედ კვდება გორვაში
ექიმი იტყვის: მხარე, მიცანი, განვლეთ ბნელი და სიციცხლე მოგვაქვს,
ძველს ეგახება ჩვენი მიზანი და გზაც გორვაშის მიაგავს იგავს“.

სევანეთს მიუძღვნა პოეტმა აგრეთვე ლექსები: „ბარათი მთიდან“, „სევანური იავნანა“, „უშგულის კომკავშირი“, წარმოდგენილ თემატურ მასალაში მკაფიოდ არის გამოხატული სევანეთის ახალი ადამიანის ნიშანთვისებანი. ამ მხრივ უღარესად საყურადღებოა „უშგულის კომკავშირი“. აქ ვრცლად არის დახატული ძველი სევანეთის ცხოვრების სურათი, „არც გზა, არც ხიდი, არც წიგნი, ფოსტა და ტელეგრაფი“ — ასეთი იყო ძველად ლილეოსა და დალის მთების სევანეთი. რთულ ვითარებაში უხდებოდათ მუშაობა სოციალისტური იდეების პირველ მეგზურებს, სევან კომკავშირლებს. მათ უნდა „გაეფანტათ ბნელი ჭანლი და ნისლი“. მათ კარგად იციან, რომ თუ საძირკველი არ გამოუცვალეს ძველ ადათწესებს, ისე კომუნისზმი ვერ შემოვა ვიწრო ბილიკებით სევანეთში. პოეტი მიმართავს კომკავშირლებს: „თქვენც მეგობრებო, რაჟდენ და ივლით მთა გაუსწორეთ ბარის პირობებს, სხვა გზით ახლა სევანეთი ვერ აშენდება“.

ს. ჩიქოვანის ლექსების ციკლი სევანეთის, ფშავ-ხევსურეთის და მთიან სამეგრელოს შესახებ თემატიკური გადაწყვეტითა და ახალი პოეტური ინტონაციებით იპყრობდა მკითხველის ყურადღებას. ამ ლექსებით ლირიკული პოეზიის შესაძლებლობანი გაამდიდრა თხრობისა და მეტაფორული ფერწერითი ეპიზოდების შემოტანით.

საბჭოთა საქართველოს ყოველ კუთხეში გაჩაღებული აღმშენებლობისა და შემოქმედებითი შრომის ჰეროიკაა გამოხატული ლექსების ციკლში — „სამეგრელოს საღამოები“ და „ქართლის საღამოები“, მთელ

რიგ ლექსებში—„ღონბასის ღამე“, „საბჭოთა სომხეთში“ — კი პოეტმა აღტაცებული ჰიმნი უძღვნა საბჭოთა ხალხების ურღვევ ძმობასა და მეგობრობას. ამ ლექსებში მკაფიოდ გამოვლინდა ს. ჩიქოვანის იდეურ-მხატვრული შემოქმედებითი გზა. იგი მტკიცედ დაადგა სოციალისტური რეალიზმის პოზიციას.

სოციალისტური რევოლუციის სიკეთემ საქართველოს მთიანეთში-აც შეაღწია. დაიწყო დიდი აღორძინება სვანეთისა, და ფშავ-ხევსურეთისა, მთიანი სამეგრელოსი, ერთ დროს საქართველოს კულტურის ცენტრის, შემდეგ მტრებისაგან იავარქმნილი—სამხრეთ საქართველოსი. მთიანი საქართველოს გარდაქმნის ეს რთული პროცესი შესანიშნავად აისახა ქართულ მწერლობაში. აქ, სიმონ ჩიქოვანის ზეპოთ დასახელებული ლექსების გვერდით, უნდა დავასახელოთ: ს. კლდიაშვილის „სვანური მოთხრობები“, შ. დადიანის პიესა „თეთნულდი“, კ. კალაძის პოემა „ხერთვისის განთიადი“.

ცალკე უნდა გამოვეყოთ ალ. გომიაშვილის ლექსები მთაზე. ალ. გომიაშვილმა თავისებური, ორიგინალური კილო და ინტონაცია შეიტანა ამ თემატურ მასალაში. ვაჟა-ფშაველას საუფლოსთან მშვენიერი პოეტური გადაძახილია — „ფოსტა არ არის? წერილი არწივებს გამოატანე“ (1932 წ.).

ალ. გომიაშვილმა პირველი ლექსი „მთის ბალადა“ გამოაქვეყნა 1929 წელს ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“. 1930 წელს გამოვიდა პირველი წიგნი „ამხანაგმა მთამ აიღო სიტყვა“, 1931 წელს — „ანდუზიტის სიმღერები“, 1933 წელს—პოემა „ისევ ეძახიან გერმანიას“, ხოლო 1940 წელს — „დარიალი“. „ისევ ეძახიან გერმანიას“ პირველი ანტი-ფაშისტური პოემა იყო ქართულ მწერლობაში. ვით რეფრენი ისე გასდევს მთელს პოემას: „თავისუფლება აჩრდილივით დადის ქალაქად და ისევ მოისმის „კომუნისტური მანიფესტის“ მქუხარე ხმები“...

სოციალისტური მშენებლობის გზაზე დამდგარი, ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას მთა ახალი კუთხით დაგვანახა საბჭოთა პოეტმა, ორიგინალური ინტონაცია მოარგო ადგილის დედას — მთას:

— „მთიელო ძმებო, თქვენ სიმღერა მოგწყურდათ ისევ, მაგრამ რა ექნა, თუ ძველ მოტივზე არ მემღერება, როცა ლალუმი კლდის ნაფლეთებს ხევებში ისვრის, მაშინ სიმღერა არ სისინებს ჩალის ღერებად, — მაშინ სიმღერაც უნდა ჰგავდეს კლდეების ხლეჩას, რომ შეეთვისოს „ამხანაგ მთას“ რიტმი ბადალი, თორემ თუ ისევ სიმღერები ძველ მოტივს შერჩა, ანდუზიტით სად მოენახოთ ლექსის მადანი!

ალ. გომიაშვილმა ოცდაათიან წლებში გამოქვეყნებული ლექსებით („უჯანასკნელი დღე კეცხოველისა“, „ბაზალეთის ტბა“, „ამელამ მთვარე არ ამოვა“, „არშაულა“, „თერგმა თქვა“, „ქაჯეთის ციხის აღება“, „მო-

ნადირის სიკვდილი“, „ხევსურები დარიალს შემოვიდნენ“, „ვაჟა-ფშაველას ხსოვნას“, „სნაიპერის სიყვარული“) მტკიცედ დამკვიდრა თავისი საპატიო ადგილი ქართულ პოეზიაში.

გრ. აბაშიძემ პირველი ლექსი 1934 წელს გამოაქვეყნა, ხოლო ლექსების პირველი კრებული და პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული“ — 1938 წელს. ლექსების კრებულიცა და პოემაც საინტერესო იყო თავისი დასრულებული პოეტური პროფესიონალიზმით და სამყაროს ასახვის ორიგინალური მანერით. იგი იმას ამტკიცებდა, რომ გრიგოლ აბაშიძის სახით ქართულ პოეზიას შეემატა ფართო ლიტერატურული განათლების და გემოვნების ფრიად ორიგინალური ხელწერის პოეტი.

ოცდაათიანი წლების ლექსებიდან საგანგებოდ გვინდა გამოვყოთ „სვენწყის ჩვენება“. პოეტის სტიქია სიუჟეტური ლექსია. და ეს პოეტური ხელწერა ყველაზე ტიპურად სწორედ აქ გამოჩნდა. ამ სიუჟეტის ლექსში საქართველოს ისტორიის ერთი მეტად მწვავე ტრაგიკული ამბავია მოთხრობილი. ვახტანგ მეფე, თავისი ამალით მოსკოვს შეკედლებული, რუსეთის მეფის დახმარებას მოელის და საქართველოს განთავისუფლებაზე ოცნებობს, მაგრამ ლოდინს ბოლო არ უჩანს. ვახტანგი, საბა და დავითი ლექსების წერით იოხებენ სევდას, სწორედ ამ დროს წარსულიდან გამოხმობილ ამ გმირებს, „დღევანდელი საქართველოს მგოსანი გამოეცხადებათ: „მგოსანი! შეკრთენ და გაიოცეს — შერჩხა მეფის ამალი! ვაგლა! რად მინდა მგოსანი ახლა, დაზგაც აღარ მაქვს ბეჭდვის შემომტანს, მთელი ამალი მგოსნების მახლავს, კიდევ მგოსანი მეჭირვებოდა!“ ამბობს მოჩვენება — მეფე ვახტანგი და იქვე უმატებს — „მე იცის ღმერთმან, რაკი მომაგენ, არ შემეტები. მაგრამ რად გინდა! გირჩევ, გაბრუნდე სამშობლოსაკენ, გადაიკარგო ამ ალაგიდან, ჩვენ კი... აქ ვრჩებით, აქაც ვეძებთ ბედნიერება და სიმართლევ, სხვას რაღას ვტოვებთ საანდერძებელს, ანდერძით ლექსი მაინც დაეტოვეთ...

სთქვა და ატირდა, ტიროდა საბაც ბედნიერ სიყრმეს და სულხანობას სწყევლიდნენ ბედს და თვითონ დასაბამს, სოფლის სიმუხთლეს და უხანობას. წუხილი მათი ვერ ავიტანე და გავეცალე ცრემლს და გოდებას, დავდექი კართან, გადმომეხურა გაბრწყინებული ცა ჩრდილოეთის, ვიდექ მარტოკა და უხერხულად და მომძახოდა ლანდი პოეტის — როგორ შორსა ვარ, ბნელში დავეცი, შენ მზეში დგახარ, ცამდის მისული, სვენწყაში გაწყდა ჩვენი ანდერძი, ეცადო, იქნებ შენ გაგვისრულო... ჩამომძახოდა ხმა დიდებული, წლებს მისტიროდა დაუდაფნავენს, ვიდექ მარტოკა გარინდებული და დავყურებდი ქართულ საფლავებს, ქვებს შერჩენოდით გერბები — ქართლის, საფლავებს — ბელტი მიწის, მხურვალის, ბნელს ჩავყურებდი ლექსების სანთლით გვიან მოსული ჭირისუფალი“.

ეს შესანიშნავი პატრიოტული ლექსი დაწერილია ტრაგიკული

წარსულის ორიგინალური პოეტური გარდასახვით და მომავლის ოპტი-
მისტური რწმენით. ეს ოპტიმიზმი ლექსში შეაქვეს განახლებული „ქართ-
ლის მგოსანს“. საბჭოთა პოეტის ეს რწმენა საბჭოთა საქართველოს
ეფუძნება, რომლის მგოსანდაც მოაქვეს თავი ჩვენს პოეტს. და აი, ამ
საბჭოთა საქართველოს რევოლუციურ გმირებს ელოლიავენ პოეტი.

ამ ნიადაგზე გაჩნდა რევოლუციური საქართველოს შესანიშნავი
თავფურცელი პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული“.

გრიგოლ აბაშიძის პოემა „შავი ქალაქის გაზაფხულში“ შესანიშნა-
ვად არის ასახული ქიათურაში ბოლშევიკების მიერ მოწყობილი პირ-
ველი არალეგალური კრებები, რომელთაც მრავალრიცხოვანი მუშები
ესწრებოდნენ:

„მოდიოდნენ ბნელი ტყისკენ,
შუქი ნახეს შიგ ჩამდგარი,
ულრან ტყეში ჭულაშვილი
იღა როგორც ჩირაღდანი“.

არალეგალური კრებები, მენშევიკების წინააღმდეგ გამართული
დისპუტები, პირველი საბრძოლო პროკლამაციები, რომელთაც რევო-
ლუციური განწყობილება შექჷონდათ ქიათურის მუშათა კლასში თუ
სხვა ეპიზოდი პოემაში აღწერილია დიდი პოეტური უშუალოდით, ალე-
გორიებით.

საინტერესოაა გადმოცემული ბოლშევიკების მიერ მენშევიკების
სასტიკი დამარცხება ქიათურის ერთ-ერთ დისპუტზე. ამ მიზნით მწე-
რალს ოსტატურად აქვეს გამოყენებული ცნობილი ზღაპარი, რომელსაც
სტალინი მუშებს უამბობს: ერთი ვაჟკაცი მუდამ შრომობდა, მაგრამ
მისი ნახნაგ-ნათესის ნაყოფი სხვას — დევს მიჷქონდა. არც ღვინოს და
სხვა სანოვაგეს, არ უტოვებდა ავი დევი მშრომელ ვაჟკაცს. ვაჟმა გა-
დაწყვიტა ბრძოლაში გამოეწვია დევი, შეჷიდებოდა მას და დაემარცხე-
ბინა. ამ ბრძოლაში დევს დედაბერი ეხმარებოდა: იგი ვაჟს წყალს
უსხამდა, დევს კი ნაცარს უყრიდა ფეხჷვეშ. რამდენჯერმე დაამარცხა
დევმა ვაჟკაცი, ბოლოს, ვაჟკაცი მიხვდა, რომ საჷირო იყო ჷერ ეს დე-
დაბერი მოეცილებინა თავიდან. ასეც მოიჷცა. ვაჟკაცი ხალხია, დევი —
მეფე, დედაბერი კი — მენშევიკები. ასეთია ამ ზღაპრის ალეგორიული
დასკვნა. ქიათურის რევოლუციური ტრადიციების ფონზე განზოგადე-
ბულია რევოლუციური საქართველოს რომანტიკული ისტორია, რო-
მელსაც პოეტი საოცარი მომხიბვლელობით მოგვითხრობს. სწორედ
ეპიკურ ჟანრში გამოვლინდა გრ. აბაშიძის პოეტური ნიჷიერებანი და
აზროვნების ფართო დიაპაზონი, მკაფიო, მწყობრი სიუჷეტის ოსტატი.

გრ. აბაშიძის პოეტური სახეები, მხატვრული სისტემა, კოლორიტი,
საღებავების შერჩევა სამყაროს ნათელი რეალისტური შეგარძნებიდან
გამომდინარეობს. მართალია, ადრინდელ მის მხატვრულ სახეთა სისტე-

მაში, ლექსების პირველ კრებულში წარმოდგენილ ზოგიერთ ლექსში, მოდერნისტული პოეზიის მონაბერი იგრძნობოდა, აქედან მოდიოდა ნეიტრალური, უსაგნო ლირიკის ხაზიც, მაგრამ ეს არ იყო დამახასიათებელი მისი პოეტური მეტყველებისათვის. მხატვრული მიმღეობა სავნისა თუ მოვლენის პლასტიკურ-რეალისტურ შეგრძნებას უფრო ემყარებოდა, და არა სამყაროს დეკადენტურ აღქმას. საზოგადოდ გრ. აბაშიძის პოეზიაში მეტი ადგილი უჭირავს ინტელექტს, ვიდრე შთაბეჭდილებას. პოეტი ემყარება კლასიკური ლექსის პოეტურ კულტურასა და ტრადიციებს, მის რეალისტურ გამოყენებას. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა მწერლობაში იგი ყველაზე უხვად სარგებლობს და აგრძელებს დიდ ტრადიციას კლასიკური ეპიკური ლექსისა. რეალისტური მწერლობის ტრადიციას უკავშირდება პოეტის მახვილი საზოგადოებრივი და პოლიტიკური აღლო, ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური მოვლენების გამოხმაურება დიდი კლასიკური ქართული მწერლობის ტრადიციების თავისებური გაგრძელებაა. გრ. აბაშიძის პოეზიას ნათლად გასდევს პატრიოტიზმის ის მგზნებარე სული, რომლითაც ცოცხლობდა მთელი ჩვენი მოწინავე საბჭოთა მწერლობა. გრ. აბაშიძის პოეტური სისტემისათვის დამახასიათებელია ნათელი სისადავე, ამიტომ გაურბის ის ლექსის გარეგნულ სამკაულს და ლექსის ძალას მის შინაგან იდეურ პათოსზე ამყარებს. მის ლექსებს აქვს დიდი შინაგანი ენერჯია და მაღალი კულტურა. გრ. აბაშიძე თავისუფლად ფლობს პოეტურ ფორმას — სწორედ ამ მხრივ დაიმკვიდრა მან მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატის სახელი.

ცალკე უნდა გამოვყოთ იოსებ გრიშაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კონსტანტინე ჭიჭინაძის და კოლაუნადირაძის შემოქმედება. ეს პოეტები საესებით განსხვავდებიან ერთმეორისაგან პოეტური ხმისა და სტილის მხრივ, ოღონდ ამ შემთხვევაში იმ გარემოებაზე გვინდა მივუთითოთ, რომ სწორედ ამ პერიოდში იწყება მათს შემოქმედებაში საბჭოთა სინამდვილესთან მჭიდროდ დაკავშირება.

ვ. გაფრინდაშვილი წარსულში ტიპური სიმბოლისტი, დეკადენტი პოეტი, მისთვის დამახასიათებელი იყო ლექსის ბუნდოვანება, დატვირთვა სიმბოლისტური სახეებით. იგი მირაჟებისა და დაისების პოეტად გვევლინებოდა მთელი რიგი წლების განმავლობაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ვ. გაფრინდაშვილი, — „ცისფერყანწელების“ ჯგუფის ერთ-ერთი იდეური ხელმძღვანელი, წლების მანძილზე განაგრძობდა სიმბოლისტური პოზიციების დაცვას.

ვ. გაფრინდაშვილი თანდათანობით თავისუფლდება სიმბოლისტუ-

რი ზღერესისაგან და მოწინავე საბჭოთა პოეტი ხდება. ვ. გაფრინდაშვილი 1936 წელს თავისი ლექსების წიგნის წინასიტყვაობაში წერდა: „ახლანდელი ჩემი გზა არის სოციალისტური რეალიზმის გზა. მე მეკუთვნია ლაზარევი „დაპირუტყვება მიწასთან“. რომლითაც მე მოვეუწოდებოდა ჩემს ლიტერატურულ თანამოღვაწეებს რეალისტური შემოქმედების პოზიციებზე (1925 წელს). ჩემთვის, როგორც პოეტისათვის, უდიდესი როლი ითამაშა ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც გააჩანსალა ჩემი შეხედულება და ჩემი მუშაობა. ჩვენმა გმირულმა ეპოქამ, ჩვენმა გენიალურმა ბელადმა ლენინმა და სტალინმა მოახდინეს ჩემზე უდიდესი გავლენა და მე შეძლებისდაგვარად გამოვეხმაურე ჩვენი დღეების თემატიკას. სიმბოლოზში უკვე განვლილი ეტაპია ჩემთვის და მე ვცდილობ ახლანდელ ჩემს ლექსებში სრულიად თავისუფალი ვიყო ჩემი წარსული მეთოდებისაგან“.

მაშალა, ვალერიან გაფრინდაშვილმა სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა შედეგად შეძლო თავი დაეღწია სიმბოლიზმისათვის და ვამზადარიყო მოწინავე საბჭოთა პოეტი.

არ როგორ გადმოგვეცემს პოეტი ამ სულიერ გადაიარაღებას: — „ბევრი მგოსანი ჰგავს ყრუ ბეთსოვენს, რომელიც გრიგალს უსმენდა შორით. ცაში ხეტიალს გამოვეთხოვეთ და მივაშურეთ მიწას ამბორით. ჩვენ გავიპერით ქუჩაში მარდად, სადაც ახალი გაჩაღდა კერა. ზაპესთან ერთად ჩვენ აღვიზარდეთ. მან გამოსქედა ჩვენი სიმღერა!“ (1930 წ.).

უფრო გვიან დაწერილ ლექსში პოეტი გულწრფელად აცხადებდა:

„მე ოქტომბრის წლის თავს თვითუნს
ვანერადი როგორც პირად მიღწევას
მრავალწლოვანი ხუთწლოვი წლეულს
ჯრევე სამაგრედ გადაქცევას“.

ვ. გაფრინდაშვილი ბოლომდე დარჩა ლირიკოს პოეტად („ტრისტანი და იზოლდა“, „გასეირნება ტაშისკარში“, „წყარო“, „ასკილი“, „ზღვას“), საოცარი პოეტური მადლითა და მიგნებით არის დაწერილი ლირიკული ლექსი „ძველი პალტო“. აქ სიმბოლიზმის პოეტიკურ საღაროდან წამოღებული ინვენტარი ბუნებრივი რეალიზმით არის შეფერადებული. ეს პოეტური გარდასახვისა და ოსტატობის ისეთი საინტერესო ნიმუშია, რომ არ შეიძლება იგი მთლიანად არ მოვიტანოთ:

„სასამთრო პალტო შავ ფოლაქებით დეზერტირკაზე ვიყიდე ერთხელ, მას მოვაცილე დიდი ლაქები და ნაფტალინი მთლად გამოვეფრთხე. მე ახლა პალტო მაცვია სხვისი, ამეკვიატა კითხვა გვიანი; წინათ ვინ იყო პატრონი მისი — მოხელე, მკვლელი თუ ავზნიანი? თითქოს ვატარებ სხვის ცოდვებს ტანზე და უცხო გრძნობებს დღეს ვიზიარებ. მე ვიხედები ქუჩაში განზე და ველოდები ქურდულ იარებს. აღშფოთებული მუდამ ვრწმუნდები — პალტო ჩემს ბედზე ახდენს გავლენას, სახლში

ღამითაც აღარ ვბრუნდები და ზოროტ ღამეს მივაპყრობ სმენას, დამე-
ბადება სურვილი ხშირად, რომ გავათოი ხიდის ქვეშ ღამე, ვიხეტიალო
ველურ ნადირად და ყაჩაღობის ვნახო სიამე. თუ ვაკუთვნოდა ეს პალტო
პოეტს ანდა კლეპტომანს შეშლილ თვალებით? მე ახლა ვეტრფი ზღაპ-
რულ ინდოეთს ჩემგან მოგონილ მტერს ვემალები. მხოლოდ ეს არის
ჩემი ოცნება: მივყიდო ვისმე პალტო ცბიერი, რომ არ დაეკარგო პატი-
ოსნება და ვიყო სულით კვლავ ბედნიერი“.

პოეტური სიტყვის კემპარიტი ოსტატი მეტყველებს ამ ყოფით
სტრიქონებში.

საბჭოთა ეპოქამ. სოციალისტურმა მშენებლობამ თავისი გავლენა
მოახდინა ისეთ უკიდურეს სიმბოლისტ პოეტზედაც კი, როგორც იყო
ვ. გაფრინდაშვილი.

ამ ფაქტში მთელი სისრულით გამომქლავნდა სოციალისტური წყობი-
ბილების ცხოველმყოფელობა — ძველი თაობის პოეტთა იდეური და
მხატვრული გარდაქმნის საქმეში.

ვ. გაფრინდაშვილმა ოცდაათიან წლებში გამოაქვეყნა საუკეთესო
ლექსები: „ჩემი ქვეყანა“, „ოცნება ბელადზე“, „ოქტომბრის სტრიქონ-
ები“, „საარჩევნო სიძღერა“, „კარლ მარქსი“, „ლადო კეცხოველი“,
„ფერო“, „დამკვრელის სტრიქონები“. ამ გულწრფელ ლირიულ ლექ-
სებში პოეტი უმღერის ჩვენი ხალხის ბედნიერ, თავისუფალ ცხოვრებას,
ღიად სოციალისტურ მშენებლობას, ჩვენი ხალხის შემოქმედებით
შრომას.

იოსებ გრიშაშვილი თავისი პოეტური სტილით არსებითად განსხვავ-
დება ვ. გაფრინდაშვილისაგან. გრიშაშვილისათვის დამახასიათებელია
წერის რეალისტური მანერა, რომელიც ქალაქური ფოლკლორის სახეთა
სისტემიდან გამოდიოდა. იგი უმთავრესად ქალის, ერთიული სიყვარ-
ულისა და ძველი თბილისის მომღერალი იყო.

საბჭოთა სინამდვილემ ახალი შინაარსით აავსო გრიშაშვილის პოე-
ზია. სოციალისტურ მშენებლობას, იმ ისტორიულ პროცესს, რაც ღიად
ოქტომბერს მოჰყვა, არ შეიძლებოდა თავისი კეთილისმყოფელი გავ-
ლენა არ მოეხდინა ისეთ ნიჭიერ ლირიკოსზე, როგორც იყო გრიშა-
შვილი.

პოეტი ერთბაშად არ მისულა საბჭოთა სინამდვილესთან. სოციალის-
ტური რევოლუციის პირველ წლებში მან გამოაქვეყნა არასაბჭოთა გან-
წყობილების გამომხატველი ლექსები: „ბებუთი მაგიდაზე“, „თბილისის
მიწა“ და სხვ. მაგრამ შემდეგ მან მოახერხა კავშირი გაეწყვიტა ძველ
იდეურ გზასთან, წარსულთან.

ი. გრიშაშვილის პოეზია ჩვენთვის საინტერესო პერიოდში სრული-
ად ახალმა შინაარსმა და თემებმა მოიცვა. ძველი თბილისის ქუჩაბანდე-
ბის სიყვარულის გამომხატველი ლექსების ნაცვლად მან ახლა აღორძინ-

ნებული და განახლებული თბილისის მადიდებელი გულწრფელი ლირიკული ლექსები შექმნა. გრიშაშვილმა გამოამყლავნა ახალი სინამდვილის შეგრძნების დიდი პოეტური ძალა. მთელ რიგ ლექსებში იგი ჩვენს გამარჯვებულსა და აღორძინებულ სამშობლოს უმღერის. ეს ლექსებია: „ნარინჯიანო“, „ახალი სოფელი“, „გრიგოლ ორბელიანი კომკავშირის ზეივანში“, „სამშობლოსადმი“, „ვეფხისტყაოსანი და ქიაკოკონა“, „პეტერგოფის შადრევნები“, „კიროვის ბაღი“, „ლენინის მოედანი“, „მთაწმინდა“, „პუშკინი და ილია“, „აცრემლებული თვალის“, „აკაკის ხსოვნას“, „მაიკო ორბელიანის „ვეფხისტყაოსანი“, „ჯამბულს“, „შოთა რუსთაველი ჩემს ბიბლიოთეკაში“, „მუხამბაზი სომხეთს“, „ილია საგურამოში“, „დავებრდი? არა!“, „ჩემი აღმართი“, „მარიჯანს“; საბავშვო ლექსები: „ია და ყაყაჩო“, „ზარმაცი“, „მუსტაფას ვირი“, „მელა და ძალი“, „ბაბაჯანას ქოშები“.

საკმარისია დააკვირდეთ ამ ლექსებს რომ უმალ იგრძნობთ თუ რა მრავალფეროვანია ი. გრიშაშვილის პოეტური სამყარო. საბჭოთა ყოფამ გააღწიდა. გაამრავალფეროვანა პოეტის პალიტრა. მან მთელის გულწრფელობით უმღერა ახალ საქართველოს. მის დედაქალაქ თბილისს. იზილის-ს პოეტმა, თბილისური ეშხით და ლაზათით გამოაბრწყინა განახლებული და აღორძინებული ჩვენი დედაქალაქი.

ჩემო თბილისო!

„ავხედავ შთის შუბლს! გავხედავ ფერდობს!
ყველგან შრიალებს ნაძვი და ფიჭვი.
და გრიშაშვილიც ლექსს რომ არ წერდეს
რის მაქნისაა იპაისი ნიჭი“.

და მართლაც გულუხვად შეამკო „ნამუსიანი ლექსებით“ ახალი თბილისი: „— საქართველო ბეჭედი ბაჯალლო და თბილისი — შიგ ჩასმული ბადახში, გავცქერ არეს უხინჯოს და უნადვლოს, წერეთელის დინჯ შუბლივით გადაშლილს. ასეთი ცა მე ჯერ არსად მინახავს! ასეთი მზე მე ჯერ არ შემხვედრია! ეს ჩუქურთმა ჩამოთლილი ინახად თავისუფალ საქართველოს ხვედრია, გულო ჩემო, აფეთქდი და დაიძარ! ჩაეზარდე მშობელ მიწას ფესვებით, ახალ თბილისს — ახალ კოკორს ნადვიძარს — უგალობე ნამუსიან ლექსებით“.

ი. გრიშაშვილის სატრფიალო ლირიკაც ახალი ინტონაციებითა და ფერებით გამდიდრდა. პოეტურ გამომხატველობათა მრავალფეროვნებით მოგვევლინა სიყვარულის დაუბერებელი პოეტი.

„— დავებრდი? არა! ლექსების ფერებს დაჰკრავს სურნელი საუკეთესო,
ნამდილ სიყვარულს რა დააბერებს სულზე უტკბესო“.

„— როცა გიყვარდი ჩემი ხარფუხი, შენს შესახებ რაღაც ფეხზე დგებოდა და სუბსარქისის მკაცრი ქარბუქი უნაზეს სიოთ გეჩვენებოდა“.

ი. გრიშაშვილი სამართლიანად ითვლება სიყვარულის პოეტად. გულწრფელად აცხადებს პოეტი: „მე სიყვარულმა შემქმნა პოეტად“, და მაინც პოეტის ლირიკაში საპატიო ადგილი ჰქონდა მიყუთვნებული პატრიოტიზმის მოტივს. განახლებულ საბჭოთა საქართველოს მიუძღვნა მან დიდი მხატვრული შთაგონებით დაწერილი, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით ნაკარნახევი ჰიმნი — „სამშობლოსადმი“.

— ეს მთა ჩვენი! ეს ხე ჩვენი! მე ვიშორებ ყოველ განთიადს
თუ კი რამ კარგი გადამჩენია, ისიც სამშობლოს დროშად ანთია
სამშობლოს დროშა, როგორც ფოლადი ერთი მიზნისკენ ჩვენს გულებს
იკრებს... გულო მებრძოლებს გაუტოლადი, თოფის ლულაზე აწყობდე ფიქრებს“.

ი. გრიშაშვილი არამარტო თავის საუკეთესო პოეტურ ქმნილებებში განადიდებდა ხალხთა ძმობასა და მეგობრობას („მუხამბაზი სომხეთს“, „ჩამბულს“, „პუშკინი და ილია“), არამედ თავისი ბრწყინვალე თარგმანებითაც ხელს უწყობდა ამ დიად გრძობათა განმტკიცებას. განსაკუთრებით ბევრს თარგმნიდა იგი ჩვენი კარის მეზობლების—სომხეთისა და აზერბაიჯანის მწერლებს (ოვანეს თუმანიანის „გიჟორი“, „ანუში“, „საქართველოს პოეტებს“, შირვანზადეს „ნამუსი“, აზატ ვშტუნის „აზერბაიჯანი“ და სხვ.).

ამ პერიოდში ი. გრიშაშვილი ნაყოფიერად მუშაობდა როგორც მკვლევარი. საკმარისია აქ დავასახელოთ მისი ვრცელი მონოგრაფია ალექსანდრე ჭავჭავაძეზე.

1910 წელს „თეატრი და ცხოვრება“ (1910 წ. № 37) წერდა: „წელს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე ნიჭიერი პოეტი ალ. აბაშელი. მისმა პირველმა ლექსებმა („შავი აჩრდილი“, „მზის წიაღში“, „სსსსს... უშუშუშ“) საერთო ყურადღება დაიმსახურა. სწრაფად გამოჩნდნენ მიმბაძველები. აბაშელის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა რაღაც ახლისა და მშვენიერით ფიქრით ავსებს გულს“... 1911 წლის „სახალხო გაზეთი“ აცხადებდა: „პოეტთაგან განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა აბაშელმა. მას ყოველთვის ლამაზი და მოხდენილი ლექსი აქვს ხოლმე. გულწრფელი და ნაზი ლექსი. აბაშელისა შესამჩნევად ერჩევა მრავალ სხვა მელექსეთა ნაწარმოებებიდან“, ხოლო 1913 წელს გაზეთ „თემის“ მიერ გამოცხადებულ საუკეთესო ლექსის კონკურსზე ალ. აბაშელის ლექსმა — „მზე“ — გაიმარჯვა. გაზეთი იტყობინებოდა: „სალიტერატურო საღამო და პოეტის დაჯილდოება“. „16 იანვარს აკაკიმ თავისი ხელით გახსნა კონკურტი — ს. აბაშელის ლექსი „მზე“ და გადასცა ჯილდო სიტყვებით „ჩვენს ახალგაზრდა საამაყო მგოსანს“.

ალექსანდრე აბაშელი იმ თაობას ეკუთვნის, რომლის პოეტური ბი-

ოგრაფია ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში დაკავშირებული იყო, ერთი მხრივ ირ. ევდოშვილის სკოლასთან. მეორე მხრივ დეკადენტურ-სიმბოლისტურ მიმდინარეობებთან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ალ. აბაშელი „აკადემიური“ ჯგუფის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და მეთაური იყო. 1929 წელს გამოცემულ ლექსების კრებულში („გაბზარული სარკე“) უკვე შეინიშნებოდა გარდატეხა მის პოეზიაში. იგი გულწრფელად ამბობდა:

„ცაში მზე დადის, შენს თვალეში რათა სდგას ჩრდილი.
ჰაუ. ლანარო. საუკუნის არა ხარ შეილი!
როგორ ვერ ზიდე დროის სიმძიმე და სიმძაფრენი?!
მოსხენი თვალეხს სარკე ცივი და გაბზარული,
რომ დაინახი კლდე და ველი გადასაფრენი,
და სოქვი სიმღერა. ეპოქისთვის თანამგზავრული“.

სოციალისტური მშენებლობის დიდმა წარმატებებმა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ისტორიულმა ძვრებმა თავისი გავლენა მოახდინეს ალ. აბაშელის პოეზიაზე. პოეტი თანდათანობით ჩამოსცილდა ძველ პოეტურ გზას და საბჭოთა მწერლობის პლატფორმაზე დადგა. ეს გარდაქმნა სწორედ ოცდაათიანი წლებიდან დაიწყო.

პირველი პოეტური ნაწარმოები, რომლითაც ალ. აბაშელი საბჭოთა პოეზიის ფართო შარავნაზე გამოვიდა, იყო ცნობილი ლექსი „ფოლადური“.

ამ ლექსს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ვაჟას სტრიქონები: „მოგესალმებით ქედებო, მომაქვს სალაში გვიანი“. სიმბოლურია ეს ეპიგრაფი. ალ. აბაშელი იმავე ვაჟას მიმართავდა 1927 წელს ლექსში — „წერილი ნოე ჩხიკვაძეს“ და აცხადებდა: „ახლა ქუხილი არ ისტამბება, ხარი არ ყვირის მაღალ მთებიდან, ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბებმა ამონაწერმა გაზეთებიდან“. ამ ლექსში — „ფოლადური“ — სულ სხვა ვითარებაა. ეს გრძელი სიუჟეტური ლექსი ბუნების სურათების მეტაფორული აღწერით იწყება: — „ზამთარმა მთებზე კალთები დიდხანს აწვალა, აწუხა, კლდიანი ხევი დაკეტა, ყინულით დაამარწუხა, მაგრამ მოვიდა აპრილი სალაში გადმოაქუხა, ცაში ნახვეტი ბაჯალლო ლაქვარდის ქვაბში აღუღა, დააპირქვავა მიწაზე, დაცვივდა ოქროს თავთუხად, მიდი და კრიფე ყვავილი სიამისათვის მზა თუ ხარ... გაუფანტიათ ნისლები, ფიქრებად შემოსეული, დამშვიდებულან გონებით დაუწყნარებავ სხეული. თითქოს მღერინან თავისთვის ამაყად თავაწეული, ყურს უგდებ — მესმის ნაცნობი სიმღერა ვაჟასეული... მოგესალმებით ქედებო ნაკურთხნო ვაჟას კალმითა“.

ვაჟასეული ბუნების ამ სურათებს მოსდევს ფშავ-ხევსურეთის ცხოვრების ფერისცვალების აღწერა:

„თქვენმა უშრეტმა სინათლემ გონება გამიხალისა, მახარებს ფერის-
ცვალება თქვენის დეურის ძალისა, თქვენს ძველ კერაზე ტრიალი ახალ
ცხოვრების აღისა, მხნეობა დაუცხრომელი თქვენის ვაჟის და ქალისა,
წარსულის შარავანდედი, შუქი მზიანის ხეალისა“.

ვაჟას პოეტურ სამყაროსთან ამგვარი გადაძახილით პოეტი გვა-
ახლოვებს ახალი ბახტრიონის მშენებელ ფშავ-ხევსურებთან და გულ-
წრფელად მიესალმება ჩვენი სამშობლოს განახლებასა და აღორძინებას.

„ფოლადაურს“ მოჰყვება ლექსები საყოლმეურნეო ცხოვრების თე-
მებზე: „კოლხეთის კოლმეურნეს“, „ახალი სოფლის ასული“, „ფორ-
თოხლის ბაღში“. საოცარი პოეტური სინატიფით არის დახატული კოლ-
მეურნე ქალ-ვაჟის გაშაირება, მათი უჩრდილო ტრფიალი, „ფორთოხ-
ლის ბაღში“.

„—სად მოიცალა იმ ღმერთმა შენი თვალწარბის წერადა,

აიღო ხელში კალამი, დაგხატა ათასფერადა.

მე კოლმეურნე ქალი ვარ, თვალებში სხივდაჯროვილი,

თმას მინიავეებს ქარივით ნარინჯი მოოქროვილი.

— შევ წამნამებით მოღობილ ვარსკვლავებს ვხედავ გულშიაც

„დაამოღება ხოხობი შენი თვალწარბის ჩრდილშია...“

თუ ოქროდ არ დაჰვიწივება ფორთოხლის გროვა ნარჩევით

ხოხობიც გაგიფრინდება ხელსაბრთვილი დარჩები“.

ოცდაათიან წლებში ქართულ ლენინიანას კვლავ შეემატა ახალი
პოეტური ქმნილებანი. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ ალ. პაპუნის
ორი ლექსი — „ლენინის ხსოვნას“ (1938 წ.) და „ლენინის გული“
(1940 წ.)

„ეს მეთოთხმეტე წელი გავიდა — ნეტავ ამ დღემდე შენ მოგველოდი,

ჩვენ შენს სიყვარულს ვიწყებთ თავიდან და შენს სხელთან ვრჩებით ბოლომდე...“

ისე გაგვეშორდი და გაგვეყარე. ცრემლის შემრობა ვერ მოვასწარი,

ელვით და გრგვინვით მიჰქრის ქვეყანა შენ რომ ოქტომბრის დამეს დასძარი...“

და შენი სახე, მშრომელი ლაშქრის ველისძვრასთან განუყოფელი,

მეღამ წინ გვიძღვის, ჰუღამ აქ აოის. ასე ძვირფასი და ახლობელი“...

სოციალისტურ სამშობლოს სიყვარულსა და მისთვის თავდადების იდე-
ას მიუძღვნა ლექსები „სამშობლოსადმი“, „სიმღერა სამშობლოზე“,
„თბილისი“, „ღამე საზღვარზე“. ამ პოლიტიკურ სამოქალაქო ლექსების
გვერდით უნდა მოვიხსენიოთ უაღრესად ლირიკული ლექსები: „ღღე
და ღამე“, „ღამე ფანჯარასთან“, „ლექსის დაბადება“, „მზიანი დღე“.

ცალკე უნდა გამოვეყოთ საინტერესო პოეტური ნაწარმოებები „ოქროს
საწმისი“, რომელშიც ისტორიული წარსულისა და აწმყოს კონტრას-
ტული სურათების ფონზე ვაშლადი იყო კოლხიდის ქაობის ამოშრო-
ბის ისტორია, ნაჩვენები იყო ჩვენი თანამედროვეობის სიდიადე: „ახლა
ნახეთ, ეს მხარე თუ რა სანახავია, მას ვერა სჯობს მშვენება ვერც

ზღვისა და ვერც ცისა, დღეს კოლხეთის მიდამო თითქოს ერთი ტყავია ოქროს ბეწვით შემოსილ ლეგენდარულ ვერძისა“. აქვე უნდა აღვნიშნოთ ფანტასტიკური რომანი „ქალი სარკეში“.

სწორედ ამ წლებში მოხდა კ. ჭიჭინაძის დაახლოებაც საბჭოთა სინამდვილესთან. ძველი თაობის ეს გამოცდილი ოსტატი ლექსისა სალიტერატურო ასპარეზზე რეაქციის წლებში გამოვიდა. ზოგიერთ ლექსში იგი მებრძოლ განწყობილებას გამოხატავდა. ერთ აღრინდელ ლექსში პოეტი ქებით იხსენიებდა პრომეთეს, რომელმაც ღმერთებს მოსტაცა ცეცხლი და ადამიანებს გადასცა იგი მათი კეთილდღეობისათვის. მეორეგან იგი წერდა:

„გულში მიღვივის იმედი
ბრწყინვალე გამარჯვებისა“.

ეს გამარჯვების დღეც მოვიდა. მეფის ტახტი დაემხო. პოეტი მიესალმა 1917 წლის რევოლუციას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ის „აკადემიურ“ ლიტერატურულ ბანაკში აღმოჩნდა. 1924 წელს კი ჟურნალ „კავკასიონში“ დაბეჭდა პოემა „რიონის აპოლოგია“, რომელშიც მოცემულია ჩვენი ტრაგიკული ისტორიის მოწმე მდინარე რიონის ხობტა. პოეტმა რიონის სათავე მოინახულა, აქ იგი პატარაა, ანკარა და აუშლვრეველი და ფაზისად იწოდება. შემდეგ ზღვისკენ დაქანებული, მდინარეთა შენაკადებით გაზუქებული და გამდიდრებული ზვიადად მიედინება, ღრიალით ბარაკონს მიაღებდა. აქ ოდნავ შეყოვნდება რაჭის ერისთავის როსტომისა, მისი ვაჟებისა და სოლომონ მეფის ომების მოწმე და პოეტს მწუხარედ აღმონდება: „ალბათ მოუხტა ბარაკონზე მეფე ვერაგი, საჩქაროდ მამას გადააცვეს ჯაჭვის პერანგი და დამბაჩების ჩახმახებზე სინჯავენ კაჟებს. ვაი, სოლომონ! არ უმტყუნებს არც ერთს ფიალა... ეხ, ამ ეზოში ბევრი გახსოვს სახე და ფერი, — აქ დაგინახავს შენ თამარი და კახაბერი, მაგრამ ამჟამად საამისოდ როდი გცალია“... ყალყზე ამდგარი ქუთაისისკენ მიექანება. აღწერს რიონის ატეხილ ჰალებს და იგონებს უფრო ძველ დროს. ოქროს ვერძს, მედეას, და არგოსელებს. — „სამეგრელო ფერწასული აცურდა წყალში“, გავაკებისას ფრთებ გაშლილი არად აგდებას აბაშის და ტეხურის შფოთს და ზეიმით შეერთვის შავ ზღვას, აქ კი „მის დანახვაზე შიშისაგან გაქვავდა ფოთი“. ძღვევამოსილ რიონზე დაწერილი ეს სიმბოლური ოდა მთავრდება ასეთი აკორდით: „სთხოვე დიდ გემებს პალერმოდან და მარსელიდან, რომ მოგიკითხონ ბრვე ტალღების ატლამუნებით, შენ შორეული მდინარენი და ზღვები ვრცელი და მოახსენონ ზვიად რონას, ლამაზ ლუარას, შენი ცოლობა, რომ არც ერთმა არ იუაროს, რადგან რაინდი ქედმაღალი ყოფილხარ ძველი!“.

ქართული სიტყვის კვშმარტიმა ოსტატმა კ. ჭიჭინაძემ დიდი დრო და ენერგია მოანდომა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიურ და პოე-

ტიკურ კვლევა-ძიებას, 1925 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია „ალტერაცია ქართულ შაირში და ვეფხისტყაოსნის პრობლემა“, 1928 წელს — „რუსთველის გარშემო“, ხოლო 1934 წელს გამოსცა „ვეფხის ტყაოსანი“, რომელსაც თან ერთვის ვრცელი რუსთველოლოგიური გამოკვლევა, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, რითმების ინდექსი, განმარტებანი და შენიშვნები. რუსთველოლოგიაში მან თავისი წვლილი შეიტანა, როგორც მკვლევარმა. ამ ნიადაგზე ცნობილ რუსთველოლოგებთან მწვავე დავა და კამათი ჰქონდა. და მაინც თავისი სათქმელი ყველაზე კარგად რუსთველისადმი მიძღვნილ ლექსებში გამოხატა. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „ოდა რუსთველისადმი“.

ოვალშეუდგამო, სხიენაუარო დიდო გენია, კირთა მკურნალო მოიძედევ ბედით
კრულისა,
შენ პოეზიის, ძმობისა და სიყვარულისა გარდაევალი კანონები დავიღვენი!
...ვარდი უქნობი, ფერგახსნილი, ვით განთიადი, დამაფრქვეველი დაუშრეტელ
სურნელებისა,
შენი ფირმანი უკვდავების და დიდებისა — მზიურ ფურცლებად დაკეცილი წიგნა
ღაღი?

წიგნი სიბრძნისა, უმაღლესი ფიქრების ქსელი,
განუსაზღვრელი სურვილების ცხელი ღაღარი,
წიგნი ლოცვანის მონაცვალე და შესადარი, მრავალ ათეულ თაობათა ცრემლებით
სველი..."

კ. ჭიჭინაძე კლასიკური ქართული ლექსის ერთგული პოეტი იყო, მის ხელწერას და პოეტურ ოსტატობას რეალიზმის თავანკარა წყარო ასაზრდოებდა. ადრინდელ ლექსებში კი იგი ერთგვარად გატაცებულია ფრანგი და რუსი სიმბოლისტებით და მათი გავლენის კვალი ეტყობა კიდევ, ამითაც აიხსნება ალბათ ის, რომ აკადემიური ასოციაციის წევრი კ. ჭიჭინაძე 1926 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი ყრილობის დელეგატი ცისფერყანწელების კორპორაციიდან იყო. მაგრამ ეს მოდური გატაცება იყო და ის ისევ მიუბრუნდა კლასიკური რეალიზმის გზას, ქართული მწერლობის ძირებს. სწორედ ტრადიციულმა ქართულმა თემამ, პატრიოტიზმის მოტივებმა ყველაზე ლაღად გაშალა ფრთები მის პოეზიაში. საქართველოს ისტორიული წარსულიცა და აწმყოც ამ მოტივებს დაეფუძნა. ისტორიული წარსულიდან განსაკუთრებით იზიდავდა რუსთაველის დრო და ეპოქა.

აი, დიდებულები ვარძია, ამ ისტორიულ ძეგლს უკავშირდება გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა სახელები, დროთა ეს კავშირი ასეა წარმოდგენილი ლექსში „ვარძიის წყარო“.

— „დიდის დიდების პერკულანუმი გადასუდრული უმზეო ხანით...
ახლაც მსხველებს ნატვრით მოგველი და გეჩვენება გვირახის ბნელში,
რომ ახარფევის ტრიალით ხელში მოგიახლოვდა სარგის თმოგველი“.

ისტორიული ციხე-სიმაგრენი, რომლითაც დაუცავს ჩვენს შავ-შავათ თავის ეროვნული თვითმყოფილება და ისტორია განსაკუთრებით იზიდავს პოეტს. ამ გმირ ციხე-სიმაგრეთა აღწერას ჩვენი წარსული დღეების მოგონება უკავშირდება. ეს კავშირი თანამედროვეობასთან სულ სხვა ელფერს აძლევს ამ წარსულის დიდებულ ძეგლებს. პოეტი ასე მიმართავს თმოგვის ციხეს: „თავით ლაქვარდი გაგირღვევია, გარინდებულხარ ზვიადად მდგარი, გებრძვის მუდამ და ვერ მოგრევი ათასწლოვანი წვიმა და ქარი. ასე იდექი, ბრვე ციტადელი გამბედაობის და სიქველისა. მტერს არ დაუთმე კუთხე ნათელი, მხარე მშობელი რუსთაველისა“. ამას მოსდევს ისტორიული გადაძახილი თანამედროვეობასთან, „ბევრი გინახავს ომი და ზავი, ხარ ვალმოხდილი დიდი ხანა, ჩვენს ბრწყინვალე ქამამდე თავი დაუნგრეველად მოგიტანიათ“.

საბჭოთა ეპოქის გავლენამ პოეტი რევოლუციური პოეზიის ერთგული მხატვარი გახადა. ამ პერიოდის პოლიტიკური ლირიკის საუკეთესო ნიმუშია — „ლენინი აკლდამაში“.

„თითქოს მის გულთან გავლებულა ღერძი მიწისა,
თითქოს ჩაესმის ყურდაგდებულს ყოველი ჩემი
თავზე გადასდის ხეთწლედებად ნაქედი ქამი,
ჰეჰა-ქეხილი ვაჟაკობის და სიმტიცისა“.

პოეტმა საბჭოთა შუა აზია მოინახულა და იხილა საოცარი ფერისცვალება ქვეყნისა. ძმურად მიიღეს და მოუაღერეს საბჭოთა საქართველოს პოეტს. და პოეტმა იგრძნო თუ რა ძლიერა ოქტომბრის რევოლუციის მიერ აგებული ძმობისა და მეგობრობის ხიდი.

„შენ ვაწაფხვლზე ირთვები როგორც შირინი მწვანით შემოდგომანი
შედობარ შემობამბულის ტანთ, შრომის ნაყოფით იესება შენი ბაბი
და მთები, ლამაზი იყავ და კიდევ უფრო ლამაზი ხდები“.

(„საბჭოთა უზბეკეს“)

„შუა აზია“ ვრცელი პოემა უზბეკეთის წარსულისა და აწმყოსი. პოეტი მოგვითხრობს ყარაყუმის, ბუხარას, ამირას, სამარყანდის წარსულისა და ისტორიული ძეგლების შესახებ. წარსულის სუსხიან დღეთა მოგონებას ცვლის მზიანი აწმყოს ეპიზოდები.

სამი მფრინავი ქალის, მარინა რასკოვასა და მისი ეკვაჟის გრიზოდუბოვასა და ოსიპენკოს გმირობის ეპიზოდები საინტერესოდ დახატა პოემაში „მარინა რასკოვა“.

კ. კიკინაძე ნაყოფიერად მუშაობდა, როგორც მთარგმნელი, მან თარგმნა დასავლეთ ევროპისა და რუსული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები. მან კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად თარგმნა დანტეს „ღვთაებრივი კომედია“. პირველი ნაწილი — „ჯოჯობეთი“ მას ეკუთვნის. მანვე თარგმნა გერმანული ეპოსი — „სიმღერა ნიბელუნგებზე“, ედგარ

პოს „ყორანი“, ბაირონის „კაენი“ და „მანფრედი“, აგრეთვე პორაციუსის, ომარ ხაიამის, ნიჰამის, ვაგიფის, გოეთეს, ჰაინეს, მიცევეიჩის, პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, ბრიუსოვის, ბლოკის, ტვარ-დოვსკის და სხვათა ლექსები.

კ. ჭიჭინაძე ქართული სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატი იყო.

ამ პერიოდში დაიწყო „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის გამოჩენილი წარმომადგენლის კოლაუ ნადირაძის ახალი შემოქმედებითი ცხოვრება. დაწმენდილი ლირიკული ხმების, ფაქიზი გემოვნებისა და პოეტური ხელოვნების სამაგალითო ოსტატმა სწორედ ოცდაათიან წლებში შექმნა თავისი საუკეთესო მხატვრული ქმნილებანი. გულწრფელი ლირიკული აღსარებით განადიდა აღორძინებული სამშობლო: — „არა არ ვიცი რა მემართება. გიმზერ ძვირფასო და მიხარია, ამ გაზაფხულის აფერადება, და გულში შენი ცეცხლის დანთება. თითქოს ზღაპარი და სიზმარია სამშობლოვ ჩემო! ბედნიერებამ დღეს შენთან ჰპოვა თავშესაფარი! შენს გამლას, ზრდას და მშვენიერებას, შენს აყვავებას და ძლიერებას, ვით გმირს და ეაქაცს, შეეფერება ლექსის ქლერა და ტრფობის ზღაპარიც“.

ოცდაათიან წლებში მან ზედიზედ გამოაქვეყნა ლექსები: „ბუნების ენა“, „ტრიოლეტები“, „განთიადი ზღვაზე“, „შემოდგომის სტუმრები“, „სიმღერა სამშობლოს“, „კოლხეთის საღამოები“, „განახლებულ ქართლს“, „თბილისის დილა“, „შოთა რუსთაველს“, „პოეტს“, „ორფეოსის სიმღერა“, „უკვე ორმოცდაოთხი წელია“, „სიმღერა“, „წიწამურიდან საგურამომდე“.

პოეტის ლირიკული ინტიმი და ინტონაცია საოცრად გულთამხილავი და მაღალი გრძნობის აღმძვრელია. ბუნების სასწაულს განიცდის იგი: „ხელდავ სამყაროს და ყოველი ფერი და ნივთი შემოდის შენში და პოულობს საკუთარ სახეს, გრძნობს სიცოცხლეს ღვთაებრივ დენას, ბუნების ენას. ეს სიდიადე თავზარდამცემი ენაწართმეულ ქურუმად გაქცევს, სად დავატიო ეს აღტაცება, ეს სიყვარული ტკივილს, რომ აღწევს?“ თუ კოლხეთის საღამოებით აღფრთოვანებული რომ აცხადებს: „ამაღლდი, სულო შეუერთდი შენც ამ სამყაროს! დაჰგმე წუთიერ და წარმავალ გრძნობათა ზრახვა, — რომ ეზიარო ჰარმონიის უძირო წყაროს“...

წმინდა ლირიკული ლექსების გვერდით პოეტი აქვეყნებდა პროზაულ ლექსებს. კ. ნადირაძე მის მოვალეობას ქვეყნის წინაშე როგორც პოეტი და მოქალაქე ასე განსაზღვრავდა ლექსში — „პოეტს“.

„წინასწარმეტყველს, ადამიანს, ქეშმარიტ მგოსანს
უნდა გზბზღავდეს ბრძოლის ცეცხლი, ხალხთან ერთობა...
გაადე გული და აილე კალამი ხელში —
შეაწიხ ბორცი რაც შენ გტანჯავს და არ გასვენებს!“

ტრფობა და ზეცა, ამ სამყაროს იღუმალემა,
მკენიერების უკვდავება, ეპოქის სუნთქვა,
უნდა გარდიქცეს შენი სულის მოძრავ ძალეზად,
რომ თქვა სიმღერა ჯერ რომელიც არავის უთქვამს“.

პოეტის ლირიკული ხმები მძლავრად შეარხია ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა სოციალურმა გრიგალმა:

„სხვა სასწაულის მოწამე ხდება კოლხეთის მხარე ჰაობით სავსე,
აქ თითქოს მიწა ხელახლად ჩნდება და მზეც პირველად ამოდის ცაზე,
თითქოს ლეგენდა ცოცხლდება ისევ და დედამიწა სიმღერას ამბობს,
პირველ სხივებით უბეებს იესებს, და პირველ თავის ნაყოფსაც ატკობობს,
და კოლმეურნე ვაჟკაცურ მხრებით, მიწის პატრონი, რომ არის სრული,
მოესმის უკვდავ სიმღერის ხმები, რომ გაუგმირა ორფეოსს გული“.

ცალკე უნდა გამოვყოთ კ. ნადირაძის ლექსი „წიწამურიდან საგუ-
რამომდე“. ეს ლექსი ქართული პატრიოტული ლირიკის უბრწყინვალე-
სი ნიმუშია. მასში საოცრად კონდესირებულად და განუმეორებელი პო-
ეტური ვარიაციებით გაცოცხლებულია ქართველი ერის ტრაგიკული და
ამავე დროს გმირული სული, სამასი არაგველის, მეფე ერეკლეს და
ილიას სევდიანი ისტორიის ფურცლებად გადაშლილი: „ჰე არაგვო,
არაგვიანო, გულში ეგ სევდა რათ ჩაგწოლია? შენს სამას შვილზე ხომ
არ დარდობ“?

არაგვი მოწმეა მეორე ისტორიული სევდისაც, „შენ დაგტიროდა
მხოლოდ მოხუცი — დამარცხებული ბაგრატიონი!“ მესამე და ყველაზე
კაემნიანი: „მოკლულ პოეტზე ხომ არ დარდობ? ჰეი, არაგვო მიაშბე
მანც როგორ დაეცა ეს გოლიათი: ნატყვიარ შუბლის სისხლის წვეთები
ეხლაც აცხია მიწას და ქვებსაც“... ამ სევდიან მოთხრობას თან გასდევს
ოპტიმისტური აკორდი: „გზა ეკლიანი და უდაბური გმირებს და მგოს-
ნებს გაუკაფიათ!“

ახალი სოციალისტური ყოფა, სოციალისტური წარმოება, საკოლ-
მეურნეო სოფლის ცხოვრება, ზდებიან საბჭოთა პოეტების, პროზაი-
კოსებისა და დრამატურგების ნაწარმოებთა მთავარ გმირებად, შეიძლება
გადაუქარბებლად ითქვას, რომ ქართულ საბჭოთა ლიტერატურას მა-
ნამდე არ ჰქონია ისეთი აღმავლობა, სოციალისტურ სინამდვილესთან
ისეთი უშუალო კავშირი, როგორც ამ პერიოდში დაიწყო.

ქართულ მწერლობაში ნათლად აისახა საბჭოთა ცხოვრების ყოველი
დიდი მოვლენა: სტახანოველთა საწარმოო რეკორდები, ჩელუსკინელთა
ისტორიული ეპოპეა, წითელი მეზღვაურების საგმირო საქმეები, კოლ-
ხიდის ჰაობის ამოშრობა, რიონჰესის, აწჰესის მშენებლობა. ახალი
თბილისის თუ საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების სურათები.

ოცდაათიან წლებში ქართული მწერლობის ყველა თაობა ერთპირად
განიმსკვალა საბჭოთა ცხოვრების გიგანტური მშენებლობის ძლევაშო-

სილი პათოსით. და აი, ისეთი უაღრესად ნეიტრალური, წმინდა ლირიკული ინტონაციების პოეტი როგორც იყო ვიქტორ გაბესკირია 1936 წელს აქვეყნებს ლექსს — „საქართველოს კპ(ბ) ყრილობას“.

„როცა მოვიდა უძლეველი თქვენი ლაშქარი,
ბედნიერების. სიხარულის გააღო კარი!
სად არ მიხველით, რომელ მინდორს, მთას არ ეკვეთეთ!
ჩამოაშორეთ ნარ-ეკალი ყველგან სიკეთეს,
უღაბნოს მწირსა მოწყურებულს, წყარონი ასეთი,
ოქროსფერ ნოხზე, ოქროსფერი ბუჩქები დასეთი,
ელნათურები. ვით ჩიტები, ყვითელ-გულები.
ღამის ფარჩაზე ყვითელ ძაფით მოქარგულები
მოსიანან ყველგან და იისფერ სინათლით მოსულს,
ამკობენ ღამეს განახლებულ საქართველოსი,
ბალად აქციეთ ვრცელ კოლხეთის ველი. ტბორები,
და იქ შეუშვით თქვენ ჩრდილების ნიაშორები,
ოქროს ბუჩქების, ოქროს ხეთა გაღაღებული,
და მზის ჩასვლამდე დადის ბაღში მათი კრებული
თქვენ განახლეთ ეს ქალაქი, კლდეებში თლილი
თქვენ დაუბრუნეთ წართმეული სიცოცხლე თბილისს
მტკვარს შემოარტყეს რკინა ბეტონის დიდი სარტყელი“...

მის გასწვრივ ახლად გაჩენილი ვრცელი სანაპირო კი — „ოქროს ხეთა გაღაღებული“, ბაღში ჩასვეს, და არა მარტო თბილისი, — არამედ მთელი საქართველო მშენებლობის ხარაჩოებში ზის. თუ წინათ „საქართველო საომარი იყო ლელო“, ახლა იგი ჯერ არ ნახულ, ჯერ არ გაგონილ მშენებლობას მოუცავს. „გრიგალი მშენებლობის ამეტყველებს თვით ქვა-ლოდებს“.

ჩვენს თვალწინ ხდებოდა საოცარი ფერისცვალება ქვეყნისა. სწორედ ეს განახლებული და აღორძინებული სამშობლო გახდა საბჭოთა პატრიოტიზმის თავანკარა წყარო. ამ ნიადაგზე ახალი პოეტური მანერა დამკვიდრდა ქართულ პოეზიაში.

საბჭოთა სამშობლოს სიდიადის დასახატავად გავრცელებულ მანერად იქცა წარსულისა და აწმყოს შედარების ხერხი. ამ ნიადაგზე შექმნილ კონტრასტული სურათების შექმნით უფრო რელიეფურად იხატებოდა აღორძინებული სამშობლოს სახე. კონტრასტულ ხერხზე აგებულ ლექსში წარსულის მოგონება უკავშირდებოდა ქართველი ხალხის მიერ განცდილი ეროვნული ჩაგვრისა და სოციალური ტანჯვის გამოხატველ სურათებს. აწმყო კი სამშობლო მიწის აღორძინებასა და აყვავებაზე მოგვითხრობდა. ასე, მაგალითად პოეტი ილო მოსაშვილი ლექსში — „სამშობლო“ ქართველი ხალხის წარსულსა და აწმყოს ასეთი:

კონტრასტული ფერებითა და სახეებით გადმოგვეცემს: — „შავი კვამლი ეფინა საქართველოს მთა-ველებს, შავი ცეცხლი — ვენახებს, და მტკაველიან თაველებს, შავი გლოვა ემოსათ გულდაკოდილ არწივებს... საქართველოს დედებმა, საქართველოს დიდება ბაზალეთის აკვანში დატრემლეს და არწიეს. ქოხებს კენესა ზარავდა, ხნულს ნაცარი ჰფარავდა, ოხვრა იყო „ლილეო“, და წკრიალა „ვარადა“. ოხვრა იყო გაბმული დედის ტკბილი ნაწინა. ჩემო კარგო ქვეყანავ, ბორკილები გეყარა, ბორკილებმა ცუმელებით მიწა დაგაბანინა“.

ასეთია ჩვენი ეროვნული წარსულის გულსაკლავი სურათები პოეტის წარმოდგენით. ასე იყო წინათ.

დ ლ ე ს

„და დღეს, ჩემო სამშობლოვ, აგისრულდა ოცნება,
რაზეც დიდხანს იღარდეს შენმა დიდმა მგონებმა:
გაიხარა ქვეყანამ. მწუხარებას ჩვეულმა,
შენი მიწა-ალაგი,
შენი დაბა-ქალაქი,
შენი ზღვა და ხმელთი სანეტაროდ ქვეულა!“

ასეთი რეალისტური ფერებით გამოხატა პოეტმა წარსულისა და აწმყოს სურათები კონტრასტული პოეტური ხერხით.

სამწუხაროდ. შემდეგ და შემდეგ ეს პოეტური ხერხი პანეგორიკულ ტრაფარეტად იქცა.

ოცდაათიან წლებში საინტერესო ლექსები გამოაქვეყნეს: გ. ქუჩი-შვილმა „უცაბელი სტრიქონები“. „მზის დაფერილი ღრუბლები დგანან, ვით ოქროს ვერძები, მხარეო თავისუფლების, გიმზერ და ცქერით ვერ ეძღები“. ს. ეულმა „სიცოცხლე შემინახოსა“. „მე ჩემი სიტყვის მძერწავად გული მყავს ნალველნადენი, სიბნელის დასაღწევად, მეც აპინთია სანაელი. რა უყოთ თუ ვერ ჩავტე მე ლექსში ძალა მეხისა, ღამე ხომ ბევრი ვათიე დარაჯად ჩვენი ქვეყნისა“. შ. აფხაიძემ: თუ შთაგონება იწვის და არის, თუ ვაჟკაცური ოცნება ფრინავს, ცრემლშიაც ნახავ ეპოქის ხალისს, ღამეც ვარდივით ჰყვავის და ფშინავს“. გ. შატერა-შვილმა „გამოთხოვება მოლაღატის ხელით დაღუპულ სერგო კიროვს“, რომელიც ასეთი ოპტიმისტური აკორდით მთავრდებოდა: „ჩვენ ვართ მხედრები და ლენინის გაშლილი დროშებით ყოყინით შევალთ ამომავალ მზის ქვეყანაში“.

ნ. მიწიშვილმა: — „ათი წელი“, „ლადო კეცხოველი“, ს. ფაშალი-შვილმა „ჩემს ახალ მზიურ საქართველოში“, ხ. ვარდოშვილმა „ქვის ვარსკვლავები“, ვ. ყურულმა „ანთებული რიონი“, ბ. კეშელავამ „სამშობლოს შევარდნებს“, გ. კაკაბიძემ, „ლურჯას სიკვდილი“.

ახალი ლექსები დაბეჭდეს: ა. ადამიამ, ს. ისიანმა, ლ. სულაბერიძემ, შ. იოსელიანმა, ი. ვაკელმა, ალ. ქუთათელმა, დ. გაჩეჩილაძემ, ნ. ზომ-

ლეთელმა, ს. მგელაძემ, გრ. ცეცხლაძემ, მ. ბარათაშვილმა, გ. იმედაძემ, მაყ. მრეველიშვილმა, კ. ბობოხიძემ, ნ. მალაზონიამ, პ. რურუამ გ. ნაფეტვარიძემ, ვ. გვეტაძემ, ა. თევზაძემ, მ. ვარშანიძემ, გ. სამხარაძემ, ი. ხოშტარიამ. ალ. შანიძემ, ნ. ჩაჩავამ, შ. აკობიამ, გ. კალანდაძემ, ა. ბეგაშვილმა, ვ. გორგაძემ, იასამანმა, ს. ერთაწმინდელმა, თ. ჯანგულაშვილმა, ს. ახვლედიანმა, ი. მჭედლიშვილმა, ო. მამფორიამ, ზ. ლორთქიფანიძემ, ზ. შერეზადაშვილმა, გ. სალუქვაძემ, ა. გეწაძემ, ა. ბურჯიძემ, შ. სამადაშვილმა, ა. სინაურმა, ნ. გვარიშვილმა, დ. პატატიშვილმა, ს. ულენტმა. ამ ლექსებში ნათელი ფერებით აისახა ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს საფუძველთა საფუძველი — ხალხთა ძმობის იდეა. ქართველმა პოეტებმა შესანიშნავი ჰიმნი მიუძღვნეს საბჭოთა საქართველოს, ოქტომბერს, ლენინს, პარტიას, — ჩვენი ყველა წარმატებათა მეთაურსა და წარმმართველს.

დედა-სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარულის, მამულის ღირსების დაცვისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სახელოვანი ტრადიცია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში აწრთობდა ჩვენი ხალხის აზრსა და გრძობას, თანამედროვე ლიტერატურის საყოველთაო თვისებად იქცა. ეროვნული მონობისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ჩვენი ქვეყანა, აღორძინებული და განახლებული ჩვენი სამშობლო, საბჭოთა მწერლებმა მთელი სიდიადით დახატეს.

„ჩემო სამშობლო, დღეს შენი ერი
განახლებული ქართლის ერია,
ასე ხშიერად და ბედნიერად
შენ არასოდეს არ გიმღერია.“—

წერს ა. მირცხულავა.

თავისუფალი სამშობლოს სიყვარულით სუნთქავს ჩვენი თანამედროვე პოეზია: განახლებული და აღორძინებული „სამშობლო ქვეყნის მაისი“ არის საბჭოთა პატრიოტიზმის მამოძრავებელი ძალა.

განახლებულმა სამშობლომ ხორცი შეასხა ჩვენი კლასიკოსების საწუკვარ ოცნებას, „აღდგა ქართლი და მისი ენაც“. ამაზე მეტყველებენ გ. ლ ე ო ნ ი ძ ი ს სტრიქონები:

„აღდგა ქართლი და მისი ენაც,
შავი წარღვნების გადანათელი;
გული თუ სევდას ამოენაცრა,—
ჩაგვენებია ოქროს ნათელი“.

პატრიოტული აზრის ასეთი საყოველთაო ოპტიმიზმი გ რ ი შ ა -
შ ვ ი ლ მ ა შემდეგნაირად გამოთქვა:

„სამშობლოს დროშა, როგორც ფოლადი,
ერთი მიზნისკენ ჩვენს გულებს იყრებს;

გულო, მებრძოლებს გაუტოლადნი,
თოფის ლულაზე აწყობდე ფიქრებს“.

სამშობლოსათვის თავდადების ამგვარი განწყობილებანი მთელი თანამედროვე პოეზიის ნიშანდობლივი თვისებაა.

ჩვენ თავისუფლება ჩვენი მამულისა და ძმების აურაცხელი სისხლით მიგვიღია; დაცვა იმისა, რაზედაც საუკუნეების განმავლობაში ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები, ჩვენი ხალხის სისხლხორცეული საქმეა. ამ შეგნებას აღვივებს ჩვენს ადამიანებში თანამედროვე პოეზია.

საბჭოთა ხალხი მზად არის „ჩვენი სიცოცხლის ყველა მისხალი“ გაიღოს სამშობლოს დასაცავად. ყოველი საბჭოთა პატრიოტის აზრი და განწყობილებაა გამოხატული პოეტ ი. მოსაშვილის სიტყვებში:

„ჩვენ შენთან ვდგევართ კლდესავით მტკიცედ,
ღამეა, დღე, თუ დილა სისხამი,
რომ შენს ძახილზე სამშობლოს მივცეთ
ჩვენი სიცოცხლის ყველა მისხალი“.

საბჭოთა პოეტებს გულწრფელად უყვართ დედა-სამშობლო და მზად არიან დაიცვან იგი არა მარტო სიტყვით, არამედ საკუთარი მკერდითაც. სამშობლოსათვის უსაზღვრო ერთგულებითა და სიყვარულითაა დაწერილი გ. ქუჩიშვილის ლექსი — „დიად სამშობლოს“.

„და თუ არსებობს	მყის მოჰკვეთს ჩემი
ისეთი ხელი,	მახვილი მკრელი,
შენზე აღმართვან	რომ შენი გული
რომ დააპიროს,	არ გაიგმიროს“.

ეს აზრი გულწრფელი პოეტური უშუალოებით გამოთქვა ი. გრიშაშვილმა:

მაგრამ თუ ატყდა ომი ფიცხელი,
შემოანგრიეს გზა-ჯებირები,
კალმის მაგივრად ხმალს ვტაცებ ხელსა,
პოეტებს აქაც გავეჭიბრები.

საბჭოთა პოეზიის მთელი მხატვრული ძალა იმ მიზანს ემსახურება, რომ ცხოველმყოფელი გრძნობით დაგვიხატოს ჩვენი ხალხის სიყვარული და თავდადება სოციალისტური სამშობლოსადმი.

* * *

თანამედროვე პოეზიას არჩეული აქვს წარსულის შემეცნების რეალისტური გზა. რევოლუციამდელ მწერლობაში წარსულისა და აწმყოს დაპირისპირება მუდამ პირველის სასარგებლოდ წყდებოდა. აწ-

მყოსადმი პროტესტის გრძნობა, წარსულის რომანტიზმი ახასიათებდა მუდამ საკითხის ამგვარად დაყენებას. წარსულისა და აწმყოს დამოკიდებულების საკითხი ამჟამად სრულიად სხვაგვარად დგას. ჩვენი პოეტები დიდი სიყვარულით აცოცხლებენ ჩვენი ხალხის გმირულ წარსულს და ამ წარსულის სურათებს იმარჯვებენ იმისათვის, რომ უფრო ნათელი ფერებით დაგვიხატონ ჩვენი აწმყო, უფრო სრულყოფილად გამოავლინონ აღორძინებული სამშობლოს სიდიადე, უფრო მძაფრი ვახადონ სიყვარულის გრძნობა აწმყოს მიმართ.

ამ მხრივ საინტერესოა ა. აბაშელის ლექსი „სამშობლოსადმი“. პოეტი იგონებს საქართველოს ისტორიულ წარსულს, რომელთანაც დაკავშირებულია ჩვენი ხალხის მწარე განსაცდელი:

„შენი ხომალდის თეთრი აფრები
საუკუნეთა გლიჯეს ქარებმა.
გრიგალს ებრძოდი გულგამძაფრებო,
ელოდი ზეცის გამოდარებას“.

ასეთი იყო ჩვენი ქვეყნის წარსული, ხალხის ოცნება და იმედი ახდა. ჩვენს დროში ახლად აღორძინდა, განახლდა ჩვენი სამშობლო:

„გსურდა ჰაერზე ამოგეყვანა
დილეჯში მყოფი ადამიანი;
აქ გაიხარე, ჩემო ქვეყანო,
დღე გაგიტენდა მართლა მზიანი,
ასრულდა, მიზნად რაც დაისახე,
ახალ ცხოვრების მედროშე ხდები,
მიგაქროლებენ ახალ მზისაკენ
თვალანთებული არწივის ფრთები“.

ა. აბაშელმა რეალისტური ფერებით დაგვიხატა ჩვენი წარსულისა და დღეს კი განახლებული და აღორძინებული სამშობლოს კონტრასტული სურათი.

ამგვარი კონტრასტული ხერხით გამოკვეთა აღორძინებული და დიდებით მოსილი ჩვენი აწმყო სურათებისა, დამახასიათებელია გ. ლეონიძის პოეზიისათვის. პოეტი ჰმნის სოციალისტური სამშობლოს თვალწარმტაც სურათს, და რომ აჩვენოს მთელი სიდიადე ამ ახალი ცხოვრებისა, იგი აღადგენს წარსულის შავბნელი ცხოვრების დამახასიათებელ ეპიზოდებს და კონტრასტების გზით უფრო სრულყოფილად ასახავს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სიდიადეს. პოეტი ძველს მინაწერებში, სიგელებში ეძებს ცნობებს ჩვენი ხალხის წარსულის შესახებ, ხოლო შემდეგ მას დიდი სიმართლითა და ღრმა პოეტური ძალით აცოცხლებს.

ერთ-ერთ ლექსში წარსულის ეს უკუღმართი სურათი ასე აქვს დახატული:

„ვინ დავაჯანა, ვინ დავაგისისდა,
და შენს აკლებას, ცემას, გევმათა,
აპოწყვეტილო. გავერნებულო,
ცინა რა ტანჯვა გადაემატა“.

ქართველი ხალხის ისტორიული თავგადასავალია აღწერილი ლექსში — „ქართლის ცხოვრება“. პოეტი აღადგენს ქართველი ხალხის ისტორიული ბედის დამახასიათებელ მომენტებს. ამ ტრაგიკულ მოთხრობაში თითქოს ისმის ხალხის გოდება, გადამწვარი სოფლების მკვიდრთა კვნესა, უპატრონოდ მიტოვებული ქალებისა და ბავშვების ვაება. და თუ ეს წიგნი — „ქართლის ცხოვრება“ — ერთი მხრივ არის მოთხრობა ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლისა, თუ მასში იხატება ჩვენი სახელოვანი წინაპრების „ღევკაცთა ნამამაცარი“, მეორე მხრივ ის წარსულის ვაების. აკლებისა და აონრების ტრაგიკული ფურცლებიცაა:

„გაშალე ყველა ფურცელი:
არის ფოლადის ნაცარი,
დამსხვრეულ ხმალთა ურიალი,
ღევკაცთა ნამამაცარი.“

გაშალე ყველა ფურცელი:
გულზე ნაწოლი ლოღია...
დოღბანდიანი ქარები
სიკვდილის პირით მოღიან“.

დიდ განსაცდელს გამოვლილი ჩვენი ისტორიის მოგონებას და მით გამოწვეულ გულისტკივილს აქ ცვლის თანაშედროვეობის ოპტიმისტური სურათი. პოეტი შეჰსარის სამშობლოს ხელმეორედ დაბადებას. ეს ახალი სოციალისტური სამშობლო არის პოეტის ოპტიმისტური განწყობილების დაუმრეტელი წყარო.

* * *

ქართული მწერლობის განვითარების მთელი ისტორია იმას ამტკიცებს, რომ მისთვის უცხო იყო კაცთმოპოვებისა და ნაციონალისტური კარჩავეტილობის მოტივები. საზოგადოდ მრავალსაუკუნოვან ქართული ლიტერატურისათვის არასოდეს უცხო არ იყო ხალხთა მეგობრობის თემა. მოძმე ხალხთა წარმომადგენლების გამოძიერწვა. ამას მოწმობს ჩვენი მწერლობის პირველი ძეგლი „შუშანიკის წამება“, სადაც ქართველ ხალხთან ერთად დასატულია სომეხი ხალხის შვილი. მერვე საუკუნის უბრწყინვალეს ძეგლში მთავარ მოქმედ პირად არაბია გამოყვანილი. ხოლო ქართველი ერის სულიერი კულტურის სიღაღის გამომხატველ „ვეფხისტყაოსანში“ ხომ უჭკნობი სიმღერაა ხალხთა მეგობრობისა და ძმობისა. ეს ტრადიცია მწერლობისა მთელი ძალით გადმოვიდა მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში, მაგრამ ჩვენ არასოდეს არ გვექონია ხალხთა ძმობისა და ინტერნაციონალიზმის ისეთი მაღალი გამოსხატულება, როგორც ეს დღესაა, საბჭოთა მწერლობაში.

ეს იმიტომ, რომ სწორედ ოქტომბრის რევოლუციამ განახორციელა ჩვენი კლასიკოსების ოცნება, ამიერიდან ჩვენი სამშობლოს ხალხები სამუდამოდ შეუკავშირდნენ ერთი მეორეს და არ არის ჩვენს ქვეყანაში არც ერთი მონაპოვარი, რომელიც არ უკავშირდებოდეს ახალი სოციალისტური ერების ძმობასა და მეგობრობას. ხალხთა მეგობრობას, საბჭოთა სახელმწიფოს ამ სიმტკიცის საფუძველს მთელი ძალით უმღერის ქართული საბჭოთა ლიტერატურა. ქართულ მწერლობაში არ არის პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, რომელსაც არ შეექმნას საბჭოთა ხალხების ერთიანობისა და ძმობისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები, ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცების, ჩვენი ხალხის ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში ქართულმა ლიტერატურამ თავისი გარკვეული წვლილი შეიტანა.

ქართულ პოეზიაში სამშობლოს ცნებამ ფართო მნიშვნელობა მიიღო. სამშობლოს ცნებაში იგულისხმება არა მარტო საქართველო, არამედ მთელი საბჭოთა ხალხების მიწა-წყალი, განუყრელი მეგობრობით შეკავშირებული საბჭოთა ხალხის მრავალერიაანი სამშობლო.

სამშობლოსათვის თავდადებისა და სიყვარულის თემა თანამედროვე პოეზიაში ორგანულად უკავშირდება ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობას.

კარგად ამბობს პოეტი გ. ტ ა ბ ი ძე:

ჩვენ ავაშენეთ ქვეყანა ძმობის,
იგი ვყვარდნობა ამ ქვეყნად პირველს,
ხალხთა ძმობისა და მეგობრობის,
ურთიერთობის ურყევ საძირკველს.

ისე, როგორც დიდმა რუსეთმა უჩვენა პირველად კაცობრობას გზა სოციალიზმისაკენ, ასევე რუსულმა მწერლობამ უჩვენა პირველი გზა მთელი მსოფლიოს მოწინავე ლიტერატურას სოციალისტური რეალიზმისაკენ.

ჭაღარა კავკასიის უძველესი ერის, საქართველოს ისტორია მჭიდროდა დაკავშირებული დიდი რუსი ხალხის ისტორიასთან. ქართველი ხალხი, რომელმაც აურაცხელი სისხლისა და მსხვერპლის ფასად მრავალი საუკუნის მანძილზე დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა და ეროვნული ღირსება, XVIII საუკუნის ბოლოსათვის, გარკვეულ მტერთაგან არა ერთხელ აობრებული, დაქანცული, დაქუცმაცებული და დაშლილი. ფიზიკური მოსპობის წინაშე იდგა. სწორედ რუსეთის ხალხმა აღმოუჩინა დახმარება და ფიზიკური არსებობა შეუნარჩუნა ქართველ ერს. ეს უდიდესი სიკეთე რუსი ხალხისა კჳონდა მხედველობაში ი. ჯ ა ვ ჯ ა ვ ა - ძ ე ს, როდესაც იგი საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის თავზე წერდა:

— „1799 წელს, 26 ნოემბერს თბილისი დიდის ყოფით მოიკაზმა და მოირთო რუსის ჯარის დასახვედრად... სასოწარკვეთილმა მეფემ და ერმა ძლივს ნუგეშით და იმედით გაიცოცხლეს გული. მეფის კარიდან დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისა და ნუგეშისა. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა... ამ ღირსსახსოვარი დღიდან საქართველომ მშვიდობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღლილი ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დაცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოკვრებული ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე. გაქრა ცეცხლი, რომელიც სწვაავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება... დადგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარი ცხოვრებისა, დაიდგა საზღვარი მშვიდობისმყოფელი ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე ველარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში. 1799 წლის 26 ნოემბერს კვლავ სასოებაგაღვიწყებული მეფე და ერი გულწრფელად მიენდო თავის მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშით ფრთაშესხმული.

დღეს, 26 ნოემბერს, 1899 წელს, სწორედ ასი წელიწადია მას აქეთ“.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით რუსეთთან საქართველოს შეერთება საბოლოოდ გაფორმდა, რაც გამოხატავდა ქართველი ხალხის, მისი პროვრესული წარმომადგენლების მისწრაფებასა და სურვილს. ამ ისტორიულ ფაქტს სწორად გაუსვა ხაზი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში ცნობილმა ქართველმა მწერალმა ე. ნინოშვილმა: „მე მგონია ჩვენში ბევრმა კარგად იცის, რომ ქვეყანა რუსეთს ომითა და ძალადობით არ დაუპყრია, არამედ ჩვენი რუსეთთან შეერთება მოხდა ჩვენივე სურვილით. ჩვენი ქვეყანა შეერთდა რუსეთთან იმიტომ, რომ ჩვენი უკუნუერი, არამზადა მთავრების ურთიერთშორის ჩხუბისა და ძარცვა-ღლეტის გამო სრულიად დაუძლურებული ვიყავით და მოველოდით, აი დღეს, აი ხვალ აგვიკლებენ სპარსი, ოსმალი და სხვა ბარბაროსებიო. რუსეთს რომ შეეკუთრდით, მას შემდეგ ამ მხრივ სრულიად უშიშარი შევიქნით... რა ვიქნებოდით აქამდე, რომ რუსეთს ჩვენთვის პატრონობა არ გაეწია! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენ ვიქნებოდით მაშინ ბარბაროსი ოსმალების ანუ ეგეთივე ბარბაროსი სპარსეთის ყურმოჭრილი ყმა, მხოლოდ რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა ამ უბედურებისაგან. ეს ყოველივე უნდა ვიქონიოთ სახეშო, და ცალმხრივი მსჯელობა აღარ მოგვიღია“ („ჯანყი გურიაში“). ასე აღაპარაკებს ე. ნინოშვილი თავისი რომანის მთავარ გმირს — გიორგის.

მიუხედავად ცარიზმისა, მიუხედავად მეფის რუსეთის რეაქციული

პოლიტიკისა, რომლის გამო ქართველი ხალხი ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდა — რუსეთთან საქართველოს შეერთებას დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ხალხის შემდგომი ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის. ამასთან ერთად ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ დიდი რუსი ხალხის საუკეთესო შვილები მუდამ მხარს უჭერდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს. ქართველი ხალხის საუკეთესო ინტელიგენცია სწორედ რუსეთის მოწინავე მწერლების, დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების, რუსი ხალხის საუკეთესო შვილების მაგალითზე იზრდებოდა. რუსი და ქართველი ხალხის შვილები ერთად იბრძოდნენ საერთო მტრის — ცარიზმის, რუსი და ქართველი ფეოდალების, ბურჟუაზიისა და მათი დამქაშების წინააღმდეგ. სწორედ რუსულ პროგრესულ კულტურაზე აღიზარდნენ ჩვენში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი წარმომადგენლები — ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვ... სწორედ ამიტომ ეს სახელოვანი თაობა პროგრესული რუსეთის, მისი გამოჩენილი შვილების — პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, ტოლსტოის უდიდესი თაყვანისმცემელი იყო.

ქართველმა ხალხმა სწორედ დიდი რუსი ხალხის დახმარებით მოიპოვა თავისუფლება. ამხანაგი სერგო ორჯონიკიძე 1922 წელს სავსებით სწორად მიუთითებდა ამ გარემოებაზე. იგი წერდა:

„საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის მშრომელი მასები საბჭოთა ხელისუფლების არსებობისათვის, თავიანთი განთავისუფლებისათვის მთლიანად რუსეთს უნდა უმადლოდნენ. საბჭოთა რუსეთი რომ არ ყოფილიყო — არ იქნებოდა საბჭოთა აზერბაიჯანი, საბჭოთა საქართველო, საბჭოთა სომხეთი და დღევანდლამდე ისინი ინგლისის იმპერიალიზმის უღელქვეშ იქნებოდნენ. მხოლოდ რუსეთის მუშებსა და გლეხებთან კავშირში, რუსეთის წითელ არმიასთან კავშირში, აზერბაიჯანის მუშებმა და გლეხებმა, საქართველოს მუშებმა და გლეხებმა, სომხეთის მუშებმა და გლეხებმა თავიანთ განთავისუფლებას მიაღწიეს“.

დიდი რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი შუქით გაანათა. ჩვენი სამშობლოს ყველა მონაპოვარი, ყველა წარმატება დაკავშირებულია ოქტომბრის რევოლუციით განახლებული და აღორძინებული, ახალი სოციალისტური ერების ძმობასა და მეგობრობასთან.

ქართველი საბჭოთა მწერლები განსაკუთრებული სიყვარულით უმადლოდნენ და უმღერიან დიდ რუს ხალხს, რომლის დახმარებით ქართველმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა; საიუბილეო წერილში (საქართველოს მშრომელთა წერილი ლექსად გამოთქვეს ქართველმა პოეტებმა: პაოლო იაშვილმა, გიორგი ლეონიძემ, ნიკოლოზ მიწიშვილმა, ალიო მაშაშვილმა) ქართველი პოეტები წერდნენ:

„უწიშარმა რუსმა ხალხმა
გამარჯვებას მისცა კვალი,
და ამ დიდ და მოძმე ხალხის
ჩვენ, ქართველებს, გემართებს ვალი.
ერთად ვართ და ერთად მივალო,
გვაქვს ერთივე მომავალი,
მან პირველმა გადალახა
გზა სიმძიმის და სიბნელის.
რადგან გაჰყვა თავის დროსას,
რადგან გაჰყვა თავის ლენინს“.

ჩერ ისევ აღრინდელ წლებში პოეტმა ს. ჩიქოვანმა ღრმა სიყვარულთ უმღერა რუსეთს:

„დიღო ქვეყანავ, სამშობლო ხარ ჩემი
სამშობლოს,
დიღო მინდვრებო, დამბრუნებო ქართა
ბორღლების,
და მე შენთან ვარ ჩემი ფრთოთ ღა ჩემი
ორბებით“.

ქართულმა პოეზიამ საესეებით სამართლიანად აღნიშნა დიდი რუს ხალხის — საბჭოთა სახელმწიფოს პირველი შემქმნელის დამსახურება.

დიდ რუს ხალხს უმღერა ი. გრიშაშვილმა 1934 წელს დაწერილ ლექსში — „რუს პოეტს“. დამახასიათებელია, რომ ეს ლექსი დაწერილია იმ დიდი შთაბეჭდილებით, რომელიც პოეტზე მწერალთა პირველმა საკავშირო ყრილობამ მოახდინა. ი. გრიშაშვილი ამ ლექსში უმღერის რუსულ ენას, რომლითაც ყრილობის ტრიბუნიდან სიტყვებს წარმოთქვამდნენ ყრილობის დელეგატები: რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, სომხები, უცხოეთის სტუმრები, ენას, რომელიც აკავშირებდა და აერთებდა ამ ყრილობის ყოველ დელეგატს:

„სიამაყის ფუძე კვებავს, ვერ გაატანს ტყვია. —
ეს იმიტომ, რომ რუსულ ენას ძმობის ენა ჰქვია“.

აქვე უნდა აღნიშნოს კ. კალაძის ლექსების ციკლი უკრაინის შესახებ: „გურამიშვილის საფლავთან“, „დგას ტყვეობიდან დახსნილი მუხა“, „ზუბოვკის გზაზე“, „დნეპრის ნაპირი შორს არის განა?“. „ლესია უკრაინკას ძეგლი სურამში“, „მშენებელთა სიმღერა“ და სხვ. ლექსების ეს ციკლი — გულწრფელი სიმღერაა უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრობისა.

რუსეთისა და უკრაინისადმი მიძღვნილი გ. აბაშიძის „უკრაინა“, ალ. აბაშელის „უკრაინას“, ირ. აბაშიძის — „უკრაინაში“, შ. აფხაიძის „მიკოლა ბაჟანი ქვიშხეთში“, ალ. გომიაშვილის „სიმღერა ვოლგაზე“.

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ უღრმესი სიყვარული დახატა მოძმე რესპუბლიკების სხვა ხალხების შვილებიც. ბელორუსისადმი მიმართულ ლექსში ი. მოსაშვილმა ასე გამოხატა ხალხთა მეგობრობის საყოველთაო აზრი:

„და შენ, მეორე სამშობლო ჩემო,
დიდი საბჭოთა ქვეყნის ნაქეზო,
შენი გმირული მარჯვენის ცემა
ვერც ერთმა ძალამ ვერ შეაჩეროს-“.

პართალია, არც ქართული კლასიკური მწერლობისათვის იყო უცხო მეზობელ ხალხთა ცხოვრების თემა, მაგრამ ეს „მეზობლობა“ არ იყო ხშირად მეგობრული. წარსულის ამ ამბებს პოეტი გ. ლეონიძე აზერბაიჯანის პოეტებისადმი მიმართულ ლექსში ასე ვაჯინოვებებს:

„გვანსოეს, შუაში ელავდა ხმალი,
ცხედრის მოტირალს აღარ ვტოვებდით.
არც მოერთგულე, არც თანახმანი.
ცალკე ეცხოვრობდით გაუტოლებლად“.

ასეთი იყო კავკასიის ხალხთა მდგომარეობა, ასეთია „მეზობლების“ ლაქებიანი სურათი წარსულში. ისტორიამ სამუდამოდ აუგო წესი გარდასულ ეპოქას და არასოდეს არ დაბრუნდება ის ძველი სისხლიანი დღეები.

„გრძელი ხმლები და ციხე, ჭებირი
გარდავაბარეთ გარდასულ დროსა,
როცა გაგვიძღვა გამარჯვებელი
სტალინის ხელი, ლენინის დროშა“.

პოეტის ამ განწყობილებაში მთელი ჩვენი ხალხის მრწამსია გადმოცემული. კავკასიის ხალხებს დღეს ხალხთა ლენინური მეგობრობის გრძნობა აკავშირებს:

„ახლა ხალხების გრძნობა გულიდან
ერთ ამოკეთილ ღარზე წავიდა
მთვრალი ვართ ძმური სიყვარულითა,
როგორც მაისის მიწა მწვანითა“.

ასეთია ცოცხალი განცდა ხალხთა მეგობრობისა, რომელსაც გ. ლეონიძე გულწრფელი პოეტური სიტყვებით გადმოვცემს. ყინულგვანი ოკეანიდან შავ ზღვამდე წედება „დიდი გრძნობა“, ხალხთა მეგობრობის მტკიცე გრძნობა. ჩვენი ხალხების ლენინური მეგობრობა ახლს საბჭოთა პატრიოტიზმის ძირითადი წყარო. ეს დიდი მონაპოვარი თანამედროვე მწერლობის საყოველთაო გამოხატვის საგანი გახდა.

ამ პერიოდის ქართული ლიტერატურა აღინიშნა პ რ ო ზ ი ს შემდგომი. აღორძინებით. სოციალისტური რეალიზმის მეთოდის გამოყენებით ქართველმა პროზაიკოსებმა შექმნეს ბევრი საინტერესო ნაწარმოები, რომლებშიც ასახული იყო სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში. სოციალისტური ქალაქის და სოფლის ცხოვრების ფართო სურათები, ქართველი ხალხის რევოლუციური წარსული.

ლეო ქიაჩელმა რომანის „გვადი ბიგვას“ ბეჭდვა დაიწყო 1935 წელს. ნაწარმოები საკოლმეურნეო ცხოვრების ფონზე იშლება. საკოლმეურნეო ცხოვრებამ არსებითად შეცვალა ჩვენი სოფლის სახე, შეიცვალა გლეხის არა მარტო ეკონომიკური ცხოვრება, არამედ მისი შეგნებაც. მემამულეებისა და კულაკობის ჩაგვრიდან გამოსული კოლმეურნე გლეხის სულსკვეთება სრულიად სხვაა. თუ საუკუნეების განმავლობაში ჩვენს ლიტერატურაში სიტყვა „გლეხი“ დაჩაგრულის სინონიმი იყო, კოლმეურნე გლეხი — ახალი, თავისუფალი, შეგნებული ადამიანი გახდა. ეს მთელი ისტორიული პროცესი იყო. ლეო ქიაჩელმა, როგორც მხატვარმა, სწორად შენიშნა ეს პროცესი და ადამიანის გარდაქმნის რთულა ვითარება საოცრად სახიერად ასახა თავის რომანში.

რომანის ცენტრალური პერსონაჟია გვადი ბიგვა, ძველი ყოფისა და შეგნების ვადმონაშთებით გამსჭვალული ადამიანი, აღზრდილი ძველი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში, იგი ადვილად ვერ თავისუფლდება ძველი მორალისაგან, მაგრამ საკოლმეურნეო ცხოვრების ძალამ, საკოლმეურნეო მშენებლობის მეთაურების გავლენამ გვადის სულიერ სამყაროში უდიდესი გარდატეხა მოახდინა. ძველი საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან დამახინჯებული, ძველი მორალით დატვირთული, წარსულით დაბეჩავებული გვადი ბიგვა ბიწიერისა და ადამიანურის, ბოროტებასა და კეთილს შორის ბრძოლაში თავისუფლდება წარსულის სიმახინჯისაგან და საბჭოთა ადამიანების რიგებში მოექცევა. გვადი ბიგვას გარდაქმნის ეს რთული ფსიქოლოგიური პროცესი მწერალმა გადმოგვცა რეალისტური ტონებითა და ფერებით, ორიგინალური იუმორისტული ნიღბით. ამასთან ერთად, მწერალმა დაგვიხატა ახალი ადამიანების საინტერესო სახეები. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გერა, სოციალისტური სოფლის მეურნეობის დამკვირვებელი ქალი მარიაში, ახალგაზრდა, კომკავშირელი ნაია, სოფლის სამკითხველოს გამგე ელიკო. საშუალო გლეხის რთული ფსიქოლოგიური ბუნებაა დახატული გოჩა სალანდიას სახით. სოფლის განახლების მთელი ეს პროცესი მძაფრი კლასობრივი ჭიდილის ფონზე აჩვენა მწერალმა, კოლმეურნეობის კლასობრივი მტერი, მისი ავანტიურისტული მავნებლური სახე მწერალმა არჩილ ფორიას ხასიათში განაზოგადა.

რომანი „გვადი ბიგვა“ დაწერილია საინტერესო მხატვრული ხერხე-

ბით. იუმორის დიდი ზომიერებითა და მახვილი გრძნობით არის გამო-
ხატული გვადის უქნარობისა და სიზარმაცის დამახასიათებელი ეპიზო-
დები. შემდეგ ეს ტონი, გვადის ხასიათში მომხდარ გარდატეხასთან
ერთად, იცვლება, სერიოზული, დრამატიზებული სტილით. საინტერე-
სოა რომანის ფინალი:

„უცებ აღელდა. მეკრდის სიღრმიდან გმინვა აღმოხდა. ყამა მიწაზე
დაანარცხა. სისხლიანი ხელები ზურგს უკან მოიგდო: „არა, კირიმე! ეს
არ იქნება! გაიქეცი ახლავე, შეხვდი დააყენე! უკან ჯარგვალში წაასხი
ყველანი! უთხარი, ბაბაიას კაცი არ მოუკლავს-თქვა!... როგორ მოგივი-
და, რომ გამოუშვი! მათმა თვალებმა სისხლი არ უნდა ნახონ, მარამ!...“

დიდი ჰუმანისტის ეს სტრიქონები სამამულო ომის წინა დღეებში
დაიწერა. იგი წინასწარმეტყველურად წინ უსწრებდა მშვიდობიან მშე-
ნებლობის მოყვარულ საბჭოთა ხალხზე თავმოხვეულ ომსა და სისხლის-
ღვრას. თვით გვადიც ეპოქის სულითაა დამუხტული. ახალი ეპოქის ატ-
მოსფერო განსაზღვრავს გვადის სახეთა ცვლას რომანში. უფრო მეტი,
გვადი ბიგვას მხატვრული ორიგინალური გამოხატვა წარმოაჩენს თვით
ახალი ეპოქის სულსა და პათოსს. თავისთავად გვადი რთული ფსიქო-
ლოგიური ხასიათია, ნიღბებით დასახლებული რომანში. გვა-
დის ნიღბებით დაფარული სულის შრეთა წარმოჩენას მწერალმა მო-
ხერხებულად მიუსადაგა ორიგინალური იუმორი. გვადი ბიგვასადმი აქ-
ტიური დამოკიდებულება მკითხველისა სწორედ მწერლის მიერ ოსტა-
ტურად გამოყენებულ იუმორშია საძიებელი. მწერალმა იუმორის ნილა-
ბი მთარგო გვადის მთელ მოქმედებასა და საქციელს. ეს იქნება საკუ-
თარ ეპოქაში მანდარინის მოპარვა, თიკნის წაყვანა გასაყიდად, მარიაშის
წინაშე თავის მოკატუნება თუ არჩილ ფორიას წინააღმდეგ აღშფოთე-
ბა. ერთი სიტყვით, გვადის ორპირობის, უსაქმურობის, ფლიდობის მხა-
ტვრული საფენელი ნიღაბია. მისთვის წარსულისა და აწმყოსთან კონ-
ფლიქტის ნიადაგზედ ჩამოფარებული ნიღაბი საოცრად ხატოვანი იუ-
მორის ნიადაგზეა შექმნილი. ხალხური ნაცარქექიას შემდეგ სრულიად
ახალი ნიღაბია გვადი, სავსე ხალხური იუმორით, ანდაზებითა და ენა-
მზეობით. მოვიგონოთ უნიკალური სცენა, ბაზრის სასადილოში მოქეიფე
კომბინატორი არჩილ ფორია და მისი ამფსონები თუ როგორ შეუქამენ
საკუთარ ეპოქაში მოპარულ ოციოდე ცალ მანდარინს, რომელიც გასაყი-
დად წაიღო, რათა ბავშვებს ფეხსაცმელი უყიდოს: „ამის შემყურე გვადიმ
მაშინვე თვალები მინაბა და მალალი ჰასანბეგურა წამოიწყო, ამ სიმ-
ღერის დიდი ოსტატი იყო გვადი. ხმაში ცრემლიანი სასოწარკვეთილე-
ბას გაურევედა“. გაბოროტებული გვადის ნიღაბი აქ სიმღერაა. ამგვარი
ნიღბების მოშველიებით ხატავს მწერალი გვადის საოცრად მართალს
და რთულ ფსიქოლოგიურ ხასიათს. ნიღაბი ხშირად მომარჯვებულია
რეალურ გვადისა და სასურველ გვადის შორის გამართულ შინაგან დუ-

ელში. კვლავ მოვიგონოთ ქურდისა და შინაგანად ქურდის მოძულე გვადის დიალოგი შვილებთან.

ლეო ქიაჩელის ეს რომანი ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი დიდი მოვლენა იყო. სწორედ ამიტომ დაიმსახურა მან უმაღლესი ჯილდო, სტალინური პრემია. ამჟამად ეს რომანი თარგმნილია საბჭოთა ხალხების რამდენიმე ენაზე, მათ შორის არსებობს შვიდი რუსული გამოცემა. „გვადი ბიგვა“ ითარგმნა აგრეთვე უცხოურ ენებზე. ეს რომანი მტკიცედ შევიდა საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო რომანების ფონდში.

შეუპოვარი რევოლუციური შეგნებით გამოხატა ლ. ქიაჩელმა რუსი ბოლშევიკის, კუზმას სახე 1934 წ. გამოქვეყნებულ ნოველში, „ჰაკი აძბა“. კუზმა დაუნდობელია ყოველივე ძველის, დროგადასული ტრადიციის, ადათწესებისა და მორალის. იგი სასტიკად გაუსწორდა ჰაკი აძბას. კუზმასთვის გაუგებარია ჰაკის ძმადნაფიცობა, ძველი მორალის და ყოფის ერთგულება, კუზმა ბოლშევიკის ტიპია, შეუვალი, თანმიმდევარი მებრძოლი, მრისხანე ძალა, ძველი რუსეთის დასანგრევად ამხედრებული. სამოქალაქო ომის გმირი.

ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა პროზის გამოცდილი ოსტატი შალვა დადიანი. ამ წლებში შალვა დადიანმა გამოაქვეყნა რამდენიმე მოთხრობა და პიესა. მათ შორის უნდა აღინიშნოს საინტერესო მოთხრობა „ურდუმი“, რომლის ბეჭდვა 1935 წლიდან დაიწყო. რომანის ისტორიული ფონია სამეგრელოს გლეხთა აჯანყება. ბატონყმობისა და მეფის რუსეთისაგან დამონებული საქართველოს გლეხების მასობრივი აჯანყება, რომელსაც სამეგრელოში უტუ მიქავა ხელმძღვანელობდა, ამ რომანში გაცოცხლებულია მთელი თავისი გრანდიოზული, სახალხო მოძრაობის სახით და თავისუფლებისაგან მისწრაფებით.

ოცდაათიან წლებში დ. შენგელაიამ სამი რომანი და რამდენიმე ნოველა გამოაქვეყნა. მათ შორის ყველაზე მეტად გახმაურდა რომანი „ბათა ქექია“, რომლის ცენტრში დგას ძველი დროის უკლდმართი ცხოვრებისაგან დასახიჩრებული, მაგრამ მოხერხებული და ეშმაკი, ამავე დროს უაღრესად პრაქტიკული და შინაგანად პატიოსანი გლეხი ბათა ქექია. რომანში პირველი პირით არის მოთხრობილი ბათას თავგადასავალი, სავსე ჭკუამახვილობით, ხუმრობა-ქილიკაობით. პირველი პირით მოყოლა ხელს არ უშლის მწერალს სოციალური სიმძაფრე შეიტანოს რომანში და შიგადაშიგ რევოლუციური საქართველოს ეპიზოდებიც დაგვიხატოს. ამავე დროს ბათას თანამედროვეთა თუ თანამებრძოლთა კოლორიტული ხასიათებიც გამოძერწოს. ეს იქნება ხუცესი საბალია, თუ აბრაგი თამაშულ დანელია.

ბათას პირით აქ თითქმის მთელი საუკუნის ამბავია მოთხრობილი. ბატონყმური საქართველოს ეპიზოდებით დაწყებული 1905 წლის რე-

გოლუციის ქარიშხლიანი დღეების რომანტიკული აღწერით გაგრძელებული და რეაქციის პარპაშით დამთავრებული. არც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაა დაეწვებული. მთელ ამ საუკუნოვან ამბავს ბათას პირით მოგვითხრობს მწერალი. ბათა ყველა არა მართო თავის პირად თავგადასავალს, არამედ მთელი სოფლის, მთელი ქვეყნისა, სანამდის წვდება მისი სმენა და ხედვა. ეს მონათხრობი ამბავი საესეა ენაშიეობით, ხუმრობით, ხალხური აფორიზმებით, სევდით და სიხარულით, რწმენით და ურწმუნოებით.

ბათას რამდენჯერმე ხელიც მოცარვია ცხოვრებაში. მოვიგონოთ მისი უიღბლო სიყვარული და ცოლის შერთვა ანუ ხუცესის მიერ თიქნის მოპარვა, თუ რეაქციის მიერ აკლებული მისი სახლკარი, თვითონაც, რომ ნაობანში ამოყოფს თავს. და მაინც რწმენით სავსე კაცია იგი. ცხოვრებას დახარბებული ტიპური პრაქტიკოსი გლახია. მისი გლახური ფსიქოლოგია უაღრესად მიწიერია, მიწიდან ამოსული მიწაზე დგას ბტკიცად, შეურყეველად ფეხმოკიდებულ.

ღიახ, ბათა მიწიერია თავისი გახარებული და გაუხარელი, ცოდვიანი და უცოდველი ცხოვრებით, გაუტეხელი, მუხასავით ფესვებგადგმული და მაგარი, ვენახივით მსხმოიარე, ცხრა შვილის მამა:

— მე ბებერი ვარ, გამტანი, მე ცხრატოტიანი მუხა ვარ, ტოტები ცად გამიდგამს, ფესვები მიწაში გამიყრია, ვნება ვენახივით მებარება შტოებში და ასე მიწის წვენიტ დამთვრალი ვშრიალებ.

„ბათა ქექიას“ გმირები უაღრესად ეროვნულია და მიწიერი. ბათა რწმენით ოპტიმისტია. სიცოცხლიტ სავსე ტიპური წარმართი ქართველი გლახი. ტიპურიო ვამბობტ იმიტომ რომ სამეგრელოში გლახები უფრო წარმართები იყვნენ ვიდრე ქრისტიანები, აკი ხუცესი საბა — სტრატელატეს ქადაგებს, მრეველიცა და ბათაც ლიმილმორეული უსმენს. მთავარია, ამ რომანში საოცარი ხატოვანი ენაც, მითოლოგიური ეპიზოდებიც, მოსწრებული აფორიზმებიცა და მეტაფორებიც დამორჩილებულია რომანის ძირითად სოციალურ აქცენტებს, რეგოლუციური საქართველოს რომანტიკულ ისტორიას.

მწერლის მისწრაფება ჩვენი ხალხის რეგოლუციური წარსულისადმი უფრო რელიეფურად გამოიკვეთა რომანებში: „ცისკარი“ და „შთავონება“, ორივე რომანი თბილისის ფონზე იშლება.

„ცისკარში“ ასახულია თბილისის ისტორიის ის პერიოდი, როდესაც კაპიტალისტური მრეწველობის დამკვიდრებამ განდევნა ხელოსნური, ამქრული მეურნეობა, რომელსაც მწერალი დიდი ცოდნით აღწერს. ცხოვრების ასპარეზზე მუშათა კლასი გამოვიდა და სათავეში ჩაუდგა რეგოლუციურ საქართველოს. რეგოლუციური საქართველოს ნათლობა 1905—1907 წწ. და საქართველოში საბჭოთა წყობილების გამარჯვება,

რევოლუციური თავისუფლებისათვის მებრძოლი და ახლა გამარჯვებული მუშათა კლასის შემოქმედებითი შრომაა გამოხატული რომანში „შთაგონება“.

ოცდაათიან წლებში დ. შენგელაიამ ქართულ პროზაში დაიმკვიდრა პოეტური სიტყვის გამოჩენილი ოსტატის სახელი.

კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ ქართულ მწერლობაში პირველი რომანი იყო, რომელმაც ვრცლად წარმოსახა 30-იანი წლების საქართველოს სოფლის სინამდვილე. ამ რომანის პირველი თავები 1932 წლის „მნათობის“ პირველ ნომრებში გამოქვეყნდა, ხოლო ცალკე წიგნად პირველი ნაწილი 1934 წელს გამოვიდა „ძირს სიმინდის რესპუბლიკის“ სახელწოდებით. შემდეგ დიდხანს იმუშავა მწერალმა ამ რომანზე, და პირველი და მეორე ნაწილი „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ და „იმერეთის ცისკარი“, საბოლოოდ გამოაქვეყნა „კოლხეთის ცისკარის“ სახელწოდებით. ასე დაამუშავა და სრულყო მწერალმა საკოლმეურნეო სოფლის პირველი დიდი მხატვრული ტილო. ამ რომანის დიდად გახმაურებას ხელი შეუწყო არა მარტო თემის აქტუალობამ, — იმან, რომ რომანში დიდი სიმართლით არის ასახული ჩვენი სოფლის ცხოვრების ოცდაათიანი წლების ქარიშხლიანი დღეები, — არამედ აქ გამოყვანილ მოქმედ გმირთა მხატვრულ გამოძერწვაში გამოვლინდა დიდი ოსტატობა და ნიჭიერება მწერლისა.

ადამიანთა რთული სულიერი სამყაროს დახატვით გაითქვა სახელი ამ რომანის ავტორმა. ხასიათების გამოხატვაში მწერლის იდეური პოზიციაც მთელი ძალით გამოვლინდა: „ერთ ქარქაშში ორი ხმალი არ ჩაიგებაო“ ათქმევეინებს საკოლმეურნეო სოფლის მეთაურს ტარას ხაზარაძეს მწერალი სოფლის ბოზოლა გლეხის ბარნაბა საგანელიძის მისამართით. ამ ნაწარმოების მთელ პათოსს ეს იდეური პრინციპი განსაზღვრავს. ამ პრინციპითაა გამოხატული რომანში ახალი ადამიანის, მექის სახე და თვით კომუნისტ ტარას ხაზარაძის ხასიათიც, ქართულ საბჭოთა პროზაში პარტიული მოღვაწის პირველი განზოგადებული სახე. მხატვრულ გამომსახველობათა ოსტატობით ამ რომანში არა მარტო ეს დადებითი გმირებია გამოხატული, არამედ კლასობრივი მტრებიც. კულაკ ბარნაბა საგანელიძის, მიკიტან ერემო პირტახიასა და გელოვანის სახე ამ რომანში საინტერესოდ არის გამოძერწილი. მწერალი არ იშურებს მათთვის საღებავებსა და ფერებს, ამავე დროს მძაფრად ამხელს მათ წარსულსა და ბინძურ მოქმედებას მიმართულს სოციალისტური სოფლისა და მისი ხელმძღვანელი ადამიანების წინააღმდეგ.

„კოლხეთის ცისკარის“ მთავარი ღირსება ის არის, რომ აქ მკითხველი მოქცეულია მწერლის მიერ მოქსოვილი ახალი ცხოვრების, ახალი სოფლის, მისი მშვენიერი ლამაზი ყლორტების გავლენის ქვეშ და ეს მიღწეულია არა მარტო რომანის ღრმა იდეური კონცეფციით, არამედ მხატ-

ერული საშუალებითა და მწერლურ გამოგონებათა საოცარი სიუხვით, ხასიათების სრულყოფილი ძერწვით, დადებითი გმირების სამყაროს დიდი სიმართლით გამოხატვის გზით, მათი მეტყველებითა და საქციელთ. ჩვენ ვხედავთ და ვგრძნობთ ახალი სოფლის ძალას და ღირსებას, სოფლის თავკაცების საოცარ თავგანწირვას და გმირობას სოციალისტური ყოფის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. მწერლის მხატვრული პალიტრა და ორიგინალური ხელწერა დიდი პროფესიონალური ოსტატობით გამოვლინდა ამ რომანში. გასაოცარი სიცხადითა და სიმართლით არის ასახული კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარში“ XX საუკუნის ოცდაათიანი წლების დიდი გარდატეხის ეპოქა.

1935 წელს კ. ლორთქიფანიძემ, ქართველი მწერლების ერთ ჯგუფთან ერთად იმოგზაურა და დიდ ხანს დაჰყო საბჭოთა ბელორუსიაში. აქ გაეცნო ამ ხალხის წარსულსა და მის თანამედროვე ცხოვრებას. ამას მოჰყვა მისი „ბელორუსული მოთხრობები“, სადაც ჩვენი მოძმე ბელორუსი ხალხის რევოლუციური წარსულის, სამოქალაქო ომის დასამახსოვრებელი ეპიზოდებია გადმოცემული. მოთხრობების ციკლს აერთიანებს მოხუცი ბაბუა რუხლოს სამოქალაქო ომის რევოლუციური და გმირული თავგადასავალი, საოცარი პოეტური გამომგონებლობით გაოცებულნი.

რაჟდენ გვეტაძემ „თეოსა“ და „ჭიაკოკონას“ შემდეგ ამ წლებში დაწერა ახალი რომანი „ლაშაური საღამოები“. რომანში რ. გვეტაძემ სცადა ერთიანი კომპოზიციით შეეკრა, შინაარსითა და მოქმედების ადგილითაც ერთმანეთს დაცილებული, ნოველები, რომელთაც აერთიანებს ავადმყოფ ლაშას გარშემო თავმოყრილი მეგობრების საუბრები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნოველებს ერთიანი სიუჟეტური ხაზი არ გააჩნდა და ეს ჩვენი სინამდვილის საზოგადოებრივი საერთო ფონიც ერთგვარად სქემატურია, მწერალმა მაინც შეძლო პოეტურად გადმოეცა საბჭოთა ადამიანების შრომისა და ცხოვრების ლირიკული სურათები. მან დახატა აგრეთვე თანამედროვე საბჭოთა ინტელიგენტის რამდენიმე კოლორიტული ფიგურა, მათ შორის საბჭოთა ქალის ზეინაბისა, ერთ-ერთი პირველი ორიგინალური მხატვრული სახე — ლირიკულ-დრამატული გმირი. რომანში ჩართულია მირზა გელოვანის ლექსი „თეთრი მიწა“. ქართველმა მკითხველმა პირველად ამ ლექსით გაიცნო მირზა გელოვანი — ქართული პოეზიის ეს ჩაუმქრალი მზეკაბუჯი.

ამ პერიოდის პროზაულ ნაწარმოებთა შორის უნდა მოვიხსენიოთ პ. ჩხიკვაძის „ნაბიჯები“ და „მურზაყან დაღეშქელიანი“, პ. ლორიას „ჩაი“, „მეკლუდი“, ე. პოლუმორდვინოვის „იღვიძებენ მთები“, ი. ლისაშვილის „ძახილი მთაში“, ა. ბელიაშვილის „ცხოვრების ხმაურში“, ალ. ქუთათელის „აბესალომ და ეთერი“, ლ. მეტრეველის „ცხრათვალა

მზე“, პ. საყვარელიძის „დაფანტული ფურცლები“, გ. ბააზოვის „ფეთხაინი“.

მცირე ფორმის ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ს. კლდიაშვილის „სვანური მოთხრობების“ ციკლი (1934 წ.). სვანეთის ცამდე აზიდული ზვიადი მთები, მითებისა და ლეგენდების ზღაპრულა სამყარო მუდამ იზიდავდა შემოქმედის გონებას. ს. კლდიაშვილს „სვანური მოთხრობები“ ეს როდია უბრალო ეთნოგრაფიული დანახვა საქართველოს ამ ულამაზესი მხარისა. აქ დიდი ზომიერებით, ტაქტით, ლირიკული ინტონაციებით და მღელვარებით არის ასახული სვანეთის ზნე-ჩვეულება, აღორძინებული და განახლებული სვანეთის დღევანდელი მისი მაღალი მორალის გამრჩე ადამიანები. ერთი სიტყვით, ნაჩვენებია ტრადიციული და თანამედროვე სვანეთი გაუზზარავი სულისა და რაინდული ბუნების ვაჟკაცებითა და ქალებით. მწერალი ყველგან ამჟღავნებს თავის კეთილ დამოკიდებულებას ამ კეთილი და გამრჩე მთის შვილებისადმი.

ს. კლდიაშვილი თანამედროვე საქართველოს მხატვარია. საზოგადოდ მისი ნოველების გმირები თანამედროვე ადამიანები არიან, ქვეყნის სიკეთისა და დოვლათის შემქმნელი რიგითი ადამიანები. მწერალი ან მოწინავე დადებითი ადამიანების თვალთ უყურებს სამყაროს. ხარობს მათი კეთილი საქმით. ამ ნოველებში საოცრად ხატოვანია, ნათელი და გამკვირვალე მწერლის ენა. 1934 წელს გამოაქვეყნა სვანეთზე აგრეთვე ა. ბელიაშვილმა ნარკვევი — „მოგზაურობა სვანეთში“. აქ ბევრი საინტერესო და რომანტიკული ეპიზოდია ძველი და ახალი სვანეთის შესახებ მოთხრობილი, მოგზაური მწერლის თვალთ დანახული. ამ მოგზაურობის გვირგვინს წარმოადგენს ქართველი მთასეულელების მიერ თეთნულდის დაპყრობა. ამ ექსპედიციის მონაწილე იყო თვითონ მწერალი, ამიტომაც ასეთი დიდი უშუალობითა და ბუნებრიობით არის აღწერილი ამ ნარკვევში ყველა ეპიზოდი და სურათი.

თუ ინდუსტრიული საქართველოს თემა ოციან წლებში წამყვანი იყო, 30-იან წლებში ჩვენს მწერლობაში განსაკუთრებული ადგილი სოფლის პრობლემებმა დაიკავეს. რასაკვირველია თვით სოფლის კოლექტივიზაცია ინდუსტრიალიზაციას ეყრდნობოდა. ქრონოლოგიურად აქ პირველი სერიოზული დიდი მხატვრული ტილო კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ იყო. ამას მოჰყვა „მთვარის მოტაცება“ და „გვადი ბიგვა“.

საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების ფონზე მძაფრად გამოჩნდა ძველისა და ახლის ბრძოლა. გადაწყვეტ ფაზაში შევიდა ეს ბრძოლა ოცდაათიან წლებში. ყოფილი მემამულეები, კულაკები ბოლომდე დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდნენ ახალ სოფელს, საბჭოთა ხელისუფლებას. საკოლმეურნეო სოფლის კერძომესაკუთრული სამყაროს მსხვერ-

ვა, სხვა კუთხით, ტრაგიკული პათოსითა და ინტონაციით გამოხატა კ. გამსახურდიამ „მთვარის მოტაცებაში“. აქ ტრაგიკული სახე არა მარტო კაც ზეამბაია, ქორამახვეში, ტარიელ შერვაშიძე და გვანჯი აფაქიძეა, არამედ თვით თარაშ ემხვარიც. კ. გამსახურდია მძაფრი საღებავებით ხატავს ძველი ინტელიგენტის, თარაშ ემხვარის სულის მოძრაობას და მის დამარცხებას თუ დაღუპვას ერთგვარი რომანტიკული სამოსელითაც მოსავს. აქ ლირიკული და ტრაგიკული ინტონაციების ურთიერთმონაცვლეობა ქმნის სოციალური პროტესტისა თუ იდეური უთანხმოების პოეტურ სურათს. ყველაფერი ეს შესრულებულია დიდი ოსტატობით. ამ მხრივ ეს ახალი ტიპის რომანიცაა.

„მთვარის მოტაცებას“ ორი მთავარი გმირი ჰყავს, თარაშ ემხვარი — ძველი საქართველოს წარმომადგენელი, განათლებული, ევროპული ყაიდის ინტელიგენტი და ახალი საბჭოთა საქართველოს პირმშო სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ინიციატორი, საბჭოთა სკოლაში აღზრდილი, რევოლუციისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებული არზაყან ზეამბაია. ძველისა და ახლის გაყრა, მიმავალი კლასებისა და ახალი სოციალისტური საზოგადოების ყლორტები ამ ორ გმირთა ისტორიაშია გამოხატული, ფონად კი საკოლმეურნეო სოფელია წარმოდგენილი. არზაყანი იდეურად გაუბზარავა, მთლიანი, მონოლითური პიროვნებაა, კომუნისტური რწმენით შთაგონებული და აღზევებული, ამავე დროს ამაყია და თავისთავში ზედმეტად დარწმუნებული. ეს კომუნისტის მეტად თავისებური და საინტერესო სახეა მთელს ქართულ მწერლობაში.

კ. გამსახურდიას თარაშ ემხვარიც უფრო პოზიტიურადაა განწყობილი ახალ დროსთან, ვიდრე ნეგატიურად, მას ასულდგმულებს სამშობლოს, საქართველოს უანგარო სიყვარული, ოღონდ თვით სამშობლოს ცნება არა კლასობრივი დიფერენციაციითაა წარმოდგენილი, არამედ ერთიანი საქართველოს ძველებური სულის შენახვით. თარაშს ამიტომ მოსწონს და უყვარს ყოველივე ატავისტური. იდეურად აქ სცილდება იგი არზაყანის გზას, კომუნისტების გზას, კომუნისტურ მშენებლობას ის ზოგადად მხარს უჭერს, უხარია თბილისის ცივილიზაციაში შესვლა, კოლხეთის ჭაობის დაშრობა, მაგრამ ძველი რიტუალების და სვანეთის პატრიარქალობის შენახვის მომხრეა და ამიტომ სვანეთის გზის გაყვანაზე ისეთივე პოზიცია აქვს როგორც ქორამახვეს. მოსწონს ნაწნაეგბიანი თამარი, ხოლო თმაშეჭრილ თამარისაგან უკუდგა. ასე, ძველი წარმართული, საქართველოს ახალ საქართველოსთან კავშირის სურვილი ერთად ამოიკითხა მწერალმა თარაშის განცხადებებში, ამიტომ სიმპათიურადაა თარაში დახატული მწერლის მიერ, მაგრამ როცა საკითხი კლასობრივ სიმწვავეს შეეხება, რომელიც ძველს დაუნდობლად ანადგურებს, აქ სცილდება თარაშისა და არზაყანის იდეური პოზიცია, სწო-

რედ ამ კლასობრივად დაპირისპირებულ საქართველოს ბრძოლაში თარაში განზე დგას ან ეწინააღმდეგება იმ მძაფრ კლასობრივ ბრძოლას, რომელმაც მამა შერლს გადაკიდა. მწერალმა ამიტომ თქვა ძერას ბახალა მტრედის მართვედ ვერ იქცევიაო. მწერალს თვითონ არ სჯერა, რომ თარაში შეძლებს ეს კლასობრივი ბარიერი გადალახოს. კლასობრივი ბარიერი ყოფს მას ახალი საქართველოსგან. ბევრმა ძველმა ინტელიგენტმა გადალახა ეს კლასობრივი ბარიერი და ახალთან მივიდა, ბევრი მოწინააღმდეგე ძველ პოზიციაზე დარჩა, ზოგიც შუა გზაზე გაეჩხირა. ასეთია თარაშ ემხვარი. და მანც ბევრი ადამიანური თვისების ვაჟო, არა მარტო მწერალი თანაუგრძნობს მას, არამედ მკითხველც. ოცდაათიანი წლების დასაწყისში, ძველი თაობის მასობრივი გადმოსვლის გზაჯვარედინზე თარაში გაჩნდა როგორც ზედმეტი ადამიანი, ვითარცა უალრესად განათლებული ინტელიგენტის გაორებული სახე, ამავე დროს რომანტიზებული და ამაღლებული. სულ სხვა პათოსით გამოხატა მწერალმა მტრული კლასების წარმომადგენლები. აფაქიძე, გვასალია, ტარიელ შერვაშიძე... ესენი დაუნდობელი მტრები არიან საბჭოთა საქართველოსი და მათ მტრულ ბუნებას, მათ კლასობრივ ზრახვებს უარყოფითად ხატავს მწერალი.

განათლებით, სამყაროსთან დამოკიდებულებით, საქციელით, მანერით, თვით სიტყვიერი ლექსიკონითაც თუ ლმერთკაცობის სურვილით, ფანტაზიით, და სიზმრებით მოქსოვილი მესამე გზის ძიებით ტყუპი ძმებივით გვანან ერთმანეთს თარაშ ემხვარი და კონსტანტინე სავარსამიძე.

ბურჟუაზიულ ცივილიზაციაზე გულაყრილნი ვერც სამშობლოში — კომუნისტურ საქართველოში იპოვიან ადგილს. ეს უალრესად განათლებული ადამიანები სრულიად უნაყოფონი და ზედმეტნი აღმოჩნდნენ ცხოვრებისათვის. ადგილ-დაკარგულნი და წილწართმეულნი ლმერთკაცობას ეპოტინებიან და სულ უმცირეს რამეში — პრაქტიკულ ცხოვრებაში საკუთარი ადგილი რომ იპოვონ, იმის უნარიც არ აღმოაჩნდათ. მათ არც მემკვიდრენი გაუჩნდათ და არც მიმდევრები ჰყავთ. მარტოსულად დარჩნენ. მესამე გზა — ძველ პატრიარქალურ წარმართულ საქართველოს აღდგენაზე ოცნება ისეთივე ფანტაზია აღმოჩნდა, როგორც სურვილი შეურიგდნენ ახალ დროს, საბჭოთა საქართველოს, უნივერსიტეტში თუ სადმე იპოვონ სამუშაო ადგილი.

თარაშ ემხვარი, როგორც მხატვრული სახე თავისებური გაგრძელება და დაბოლოებაა კონსტანტინე სავარსამიძისა. ცხოვრების შუა გზაზე შემოროამებული სავარსამიძე ემხვარში დამთავრდა, როგორც გარდაუვალი მსხვერპლი სიკვდილსა.

სავარსამიძე, როგორც ვთქვით, სრულიად გაორებული ადამიანია: ერთი მხრივ, დიონისეს მიმდევარი და წარმართი, მეორე მხრივ ქრისტეს

როლს ეპოტინება. ერთი მხრივ ბურჟუაზიულ ცივილიზაციას გაუბრძის, მეორე მხრივ ვერც საქართველოში და მისი უღამაზესი ბუნების იდილიაში პოულობს სულის სიმშვიდეს, წარმართობასა და ქრისტიანობას შორის მერყეობს, მაგრამ ვერც ერთმა რელიგიამ ვერ აუგო რწმენის ტაძარი. მერე სიყვარულში ეძია ხსნა, მაგრამ ვერც სიყვარულმა მიანიჭა ბედნიერება. პარიზში ქართული რაზმის შედგენაზე და საქართველოს განთავისუფლებაზე ოცნებობს, მაგრამ ეს ოცნება ქვიშაზე დაუძმნებული აღმოჩნდა.

ყველგან და ყველადღერში ზღმომცარული ბოლოს ნანობს კიდევ, რომ არ დაარჩა ისე უბირად როგორც მამამისი იყო ან მითების დახშული კარის გამღები, მისი სულიერი მამა მეკოვე ტაია შელია.

და ასე ცხადსა და სიზმარში მოსვენება დაკარგულს, ღმერთკაცობის მაძიებელს ბოლოს სინანულით აღმოხდება: „ამაოება ამოთა და ყოველივე ამაო“.

კ. გამსახურდია მის ნოველებსა და რომანებში უხვად იყენებს მითოლოგიურ, წარმართულ პასაჟებს, მეტწილად კოლხური წარმოშობის ეს მითოლოგიური პასაჟები სილუეტში, პერსონაჟთა საუბარში, ყოფილი ეპიზოდებში გამოყენებულია ამ გმირების სოციალ-რელიგიურ მისწრაფებათა გამოსავლინებლად. მითოლოგიური პასაჟები უფრო მკვეთრად ავლენენ ნაწარმოებთა პერსონაჟების დამოკიდებულებას გარესამყაროსთან. ე. ი. გვეხმარებიან ამ გმირების ადამიანური საქციელის, მათი შინაგანი სულიერი სამყაროს და ბედისწერის გახსნასა და გაგებაში. სწორედ მათს ბედისწერაში ძვეს მითოლოგიური საწყისი. მითიური და რეალური, სიზმრისეული და ნამდვილი ურთიერთმხატვრული მონაცვლეობით არიან წარმოდგენილი. მითოლოგიური ამბები მხატვრული ნაწარმოების განუყოფელი ნაწილია. მსოფლმხედველობრივად იგი ადვილად ესადაგებოდა მისტიციზმს, რომელსაც კ. გამსახურდია, თავის ადრეულ ნაწარმოებში და წერილებში თანმიმდევრულად იცავდა, შემდგომში კ. გამსახურდიამ მითოლოგიური ამბები გმირების ბედისწერაში ორგვარი ასპექტით შემოიტანა. ასე მაგალითად თარაშ ემხვარი და არზაყან ზეამბაია წარმართულ და მითოლოგიურ სამყაროს ბავშვობისას ერთნაირად ეზიარნენ, მერე ბედისწერამ ერთი ევროპაში გადაიხროლა, მეორე ახალი საქართველოს შუაგულში მოაქცია და გაყარა მათი გზებიც, მაგრამ მერე სამშობლოში, შინ მობრუნებული, ევროპულ ცივილიზაციაზე გულაყრილი თარაში და სასტიკ წესებზე აღზრდილი კომკავშირელი — კომუნისტი, არზაყანი კვლავ ერთად შეყარა ბედისწერამ, ეს წარმართებად აღზრდილი ძუძუმტენი. მათს კონფლიქტში არზაყანი მითოლოგიურ ამბებს მოხერხებულად იყენებს ძუძუმტეს წინააღმდეგ და აქ იგი რეალურ ნიადაგზე დგას ორივე ფეხით.

ამის მიხედვით ორი მხატვრული მოდელი გვაქვს: ერთი წარმართუ-

ლი, ქრისტიანული და პატრიარქალური საქართველოს შეგნებული (სავარსამიძე, ემხვარი) და შეუგნებელი (ესვანჯია, ლაბახუა) მოტრფი-
აღენი. მეორენი ახალი საქართველოს, სოციალისტური საქართველოს
ერთგული და თავდადებული ჯარისკაცები: არზაყან ზვამბაია, როსტომ
ლიჩელი, ჩალმაზი და მათი არმია კომუნისტებისა, კომკავშირელებისა
და კოლმეურნეთა სახით წარმოდგენილი. მათ შორის გამართულ ბრძო-
ლას მწერალი სოციალური ასპექტებით ხატავს. ამ ბრძოლაში რაგინდ
პოეტური არ უნდა იყოს ემხვარისა და სავარსამიძის სახე, ისინი გან-
წირულნი არიან, რადგან მათ ბრძოლას რეალური საფუძველი გამოც-
ლილი აქვს, მათი სამყარო — წარმართული საქართველო ფანტაზიით
შოქსოვლი რეალობაა. ნამდვილი რეალობა კი საბჭოთა საქართველოა,
მისი განზოგადებული წარმომადგენელი არზაყან ზვამბაიაა. მოუხეშა-
ვი, მკაცრი, დაუნდობელი კაცი, რომელიც იდეისთვის მამასაც არ
ინდობს. მაგრამ ფაქტი ჭიუტია. იგი ორივე ფენებით რეალურ სინამ-
დვილეზე დგას და ამიტომაც იმარჯვებს და წინ მიიწევს. კ. გამსახურ-
დიამ ობიექტურად გამოხატა ეს რთული რეალობა და ამ რეალურ,
საბჭოთა საქართველოსთან ბრძოლაში ტრაგიკულად იღუპებიან ძველი
სამყაროს წარმომადგენლები. ეს იქნება ტრაგიკული ნიღბით, პოეტური
და რომანტიკული ბუნებით გამოძერწილი თარაშ ემხვარი, სოციალური
აგონიით გაბოროტებული კაც ზვამბაია, ტარბა, აფაქიძე თუ რელი-
გიური ფანტაზიით შეპყრობილი ქორა მანშვი, ტარიელ ხუცესი, ლომ-
კაც ესვანჯია, ლუკაია ლაბახუა. ყველა მათგანი განწირულია ნი-
აღავეშერყეულ ძველ სამყაროსთან ზიარებულნი. მოდის ახალი ძალა
და დაუნდობლად, უხეშად, ძალდატანებით ანადგურებს ძველ სამყაროს
და მათ ნაშეიერებს.

რეალობა ეს ახალი ძალა და ამას ობიექტურად, შეუღამაზებლად
ხატავს მწერალი. ვინც ამ სოციალურ ასპექტებს ვერ დაინახავს კ. გამ-
სახურდიას შემოქმედებაში, ის ვერ გაიგებს მწერლის შემოქმედებით
ეგოლოჯიას — მისტიციზმით დაწყებულს და მკაცრი რეალიზმით დამ-
თავრებულს.

რომანის არქიტექტონიკა, სიუჟეტის განვითარების მონაცვლებითი
ხერხი, მთელი მისი მხატვრული ქსოვილი საოცრად ორიგინალური და
პოეტურია. ტრილოგიაში ყოველი პერსონაჟი, თარაშისა და არზაყანის
გვერდით, დიდი ვიზიონერული ძალითა და სრულყოფილი მხატვრული
აქსესუარით არის დახატული. ეს იქნება კერპი და ჭიუტი კერძო მე-
საკუთრე გლეხი კაც ზვამბაია, ლანდად ქცეული თავადი ნოშრევანი,
გაკოტრებული აზნაური გვანჯ აფაქიძე, გაბოროტებული ხუცესი ტარი-
ელი, თუ ლენჩი ლუკაია ლაბახუა. მაინც ყველაზე რთული და საინ-
ტერესო სახეა თარაშ ემხვარი. თარაშ ემხვარი და კონსტანტინე სავარ-
სამიძე სრულიად ახალი მხატვრული მოდელებია ქართულ პროზაში.

1936 წელს „მთვარის მოტაცების“ გარშემო გამართულ დისპუტზე ტიციან ტაბიძემ განაცხადა: „მთვარის მოტაცება“ ნაყოფიერი ცდაა ფილოსოფიური აზროვნებისა მხატვრულ სახეებში“, ლ. ქიაჩელი ამბობდა: „მთვარის მოტაცება“ ორგინალურია ფორმით, სიუჟეტის გახსნით, სტილით“, ს. ჩიჭოვანა კი ამტკიცებდა: „მთვარის მოტაცება“ ძველი ქართული ორნამენტული პროზის და ევროპული რომანის სინტეზიაო“.

ევოლუცია განიცადა კ. გამსახურდიას ენობრივმა პოზიციამაც. მან ბრძოლა გამოუცხადა ქართულ მწერლობაში მოძალებულ ეთნოგრაფიულ და პროვინციულ ენობრივ ნატურალიზმსა და პრიმიტივიზმს. პროვინციულ და გადატაცებულ ლექსიკასა და სინტაქსს დაუპირისპირა არქაიზმითა და ხელოვნურად გართულებული ენობრივი კონსტრუქცია და სინტაქსი. ამ მიმართულებით ისე შორს წავიდა, რომ „დიონისეს ღიმილის“ ავტორი ილიასა და აკაკისაც უწუნებდა ენას. კ. გამსახურდიას ეს ენობრივი პოზიცია მკაფრად იქნა გაკრიტიკებული. შემდგომ თვითონ მწერალმა გადასინჯა და კორექტივები შეიტანა ამ ენობრივ პოზიციაში და ამის შესახებ მიუთითა კიდევ „დავით აღმაშენებლის“ ბოლო თქმაში. თუ ყველაფერ ამას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ კ. გამსახურდიამ ახალ ხმაზე ააწყო ქართული პროზის მთელი ინსტრუმენტი, გაამდიდრა და გაამრავალფეროვანა პოეტური სიტყვის ხელოვნება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცოცხალ მეტყველებაში შემონახული, თუ ძველი ქართული მწერლობის სალაროდან შერჩეული ლექსიკური მარაგით. თავისებური აღნაგობა მოუპოვა ფრაზის, სიტყვის წყობას, პროზის მთელი პოეტური რიტმი მუსიკალურ მოდელს დაუმორჩილა.

ქართული საბჭოთა მწერლობის დიდი აღმავლობა სწორედ იმაში გამოიხატა, რომ მოთხრობების, პოემების, რომანების და თვით ლირიკული ლექსების მთავარი თემა ჩვენი თანამედროვეობა იყო. ახალი სამყაროს მშენებელი საბჭოთა ადამიანის გამოსახვა გახდა ჩვენი მწერლობის მთავარი თემა, ისიც ბუნებრივია, რომ სწორედ საბჭოთა მწერლობაში ერთ-ერთი ცენტრალური თემა საქართველოს დიდი ისტორიული წარსულია. საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია. გმირული და ამავე დროს ტრაგიკული თავდასასავალი ჩვენი ერისა, მუდამ იყო და იქნება ქართველი მწერლობის შთამაგონებელი წყარო. ისტორიულ თემებზე დაწერილი ნაწარმოებებიდან ჩვენი მწერლობის ოქროს ფონდში ის წიგნები შევიდნენ, რომლებშიაც ხალხია ნაჩვენები. როგორც ისტორიის შემოქმედი. კონსტანტინე გამსახურდიას უბრწყინვალესი ისტორიული რომანი-პოემა „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ არა მარტო სტილით, არქიტექტონიკით არის ნოვატორული. ქართული ბუნების ნაწარმოები, არამედ ამაღლებული და ამღერებულია

პოეტური სურათებითა და ენერგიული მხატვრული პასაჟებით: საოცარი ფერწერითი ხერხებით არის გადმოცემული არა მარტო ტრაგიკული სატრფიალო თავგადასავალი გმირებისა, არამედ თვით ისტორიის ფურცლებია გაცოცხლებული გმირული სულით. ძველი ზნე-ჩვეულებებისა და ადათ-წესების რელიეფურად გაცოცხლებით, ანდაზების, აჩაყების, ხალხური თქმების ოსტატური გამოყენებით და ამ ფონზე ტრაგიკულ ინტონაციებს, ერის ისტორიიდან აღებული თუ თვითონ მოქმედ გმირთა თავგადასავლით გამოძერწილს, ერთბაშად გადაყვავართ გვირულ, მაგრამ ტრაგიკულ ეპოქაში, სადაც სვეტიცხოვლის ავტორს — კონსტანტინე არსაკიძეს მარჯვენას მოჰკვეთენ.

„დიდოსტატის მარჯვენა“ ისტორიული რომანია, იგი საქართველოს ისტორიის მეტად საინტერესო პერიოდს შეეხება. მასში წარმოსახულია X საუკუნის დასასრულისა და XI საუკუნის დასაწყისის საქართველოს გაერთიანებისათვის, ძლიერი სახელმწიფოს შექმნისათვის წარმოებული ბრძოლა. ბაგრატ მეფემ შორსმკვერტელი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წყალობით მოახერხა მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა საქართველოს გაერთიანებისათვის. მისი საქმე ღირსეულად განაგრძო ბაგრატ მესამის შვილმა, სახელოვანმა მეფემ, გიორგი პირველმა. კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“ საფუძვლად ეს ისტორიული ამბავი დაედო. რომანის ცენტრალური ფიგურაა საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი სახელოვანი მეფე გიორგი პირველი. რომანში გიორგი პირველი წარმოდგენილია წინდახედული პოლიტიკოსის, გულუშიშარი მეომრისა და პატრიოტი მეფის სახით, გარეშე და შინაური მტრების მიმართ დაუნდობელი, მაგრამ ამავე დროს უაღრესად რომანტიული მიჯნურის როლში დახატა მწერალმა გიორგი მეფის სახე. რომანში სწორად არის ხაზგასმული ის შინაგანი წინააღმდეგობა, ის ძლიერი უთანხმოება, რომელსაც ადგილი ჰქონდა გიორგი მეფესა — ცენტრალური ხელისუფლებისათვის მებრძოლ გმირსა — და სამთავროთა თავკერძა ფეოდალებს, საქართველოს დანაწევრებისათვის მებრძოლ თავადებს შორის. გიორგი მეფის ბრძოლა მამამზე ერისთავის, თალაგვა კოლონკელიძისა, ტოხაისძისა და ჭიპაურის წინააღმდეგ ეს არის უპირველესად ყოვლისა, ერთიანი საქართველოს მეთაურის, მეფე გიორგის ბრძოლა თავნება ფეოდალების წინააღმდეგ.

კ. გამსახურდია მდიდარი საღებავებით ხატავს არა მარტო გიორგი მეფეს, არამედ მამამზე ერისთავს, თალაგვა კოლონკელიძეს, მარიამს, შორენას, ფარსმანს და მელქისედეკ კათალიკოსს. განსაკუთრებული მდიდარი საღებავებით არის დახატული ცენტრალური გმირი კონსტანტინე არსაკიძე. ხუროთმოძღვარ კონსტანტინე არსაკიძეს, სრულიად ახალგაზრდა ხელოვანს, მეფემ მიანდო სვეტიცხოვლის ტაძრის აგება. ჰაბუკი ხელოვანი გრძნობდა, რომ მეფემ და კათალიკოსმა დიდოსტატ ფარ-

სმან სპარსის შეარქონეს იგი. მოხუცებულ, გამოცდილ, ბრძენსა და ბოროტ კაცს უნდა შეებოდა მოკრძალებული, თავმდაბალი ჭაბუკი. ახალგაზრდა ხელოვანის ხელით შექმნილ დიდ ქმნილებას — სვეტიცხოველს უნდა დაეჩრდილა ყველა ტაძარი, ფარსმანის მიერ აგებული სამცხეში თუ სხვაგან. ამ შეჯიბრში კონსტანტინე არსაკიძე იმარჯვებს როგორც დიდი ხელოვანი და შემოქმედი, მაგრამ იგი იღუპება ფარსმან სპარსის ვერაგული დაბეზლებით. მწერალმა სწორად შენიშნა, რომ დიდი ხელოვანისათვის, ჰუმანიტატი შემოქმედისათვის ფეოდალიზმის შავბნელი ეპოქა სრულიად შეუსაბამო ნიადაგი იყო, დიდი შემოქმედი, უბაღლო ოსტატი, სვეტიცხოველის ავტორი ფეოდალიზმის, სამეფისკარო ინტრიგის მსხვერპლი გახდა, ამ ნიადაგზე ავტორმა დახატა დიდ ხელოვანსა. პროგრესულ შემოქმედსა და ფეოდალურ სახელმწიფოს ოფიციალურ მეთაურთა შორის არსებული კონფლიქტი და ამ ფონზე გამოკვეთა ტრაგიკული სახე კონსტანტინე არსაკიძისა, დაბალი ფენიდან გამოსული ლაზი ხუროთმოძღვრისა, შრომის ჰეროიკით და რომანტიკით, მოწინავე იდეებით შთაგონებული შემოქმედი ადამიანი. კონსტანტინე არსაკიძე მეტად ორიგინალური სახეა თვით გამსახურდიას შემოქმედებაშიც, იგი სრული ანტიპოდია ნიადაგგამოცლილ, რწმენადაკარგულ, ლანდალქცეულ ზედმეტ პიროვნებათა იმ გაღერებისა, რომელსაც უხვად შეხვდებით გამსახურდიას შემოქმედებაში. კონსტანტინე არსაკიძე ავტორმა დახატა როგორც ჰუმანიტატი ხელოვანი, რომელიც მზად არის არა თუ მშვენიერი შორენას სიყვარული, არამედ საკუთარი სიცოცხლეც ანაცვალოს დიდ ხელოვნებას, შრომითა და გარჯით აგებულ სვეტიცხოველს, საქართველოს უკვდავების სიმბოლოს.

რა თანადროულად ჟღერს არსაკიძის შეგონება „კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა, შრომაა უდიდესი სიქველე ამ ქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე“. რაირგად ესადაგებოდა ეს გენიალური სიტყვები ჩვენი დროის საარაკო გმირებს, ხუთწლეულების შრომის გმირებს.



კონსტანტინე გამსახურდიამ ახალი გზა გაკაფა ქართულ პროზაში, ახლებურად ააქღერა ქართული ფრაზა, ახალი ინტონაციებით, ფერებითა და საღებავებით დაამშვენა ქართული მწერლობა. მან ქართულ მწერლობას მოძალებული ენობრივი ნატურალიზმი და ეთნოგრაფიული კარი ჩამოხსნა და საერთაშორისო სტანდარტებს გაუთანაბრა. მის მიერ დახატული გმირები — კონსტანტინე სავარსამიძე, თარაშ ემხვარი და სხვანი, მაღალ ტრიბუნაზე შეაყენა და აქედან გადაახედა მსოფლიოს ქართველების რთულ სამყაროს. მათი ქართული გულისტკივილი საერთაშორისო გულისტკივილიცაა. ერების, ხელოვნების, მწერლობის

ბედზე ისინი პარიზსა თუ რომში, ლონდონსა თუ თბილისში, როგორც ტოლნი და სწორნი ისე ეკამათებიან და ედავებიან მსოფლიოში განთქმულ მეცნიერებს, მუსიკოსებს, მხატვრებს... პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციის ეპოქის შედეგებით გაბრაზებული და უკმაყოფილო, საზოგადოებაზე გაბუტული, თუ მის წინააღმდეგ აჯანყებული დიდი ინტელექტით დაკიდოებული ახალგაზრდები არიან. ამავე დროს ამ გმირებს ყველგან შეუნარჩუნა ქართული ფერი და ხორცი: „უსამშობლოთა სამშობლოში“, პარიზში საქართველოსათვის ლოცულობენ, თან მსოფლიო პრობლემებზე მსჯელობენ. მეოცე საუკუნის ქართულ პროზაში კონსტანტინე გამსახურდიამ დახატა ქართველი კაცი გლობალურად, ზოგადი, საკაცობრიო და ამავე დროს ეროვნული ასპექტებითა და ინსტიქტებით, იდეებითა და იდეალებით, მაღალი აზროვნებით აღჭურვილი ქართველებით წაშალა გმირების მოქმედების და გეოგრაფიული განფენილობის ვიწრო საზღვრები. კ. გამსახურდიას გმირები დაბადების ადგილის მიხედვით არც მეტყველებენ და არც ეთნოგრაფიული ხასიათებისა არიან: როცა ვეცნობით კონსტანტინე სავარსამიძეს, თარაშ ემხვარს, თუ სხვა გმირებს, ჩვენ ხშირად გვაეციყდება რომელი კუთხიდან არიან, რამეთუ ისინი ერთიანი საქართველოს სახელით მოქმედებენ და იღვწიან. გიორგი პირველისა და დავით აღმაშენებლის დარად მათ სრულიად საქართველო გაუხდიათ სალოცავ ხატად და რაც ამის მიღმაა, იმას სასტიკად უტყვენ. მეტყველებით, მოქმედებით, განწყობილებით ისინი საერთო ქართული ხასიათები არიან. რასაკვირველია კოლორიტისათვის საჭირო ადგილის დედა შემოუნახა მწერალმა ამ გმირებს. სარიტუალო, საყოფაცხოვრებო, საკულტო, წარმართული თუ ქრისტიანული პანთეონიდან ისეთ სიტყვებსა და საწესჩვეულებო ტრადიციებს იღებს, რომელიც საერთო ქართულია, მაგრამ ამ შემთხვევაში რომელიმე კუთხის წარმომავლობისათვის დამახასიათებელი. მწერალს ერთიან საერთო ქართულ მიმოქცევაში შეაქვს გმირების ადგილის დედის კუთხური გამოთქმები, სიტყვები თუ ფრაზეოლოგია და ამით ამდიდრებს ერთიანი, საერთო ქართულის სალაროს. გლობალიზაცია საერთოდ დამახასიათებელია კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებისათვის, ამ პრინციპზეა აგებული მისი ისტორიული რომანებიც — რომანიპოემა „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ და ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“.

კონსტანტინე გამსახურდიას „ვერობეიზმი“ ქართული მიწით იყო ნასაზრდოები. საქართველო, ილია, აკაკი მის სალოცავ ხატებად დარჩა. და მაშინაც როცა „ენეკებს ესროდნენ“ ილიასა და აკაკის სახელს, იგი ფარად და ხმალად დაუდგა ილიას, აკაკის და მთლად საქართველოს.

ქართული მწერლობის დიდ ტრადიციებზე ილიას, აკაკის მეშვეობით რეობაზე ამოიზარდა რთულ ვეროპულ კულტურას ზიარებული კონსტან-

ტინე გამსახურდიას ახალი პროზა, ნოვატორული პროზა. კონსტანტინე გამსახურდიამ თავისი სტილი შექმნა, განუმეორებელი და გაუზუნარი, იმას ვერ მიბაძავ თუ არ გინდა გახდე ეპიგონი და აძვე ღროს ვერც ვერსად ვერ გაექცევი მის მომწესხველ საერთო გავლენას, რამეთუ მან ჭერამდე აღაღსო ჩვენი მწერლობა მაღალი პოეზიით. დიახ, მან წაშალა მიჯნა პოეზიასა და პროზას შორის. მისი პროზა პოეტური პროზაა არა მარტო რიტმულობის გამო, არამედ მთელი მისი მხატვრული ინვენტარით:

— «ენა ქართული მყინვარივით გულზევადი. ენა ქართული — ზღვასავით ულვევი, ენა ქართული — თასმასავით მოქნილი, ენა ქართული ღმერთების ენა. ხანდახან მაინც მომადგებიან პირზე მარჩბივი სიტყვები. დასაკლავ მოზვერივით ვხიხინებ და ვწყევლი იმ დღეს, როცა სიზმარს გადაყოლილმა ჭაბუკმა ოცნებამ მე უცხოეთში გადამტყუა.

ენა ქართული — ღმერთების ენა! როცა მისი გეენია შუბლზე მკოცნის, მაშინ ორლესული მახვილი იელვებს ჩემს პირში, და ასე მგონია: მე თვითონ ვარ გამოუთქმელის წარმომთქმელი ღმერთი, და მეზადება ახალი ტემა: უნდა დაწვერო მეორეჯერ ქება დიდებულისა ქართულისა ენისა“.

„...ყოველთვის, როცა უცხოეთიდან საქართველოში ვბრუნდები, ასე მგონია ხელმეორედ დავიბადე. მახარებს საქართველოს მაღალი ზეცა. მე არსად მინახავს ასე თეთრი, აქატის ღრუბლები, ასე ტკბილი გამჭირვალე ჰაერი, არც ბალახს, არც ნეშოს ასეთი სურნელება არ აუღდის სხვაგან. ქვეყანას არ მოლანდებია ასეთი გათენება. ეს მშვენიერი ამეთისტოს მთები, ეს გულჩათხრობილი ნაძვნარები, დაბლა ჭალაკი ვარვარებს...

მზეო, მზეო, მზეო მე სამკერ ხმამალა ვახსენებ შენს უკვდავ სახელს.

მზეო,

მზეო,

მზეო,

მნათობთა დედუფალო, დედავ მოხუცებულო და აღერსიანო...

მზე — მზიანობით,

სვე — სვიანობით,

დილას აღმოხდა ფარშავანგულად...

ჭია — მაია,

მზე,

ბალახი... თვალსა ვხუჭავ. უშველებელი სასწაული იხსნება მაშინ ჩემს სულში...“

რა არის ეს პასაჟი? ჩვეულებრივი პროზა? არა, ეს შეგონებებით, აფორიზმებით, მეტაფორებით გამოეტურებული პროზაა. აქ რიტმა რით...

მასთან ისეა შერწყმული, რომ წაშლილია საზღვარი პოეზიასა და პროზას შორის. ამავე დროს პოეტისა კი არა რომანისტიც დაწერილია ეს პასაჟი. ამიტომ მიგვაჩნია კონსტანტინე გამსახურდია დიდ ნოვატორად. ამ მხრივ ეხედავთ ჩვენ ანალოგიას კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებასა და გალაკტიონს შორის.

სწორედ საბჭოთა მწერლობაში დაიწყო ხალხური, რევოლუციური ძირების ძიებანი, ოქტომბრის რევოლუციის სათავეების ძიება. ოციანი წლების ქართულ მწერლობაში ეს ტენდენცია 1905 წლის რევოლუციის სახალხო, საყოველთაო ხასიათის გამოხატვაში გამოვლინდა (ლ. ქიჩელის „სისხლი“, ნ. ლორთქიფანიძის „ბილიკებიდან ლიანდაგზე“, დ. სულიაშვილის „ჩიკორი“). ხოლო ოცდაათიან წლებში უფრო შორს წავიდა ჩვენი ეროვნული ცხოვრების რევოლუციური ძირების გამოძიება. ამ მხრივ ნოვატორული მოვლენა იყო მიხ. ჭავჭავაძის „არსენა მარაბდელი“. ეს რომანი 1931 წელს დაამთავრა მწერალმა, 1933 წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნდა და დაიწყო მისი საჯარო განხილვები, სადაც ბევრი რამ ითქვა მართებული, სამწუხაროდ ბევრი რამ უმართებულოც ითქვა. დღეს კი ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ეს ნაწარმოები ერთსულოვნად აღიარებულია, როგორც ახალი. ნოვატორული ეტაპი და ისტორიული რომანის ახალი ტიპი. „არსენა მარაბდელში“ თანადროულობის თვალთ არის გაცოცხლებული და დანახული სახალხო ეროვნული გმირის, გლეხი რევოლუციონერის არსენას ტიპი. მწერალმა ქართველი ხალხის ეროვნული სული და რევოლუციური ბუნება განაზოგადა არსენას სახეში. სახალხო გმირის ამგვარი მასშტაბური გამოხატვა ამ პერიოდის ქართული მწერლობის დიდი მონაპოვარი იყო.

რომანის სიუჟეტურ კომპოზიციაში, ხალხის როგორც ისტორიის მონუმენტურ ყოვლის შემოქმედ ძალად წარმოდგენაში, თვით მთავარი გმირის არსენას გოლიათურ სახეში, მის კავშირურთიერთობაში გლეხკაცობასთან, როგორც „ხალხის ზრახვებისა და იმედის მედროშისა“. მრავალრიცხოვან პერსონაჟთა მრავალპლანიან მხატვრულ გამოსახვაში და ბოლოს XIX საუკუნის საქართველოს ეროვნული სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების დიდი სიმართლით გადმოცემაში — გამოვლინდა ამ ისტორიული პეროიკული რომანის ნოვატორობა.

მწერალმა არსენა გამოძერწა, როგორც მეამბოხე ყმა გლეხობის მებაირახტრე, უპარესად ამადლებული და განზოგადებული ტიპი. თიზიკურად გოლიათი, გონებრივად გამჭრიახი, დიდ ენებათა საოცარი დაოკების უნარით, რევოლუციური გლეხკაცობის ნამდვილი სახალხო გმირი. არსენას თანამებრძოლები მხენელ-მთესველი ყმა გლეხები არიან. მათ სახლი ჰქონდათ — დაურბიეს, ოჯახი ჰქონდათ — აუწიოკეს, ცოლი ჰყავდათ — ნამუსი ახადეს და ასე აიძულეს ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მახვილი აღემართათ. ეს აჯანყება წარმოდ-

გენლია როგორც გლეხთა მასობრივი, სახალხო ბრძოლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ.

განსაკუთრებული სიყვარულით ჰყავს დახატული მწერალს ხალხის წარმომადგენლები — ყმა გლეხები. ეს იქნება ცალთვალა ღვთისავარი, მტკიცე, გაუმზარავი, რკინასავით მაგარი საბარათიანო დროშის მოწინავე მდროშე, რომელმაც ზეპირად იცის რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, თუ დინჯი, აუღლევებელი, ნასალდათარი და ნაციმბირალი რუსი ყმა კარპიჩა, ზაალ ბატონიშვილს მწვეარი ძაღლის სანაცვლოდ რომ მისცეს, ეს გაბოროტებული ყმა გლეხი „დილით დილამდე ამასლა გაიძახის: „პუფაროვი გინდა, მოკალით, დახოცეთ, დაწვეათ, დაეანგრიოთ:— ნამდვილად ისეთი გული აქვს ბულბულსაც შეშურდება“, დედა არწივს დამგვანებული ქერივი მაგდანა, რომელსაც ქმარი გაუყიდეს, პაპას გული გაუხეთქეს, შვილი გადაუკარგეს, სახლი გადაუბუგეს, მაინც ვერ გატეხეს, თავის ძმებთან ერთად არსენას ლაშქარში ხმალადმართული იბრძვის, მათ გვერდით ეხედავთ კარპიჩასავით ნასალდათარს უკრაინელ ოსტაპს, აზერბაიჯანელ დალი ჰასანს — „ყორანივით შავს, დაბალს, ჭუჭას, კეტვიით მაგარს“... ფიცხსა და დაუდევარ ლაცაბიძეს — იმერეთის აჯანყების მონაწილეს, წერეთლის ნაყმევს, ამას მოსდევს ერეკლეს, ზუროიას, ლაშქარას, ქავთარას დახასიათებანი. ყოველ მოქმედ გმირს ამ მრავალპლანიან რომანში მოძებნილი აქვს მათთვის მკვეთრად დამახასიათებელი ფერები და საღებავი, ასევე განსხვავებული ფერებითა და სიტყვიერი ინვენტარით არის დახატული აჯანყებულთა მოწინააღმდეგე ბანაკი. ეს იქნება ყოყლოჩინა მეფის ოფიცრები, კარიერისტი და ბოროტი რუსის მეფის მოხელეები თუ ასევე ბოროტი და დაუნდობელი თავკერძა მებატონეები და მათი მოურავები.

აჯანყება დამარცხდა. არსენა მოსყიდულმა კუჭატნელმა ვერაგულად მოკლა. კარპიჩა, ღვთისავარი და სხვა მემამოხენი „შორეულ ციმბირში დაღპა“, მაგრამ დარჩა ხალხი, არსენას შვილები... ხალხი სასოებით ინახავს არსენას ნაქონ ხმალსა და საბრძოლო დროშას. მათში ცოცხლობს არსენასა და ცალთვალა დევის ღვთისავარის გაუტეხელი სული. ხალხი ელოდება ახალი არსენას დაძახილს... უაღრესად ოპტიმისტური და სიმბოლურია „არსენა მარაბდელის“ ფინალი.

სულ მალე ამ რომანს მოჰყვა მიხ. ჯავახიშვილის ახალი ნაწარმოები რევოლუციური საქართველოს შესახებ. ეს იყო რომანი „ქალის ტვიროი“.

1905 წლის რევოლუცია აისახა მიხ. ჯავახიშვილის ცნობილ რომანში „ქალის ტვიროი“, 1905 წლის რევოლუციამ შეარყია მეფის რუსეთში ძველი საზოგადოებრივი წყობილება, გამოაშკარავა მშრომელთა დაღოკებული მისწრაფება სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისა.

თვის. ამ ნიადაგზე ნათლად გამოვლინდა რეაქციის და რევოლუციის ძალების ურთიერთსამკვედრო-სისიცოცხლო შეჯახება. მიხ. ჯავახიშვილმა ერთი დიდგვაროვნული ახატნელის ოჯახის რღვევის მაგალითზე გვიჩვენა, როგორ გაშიშვლდა იდეური წინააღმდეგობანი რევოლუციის ეპოქაში. რევოლუციამ თვით ამ ძველი კლასების რღვევა და დაშლა გამოიწვია, ახატნელის ოჯახიდან ერთი ფეოდალური საქართველოს განმტკიცებას და დაცვას უდგას სათავეში ოჯახის მამა—ახატნელი, მეორე ვაჟებიდან ლიბერალია, მესამე—მოქეიფე და ფუქსავატი, მეოთხე რევოლუციის ძალებს ემსახურება და ამ ძალებთან ერთად იზიარებს რევოლუციის დამარცხებით გამოწვეულ ბედს, მეხუთე — ქალიშვილი ქეთო რევოლუციის ტვირთის აზიდვას შეეცდება, მაგრამ ბოლომდე ვერ ზიდა ეს ტვირთი. რომანის ცენტრში კი ვაუბზარავი, უკომპრომი-სო გმირები ზურაბ (ჯიქი) გურგენიძე და მართა დააყენა მწერალმა. სწორედ მათ ზიდეს რევოლუციის მძიმე ტვირთი.

მეოცე საუკუნის ოციანი წლების ქართულ მწერლობაში მკვეთრად გამოიკვეთა ორი მოდელი, ორი ასპექტი — რეალისტური და მოდერნისტული. პირველი მტკიცედ ეყრდნობოდა რა კლასიკური მწერლობის რეალისტურ ძირებს, ავითარებდა, წინ წევდა, ახალი დიდებით მოსავდა რეალიზმს: დ. კლდიაშვილი, შ. დადიანი, მიხ. ჯავახიშვილი... მეორენი ცდილობდნენ ქართული კლასიკური მწერლობის ადრინდელ ძირებზე დაემყნოთ მოდერნიზმის მონაპოვარი და ამ გზაზე გამოერიცხათ XIX საუკუნის მწერლობის ხალხურობის პრინციპი: მიხეილ ჯავახიშვილი, მეოცე საუკუნის ევროპულ მწერლობას ზიარებული, მტკიცედ განუდგა მოდერნიზმის გზას ქართულ მწერლობაში და რეალიზმის თავდადებული დამცველი გახდა. სწორედ ამ პრინციპულ ნიადაგზე მოუპოვა მან დიდება ქართულ პროზას, თვითონ მწერალი კატეგორიულად წერდა: „მხატვრული სიტყვა, მისი ჩასახვის პირველივე დღიდან, უმთავრესად რეალისტური იყო — ამ მცნების უღრმესი და უუფართოესი მნიშვნელობით. ასეთია იგი დღესაც და ასეთივე დარჩება მომავალშიც. ყოველივე დანარჩენი ან მისი ნაკადებია, ან შენაკადები.

რეალიზმი დედა-ხეა მხატვრული ლიტერატურის. იგი მიწაზე დგას და მიწიდანვე ამოდის. ორივენი ერთმანეთს ჰკვებებენ, ზრდიან და ამაგრებენ.

მოწყვეტას და მიწისაგან განდგომას აუცლებლად მოსდევს ერის სულიერი ძალების მოღუწება და შემოქმედების დაქვეითება. ვისაც მიწის ალღო დაუჩლუნგდა და რეალობის გრძნობა დაეკარგა, იმას ხერხე-მალიც მოერღვა და კუნთებიც მოეშალა. ხოლო უძველო და უსისხლო სხეული უეჭველად განწირულია. რეალობის მძლავრი გრძნობა და მიწის გაბასრული ალღო ხელოვნებისათვის და ხალხისათვის უებარი დულაბია მათი სულისა და სხეულის გამფოლადებელი“. ასე გამოდიოდა

რეალიზმის თავდადებულ დამცველად და ასევე დაუნდობლად უტყვევად დეკადენტობასა და სიმბოლიზმს: „მხატვრულ ლიტერატურაში მძლავრად შემოერია სწეული დადაიზმი და სულის მომღუნებელი დეკადანსი. ამ მოვლენას თავისთავად მოჰყვა პარნასელობა — განდევილობა. მწერალი მოწყდა მიწას და ხალხს. ცხოვრების დაკვირვების ნაცვლად სიმბოლისტიკაში განყენებული აზროვნება შემოიტანეს და ცხადი ქვეყანა ბუნდოვანი ნისლით დაჩრდილეს!...

მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში იგი ორივე ფეხებით მტკიცედ დგას მიწაზე და დიდი რეალისტის თვალთ აკვირდება ამ სამყაროს!...

მიხეილ ჭავჭავაძის შემოქმედებას ორი საფეხური აქვს. პირველი, როცა სოციალურ თემებს ფსიქოლოგიური ასპექტებით ხატავდა („ჩანჩურა“, „კურკას ქორწილი“, „უპატრონო“), მეორე, როცა სოციალურ ასპექტებს მძაფრი კლასობრივი და კრიტიკული ნაკადი შეემატება („ჩაყოს ზიზნები“, „თეთრი საყელო“, „დამპატიე“, „არსენა მარაბდელი“, „ქალის ტვირთი“). ეს საფეხურები, რასაკვირველია, პირობითია, ისე კი ჭავჭავაძის ერთი მთლიანი, განუყოფელი დიდი რეალისტი მხატვარია, რომელმაც ასახა მეოცე საუკუნის ქართული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი ეტაპი, მოგვცა დიდი მხატვრული სიმართლით გამოსახული ტიპები და ხასიათების კლასიკური ნიმუშები: ჩანჩურა, დამპატიე — ოქროპირი, ჩაყო, თეიმურაზი, კვაპი, ჭურხა... ეს ტიპები ხალხური, მოარული, ზოგად სახელებად დასახლდა ხალხში და ჩვენი ცხოვრების თანამგზავრებად იქცნენ. მწერლის ყველაზე დიდი ნიჭიერება და გამძლეობა სწორედ ტიპების დანახვასა და დახატვაში გამოვლინდა.

მხატვრული სამყარო, რომელიც მიხეილ ჭავჭავაძის დავიძობა დაგვიხატა, გვანცვიფრებს ქართული ენის კლასიკური ფერადონებით და უნივერსალური ბელეტრისტული ხერხებით. მწერლის ესთეტიკური კონცეფცია და გამოსახვის მხატვრული ხერხები მთლიანია, გაუზზარავი, ერთ საერთო კონცეფციას რომ ეფუძნება. მიხეილ ჭავჭავაძის მხატვრული ეფექტი ყოველთვის თანამედროვეობის მწვავე პრობლემას ემყარება. თვით პრობლემის სიმწვავე განსაზღვრავს ნაწარმოების იდეურ და მხატვრულ იმპულსს! ნაწარმოებთა კონფლიქტი საზოგადოებრივი ცხოვრების რეალურ ბუნებაზე დაფუძნებული. ამ მხრივ ორ სამყაროთა გზაჯვარედინზე დააბიჯებენ მისი გმირები და ამ სამყაროთა კონფლიქტი განსაზღვრავს თვით ნაწარმოების ფორმას და ბელეტრისტულ ხერხებს. მშვიდი და წყნარი ტონი აქ შეცვლილია ვულკანივით ფეთქადი ძალთა ჭიდილით. ნაწარმოებთა დიდი ექსპრესიულობაც აქედან წარმოდგება. მიხ. ჭავჭავაძის ჩვენი ცხოვრების ცენტრში იდგა, ბაროკო-მეტრის სიზუსტით გრძნობდა სოციალურ ამინდს და მის პირუთვნელ

მსაჯულად გამოდიოდა, საოცრად შეუმცდარი ალლო და ყნოსვა ჰქონდა. ბარაქიანი მოყოლა იცოდა, ბარაქიანი გაწევა სიუჟეტის, ფაბულის, ხასიათის. რომანები და მოთხრობები ყოველთვის რეალურ სინამდვილეს ეყრდნობოდა, მაგრამ მისთვის არც ალეგორია და სიმბოლო იყო უცხო. „ჩანმრთელი რეალისტის თვალში გარკვეული ღირებულება აქვს ზღაპარს, მითს, ალეგორიასა და სიმბოლოსაც, თუ მათ აქვს ნათელობა, სიცხადე და მჭიდრო კავშირი მიწასთან ე. ი. თუ სიმბოლო ნათლად და მკაფიოდ არის აშენებული ამ ქვეყნის ნიადაგზე და ამავე ქვეყანას არ წყდება“.

მდიდარ ხასიათებსა და ტიპებში მთელი სისრულით გამოჩნდა მის. ჯავახიშვილის შემოქმედებაზე ახალი დროის, ჩვენი ეპოქის გავლენა. თვითონ მწერალმა ეს შესანიშნავად შენიშნა: „ოქტომბერმა თვალი გამოგვიცვალა და საგანიცა და ამბავიც ახალნაირად დაგვანახა. უწინ „არსენა მარაბდელს“ არ დაწერდი, ალბათ ასევე მოიქცეოდა უფროსი თაობის სახელმწიფოებრილი ოსტატები: შალვა დადიანი („ურდუმი“), ნიკოლოთრქიფანიძე („ბილიკებედან ლიანდაგზე“), ლეო ქიაჩელი („პაკი აბა“). იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, გერონტი ქიქოძე, აბაშელი, კუმბაძე და ზოგი სხვაც“.

მიხეილ ჯავახიშვილმა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, როგორც მხატვარმა, სოციალისტური რეალიზმის პრინციპები გაიზიარა. საკმარისია აქ მოვიგონოთ მისი უკანასკნელი წლების ნაწარმოები, კერძოდ „ქალის ტვირთი“, რომელიც რევოლუციურ თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთ ფუძემდებელ ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ. მიხეილ ჯავახიშვილი სამართლიანად ხედავდა თავის შემოქმედებაში მომხდარ ამ დიდ ევოლუციას და იგი ამას ახალი დროის, ახალი ეპოქის გავლენით ხსნიდა. „განსაკუთრებული მადლიერი ოქტომბრისა პირადად მე უნდა ვიყო. მწერლობა 1903 წელს დაიწყო, 1908 წელს შეეწყვიტე და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დავებრუნდი მას და იგი ერთ-ერთ ხელობად გავიხადე. უკანასკნელ 12 წელიწადში 20-ჯერ მეტი დავწერე, ვიდრე პირველ 5 წელიწადში. ჩემი თხზულებანი 7 ენაზე გადაითარგმნა და 300 ათასზე მეტი ცალი გავრცელდა (ქართულად თითქმის 100 ათასი). ახლა 1905 წლის რევოლუციის თემაზე ახალ რომანს ვწერ — „ქალის ტვირთი“, რომელიც „მნათობში“ იბეჭდება. 15 წელიწადში ჩვენმა პატარა სამშობლომ იმდენად წაიწია წინ, რომ ნაყოფის გასაზომად საჭიროა 15-ათჯერ გავამრავლოთ. სხვა დროს ამ მანძილს 150 წელიწადშიაც ვერ გავივლიდით...“

მწერლობაშიაც სხვა მხრივაც უდიდესი ცვლილება მოხდა. გაქრა შხამიანი ღეკადანსი, პირქუში მისტიკა, კულტი ზეკაცური ინდივიდუ-

ალიზმისა და შორეული ბუმბერაზებისა. გაჩნდა ახალნაირი თემა. სტი-
ლისა და მეტყველების ხერხიც. ახლა გმირს თვითონ დღევანდლობა
გვათავაზობს, იგი ათასობით მოიპოვება კოლმეურნეობაში, ქარხანაში,
მადარაში, ყინულეთში, პაერში, წყალზედაცა და წყალქვეშაც“.

მიხ. ჭავჭავიძევილი, როგორც რეალისტი, მწერლობას მუდამ აკისრებ-
და ცხოვრების სიმართლით გამოხატვას, ხალხის სამსახურს. იგი წერდა:
„ჩვენთვის ლიტერატურა არც თვითგართობაა, არც სხვისი გასართობი,
იგი არც პარნასია განდევილებისათვის, არც გახსნილი სანაჯარდოა
უსაქმურობისათვის. იგი თავდაპირველად სოციალური საქმიანობაა,
ხოლო მწერალი — პირუთენელი და ბეჭითი მოსამსახურეა ერის. ამი-
ტომ დავადექით ახალს — ნეორეალისტურ გზას და ამიტომ დავაწერეთ
ჩვენს დროშაზე: „ახალი გზით, ერთგულებით, იმედით, შრომით და სი-
ყვარულით“. როგორ გვაგონებენ ეს სტრიქონები ილია ჭავჭავაძის მიერ
60-იან წლებში დაწერილი რეალიზმის მანიფესტის სიტყვებს: „მეცნი-
ერებას და ხელოვნებას, — წერდა ილია, — ჩვენ უყურებთ, როგორც
ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა... რომ მეცნიერება და ხე-
ლოვნება არ არიან მოგონილნი კაცის ჭკუისა და გამოხატულების, არც
ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის, რომ იგი წინ მიდის ცხოვ-
რების ვითარების გამო და მერე თავის რიგზედ თვითონ წინ მიჰყავს
ცხოვრება... ლიტერატურა ხალხის ჭკუა, ხალხის გონება, გრძნობა,
ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია“... სწორედ მიხ. ჭავჭავიძე-
ვილი იყო ერთგული და თანმიმდევარი გამგრძელებელი ქართველი 60-
წლების დიდი რეალიზმისა ახალ დროში.

მიხეილ ჭავჭავიძევილი, დიდი მხატვარი და ჰუმანისტი, კარგად
გრძნობდა და ხედავდა თუ ჩვენმა დრომ, ჩვენმა ეპოქამ რა დიდი ფრთე-
ბი შეასხა ქართულ მწერლობას, ქართულ კულტურას. ამიტომაც განსა-
კუთრებული ერთგულებითა და სიყვარულით უკავშირებდა იგი თავის
ბედს, თავის სამწერლო გზას, ახალ დროს, საბჭოთა ეპოქას. „სასაცილო
ფაქტია, სატირალი რომ არ იყოს: გენიოსმა ბარათაშვილმა თავისი ნა-
წარმოებები დაბეჭდილი ვერ ნახა, ახლა კი მისი ლექსები საბჭოთა კავ-
შირში რამდენიმე ენაზე იბეჭდება. ოქტომბერმა ქართულ წიგნს საზ-
ღვრები გაუზღვია და უფართოეს ასპარეზზე გაიტანა. რამდენიმე წელი-
წადში მრავალი ქართველი ავტორი კლასიკურიც და დღევანდელიც
რუსულს, უკრაინულს, ბელორუსულს, სომხურს, თურქულს და სხვა
ენებზედაც დაიბეჭდა. რამდენიმე ახალ ქართულ მოთხრობას ცნობილმა
ფრანგულმა ყურნალმა დაუთმო ალაგი, ხოლო ერთი რომანი ჩეხურ
ენაზე გამოვიდა წიგნად. უწინ ქართველი მწერალი კარს უკაკუნებდა და
არ უღებდნენ, ახლა კი იგი ფართოდ გავვიდეს... ამას წინათ ერთი გა-
მოჩენილი რუსი მწერალი სამართლიანად წერდა, რომ ქართველმა მწერ-
ლობამ რუსულ მწერლობაზე გავლენა იქონიაო. თავისთავად ცხადია,

რომ რუსულმა მწერლობამ ქართულზე მრავალჯერ მეტი გავლენა მოახდინა. კულტურული აღება-მიცემა ორივე მხარეს არგებს და ამ მოვლენას უთუოდ უნდა მივესალმოთ“.

როცა ამ სტრიქონებს ვკითხულობთ, ჩვენ ნათლად ვხედავთ, თუ როგორი სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით იყო დაკავშირებული მე-20 საუკუნის ეს დიდი პროზაიკოსი საბჭოთა ეპოქასთან, სოციალისტურ საქართველოსთან.

ქართულ მწერლობაში აისახა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის რთული და მრავალმხრივი ისტორია. აქ უნდა მოვიხსენიოთ ალექსანდრე ქუთათელის რომანი „პირისპირ“, რომლის II და III წიგნი 30-იან წლებში დაიბეჭდა. ეს ვრცელი ეპოპეა იმის თაობაზე თუ რა ძალთა განწყობილება არსებობდა ათიან და ოციან წლებში საქართველოს პარტიებსა და კლასებს შორის, ძველ თავადაზნაურულ კლასებსა და მშრომელ ხალხს შორის, ერთი მხრივ, მეორე მხრივ, ფედერალისტების, სოციალ-დემოკრატების და კომუნისტურ პარტიებს შორის. რომანში ეს ბრძოლა წარმოდგენილია ამ პარტიებისა და მათი ლიდერების დახასიათებით. ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის დაუცხრომელ მებრძოლ პარტიად ბოლშევიკების პარტიაა წარმოდგენილი და ამ პარტიის მეთაურობით მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებათა კონკრეტული ისტორიაა აღწერილი. საკმაოდ რელიეფურად არის დახატული ბოლშევიკების—მახათაძის, გელაშვილის, ქაყაჩაძის პორტრეტები, უფრო სრულყოფილად არის გამოხატული ბოლშევიკების მოწინააღმდეგე ბანაკი.

განათლებული ქართველი ინტელიგენტის, მაღალი არისტოკრატიული წრიდან გამოსული კორნელი მხეიძის, ამ მთავარი გმირის ბიოგრაფიით დახატულია მთელი ეპოქა, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ეპოქა. ოქტომბრის რევოლუციის ქარიშხალმა საქართველოში შეაღწია, მოვლენების ამ რთულ ვითარებაში მხეიძის წინაშე დგება საკითხი, როგორ მოიქცეს, რა გზა აირჩიოს. ერთგვარ შინაგან მერყეობათა დაძლევის გზით ის რევოლუციის მხარეზე აღმოჩნდება. ამ გმირის თვალთ დახატული რევოლუციის მოვლენების აღწერით მწერალი აღწევს შექმნას ეპოქის მართალი სურათი.

ნიკო ლორთქიფანიძე*. „ჩვენ, ქართველები, ელინების, რომაელების და ფრანგების მემკვიდრეები ვართ ფორმის სიყვარულში“ — წერდა ვ. გაფრინდაშვილი („მეოცნებე ნიამორები“, № 1 — 1919 წ.). ფორმის ძიებით შემოაღეს მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის კარი: ნიკო ლორთქიფანიძემ, გალაკტიონ ტაბიძემ, კონსტანტინე გამსა-

* ნ. ლორთქიფანიძემ თავისი შემოქმედებითი ცხოვრება (გარდაიცვალა 1944 წ.) დაამთავრა 30-იან წლებში, ამიტომაც გამოვეყოფთ ვრცელ პორტრეტად.

ხურდიამ, პაოლო იაშვილმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, ტიციან ტაბი-
ძემ...

ყოველი ნაწარმოები შინაარსისა და ფორმის ერთიანობაა, მაგრამ ამ
ერთიანობის სრულყოფა მხატვრულ სტილში ვლინდება უპირველეს
ყოვლისა. სტილი მამა აზრისათვის აცხადებდა უაილი.

ნიკო ლორთქიფანიძის სტილი იმპრესიონისტულია: „ნ. ლორთქიფა-
ნიძეს ერთი გარკვეული წერის მანერა აქვს რომანში და მინიატურაში.
ლორთქიფანიძე იმპრესიონისტი და როგორც ასეთი ნამდვილი შვილია
ელექტრონის და სიჩქარის. ლორთქიფანიძის მანერა ფრანგ მხატვარ
ლოტრეკის მანერას გავს. ის აიღებს რომელიმე ნაჭერს მთელისას და
გამოხატავს. მის მინიატურებში ყოველთვის გრძნობთ, რომ ეს ეპიზო-
დია მთელის“ (ს. ცირეკიძე, „მეოცნებე ნიამორები“, №1—1919 წ.).

ქართულ მწერლობაში მოძალებული სოციალური და ენობრივი
ნატურალიზმის წინააღმდეგ მკაცრად გაილაშქრა XX საუკუნის ათიანი
წლების ახალგაზრდა მწერალთა ნიჭიერმა თაობამ. ამ თაობის უმრავ-
ლესობას განათლება ევროპასა და რუსეთში ჰქონდა მიღებული. ქართ-
ველმა მოდერნიზტებმა ევროპიდან მოტანილ მიმართულებებს ქართუ-
ლი ნიადაგი მოუძებნეს და გააქართველეს: მათ სულსა და გულში
მძლავრად სცემდა ეროვნული ძარღვი, ჩვენთვის ისევე ეროვნულად
აქციეს სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, როგორც ქარ-
თველმა კლასიკოსებმა სენტიმენტალიზმი, რომანტიზმი თუ რეალიზმი.
ქართველი კაცის ეროვნული და სოციალური სატკივარი იყო ის საფა-
ნელი, რომელმაც მოდერნიზმი ეროვნულ, ქართულ მოვლენად აქცია.
მათ სცადეს რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, ბარათაშვილის,
ილიას, აკაკის საქართველოს სატკივრისთვის ახალი მოდელი მოერგოთ.
ამ ფორმალისტური ძიებით ერთგვარად კიდევ დაუპირისპირდნენ ილი-
ასა და აკაკის მოქალაქეობრივ პოეზიას. მათი ცდა ნოვატორო-
ბისა გამარჯვებით იქ მთავრდებოდა, სადაც მოდერნიზმს კოსმოპო-
ლიტური ჩენჩო და უცხო იდეური ბაცილა მოაცილეს. ეს მხოლოდ
რჩეულებმა შეძლეს. ასეთი რჩეულთაგანი იყო ნიკო ლორთქიფანიძე.

ნიკო როცა ვენაში სწავლობდა, ავსტრიაში მოდურ მიმართუ-
ლებად იმპრესიონიზმი ითვლებოდა. ჩვენი მწერალი ავსტრიელ იმპრე-
სიონისტებს პირადად იცნობდა, მათთან უსაუბრია და უკამათია ხელოვ-
ნების და მწერლობის საკითხებზე. იმპრესიონისტმა მეგობრებმა, როცა
იგი გამოაცილეს საქართველოში, საგზლად ეს მოდური მიმართულება
გამოაყოლეს. სამშობლოში დაბრუნებულს, დიდი ქართული კლასიკუ-
რი მწერლობის ტრადიციებზე აღზრდილს, არ შეეძლო უყოყმანოდ მი-
ედო განყენებული ესთეტიზმის ფილოსოფია და მან იგი ჩინებულად

შეუხამა მისი ერის ეროვნულ და სოციალურ სატკივარს. ვისაც შეგიძლოდა არ გაუვლია, ის ოსტატი არასდროს გამხდარა. ვენელი იმპრესიონისტებისა და ქართველი რეალისტების კვალდაკვალ ნ. ლორთქიფანიძე 1902 წელს აქვეყნებს პატარა მინიატურებს: უიღბლო სიყვარულით გაწვდილებულ ქალ-ვაჟთა ტრფიალებზე, იმერეთის ულამაზეს და ფერადოვან პეიზაჟებზე... ეს აღრინდელი მინიატურები ერთგვარი ძიება იყო ფორმისა, მოსამზადებელი პერიოდი დიდ ლიტერატურაში შესასვლელად. და მართლაც მან სულ მალე განყენებულ, ესთეტიზებულ ესკიზებს გვერდში აძოუყენა რევოლუციამდელი საქართველოს ეროვნული და სოციალური სატკივარი. მოხდა საოცარი ორიგინალური შერწყმა მოდერნისტულ-იმპრესიონისტულ სტილში კლასიკური რეალიზმის ტრადიციებისა. ნიკო ლორთქიფანიძის სტილი ორიგინალურია და თვითმყოფადი. ის მიგვანიშნებს კიდევ მის სტილურ თავისებურებაზე, ზოგ მინიატურაზე აქვს მინაწერი, მიუნხენის კაფეში გამიგონიაო („ბებრები“, „ჩარდაში“, ყურნალი „შვილდოსანი“, № 2,1 — 1920 წ.), ზოგსაც ქართულ ლეგენდასა და ზღაპარს უწოდებს, და თავადაც იგონებს ზღაპრებს („სამარადისო ზღაპრები“), ან ძველის ახალ მოდელს ქმნის. ამ ჩანახატებითა და ესკიზებით ერთბაშად მიიპყრო ყურადღება, როგორც ქართული სიტყვის შესანიშნავმა ოსტატმა და ნოვატორმა: ნ. ლორთქიფანიძეს, მისმა გასაოცრად ხატოვანმა და ღრმა ფსიქოლოგიურმა მინიატურებმა, ნოველებმა, მოთხრობებმა და რომანებმა მოუპოვეს ქართული სიტყვის დიდოსტატის სახელი. აქ ყველაფერი მალალ პროფესიონალიზმს ეფუძნება: მისი ოსტატობა სიტყვიერი მომჭირნეობის კულტურაა, — მოსაბეზრებელ აღწერას ფსიქოლოგიური ხატვა ცვლის და მისი ძალა, როგორც მხატვრისა მთელი სისრულით ვლინდება სიტყვის ოსტატობაში.

ნ. ლორთქიფანიძეს თავისებური მოსაზრება ჰქონდა მწერლობის შესახებ. — „განა მწერალს, როგორც ყოველ ადამიანს, ცოტა ჰყავს ნაცნობი, რომელიც მზის დაბნელებასავით ერთსელ უნახავს, რომელზედაც გაუგონია ორიოდ სიტყვა და უბრალო შეხვედრაც მეხსიერებიდან ვერ ამოუფხვრია? განა უფლება არა აქვს ბელეტრისტს შემთხვევითი შეხვედრანი, ყურმოკრული ხმები, წუთიერი შთაბეჭდილებანი გადასცეს თავის მეგობარ მკითხველს.

მწერლები კი, გმირის ცხოვრებას თუ მიჰყვეს ხელი, დაიწყებენ იმ წამიდან, როცა პირველად აახილა თვალი მოქმედმა პირმა, და ჩაჰყვებიან უკანასკნელ სადგომში — საფლავში...“ და შემდეგ:

„მე სხვადასხვა სურათს მოგაწვდენ ცხოვრებიდან. მათი ერთმანეთთან შეკავშირება შენთვის მომინდვია... მე მაინც მგონია, რომ მკითხველს მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ფანტაზიისათვის, შემოქმედებისა-

თვის... მკითხველს მოწყინდა ყველაფერი უკვე შემუშავებული თავ- თავის ადგილზე პოვოს“ („უილაქნოდ“).

ნ. ლორთქიფანიძე იმპრესიონისტული სტილის ამ წესს თანმიმდევ- რობით იცავდა. იგი მცირე ფორმას: ეტიუდს, ესკიზს, სურათს, მინი- ატურას ერთიანი სიუჟეტის გამორიცხვით, ესთეტიზებულ, პლასტიკურ დეტალებზე, ფრაგმენტებზე აგებდა. მისმა პროზამ დიდის ბუნებრი-ობით შეიწოვა ევროპული იმპრესიონიზმის წერის კულტურა და ქარ- თული მწერლობის ტრადიცია. აქ ისეა ჩაწული ევროპული და წმინდა ქართული, რომ მათი გამიჯვნა შეუძლებელი ხდება. ეს არცაა საჭირო, რადგან ასეთ გამიჯვნას ბევრი გაუგებრობა მოსდევს ხოლმე. ერთიანი სტილი, ქართული სიტყვის არისტოკრატიზმი ამშვენებს მის ესკიზების ენით დაწერილ იმპრესიონისტულ პროზას. აქ კლასიკური სიუჟეტი დაშ- ლილია. უფრო სწორად, შეცვლილია მინიატურებითა და ესკიზებით. ამ- ის მიხედვით თეზისებით წარმოდგენილ მოვლენას, ფაქტს, ისტორიას ერთი მხრივ აფუძნებს ღრმა ჰუმანიზმსა და ფსიქოლოგიზმზე, მეორე მხრივ ირონიასა და იუმორზე. ამ ორი ასპექტის მორიგებაში გამოვლენ- და მისი ოსტატობაც, როგორც ნოვატორი ქართველი პროზაიკოსისა.

ნ. ლორთქიფანიძისათვის დამახასიათებელია არა გაბმული თხრობა, არამედ აბზაცებად დატეხილი ესკიზები. ამით მეტი დინამიურობა და რიტმულობა ენიჭება ფრაზას და ემოციურობაც ემატება ამბავს. მწე- რალმა იმპრესიონისტული სტილი ქართული ენის ბუნებას მიუსადავა და ამით გააქართულა იმპრესიონისტების თეორია, ესთეტიკა და პრაქ- ტიკა.

ნ. ლორთქიფანიძე ნოვატორი მხატვარი იყო, ნოვატორი ფორმალაც და შინაარსითაც. მან ბევრი ახალი მოტივი მოიტანა ქართულ მწერლო- ბაში. ბევრ ძველ მოტივს ახლებური ფორმა მოუძებნა.

სამშობლოსათვის თავდადების ტრადიციული თემა სრულიად ახლე- ბურად გადმოგვცა მწერალმა: ჩვენში სამშობლოს დასაცავად აშენებდ- ნენ ციხე-სიმაგრეებს, ძველი ქართული ლეგენდების და გადმოცემების მიხედვით ეს ციხე-სიმაგრეები უმსხვერპლოდ ვერ აშენდებოდა, აუცი- ლებლად შიგ ცოცხალი ადამიანები უნდა ჩაეტანებოდათ (მოვიგონოთ „სურამის ციხე“), ადამიანების ჩატანება-ჩაკირვა ძალდატანების აქტა ხდებოდა, ამიტომაც ვერ შეელოდა ეს საქმეს. ნ. ლორთქიფანიძის აზრით ძალადობით არც ციხე-სიმაგრე აშენებულა და არც სახელმწიფო.

სამშობლოსათვის, რომლის დაცვას ციხე-სიმაგრე სჭირდება, ყველა- ფერი ადამიანთა სურვილით, თვითშეწირვით უნდა მოხდეს. სწორედ ამ მოტივზე ააგო მწერალმა სამამულო ომის წლებში დაწერილი მოთხრო- ბა, „ქედმოუხრელნი“. სამშობლოსათვის ერთგულებისა და თავგანწირ- ვის პრობლემას ერთი ასპექტი აქვს ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედება- ში. ეს ასპექტია მორალური გმირობა, — თვითშეწირვა. ამგვარ თეო-

შეწირვას გადაძღვები ძალა ენიჭება, მიზანძვის ძალად იქცევა, ამ გზით ხდება ერის სულაერი ძალების გამოფხიზლება.

„ქედმოუხრელნი“ ნ. ლორთქიფანიძე წერს: „ციხე ავაზაკთა და მეკობრეთა. შემოსულ მტერთა და მოლაღატეთა ასალაგმავად არის საჭირო... ტყუილა ხომ არ უშენებიათ ჩვენ ძველებს ყოველ კუთხეში ციხე და აიმაგრე... და ამ ციხეებს ყველას თამარისა და დავითის სახელი აქვს, როცა ვერც მტერი ჯობნიდა და ვერც ავაზაკი ჭკპანებდა“. ეს მაშინ ხუჯბოდა, როცა ჩვენი სახელმწიფო ერთიანი და მთლიანი იყო და ხალხი სახელმწიფოსთვის თავს სწირავდა თავისივე ნებით. ასე მოაქცია ამ მოახრობაში („ქედუხრელნი“) ერთპერანგიანი ერთი უარარაო ბიჭი. „ბიჭი შეკრთა, დედას ხელსა და მკლავებზე ერთხელ კიდევ გადუსვა ხელი და ნაძალადევის ნაბიჯით, აჯაბაჯა მივიდა, ბალავერზე შედგა, შემობრუნდა, დაღვა და გულზე დაიკრიფა ხელები.

— შენი ნებით მიდინარ ხომ ჩასაკირავად? — შეეკითხა ბერი.

— ჩემს ნებით, — ყრულ, მაგრამ გარკვევით უპასუხა ბიჭმა“. მწერლის აზრით ასეთი თავგანწირვა სამშობლოსათვის არა მარტო ქებას იმსახურებს, არამედ თავუანისცემასაც. „ზოგიერთი ეჩოსავით მუდამ თავისკენ მიითლის, რასაც სამშობლო უხვად აწვდის, და ერთხელაც არ იკითხავს თუ რითი არგო ქვეყანას. ზოგიერთისათვის, როგორც ამ ყმაწვილისთვის, სამშობლო არაფერს იმეტებს, მაგრამ თავს სწირავენ მინც. ამიტომაც არის ყველაზე უანგარო და, მაშასადამე, ყველაზე უფრო თავუანსაცემი მდაბიოთა და ღარიბთა სიყვარული სამშობლოსადმი“.

დედაც უღრტენველად იმეტებს შვილს ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

„სალომე ქვაზე ჩამომჯდარიყო, თავი კედელზე მიეყრდნო, არც ტიროდა, არც ხმას იღებდა, არც თრთოდა, მაგრამ გადახრილ წელზე ტანისაშოსის ნაოქებში იმდენი ტანჯვა გამოიხატებოდა, რომ ედიშერი თვალს ვერ აშორებდა“.

ამ მზრივ სავესებით განსხვავებულია ეს ლეგენდა, „სურამის ციხეში“ მოთხრობილი ლეგენდისაგან.

„დიდი ხუროთმოძღვარი, რომელიც ამ არეულობის დროს ჯამბაზსა და ფარაჯებს ამოეყვანათ, საბატმროს კოშკიდან ყვიროდა:

— ვინც თქვენთვის თავს სდებს, მას ჰქოლავთ?! ძველს თქმულეზს აღრაჲ ჰქონდა, უეჭველად, გამოეცადა, არის თუ არა ქვეყნისათვის თავდადებული, თორემ ნამდვილი ჩაკირვა ვის სჭირდება?! ეს გადმოცემა დაივიწყა კიდევ ხალხმა, როგორც ველური, და ახლა გინდათ ისევ აღადგინოთ?! ხომ დამტკიცდა, რომ კიდევ არის თავგანწირული ხალხი... მისმა მაგალითმა თქვენც აღგადროთოვანათ, შეხედეთ როგორ აღა-

მარსა ციხე... ზურაბის თავდადებამდე განა ასე გულმოდგინეთ მუშაობდით?!

— ვინ ბედავს ამას? დაიჭირეთ! დაპკარით მაგას, — ბრძანა მეფე. მაგრამ მისი ხმა ახლა ჩაახშო ნალეკარის მშვიდმა სიტყვებმა:

— ეს მე ვთქვი, რომ კედელში ჩაეტანებინათ კაცი. ახლა აშეხსნა თვალი. თუ ქვეყანას ჰყავს ერთი უარარაო, რომელიც თავის-თავს შესწირავს იმ ქვეყნის ციხეც ურყევია და ხალხიც უძლევი. აბა კალატოზებო, ხალხო, სწრაფად გავანთავისუფლოთ...

ახლა მართლაც ცეცხლი მოიკიდა ხელზე ყველამ: ქალებმა, კალატოზებმა, დიდებმა და ბავშვებმა, — გადაყარეს ქვები, აფხიკეს კირღულაბი და ქანცგამოლეული, ფერწასული და მძიმედ-მსუნთქავი ზურაბი ზეასწიეს“...

აქ თვითმწიფირვა სიმბოლოა, სამშობლოსათვის ემირი ხალხის თავშეწირვის მაგალითია. ხალხი თვით უბრძანებს ზურაბს, — „შენ ხარ წინამძღოლი, დაპკარ ვინც წინ დაგიდგეს“. დასკვნა: უხეირო მეფის ხელში ერი დაღუპვის პირამდე მივიდა, ხალხი აღსდგა და თვითმწიფირვით მიიღწია თავისუფლებას:

— „უძლეველო ერო, შენ ხარ ურყევი ციხე! მეფე გაიქცა, ჯარისა და კარისკაცთაგანაც მიტოვებულნი... იყოს დროებით გამგებლად ბენედიქტე ზუროთმოდვარი, შენი ღვიძლი შვილი, მშვიდი და თამამი. თავდადებული და თავმდაბალი, მცოდნე და შემგრძნობი, მტკიცე და სამართლიანი.

ქვეყანას ზურაბი და ბენედიქტე ზუროთმოდვარივით თავშეწირული ადამიანები სჭირდება, ასეთი ხალხის ხელში ერიც ურყევი და ციხეც... 1944 წელს გამოქვეყნებული მწერლის ეს მოთხრობა აქტიურად ეხმარებოდა ფაშიზმის წინააღმდეგ ამხედრებულ ადამიანებს, საბჭოთა ხალხს, ომის გმირებს, ფარაჯიან ჯარისკაცებს...

თვით სიყვარულიც თვითმწიფირვას მოითხოვს. მოეუხსინოთ მეფის ასულს („ცხოვრების მეფე, სამარადისო ზღაპრები“): „შენი შეხედვაც იგრძნო გულმა, მაგრამ მთლად ვერ მოგენლო, — მიმართა ქალმა მეფეთა მეფის ვაჟს. სახელით, სილამაზით, ჰკუთით დაჯილდოებული სიყვარულის კარგი ქურუმი ხარ, მსხვერპლსაც კარგად შეიწირავ. მაგრამ თვითონ შენ მსხვერპლად არ შეწირავ თავს არავის. მე კი მზად ვარ შეეწირო თავი მსხვერპლად ჩემს საყვარელსა და მსურს სამსხვერპლოდ გამზადებულს შეეწირო თავი. მე მივცემ ყველაფერს უანგარიშოთ. მხოლოდ იმედი მქონდეს, დარწმუნებული ვაყო, რომ მყავს მსხვერპლი, მაქვს სამსხვერპლო გული ადამიანისა“. ასეთ ადამიანად მეფის ასულმა ოქრომჭედელი მიიჩნია. მამა, მეფეთა მეფით შეშინებული ასე მიმართავს ქალიშვილს:

— ჩვენს თავხედობას არ შეგვარჩენსო მეფეთა მეფე.

— ნუ გეშინია, მამა, ჩვენც დაეუხედეებით ვაქცაუტურათ! — თქვა ქალმა.

— რა იარაღით? რომელი ჯარით? ჩვენ ხომ უფრო მეფეთა მეფის წყალობით ვარსებობთ.

— სიყვარულის იარაღით, მოტრფიალეთა ჯარით, მამა...

სალამოს საყვირები, წინწილები უკვე ამცნობდნენ ცასა და დედამიწას, მტერსა და მოყვარეს, ერსა და ბერს, მთავართა და მონათა ოქრომჭედლის ტახტზე ასვლას“...

სიყვარულისათვის თვითშეწირვამ ხელოვნების დათმობა მოითხოვა ოქრომჭედლისგან.

ოქრომჭედელი აღიარებს „სიამოვნებით შეეცყურებ, ვინც ხელოვნებას სწირავს თავს, მე კი ხელოვნური აღარ გამომდის ხელიდან. ჰგავს, ხელოვნებას, მიუწვდომელი სურვილი ასულდგმულებს, ხელუხლებელი რაც გვეჩვენება. ხელოვნება შვილია ქარიშხლის, შიმშილის, სიყვარულის, პირველი წამის, სიკვდილის და უთვალავი სიმდიდრის...“

„დაეკარგე ყველაფერი ეს, მაგრამ სამაგიეროდ სიყვარული მოვიპოვე“... სიყვარულისთვის თვითშეწირვამ ცხოვრების მეფედ გახადა ოქრომჭედელი, სული მისი კარგავს ძალას მაღალი ხელოვნებისა. აქ ხელოვანი სიყვარულს ეწირება. ესეც თვითშეწირვაა, თავისი მაღალი სალოცავის სიყვარულისთვის თვითშეწირვა. და ასე, ყოველი დიდი საქმე თვითშეწირვას მოითხოვს. და მაინც ადამიანის პირველი სალოცავი ხატი, რომლისთვისაც მსხვერპლად უნდა მიიტანოს ადამიანმა თავი, სამშობლოა.

ნიკო ქარიშხლიანი საქართველოს ღვიძლი შვილია. მას აწუხებს და აფიქრებს მამულის ბედი, ერის ისტორიული, სოციალური და ეროვნული ხვედრი. ეს ხვედრი არ იყო სახარბიელო, ამიტომაც მის ნაწარმოებთა უმრავლესობის ტრაგიკულ ინტონაციას სამშობლოს ბედი და ხვედრი წარმართავს. სოციალურა და ეროვნული თემატიკა ფარული სევდით მოსავს მწერლის სულს. მტერთა ქარიშხლიანმა ეპოქამ მაღალი ზნობრივი ბუდე დაუნგრია არა მარტო თავადაზნაურობას, არამედ თვით გლეხკაცობასაც, ერის ამ მარჩენალ ძალასაც. ძმა ძმას გადაეკიდა, მეზობელი — მეზობელს. სიღარიბისაგან გაჩანაგებულ ადამიანებს ნამუსი და პატიოსნება დაუკარგავს. გლეხის ტრაგედიასაც და თავადის ტრაგედიასაც ერთი სოციალური საფანელი აქვს, უჭირთ, ყველას უჭირთ, როგორც დავით კლდიაშვილის გმირებს, ნიკო ლორთქიფანიძის გმირებსაც. „მინაიას თვალწინ წარმოუდგა თავადი ქილაშვილი. ერთხელ დიდი მემამულე პატივცემული, წარმოსადეგი, ახლა კი უსახლკარო, ჩამოძინძილი, მშიერ-მწყურვალი სამასხროდ გამხდარი“ („კერიისათვის“). ამ გაჭირვებამ დააკარგვია სინდისი და ნამუსი თავადსა და აზნაურსა და

შათ შორის გლახსაც. თავის მართლებად გაისმის სინდისზე ხელაღებული გლეხი იდონაია იმედაძის მიმართ ნათქვამი სიტყვები: „აბა რა ექნა: სამმა მანეთმა თავიდან მოაშორა კარს მომდგარი მოვალე და თუ ოლღაიას მეცადინეობით, მისი შეილი დიაკვნობას იშოვიდა, ეს ხომ ისრული დასახლება იქნებოდა“ („კერიისათვის“).

მწერლის აზრით ზნეობრივ მოქმედებას სოციალური მდგომარეობა განაპირობებს. უამთა სიავემ ზნეობრივი დაკნინება გამოიწვია. იყიდება ყველაფერი, მათ შორის სინდის-ნამუსიც, ზნეობრივი და სოციალური ამბღლება დადგა დღის წესრიგში მთელი ერის წინაშე. ზნეობრივმა და სოციალურმა გაწმენდამ და თვითშეწირვამ უნდა იხსნას ადამიანი მორალური გადაგვარებისაგან.

ქართული კაცისათვის შინაგან მოთხოვნილებად უნდა იქცეს, სამშობლოსათვის თვითშეწირვა, ისე როგორც ეს თამარის დროს იყო. „თამარის სალოცავშია მოჩანს ფშავლების კრებაო, შენტვის მსხვერპლისა შეწირვით ქალ ვაჟი ვერა ძღებაო“ (ვაჟა).

1908 წელს გაზეთ „ნიშადურიში“, ნიკო ლორთქიფანიძეს გერმანული პუბლიცისტის სიტყვები მოჰყვდა: „მე ჩემი სამშობლოს ავადმყოფობით ვარო ავად, მორჩება ის და მეც მოვრჩებიო“, და იქვე უმატებდა, განა ყოველი ჩვენგანი არ განიცდის სხვადასხვა ძლიერებითა და სიღრმით ამავე ავადმყოფობას... ხელიდან გვეცლება მიწა, იკარგება უნა, თავს გვენგრევა ციხე-ტაძარი... სული დაკნინდა, სული, სული აშენებს ციხე-სიმაგრეს, სული ქმნის ენას, სული იძენს და აპოხიერებს მიწას, ეს სული დაიკარგა“ (ქურნალი „ნიშადური“, 1908 წ. № 49).

* * *

ქართული პროზის ამ პირველხარისხოვან ოსტატს აქვს ერთი ნაწარმოები, რომელსაც სახელად „გული“ ჰქვია. ამ ესკიზის გმირი ქართველი კაცია. იგი უცხოეთში გარდაიცვალა. როდესაც პროფესორმა გარდაცვლილი კაცის სხეული განკვეთა, მას გული არ აღმოაჩნდა: „გულის მაგიერ ფერფლილა დარჩენილიყო“. ამ უბედურებისაგან თავზარდაცემული დედა, რომელმაც დეპეშით გაიგო ეს ტრაგედია, შევიდა საყვარელ შვილის ობლად დატოვებულ ოთახში. ქვითინებდა: „— ასე გამიმეტე ქვრივი ოხერი? სადაა შენი კარგი გული, ამდენის ვაითა და ვუით რომ ჩაგდგი საგულეში?“

კედლიდან პატარა რუქამ გასცა პასუხი:

— მე დავაჰქნე!

— მე დავწვი! განმაურდა სურათი მაგიდაზე“. ავტორი ამ ესკიზს ასეთ რემარკას ურთავს: „სიტყვები არავის გაუგონიაო“.

ჩვენთვის უსიტყვოდაც გასაგებია, რომ ამ ახალგაზრდა ქართველი

პატრიოტის გული სამშობლოსათვის ფიქრსა და ოცნებაში დაიფერფლა. ეს ესკიზი ნიკო ლორთქიფანიძის ერთი პირველი ნაწარმოებთაგანია. მისი ძირითადი ლიტმოტივი ზედმიწევნით განსაზღვრავს თვით ავტორის პატრიოტულ მრწამსს.

ნ. ლორთქიფანიძე იყო სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, მას გულს უკლავდა რევოლუციამდელი საქართველოს ბედი. განრისხებული და აღშფოთებული მწერალი ხმას იმალეზდა „საქართველოს გამყიდველების წინააღმდეგ“. „— იყიდება საქართველო. მინდორ ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსულის ისტორიით, მომავალ სვებელით, მშვენიერი ენით.

ყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი, პატარა, კვკიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული.

იყიდება ერთიანად შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჭავჭავი. იყიდება პატარა-პატარა ნაჭრებით ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდათ: ნისიათ, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოდ, ბანკის საშუალებით და ჩვენის დახმარებით“ („სამშობაო მინიატურები“). მაგრამ ნ. ლორთქიფანიძეს ამ შავ დროშიაც სწამდა საქართველოს მომავალი. მწერალი საქართველოს ყველაზე მძიმე დღეებში პოულობდა ადამიანებს, რომლებიც იმედით შეჰყურებდნენ საქართველოს მომავალს. აი სწავლული ოტია, იგი ვერ გასტეხა ვერც უამთა სიავემ, — როცა შვილი დედას არ ინდობდა, ძმა ძმას ჰკლავდა, ვერც ომში ცალი ხელის დაკარგვამ. ვერც სიღარიბემ, ერთობლივი საქართველოს მომავალი მტკიცედ სწამდა.

— „აჰ ფინიკიელები ვაჭრები იყვნენ, ჯობნიდნენ მოხერხებით — დაიღუპნენ. ჩვენ — დავრჩით: ძლიერნი იყვნენ ჯარში რომაელები — გვძლიეს, მაგრამ ჩვენ დავრჩით, სილამაზის მარადმსახურნი ბერძენნი გადაშენდნენ. ჩვენ კი ვართ, როგორც ჰადარი სხვა ხეთა შორის... ჩვენ ვაჭრებიც ვართ, მეომარნიც და ქურუმნიც მშვენიერებისა, მაგრამ არაფერში ვაჭარბებთ... ჩვენი დღეც დადგება ოდესმე, უეჭველია“...

ნ. ლორთქიფანიძის ოცნება და ფიქრი მუდამ საქართველოს ბედს, მის მომავალს დასტრიალებდა. იგი ერთი თავის გამირის მსგავსად ხელაპყრობილი ლოცულობდა.

„ღმერთო, აღადგინე... ღმერთო მკვდრეთით აღადგინე... ღმერთო, ჯვარცმული აღადგინე ერი და მიეცი ძალა და სიმხნე“.

* * *

ნიკო ლორთქიფანიძე დაიბადა 1880 წლის 17 სექტემბერს სოფ. ჩუენუში (ახლანდელი წყალტუბოს რაიონი). მამა — მერაბ ნიკოლოზის ძე

ზომრიგებელ შუამავლად მუშაობდა, დედა ქართული წერა-კითხვის და მწერლობის მოყვარული და მცოდნე იყო. ნ. ლორთქიფანიძემ ქართული მწერლობისადმი და მისი ისტორიული წარსულისადმი დიდ სიყვარული აქ ოჯახში ბავშვობიდანვე ჩაინერგა. პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, შემდეგ კი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შეიყვანეს. მეხუთე კლასიდან, 1896 წელს იგი ქალ. ორჯონიკიძეში გადაჰყავთ და იქ ამთავრებს გიმნაზიის სრულ კურსს. ახალგაზრდა გიმნაზიელს დახმარებას უწევდა საზოგადო მოღვაწე იასონ ლორთქიფანიძე, უფროსი ძმა. გიმნაზიის კურსდამთავრებული ნ. ლორთქიფანიძე შედის ხარკოვის უნივერსიტეტში მათემატიკის ფაკულტეტზე, ის აქტიურ მონაწილეობას იღებს რევოლუციურად განწყობილ სტუდენტთა წრეში, რის გამოც იგი გარიცხეს ხარკოვის უნივერსიტეტიდან და იძულებული გახდა დაბრუნებულიყო სამშობლოში. 1902 წელს ის მიემგზავრება ავსტრიაში და შედის ლეობენის სამთომადნო აკადემიაში. აქ იგი დაუახლოვდა და დაუმეგობრდა ავსტრიელ იმპრესიონისტებს. 1907 წელს იგი ბრუნდება სამშობლოში. 1907—1912 წლებში იგი მუშაობს გერმანული ენის მასწავლებლად ქ. ქუთაისში. 1912 წელს ქუთაისიდან თბილისში გადმოდის და აქ აგრძელებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1917 წელს გამოდის ნ. ლორთქიფანიძის გერმანული ენის სახელმძღვანელო. 1928 წლიდან იგი მუშაობას იწყებს საქართველოს საინჟინრო (პოლიტექნიკურ) ინსტიტუტში, სადაც სიკვდილამდე ითვლებოდა უცხო ენების კათედრის გამგედ. ნიკო ლორთქიფანიძე აქტიურად მონაწილეობდა ცისფერყანაწელების კორპორაციაში, იბეჭდებოდა მათ ყურნალ-გაზეთებში. ხანგრძლივად იყო საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდენტის წევრი. წლების განმავლობაში ითვლებოდა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარედ. ორგანიზაციულად და შემოქმედებითაც განამტკიცებდა ქართულ თეატრს. მის კალამს ეკუთვნის პიესები „ქეთო“ და „შეთთანხმებელნი“. ოქტომბრის რევოლუციამდე დაწერილ წერილებსა და სტატიებში დიდ იმედს ამყარებდა ეროვნულ თეატრზე: „მშობლიურ ენაზე წავგართვეს სკოლა, მეცნიერება, შავგართვეს დაწესებულებები. დარჩა ერთადერთი ადგილი თეატრი. იგი მარტო ხელოვნება კი არ არის, ჩვენთვის თეატრი უკანასკნელი ნავთსაყუდელია, სადაც ჰერ კიდევ დაუბრკოლებლივ გვესმის ქართული ენა. იქ მივდივართ, რომ ერთხელ მაინც მოვიგონოთ წმინდა ქართული. ვიგრძნით ქართული ატმოსფერო, ჩვენ მოვალეობას მოგვაგონებს, ლაჩრულ მოთმინებას გვაზიზღებს და გვაიძულებს საქართველოს მომავალ ბედზე ვიოცნებოთ. — ერის ბედზე დაფიქრებულ მწერალს ეროვნული სევდა გულს უღრღნიდა, „სიმძიმეს გირვანქით ზომავენ, სიგრძეს — ადლით, დროს — წუთით. მაგრამ ამ პატარა გულში გამფხვებული ტანჯვა რით გაიზომება? ჩემს მწუხარებას შემოდგომის ცაც ვერ გამო-

იტრებდა“. ასეთ მდგომარეობაშიც მწერალს სწამდა საქართველოს ხვალისდელი დღე. მან შესანიშნავი წერილი უძღვნა საქართველოს ბუღბუღს — ვანო სარაჯიშვილს:

„ვ. სარაჯიშვილის მოსმენის შემდეგ შევიგნე მხოლოდ პოეტის სიტყვები:

„ხმები ღნება, ვით ამბორი“...

ვ. სარაჯიშვილი ხმის გენიოსია, და როგორც გენიოსი საწყენი იქნება, რომ მხოლოდ ჩვეულებრივი სვებედით დაკმაყოფილდეს. აკაკიმ და ილიამ შექმნეს ქართული მწერლობა მე-XIX საუკუნის, შედარებით მათთან ბევრად მდარე ნიჭის პატრონმა გ. ერისთავმა შექმნა ქართული ღრამა. ვ. სარაჯიშვილს არა ნაკლები ბედი არგუნა დროთა ბრუნვამ. მას შეუძლია შექმნა ქართული ოპერისა. ოპერას, მუსიკას ჰქმნის არა მარტო მწერალი, კომპოზიტორი, არამედ უფრო მეტად მომღერალი, რადგან მომღერალს შეუძლია შეაყვაროს საზოგადოებას ბგერათა სამფლობელო. უცხოეთში შეიძლება ვ. სარაჯიშვილს ყველაფერი მოელოდეს, რაც თვალს უხიბლავს ადამიანს, მაგრამ ჩვენში ის არის, რაც გულსა ღრმად ხვდება. ჩვენს ნაზ ბუნებას, ლურჯ ცას, აბიბინებულ მთაველთა სარაჯიშვილის ხავერდისებური ხმა შეუქმნია, და მისი მომღერალი უნდა დარჩეს ხმით მხატვარი, ასეთი რჩევა არ არის მიღებული, მაგრამ გულის სიღრმიდან აღმოხდენილი კანდიერებად არ ჩაითვლება“. ეს წერილი მოთავსებული იყო 1909 წ. აღმანახ „ერთობაში“ — ასეთი შენიშვნა დაურთო რედაქციამ ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით 1924 წელს ჟურნალ „ხელოვნების დროშაში“ გადმოგზავნილ ამ წერილს (ე. „ხელოვნების დროშა“, № 6, ნოემბერი, 1924 წ.). ნ. ლორთქიფანიძის პირველი მინიატურები 1902 წელს გამოქვეყნდა. გარდაიცვალა 1944 წლის 25 მაისს.

* * *

ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედების წამყვანი თემა ძველი საქართველო იყო. ძველი დიდების ნგრევა დიდის უშუალობით გამოხატა ნ. ლორთქიფანიძემ, მისი პოეტური სტიქია ყველაზე ბუნებრივად, ყველაზე სრულყოფილად ამ ძველი საქართველოს დანგრეულ დიდებათა გამოხატვაში გამოვლინდა. ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედების ეს მხარე კარგად შენიშნა პოეტმა ალექსანდრე აბაშელმა:

„ვინც ისე ნათლად დაგვანახა ქვეყანა ძველი,
ოითქოს წარსულის გასაღები იმას ებარა“.

ნ. ლორთქიფანიძე ერთი მხრით აღწერდა საქართველოს დიდებულ წარსულს, ხელშესახებად აცოცხლებდა მის გარდასულ სურნელებას, მეორე მხრით ნ. ლორთქიფანიძე მკაცრად ამხილებდა ძველი ფეოდა-

ლური საქართველოს რღვევის პროცესს, თავკერძა ფეოდალთა თავგასულობას. ამავე დროს აქვე იგრძნობა ნ. ლორთქიფანიძის გაუნელებელი გულისტკივილი ძველი დიდების ნგრევის გამო.

ყველაზე უფრო მწვავედ აწეწილი საქართველოს ტრაგედია დახატულია „ჟამთა სიავეში“. მწერალს მკაცრი მამხილებელი ხელით აქვს დახატული ფეოდალური საქართველოს ნგრევა, ჟამთა სიავით გამოწვეული ძმათა სისხლის ღვრა, უკაცურობის მძაფრი შტრიხები. მწერალი კარგად ხედავს დაკნინების ამ სურათს, მაგრამ იგი არ ხედავს ძალას, რომელსაც შეუძლია აღადგინოს ეს დაკნინებული საქართველო. უფრო მეტი, ამ მოთხრობის დადებითი გმირი მთელს იმედს კვლავ აზნაურობაზე ამყარებს. მწერალიც თავის მხრივ უდასტურებს ამ აზრს: „მოხუცი მართალს ამბობდა. საქართველოს დიდების კარგად მცოდნეს აწმყოთი გულმოკლულს, იმედი ჰქონდა მხოლოდ ახლად გამოჩეკილი აზნაურებისა, რომელნიც თავის გამჭირიანობით, გამრჯელობით, სისპეტაკითაც კი ბევრად მალა იდგნენ მოღუბნულ, სიფლიდეზე და მოტყუებაზე მოანგარიშე დიდებულებზე და მათ მიერ სასაცილოდ აღებულ მეფე მთავრებზე“.

ოტია მემბტიანე, რომლის ოცნება და ფიქრი ერთიან და მთლიან საქართველოს დასტრიალებს, დღენიდაც იმას ფიქრობს ისევე განახლდეს ღეთისმშობლის ხვედრი ჩვენი საქართველო, „დრო თამარისა და დავით აღმაშენებლისა“.

მეფის სასახლეს ჩამოშორებულ, მწიგნობარ ოტიას გულთა საოხად უკვდავი შოთა ეგულება. მისი მიზანია დაამთავროს დიდი მატიანე საქართველოსი, „მაგრამ ამ მატიანეს გმირად არ გამოდგება ის მეფე, ეხლა რომ საქართველოს განაგებს“. საქართველოს დაკნინების თანშემსწრეს ოცნებად გადაქცევია ერთიანი საქართველოს ძლიერი მეფის ერთგულება: „დიახ, მეფის... ნამდვილი მეფის... მთელის, განუყოფელის, ერთობლივი საქართველოზე გამრჯელის მეფის, ძლიერისა და არა იმერეთის მასხარა მეფისა“. მასთან მისულ შეთქმულ იულონს ის ურჩევს: „თქვენისთანა ციხე ახლა საქართველოში მეფეებსა და მთავრებს არა აქვთ. ასე რომ გამაგრდა ციხე, შემოგეხიზნენ გლეხები, აზნაურებმაც შენს კალთას შემოაფარეს თავი... გაძლიერდი, შვილო, გაძლიერდი, მაგრამ ძლიერება მოახმარე შენს ქვეყანას და სარწმუნობას, და ჩვენ უნდა გადავუხადოთ წინათ ჩვენზე გაწეული ამაგი საქართველოს დანარჩენ კუთხეებს.

— და მერე ვინ უნდა გააერთიანოს? —

— შენ, მე. ყოველმა ჩვენთაგანმა. — მამჩემიც ამ აზრს ადგა?

— ჭეშმარიტად და როცა ვერას განდა ჩაიკეტა თავის ციხეში“...

ერთობლივი საქართველოს აღდგენისთვის მეოცნებე. „იულონი ფიქრობდა მასპინძელზე, რომელიც ვერ გატეხა ვერც ყამთა სიაცემ, ვერც ომში ცალი ხელის დაკარგვამ, ვერც სიღარიბემ და წმინდა ოცნებით გამსქვალული თავის დარჩენილ ხელს ამოქმედებდა რათა შთამომავლობისათვის „ერთობლივ საქართველოს სადიდებლად გადაეცა ნაფიქრი და ნაგრძნობი“... და უნებურად ადარებდა საკუთარ მამას“.

მწიგნობრისაგან ჩაგონებული იულონი გადაწყვეტს არჩილი, გაცემი და ხალხის მტერი, მოკლას. „სამშობლოს მოღალატე პატიოსან ხალხს უნდა ერიდებოდეს და თამამად არ უნდა დადროდეს“. იულონმა იცის, რომ სამშობლოს ასეთი მოღალატეა არჩილი და ამიტომ ვადაწყვიტა მოკლას იგი, მაგრამ მის სურვილს წინ აღუდგება მშობელი დედა, რომელსაც განზრახული გაანდო. ეს ზვიადი ქალბატონი, იულონის დედა, არჩილის ხასაა. ყამთა სიაცემ შებიღწა ქვეყანა. მოშალა ერთმეფობა ქვეყნისა. დააკნინა და ზნეობრივად ძირს დასცა სასახლის გარშემო თავმოყრილი თავკერძა ფეოდალები. მოიშალა მეგობრობა და ძმობა. შვილი დედას არ ინდობს, ცოლი — ქმარს დალატობს, ასე მოშლილა მთელი ქვეყანა.

სულ ერთ გვერდზეა აღწერილი ერთიანი საქართველოს და გაიანეს ერთგული ქმრის იასეს შეტაკება ქვეყნის მოღალატე და ცოლის საყვარელ არჩილთან. „...ერთმანეთს ჩაბლაუტებული და შემდეგ გავარჯრებული ხანჯლებით ერთმანეთზე შეტეული მიჯნური და ქმარი. სამი ოთხი წლის შვილი და პერანგისამარა თვით... სირცხვილი... სირცხვილი“...

ასე გაანდა ქვეყანაზე ბუშის შვილი იულონი. ამის შემცნემ იულონმა: გადაჭრით უთხრა დედას. — „არჩილს ვერავინ ნახავს აქ, სანამ მე ვარ ბატონი და პატრონი“. ვნებააშლილი, განრისხებული დედა უკვე ველარ ფარავს საიდუმლოს: — „და გინდა წამართვა ერთადერთი სიამე ქვეყნისა?... იმიტომ ვიტანდი ყოველივეს, ვითმენდი საზიზღარ ლეზვს მამშენსას, რომ ბოლოს ჩემ მიერ დაყენებულ ოჯახში, ჩემ საყვარელ არსებას არ გაეველებოდეს?“

— გაჩუმდი, ვინმე ყურს მოკრავს.

— ყურიც მოკრან და თავიც...

— ნუ ბჭრი თავს, ნუ მარცხვენ ქვეყანაში!

— რა მენადვლება თავი მოგეჭრება, თუ არა, თუ ჩემი ურგები იქნება სახელიც და პატივიც?...

— გაკმინდე ხმა თუ არა... — ველარ მოითმინა იულონმა და ქაღლით წინ წაიწია.

— აი, შე ბუშო, შენ — მიაქაქანა ქალმა და უეცრათ აღვირს სტაცა ხელი და მთელი ძალ-ღონით გადააკრა.

სიმხეცემ აღმოხეტია. არც ერთს აღარ ახსოვდა რას სჩადიოდა.

იულონს თვითონ გაუკვირდა, როცა მოაჯირიდან გადაწოლილმა შეზება, თუ როგორ გავარდა სიპ-ქვაზე, წკვარამში, დედა მისი“. იულონს შშობელი დედა შემოაკვდა.

ამ ტრაგედიას საოცარი ნიღბით ფარავს იულონი. დედის სიკვდილს აბრალებს სრულიად უდანაშაულო, სამეგრელოდან სტუმრად მოსულ ამ ამბის შექსწრე გლეხს და ვერაგულად კლავს, ხოლო შემდეგ დიდ ქალ-ჯატონს იულონი და არჩილი ერთად დაითირებენ. ცბიერება და გაუტანლობა გამეფებულია ირგვლივ: საოცარი მოკვეთილი ნიუანსებით, ფარული ქვეტექსტებით არის დახატული იულონისა და არჩილის შენიღბული ჭიდილი, ერთიანი საქართველოსთვის მეოცნებე ნაპუშარის, იულონისა და თავნება, მეფის კარზე მიღებულ, იულონის დედის საყვარლის არჩილის ჭიდილი. დიდი შინაგანი ფსიქოლოგიური ნიღბებითაა დაფარული ყველაფერი ის, რაც სცენის მიღმა ხდება.

— იულონს სურს ქვეყნის, მომავლის ერთგული დარჩეს, მაგრამ ვის მიენდოს? თვით დედამაც ვერ გაუგო შეილს, მწიგნობარი, დაუძლურებული ოტია ვერ მიეშველა, ხოლო მეფისაგან მოგზავნილმა არჩილმა, ქუთაისში მეფეს მიპგვარა და უდანაშაულოდ თვალი დათხარეს იულონს. ბრმა იულონმა ერთგული მეგობრების მეოხებით შური იძია არჩილზე და მოაკვლევინა იგი. ჟამთა სიაყვემ იმსხვერპლა ყველა. მწერალი ირონიულად შენიშნავს: „— გულუბრყვილო მემბტიანე, რომლის თხუზულეზაც დაიკარგა, სწერდა: „ჟამსა მას საშინელსა გავრცელდა მტრობა, შური დიდებულთა შორის. მსხვერპლად ანგარებისა გახდა თვით ფრიად პატიოსანის იულონის დედა, წარწყმინდა იგი დიდებულმან არჩილ, რომელი თვით იქმნა წარწყმენდილ ხელითა მისისავე ერთგულისა ყმისათა... ხოლო იულონი დაბეზლებითა მეფისა წინაშე არა ქმნულისა ღალატისათვის იქმნა თვალ-დამწვარ“.

მოხუცი მემბტიანის, საქართველოს დიდების კარგად მცოდნის და აწმყოთი გულმოკლულის ოტია მწიგნობარის იმედი „ახლადგამოჩეკილ აზნაურებზე“ არ გამართლდა. აწეწილ საქართველოს, სამთავროებად დაქუცმაცებულ ქვეყანას ჟამთა სიავე მუსრავდა. იმედად მწიგნობარი ოტია და ძველი ლეგენდების გმირობისა და ზღაპრების მცოდნე გადია მიაჩნია...

ისტორიული წარსულის გამომხატველ მოთხრობათა შორის, მძაფრი ტრაგიკული ინტონაციითაა დაწერილი „დანგრეული ბუდეები“. იმპრესიონისტი მწერლის ამ მოთხრობას არა აქვს ერთი მთლიანი სიუჟეტი, იგი ცალკეული ფრაგმენტებია და ამ ფრაგმენტებში გადმოცემულია უტყუარი სურათი განადგურებული დიდებისა, დანგრეული ოდებისა, ჩამოვარდნილი ჭიშკრებისა, აჩეხილი ბაღებისა და ვენახებისა... ძველად ესენი ცხოვრობდნენ დიდებულად, ცხოვრობდნენ, დროს ატარე-

ბდნენ... ახლა არაფერია ამგვარი. მარტო ქვესათაურები რად ღირს: „მოხუცი იმ ქვეყნიდან“, „უტყვთა ცრემლები“, „ჯიუტები“, „ალბუმი“, „ბიუსტი“. ეს სათაურები საოცარ მეტყველად წარმოადგენენ ძველი დიდების წარღვნას, დიდებით ნაგებ სასახლეთა დანგრეულ ბუდეებს: „ლექსში, პროზაში—ყველგან მთავარი მოტივია სახელების დარქმევა. — წერდა ქართველ სიმბოლისტთა ერთ-ერთი მებაჭრე ს. ცირეკიძე. მოძებნა მოთანაბრე სახეების ინტიმურ განცდათა სიტყვიერ პარალელების. და თუ ავტორმა სათაურში რეზიუმე უნდა გაუკეთოს მთელ ნაწარმოებს, მთელ წიგნს, მაშინ სათაურშიც არის შემოქმედების მთავარი მომენტი, მაშინ სათაურიც სახელის დარქმევაა, უფრო მოკვეთილი და ამიტომ, უფრო ინტენსიური.

გრძელი თქმა, შედარებებით და აღწერით ასახვა საგნებისა აღარ აკმაყოფილებს კულტურით დატვირთულ ადამიანს“ (ს. ცირეკიძე, „მეოცნებე ნიამორები“, წიგნი მესამე). ამ მხრივ „დანგრეული ბუდეები“ ტიპური მაგალითია მოდერნისტული მოთხრობისა. „დანგრეული ბუდეები“ ძველ ჟამთა აღმწერელი მწერლის ტრაგიკულ კილოს ყველაზე ტიპურად გამოხატავს. და რაც მთავარია ამ „უბედურ ხალხთა“ ნგრევის სურათი საოცრად პლასტიკურია. მათი უმრავლესობა მწარედ მისტირის დაღუპულ დღეებს. მათ შორის ბევრი ისევ ჯიუტი, ისევ თავკერძა, ისევ შეურიგებელია ბედთან.

— „ერთ ნახევ ქალაღზე ორი სიტყვა დაუწერია: „ისე ვერ ვიცხოვრე, როგორც მე მსურსო“. ესაა და ეს. წადი და ელაპარაკე! ვინ ცხოვრობს ჩვენთან ისე, როგორც მას უნდა, სურს... და ყველამ რომ თავი ჩამეიხრჩოს, ერთი კეთილშობილი კაცი აღარ დარჩება ამ ქვეყანას. მე „მე მსურსო“ — რომელი ხელმწიფე და ბატონიშვილი მაგი მყავდა, რომ სურვილისამებრ ეცხოვრა... დალახვროს ღმერთმა ეშმაკი... მარა კვიცი გვარზე ხტის“...

ძველი დიდება დანგრეულია, მაგრამ ეს ნანგრევებიც ამაყად გამოიყურება, ვით ეგვიპტის პირამიდები.

— „თითქოს აი ეს არის, ბტერმა გაანადგურა, ამოწყვიტა აქაურობა. და ეზოც ვერ გამორკვეულა უბედურებისაგანო. ყოველი ქვა თითქოს ვილაცას ემუქრება მწუხარებისაგან გაათრებულ, რაც მომივიდა, მომივიდა — მეტს ვერას დამაკლებო. ეგვიპტის პირამიდები უსათუოდ ეგრე დაქცევის სიამაყით გამოიციქირება...“

დავდიოდი ასე ოთახიდან ოთახში. ერთი მეორეზე უფრო გაპარტახებულ, გაოხრებულ, ერთი მეორეზე უფრო მწუხარე და უფრო სევდიან, მაგრამ ამაყ, გაკაყებულ გაათრებულ ოთახებში.

ირმის ქორბუდიანი რქა შემოსჭედოდა ირგვლივ სურათის ჩარჩოს. სურათის მთელი ერთი მხარე სრულიად მოხეული იყო, მოსჩანდა მხო-

ლოდ დეზები და ჯინჯილები. თავი და ჯვრებით საესე მკერდი უნაკლულთ დარჩენილიყო. ეს იყო ვორონცოვი.

აი ამ ოთახში კი ნამდვილი ზღაპრული ამბავი ხდებოდა. ერთმანეთს ნახუტებოდა ვერცხლის გვირგვინი, ნაზი ხუთფოლქიანი ქალის საბალო ხელთათმანი, დამტვრეული სკამები, კუბოს ფარჩა, ლანაის შუშა, უძველესი ხელთნაწერები, აქედელი პატარა კოლოფი, ყანგია შეჭმული უტარუქარქაშო ხმალი, რომელზედაც გრძელ ზედ წარწერაა ძლიერ გავარჩიე... „გიორგი სააკაძისაგან“... სავარძლები, ეტლის ბალიშები და მათ შორის თიხის ვეებერთელა ქოთანში მაგნოლია... შტოები უკვე კვირს მიბჯნოდა და ფოთლები, ყლორტები, ყვავილები ერთმანეთში ლამაზათ გადახლართულიყო.

ერთი კუთხე კი ცარიელი იყო. იქ იდგა მტვერით დაფარული ბიუსტი სრულიათ განმარტოებული, თითქოს ყველაფერი მოხეზრებია მეტის — მეტი სიყვარულით, თითქოს ეშინია, საყვარელ საგანთა შეხებამ ძველი იარები არ გამიღვიძოსო. ხელში ავიღე, ფანჯრის თახჩაზე დავდგი“.

ასე ამაყი იყო თვით ნიკო ლორთქიფანიძე თავად. მაღალი არისტოკრატი სხეულით და სულით.

ჩადენილ შეცოდებას „ძველი საქართველოს ეს დიდებულნი“ გვიან შეიცნობენ, როცა ყველა ბოროტებას მოითავებენ. შეცოდებათა მონანიება სხვებისთვის მაგალითად თუ გამოდგება, თორემ მათთვის წინ არაფერია.

შეცოდების, ბოროტების გზა გრძელია, მონანიების წამიერი ვით სიკვდილი. ცოდვას ინანიებს თანდარუხიცი:

„როცა მარხვამ და ჯათამ ვერ გასტეხა ამაყი გული, როცა ლოცვამ სათნოება ვერ მოუპოვა და წმინდა სახარების მოწიწებით მოხვედრამ ვერ შესძინა სულის სიმშვიდე, მწირმა გამოქვაბული შიგნიდან აპოყორა, გაიშიშვლა, ტანს გადისხა ზეთი, წმინდა სანთლით წაიკიდა ცეცხლი და ნახევრათ დამწვარი, ნახევრათკვამლით და სუნით გაგუდული, გადაიცვალა“. ასეთ თვითმწიწრვას მოითხოვს შეცოდება, ცოდვიანი თვითმწიწრვით უნდა გაიწმინდოს...

ტრაგიკული და ირონიული ნიღბებით დაასახლა ამ მოთხრობაში მწერალმა წარსულის ადამიანები. ხშირად სიმბოლური ხერხია გამოყენებული: „დანგრეულ ბუდეებში“ მერცხლების ნაბუღარაა სიმბოლო: „პატარა მერცხლები ეპოტინებოდნენ ნაბუღარს, ვერ იკიდებდნენ ფეხს. აჯდებოდნენ აივანზე გაბმულ ბაწარს, თრთოდნენ სიცივისაგან. ვარდებოდნენ იატაკზე, ერთმანეთს ეხუტებოდნენ და არ იცოდნენ რა ექნათ.

გავაღე ოთახის ფანჯრები, რომ იქ მოეთბოთ თავი, მაგრამ ამოდ... ისინი როგორღაც ჟღურტულებდნენ, რაც მე კვნესად მეჩვენებოდა და ყოველ მათ ყრიაბულში მე ვკითხულობდი სამღურავს.

— გაისად ჩვენ მაგიერ აქ დაგხვდებათ ბელურა და უფეხუაო“. შემდეგ კონტრასტული სურათია გამოყენებული: „— აი მოიტანეს, მოიტანეს ურმებით შეკონილი ჩალა... ერთძარიანი ურემი, მეორეს მიჰყვებოდა, ყველას უმასპინძლებოდი არაყით, ღვინით... და რა მშვენიერი ცო სიმინდის სარჩევად მოწვეული ნადი... სიმინდი... უნდა გაგვეტანა ფუჩიჩი. კარში, შუა ღამე გადავიდოდა, ვახშამზე დაეჯდებოდი და იწყებოდა ჭეიფი, სმა, პაექრობა, ცეკვა და სიმღერა.

ანდა რთველი ვენახის მოკრეფა, საწნახლის მზადება, საშინელი სიამამის ქვეშ ხარხინის კენესა და პერანგიდან მერატაფაში მზულით მჩქეფა ტკბილი, ჭურჭელს ვერ ვშოულობდით...“ და ასე გრძელდება მოგონებათა გრძელი ფურცელი დიდებული წარსულის შესახებ, მაგრამ ყველაფერი ეს წარსულს ეკუთვნის. ახლა „ალარაფერი ამგვარი...

საუკეთესო ვენახი გადამხმარიყო, და ყურძენმა ვერ დაფარა საწნახელის ძირი.

ნადი არ გვიწვევია... ჩვენ და ორმა მოსამსახურემ ხუმრობით გამართულ სიმინდის რჩევაზე ოციოდე გოდორი ძლივს გავავსეთ და აი ახლა ბიძას ჭიშკარიც გაიღო, შექმნეს ძაღლებმა ყეფა სასეირნოდ განგებ დატოვებული მინდორისთვის ყოველ მხრივ ჩამოეკლოთ და დანარჩენი სიეწროვის გამო ურმებს გაეჩეხა.

სმა არსაიდან ისმოდა.

სანთელი არ ჩანდა.

კაცი არ შემხვედრია.

მივადექი ბიძაჩემის სახლს.

არავინ გამომგებებია.

საძაღლეთიც გაწყვეტილა“.

ეს დიდებული ფეოდალი ეხლა ჭუჭყიან დაგლეჯილ ლეიბზე წევს და ფეხთან ტახტზე ეგდო გატეხილი კეხი, აბუანდები და უკანასკნელი მოწმე ძველი დიდებისა სევადიანი ვერცხლით გაჭედილი ავშარა. ყველაფერი გავერანებულა, სრული უკაცურობა დაუფლებია ამ ფეოდალთა ოჯახს. — დაღონებული, წამოქცეული თორწე, სამეჯინიბო კარებაყრილი ბაგა ჩამტვრეული, აქა იქ კედლებში ფიცრებ გამომძვრალი... საპირე ბუნდლით და ბუმბულით სავსე“... აქედან წარმომდგარი უსაშველო სევდა: — „შემოდგომაზე სიკვდილის წინ აირევა ბუნება, ქარი აზუზუნდება, აქ აიღებს კორიანტელს და იქ მიაყრის: ყავარს ხეზე გადებს, ხის ფოთოლს მაგიდას დააყრის, ისლი წყაროს ფარავს და წყლით იესება აივანი. ასეთ წამს რა მახვილი თვალი არ იყოს, ვერ გაიგებს ვინ ვის ეკუთვნის, სიდან რა არის ჩამოტანილი.

ასე იყო მაშინ, საქართველოშიც, არავინ იცოდა, როცა ეხვეოდა მეორეს, ხვალ საწამლავს მიაწოდებდა თუ ხანჯალს ჩაჰკრავდა.

— ყოველ კუთხეს მეტი თუ არა ორი მეფე ჰყავდა, ოთხი-ხუთი მთავარი, ათი-თორმეტი მოურავი, გამგე და სარდალი.

ერთ მეფეს ნიშნავდა ყაენი, მეორეს ხვანთქარი, მესამე რომელიმე მათგანის წინათ დანიშნული იყო; მეოთხეს შთამომავლობით ყველაზე მეტი უფლება ჰქონდა ტახტზე, დიდებულთა მიერ კახეთში მიწვეულს იმერეთში ჰქონდა უფლება კანონიერ მეფედ ყოფილიყო, მაგრამ საპლედლოება ეწინააღმდეგებოდა. მეფის მიერ დანიშნულ სარდალს არ ემორჩილებოდა ყაენის მიერ დანიშნული ათასისთავი, ხვანთქარის მიერ მდივან-ბეგათ გამოგზავნილი ცდილობდა საერისთავო ხელში ჩაეგდო. გურიელი ხელშეკრულებას ჰკრავდა ქართლის მეფესთან, ქართლის დიდებულნი ყაენის სარდალთან...

ვინ იყო მართალი არავინ იცოდა. ტყუილია, თითქოს ყველა თავისკენ იზიდებოდა, მაგრამ შეუძლებელი იყო ნათლად გამოერკვია კაცს, როგორ მოქცეულიყო. ხშირად რაც ლალატს, მამულის გაყიდვას ჰგავდა, სწორედ მამულის ბედნიერებისთვის იყო ნამოქმედარი“. ასეა დახასიათებული მწერლის მიერ ძველი საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრება ლეგენდაში „ეს იყო ძველად“.

მეორე მხრივ, როგორც ჩვენ უკვე ვთქვით, ნ. ლორთქიფანიძე მძაფრად ამხილებდა ძველ ბატონყმურ საქართველოს. გულქვა ბატონის, ბოროტი კაცის ფრიად განზოგადოებული სახე დახატა მან „მრისხანე ბატონში“. ავტორი ამ მოთხრობას საგანგებო შენიშვნას უკეთებს, არა ისტორიული მოთხრობააო და ამით ხაზს უსვამს, რომ ეს არ არის ერთი რომელიმე ბატონის კონკრეტული სახე, ერთი რომელიმე აღებული დროის სოციალური ფონი, არა, ეს ზოგადი დამახასიათებელი სურათია ძველი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ამ სურათის ტიპური გამომხატველი არის მოთხრობის გმირი ლევან ბატონი — მრისხანე, კაცთმოძულე, ბოროტი და დაუნდობელი. ამ ბოროტი ბატონის მსხვერპლი გამხდარა ძმა და ახლა მას ძმისშვილის დაღუპვაც განუზრახავს.

ლევანის კაცთმოძულეობის და ბოროტების სახე მუქი ფერებით გამოხატა მწერალმა.

„— თქვი, ვინ დაკლა ირემი?

— ჩემმა შვილმა.

— მომგვარე ეხლავე.

— არ ვართ დამნაშავე, ბატონო, ბრყევობით მოუვიდა, არ იცოდა თუ გეწყინებოდა.

— ნუ სულელობ.

— შენ დაკალი ბიჭო ირემი?

— მე ბატონო.

ყმაწვილი ბიჭი სიმაღლით სამი აღლი იქნებოდა, შესაფერი მხარბეჭი ჰქონდა, სრულ ჩოხას ეტყობოდა თუ რა დევგმირის ტანს ფარავდა.

— ექიმბაშო ამას ცოტა თვალი ტკივა და მოურჩინე.

ექიმბაში საკვირველი ღიმილით მიუახლოვდა ყმაწვილს, მარცხენა თვალის უბე ჩამოსწია და ხარის ოდენა შავი თვალი თეთრად გადმოტრიალდა.

ამოდენა ვაჟკაცი უხმოდ დაეცა თოვლზე.

— ირემი კოკლიც იყო ექიმბაშო...

ბრძანა ისევ ლევანმა.

ექიმმა ოდნავ ჩასწია პაიჭი, საცვეთიდან ამოაძრო შარვალი და სავალი, გამოაჩინა ტიტველი, კაჟსავით მაგარი მუხლები და თეთრ თოვლზე ჩქეფით დაიწყო დენა სისხლმა.

— მამასახლისო, ახლა წადი და თქვენებს უთხარი, ბატონი ლევანი მოწყალეა, მაგრამ მისი სურვილის წინააღმდეგ თუ ვინმემ საკუთარი წამწამი შეარხია, ურჩევნია. თვითონ დაითხაროს ორივე თვალი“.

ძნელია, ამაზე უფრო შემაზრზენი სურათი დახატოს მხატვარმა. ეს ბოროტი კაცი გადაწყვეტს, ცოლად შეირთოს ვიღაც უზნეო ქალი, რომ მემკვიდრე დარჩეს. სწორედ ამის გამო აღმოხდა ლევანის დედას შემდეგი სიტყვები: „ყასაბი იყავი ადამიანისა და ახლა კიდევ საროსკიპოს ხსნი“...

ვახტანგის შერილი კი საბრალდებულ განჩინებაა ბრალდებულისა.

— „ანგელოზთა გუნდს, წმინდა გიორგის ვერ მოვიხმობ, ბიძა ჩემო, შენდა მფარველათ. წყვეა-კრულვა კი ლაჩართ წესია. სათნო იესო იყოს ჩვენს შორის მსაჯული და მოგიკითხოს უფალმა, ყოველის მეცნიერმა, რაც ჩემთვის ზიანი და ვაება მოგეყენებინოს.“

არ გეყო, რომ მამაჩემს, შენს ძმას, რისხვა მეფისა თავს მოავლინე, მეფის ბრძანებით ჩაჰკალი და ახლაც უცნობ ადგილს გდია. დედა ზაფრაზე გარდამეცვალა. რაც მოძრავი, თეთრი, თუ სამკაული მქონდა, წაიღე. თუ შეგარგებს, შეგარგოს ღმერთმა. ახლა კი იმ სამის სოფლიდანაც მიპირებ განდევნას, რომელიც დამრჩა.

მოგიწვევია აფხაზეთისა მთავრის შვილი და ოდიშის მთავართან ძლიერ დაახლოებული პაატა ბატონიშვილი, ბიძა მთავრისა. დიდის წინდახედულობით ამ თათბირისათვის ნადირობა დაგირქმევია და საწყალი უდანაშაულო ბიჭი გიწამებია, როგორც ყიზილბაშებიც კი არ აწამებდნენ ქრისტიან კაცს, ვითომც და განრისხებული იყავი სანადირო ადგილების ცუდად შენახვით.

ყმაწვილი ვარ, უნდა ვჩქარობდე აზროვნებაში, მაგრამ სიჩქარე შენის გაუმაძღრობისა აღინჯებს გონებასა ჩემსა და მაჩვენებს გზასა ნამდვილსა.

გსურდა აფხაზეთისა და ოდიშელთა დახმარებით სრულიად ამოგეწ-

ყვიტა შენი გველივით სამძულვარი ძმისწული და მისი შვილი, მაგრამ ამათ. ჩემი შვილი გელოვანებშია და შენი ხელი ვერ მისწვდება. მე რომ მომკლან, შენ მაინც არაფერი დაგრჩება: ჩემი პატარა ძმა ოსეთში მყავს დამალული; მეორე კახეთის მეფეს ახლავს. ყველგან ვერ მისწვდება ბელზებელის ხელი ან შენ რისთვის იხვევ უდანაშაულო სისხლით საუნჯესა. ღმერთმა არ ისურვა თესლი ბოროტისა გამრავლებულ ყოფილიყო და ხარ უძეო. ქალიც კი ვერ სძლებს შენთან წელსა უმეტეს სამისა და თვით მოახლეებშიც, გამიგია შენი გარყვნილება. გყავს თურმე შთამოება უსულო.

წერილი ჩემი არ იმოქმედებს შენზე. ვიცი ესე. ვისაც ძმის, ძმისწულის სიყვარული ნაკლებ აქვს მხეცისა, ვითარმედ შეიგნოს მან სიტყვა ადამიანისა.

გწერ წერილს ამას, რათა უწყოდე, რომ მზე ანათებს თვით უფსკრულსა და საიდუმლონი შენნი ცხად არიან.

ცდილობ უკუღმართსა, მაგრამ უფალი მიანიჭებს ჩემს ფრედონს ამდენის უსჯულობით მონახვექსა შენსა.

მტრათ საზიზღარს, ნათესავათ იუდას უგზავნის ამ წერილს ძმის მკვლელის ძმისწული

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი“.

ამ წერილით ზუსტად ახსიათებს მწერალი ჟამთა სიავით აწეწილ საქართველოს, წარღვნის დროს. ბოროტებას და შიშს ფრთები გაუშლია და დანავარდობს ერთობლივ საქართველოში, დრდნის მის შინაგან სულს. ძმა ძმას არ ინდობს, ბატონი ბატონს, მთავარი მთავარს. ოდიშის მთავარის გიორგის სიგელი ლევანისადმი გაგზავნილი ამ უკაცურობის ტიპური მაგალითია. დიახ, ტიპური და ზოგადი ნ. ლორთქიფანიძისათვის დამახასიათებელია. ნიკო ლორთქიფანიძე ესკიზურ ტიპიზაციას რომ მიმართავს, იმპრესიონიზმს არ ეწინააღმდეგება. იმპრესიონისტები ამავე დროს რეალისტები რომ იყვნენ, ეს საყოველთაოდ ცნობილია. იმპრესიონიზმი არ გამორიცხავს რეალიზმის მოთხოვნას — სინამდვილის, რეალობის აღიარებას, ამის მიხედვით ნ. ლორთქიფანიძე იმპრესიონისტი, ქართველი იმპრესიონისტი, მისი დროისა და გარდასული ეპოქის უტყუარი მხატვარი.

მრისხანე ბატონის შიშით მისი ყმა გლეხკაცობაც ზნეობრივად დაკნინებულა. ერთი გლეხი ასე მიმართავს მეორეს, როცა ისინი გადაწყვეტენ ღალატით, მათი მფარველი ვახტანგი, ლევანს მიპყვარონ: „მთავარი არაფრად აგდებს სტუმარს და მეფეს და შენ ვისი მასხარა ხარ. კარგი კარგისთვის ვის უქნია“... აი რა მორალი განაგებს მთლად აწეწილ და დაწეწილ საქართველოს.

ლევანი, იმ მიზნით, რომ შემკვიდრე გაიჩინოს, უზნეო ქალს ციციონს ირთავს. ციციონა — ეროსის ქალღმერთი — კალმის ასეთი ერთი მოსმით ქართულ მწერლობაში არავის გამოუხატავს, ეროსის ალქა-

ჯით შეპყრობილ, ვნების აღმძვრელი და გამაგიჟებელი „სახე ლამაზი ქალისა“: „ზღაპრულ რამეს ამბობდნენ მის მშვენებასა და მის თავგასულ ცხოვრებაზე. ოხუნჯები ჯგუფებად ყოფდნენ საყვარლების რიცხვს. „პირველი იყო ვინც უყვარს“, მეორე, „ვისაც უყვარს“, მესამე, „ვიზედაც სიყვარულის ეინს იკლავს“, მეოთხე, — „ვინც სიყვარულის აღს მასში აქრობს“, „ვინც ყიდულობს ციცინოს“ და „ვისაც ციცინო ყიდულობს“... მაგრამ ვინც კი შეხვდებოდა ამ ტანმომცრო, თხელ პირსახიან ქალს, მეფურის მიხვრა-მოხვრით, უფრო ხშირად უბრალოდ ჩაცმულს, როცა დანახავდა ამ პატარა, გამჭვივალე, ნაზ ხელებს, ამ მიბნედილ ძვალებს, ყოველივე სილირფე, თავხედობა ეკარგებოდა და ყმად ხდებოდა ისეთი ქალის, რომელიც ყველასი და ყველგან მხეველი იყო“. თვით ადამიანების ჯალათი ლევანი ისე მოხიბლა, ისე დაიმონა ამ ქალმა, რომ იკრ აცხადებს: „მსურს მუდამ შენთან ვიყო, უკანასკნელად შენ დამიხუჭო თვალი, შენ დამიტირო, მარტო შენ... მიილე ჩემი ყველაფერი: სახელი, სარჩო-საბადებელი, რაც ვინდა იმათ გამხადე... მივატოვოთ ეს ქვეყანა მუდამ ბრძოლისა, შურისა და მტრობისა. გსურს ბიზანტიას მივაშუროთ და ვიცხოვროთ იქ ფუფუნებაში“. გახდა ცოლი ლევანისა ეს უზნეო ქალი და სურვილი ციცინოსი — ლევანის და მთელი კუთხის უმაღლეს კანონად გადაიქცა: „— ხშირად ციცინოს გარყვნილებით ბრაზმორეული ლევანი შევარდებოდა ოთახში, მაგრამ ორიოდ სიტყვა, ქალის ორიოდ ღიმილი, ვნებით გაზმორება“ და ლევანი ბრძალ ემორჩილებოდა ამ ვნებისგან გაგიჟებულ ქალს. ციცინო არამარტო გარყვნილია, არამედ გულბოროტიც. — „ციცინოს მოსწონდა ვაჟკაცთა შეტაკება. ხშირად მართავდა ჯირითს, ბურთაობას, ჭიდაობას და რაც უფრო დაუზოგველი იყო, მით უფრო ნასიამოვნები რჩებოდა. თავ-გამწევემა ცხენმა ჯირითის დროს ერთ მხედარს ტვინი მიასხმევიანა ხეზე, და ციცინომ მწვევე სიამოვნება იგრძნო“...

აი, ასეთ ქალშიაც კი ვახტანგის დანახვამ გამოაღვიძა საწყისი სინდისის, — პირველი უმანკო სიყვარული, ბავშვობის მოგონებანი. მან იცის, რომ ასეთი „სპეტაკი ვაჟი მის ბინძურ სხეულს არ მოუხდება“. და მაინც გარეტიანებულს ვახტანგის სიყვარულით, სურს მასთან კავშირით განიწმინდოს სულიერად. პატიმარ ვახტანგს, რომელსაც ლევანისაგან სიკვდილით დასჯა მოელის, ფარულად ნახავს საპატიმროში და ვედრებით მიმართავს: „არაფერს გთხოვ, არაფერი მინდა შენგან, მაგრამ მსურს ვითხრა, როგორ უშრეტად მიყვარდი. დავიწყებული სიყვარული დღეს ორკეცის ძალით გაცოცხლდა, — შემეყვარე ისევ, — ბიცოლა რას ამბობ მე ცოლი მყავს... — მართალი ხარ. ნუ შემიყვარებ. მე კი მეყვარები, დღეიდან წმინდა ნაკადულს სიყვარულისას აღარ შევსვრი ვნებათა ღელვის წუმპეში“. და როცა თანხმობა ვერ მიიღო კეთილი, პატიოსანი,

რაინდული ბუნების ვახტანგისაგან, ის თხოვნით მიმართავს ქმარს ლევანს, — გამიშვი ლევან... სად ციციწო? ნუთუ აღარ გიყვარვარ?... ახლა სულზედაც მსურს ვიფიქრო. მე ხომ ცოდვილი ვარ, არც შენ ხარ წმინდანი. დროა ღმერთიც მოვიგონოთ...

— იცი, ციციწო! შენ უსათუოთ ორსულათ ხარ და იმიტომ უცნაურობ...

— ჰო, ლევან! ყოველი ადამიანი ორსულია. მხოლოდ რომელი სული როდის გამოჩნდება, იმაშია ბედი...

— როგორ ქადაგივით ლაპარაკობ რაღაცას ჩასაფიქრებელს, მაგრამ გაუგებარ სიტყვებს?

— რომ იცოდე, ლევან, ამ ოთხ დღეში რამდენი ვიფიქრე ამ ორ — სულზეც, ამ ორ სურვილზე. ღამეები არ მიძინია, დღეები კარში არ გამოვსულვარ. არიან ხომ ადამიანები, რომელთაც დიდი წმინდა აზრი, მიზანი აქვთ, ჰყავთ ერთი საყვარელი არსება და მუდამ ერთგული რჩებიან მისი. ჰყავთ შვილი და მოელიან მის ბედნიერებას. სწამთ ღმერთი და გრძნობა სავსე აქვთ სასოებით. ასეთს ადამიანებს არც სიკვდილის ეშინიათ, არც სინდისის ჰქეჩნით. ცხოვრების მოვალეობა მოუხდიათ. განა არ შეიძლებოდა ყველა ასე ყოფილიყო? განა ყველას ასეთი წმინდა მეორე სული არ უდგას, ჭუჭყისა, ფუქსავატობისა და უმიზნობის სამოსელში გახვეული? ოჰ, ერთი ბავშვი მაინც მყოლოდა, რომ მისთვის გადაემეცა ეს დღევანდელი ჩემი რწმენა. ცხოვრებამ ბევრი მასწავლა“...

ეს, „ორსულობის ფილოსოფია“ არა ახალია, ძველია. ოღონდ მოდერნისტებმა საგანგებოდ წინ წამოწიეს ეს თეორია. თვით ისეთ ბოროტ კაცს, როგორც ლევანია, ადრე, მასაც ჰქონდა რაღაც რაინდული, ადამიანური: „მუდამ შენი თაყვანისმცემელი ვარ ლევან. ალტაცებით ვიგონებ იმ დროს, როცა ოსმალები განდევნე ქუთაისიდან და ციხე შენ კი არ დაისაკუთრე სხვებსავით, არამედ მეფეს გადაეცი. მე არ მავიწყდება, რომ ბაგრატის ტაძარში ოსმალთა ცხენების ჭინჭინის მაგიერ მლოცველთა და მგალობელთა გუგუნე შენი წყალობაა და დღეს პირადის ანგარიშით ნუ შელახავ შენს სახელს, უკანასკნელად სინჯა გელოვანმა... ნუ ინებებ, ნუ ინებებ ლევან, ვახტანგის დაღუპვას...“ მაგრამ მაინც სასტიკი წამებით აწამა მრისხანე ბატონმა ვახტანგი და ციციწო: „თვით ლეკები ერთმანეთს განცვიფრებული უყურებდნენ, რა ხალხში ჩავარდითო, გვიშველეთ ვინ ხართ ქრისტიანი!“

ლევანი მას შემდეგ, რაც სასტიკ წვალებით ამოხდის სულს ციციწოსა და ვახტანგს, გადაწყვეტს ხელი აიღოს ამქვეყნიურ ცხოვრებაზე. „ამ მრისხანე ლევანის გატეხილმა ხმამ, დანაოკებულმა სახემ, ჩავარდნილმა თვალებმა ათქმევეინა ოცი წლის წყრომა დავიწყებულ დედას — შვილო, საბრალო ლევან, შენ სადღა გაექცევი შენ სინდისს? — წავალ...“

მომეცი დედა ხის ხატი, საჯვარეზე რომ ჩამოხსნა მამაჩემმა მეხით გახეთქილ მუხას, სადაც მიმიყვანს, იქ დავრჩები“. მწერალი თავის მხრივ უმატებს, „მეორე დღეს მსახურთ აღარ უნახავთ ლევანი“. და იწყება ლევანის ზრუნვა სულის გაწმენდისათვის. ტოვებს ყოველ მიწიერს, რათა ზეციერს შეაყვოდოს სული. მწერლის აზრით ამგვარი ადამიანების გაწმენდა სულისა თვითშეწირვით შეიძლება. ეს ქრისტიანული გაწმენდაა სულისა. მთელი ეს აზრი თვითშეწირვით სულის გაწმენდისა, გამოხატულია რომანის ეპილოგში:

„— მოწამეთის პირდაპირ, მდინარის გაღმა, გამოქვაბულში შეაფარა თავი მოხუცმა. დაყუდებული ბერი ყველას მორჩილებით, მორიდებით ეპყრობოდა. ჩიტები თამამათ ჯდებოდნენ მის თავზე და ნისკარტს იწმენდდნენ თმაზე. შეელი, წყალზე ჩამოსული, ხელიდან ართმევდა ჭადის ნატებს. მოხუცა კი ლოცულობდა ხის ხატის წინ, განუწყვეტილვ კითხულობდა სახარებას, უფალს შენდობას ევედრებოდა ბალახის გადათელვისთვის. მზის სხივის შეურაცყოფისთვის, ორიოდე ლუკმისთვის. რომელსაც შორი ახლოს უტოვებდნენ მცხოვრებნი. ერთ დილას მწყემსმა ნახა გამოქვაბულში გაცივებული გვამი. გულზე დაკრეფილ ხელებში მიცვალებულს ეჭირა ხის ხატი“.

ვინც გონების თვალით დააკვირდება ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოებებს, ამ შემთხვევაში თვით ამ „მრისხანე ბატონსაც“ კი, არა მარტო მანერა, არა მარტო სტილი, არამედ მწერლის ფილოსოფიაც მოდერნისტულია, იმპრესიონისტული. მისი ამოსავალი დებულებაა: ადამიანი ორსულია, ორ-არსება, ერთ არსებაშია დაბუდებული ორი სული — ბოროტი და კეთილი. ხან ერთი ამოწევს თავს, ხან მეორე, ეს გარემოების მახედვით, თუმცა აქაც გამონაკლისია, მაგალითად ვახტანგი და ლევანის დედა, ისინი ერთსული არიან, შეუვალი, ურყევი, მტკიცე, ერთგული ოჯახისა და ქვეყნისა. და მაინც ციცინოს ფილოსოფიას ნიკო ლორთქიფანიძე იზიარებს. ამიტომ მწერლის აზრით ადამიანის სულის განკურნება ბოროტებისაგან და ძლევა კეთილისა ორ საფეხურიანია: შეცოდება და მონანიება. ეს ზნეობრივი მოდელი — შეცოდების მონანიებით გაწმენდა, ერთადერთი გზაა თვით ქამთა სიავისაგან დასნეულებული ერისა და ხალხისა. ზნეობრივი ამაღლება, ეს „სულიერი კათარისი“ ურთულესი გზაა. ამავე დროს ორგვარია თვითშეწირვა, სურვილით თვითშეწირვა და თვითშეწირვა შიშით. „ქედმოუხრებელში“ თვითშეწირვა ხდება სურვილით, იმის შეგნებით, რომ შენ ამით ქვეყანას იხსნი. „მრისხანე ბატონში“ თვითშეწირვა ხდება შიშით, ჩადენილი ბოროტების გამოსყიდვის შიშით. ამ ზნეობრივ მოდელს თან ახლავს სოციალური ასპექტიც, ქამთა სიავით გამოწვეული. ძველდაც ცოდვილი იყო ადამიანი, ადამიანი ცოდვილ არსებად იბადება, ქამთა სიავემ წინ წამოწია, მთელს ერში, თვადსა და გლეხში, ბატონსა და ყმაში, სიბილწე და უზნეობა.

ბოროტების ეს საშინელება ერთობლივ საქართველოს ძლიერებას შეუძლია სძლიოს.

ნიკო ლორთქიფანიძის აზრით ქვეყნის ძლიერება შეგნებულ თვით-შეწირვაზეა დამყარებული.

მწერლის აზრით ადამიანის ბუნებაში ძვეს სიკეთის თესლი, ადრე თუ გვიან ის აღმოცენდება და გაიზრდება. ერთში სულ იმთავითვე ჭეჭილივით ბიბინებს ეს სიკეთე და სულსა და გულს გვიხარებს, ისე როგორც ამ მოთხრობის გმირი ვახტანგი. ვახტანგი კეთილი მებატონეა და ერთგული მეუღლე. პატიოსნებით და სიკეთით სავსე: „ვახტანგისაგან განთავისუფლებული გლეხები, მთელი გზა მოწყენილი, თვალ-ცრემლიანი მკვდარივით მიდიოდნენ. ვახტანგისაგან ცული სიტყვა არ გაუგონიათ, დახმარება და ხელის გაწვდომა ათასჯერ უნახავთ... ძველ რაინდებს აგონებს ყველას თავისი პირქმედობით, ვაჟკაცობით გულწრფელობით... იგი მეგობრობას ადვილად არ იწყებს, მაგრამ საიმედოა დედასაკით“. დიახ, არიან ასეთი უღრეკნი, ქედმოუხრელნი, პატიოსანი და კეთილი ადამიანები როგორც თავადებში, ისე აზნაურებსა და გლეხებში. მათ გვერდით არიან ეგოისტური ჟინით შეპყრობილნი. ადამიანი არა მარტო უყვარს და გული შესტივია მის ბედზე მწერალს, არამედ ადამიანი ბუნების უმაღლეს ქმნილებად მიაჩნია. მას ჰიროს დღესავით სძაგს ფსალმუნის სიტყვები: „მიწა ხარ და მიწად მიიქცე! მიწა იყო და მიწად იქცა“. არა, კატეგორიულად აცხადებს მწერალი: „ადამიანი მიწა თავის დღეში არ ყოფილა. ადამიანი აზრია, გრძნობაა, სიყვარული, სიძულვილი, აღტაცება და სულმდაბლობა, სინდისი და უნაშუსობა“. მწერლის მოვალეობაა ადამიანის, ბუნების ამ უმაღლესი არსის, გაკეთილშობილება, ადამიანის არა მარტო, როგორც ფიზიკური არსების, არამედ მისი სულის მოძრაობის მაღალი მორალით გამოხატვა. ამიტომაც იტყვის: „სულის დახატვა, სხეულის დახატვას არ გავს — სულის დახატვა უფრო ძნელია“. ცხოვრების ყოველგვარი ჭუჭყისაგან განთავისუფლებული ადამიანის მაღალ მორალს უმღეროდა მწერალი. სულით მაღალი უზადო ადამიანი იყო მისი იდეალი და ძაგდა ყოველგვარი არა-ადამიანური და არაპუმანური.

ადამიანი სულით მედიდური და ამაყი, მაღალი ჰუმანური და ეროვნული იდეალებით მოცული უყვარდა ნიკოს განურჩევლად სოციალური წოდებისა და მწერალს გული უკვდებოდა როცა ხედავდა, რომ მის თვალწინ იღუპება თავადაზნაურობა, ღორმუცელობის, უზნეობის ჭაობში ჩაფლული, ხედავდა გლეხკაცობას რომ უჭირდა, ისე უჭირდა, რომ მამა შვილს ლუქმას ართმევდა. ხედავდა თუ როგორ იყიდებოდა საქართველო და ამ ვითარებაში ის თავის მოწოდებად მიიჩნევდა: გაედვიეებია ქართველ ხალხში სიყვარული მამულისადმი. ებრძოლა სოციალური და ეროვნული ბოროტების წინააღმდეგ. მწერლობის მაღალ

ტრიბუნაზე შემდგარი შესძახოდა ერს: „მოუარეთ საქართველოს!“...
უამთა სიავემ დაბადა დიდი ზნეობრივი მანკიერებანი, ეს მანკიერებანი და ზნედაცემა გადამდები სენივით მოედო მთელ საქართველოს. არა მარტო ქართლის მეფე არ ინდობდა კახეთის მეფეს, იმერეთისა გურას, სამეგრელოს და აფხაზეთს, არამედ თვით ხალხს, გლეხკაცობასაც მოსდებია ერთმანეთის გაუტანლობის სენი, დაიშალა ერთობლივი, მაღალი ეროვნული იდეალებით გაერთიანებული საქართველო.

ქვეყნის მანკიერების სამხილებლად, მწერალი ხშირად მიმართავდა ირონიას, ჩვენი აზრით ნიკო ლორთქიფანიძის „რაინდები“ ქართულ ისტორიულ რომანისტიკაში იმპრესიონისტული ირონიული რომანის ნიმუშია. მწერალი ამის შესახებ დასაწყისშივე გვაუწყებს:

„ვიპაც გამოუცდია დიდი ავადმყოფობა, ახსოვს ბოდვა, ტკივილების დროს ჩანგი თუ არა, ზღაპარი მაინც მოუსმენია, — იგი გაიგებს ჩემს სულსკვეთებას და სასიამოდ დარჩება არეული ისტორიის, დავიწყებული ზებორგადმოცემების და დაღლილი ოცნების ხლართი მწარე ღამეებში ნაღვლიანი ფიქრების გასაფანტავად შეკონილი“.

ეს ეპიგრაფი არსებითად განსაზღვრავს „არეული ისტორიის, ნაღვლიანი ფიქრების“ სევდიან პათოსს. „რაინდები!“ — თვით სათაურია დონკიხოტური ირონია. ნიკო ლორთქიფანიძე, რომელიც ერთობლივი საქართველოს მომხრე იყო, რასაკვირველია, სამთავროთა შორის გამართულ ძმათა სისხლის ღვრას რაინდობად ვერ მონათლავდა. ისინი არ გვანან „ხალხისთვის წამებულ რაინდებს, ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა“ (გ. ტაბიძე). ინალიბა, ცნობილი ვაჟკაცი და აფხაზების მეთაური, სასიკვდილოდ დაჭრილი, აღსარებასავით ამბობს — „ახია ჩემზე, რაც მომივიდა: არ მომწონს დაუსრულებელი ომი ოდიშთან და იმერლებთან, არ მიყვარს მთავარი და მისი ოჯახი. შემეშინდა მოლაღატედ არ გამოვსულიყავ პატრონის წინაშე, არავის ეფიქრა, რომ შიშმა ამიტაცა და ბრძოლის ველი დამეტოვებია... გადაეცით მეფეს, რომ მისი გამარჯვება მახარებს... თავის მსხვერპლად შეწირვა არ მინდოდა, მაგრამ მის გამარჯვებას ჩემს ღმერთსაც ვევედრებოდი“...

„რაინდების“ ცენტრალური გმირია გლეხი ლაზიკა. აფხაზეთის ბანაკის დასაზვერად გაგზავნილმა ლაზიკამ აფხაზებს ცხენი მოპარა, ენგური გადმოლახა და დაისაკუთრა. ცხენი ძლივს დგას ფეხზე.

— უწამლე რამე? — ეკითხება სარდალი, — ჯერ თავდაყირა დავკიდე, მერე დავაწვინე და მუცელი დავუზილე, ცოტა წყალი დააქცია, თოფის წამლიანი არაყი დავალევი, მეტი რა ვუყო? — თოფის წამლის მაგიერ, საპონი დაგელევიანებია სჯობდა, მაგრამ არაფერია. მეფე დაიხარა და მუხლებზე მუცლის ქვევით დახედა... აი ამ გადატყავებულზე კი წაუსვი თოფის წამალი... „რად აქცევს ჩემ ცხენს ამდენ ყურადღებას მეფე?... ვაი თუ წამართვან! ელვის სისწრაფით გაუარა თავში ლა-

ზიკას“... ასეთი დიალოგი იმართება ომის დაწყების წინ მეფის სარდალსა და ლაზიკას შორის.

მდგომარეობით, მოქმედებით, საომარი ბატალიების აღწერით, მეფითა და ლაზიკათი დამთავრებული, აქ ყველაფერი მწარე ღიმილის მომგვრელია, ძველი რაინდობის საცოდავი აჩრდილი. გიკვირთ სანაპლის მისულა დავითისა და თამარის საქართველო? მოთხრობაში ჩართული „რაინდობის“ ეპიზოდები ჩვეულებრივი ადათ-წესების რიტუალური აღსრულებაა მხოლოდ.

აი ეს ეპიზოდიც: როცა ბატონიშვილს შეეკითხებიან გულახდილად სთქვი, საჭაროდ რატომ არ შეუტეე მეფესო, იგი უპასუხებს, „— მირონცხებული მეფე — მორცხვად წარმოსთქვა ყმაწვილმა, ჩემზე ხნითაც უფროსია და გვარიშვილობითაც უმაღლესი — პირველად მას უნდა ენებებია ხმლის მოქნევა — გაუმარჯოს მეფეს, გაუმარჯოს რაინდებს, ღრიალებდა დიდი და პატარა.

— ხალხო და ჯამათო! — მოისმა უეცრად თვალუწვდენელ ჭანდრიდან.

ყველამ ჭანდარს დაუწყო ცქერა.

— ხალხო და ჯამათო! — ყვიროდა ვიღაც ფოთლებში მიძალული.

იკურთხოს ღვთის განგება!

ღლეგრძელი იყოს მეფე!

გაიმარჯვა ჩვენმა ჯარმა.

გაიქცა მტერი.

მოსრნა ურჯულო ბაგრატიონთა მკლავმა...

თავი ისახელა აგიაშვილმა, წულუკიძემ...

გათავდა აზნაური,

გააზნაურდნენ გლეხები...

დაესხა თავსლაფი აღმასხანს...

არ მისცეთ მის შთამოებას ქალი,

არ ჩაესიძოთ მის ოჯახს,

ამოწყდეს ლაჩარი.

არ მინდა მისი ბატონობა.

გამანთავისუფლეთ მისგან, თვარა გადმოვარდება აქედან კისრით.

— კარგი, ჩამოდი, — გაიღიმა მეფემ.

— აქაც ლაზიკა! — განრისხდა აგიაშვილი — ჩამოდი შე, მართლა, ძაღლის შვილო, რა გააჭირე საქმე, ყველგან ეჩრები... შენი გასამასხარავებელი კიდეც ვინ არის?!“

ასე ჩამოხადა რაინდობის ნილაბი ცხენის ქურდმა ლაზიკამ „რაინდებს“ და თავისი ნამდვილი მნიშვნელობით წარმოგვიდგინა ამ მოთხრობის ირონიული ბუნებაც. ამას მივუმატოთ ფრაზა: „ღმერთმა კი შეარცხვინოს ისეთი მეფე „ცოტა ღვინოსა და არაყს რომ თხოულობს“ და

ერთბაშად გასაგები გახდება „რაინდების“ ირონიული მანერა ტრაგიკული ინტონაციით შეზავებული. და მანაც პერსპექტიული გმირიც, ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანიც აქ გლეხი ლაზიკაა.

ირონია, ცხოვრებისეული ირონია, მშვიდი და გარეგნულად უწყინარ ტონით არის გამოხატული მოთხრობაში „ეპისკოპოსი ნადირობაზე“. სოფელ ქეძილეთის ძველიცა და ახალი მღვდელიც ნადირობდა. მრევლი ემდუროდა მონადირე მღვდლებს. ახლადშენებული ეკლესიის საკურთხებლად ჩამოსულ ეპისკოპოსს შესჩივლეს, ისიც გაიხსენეს, რომ მეფეს უნახავს თურმე ის მონადირე მღვდელი. ახლა თადეოზ მღვდელსაც უჩივიან. ეპისკოპოსი თითქოს ბრაზობს, თან „მისდაუნებურად“, ნადირობის ეშმა შეიპყრო. ქალაქიდან საჩივრის შესამოწმებლად წამოსული ეპისკოპოსი გზაზე კურდღლებზე მონადირეებს წააწყდა. გაიტაცა ნადირობამ, თავად გამოუდგა კურდღელს. მერე ანაფორა გაიძრო და მანამ სდია, სანამ ძაღლებმა არ დაიჭირეს კურდღელი. მოხუცმა მონადირემ ნანადირევი ეპისკოპოსს მიაართვა:

— გაკურთხე, მეუფეო! მიმართა მონადირემ.

— გაკურთხოს, შვილო, ღმერთმა, კაი სერიო მაჩვენე სიბერის დროს, ღმერთი იყოს თქვენი მწყალობელი!... ცოდვილია ადამიანი, ცოდვილი... მეც გამიტაცა ამ ამოებამ“.

თადეოზ მღვდელი შორიახლო იდგა და ფიქრობდა: „ეპისკოპოზი თავის ცთუნებისათვის თადეოზზე იყრიდა ჯავრს, თუ ამ ამბის გამო სრულიად აპატიებდა შეცდომას.

ეაშმის დროს ისევ ნადირობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. „აქა-იქ ისმოდა „თორმეტი მოციქული“, „ეახტანგ გორგასალი“, „თბილისის დაარსება“, „ნებროთი“...

„ნებროთის“ ხსენებაზე ჩუმმა სიცილმა გადაირბინა“... ასე, მხარული ტონებითაა გამოხატული ნადირობით გამოწვეული ირონია.

ირონია მწერალს გამოყენებული აქვს მძაფრი სოციალური მდგომარეობის დასახატავდაც. საილუსტრაციოდ შეიძლება მივმართოთ 1919 წელს დაწერილ ეტიუდს — „შეგირდი“. მოწაფეები გულისყურით უსმენდნენ ახალგაზრდა მასწავლებელს — „აი ჩვენ დავხატეთ თათქარიძის გარეგანი სურათი, მეზობლური, ბატონყმური და ნათესაური განწყობილება თათქარიძისა, ახლა უნდა გადავიდეთ მის სულიერ არსებაზე, თუ რას წარმოადგენდა იგი, როგორც მოაზროვნე ადამიანი — ყმაწვილი სღუმდა — რაზე ფიქრობდა უფრო ხშირად ლუარსაბი? — კიდევ მისცა მასწავლებელმა დამხმარე კითხვა. მოწაფე სღუმდა და უფრო და უფრო ეკარგებოდა ფერი. — ჭამაზე მოისმოდა აქა-იქ შეგირდებში — უკაცრავად!.. თქვა ბავშვმა და თავის ადგილზე წავიდა, ცრემლები ერეოდა“. მასწავლებელს უკვირდა ბეჭითი მოწაფის ეს საქციელი. კი-

დევ უფრო გაუკვირდა, როცა თხოვა შინ გამიშვითო. გთხოვთ — ავთ ხართ? — არა... ნუ დამიმალავთ — სთქვი! — სამი დღეა... თითქმის არაფერი გვიქამია, — ბავშვს ცრემლი გადმოვარდა. მასწავლებელმა ჯიბისკენ გასწია ხელი... შეჩერდა: „რას ეყოფა ჩემი თხუთმეტი ათასი, თუნდაც რომ მივცე: ოთხი ადამიანია ოჯახში“. კეთილმა მასწავლებელმა მასწავლებლებს შორის შეაგროვა ფული, „ძლიერ დარცხვენოლ შალვას გადასცა ქალაქის ფულის მსხვილი შეკვრა“. სურათი ერთბაშად ნათელი ხდება. ლუარსაბის ჭამის ფილოსოფია ირონიაა, სიმშინლით გამოწვეული ტრაგედიის ირონიაა. ჭამის ფილოსოფიის ირონიულ ნიღაბს ფარდას ხდის მწერალი ეტიუდის ფინალში: „გუშინ სადილის შემდეგ მეც არაფერი ჩამსვლია პირში“ — ტრაგიკული კილოთი შენიშნავს მასწავლებელი... ამავ 1919 წელსაა დაწერილი „ტრაგედია უგმიროდ“. აქ კი ერთი ნატეხი მქადისათვის წამებულთა ფსიქოლოგიური სურათი უმაღლესი ტრაგიკული ინტონაციებითაა გადმოცემული. სულ გვერდნახევრიან ნოველაში ყოველი ფრაზა გაისმის, როგორც სიმშინლით და სილატაკით გამოწვეული რეკვიემი. სამი შეილის მამა „შეუფებლად დაერიდა ბავშვების წივილს, — გამოვიდა ქოხიდან... გადიარა ეზო... უგზო-უკვლოდ მიდიოდა... სადღაც ყანაში ჩამოჯდა ქვაზე. ერთი ფიქრიც არ ჩნდებოდა თავში... ცალ-ცალკე სიტყვები გაიფრთხილდნენ ნაპერწკალივით... „მჭადი“, „ბავშვები“... „ხარი“... და, ასე ერთბაშად გამოიკვეთა ტრაგედია, სიმშინლით გაწამებული ტრაგედია გლენისა. გამოუვალი მდგომარეობით გაბოროტებულმა გლეხმა ორობეში შეუხვია: დაუძახა ვილაცამ. მობრუნდა. — „გუშინწინ რომ მთხოვე ფქვილი ღმერთია მოწამე არ მქონდა. აი დღეს ქე მაქვს ცოტა, და ნახევარ ჭამს გიზიარებ... ოღონდ არ დამლუპო იმ პარასკევს უნდა დამიბრუნო...“

მამა ფქვილი მოიტანე? — ახრიალდნენ ბავშვები. გვაქმევე? — კი შვილო, კი ბიჭო, — ეუბნებოდა ხან ერთს, ხან მეორეს. ბავშვებს უთქმელად მოჰქონდათ ფიჩხი, ანთებდნენ ცეცხლს, აწყობდნენ და ასწორებდნენ კეცებს. მამამ წუთში მოზილა ფქვილი და გავარჯარებული კეცებს დააკრა:

ბავშვების მოუთმენლობამ მოაგონა, რომ კარგი იქნებოდა ჭადების გამოცხობამდი მათი თავიდან მოშორება.

— აბა, ბიჭებო, წადით და ბიცოლა ეფროსინეს ოხრახუში გამოართვით — ბევრი აქვს, მოგცემთ...

ბავშვები გაიქცნენ“.

აქედან იწყება ტრაგედიის ზეადსვლა:

„ — ჭადის სუნმა მამაც აიტაცა. კეციდან ჭადი აიღო, გატეხა, გასაგრილებლად დაბერა და „გასასინჯათ“ ლუკმა პირში ჩაიდვა. მთელ სხეულს განუზომელი მადა აღეძრა...“

მეორე ლუკმა...

სწვავდა ენას და მაინც სკამდა.

ბავშვები შემოვარდნენ.

— მომეცი, მამა!..

— მეც!..

— გადით, თქვე გასაწყვეტლებო!

— მამა, მამა!

— მამა, ერთი ლუკმა!“

სიმშობის აღქაჯმა მხეცად აქცია მამა:

— „ბავშვები ცალი ხელით მილახა და ლაფაროში გაყარა, იქედანაც თვალზე ცრემლშემხმარი ბავშვები ძაღლებივით კნაოდნენ და იძახდნენ:

— მამა, გვაჭამე!

ყურადღებას არ აქცევდა. მერე ერთიანათ ჩაიმუჭა პირში ბავშვების მიერ მიტანილი ოხრაახუში და წავიდა... გადავიდა ტვერში... მიწვა... კარგა ხანს ისვენებდა გარეტიანებული, თვალგახილული, მთვლემავი.

წამოიწია, დაჯდა“.

სიმშობლა გონება დაუბნელა. გონს რომ მოეგო მგელკაცად ქცეული მამა:

„— ბავშვების სივილი მოაგონდა...

მე შევჭამე...

ბავშვებს არაფერი ვაჭამე...

ღმერთო, რა მომივიდა?

სირცხვილი! ხალხს რალა უთხრა?! ვაი თუ დაიხოცენ...

აღგა, მივიდა ბავშვებთან...

გადაბელილი ბეოლის ძირში მიგდებულებიყვენ... ეძინათ... მამა მიუწვა. ცრემლი შეჩერებოდა წამწამზე. თავს იკავებდა: არ გავალვიძო მაინც! რა ვქენი, რა ვქენი! დედა ხომ არ იზამდა!“.

აქ ტრაგედია ზენიტს აღწევს, ბინდით მოცული ხილულ ფორმად იქცევა და წარმართავს ნოველის რიტმს.

— „უმცროსს გამოელვიძა. გაუკვირდა, ჩააჩერდა მამას.

— მამა! წყნარათ დაიწყო ბავშვმა.

— მთლად შეჭამე?

— !!

— მამა, ცოტა იქნება დაგრჩა — მომეცი... მუცელი მტკივა — არ გაგამხელ...

მამას ზღუქუნი წასკდა.

პატარა ბავშვსაც გაელვიძა „მშია“ — „მშიას“ ძახილით“...

აქედან იწყება თვითშეწირვის გზა, ერთგვარი „კათარსისი“ თუ მორალური ამადლება მამისა, რომელსაც გული ჰქონდა და შვილები უყვარდა.

„მამა წამოიჭრა, ეზო გადაირბინა. ვენახში მოხვდა, გაბმული ცხვარი სძოვდა. ახსნა. გავიდა ხეზე. დაჯდა. ბაწარი ტოტს მაგრათ მიაბა, მარყუქი გამოსკვნა, მეორე ბოლოში, გაშინჯა — კისერზე თუ მომიჭერსო და“...

აქ ნოველა თითქმის მთლიანად გადმოვწერეთ, არადა სხვა გზა არ იყო. სიმშლილი აქ განზოგადებულია, როგორც მიზეზი ადამიანის ტრაგედის, ზნეობრივი დაქვეითებისა. აქ ყოველი ფრაზა, ყოველი სიტყვა ხატია, მხატვრული ხატია სიმშლის ტრაგედისა. შიმშილით გამოწვეული მგლობა თვითმწიფრვის უმაღლესი ტრაგედიით მთავრდება. უდიდესი ოსტატობით, ერთი ამოსუნთქვით არის დახატული სიმშლის საუფლო. ეს ტიპური იმპრესიონისტული ნოველაა, მძაფრი, სოციალური მორალური ასპექტებით დამუხტული.

სოფლის ცხოვრების უფრო ვრცელი სურათია მოცემული მოთხრობაში „კერიისათვის“. ხაჭარაშვილები: ძმები ნიკო და ესტატე ცოლშვილიანია. უმცროსი ძმა მინაია თხუთმეტი წლისაა. რძლები ვერ შეეწყვნენ და ძმები გაიყვნენ. გაყოფის შემდეგ თითქმის არაფერი ერგო უმცროს ძმა მინაიას, რადგან ქონება სულადობის მიხედვით გაიყო. და აი მარტოხელა მინაია გაუდგა გზას ბედის საძიებლად. საკუთარი კერიისათვის ზრუნვა და ბრძოლა, რასაც თან სდევს იმედისა და ოცნების გაწბილება, გამოხატულია აქ დიდი ფსიქოლოგიური სიმართლით და მხატვრული ძალით. გამუდმებული წანწალი, მძიმე შრომა და ტანჯვა, ხან დაღიანების ტყის მჭრელი მუშა, ხან ქალაქში მოიჯარადრეს ხელზე მოსამსახურე, შემდეგ მეფის ჯარისკაცი, ისევ მოსამსახურე... კაპეიკებით მოგროვილი ფულით და მასთან ხელზე მოსამსახურე ნინოსთან ერთად სოფელში დაბრუნება და საკუთარი კერა. მაგრამ უმტყუნა ბედმა, მეორედ გათხოვილი რძლის ქმარი — სოფროში შემოაკვდა მიწის გამო ატეხილ დავაში და გაციმბირეს. გაციმბირებული გლეხი ისევ დაუბრუნდა სოფელს, უკვე იმდენად ფულიანი, რომ მის ქალიშვილს ცოლად ირთავს აზნაური დათუნა თვალაკაძე. უსაქმურმა ბატონიშვილმა მთელი ქონება გაუნიავა: მინაიას წვალებით ნაშენები ოჯახი ვალებში წააგო. ოჯახის აღწერა და კერიის მოშლა ვერ აიტანა გლეხმა, „უსიტყვოდ წამოიქცა და მოკვდა“.

ამ ვრცელ სოციალურ ამბავს მწერალი მოხერხებულად ურთავს ზღაპარს, რომლის დედააზრი ისაა, რომ გლეხისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება ოჯახია, კერიის ქვაა...

ეს მოთხრობა XIX საუკუნის ქართულ პროზას ენათესავება სოციალური თემატიკითაც და წერის მანერითაც. ზოგი კრიტიკოსი XIX საუკუნის მწერლობასთან, კერძოდ ილიას „ოთარანთ ქვრივთან“ ხედავს ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცის“ თავისებურ „ნათე-

საობას“. ოლონდ აქ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ „ოთარანთ ქვრივი“ ეკუთვნის დიდი რეალისტის — ილია ჭავჭავაძის კალამს, ხოლო „თავსაფრიანი დედაკაცის“ ავტორია იმპრესიონისტი ნიკო ლორთქიფანიძე.

ქართველი ქალის ხასიათების სიმტკიცით და შეუფალობით შორეულად გვიანან ერთმანეთს ოთარანთ ქვრივი და თავსაფრიანი დედაკაცი. ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიან დედაკაცში“ ტრაგედია თავმოყვარეობის შელახვაზე დაფუძნებული. დაქვრივებულმა ქალმა შრომით, წვალებით, ტანჯვით გამოზარდა შვილები, გზაზე დააყენა, ახლა შვილიშვილებში ფუსფუსებს, მაგრამ აი ერთბაშად შეურაცხყო მისი თავმოყვარეობა უმადური ქალიშვილის რეპლიკამ: — „რა, დედა, შეგენანა განა ერთი წინდა?..

გინდა მეორე შვილიც მოიმადლიერო!... ნუთუ ამის საღირალი პატივს არ გცემთ?

წინდები ხელთ გავარდა.

სიტყვა არ ამოუღია.

შეისწორა თავსაფარი.

ქალიშვილმა შეამჩნია ქცევა და კიდევ დაუმატა:

— ტყუილს ვამბობ თუ?

ქალი ადგა, კალთები დაიბერტყა.

ბავშვი არ ცხრებოდა.

კაპასი შვილი:

— ნუ ტირი, ნუ ტირი, უკეთესს გიყიდი, რომ ბებია არ დაგამადლოს!

ქალი წავიდა უმიზნოდ, შემოუარა სახლს, რომელსაც შეაღია თვალის ჩინი, სიცოცხლის უინი, ჩაჯდა ბოსტანში.

არავითარი აზრი, არავითარი ფიქრი, მხოლოდ სიტყვები:

„შეგენანა“, „მოიმადლიერო“, „საღირალი პატივი“...

დიდი ოსტატობით არის დახატული თავმოყვარეობაზე აგებული მთელი ეს ტრაგიკული სურათი. გამრჯე და თავმოყვარე ქალის სახე მღელვარე პოეტურ სტრიქონებში გააცოცხლა მწერალმა. ფერების, საღებავების ოსტატობის სრულყოფილობით, „თავსაფრიანი დედაკაცი“, მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში ერთი უბრწყინვალესი ქმნილებაა.

ამ ნოველაში ხასიათის გამოსახვის ფსიქოლოგიურ სიმართლეს ეფუძნება ყოველი დეტალი, ყოველი სიტყვა და ფრაზა. უაღრესად მიწიერი, ცხოვრება რიგითი ადამიანისა გაპოეტურებულია და ამადლებული, განზოგადებული და სრულყოფილი.

ამ ნოველაში მთელი სისრულით გამოვლინდა ნიკო ლორთქიფანიძის წერის მანერა—ძუნწი, სიტყვიერი მომჭირნეობით დახატული ეპიზოდე-

ბი. „თავსაფრიანი დედაკაცის“ დეტალები და ნიუანსები: დიდი შინაგანი კავშირითა და ერთიანი განწყობილების ჯაჭვით შეკრული კომპოზიცია საოცრად ვრცელ ცხოვრების სურათს ქმნის. კალმის ერთი მოსმით, შთაბეჭდილებების მეოხებით დახატული სურათები და ეპიზოდები ელვის სისწრაფით ცვლიან ფერებითა და საღებავებით მდიდარ დეტალებს.

„ყველაფერი ჩატარდა სულ ძველებურად, ისე როგორც ჩვენში წინათ ხდებოდა ყველგან, სადაც კი ჯვარს იწერდენ, ორმოცი წლის წინათ ხდებოდა ხშირად, ოცი წლის წინათ ზოგჯერ, ათი წლის წინათ იშვიათად, ახლა კი შეუძლებელია“. ეს ნოველა 1925 წელსაა დაწერილი და მწერალი საგანგებოდ მიგვანიშნებს, რომ ეს ძველებური ამბავიაო. ასე ზუსტი ფრაზების მოშველიებით ერთბაშად შევყავართ ძველ ეპოქაში. ამ დეტალს, რომელიც ისტორიზმის სულით არის გამთბარი, მოსდევს ძველი ცხოვრების ახალი დეტალი.

აი... გაძვრა-გამოძვრა მაქანკალი, ნამალევად, შორიდან დაანახვა ქალი. მოაწყო „ქალის ნახვა“ და მიაცემინა შარნა. მერე ძმადეებმა სამჯერ შეუცვალეს ბეჭედი. დაინიშნა ქორწილი, გავარდა დამბაჩა და მაქანკელა... აქაც ძუნწად, სიტყვიერი მომპირნეობით მთელი საქორწილო რიტუალი ერთ დეტალშია გამოხატული. „სვეს, იცეკვებს, არა მარტო გოგო-ბიჭებმა, მოხუცებულებმაც, დაიშალენ სტუმრები, აბლავლდნენ დანაკლავად გილზე ძროხა და ხარი“. ამას კვლავ ახალი დეტალი ცვლის. დეტალი რომელიც გვამცნობს ახალი ოჯახის შექმნას, შვილების დაბადებას.

„კაი ნოგროს გამოდგენ:

სამი წელი —

სამჯერ გამოწეული მუცელი და შეზნექილი წელი.

სამჯერ ჭორფლი და მყავე კიტრი.

ჩქარობდენ თითქოს!“

ამ ეპიზოდს კვლავ ახალი ესკიზი ცვლის „წელმაგარი კომლისა“. მერე ერთბაშად ექიმი და მარჩიელი, წამალი და შელოცვის სურათები გაიელვებს. სენმა და სიკვდილმა გაანიავა ოჯახი. იმატა ობლების მტერმა, იკლო მოყვარემ და ქართველი ქვრივი დედაკაცი დადის:

„პოლიციაში
სასამართლოში,
მეზობლებთან,

მამასახლისთან
თავმდაბალი,
საჩივრით,
მუდარით,
ისე რომ ვერ აჩერებს კედელი.

მარკა,
სიშორე, —
გადაიფრენს, იშოვის, გადივლის,
გასცურავს, მიიფრენს,
თავისას კი მიაღწევს“.

აქ უკვე ხასიათი იხატება. მტკიცე და შეუვალი ხასიათი ქართველი ქალისა, ოჯახის მზრუნველი და მფარველი დედისა. ნოველის მთელი განწყობილება ეფუძნება გაუბზარავ, ამაყ ხასიათს, თავის მწუხარებასაც და სიხარულსაც ის გულში ფარულად ატარებს, თავად იტანს, ითმენს, იბრძვის. თავისი შინაგანი, მთლიანი ხასიათით გვევლინება ის ყველგან და ყოველთვის. მას გულწრფელად უყვარდა თავისი ქმარი, დარდობდა კიდევაც მის სიკვდილს, მაგრამ არაფის უმხელდა, საკუთარ თავში ატარებდა ამ სიყვარულს, ამ დარდს, ამ სევდას. განა ამ მხრივ არ წააგავს ის ოთარაანთ ქვრივს.

— „შავად მოსიღმა ქალმა უკან კარებში გამოიტანა ნაბადი, ეზოს მივარდნილ კუთხეში, ჩემს მახლობლად, ბოსტანში, გაშალა და ფეხშიშველა, თმაგაშვებულმა დაიწყო ტირილი... მოთქმა.“

წრფელად, გულამოძვარი ისეთ ნაზს სიტყვებს, ისეთის შვენიერის ხმით ამბობდა, რომ მესრის გადმოღმა მე ავტირდი, ტირილი ზღუქუნად გადამექცა... უეცრათ მე შემერცხვა... ქალი კი საჩქაროთ ადგა და თავის ნაბღიანათ სახლში მიიმალა“.

აქ უკვე საესებით ნათლად ჩამოაყალიბა მწერალმა ხასიათი — ამაყი, მტკიცე, შეუვალი. მაგრამ მწერალს ამბავი დამთავრებულად არ მიაჩნია და ახლა შეილებისა და შეილიშვილების სიყვარულში დახარჯული შრომის, ზრუნვის, მოვლის, გარჯის, მართოლვარე განწყობილებით კვლავ ამდიდრებს ამ ხასიათს. ბავშვები დაზარდა. ასწავლა. ათასჯერ მეტი, ვიდრე შეეძლო. ერთი ვაჟი მონაგარიშეა კოპერატივში, მეორე სასამართლო მოხელეა... დააცოლშვილა ორივე. და აი უმადური ქალიშვილის მეოხებით „თავსაფრიანი დედაკაცის“ ყველაზე მგრძნობიარე სიმს შეეხებიან, თავმოყვარეობას შეულახვენ.

და მოულოდნელი გადაწყვეტილება: — „ალარავისთვის ვარ საჭირო, სრულიად არავისთვის, ვარ სრულიად ზედმეტი... დიდი ხანია ჩემ კაცთან უნდა წავსულიყავი...“

და გაიხადა, მოიხსნა, მოაგროვა, ერთად ზანდუქში ჩაალაგა ყოველივე ხელსაღები, ფასიანი, გამოსადეგი და კონკეზში გახვეული, თითქმის საცვლების ამარა ჩუმათ გამოვიდა ნაჭირნახულევე ქოხიდან.

თითქოს შემთხვევით ჩაუარა ქმარის საფლავს, დიდხანს არ შეჩერებულა, ერთი კი მიუჯდა, ხელი გადუსვა ბალახში მიმალულ ქვას და მკაცრათ უთხრა.

— „პო, მოვალ, მოვალ... მოვალ, ჩემო ფილიპე“.

თავმოყვარე და შეილების მოყვარე „თავსაფრიანი დედაკაცის“ ხასიათი, ქანდაკებასავით ჩამოქნილია და მთლიანი, გამოხატული სადად, ბუნებრივად, ყოველგვარი პოზიორობისაგან თავისუფალი, დიდი შინაგანი სიმართლით, მშვიდი და აუღელვებელი ტონით.

„შვილებმა კარგა ხანს ვერ გაიგეს დედის გადაკარგვა: ერთს მეორე-სთან ეგონა.

გაიგეს — შეძრწუნდნენ, შერცხვათ: მოგვეჭრა თავი სოფელ-ქვეყა-ნაში. რას იტყვიან, მოხუც დედას ვერ მოუარესო... დედას გულმა უგრძ-ნო: „შვილები დამეჩაგრება, სახელი გაუტყდებათ“ და ჩამოთხოვილი ფულით დაზღვეული, მისი ნაკარნახევი, სხვისი დაწერილი ბარათი გაგ-ზავნა: „საყვარელო შვილებო ნუ მიწყენთ, სალოცავათ წავედი, ნუ მე-ძებთ... შვილიშვილები დამიკოცნეთ, ჩემზე ნუ წუხართ, მშვიდობით სა-მულდამოთ“. მწერალი ასეთ რეპლიკას გვთავაზობს: „ეს იყო თავსაფრიანი ქალის ერთი იშვიათი სიცრუეთაგანი“.

მწერალი ამით არ ამთავრებს თავის რეპლიკას და ვიდრე ახალ რეპ-ლიკას მოგვაწვდიდეს რამდენიმე დეტალით მისი ცხოვრების დასასრულს გვიხატავს.

მოკრძალებით მდგომ მათხოვარს აეარამ უთხრა:

— დედი, რას გვაწვალე, თავს რათ იწამებ?

— რა ვქნა, შვილო, მე კი მინდა სიცოცხლე?!

— ა, მტკვარი და მისი ჯანი...

— უიმე, ჩემის ხელით სული როგორ წავიწყმინდო?!

და სწრაფად გაშორდა, როგორც კეთროვანს.

გაზეთის ქრონიკაში ეწერა:

„ვაკის ჩიხში მილიციამ იპოვა მოხუცებული ქალის გვამი. აცვია და-ხეული შავი ხამი და ძველი წულები, გულზე ჰკიდია თითბრის ჯვარი, მარ-ჯვენა ხელის უსახელო თითზე აქვს ხმარებისაგან დაღეული ნიშნობის ვერცხლის ბეჭედი, რომლის შინა გვერდზე ნახევრათ წაშლილი ასოები-საგან ჩვენ ამოვიკითხეთ (ვერ დავადასტურებთ!) „ფილიპე“.

უცნობის გვამი გადაგზავნილია...

შვილებს ქრონიკიერის შენიშვნა, მგონი, არ წაუკითხავთ და არც არაეის უამბნია მათთვის“.

ასე დამთავრდა თავსაფრიანი დედაკაცის, ამ დიდებული ადამიანის ცხოვრების ტრაგიკული ფინალი. მწერალმა რომ უფრო აამაღლოს ამ ამაყი, ზვიადი, ამავე ღროს კეთილი და პატიოსანი ქართველი დედის ერ-თიანი და გაუბზარავი პორტრეტი, თითქოს აფრთხილებს იმას, ვისაც არ შეწევს უნარი ამაღლდეს მწერლის ჩანაფიქრის გაგებადის და კვლავ რეპლიკას ურთავს. „ყველაზე უფრო განათლებული და თან ყველაზე უფრო ტუტუცი შვილი ზოგჯერ ბრძნულად შენიშნავს. „მოხუცებისა-გან ზოგიერთს გამოეღევა მოსაზრების უნარი და მოქმედებს შეუგნებ-ლად, მაგალითად, გაჰყვება გზას და მიდის და მიდის... ამას ჩვენში „მხა-რის შეცვლას“ უძახიან, მეცნიერებმა კი „მანიაკალური მდგომარეობა“ უწოდეს“.

ამას მოსდევს ცალკე თავად გამოყოფილი საოცრად ხატოვანი ერთი სტრიქონი — „დიდებული ადამიანები უძველოდ იკარგებიან“.

ეს საოცარი შინაგანი მხატვრული ხილვით ნათქვამი ფრაზა, მართლაც, რომ თავად დიდებული ძეგლია ქედუხრელი ქართველი ქალისა. ამ ნოველაში ნიკო ლორთქიფანიძის სტილის ყველა თავისებურებანი, ყველაზე ზუსტად და ყველაზე სრულად წარმოჩნდა: „უბრალოება, რომელიც ოსტატობის სრულყოფის დამახასიათებელია“ (ნ. ლორთქიფანიძე).

ნოველის არა მარტო ფინალია ორიგინალური, არამედ დასაწყისიც: „ვწერ შემთხვევით შეხვედრილის ამბავს. თუ ოდესმე დანჟრეული ომნიბუსით გიმოგზაურნიათ სამტრედიიდან მახლობელ სოფლებისაკენ, თქვენ, უეჭველია, დაინახავდით მესრის იქეთ, ეზოში, მოფუსფუსე, შავათ ჩაცმულ ქალს, რომელსაც თან დასდევდა ქადის ნატეხით ხელში პაწია ბავშვი.“

ახლა აქ რომ ჩავიარე, დედაკაცის უნახაობა დამაკლდა.

გამოვიკითხე, და აი ძიებამ ძველ მოგონებებთან ერთად რა აღმოაჩინა.

ნუ დამიწუნებთ! არ შემძლია გრძნობა-გონება შევაჩერო დიდ პიროვნებებზე... ისინი აშლიან სულისშემხუთავ სურათებს... შემდეგ, ოდესმე, მათ აღმოუჩნდებათ მოციქული ვინმე მარკოზი ან იოანე. მე ვწერ თავსაფრიან დედაკაცზე“.

ეს მხატვრული წინასიტყვაობა თავადაა დიდებული ნოველა.

„თავსაფრიანი დედაკაცი“ შედის ნიკო ლორთქიფანიძის ნოველათა იმ ციკლში, რომელსაც მწერალმა „იმერი“ უწოდა. აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის იმერი ახალი კუთხითა და ნოვატორული ფორმითაა გაცოცხლებული ნიკო ლორთქიფანიძის მიერ. — „იმერი: ზოგან წითელი, ზოგან ყვითელი, ზოგან ალისფერი“, საოცარი ფერადოვანი მხატვრული ფუნჯით დახატული, იმერი ერთობლივი საქართველოს გადასახედა.

— „წყარო ფერდობის ძირში მორაკრაკე... გორაკები მწვანით შემოსილი... იმერულ ფართო ეზოებში ცაცხვის ძირში ქალ-ვაჟთა ჩურჩული, მთვარიან ღამის ჩრდილში წარმოთქმული ფიცი — შენ ხარ ჩემი იმედი და სასოება... ეზოს მიღმა კი ირგვლივ მომწიფებული ყანა ყოველ სიოს ჩამობერაზე ოქროსფრად ბრწყინავს, ზღვასავით დელავს, აქ მთაც ლამაზია, ბარიც და ადამიანებიც. ჰეშმარიტება მშვენიერებისა და სილამაზის ხელოვნებაში ისახება“. მწერალს ერთი ამოცანა დაუხსნავს, ბუნების ამ საოცარ ფერადოვნების ფონზე დაგვანახოს, გვაგრძნობინოს ადამიანური ცხოვრების ავ-კარგი. ამ ქვეყნად ყველაფერი იცვლება, წარმავალია, მაგრამ ცხოვრება გრძელდება და ამიტომ უკვდავია იმედი.

ანკარა რუდ დაბადებული მდინარე აამღვრიეს, გასვარეს — იმედი

აქვს: ზღვას შეუერთდება და სილა და ტალახი მომშორდება, ხიდად გადებულ მუხას, ადრე მთელი ხეობის სიამაყეს, ფეხქვეშ, რომ ითელა — იმედი აქვს, წუსს წისქვილის ქვაც და მოხუცი მწიქელ-... „და მაინც ყველას რალაცა იმედი აქვს“ („წისქვილი“). სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილში, ჟამთა სიავეშიაც იგი ზვალინდელ დღეს მაინც იმედის თვალთ შეჰყურებს, იმედით მაშინაც, როცა თითქოს და გამოუვალა მდგომარეობა. ქვეყანა წარღვნის პირზეა მისული („ჟამთა სიავე“).

ნ. ლორთქიფანიძე გვთავაზობს ადამიანის სულის, ფიქრის, განცდის გამოსახვის ხერხებს: არ აკონკრეტებს დროს, თარიღს, სულერთია საქმე ძველ დროს შეეხება თუ ახალს. მის პროზაში ბევრი პირობითობაა. ამიტომ შეგნებულად ერიდება კონკრეტულ, ისტორიულ ქრონიკებს. აქ გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გმირის მოქმედების ეპიზოდური შთაბეჭდილების გამოხატვას. ამ მიზნით იგი გაბმულ თხრობას, რიტმული პროზით, გალექსილი თხრობით ცვლის. — „გულის იარებს რომ ხელსა წაჰკრავ, პირში რომ მეტყვი კითხვასა მწარეს, მუდამ რომ სიცილს ცრემლთ მიქცევ და რომ დასცინი ჩემს აღმაფრენას.

ტყუილად თვალთმაქცობ — სწორედ მით გამჩნევ, რომ ჩემთან სტირი ჩემსა სატირალს, რომ ჩემთან გინდა სიმღერა ტკბილი, რომ ჩემგან ელი ბედნიერებას.

ხასიათს იცვლი... განა ბავშვი ვარ ვერ შეგამჩნიო ამპარტავანი, თუ რისთვის სხვებთან ია ხარ ნაზი, ჩემთან კი ეკლით მოცული ვარდი.

და ნუ მომესწროს რომ შეგეცვალოს ეს მკაცრი ქცევა ტკბილ საუბრად. ო, ღმერთმა ნუ ქნას, რომ მხოლოდ სიტყვას, რასაც შენ იგრძნობ თლათ დაეხატოს“...

პატარა ესკიზში, — გლეხის მოსახლეობა იმერეთში, მწერალი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით გვაცნობს — პეტროია ბიჭის შრომას. ამ იმერელ გამრჯე ბიჭთან არაფერი აქვს „ჩვენ ქართულ სცენებზე წარმოდგენილ ცულლუტსა და მასხარა იმერელ ბიჭს, ხან მოხერხებულსა და ცბიერს, ხან ჩერჩეტსა და გულუბრყვილს“... ამას მოსდევს მეორე ნაწყვეტი: განმარტობით მოსახლე იმერელი გლეხი ერთი ებრძვის მტერს, ეხმარება მოყვარეს, განიცდის სიმარტოვის სიღუბჭირეს და თან ულაპავს დამოუკიდებლობის გამამხნეველ ნექტარს.

„მინდორში ერთგვარი ბალახი თესია. ტყეში კი სხვადასხვა ხე სდგას. ქალაქში მცხოვრებლები არიან, იმერეთში ცალ-ცალკე მოსახლეა“.

„იმერეთში რამდენი კორტოხია იმდენი ბატონია“ და ასეთი თეზისების ენით არის დაწერილი მთელი ეს მინიატურა.

ნ. ლორთქიფანიძე ხატავდა მძაფრი სურათის დაუმთავრებელ კონტურებს, ამბავს იწყებდა დიდი მღელვარებით და მოულოდნელად წყვეტდა, მკითხველს ანდობდა მის დამთავრებას.

ამ მხრივ დამახასიათებელია „მეოცნებე ნიაპორებში“ გამოქვეყნ-

ბული მინიატურა „მთვარიანი ღამის ჩრდილში“. — „ხუთი ცხენოსანი, რამდენიმე ქვეითი და სამი ურემი ბრუნდება დღეობიდან. ურემს მიუახლოვდა ბიჭი და ჩურჩულით ეუბნება ქალიშვილს — „აბა სიტყვა მომეცი! მიუახლოვდა ისევ ბიჭი. რისი? — თითქოს არ იცისო იცუღლუტა გოგომ. — რომ არ მიმტყუნებ, ჩემს მეტს არ ინდომებ. — ჭერ შენ მომეცი. არა, შემომფიცე! — შენ თუ გიმტყუნო, დამექცეს ოჯახი, წმინდა გიორგის ლახვარი მომხდეს! — შენ მეტს თუ გაეყვე, ღმერთი გამიწყრეს, დედა წამიწყდეს, — აბა ნახვამდის, არ დაგავიწყდეს! — და ბიჭი გადაუხვევს გზა-ბოძალში“. მამას კი ვილაცა სხვა ბიჭი აურჩევია სასიძოდ. და ერთბაშად მოკვეთილი ფინალი: „მთვარიან ღამის ჩრდილში მზადდება დრამა. ქალაღზე კი არ დაიბეჭდება, მსახიობები კი არ წარმოადგენენ, ცხოვრების ჭრელ დაფაზე შეეტაკებიან ხასიათები: იქნება ბრძოლა ნებათა, სურვილთა, ძალთა და უფლებათა. დამარცხებული ვეღარ იხარებს მთვარიან ღამის ჩრდილში“.

მწერალმა მკითხველს მიანდო, შეავსოს, წარმოიდგინოს, როგორ განვითარდება და რით დამთავრდება ქალ-ვაჟის რომანი? ეს წმინდა წყლის იმპრესიონისტული მინიატურაა, ოღონდ ქართულ მიწაზე დბადებული, ქართული სურნელებით შეკაზმული. ასეთივე მოდელითაა დაწერილი ნიკო ლორთქიფანიძის „ზღაპარი“ (ეჟრნალ „ცისფერყანწების“ № 2 — „ქალ-ვაჟი“ (ტრაგედიის ნატეხი), — „ცისფერყანწები“ № 1). „ჩარდაში“ — (ეჟრნალ „მშვილდოსანის“ № 1). ყველგან აქ ქალ-ვაჟის სიყვარულია დახატული, მაგრამ ტრაგიკული ვარიაციებითა და განსხვავებული ინტონაციებითაა წარმოდგენილი. ეტიუდი „ერთ ტაფაში“ ვკითხულობთ: „— რომ ვილაპარაკოთ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ არსებობს სიყვარული... — სადაა, როდის გინახავთ? — რამდენი არ გვინახავს, მაგრამ გვწამს... სიყვარული მცირეთა ხვედრია, და ღმერთმა ნუ ქნას ჩვეულებრივ მოვლენად გამხდარიყოს! წარმავალია სიყვარული... უხეშად ჩაურთო ვილაცამ. თავადისა და მგოსნის პაექრობა სიყვარულზე, მგოსანმა ასე დაამთავრა: — წარმავალია ყველაფერი: მზე, ადამიანი. მზეს სინათლე აკლდება... ადამიანი კვდება..., ირღვევა საუკუნეებით შემუშავებული რჯული, მეცნიერული თეორიები, ხელოვნების ნამოქმედარი... ვინ იცის, ქვეყნად რამდენი პომეროსი იყო, ვინ იცის, რამდენი მილოსელი ვენერა დაიბეჭრა და რამდენი ჯოკონდა დაიხა... მაგრამ კაცობრიობაზე ჰქონდათ მათ გავლენა და შეუღნებლად მით ვიკვებებით ახლაც. სიყვარული აფაქიზებს კაცს, იგი კაცს ადამიანად ხდის...“

სიყვარულის ამგვარ იდეალიზაციას სკეპტიკური ვარიაცია მოსდევს: „როცა ადამიანს საქმე შემოეღევა, ან საქმის უნარიც არა აქვს, მაშინ იგონებს იგი მეტაფიზიკას, სპირიტუიზმს, ეძებს რალაცას, რაც გაართობს, შრომას არ თხოულობს, არამედ ცარიელ სიტყვებს. მაშინ ჰკინძავს იგი სიყვარულის ცრემლებს... რელიგიურ ექსტაზს“... რომ გაამაგროს პოე-

ტის აზრი სიყვარულის ყოვლისშემძლეობაზე, ძველი თავადი ყვება გაიოზისა და თეოს უანგარო მიჯნურობის ამბავს. მოხუცი გულის ტკივილით განმარტავს: „ეს იყო ძველად.—ძველად სიყვარულიც უკეთესი იცოდნენ და მამულის დაცვაც“. ამის საბუთად მონგოლთა მონობის ღროინდელი ამბავი მოაქვს. პირველ შეტაკებაში დამარცხდნენ თავისუფლების მიძიებელი ქართველები. გავიდა წლები, ისევ აღდგა ამაყი ქართული სული.— „გვეყო ამდენი მსხვერპლი... მკვდარ სიცოცხლეს, ცოცხალი სიკვდილი ჯობია.— რათ ვართ მკვდარი? როგორც სხვები ცხოვრობენ, ისე ჩვენც ვცხოვრობთ.— რა ცხოვრებაა, როცა ნიჭი სარბიელს ვერ პოულობს, ხელოვნება არ ვითარდება, მეცნიერება არ ჩნდება, როცა ენა იკარგება და ხასიათი ჩვენი ქუსმაცდება. ერის თავისუფლება მშობელია ყოველივე განვითარების, კეთილდღეობის. გალიაში არც ერთი ცხოველი არ ცხოვრობს ჩვეულებრივს ხანს, რაც უნდა აქამო და ჩვენ კი ნებივრობაზე ვერაფერს ვიტყვი, მგონია.— კარგი, ვისი იმედი გვაქვს? მთელი ხალხის.

— მზადება არ შეწყვეტილა უქანასკნელი შეთქმულების დღიდან. პირიქით იმ დღიდან უფრო მოედო ქვეყანას აზრი განთავისუფლებისა, უფრო გაცხოველდა მუშაობა“. და აი კვლავ დაიწყო სისხლისმღვრელი ომი მონღოლების წინააღმდეგ და ხალხმა შიშველ მსხვერპლის ფასად მოიპოვა თავისუფლება.

— „წინათ ამოწყვეტილსა და გადამწვარ ორ სოფელს შორის აღმართულია ამაყი ქანდაკება, ნიშანი ერის ძლიერებისა და მტერთაგან განთავისუფლებისა“... ეს იყო ძველად. ეს ძველი დიდებულები დაიხოცენ. ერთობლივი საქართველო დაიშალა, ახლა ერის მეთაური თავადაზნაურობა დაჩიავებულა... მწერალი მძაფრი და მკაცრი ირონიით ხატავს „ყოფილ ნაშიერებს“. ამ მხრივ მარტო „ფეოდალები“ რად ღირს! თვით სათაურიც „ფეოდალები“ სასაცილო რეპლიკაა, ირონიაა. ეს დაჩიავებული ფეოდალები ეკლესიის გალავანზე მიდგმულ დუქნის წინ იგონებენ ვილაც მდიდარ კაცს. რამდენი ექნება მიანც? კითხულობს ერთი— ჯიბეში არ ჩამიყვია ხელი, მაგრამ ამბობენ ათასი მანეთი გასესხებული აქვსო. მეორე მეტიჩარა ფეოდალი იტყვის— რა ჩემი ფეხებია ათასი მანეთი? ახლა ჩვენთვის წითელი თუმნიანიც კი სანატრელია.— შენ უნდა თქვა როკფელია ყოფილა ამერიკაში ვინცხა, ყოველ წამში— ფუ — მოლაპარაკემ სული შეუბერა, — აი, ამდენ ხანში, ერთ მუჯა ოქროს ღებულობს თურმე“. და აი, ეს ძველი „ფეოდალები“, უცბად დუქანში თუთუნის პარკს მოკრავენ თვალს. „ხელიდან ხელში გადადიოდა, სინჯავდენ“, მაგრამ ვერც ერთს ვერ აღმოაჩნდა— თხუთმეტი კაპიეკი— თუთუნის რომ ეყრდა. მერე ორი აზნაურიშვილი, რომელთაგანს ერთს რვა კაპიეკი აღმოაჩნდა, ხოლო მეორეს— შვიდი, შეერთდენ და „პარკის გასაპრეღად ერთმა დაზგიდან დანა აიღო. რას

შევები კაცო... ორი წილი მიგაქვს? ხელის ფათურით წაედავა მეორე... და უშლიდა დანა იქ დაესვა პარკისთვის, სადაც მიმიზნებულ იყო.

— რვა კაპიკია ჩემი, იმე!

— შენ არ მომიკვდე. ასე არ გაგაკრევენიო... ასე ორ ნაწილს შენ წაიღებ, რა სამართალია, მოიცა, შუაკაცმა გაყოს.

და სწორეთ იმწამს, როცა პირველმა დანა დაუსვა, მეორემ პარკი თავისკენ მიიზიდა.

— უჰ, რა მიქენი, კაცო! — პარკს ხელი მიანება და მარცხენა საჩივრებელი თითი მარჯვენა ხელში ჩაბლუჯა.

— რა იყო?

— რალა რა იყო, თითი ქე წამაცალე და!“

თუთუნის მსხვერპლს ჩივილისა შერცხვა, მეზობლებმა მოციქულობაზეც კი უარი თქვეს. წახდენილი თითის სამაგიეროდ არაფერი შეხვედრია დამნაშავეს... პლასტიკურ დეტალებში, უბრალო სისადავით, შეულამაზებლად გამოხატა დაკნინება ფეოდალებისა მწერალმა. 1926 წელს დაწერილ ამ მინიატურას ასეთი ირონიული ფინალი აქვს: „ვერც მედავითნემ აასრულა დაპირება — მას არ მოუვლია მიცვალებულთათვის, — რადგან არცერთს არ ღირსებია სამარე ეკლესიის გალავანში, საკუთარ სასაფლაოზე, ნაკურთხ მიწაში“. — ნიკო ლორთქიფანიძე მინიატურა „რუმბს“ ასეთ შენიშვნას უკეთებს: „ეს ნამდვილი ამბავია, გუნდა-ლახოსტაკით მხოლოდ წარბ-წამწამი შევეუღებე და ლოყებზე ოდნავ ფერ-უმარილი წავეუსვი“. ეს ირონიული მინიატურა თავად-აზნაურობაზე, ხუთშაურაინი ნესვის გაყოფით იწყება. სანდამაშვილისა და ვაშლობაშვილის ქუთაისის ბაზრობაზე ჩხუბი ნესვის გაყოფაზე მოუვიდათ. ვაშლობაშვილმა ხუთ შაურაინი ნესვის ნახევარში სანდამაშვილისაგან თორმეტი კაპიკი აიღო და მეხილეს თხოვა შუაზე გაეჭრა, „მაგრამ მეტ-ნაკლები გამოვიდა. არცერთი არ უთმობდა. უფროსს მოაჭრეს და უმცროსს დაუმატეს სართათ, მაგრამ ახლა ამან გადაწონა, მაშინ აქეთურს მოჭრეს. მეხილე იცინოდა და განგებ პატარა ნაჭრებს კი არ აკლებდა, მეორესთვის რომ დამემატებია, არამედ დიდ ნაჭრებს ჩამოთლიდა. ორად გაჭრილი ნესვი, ახლა თითქმის ლავაშივით დათალეს“. სადღაა ის ძველებური დარბაისლობა და სიამაყე: ნესვის გამყიდველის დასაცინი გამხდარან ეს ყოფილი ფეოდალები. ამას მოსდევს მეორე სურათი. კარის მეზობლებს, თავად-არჩილ მინერიძეს და აზნაურ ფილიპე თამლაძეს დავა მოუქვდათ საზიაროდ ნაყიდ მოზერის ტყავისაგან გაკეთებულ საერთო რუმბზე. უვიცობით ირონიაა ფილიპეს საჩივარი ზონის მოსამართლის სახელზე დაწერილი. არავითარი თანაგრძნობა მწერლისა ამ ზნეობრივად დაკნინებულ თავად-აზნაურობის მიმართ, არც შეწყალება, არა, ეს განკითხვაა. დაკნინებულთა და დაცემულთა განკითხვა. ეს სასტიკი ირონიაა, ბედის დაცინვაა — „ფეოდალებზე“.

სოციალურად რომ უჭირს თავად-აზნაურობას ეს ნიკო ლორთქიფანიძეს არაერთგზის აქვს აღნიშნული. მაგრამ აქ, ამ შემთხვევაში „რუმბის“ მოზიარებებს, სოციალურად არც ისე უჭირთ, ღვინოც ბლომად აქვთ და საჭმელ-სასმელიც. და მაინც ასე დაწვრილმანებულან, დაკნინებულან მორალურად. აქ ყველაფერი ირონიის საგანია: მოსამართლეები, მომჩივნები, ადვოკატები, ვეჟილები და მთელი სასამართლო პროცედურა: „თამლაძის ვეჟილი, ნაფიცი ვეჟილი ამტკიცებდა, რომ თავადი არჩილი ტიპი იყო იმ ავსული ადამიანისა, რომელსაც სურს ყოველივე დაჩაგროს, დათრგუნოს და თანაც არ ივიწყებს მატერიალურ სარგებლობას. თავადი არჩილის ვეჟილი კი, ისიც ნაფიცი ვეჟილი უფრო ეკონომიური მატერიალიზმის მიმდევარი იყო და არწმუნებდა მოსამართლეთ: თამლაძე ჩარჩია, რომელიც ცდილობს სხვისი ნაშრომი კანონის დახმარებით ხელში ჩაიგდოს, მაგრამ, — დაუმატა ვეჟილმა აღტაცებით, — ახლანდელი კანონი აღარ არის ბრმა: მან იცის კანონის წმინდა ფრთების ქვეშ რამდენი ავაზაკი აპირებს დაბუღრებას“.

ნოველა მთავრდება ირონიული რეპლიკით: „ — ამნაირათ, თუ მიუკერძებლათ ვინაგარიშებთ მოზვრის ტყავის ნახევარი, სულ დიდი, მანეთ-ნახევრად — ღირებული, ორ ადამიანს სამას-სამასი მანეთი დაუჯდა. მთავრობას — 1000 მანეთი... მე სამი საათი წერა, და თქვენ, ჩემო მკითხველო თხუთმეტი წუთი მოწყენა“. ადამიანთა ზნეობრივი, მორალური და სოციალური ცხოვრების ყოფითი დეტალების მინიატურები ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ თითქოს პატარა ნოველა კი არა დიდი რომანი წაგვეკეთებინოს. ნიკო ლორთქიფანიძე პროზის არა მარტო მხატვრულ ფორმაში ექმბდა გამოსახვის ახალ საშუალებებს, არამედ თვით შინაარსის გააზრებაშიც გვევლინებოდა დიდ ნოვატორად. ეს ესკიზები, მინიატურები, ნოველები სავსეა აზრებით, გრძნობებით, ფიქრებით, ხშირად ქვეტექსტებითა და მრავალწერტილებით მინიშნებული. ეს აზრობრივი სიმკვრივე, შინაარსობრივი სიმსუბუქე და სიმაღლე მკაცრად რეგლამენტირებულ ფორმას მოითხოვდა. ამიტომაც მისი მწერლური სტიქია მცირე ფორმებში გამოვლინდა მთელის ძალით, ვიდრე მოთხრობებსა და რომანებში. ამავე დროს იგი უფრო პორტრეტის ოსტატია ვიდრე ტიპისა.

მწერლის ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა ნოველების ციკლში ქმნიან ერთიან ესთეტიკურ განწყობილებას, მათი სიუჟეტური შეკავშირება და გამრთელება და გამთლიანება აზრისა ყველგან მკითხველს აქვს მიხლობილი. ეს მინიატურები, ლირიკული აღსარებაა იგი თუ ტრაგიკული — ორივე იმპრესიონისტული წერის მანერას ემორჩილება. ამის მიხედვით მწერლის დამოკიდებულება გმირებისადმი, ზოგან კეთილმოსურნეა, ზოგან მკაცრი და სასტიკი.

თემატურად მრავალფეროვან მინიატურებში საგანგებოდ უნდა გამოვეყნოთ ნოველა „მოიარა“. ამ მინიატურას ქალ-ვაჟის სიყვარული უღვევს საფუძვლად: ქალი ღირსი იყო სიყვარულისა და ვაჟს იგი უყვარდა, ვაჟი კი არ იყო ღირსი სიყვარულისა და ქალს იგი არ უყვარდა. ეს როგორც რეფრენი ისე მეორდება ნოველაში. უეცრად ქალი გათხოვდა, თუ გათხოვეს, სხვამ წაიყვანა ცოლად, ვაჟს გული ჩაწყდა. მაგრამ ვაჟს სჭერა ბედისწერისა, ბედისწერა, იღბალი, მოიარა უთუოდ დაუბრუნებს ვაჟს სატრფოს. ის დაკვირვებით ამტკიცებს, რომ ეს ცრუმორწმუნეობა კი არ არის, არამედ რწმენაა მისი:

„ვაჟი: არა, ეს ცრუმორწმუნეობა არ არის. ეს რწმენაა წინაღგანგებისა. რწმენა რომ ჩვენს მოქმედებაზე, სურვილზე, ზნე-ჩვეულებაზე, ხასიათზე არ არის დამოკიდებული ცხოვრება, როგორც ყოველი ადამიანისა, ისე ერისა, რომ თვით უსულო საგნები ემორჩილებიან რაღაც განუზომელს, შეუწავლელს, გაუგებარს ძალას, ღრმით არის ჩაქედილი ყოველ რელიგიაში და ახლა თვით მეცნიერებაშიაც აპირებს გადასვლას. განგება უფლისა იგივე იღბალი არ არის? მოიარა განა უფრო ცხადათ ბერძნულის შნოთი და ლაზათით გამოთქმული სპარსელების იღბალი არ არის? და მართლაც, დახედეთ, განა ვინც კეთილია, იგი უყვართ? ვინც მდიდარია — იგი პოულობს უძვირფასეს სიამოვნებას? ზღაპარია მიზეზთა და შედეგთა შორის რაიმე კავშირის პოვნის იმედი“. ვაჟი, დარწმუნებული რომ მოიარამ მას არგუნა ქალი, ის კი სხვაზე გათხოვდა და სწამს, რომ დღეს თუ ხვალ ის მას დაუბრუნდება, ხშირი სტუმარია გათხოვილი სატრფოსი: „ქმარს ძინავს ქალ-ვაჟი აივანზე სხედან და მუსაიფობენ: — მოგწონს ეგ ხე? ქალი უპასუხებს — ძლიერ. — მაშ ამიწერე — ხეს ღრმად აქვს მიწაში ფესვები გადგმული და ხარბად იკვებება ტანი... ნამდვილი სიცოცხლის ემბლემა არის“. ეს ქალის აზრია, ვაჟი უპასუხებს — ხედავ წვერზე დამჰქნარ ყვითელ ფოთლებს? ქვემოთ ძირში სუროს წერილ ღეროს, სამკვდროდ და სასიცოცხლოდ რომ მიწებებია? — მთელი ეს ხე ჩვენი ემბლემაა. მოიშორე ეს გამხმარი, გაყვითლებული პატარა შტო, იგი შენი მეუღლის ემბლემაა... მოიშორე ეს შენი მეუღლე, თორემ ის სუროსავით გამოგწუწუნის... მოიშორე ადამიანი ხელს რომ გიშლის ბედნიერებაში. ბოლოს და ბოლოს ქალი ემორჩილება ვაჟს, ხეც იმ დღეს წაიქცა. — ხე — სიცოცხლისა და სიყვარულის ემბლემა, შტო — ქმარის ემბლემა, კი ვაჟმა მოტეხა... და როცა ქალი გონს მოეგო, იტყვის: „ახლა დასამალავი აღარაფერია — ყოველივე თავდება: მიყვარდით გაგიჟებით, ხორცი, ნეტარება შევსწირე თქვენს სიყვარულს. ვიცოდი ნამდვილ, რომ, როგორც თქვენი შევიქნებოდი, თქვენი გრძნობაც შეიცვლებოდა. თქვენი სიყვარული კი ისე ლამაზი იყო, თქვენზე მეტათ თქვენი სიყვარული მიყვარდა. ახლა, ახლა თქვენი ვარ სამარადისოთ“...

ვაჟი: მოიარა, მოიარა! „სიყვარული თვითშეწირვას მოითხოვს და მაინც“ ეგვეც ბედია... — მე ბერძულმა მოიარამ დამიწერა: „არც შენ და არც შენმა საყვარელმა ვერ ჰპოვოთ ამქვეყნად სიამოვნება“, რაც კი მყვარებია, ვინც კი მყვარებია, ვისაც კი ვყვარებივარ, ყველაფერი დამსხვრეულა. გახრწნილა, მომკვდარა თავის უსიამოთ, სხვისის უსარგებლოთ, ვაჟის ეს სკეპტიციზმი განსაზღვრავს ამ ნოველის მთელ პათოსს.

ეს ნოველა შეტანილია მინიატურების ციკლში, რომელსაც ჰქვია „პანაშვილი“. აქ სულ ათი ნოველაა თუ ეტიუდი. ათივე სევდიანი, მისტიკური, საპანაშვილო განწყობილებით დაწერილი. ეს იქნება „ტაბაკე-ლა“, „ბუნება“, „მამულის სული“, „მგლოვიაჩენი გულითა“, „ცხოვრება სალომიკასი“, „შემომქმედი“, „ყვავილები“ თუ „საფლავის ვარდი“. ამ ციკლს წინ უძღვის ასეთი წინასიტყვაობა: „თქვენ ცხედრებათ გადაიქეცით. ერთი ნაწილი ჩემი გულისა თან გაგყვით. დარჩენილის გასამრთელეზლათ ვწერ ამ სტრიქონებს. უკანასკნელი უდიდესი ვალი ვერ მოვიხადე თქვენს წინაშე. ერთი მუჭა მიწა ვერ მოგაყარეთ. ახლა გიგზავნი ამ თაიგულს, ჩემის ცრემლებით დახატულს. გამიბათილეთ მოვალეობა! პირნათლათ თუ დავაჩი, მომიგონეთ, მომიკითხეთ, საყვარელო მიცვალებულნო!

სტრიქონებო, სალამოს ჟამსა ხართ თქვენ ამონაკენესი. კავშირათ იყავით ჩემსა და ფერფლთა შორის. გასწით, მოეფინეთ ქვეყნათ და მოუტანეთ საყვარელ აჩრდილთ ხსოვნა და პატივისცემა, ჩემს სულს — სინათლეთ და სიხარული. იყავით მიცვალებულთა გვირგვინათ, ცოცხლის მალამოთ!

ტკბილნო აჩრდილნო, მე ჩემებურათ გადვიხდი პანაშვიდს: ტრაპეზათ ვიხმარ პატარა ქაღალდს, ეკლესიათ მკითხველთა კრებულს, ლოცვებისა წილ ვიგალობებ ქვეყნის ჭირ-ვარამს.

გრძნობა-გონებავე, დაკვეთილი გულის სისხლი და ყვითელი ნაღველი ფერადებათ აიღეთ და ცრემლით გალესეთ გამხმარ მკერდზე, ტილოთ იხმარეთ სევდის ქსოვილი და ზედ დახატეთ მწუხარებაში ნაწეწის თმით გონება სულის“.

ასეთ გამოიხატა ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში მძაფრი სევდიანი განწყობილებანი, თვით ბუნების სურათებიც ხშირად სევდისა და უიმედობის შთამაგონებელია. მხატვარს, რომელსაც სურდა დაეხატა ბუნება როგორც ადამიანის მეგობარი მშვენიერების განსახიერება, შეუდგა მუშაობას, დააკვირდა ბუნებას და შეცვალა თემა. „თვალთმაქცია ბუნება, მისი აზრი, მისი ნახატი იქნება შთაბეჭდილება იჭვისა, უნდობლობისა, ერთადერთი იმედი ადამიანის მისი მოხერხებაა, მისი გონება და მისი გრძნობა... დარჩა თვალთმაქცი, დროებით მომხიბლავი ბუნება“. ასეთია დასკვნა ესკიზისა, რომელსაც „ბუნება“ ჰქვია.

იმპრესიონისტული ნოველა „შელოცვა რადიოთი“, რომელსაც ქვესათაურად აქვს „ნაწყვეტები დაუმთავრებელ მოთხრობიდან“. ქართველმა „შალვა გორდელიანმა“ შეირთო იოჰანე ვახერერის ასული, მათილდა... მეთერთმეტე თვეზე ქართველის გატაცებისა და გერმანელის თაყვანისცემის ნაყოფად დაიბადა ქალი. სახელად ელი დაარქვეს. იმ წელს სხვა არაფერი შემატებია ქართულ მშვენებას. ისევ ძველებურად სევდიანი სილამაზით წარმტაცი იყო თბილისი. თეთრი საბურავით თავწაქრული ისევ ახალგაზრდა დარაჯად იდგა მყინვარი, ფაფარაყრილი შავი ზღვა შხეფს მარგალიტად აყრიდა ციხისძირს, ვარდ-მაისი არ შორდებოდა ქუთაისს. და ზურმუხტ ცას ფიანდაზად ქვეშ ეშლებოდა ალაზნის ველი. დიდი ხნის დაწერილი იყო „მერანი“, „აზრდილი“ და „ელგუჯა“. სიტყვა-სიტყვად სწეწდა, ეალერსებოდა, ხელის-ხელ აგოგმანებდა შოთას და მით თვრებოდა ერი“. ასეთია ის ეროვნული ფონი, რომელიც ელის დაბადებიდან დედა-სამშობლოდ წარმოესახა, უცხოელისა და ქართველის სისხლის ნარევს. დედას მათილდას მუსიკის მასწავლებელს, ოჯახში შემოქმონდა ხელოვნების კულტი. მამას — შალვას, დიდი მხედრის შვილს და თვითონაც მხედარს, მეგობრების მეოხებით ოჯახში ასევე შექმნდა საერთო განვითარებით შენელებული მხედრული სული... სულ მალე ასეთ ატმოსფეროში, ტოლ-ამხანაგებში დაწინაურდა და ცეკვა-მიმოხვრით სახელი გაითქვა ბალზე ელიმ. აქ გაიცნო განათლებული, ზრდილი, მოხდენილი, ულვევი ქონების პატრონი, ომში დაქრილი, წმინდა გიორგით დაჯილდოებული გრაფი ვლადიმერ ანდრეის ძე ბორენკოვი და ცოლად გაყვა. ჯვრის წერა, თბილისის სადგურზე გასვლა, სალონ-რონოდა და მგზავრობა. გაშლილი სუფრა და ქეიფი. არ მოსწონდა ელის ეს გაუთავებელი სმა, მაგრამ თავაზიანად იჯდა. დაღლილი ქალი მიწვა. გამომთვრალი ქმარი გადაწყვეტს ეს ენით აუწერელი სილამაზის ღვთაება მასავით გამომთვრალ მეგობრებს აჩვენოს.

— „მოიცა... სირცხვილია... ოღნავ შენიშნა ერთმა... ქმარი ლოგინის თავს მიადგა, სხვეები დაშორებით დადგენ. დანარჩენი მორიდებით, კარებიდან უტყუროდა, ქმარმა სრულიად გადახადა საბანი. ეს მესმის, ამას მეც შევირთავდი! რა ფეხებია. ქალს გამოელვიდა — რა ამბავია, რა მოხდა?

გაფოცებული წამოხტა და საბნით ტანი დაიფარა.

— არაფერია... ამხანაგებს უჩვენე შენი თავი“. ეს ხუმრობა კი არა აუტანელი ცინიზმი იყო. ამ უხეშ სულისგან შეურაცხყოფილი ელი ელვის სისწრაფით უქუდოდ, ფეხშიშვილი ჩამოხტა. რონოლიდან, ველი-საკენ გაექანა, აქ მთვრალი, ფრონტიდან დაბრუნებული, ჯარისკაცების ბრბო გარშემოერთყა. მაგრამ ვერც ერთი ვერ ბედავდა პირველი ხელის შეხებას. აქვე ქართველის ხმა გაიგონა, ნუ გეშინიაო, გამოყევი ფეხმარდად. უცნობმა საბარგო მატარებელში ჩასვა და თბილისში მოაბრუნ-

ნა. მამას რამდენიმე სიტყვით აუხსნა ყველაფერი. 26 მაისმა შეაუღლა ელი და საბალხო გვარდიის ასეულის უფროსი იერონიმე შვინდაძე. რომელმაც ელი გადაარჩინა. უხეირო აღმოჩნდა ეს შეუღლება და თვით შვინდაძემ. ელის ბავშვი ეყოლა. გზა აბნეულ ელის, ფრანგულს მასწავლებელს, თბილისის გზაზე გადაყრილი ინგლისელი ჰექსელი სახლში შეყვება. ულამაზესმა ელიმ ჰექსელი კავალრად გაიხადა, სხვები ამბობდნენ მისი ხასა გახდაო. შეურაცხყოფილმა მამამ, გორდელიანმა დუელში გამოიწვია ჯონი, ძლიერი და გაიძვერა ინგლისელი კომერსანტისა შეეშინდა უსუსურ გორდელიანს და დუელი არ შედგა... თხოვა მოუარეო ელის... სამოქალაქო ომის ქაოსი ელის ნაფოტივით დააქროლებს. ხან ერთის ცოლია, თუ ხასა, ხან მეორეს სატრფო. ხან კომფორტით ცხოვრობს, ხან მშიერია.

„არეულ შთაბეჭდილებებში უნდა გაქნილიყო ფიქრი წარსულზე და ჰექსელიმ მიზანს მიადწია“. მიუნხენი. სამი უცხოელი სასტუმროში. ქართველი ელი, ინგლისელი ჰექსელი და ამერიკელი ბრომლეი. „ელის აჩრდილად აღარ დაჰყვებოდა თბილისის გეგმა, მამის უცნაურობა, ბავშვის ალერსი. იყო პროპელერის ხმაურობა, გვიდო რენის (ბეატრისა ჩენჩის) სურათის სილუეტები, ახალი ოპერის ჰანგები, ყავა-ხანის მოცეკვავეთა გიჟურ რხევასთან გადაბმული, და საილუსტრაციო ჟურნალების ხროვა და...“ ჰექსელის და ბრომლეის უსაზღვრო, ნაზი პატივისცემა. ჰექსელიმ ურჩია მუსიკალური ნიჭით ესარგებლა — „როგორ? ვიმღერო მარგარიტა, თუ ვითამაშო ოფელია? — ღიმილით შეეკითხა ელი. — არა, მაგას არ გირჩევთ... მხოლოდ კინოში ან ტექვით თქვენ ფურორს მოახდენდით... და თქვენ გსურთ? — არა, არა ღმერთმა დამიფაროს, თქვენ დაგინახოთ საჯარო წარმოდგენაზე, რამპის იქით მდგომი... მე მხოლოდ ვთქვი, რომ ასეთი გარემოება, შექმნილი ყურადღება, საკმაო გარანტიაა გამარჯვებისათვის... მაგრამ თვით გამარჯვება ჩემი დამარცხება იქნებოდა... არა, არა ღიმილნარევი შიშით ლაპარაკობდა ჰექსელი“... უკვე ვაქრული თვალით უყურებს ინგლისელი ელის. სწორედ ამ დროს ჰექსელისა და ელის ურთიერთობით დაინტერესდება ბრომლეი, მილიარდელი ამერიკელი, უხეში, გაუნათლებელი. შეეცდება მეტოქეობა გაუწიოს ჰექსელის. ელის აკვირებს — „საიდან მოიპოვა ამ სრულიად გაუნათლებელმა ადამიანმა, როგორც ეტყობა თავიდანვე მეტად ლარიბი ოჯახის შვილმა, ასეთი უთვალავი სიმდიდრე, და რაც უფრო საკვირველია ასეთი განმავლობა. და მიხვდა, რომ ერთადერთი მიზანი აეგოიკლისა არის მეფობა სიმდიდრეზე“. ბრომლეის სურს უქორწინო ცოლი ინგლისელს წაართვას. ამის გაფიქრება თვითონ ამინებს — „რაო ამ სიბერის დროს შემიყვარდა? რა სისულელეა! ჟინი მინდა დავიკმაყოფილო, თუ ეს საიდუმლოება მიზიდავს, გაუგებარი ამბავია“...

ელი მწერლისათვის მშვენიერების სიმბოლოა და სხვადასხვა ეროვნების შვილის ტრაგიკული მოდელის მასალაც. ამ ფონზე ქართველები: მამა გორდელიანი და ყოფილი მეუღლე შვინდაძე — უხერხემლოა, უსუსური და უუნარო, ინგლისელი ჰექსლეი ვაჰრუჟანა და გაიძვერა, ამერიკელი ბრომლეი მილიარდების მოყვარული, ეგოისტი და ფულის ტომარაა. ასეთ გარემოცვაში ზედება ქართველი ქალი. ელის სიყვარულში თუ „ხასობაში“ მეტოქენის — ინგლისელი ჰექსლეისა და ამერიკელი ბრომლეის ბრძოლა ელის საბედისწეროდ თავდება.

„ელის აღარაფერი ესმოდა მოლაპარაკის: სინემატოგრაფიულად თვალწინ მიუბრუნდა ბორანი მტკვარზე... ფიქრის გორა... პანსიონის კვიპაროზები... მამა... სიონი... ნარიყალას ნანგრევები... ოთახი სადღაც ჩიხში... და სულ ბოლოს ტკბილი ძიძა.

— რას შევებით, გადირიეთ?!... — ჩაილულულა ყავახანაში შემთხვევით მყოფმა ვილაც ქართველმა.

— სულ ერთია! იქნებ ტფილისი ვნახო მაინც...

ცალკე დარბაზში, ხალიჩა — გადაფარებულ მაგიდებიდან სასწრაფოდ გააკეთეს სცენა.

თითქმის გადაცმაც კი არ დასჭირებია კაბარესთვის გამოწყობილ ელის — გაიშორა ცოტა რამ და მზად იყო...

— დევანებოთ, ქალბატონო, ამას თავი, — გულწრფელად და რაღაც ტანჯვით შეევედრა ბრომლეი უკვე სცენაზე მდგომელს.

— არა, მე უნდა, — ელიმ გადაყლაპა სიტყვა „დავიმსახურო“ და წინადადება ასე დაამთავრა, — ტფილისში წავიდე...

— არ ღირს ასეთ საფრთხედ... მე ისედაც წავიყვანთ...

— არა! ღიმილით უპასუხა ელიმ და მოსასხამი გადაადგო, მან შეხედა, რომ ინდოელმა დიპლოპიტო დასაკრავად მოიმარჯვა.

— ელის სხეული არ იყო არც თეთრი სხეული სლაველი ქალის. არც კრამიტი ინდოელის.

უცნაური კანი ქართველი ქალის — თეთრი. მაგრამ მზე-ნაკრავი, ფერმკრთალი, დახვეწილი, მაგრამ არა გათლილი“.

ღიახ, ელიმ გადაწყვიტა დაიმსახუროს, თვითშეწირვით დაიმსახუროს, სამშობლოში, თბილისში დაბრუნება. ისე ჩქარობდა, რომ თვით ინდოელი ქალი, განცვიფრებული, შურიანი შეყურებდა, „მკობნის მკობნის! ბუტბუტებდა თავის გაუგონარ ენაზე ინდოელი მოცეკვავე ქალი. — ამ ქალით დავიპყრობდი, რომ გამომყვებოდეს ინდოეთს, ყმად დამიდგებოდა მაგარაჯი, ღვთაებაა, მშვენიერებაა, ფიქრობდა ბენსაიდი. ღიახ, მშვენიერების განსახიერებაა ელი. აქი ყავახანას მხატვრები ოცნებობენ დახატონ ქალბატონი გორდელიანი.

ყველა განაცვიფრა მოცეკვავე ქართველი ქალის ელის გაბედულებამ, მაგრამ მოხდა უბედურება, გველებმა დაკბინეს ქართველი ქალი.

ბენსაიდმა თქვა, აკი ვოქევი შამპანიური, ღვინო, სუნი, არ შეიძლება თქო. პირველი ჰექსლეი მივიარდა დაკბენილ ქალს, ბრომლეიმ იარა მოუწუწუნა, ქალმა თვალი გაახილა და ითხოვა:... მამა... შელოცვა... როსკანა... გამომიგზავნოს, გამომიგზავნოს... თბილისიდან შელოცვა რადიოთი გადასცეს, ლოცვა ნაკბენისა გველის ასპიტისა, ამ ლოცვით გველი ასპიტი მოკვდეს და ნაკბენი მისი მორჩეს“. რადიომ ქართული, იქ ყველასათვის გაუგებარი სიტყვები მიიტანა იქ სადაც იწვა მომაკვდავი ელი, უკვე დაქირავებული იყო მთელი ლაბორატორია, მსოფლიოში განთქმული დოსტაქრები,... მაგრამ ვერც ქართულმა შელოცვამ, ვერც უცხოელმა დოსტაქრებმა ვერ უშველეს ელის... ბრომლეიმ, ამ ამერიკელმა ფულის ტომარამ მშვენიერი არსებით ელით მოხიბლულმა, თავად იკისრა მიცვალებულის პატრონობა. ყველაფერი გააკეთა მისთვის, ბრძანა დაეწერათ სამგლოვიარო მუსიკა პანაშვიდისათვის. „განსვენებულის უჩვეულო მდგომარეობის მიხედვით შეედგინათ შემთხვევით გადაბმული ერთმანეთში ამ მშვენიერი ქალის ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდი. შავი ზღვის პირად, რაღაც ჩვენთვის უცნობი ქვეყანა, თავადის ქალი, ქმარი აშარი და ქმარი ლაჩარი, უკიდურესი სიღარიბე, ქმარ-შვილის სიყვარული და... პარიზი; ფუფუნება; კეკლუცი ქალის მდგომარეობა... სული კი მაღალი, სხვადასხვა კომპოზიტორის ნაწარმოებში თქვენ კპოვებთ მასალას“ — ეს უკვე დახასიათებაა ელის — მისი „ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდის“ თეზისებით დახასიათება.

ისევე თეზისების ენით: — „თბილისში, ქაშვეთის ეკლესიაში, პანაშვიდზე, დიდი საზოგადოება არ შეკრებილა;

ყველას თავის ლოდი აწვა გულზე.

მოიკითხეს შალვა; ვერ პოვეს. — ბავშვი სადლა? — სოფელშია გაძიძავეებული... — არ იყო შესრულებული შელოცვის ყველა წესები.

— ამ სივრცეზე როგორ იმოქმედებდა? — სისულელეა, შელოცვა, ვის სჯერა?... — ჩვენში კი მოარჩინა ერთი გლეხი, სარწმუნო წყაროებიდან ვიცით... იშვიათი ქალი კი იყო... მისი ბრაღია... ასეთი სიკვდილი სჯობია განაწვალებსა და გაძვალტყავებულ სიცოცხლეს...“ ასე ლაპარაკობდნენ თბილისში პანაშვიდზე... შელოცვა რადიოთი საქართველოს სიმბოლიკაა, სამშობლოს დალოცვაა. დედაენით სამშობლოსთან მიახლოვებაა, გადარჩენის იმედია, მაგრამ ამაო... იქ, შორეულ უცხოეთში ელის ქანდაკება. პროცესია კრემატორიუმის გაღებულ ჭიშკარს მიადგა., დამთავრდა ოთხ ნაწილად შედგენილი სამგლოვიარო მარში... კრემატორიუმის გამგემ მოქანდაკეს გადასცა ოქროს მედალიონში მოთავსებული ელის დამწვარი ნეშთი. ხელოვანმა იგი ჩამალა ქანდაკების გვერდით დატოვებულ ღრუში, სახურავი დააფარა და თავი მოუგნისა...“ და ეს უაღრესად ღრმა ფილოსოფიური ნაწარმოები, ტრაგიკული ბედი ქართველი ქალისა, მთავრდება ავტორის ხატოვანი რეპლიკით, „ელის ხომ

უფრო შეეფერებოდა, რომ მისი ფერფლი სადმე ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლის ახლოს მიმოებნიათ“.

ელის ადგილის დედა მოუხმობდა, თბილისის მიწა ეძახდა, და იგი სარისკო თვითშეწირვით, სამშობლოში დაბრუნებას შეეცადა. და ამ მიზნით გველებით მოცეკვავე ინდოელ ქალს გაეჭიბრა, მაგრამ უმტყუნა ბედმა და დაიღუპა. მისმა ზნეობრივმა ამაღლებამ თვითშეწირვა მოითხოვა, თვითშეწირვა მოითხოვა სამშობლომ ელისაგან. ქართული სულის, ეროვნული სისხლის აღრევით გამოწვეული ემიგრანტის ტრაგედიაა ელის ცხოვრება. უამთა სიავით დანგრეულ ფეოდალთა ნაშვიერს წმინდა ეროვნულობის დაკარგვაც დაეხედა. სამსხვერპლოზე მიიტანა თავი, რომ მშობელი მამისა და მისი ცოდვები გამოესყიდა, და ისევ დაბრუნებოდა სამშობლოს. სამშობლოსაგან მოწყვეტილი ქალის ცხოვრების გზა სავსეა ტანჯვით და ბრძოლით ბედისწერასთან. მომაკვდავმა მშობლიური რადიოს შელოცვით სცადა განკურნება, მაგრამ ამოდ... ებოქის მძაფრი სოციალური და ეროვნული ბედის ფონზე გაიარა ელიმ მძიმე გზა „სულიერი კათარსისისა“. ელი წამებულთა, რუსთაველის სიტყვების მხატვრული გახსნაა ელის ტრაგედია:

— რას მაქნევდით, რათ გინდოდი,
ერთმთაერთსა რითა ვკვანდით.
თქვენ მორბმულსა სთამაშობდით,
ჩვენ სტირალნი ლაწვთა ვბანდით“.

რუსთაველის ეს სიტყვები ეპიგრაფად წინ უძღვის ნოველას. ბედით უკმაყოფილო ტარიელი საყვედურის ამ სიტყვებით მიმართავს ბედით გალადებულ ავთანდილს. ბედით უბედურთა წილნაყარია ელიც...

სოციალურ, ეთიკურ პრობლემებს თვითშეწირვის ასპექტით წყვეტს მწერალი. ეროვნული გადარჩენის გზაც, თვითშეწირვის გზაა. თვითშეწირვაშია ელის ეროვნული სევდის კეთილი საწყისი.

* * *

სოციალურად და ზნეობრივად დაქვეითებულ საქართველოში, მწერალი ეძებდა ძალას, რომელიც ერს გადაარჩინდა, იგი ჯერ ახალგამოჩეკილ აზნაურობაზე ამყარებდა ასეთ იმედს (მოვიგონოთ ოტია მწიგნობარის სიტყვები), მაგრამ სულ მალე დარწმუნდა, რომ ამ ახალგამოჩეკილ აზნაურებს დაკნინებული საქართველოს განუკურნავი ბაცილა შეჰყარია და ისინი უძღლური აღმოჩნდნენ ერთობლივი საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლაში. ბოლოს მწერალმა რევოლუციურ საქართველოს კარები შეაღო და იქ დაიწყო ერის გადარჩენის ძალების ძებნა. ამიტომ შემთხვევითი არ იყო 1905 წლის რევოლუციის დაკავშირება დიდი ილიას სახელთან. „მოისმინა მოქადაგის სიტყვა — პროლეტარიატი სი-

ცოცხლის, ბედნიერების, ძმობისა და სიყვარულის მკედელია... იგი განათავისუფლებს მონობისგან ყველას, განურჩევლად წოდებისა, სქესისა და ეროვნებისა. იგი განაბნევს გონებრივ წყვედიადს, ბურჟუაზიას, რომ შეუქმნია — აღარ იქნება ძალმომრეობა, ომი, სისხლის ღვრა... იგი დაანგრევს ყოველ ნაშთს ყოველის მონობისა და აღადგენს დროშას თანასწორობისა... მაგრამ როცა ამ ლამაზი ლოზუნგით შეუგნებელი ბრბო ციხე-კაშკაებს დაუწყებს ნგრევას, უტყუარს ნაშთს, უტყუარს საბუთს წარსულისას, — მწერალი გიორგის პირით წინ აღუდგება უვიცოზას. გიორგი, რკინისგზაზე მომუშავე მუშა, ხედავს: „ბევრი უსამართლობაა, ჩვენ კი მომზადებული არა ვართ“, ასევე წინაღულდა გიორგი ილიას წინააღმდეგ ბრძოლას:

— „ილიას სიტყვები გიორგიმ ხელმეორედ წაიკითხა. „მამული“! ეხლა ეს სიტყვა თვითულის ჩვენგანის უძრავ ქონებას ჰნიშნავს და არა მთელი ხალხის სამშობლო ბინას... მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში ღერბიან ქალაქდზე სადაო საჩივარია, განთვითუფლით და თვითულის ზურგმა ველარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასათვის ადვილად საზიდა. თვითუფლობით ტვინი ამოშრა, შევიწროვდა და მაგ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ველარ იტვირთა. დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შეილთა ჩვენთა აკვანი, დიდი „მამული“ დაუშალეთ, პატარები გავიკეთეთ“.

მუშა გიორგის მიერ წაკითხულ ამ სიტყვებს მოწონებით შეხვდა ბევრი... „ოქროს სიტყვებია... ვინ წერს ამას ძმობილს, დაეკითხა მუშა“ — ილია ჭავჭავაძე! უპასუხა გიორგიმ.

— „ტყუილია, ის ბურჟუაა“. გიორგი ამ რეპლიკის ავტორის საცემრად გაუმზადა. ამხანაგები შუაში ჩავარდენ... — „როდისაა მაგი დაწერილი“, — როდისაა და 1882! — ილია ჭავჭავაძე მაშინ სულ სხვა იყო ახლა სხვაა — მაშინ ქვეყნის მექომაგე იყო და ახლა კი ქვეყანა უნდა გაყვლიფოს და ყვლეფს კიდეც. მდიდრებსა და თავადებს დაუდგა ყმათ. ჭამავირსაც კი აძლევენ, ოლონდ ჩვენთვის სწერეო.

— აბა სადაა დაწერილი? ვის გამოექომაგა? სად? ვინ აძლევს ჭამავირს?

— დაწერილიც ბევრია და გაყვლეფილიც მისგან.

— არა, სად დაწერა? მიჩვენე მისი ხელმოწერა.

— ჩადი ძამია თბილისში და ნახავ! — მედიდურად წარმოთქვა მობაასემ“... ამ დიალოგში აშკარაა ილია ჭავჭავაძის მიმართ ამხედრებული დემაგოგების წინააღმდეგ აღმფოთებული მწერლის განწყობილება და ამის მიხედვით ნეგატიურია დამოკიდებულება „მესამე დასელების“ ზოგ-ზოგი ურა სოციალისტების მიმართაც. ეს მინიატურა დაწერილია 1911 წელს. უფრო გვიან, სახელდობრ 1927 წელს ნ. ლორთქიფანიძე კვლავ მიუბრუნდა 1905 წლის თემას.

აქ კი მწერალმა ირწმუნა და სხვებსაც არწმუნებდა: „ჩვენ ვაჩვენებთ ქვეყანას, რომ ვისაც სიცოცხლე სურს, მუშათა კლასს უნდა აედევნოს, რომ მხოლოდ მუშათა კლასია ის ნაწილი, რომელიც შემდეგში უწინამძღვრებს განახლებულ ქვეყნიერებას, და მხოლოდ იგი მოსპობს უსამართლობას“ („ბილიკებიდან ლიანდაგზე“). ეს მოთხრობა პირველად 1927 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“, მოთხრობის თემად აღებულია 1905 წლის რევოლუციისა და მისი მომდევნო რეაქციის ხანა. მწერალმა ნაწარმოების ცენტრში რკინისგზის თბილისის ორთქმავლის სახელოსნოს მუშა ბოლშევიკი, მებრძოლი რევოლუციონერი გაიოზ ლაბარდავა დააყენა და დიდი სიყვარულით გამოხატა დეპოელი ბოლშევიკის რევოლუციური მუშაობის მთელი ისტორია. გაიოზი ქალაქიდან სოფლად ჩადის და რევოლუციურ მუშაობას აჩაღებს გლეხობაში, ტყის საჭრელად ჩასულ მუშებს შორის და როცა აქ დაიღუპება გლეხი ფარნაოზი, იმის დასაფლავებას, მიტინგის მოწყობით, რევოლუციური აზრის პროპაგანდისტების გამოიყენებს. მოთხრობაში მწერალი ვრცლად წარმოადგენს რევოლუციონერი გაიოზის მოღვაწეობას სოფლად და ქალაქად და ამის მიხედვით რეაქციის წლებში ბოლშევიკების მიერ გაჩაღებულ რევოლუციური მუშაობის ვრცელ სურათს გადმოგვიშლის. აქ მრავალი საინტერესო პასაჟია მოცემული, რომელშიაც დიდი სიყვარულით არის დახატული რევოლუციურად განწყობილი გლეხებისა და მუშების ბრძოლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ.

მოთხრობის სათაური „ბილიკებიდან ლიანდაგზე“ იმაზე მიუთითებს, რომ მუშათა მოძრაობა კუსტარული, ვიწრო ეკონომიური გაფიცებიდან გადაიქცა ფართო რევოლუციურ მუშათა მოძრაობად. ქალაქის პროლეტარიატის საბრძოლო გზას სოფელიც გაჰყვა, მუშათა მოძრაობა ბილიკებიდან ლიანდაგზე შედგა. სწორედ ეს პროცესი გამოხატა საინტერესოდ და ვრცლად მწერალმა, ამ დიდ მოძრაობას ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ: „ჩვენ კეტებით ვიბრძოდით და წერა-კითხვის მკოდნე უკვე განათლებულ კაცად მიგვაჩნდა და მეთაურობას ვთავაზობდით. დღეს კი სტამბა გვაქვს, ბრაუნინგს არ ვჭერდებით და ტყვიამფრქვევებს ვშოულობთ, რაღაცა და ვიღაცა ყოველთვის შეგვიშლის ხელს, მაგრამ ბოლშევიკი კაჟისა და ფოლადისა უნდა იყოს... ნაპერწკლებს უნდა ყრიდეს თავის თავთან შეტაკების დროსაც კი... მუშათა მოძრაობაც ჩვენებურად, რკინისგზულათ რომ ვთქვათ ბილიკებიდან ლიანდაგზე დადგა, უკანასკნელი მიზანი გათვალისწინებულა და აწი შემდეგი სადგურების მიღწევა მხოლოდ დროის საქმეა“. ერთი მხრივ რეაქციის, მეორე მხრივ რევოლუციის ძალები და მათ შორის გაჩაღებული სამკვდრო-სასიცოცხლო შებრძოლების სურათები საინტერესოააა გამოხატული ამ მოთხრობაში. რეაქციის ძალებს მეთაურობს შავრაზმელი ჟბანოვი, რომელსაც

თავი მოაქვს კიდევ თავის ერთგულებით მეფისადმი. იგი ლიბერალი ქართველი ინტელიგენტის ოჯახში აღზრდილ ქალიშვილს, რომელსაც ცოლობას თხოვს ასე აცნობს თავს.

„ჩვენ ქანდარმებს, ყველა აღმაცერათ გვიყურებს, ჩვენ, რაღაც განდევნილი ვართ საზოგადოებიდან, წარმოიდგინეთ, ჯარების ნაწილებიდანაც კი, ჩემი პოლკის ყოფილი ამხანაგები გვერდს მივლიან. რათა? მხოლოდ იმიტომ, რომ ქანდარმობა ვარჩიე, თუ ვმსახურებ, ბარემ ვიმსახურო იქ, სადაც შრომაც მეტია, პასუხისმგებლობაც და ამათ შედეგად — ჯილდოც, თუ კი შეიძლება მოკვლა მტრის, შეიძლება სიკვდილის განაჩენის გამოტანა, თუ კი შეიძლება მწერლობით და ვაჭრობით არსებული წესწყობილების გამაგრება, რატომ არ შეიძლება იმავე წესწყობილების გამაგრება სახლის გაჩხრეკით და პოლიტიკური ბოროტ-განმზრახველის შეპყრობით, დევნით? დღევანდელი საზოგადოება სხვაგვარათ სჯის: რევოლუციონერს შეუძლია სადმე ჩამისაფრდეს, ან ყუბმარა ესროლოს გუბერნატორს, ხელმწიფეს — და ეს დიდებული საქციელია, ხოლო მე თუ მათ წინააღმდეგ სახლიდან, გამოვტაცე ყუბმარები და სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა დაპატიმრებულს, — მაშინ მე საზიზღარი კაცი ვარ, ხოლო მოსამართლე სიკვდილის მიმსჯელი, — ჩვეულებრივი კეთილი ინტელიგენტი“... ქანდარმა შეაცოდა სენტიმენტალურად განწყობილ ქალიშვილს თავი და თანხმობის სიტყვებიც გამოსტყუა, ხოლო ამის შემდეგ, მამას, ლიბერალური ინტელიგენტის წარმომადგენლად რომ მოაქვს თავი, მრეწველს ივანე გოლიაშვილს ადვილად ითანხმებს ებანოვი.

რეაქციის ძალების ამ წრეს „ამშვენებს“ ლადო ნორაბიძე — რევოლუციონერების გამცემი და ჯაშუში. მწერალმა ამ წრეს დაუპირისპირა კოლორიტულად დახატული სახე რევოლუციონერებისა, რომელსაც გაიონ ლიბარდავა მეთაურობს. ამ წრეში ვხედავთ სოფლად ფარნაოზ მარგველაძეს, მასთან თბილისიდან ჩასულ ძმას, დეპოს მუშას პარმენს. ფარნაოზის სიკვდილის შემდეგ პარმენი თბილისის რკინიგზის გზაზე მუშაობს დარაჯად, მასთან იზრდება ძმისწული შაქრო, ხოლო მას შემდეგ რაც გაიონი გააციმბირეს, მის საქმეს პეტერბურგში განათლება მიღებული ახალგაზრდა კაცი ფარნაოზ მარგველაძის ვაჟი შაქრო აგრძელებს. ეს მძაფრი საბრძოლო ეპიზოდები მთავრდება მოთხრობის ქვესათაურით „ჭეჭილი“. რევოლუციის თესლი საქართველოს ნოყიერ მიწაზე აღმოცენდა და ჭეჭილად იქცა, მალე ქართველი ხალხი მის ნაყოფსაც მოიმკის. ასეთია განწყობილება, რომელსაც მწერალი გვიხატავს მოთხრობის ფინალში, ფინალში რომელიც სიმბოლური დეტალით თავდება. „ამ დროს ათასი მავთული დატვირთული იყო ამბით, რომელმაც გარდამტეხი ხაზი გაავლო წარსულსა და მომავალს შორის. — სარაევოში მოკვლეს ავსტრო-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე — ჰერცოგოვი“...

ამით მწერალი პირველ მსოფლიო ომზე მიგვანიშნებს, რომელსაც ოქტომბრის რევოლუცია მოყვა. ისტორიულ-რევოლუციურ თემატიკაზე დაწერილ ამ მოთხრობაშიაც ნიკო ლორთქიფანიძე კვლავ იმპრესიონისტული სტილის ერთგული გვევლინება.

— „გაჟინიანდა ოდნავ,

გაჩაღდა ცეკვა.

კიდევ სვამდენ და კიდევ იმღეროდენ,

შეზარხოშდენ.

ნაზი გადახედვა სუფრაზე დაჰქროდა.

ოდნავ შეხება.

გახშირდა ხელზე კოცნა.

თამადამ კეკეოკი იცეკვა.

ზოგი სტუმარი შინ წავიდა, გვიანობა მოიბოდინა.

სუფრა შეთხელდა,

ზეიმს არ დაჰკლებია“...

ან კიდევ

„ქალებს არ დაუძინიათ:

პონჰავდენ, აკერებდენ, რეცხავდენ, აცხობდენ.

მძინარე შაქროს ელისაბედი რაღაცას დაპუტუნებდა თავზე...

„ურემი გააწყვეს,

ისაუზმეს.

ჭიშკარს ოდანაია მოადგა.

„გაეტიენ როგორც იქნა“...

არც ამ მოთხრობაშია მოცემული პერსონაჟების: „მრეწველების, ლიბერალების, კონტრევოლუციონერების, ბოქაულებისა და ჟანდარმების, თვით რევოლუციონერების ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა — ბიოგრაფიულ-დოკუმენტური“. ეპოქის სულის, სოციალური და პარტიული ჩგუფების გამოსახვა აქაც იმპრესიონისტული წერის მანერითაა წარმოდგენილი.

ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების პერიოდებზე ლაპარაკიც ამიტომაც ნაძალადევია. იგი ერთი მთლიანი შემოქმედებითი ბიოგრაფიის მქონე მწერალია. ოღონდ ამ შემოქმედებით ბიოგრაფიაში ერთი მოდელის ორი ნაკადი შეინიშნება: ერთი—ევროპულ იმპრესიონისტულ-რეალისტური, მეორე—ქართული რეალისტური, რომელსაც ფერად-ფერადი ქართული მიწა ასაზრდოებს. ნიკო ლორთქიფანიძეს აქვს მკვეთრად გამოკვეთილი ქართული იმპრესიონისტული რომანები და მოთხრობები, ნოველები და მინიატურები. ამ მხრივ იგი ერთი მთლიანი სტილის მხატვარია, რომელმაც თემატური და იდეური ევოლუცია განიცადა. ამ შემოქმედებითი ევოლუციის ნათელი გამოხატულებაა „ბილიკებიდან ლიანდაგზე“.

ამ მოთხრობაში მეფეების, ფეოდალების და სასახლის კარს მოხელეთა გვერდით მთელი სისრულით გამოჩნდა რევოლუციური მასების: ძარღვმაგარი მუშებისა და გლეხების, პროფესიონალური რევოლუციონერების საინტერესო სახეები და პორტრეტები. ნ. ლორთქიფანიძემ მისთვის დამახასიათებელი ფერადოვანი საღებავებით და მხატვრული სიტყვის მომაჯადოებელი ძალითა და სიყვარულით გამოხატა მუშებისა და გლეხების რევოლუციური ბრძოლა თავისუფლების საქმისათვის. და ამით ჩვენ თვალწინ გააცოცხლა მათი ღვაწლი, მაშინ როდესაც უკვე ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონი თვით ეს მუშები და გლეხები იყვნენ.

უფრო გვიან ნ. ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა მოთხრობა, რომელსაც „მოქანდაკე“ ქვია. აქ მან პირველად ცადა ახალი სოციალისტური წყობილების ძალა და ძლიერება წარმოეჩინა. მშრომელი ხალხის ხელისუფლების ზრუნვა ადამიანებზე დიდის სიყვარულით და თანაგრძნობითაა გამოხატული ამ მოთხრობაში. აქ ნაჩვენებია ობოლი და ღარიბი, დეიდა სალომეს მიერ ჯაფითა და წვალეებით აღზრდილი პარმენი როგორ აქცია ახალმა დრომ ცნობილ ადამიანად, სახელგანთქმულ მოქანდაკედ. მოთხრობის ფინალში ავტორმა ხატოვნად ორი მოქანდაკის — სალომესა და პარმენის განახლებული ცხოვრების გზა დაუკავშირა მესამე უფრო დიდ მოქანდაკეს. — „მესამე მოქანდაკე ყველაზე უფრო დიდი და მასიური, ათასებს რომ აძლევს შესაძლებლობას თავისი ნიჭი და უნარი განავითაროს, გზიდან აცდენილი რომ სწორ გზაზე გამოიყვანოს. ეს არის სახელმწიფოებრივი წყობილება და პარტიული ხელმძღვანელობა“. ასე უძღერა თავისი შთავგონებული სიტყვით ნ. ლორთქიფანიძემ 40-იან წლებში ჩვენს დროს, ჩვენს წყობილებას, კომუნისტურ პარტიას. ხოლო სოცოცხლის უკანასკნელ წლებში, სამამულო ომის მძაფრ დღეებში, სარეცელზე მიკრული იგი წერდა მგზნებარე პატრიოტულ მოთხრობებს „ტყვედ ყოფილის დაბრუნება“, „ქედმოუხრელნი“. ასევე სიკვდილის წინადღებებში დაასრულა ისტორიული ტეტრალოგიის ესკიზი — „დავით აღმაშენებელი“. ვრცელი პლანის ტრადიციული ისტორიული რომანი, როგორც ამ ნაწარმოებებიდან ჩანს, არ იყო ნ. ლორთქიფანიძის მხატვრული სტიქია. ის ტიპური ქართველი იმპრესიონისტი იყო. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ, მაშინ „დავით აღმაშენებელი“ უთუოდ რომანია, იმპრესიონისტული რომანი, არა გაბმული თხრობა მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა, არამედ ესკიზური ვარიაციებით; ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოდგენილი თეზისების შთაბეჭდილებით, ერთიანი შინაგანი სიუჟეტის გარეშე ქმნის პეროიკული განწყობილების იმპრესიონისტული რომანის მოდელს. იგი შეგნებულად გაურბის დავით მეფის ცხოვრების ქრონიკებს, ზუსტ თარიღებს...

„დავით აღმაშენებელი“ ათი ესკიზისაგან შედგება. იგი იწყება ბუ-

ნების სურათით და ის მთელი საქართველოს, ამიერი და იმიერი საქართველოს, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე დიდი დავითის კვერთხით გაერთიანებული საქართველოს ბუნების ესკიზია. ესტეტიზებული ბუნება საოცრად ფერადი ფერწერითაა წარმოდგენილი, ეს იმპრესიონისტული ჩანახატი უკვე ქმნის ერთობლივის საქართველოს განწყობილებას: „მთები, გორაკები ჩაბერული... თვალუწვდენელი მუხა, წაბლი, რცხილა, ქელქვა. ურთხმელა და აქა-იქ ალბათ, ვახტანგ გორგასლანის ფარნავაზ მეფის დროის და მოსახლეობის ნაშთი — გაველურებული ლეღვი, მალღარი ვენახი, ვაშლი, პანტა, მსხალი, კორკიმელი, ქლიავი... ამ ესკიზს მოსდევს დავითის ძიძას ნაამბობი ზღაპარი: „მყინვარის ამბავი“, ამ ზღაპარსა თუ ლეგენდაში მტრის მიერ აოხრებული საქართველოს სურათია გამოხატული. სასტიკი და ტრაგიკული. „მტერს. დაეკავებინა სიონი“... არ გუგუნებდა ზარები, არ ისმოდა გალობა, ვერ დაინახა ლიტანია“ და ბერი დამწუხრებული წამოვიდა უკან. მივიდა მთაში. ილოცა ქვეყნ-სთვის, მეფისთვის“. ისმინა უფალმა ვედრება ბერისა. „იგრიალა ცამ... მტერი დაიღუპა მოზღვაებულ მდინარეთა შორის, ხოლო თვითონ ბერი გაიყანა... იმ ადგილას ჩვენი ხალხი მყინვარს უწოდებს... როცა სიონი ისევ შეიმოსება სახელით, მყინვარი გადნება. ძიძა, მე ვიზამ ამას. მე ავხსნი სალტევებს — ჰო, შეილო, შენი იმედი გვაქვს. შენთვის ლოცულობს მთელი ერი“. აქ სიონი დაქცეული საქართველოს სიმბოლოა, ხოლო დავითი იმედის სიმბოლო — ერთობლივი საქართველოს აღმდგენელი და აღმშენებელი.

მესამე ესკიზში კი ჩვენ ვხედავთ ხარაჩოებში ჩასმულ საქართველოს. ურჯულოთაგან განთავისუფლებულ საქართველოს შენებას შეუდგა მძლეთა მძლე მეფე დავითი.

— ამდენი შენობაც, რომ არ გაუგონია კაცს. თითქოს ნიზლავეი პქონდეს დადებული, ყოველ უდაბნოში მონასტერი და ყოველ გორაზე ეკლესია ააგოს“. ამას ეუბნებიან მუშები, გელათის მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად ქართლიდან ჩამოსულ მოხუც კალატოზს, რომელსაც თან ახლავს 12 წლის შეილიშვილი. მთელს საქართველოში ზღაპრად გასული დავით მეფის სახელი მოსვენებას უკარგავს ბავშვს, ღამე ძილში აბოდებს დავით მეფე, მღვიძარი გელათის კალატოზებს კითხვებით არ ასვენებს — „მართალია ძლიერია მეფე? — უეცრად წამოცდა კითხვა ბავშვს“... უთენია გელათის ხარაჩოებში შეხვდება ბავშვი მეფეს. მეფეს მოეწონა იგი, გელათის ხუროთმოძღვართა სკოლაში ჩაარიცხია. და ასე თეზისებით იკვეთება მეფეთა მეფის — მეფე მშენებლის, მეფე გამანათლებლის სახე. ამას მოსდევს სამზადისი დიდი ომებისათვის და მეფის წერილი „რაჭის დიდი ბატონისადმი“... სასტიკი და მძიმე ომებით განთავისუფლა მეფემ მთლად საქართველო და მისი დედაქალაქი თბი-

ლისი და შექმნა მთელს მაშინდელ მსოფლიოში ერთი უძლიერესი სახელმწიფო — „ერთობლივი საქართველო“.

მეფეს ბევრი მტერი ყავდა შიგნით და გარეთ. ყველა დათრგუნა, ყველას სძლია, თავკერძა ერისთავს თუ საქართველოს გარშემორტყმულ ურიცხვ მტერს და აი, ავად გახდა ერთიანი საქართველოს უძლიერესი მეფე...

— „ბერმა დაამთავრა დიდი ხნის ნაშრომი. ხატის წინ დაიხოჭა და სასოებით წარმოთქვა:

— ღმერთო, განკურნე, მწყალობელი და გზის მაჩვენებელი ჩემო, მეფე საქართველოსა, — „დავით“... შაგრამ უღმობელ ბუნებას თავის განაჩენი უკვე გამოეტანა.

— წინ მოასვენებდნენ ბზის კუბოს... მეფე ეკლესიაში შეასვენეს. გელათის მონასტერი და მისი გალავანი უმთავრესი საზოგადოებით, დიდებულებითა და სამღვდელოებით იყო გაჭედილი... წირვა გადაუხადეს, წესი აუგეს.

— ახლა დაიწყო ტირილი. იცრემლებოდა მთელი ერი. ეთხოვებოდნენ სიმშვიდეს, სიწყნარეს, კაცთ გაკითხვას, მომავალ ბედნიერებას, აღდგომას ქვეყნისა.

— საქართველოს ცა ტროდა, დღემიწა გოდებდა. ხალხი ძაძით იმოსებოდა იმედი ჯერ არავის ჩასახოდა, რომ სადღაც ბუნების წიაღში ქანდაკდებოდა სულმნათი თამარი“...

ასე, თეზისების სახით, მოკვეთილი ესკიზებით იხატება და იქსოვება სახე ერთიანი საქართველოს მეფისა და მამისა — დიდი დავით აღმაშენებლისა.

აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ ნ. ლორთქიფანიძის მხატვრული სტიქია იმპრესიონისტული პროზა იყო. იგი გახდა მამამთავარი ქართული იმპრესიონისტული პროზისა. ნიკო ლორთქიფანიძეს, რომელიც გამოირჩევა თავისთავადობით ზოლო იაშვილმა 1919 წელს ლექსი მიუძღვნა და მას უწოდა „ბუნებით ბატონი, დიდი ქართველი“...

* * *

ოცდაათიან წლებში საინტერესო მოთხრობები, ნარკვევები, თარგმანები გამოაქვეყნეს მწერლებმა: გ. შატბერაშვილმა, არ. ჩაჩიბაიამ, მარიამ გარიყულმა, თ. სახოკიამ, მ. გვასალიამ, ა. აღმაიამ, ვ. კელიძემ, თ. ჩხეიძემ, ილ. აგლაძემ, გ. გაჩეჩილაძემ, ვ. ბენუქელმა, ს. თავაძემ, გრ. ჩიქოვანმა, დ. სულიაშვილმა, საფო მგელაძემ, ქ. ირემაძემ, ა. ლომიძემ, კ. გოგიავამ, ვლ. თორღუამ, ე. უბილაევამ, ბ. ჩხეიძემ, მ. მრეველიშვილმა, გ. ქავთარაძემ, ნ. მიწიშვილმა, პ. საყვარელიძემ, ი. ტატიშვილმა, ს. წვერაევამ, პ. აბრამიამ, ნ. ზომლეთელმა, ირ. ქავეარაძემ, ნ. აგიაშვილმა, მ. პატარიძემ, არ. ჯაჭანაშვილმა, ს. ფხაკაძემ, მ. ასათიანმა, დია ჩიანელმა, დ. კასრაძემ, არ. ქუმბაძემ, ი. ზურაბიშვილმა,

ივ. მაჭავარიანმა, ვლ. ტატიშვილმა, გ. ცაგარელმა, ნ. მიქაევამ, ს. თალაკვაძემ, ი. იოსელიანმა, ნ. ჩხეიძემ, ელ. ლოლობერიძემ, ივ. შაიშველაშვილმა, ნ. აყერმანმა, ელ. ანანიაშვილმა, პ. წერეთელმა, ს. აბულაძემ.

ქართული საბავშვო მწერლობა დიდად აღორძინდა ამ პერიოდში, შეიქმნა სპეციალური გამომცემლობა, — „საბლიტგამი“, ფრიად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ორი საბავშვო ჟურნალი: „პიონერი“ და „დილა“, ერთი საბავშვო გაზეთიც „ნორჩი ლენინელი“, ქართული საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებლის შიო მღვიმელის გვერდით ნაყოფიერად მუშაობდნენ ნ. ნაკაშიძე, მარიჯანი, ი. სიხარულიძე, ა. ხახუტაშვილი (ცკვიტი), რ. ქორჭია, ლ. მეგრელიძე, გ. კაჭახიძე, მაყ. მრეველიშვილი, ნ. კეცხოველი, ა. ჩაჩიბაია, ნ. ჩაჩავა, ლ. ჭიჭინაძე, ან. ღვინიაშვილი, კ. დევდარიანი, ვლ. გეგეჭკორი, ონელი, ქ. ქუჩუკაშვილი, მ. მიქელაძე, კ. გოგიაშვილი, მათ მიერ დაწერილი ბევრი საინტერესო წიგნი ხელს უწყობდა მოზარდი თაობის ესთეტიკური და კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას.

ოცდაათიან წლებში ქართული დრამატურგია გამდიდრდა მრავალი ახალი საინტერესო პიესით. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ სერგო კლდიაშვილის პიესა „გმირთა თაობა“, რომელიც მეტად აქტუალურ თემას ეხებოდა. პიესის მოქმედება იშლებოდა კოლხეთის ჭაობის ამოშრობის გრანდიოზულ სამუშაოთა ფონზე. ამასთან დაკავშირებით მწერალი მკაცრად აშხილებდა კონტრარევოლუციური კლასების ნაშთების გაბოროტებას და ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჯაშუშობისა და დივერსიების გზით. პიესის ცენტრში დგას საბჭოთა პატრიოტი, კოლხეთის ჭაობის სამუშაოთა უფროსი დიმიტრი გეგელია. ხალხისათვის, სოციალისტური სამშობლოსადმი თავდადება საბჭოთა მთავრობისა და პარტიისადმი ერთგულება, მტკიცე ნებისყოფა და რევოლუციური სიფხიზლე, რომელსაც იჩენენ საბჭოთა ადამიანები, ძლევს კლასობრივი მტრის გაბოროტებასა და შემოტევას. მტერი განადგურებულ იქნება. პიესის ძირითადი თემაა საბჭოთა პატრიოტიზმისა და რევოლუციური სიფხიზლის ჩვენება. ამ მიზანს ს. კლდიაშვილი პიესაში ისტატურად აღწევს.

იონა ვაკელი, ავტორი ლექსების რამდენიმე წიგნისა და პოემისა, („ახალი კოლხეთი“, „არსენ ჯორჯიაშვილი“, „საბჭოთა დღეები“), 1932 წელს წარდგა საბჭოთა მაყურებლის წინაშე კომედიით „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“, „ქვეყნის აღმშენებელი“ კაცის ნიღბით განდიდებული და განმაურებული „გმირი“. ნამდვილად კი ცრუპენტელა კაცუნა — ასეთია ტრაგიკომიკური სახე აპრაკუნე ჭიმჭიმელისა, დრამატურგის მიერ მძაფრი ფერებით დახატული. ამას მოჰყვა ახალი დრამა — „შური“. ამ პიესაში ნაჩვენებია საბჭოთა პატრიოტი მეცნიერის ზრუნვა და თავდადება სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისათვის. მეორე მხრივ, ავ-

ტორი ნილაბს ხდის იმპერიალისტების მიერ მოსყიდული აგენტებისა და ჯაშუშების ბოროტმოქმედებას. აღიარება ხვდა წილად „მამილს“.

გიორგი მდივნის პიესაში „სამშობლო“ ნაჩვენებია ვერაგობა კლასობრივი მტრისა, რომელიც უცხოეთიდან მავნებლური გზით შემოიპარა ჩვენს ქვეყანაში.

გ. მდივნის მეორე პიესა „ალკაზარი“ გვიხატავდა ესპანელი ხალხის გამირულ ბრძოლას ფაშისტების წინააღმდეგ.

თანამედროვე საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები დახატა ვიქტორ გაბესკირიამ პიესაში „მათი ამბავი“, რომელიც მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა დადგა. ამ პიესის მთავარი გმირების ბოლშევიკ შალვას და საბჭოთა სპეციალისტის დავითის ცხოვრება წარმოდგენილია როგორც განზოგადებული ბიოგრაფია ჩვენი მოწინავე საბჭოთა ადამიანებისა.

ამ პერიოდის დრამატულ ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთი პოპულარული პიესა იყო სანდრო შანშიაშვილის „არსენა“. პიესის ცენტრშია ხალხური გმირი არსენა, მწერალი ქმნის უშიშარი მებრძოლი გლეხის — არსენას რომანტიკულ სახეს. დრამატურგმა ხალხურ არსენას სრულიად ახალი იდეური გაშუქება მისცა. ხალხურ შემოქმედებაში არსენა წარმოდგენილია როგორც ინდივიდუალური ბრძოლის გზაზე დამდგარი გმირი. ს. შანშიაშვილმა კი იგი აღჭურვა გლეხთა მასობრივი ბრძოლის მეთაურის თვისებებით. დრამატურგმა ამაღლებულად დახატა არსენას მემბოხე ბუნება. ბატონყმობის წინააღმდეგ სტიქიურად ამხედრებული გლეხი არსენა ავტორმა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ შეგნებული მებრძოლის დონემდე აამალა. ახალ იდეურ თემას წარმოადგენს ამ პიესაში რუსი და ქართველი ხალხების ძმობის იდეა. პიესა დაწერილია გამართული თეთრი ლექსით. მან საბჭოთა მკითხველისა და მსმენელის აღიარება და სიყვარული დაიმსახურა.

ს. შანშიაშვილმა პიესაში „სამნი“ სცადა დაეხატა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა, ეჩვენებინა ბოლშევიკების მეთაურობით ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის — მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების წინააღმდეგ. პიესა მხატვრულად სუსტი იყო და არ შერჩა სცენას.

ამ პერიოდის ქართულ დრამატურგიაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შალვა დადიანის პიესა „ნაპერწყლიდან“. შეიძლება გადაუჭრებელად ითქვას, რომ შ. დადიანის პიესამ ახალი ფურცელი გადაშალა ქართულ დრამატურგიაში. ეს იყო პირველი სერიოზული ცდა საბჭოთა დრამატურგიაში კაცობრიობის უდიდესი გენიოსის ლენინისა და მისი თანამებრძოლების მხატვრული სახის შექმნისა, რომელიც მკაფიო მხატვრული ხერხებით გვიჩვენებდა ამიერკავკასიისა და საქართველოს

ბოლშევიკური ორგანიზაციების როლს XX საუკუნის განთიადნე. ამ დიადმა თემამ პიესაში უარესად სცენური გადაწყვეტა პოვა. ერთი მხრივ, ისტორიულად ცნობილი პიროვნებანი, ბათუმის რევოლუციური მუშათა კლასის წარმომადგენლები და, მეორე მხრივ, ბათუმის მეშჩანური და წვრილბურჟუაზიული სოციალური წრე, რომელსაც ზიკოვი მეთაურობს, ქმნიან ამ პერიოდის ბათუმის სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების განზოგადებულ სურათს. ეს პიესა საბჭოთა კავშირის მრავალ თეატრში დაიდგა და საყოველთაო აღიარება პოვა.

ისტორიულ-პატრიოტულ დრამატულ ნაწარმოებთა შორის უნდა დავასახელოთ ს. შანშიაშვილის, ი. ვაკელის და უშე. ჩხეიძის ერთი სახელწოდების პიესები „გიორგი სააკაძე“. ამ ავტორების პიესებს განსხვავებული მხატვრული ასპექტი და დრამატული ხერხი ახასიათებს, მაგრამ მათ აერთიანებს საერთო თემა, ნაციონალური გმირის გიორგი სააკაძის სახელოვანი ისტორია. აქვე უნდა დავასახელოთ სიმონ ქვარციანის გახმაურებული რომანი „დიდი მოურავი“.

ცალკე უნდა აღნიშნოთ ვ. დარასელის პიესა „კიკვიძე“, პიესაში გადმოცემულია საბჭოთა ხალხის რევოლუციური წარსულის მღვლვარე ეპიზოდები. პიესის ცენტრშია ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი, სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი ვასილ კიკვიძე. ეს რევოლუციური-პატრიოტული ხასიათის პიესა მტკიცედ შევიდა საბჭოთა თეატრების რეპერტუარში.

პ. კაკაბაძემ, „ყვარყვარე თუთაბერის“ ავტორმა, კვლავ მიიპყრო მკობხეელისა და მაყურებლის ყურადღება, როგორც პირველხარისხოვნამა დრამატურგმა, საკოლმეურნეო თემაზე დაწერილი პიესით — „კოლმეურნის ქორწინება“, მდიდარ დრამატულ სიტუაციებში ხატოვან და ლაკონურ დიალოგში ავტორმა ნათლად გამოკვეთა სოფლის ახალი ცხოვრება. ერთი მხრივ, მწერალმა ამხილა ძველი ცხოვრების გადმონაშთები, ყოფილი აზნაური მანუჩარი, სოფლის მაჩანჩალა ვატა, უსაქმური ლომკაცა, უყაირათო თავმჯდომარე ხარიტონი, ჭორიკანა კაკალა, ხოლო მეორე მხრივ, ნათლად დახატა ახალ საკოლმეურნეო ცხოვრების მშენებელ ადამიანთა შრომა და გარჯა, ამ ფონზე გამოჩენილი კოლმეურნე ქალის, სოციალისტური შრომის ორდენოსანი გვირისტინეს სახე. მაყურებელთა თანაგრძნობა დაიმსახურა ვ. ზააზოვის პიესამ „მუნჯები ალაპარაკდნენ“.

ამ წლებში მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეპერტუარში წამყვანი ადგილი ეკირა ს. მთვარაძის და კ. ბუაჩიძის პიესას „აჭრე რგოლი“, ს. მთვარაძის პიესებს: „ჩვენც, ჩვენც“, „სურამის ციხე“ (დ. ჭონქაძის მოთხრობის მიხედვით), ვ. ნახუცრიშვილის: „ლადო კეცხოველს“, „კომბლეს“, „ნაცარქექიას“ და გრ. ბერძენიშვილის პიესებს: „აჭარის მთებში“, „ოქროს ვერძი“ და სხვ.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ აღნიშნულ პერიოდში მთელი ჩვენი მწერლობა—პოეზია, პროზა, დრამატურგია მტკიცედ დაუკავშირდა საბჭოთა სოციალისტურ სინამდვილეს. ამ სინამდვილის მხატვრული ასახვა გახდა ჩვენი მწერლობის საერთოდ და კერძოდ დრამატურგიის მთავარი ამოცანა.

ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო „ლიტერატურული გაზეთის“ გამოცემა. მისი პირველი ნომერი გამოვიდა 1931 წლის ნოემბერში და გამოდის დღემდის, პირველად „ლიტერატურული გაზეთის“, მერე „ლიტერატურა და ხელოვნების“ და ახლა „ლიტერატურული საქართველოს“ სახელწოდებით. ქართული საბჭოთა მწერლობის ეს მეგრძოლი ორგანო თანამიმდევრულად იცავდა საბჭოთა ლიტერატურის მაღალი იდეურობისა და მხატვრულობის პრინციპს სხვა ლიტერატურულ პრესასთან ერთად და აშუქებდა ქართული მწერლობის მეტად რთულ და მრავალწახნაგოვან გზას. ოცდაათიანი წლების ქართულ მწერლობაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ახალგაზრდული ჟურნალის „ჩვენი თაობის“ (1935 წ.). უფრო ადრე „ახალგაზრდა მწერლის“ (1934 წ.) დაარსება. ამ ჟურნალმა თავის გარშემო შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლები და ხელი შეუწყო მათ დაოსტატებას. ამ ჟურნალში მოვიდა ის ახალგაზრდა თაობა, რომელიც რაპპელების აკეთებულ სქემებისა და შტამპების ტყვეობას გადაურჩა. სწორედ რაპპელებისაგან დევნილმა ქართულმა პატრიოტულმა ლირიკამ მათ შემოქმედებაში ახალი ძალით იფეთქა. კლასიკური მწერლობისათვის დამახასიათებელი, სამშობლოსათვის ხარკად გაღებული, ლირიკული თავგანწირვა და საოცარი ტკივილებით განცდა მამულის სიყვარულისა ამ თაობაში თავისებურად გამოვლინდა. პატრიოტული ლირიკის ეს ნაკადი ომის წლებში უფრო მძლავრად წარმოიხინდება მათ პოეზიაში.

ჟურნალი „ჩვენი თაობის“ ახალგაზრდა პოეტებმა ახალი ინტონაციით, გამომსახველობის ახალი პოეტური ხერხებით დაიპყრეს ლიტერატურული საზოგადოების ყურადღება. ეს თაობა საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო, ყველა მათგანს თავისებური პოეტური ინტონაცია ჰქონდა. ამ თაობაში ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ალექსანდრე საჩაია ისე ნაადრევად წავიდნენ ჩვენგან, რომ მხოლოდ ჭაბუკობის წლების პოეტური სიტყვა დარჩათ, მაგრამ იმდენი შინაგანი ენერგია აღმოაჩნდა ამ ჭაბუკობის წლების ლექსებს, რომ მათ ჩვენი ხალხის გულში მუდმივი ბინა დაიმკვიდრეს, მაღალი პოეტური კულტურითა და ინტონაციების სიახლით.

ახალგაზრდა პოეტების ამ თაობამ ოცდაათიანი წლების ბოლოს გამოაქვეყნეს ლექსები, რომლებმაც ერთბაშად გამოაბრწყინა მათი ნიჭი და ადგილი ქართულ საბჭოთა მწერლობაში.

რ. მარგიანმა: „მირანგულა“, „სევანური ივენანა“, „მარიხი“, „ამბავი რუსთაველის — სანადიროდ წასვლისა“ (ბალადა).

ი. ნონეშვილმა: „აი, კახეთი“, „გამიგონია მთვარიან ღამეს“, „უსახელო ყვავილი“.

ლ. ასათიანმა: „არ ვიცი ასე რამ შემაყვარა“, „კრწანისის ყაყაჩოები“, „სალაღობო“, „ბარდნაღა“, „ცაგერის ბაზრობა“.

მ. გელოვანმა: „ქართლის მიწავ“, „განშორება“, „ცხრაკარა“.

ალ. საჯიამ: „წყარო“, „ცისარტყელა“, „ბორის ძნელადის ძეგლთან“, „ძველი ჩანგური“, „თოვლის ქალი“, „ხასანი ჩვენია“...

ა. შენგელიამ: „ანდერძი“, „თეთრი წისქვილი“, „მეოცნებე“.

გ. ჯაბუშანურმა: „არაგვიანი“, „ჯიხვები“, „პატარა მთიელები“, „ნათელი მთაში“.

შ. ამისულაშვილმა: „წიწამურის გზაზე“, „ჭიდილი სიტყვასთან“, „შემომძახებენ“. ვლადიმერ უბილაგამ: „რუხის ბრძოლა“, „უტუ მიქავა“. გამოქვეყნდა აგრეთვე ოთ. ჩხეიძის, ვახ. ჭელიძის, ლ. სულაბერიძის, ლ. ავალიანის, ლ. ბალიაურის, კ. ხიმშიაშვილის და ხუტა ბერულავას ლექსები და ნოველები.

ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების რთულ პროცესში აქტიურად მონაწილეობდა მხატვრული კრიტიკა. მან თვალსაჩინო როლი შეასრულა მწერლობის იდეურ-ესთეტიკურ მონაპოვართა პროფესიონალურ შეფასებასა და პოპულარიზაციაში. ამ დარგში, ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდნენ: ფ. მახარაძე, ბ. ბუაჩიძე, ბ. ულენტი, შ. დუდუჩავა. კ. ჩარკვიანი, პ. შარია, კ. გორდელაძე, ერ. ბეღია, მ. ტოროშვილიძე. მ. კახიანი, ა. თათარაშვილი, გ. ყურაშვილი, კ. ორაგველიძე, ს. დანელია, კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი, პ. გუგუშვილი, ალ. ბარამიძე, მიხ. ზანდუკელი, ს. დევდარიანი, პ. ქიქოძე, ვ. ხუროძე, შ. რადიანი, ს. ხუნდაძე, ს. ამალღობელი, პ. ინგოროყვა, გ. ქიქოძე, ლ. ასათიანი, კ. კაპანელი, დ. ბენაშვილი, გ. ნატროშვილი, ა. გაწერელია, ალ. სულავა, ვ. კოტეტიშვილი, ერ. ქარელიშვილი, გ. ლომიძე, გ. ჯიბლაძე, გ. შავგულიძე, კ. მელაძე, ალ. კალანდაძე, შ. აფხაიძე, დ. დემეტრაძე, გ. მერკვილაძე, ვ. მაჭავარიანი, ა. ჩავლეიშვილი, ალ. არსენიშვილი, ლ. კალანდაძე, ვ. წულუკიძე, გ. ნადირაძე, აკ. თოფურია, გ. აბზიანიძე, ვლ. ასათიანი, ვლ. ზამბახიძე, ვ. შადური, ან. ნიკოლაძე, ს. იორდანიშვილი, შ. აღხაზიშვილი, პ. რატიანი, იპ. ვართაგავა, ნ. აგიაშვილი, თ. ბეგიაშვილი, მ. დუდუჩავა, ვ. ლუარსაბიძე, გრ. მუშიშვილი, ქ. ირემაძე, პ. ბახტურიძე, გ. თავიშვილი, ალ. ქუთელია, დ. ჯანელიძე, ვლ. ჯიბუტი, დ. დუმბაძე, ს. ცაიშვილი, შ. კაშმაძე, ალ. სიგუა. ისინი არა მარტო თავიანთი კრიტიკული წერილებით, არამედ ორგანიზატორულ-მუშაობით ხელს უწყობდნენ ქართული მწერლობის წარ-

მართვას. ამ კრიტიკოსთა უმრავლესობა მწერალთა კავშირის მდივნე-
ბი და ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები იყვნენ.

მხატვრულ კრიტიკას მოეთხოვება იყოს ლიტერატურული მოვლე-
ნებისა და ფაქტების არა მარტო ნამდვილი ობიექტური მსჯავრმდებე-
ლი და შემფასებელი, არამედ მწერლობის განვითარების ხელშემწყობ-
ბი მძლავრი ბერკეტიც. ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა, ლიტერატუ-
რათმცოდნეობა, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის საფუ-
ძველზე დამყარებული, ძირითადად სწორად აშუქებდა ქართული საბ-
ჭოთა მწერლობის კარდინალურ საკითხებს. ამავე დროს ბევრ შემ-
თხვევაში ცოდავდნენ ჩვენი კრიტიკოსები, იყო შეცდომებიც. სამწუ-
ხაროდ კვლავ თავს იჩენდნენ რაპპელი ჯგუფობრიობის რეციდივები
თვით ოცდაათიან წლებშიც კი. იყო დრო, როდესაც საბჭოთა მწერ-
ლობის იდეური პოზიციისათვის ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა
ჰქონდა. ცეცხლის ხაზი მიმართული იყო არასაბჭოურად განწყობილი
ლიტერატურული ჯგუფების წინააღმდეგ. იდეური ბრძოლა დღის წეს-
რიგში აყენებდა ნაწარმოების სოციალ-პოლიტიკურ ასპექტში გარჩე-
ვას. პირველი ყრილობის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა, ძველი თა-
ობის ნიჟიერი ბირთვი მოწინავე საბჭოთა მწერლები გახდნენ. ახლა
მთავარი იყო არა მარტო იდეურად და პოლიტიკურად გამართული ნა-
წარმოების შექმნა, არამედ მხატვრული გამომსახველობითი სრულყო-
ფა. სხვათა შორის ეს ამოცანა მუდამ იდგა მწერლობაში, მაგრამ რაკი
ახლა რაპპული ბარიერები მოიხსნა, მარქსისტული ესთეტიკის მთავა-
რი დებულებაც აღდგა. ნაწარმოების მხატვრული მხარე ისეთივე აქ-
ტუალური კატეგორიაა, როგორც თვით შინაარსი. მწერლობის დღის
წესრიგში მთელი სიმწვავით დადგა ბრძოლა მხატვრული ხარისხისა-
თვის. კარგი ნაწარმოები, კარგი მწერალი ის არის ვინც არა მარტო
იდეურად სწორ, გამართულ ნაწარმოებებს შექმნის, არამედ ის, ვინც,
ხატოვნად რომ ვთქვათ, ოსტატურად მოახერხებს ერთ ბევრაში მთე-
ლი მელოდია დაიჭიროს, ერთ ფერში — ფერების მოძრაობა დაინახოს
მთელის მრავალფეროვნებით, ვირტუოზულად გამოხატოს საგანი თუ
მოვლენა. ამ ვითარებაში ყოვლად გაუმართლებელი რაპპული რეციდი-
ვები იყო, როდესაც სასტიკად თავს ესხმოდნენ კ. გამსახურდიას
„მთვარის მოტაცებას“, მიხ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელს“, პ.
იაშვილის „ალიოშა ჯაფარიძეს“ და ა. შ. მაგრამ ნიშნავდა თუ არა ეს
იმას, რომ იდეური ბრძოლა დამთავრდა, რომ კრიტიკამ არ გაუწიოს
ბრძოლა მწერლის იდეურ შეცდომებს? რასაკვირველია არა. კრიტიკა
მუდამ ვალდებულია ებრძოლოს მოვლენების, სინამდვილის დამახინ-
ჯებულად გამოხატვას, ფორმალისტური უიდეობის აპოლოგას, ასევე
სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუტყხადოს მდარე, ერთფეროვან, უძარღვო,
ტრაფარეტულ მწერლობას. ისე, როგორც იდეურად არის საბჭოთა

მწერლობა ახალი, უფრო მაღალი საფეხური, ასევე ფორმითაც, მხატვრული გამომსახველობითაც ნოვატორულია იგი. სოციალისტური რეალიზმის ამ ამოსავალ პრინციპს ეფუძნება მხატვრული კრიტიკა.

ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის განვითარება აღინიშნება ჩვენი სამწერლო ინტელიგენციის მჭიდრო დაკავშირებით საბჭოთა სინამდვილესთან. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ლეო ქიაჩელს, როდესაც იგი საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავზე, 1936 წელს, წერდა: „ოქტომბრის მე-15 წლისთავზე საქართველოში ჩვენ ვხედავთ, რომ გუშინდელი დეკადენტური, ფუტურისტული, კუდა და ჩიქორთული მანიფესტების ავტორებიც დღეს სოციალურად და მხატვრულად უადრესად მნიშვნელოვან შემოქმედებას ეწევიან და სახელს იხვეჭენ. ეს არის ოქტომბრის რევოლუციის დამსახურება ახალი ქართული ლიტერატურის წინაშე, თუ სოციალისტურ მშენებლობაში ჩვენ შეგვიძლია გიგანტები დავასახელოთ. თანამედროვე ლიტერატურასაც მოეპოვება ეპოქალური მნიშვნელობის დიდი ტილოს ნაწარმოებები, რომლებიც საბჭოთა მწერლობის მხატვრული შემოქმედების პოტენციის მონუმენტურ ძეგლებად დარჩებიან ლიტერატურაში“ („მნათობი“).

განსახილველი პერიოდის ქართული მწერლობის მთავარ მონაპოვარს წარმოადგენდა ახალი ადამიანის, სოციალიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანის სახის გამოხატვა, სოციალისტური ეპოქის სულიერი ცხოვრების ჩვენება.

ოქტომბრის რევოლუციის ნიადაგზე განმტკიცდა და ამადღა საბჭოთა ლიტერატურა, სოციალისტური საზოგადოების ლიტერატურა, რომლის ესთეტიკური პრინციპები ჯერ კიდევ 1905 წელს ჩამოაყალიბა ვ. ი. ლენინმა. იგი წერდა: „ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, თავისუფალი იმიტომ, რომ არა ანგარება და არა კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელებისადმი თანაგრძნობა მიიზიდავს ახალ-ახალ ძალებს მის რიგებში. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, იმიტომ, რომ იგი სამსახურს გაუწევს არა სალონების გულმოყრიჭებულ „გმირ ქალს“, არა მოწყენილ და სიმსუქნის ქონით შეწუხებულ „ზედა ფენის ათეულ ათასებს“, არამედ მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომელნიც ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ“.

ამ ესთეტიკური პრინციპით იბრძოდა და იბრძვის ქართული საბჭოთა მწერლობა, რომ იყოს სრულიად საქართველოს ბაირახტარი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობის მაგიერ	3
1921—1930 წწ.	7
ციხფერყანწელთა ლიტერატურული კორპორაცია	10
აკადემიური ასოციაცია	60
ფურტურისტების ჯგუფი	35
პროლეტარულ მწერალთა კავშირი	92
„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“	105
ჟურნალი „მნათობი“	111
საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა	117
ალმანახი „არიფიონი“	141
„რაპსი“	153
1930—1940 წწ.	230
საბჭოთა მწერალთა I ყრილობა	237
ოციანი და ოცდაათიანი წლების პოეზია — გ. ტაბიძე (165, 244), გ. ქუჩიშვილი (171), ალ. მირცხულავა (174, 251), კ. კალაძე (178, 268), გ. ლეონიძე (180, 246), ტ. ტაბიძე (185, 264), პ. იაშვილი (187, 260), ს. ჩიქოვანი (191, 270), ი. მოსაშვილი (199, 250), ს. შანშიაშვილი (200), ირ. აბაშიძე (259), ალ. გომიაშვილი (272), გ. აბაშიძე (273), ე. გაფრინდაშვილი (275), ი. გრიშაშვილი (277), კ. კვიციანიძე (282), კ. ნადირაძე (285), ე. გაბესკირია (287, 375), ა. აბაშელი (291).	
პ რ ო ზ ა — ლ. ქიაჩელი (205, 298), ნ. ლორთქიფანიძე (320), მ. ჭავჭავაძე (207, 314), კ. გამსახურდია (211, 305), დ. შენგელაია (213, 300), რ. გვეტაძე (217, 303), ს. კლდიაშვილი (218, 304), კ. ლორთქიფანიძე (220, 302), ალ. ქუთათელი (221, 320).	
ღ რ ა მ ა ტ უ რ გ ი ა — შ. დადიანი (223, 300, 375), ს. შანშიაშვილი (226, 375), პ. კაკაბაძე (226, 376), კ. კალაძე (227), ს. კლდიაშვილი (218, 374), ი. ვაკელი (374), ვ. დარასელი (376).	

გამომცემლობის რედაქტორი ა. კაკაბავა-კერესელიძე
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ივ. ხუციშვილი
კორექტორი ნ. ქანთარია

სბ 1302

გადაცა წარმოებას 25.09.85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.08.86.
უე 01204. საბეჭდი ქაღალდი 60×90^{1/16}. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 24.
საალრ.-საგამომც. თაბახი 22, 98.
ტირაჟი 5000. შეკვეთის № 1392.
ფასი 3 მან. 80 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета.
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.